
ლევან ჯიქია

1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2011

მონოგრაფიაში, მეტწილად უცნობ საარქივო დოკუმენტებსა და მასალებზე დაყრდნობით, გაშუქებულია 1924 წლის აჯანყების მომზადება და მიმდინარეობა დასავლეთ საქართველოში — იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, აფხაზეთში და აჭარაში. საგანგებო ადგილი ეთმობა აჯანყების დამარცხების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ უსასტიკეს რეპრესიებსა და აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესს.

რედაქტორი: **ვახტანგ გურული,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

რეცენზენტები: **დიმიტრი შველიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

ავთანდილ წონკოლაური,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

© ლ. ჯიქია, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი", 2011

თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-419-3

რედაქტორისაგან

მონოგრაფიის ავტორმა, ლევან ჯიქიამ, 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიის სპეციალობით, 2005-2007 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით, 2009 წელს ჩაირიცხა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით. ლევან ჯიქიამ სადოქტორო დისერტაციის თემად აირჩია ქართული ისტორიოგრაფიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა — 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. ამავე თემაზე მუშაობდა ის მაგისტრატურაში სწავლის პერიოდშიც. წლების განმავლობაში ლევან ჯიქიამ საქართველოს სხვადასხვა არქივში გამოავლინა მეტად საყურადღებო, დღემდე უცნობი დოკუმენტები და მასალები, განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა მან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. მის მიერ გამოვლენილი დღემდე უცნობი საარქივო დოკუმენტები და მასალები, ასევე წინამორბედი ქართველი ისტორიკოსების (ნესტან კირთაძის, თენგიზ ენდელაძის, ვალერიან ბენიძის, გელა სულაძისა და სხვ.) მიერ ადრე გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტები და მასალები დაედო საფუძვლად წინამდებარე მონოგრაფიას.

წიგნის შეფასება საბოლოოდ პროფესიონალი ისტორიკოსებისა და დაინტერესებული მკითხველის საქმეა, თუმცა

თავს უფლებას მივცემთ, როგორც ლევან ჯიქიას სამეცნიერო ხელმძღვანელი და წიგნის რედაქტორი, განვაცხადოთ: ლევან ჯიქიას მონოგრაფია „1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში“ ქართული ისტორიოგრაფიის საყურადღებო შენაძენია.

ვახტანგ გურული,

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი.

28 აგვისტო, 2011 წელი.

შესავალი

ქართველმა ერმა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ წარმოებული 117 წლიანი ბრძოლა წარმატებით დააგვირგვინა 1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით. ახლადშობილი სახელმწიფო — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა — ევროპული ტიპის სახელმწიფო იყო მკვეთრად გამიჯნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებით. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა 1921 წელს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით დაგვირგვინდა, რომელიც თავისი შინაარსით ნამდვილად დემოკრატიული კონსტიტუცია იყო. საქართველომ, დიდი სიძნელეების მიუხედავად, შექმნა საკუთარი შეიარაღებული ძალები: სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარი. წარმატებით ხორციელდებოდა სხვადასხვა ტიპის რეფორმები (აგრარული, ფულად-საფინანსო, ადგილობრივი თვითმართველობის და სხვ.). ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავად მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას.

საბჭოთა რუსეთი ერთი წუთითაც არ შერიგებია „დედა“ რუსეთიდან საქართველოს მოწყვეტას და ამიტომ, კრემლში იწერებოდა სხვადასხვა სცენარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობის მიზნით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი (დამფუძნებელი კრება) და მთავრობა სწორად აანალიზებდა შექმნილ ვითარებას და ცდილობდა გარკვეული დათმობების ფასად ჩრდილოელ მეზობელთან — საბჭოთა რუსეთთან — ურთიერთობის ნორმალიზებას. საბჭოთა რუ-

სეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას საქართველოს დასავლელი მოკავშირეებიც ურჩევდნენ. გარკვეული კონსულტაციების შემდეგ მოსკოვში დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის, რომელიც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით დასრულდა. ამ ხელშეკრულების ძალით საბჭოთა რუსეთმა **დე ფაქტო** და **დე იურე** აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და უარი თქვა ყოველგვარ პრეტენზიებზე მის მიმართ. რუსეთის მხრიდან ეს აღიარება ჰაერივით სჭირდებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მსოფლიო სახელმწიფოების მიერ დე იურე აღიარებისათვის. ამასთან ერთად, ხელშეკრულების ე.წ. **„საიდუმლო დამატებით"** რუსეთს ხელ-ფეხი ეხსნებოდა საქართველოში **„მეხუთე კოლონის"** შესაქმნელად. გარდა ამისა, საქართველოში მოვლინებული რუსული დიპლომატიური წარმომადგენლობა **სერგეი კიროვის** ხელმძღვანელობით (საელჩოში 500 „თანამშრომელი" ირიცხებოდა), პრაქტიკულად, აგენტურულ და სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდა და ნიადაგს ამზადებდა საქართველოში საბჭოთა რუსეთის შემოსაჭრელად.

სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ (1920 წლის მიწურული) კრემლში უკვე რეალურად დადგა დღის წესრიგში საქართველოს დაპყრობის საკითხი. ახალი სცენარით საქართველოსა და სომხეთს შორის სადავო ტერიტორიაზე — „ლორეს ნეიტრალურ" ზონაში — უნდა დაწყებულიყო არაქართველი მოსახლეობის აჯანყება (ძირითადად სომხებისა და რუსების). „აჯანყებული" მოსახლეობის დაცვა უნდა გამხდარიყო საბაბი საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის შემოჭრისა. სინამდვილეში კი რუსეთის რეგულარული წითელი არმიის ნაწილების შეტევა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის მიზნით ხორციელდებოდა. საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმია საქართველოს ტერი-

ტორიაზე 1921 წლის 11-12 თებერვალს, ღამით, შემოიჭრა. დაიწყო საქართველო-რუსეთის ომი. გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა ძალთა აშკარა უთანაბრობა. საბოლოოდ, 1921 წლის 25 თებერვალს XI წითელი არმია თბილისში შემოიჭრა. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა და დამფუძნებელი კრება ბათუმში გადავიდა, საიდანაც 1921 წლის 17 მარტს, ისე რომ არ უცვნია ქვეყნის ოკუპაცია და კაპიტულაციის აქტზე ხელი არ მოუწერია, ემიგრაციაში გაემგზავრა.

ემიგრაციაში გადახვეწილმა საქართველოს მთავრობამ დაიწყო მსოფლიო საზოგადოებრიობის ინფორმირება საქართველოში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ერთადერთი იმედი სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება იყო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას არ შერიგებია ქართველი ერი. რუსული ოკუპაციის პირველ თვეებში შეუძლებელი იყო აჯანყების ორგანიზება და ქვეყნის გათავისუფლებისათვის ბრძოლის დაწყება. საოკუპაციო რეჟიმი მკაცრი ღონისძიებებით აღკვეთდა ხოლმე წინააღმდეგობის ყოველგვარ გამოვლინებას. მაგრამ ეს არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. უმკაცრესი საოკუპაციო რეჟიმის პირობებში ეროვნული ძალები ცდილობდნენ ორგანიზებას. ამ თვალსაზრისით პირველ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს 1921 წლის შემოდგომაზე სვანეთში დაწყებული გამოსვლები. ეროვნული მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა, ხოლო მის კულმინაციას 1924 წლის აჯანყება წარმოადგენდა. 1924 წლის აჯანყება საერთო ქართული მოვლენა იყო. ჩვენ, წინამდებარე გამოკვლევაში შევეხებით 1924 წლის აჯანყებას დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, აჭარა). ჩვენი არჩევანი განაპირობა იმან, რომ ზოგადად 1924 წლის აჯანყების თაობაზე საკმაოდ ბევრია დაწერილი (**ნოე რამიშ-**

ვილი. საქართველო და რუსეთი. პარიზი, 1924; **ნ. ჟორდანია.** რა მოხდა. პარიზი, 1925; **გ. ვეშაპელი.** აჯანყების შემდეგ. პარიზი, 1925; **კ. სულაქველიძე.** რა მოხდა? (ვინ მოაწყო და როგორ აგვისტოს აჯანყება). სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1927; **ირ. წერეთელი.** ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი. პარიზი, 1927; **ვლასა მგელაძე.** მოგონებები. წიგნი პირველი. საქართველო აჯანყებამდე (1921-1924). პარიზი, 1936; **კლიმენტი შელია.** საქართველოს კომუნისტების ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის (1921-1926 წ.წ.). აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა, სოხუმი, 1957; **ი. კაჭარავა.** საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1958; **საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები 1883-1970.** საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971; **საქართველოს ისტორიის ნარკვევები.** ტ. VII. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1976; **ს. გოგიბერიძე.** ბრძოლა სამშობლოსათვის, თბილისი, 1991; **ა. სულხანიშვილი.** რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე. სან-ფრანცისკო, 1985; **ა. სულხანიშვილი.** „ჩემი პასუხი" ჟორდანიას მემკვიდრეებს. სან-ფრანცისკო, 1987; **სოლომონ ზალდასტანიშვილი.** 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1989; **ვ. ბენიძე.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში. გამომცემლობა „სამშობლო", თბილისი, 1991; **რევაზ გრძელიძე.** 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1992; **ნიკოლოზ ბენდელიანი.** ისტორიოგრაფია საქარველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე. გამომცემლობა „სარანგი", ქუთაისი, 1993; **ნესტან კირთაძე.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთაისი, 1996; **გ. ცხოვრებაძე.** ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში. გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 1996; **მ. სამსონაძე.** საქართველო 1921-1991 წლებში (პროექტი). თემა დისპუტისათვის. გამომცემლობა „მემატიანე", თბილისი, 2001; **საქართველოს ისტორია. XX საუკუნე.** პროფ. ვახტანგ

გურულის რედაქციით. გამომცემლობა „არტანუჯი“ და თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003; **მაყვალა ნათმელაძე. ალექსანდრე დაუშვილი.** საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000 წწ.). გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი, 2004; **თენგიზ ენდელაძე.** ტრაგიკული 1924. თბილისი, 2004; **გიორგი ციციშვილი.** სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ (მე-80 წლისთავის გამო). თბილისი, 2004; **კობა წენგუაშვილი.** საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია. გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი, 2005). გამოქვეყნდა ნაშრომები, რომლებიც ეხება 1924 წლის აჯანყებას საქართველოს ცალკეულ რეგიონებში (**ვ. ჩუბინიძე.** მოგონება. წიგნი მეორე. პარიზი, 1953; **სიმონ გოგიბერიძე.** ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991; **ოთარ გოგოლიშვილი.** ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი, 2000; **ირაკლი მანველიძე.** საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2006; **გრიგოლ ვაშაძე (1901-1990).** მასალები პირადი არქივიდან. თბილისი, 2009). გამოქვეყნებული წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ 1924 წლის აჯანყების მომზადებისა და მიმდინარეობის შესწავლა დასავლეთ საქართველოში მოითხოვდა დამატებით კვლევა-ძიებას. პირველ რიგში ეს ეხება ახალი საარქივო მასალების გამოვლენასა და შესწავლას, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგიერთი მცდარი შეხედულების დასაბუთებულ კრიტიკას. ვიმედოვნებთ, წინამდებარე ნაშრომი გარკვეულწილად შეავსებს და სრულყოფს 1924 წლის აჯანყების ისტორიას.

მონოგრაფიაზე მუშაობისას მრავალმა ადამიანმა აღმოგვიჩინა დახმარება, განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის, ბატონ **ომარ თუშურაშვილისა** და საარქივო სამმართველოს თანამშრომლის, ბატონ **ლუკა კერატიშვილის** ღვაწლი. ასევე

გვინდა მადლიერებით მოვიხსენიოთ: **თამარ ბელქანია, გიორგი ბაბუცაშვილი, ნინო ყიფშიძე, მერი ბარბაქაძე, ლალი ეხვაია, სოფიო ტორჩინავა, ივანე ჯახუა, დოდო ბალათურია, ლია კერესელიძე, გიორგი ოჩხიკიძე, ნინო გომართელი, ნინო რობაშვილი.**

თავი I. პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. საკითხის ისტორიოგრაფია

1924 წლის აჯანყების შესახებ ზოგადად და კონკრეტულად დასავლეთ საქართველოში მისი მომზადებისა და მიმდინარეობის შესახებ დღემდე საკმაო რაოდენობით დოკუმენტები და მასალებია გამოქვეყნებული, დაწერილია მრავალი ნაშრომი. ცხადია, დოკუმენტებისა და მასალების ყველა პუბლიკაციასა და გამოკვლევას ერთი და იგივე ღირებულება არ გააჩნია. ჩვენი მიზანია მოკლედ შევაფასოთ ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა.

§1. საბჭოთა ისტორიოგრაფია

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ დღის წესრიგში მომხდარის გაანალიზებისა და შეფასების საკითხი დადგა. ამ მხრივ პირველი სიტყვა რუსული საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლებმა თქვეს. ამით 1924 წლის აჯანყების ისტორიის გაყალბება დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლების ლიდერებმა **(იოსებ სტალინმა, ლევ ტროცკიმ, სერგო ორჯონიკიძემ, ფილიპე მახარაძემ, მიხა ცხაკაიამ, მიხეილ კახიანმა, ლევან ღოღობერიძემ, ალექსანდრე გეგეჭკორმა, ლავრენტი ბერიამ** და სხვ.) 1924 წლის აჯანყება იმთავითვე შემდეგი გამოქმებით შეაფასეს: **„ავანტურა“, „კონტრრევო-ლუცია“, „ზედა ფენების ამბოხება“, „უაზრო და სულელური ავანტურა“, „უაზრო სისხლისღვრა“, „ბანდიტური გამოსვლები“, „მენშევიკების ავანტურა“** და სხვ. ცხადია, ზემოთ აღნიშნული ტერმინები უმალვე აიტაცეს საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების რიგითმა მუშაკებმა (რომელთა უმეტესობას ხეირიანი სწავლა-განათლებაც კი არ ჰქონდა მიღე-

ბული) და ერთმანეთის მიყოლებით პრესაში აჯანყების მათეული შეფასებები გამოაქვეყნეს, როგორც წესი შაბლონად ტერმინი **„ავანტიურა“** იყო გამოყენებული.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ოფიციალური პერიოდული ორგანოების ფურცლებზე შემდეგი სახის მუქარები გაისმოდა: **„აღვგავოთ პირისაგან მიწისა“, „ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს“, „შებრალება არ იქნება“, „სიკვდილი მენშევიკებს“, „მენშევიკები უნდა დავასამაროთ“** (გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №202, 5 სექტემბერი, გვ. 2), **„ქვა-ქვაზე დაედუღება, სიკვდილის ცელი აღიმართება ყველა იმ შავ-ბნელ ძალების წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შებღალვას“** (**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს „მოამბე“**. 1924, №8, აგვისტო, გვ. 2-7).

1924 წლის 2 სექტემბერს „სამართლიანობის“ მოყვარულმა საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესასწავლად სათანადო „კომპეტენტური“ კომისია შექმნა, რომელშიც შევიდნენ: **ვ. მოლოტოვი, ი. ზელენსკი, ს. ორჯონიკიძე, ე. კვირინგი და დ. მანუილსკი.** კომისიის „ობიექტურობა“ იმთავითვე განსაზღვრული იყო (სერგო ორჯონიკიძე 1921 წლიდან ამიერკავკასიასა და კონკრეტულად საქართველოში რუსული საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელი და 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა ჯალათი, კომისიაში პირველი პირის როლს ასრულებდა). 1925 წელს გამოიცა ე. კვირინგის მცირე მოცულობის ბროშურა, რომელიც ავტორის სუბიექტურ და მიკერძოებულ შეფასებებთან ერთად საგულისხმო მომენტებსაც შეიცავს. კერძოდ, ე. კვირინგი იძულებული იყო ეღიარებინა გლეხობის „მცირე“ ნაწილის მონაწილეობა აჯანყებაში, რომლის მიზეზად ავტორს შემდეგი გარემოებები მიაჩნდა: 1) „აბრეშუმის პარკის და მატყლის შესყიდვას ახორციელებდნენ კოოპერა-

ტივები, რომლებიც მასზე მონოპოლიურ ფასს აწესებდნენ (ორჯერ ნაკლები ომამდელ ფასთან შედარებით). იყო შემთხვევები, როდესაც კოოპერატივებმა მილიციაში უჩივლეს გლეხებს ნაწარმის თვითნებურად გაყიდვის გამო, ხოლო მილიციამ კი გლეხებს ნაწარმი მთლიანად ჩამოართვა"; 2) „გურიაში საქართველოს დამოუკიდებლობის დროს დიდი გასავალი ჰქონდა სიმინდს, რადგან რუსეთიდან ხორბალი არ შემოდიოდა. ახლა კი პურის ჭარბად არსებობის პირობებში სიმინდი არავის სჭირდება. გარდა ამისა შეწყდა სიმინდის საზღვარგარეთ ექსპორტირება"; 3) „ფასები მანუფაქტურულ ნაწარმზე არის ძალიან მაღალი, ხოლო გლეხურ ნაწარმზე პირიქით — ძალიან დაბალი"; 4) „ადგილებზე პასუხისმგებელ თანამდებობებზე მხოლოდ კომუნისტური პარტიის წევრები ინიშნებიან, ხოლო უპარტიოები კი არა"; 5) „სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული რელიგიის სფეროში. საქართველოს ზოგიერთ მაზრაში არცერთი ეკლესია არ დარჩა და გლეხებს მეზობელი მაზრების ეკლესიებში უხდებოდათ სიარული. ჩვენი ქართველი ამხანაგები გვარწმუნებდნენ, რომ ქართველ გლეხს ღმერთის არ სწამს და მას ეკლესია არ სჭირდება და თვით გლეხები ხურავენ ეკლესიებს. თუმცა დღეს გამოჩნდა, რომ ეს ასე ნამდვილად არ არის. მოხდა ეკლესიებთან არსებული საფლავების ხელყოფა, რომელზეც ჩვენი ამხანაგები პარკების გაშენებას აპირებდნენ". ნაშრომის ბოლო თავში ე. კვირინგი აკეთებს ასეთ დასკვნას: **„ქართული აჯანყებიდან ჩვენ გაკვეთილები უნდა ვისწავლოთ, რათა ქართული მოვლენა სხვაგანაც არ განმეორდეს"** (**Е. Квиринг.** Уроки Грузинского восстания. Издателство «Пролетарий», Харьков, 1925, стр. 25-36).

ერთი შეხედვით ე. კვირინგის დასკვნები თითქოს ობიექტურობის რაღაც დოზას შეიცავს და გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, სინამდვილეში საქმე გვაქვს ძალიან კარგად შენიღბულ და მზაკვრულ მიზანთან. ბროშუ-

რის ავტორს სურს მკითხველი დაარწმუნოს იმაში, რომ აჯანყება სოციალურ და რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენდა და მისი მიზანი არ ყოფილა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ყოველ შემთხვევაში ე. კვირინგი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ გლეხობის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა არ ყოფილა.

ე. კვირინგის და მთლიანად კომისიის მიერ სათანადო დასკვნის წარდგენის შემდეგ „რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაჭრით დაავალა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას გაეუმჯობესებინა პოლიტიკური მუშაობა, გაეფართოებინა სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, მიეღწია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის. პლენუმმა დაავალა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მიეღოთ ღონისძიებანი გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მოეწყოთ უმოკლეს ვადაში სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა. გადაწყდა აეშენებინათ მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოები ადგილობრივი ნედლეულის გადასამუშავებლად... დაისახა ღონისძიებანი ანტირელიგიურ პროპაგანდაში დაშვებული სერიოზული შეცდომისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად“ (**საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები 1883-1970.** საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971, გვ. 555-556).

სერგო ორჯონიკიძე 1924 წლის 5 სექტემბერს თბილისის საბჭოს სხდომაზე 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით აცხადებდა, რომ „რაც საქართველოში მოხდა, ბრალი მიუძღვით არა მარტო მენშევიკ-ავანტიურისტებს, არამედ უმთავრესად საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც ათასგვარი დაპირება მისცა მენშევიკებს“. ს. ორჯონიკიძე ცდი-

ლობდა დაემტკიცებინა, რომ 1924 წლის აჯანყებაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია გლეხობას. მისი თქმით, აჯანყებაში მონაწილეობდნენ: „ოფიცრები, თავად-აზნაურობა და სამღვდელოება — აი ავანტიურისტების მთავარი ძალები“. ს. ორჯონიკიძემ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია „გახრწნილთა და ლაჩართა პარტიად“ მონათლა და მოუწოდა სხდომის მონაწილეებს „გაორკეცებული, გაათკეცებული ენერგიით შეუდგეთ, ამხანაგებო, ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის მუშაობას, უფრო მეტი ყურადღებით მოვეპყრათ ჩვენი გლეხობის საჭიროებას. უფრო მეტი სიყვარულით შემოვევლოთ ჩვენს ახალგაზრდა წითელ არმიას, რომელიც ამ დღეებში შეიმოსა დაუჭკნობელი სახელით და დიდებით“.

თბილისში, ნაძალადევის კლუბში, გაკეთებულ მოხსენებაში ს. ორჯონიკიძე შეეხო 1924 წლის აჯანყების გაშუქების საკითხს უცხოურ პრესაში. ს. ორჯონიკიძე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ აჯანყების უცხოური პრესისეული გაშუქება სუბიექტური იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. მოხსენების დასასრულს ს. ორჯონიკიძემ დასვა კითხვა: „რათ დასჭირდათ „აჯანყება“? და თვითვე უპასუხა: „ჯერ ერთი, იმისთვის, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში მუდამ იყოს ომი, რათა ვერ შევსძლოთ აღმშენებლობა, ვერ ავაშენოთ სახელმწიფო, ვერ წავწიოთ მუშების და გლეხების მდგომარეობა წინ, რომ შემდეგ უთხრან მუშებს: აი თქვენი საბჭოთა სახელმწიფო, რა ყრია შიგ, ყველა მშიერი და მწყურვალე არისო“ (**ს. ორჯონიკიძე**. მენშევიკების ავანტიურა საქართველოში. გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორის გამოცემა, 1924, გვ. 10-37).

მიხეილ კახიანი აცხადებდა: „საქმის ვითარების დეტალურად გაცნობის შემდეგ, არავითარი ეჭვი არ შეგვიძლია ვიქონიოთ იმაში, რომ შეიარაღებული გამოსვლები შედეგად მოჰყვა არა ჩვენი პარტიის პოლიტიკას და ისინი გამოწვეულნი იყვნენ არა მშრომელი ხალხის მასიური უკმაყოფილე-

ბით ჩვენში, არამედ ნაკარნახევი და მოწყობილი იყვნენ იმპერიალისტებისა და მათი დამხმარე 2 ინტერნაციონალის დირექტივით და ბრძანებით". თუმცა მ. კახიანი იძულებულია აღიაროს, რომ 1924 წლის აჯანყება მასშტაბური იყო (მ. კახიანი. მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები. გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი", თბილისი, 1924, გვ. 3-9). მ. კახიანის აზრით 1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზები შემდეგში მდგომარეობდა: საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება ქართულ სოფელს, სადაც რევოლუციური წესით გატარდა მიწის რეფორმა, რომელმაც გლეხები მიწით ვერ უზრუნველყო; რაიონებად დანაწილებამ არ გამოიღო სასურველი შედეგი; ვერ მოხერხდა ადგილებზე საბჭოთა აპარატის გლეხებთან დაახლოება; აბრეშუმის პარკის ჩაბარების დროს გლეხს ფულის მაგივრად ქვითარს აძლევდნენ; ანტირელიგიური კამპანიის დროს უგულებელყოფდნენ მოსახლეობის ინტერესებს; გადასახადები ნაწილდებოდა არათანაბრად; მოსახლეობას სახლებს იძულებით აზღვევინებდნენ; ქართველი ინტელიგენცია ვერ ეგუებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ ფედერაციაში გაერთიანებას და საქართველოში მყოფი რუსეთის წითელი არმიის ყოფნას.

1924 წლის 8 სექტემბერს თბილისში, არსენალის რაიონში, გაკეთებულ მოხსენებაში მიხეილ კახიანმა დასვა კითხვა: 1924 წლის აჯანყება იყო აჯანყება თუ ავანტიურა? მ. კახიანის აზრით „ეს აჯანყება არ ყოფილა, მტკიცდება იმით, რომ მენშევიკებს შეიარაღებული აჯანყებისათვის არ ჰქონიათ საჭირო პოლიტიკური წინასწარი პირობები". მ. კახიანი სიამაყით აცხადებდა, რომ 1924 წლის აჯანყების დროს მუშათა კლასი „იდგა თავის პოზიციებზე — მუშათა ხელისუფლების სადარაჯოზე". ანალოგიურად აფასებდა მ. კახიანი გლეხების დამოკიდებულებას აჯანყებისადმი. საბოლოოდ, მ. კახიანი აკეთებს ასეთ დასკვნას: „ამ ავანტიურამ საბოლო-

ოდ გაანადგურა მენშევიკური პარტია“ (**მ. კახიანი**. მენშევიკები სამუშაოზე. გამომცემლობა „წითელი წიგნი“, თბილისი, 1924, გვ. 17-30).

კომუნისტი **ლევან ღოღობერიძე** თავის ნაშრომში „ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა“ ქართულ ემიგრაციას ასე ახასიათებს: „ქართული ემიგრაციის უბრალო მონაწილენი და ბელადები, რომლებიც შეკრებილი არიან პარიზში და თავს უწოდებენ „მთავრობას“, „პარტიულ კომიტეტს“ და სხვ. წარმოადგენენ ნამდვილ პოლიტიკურ შარლატანების საზოგადოებას, რომლებიც პირადათ გახელებული არიან ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ყოველგვარ მორალურ და იდეურ წონას კი მოკლებული არიან.

ესენი არიან წაგებული მოთამაშენი, რომელნიც ხელს აწერენ ყოველგვარ თამასუქებს და აგირავებენ თავის ტუალეტს საეჭვო ბედნიერების, შესაძლებელ, შემთხვევით მოგების იმედით“ (**ლევან ღოღობერიძე**. ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა. გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი, 1927, გვ. 5).

ბესარიონ ლომინაძე რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი საიდუმლოდ გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „1924 წლის აჯანყებაში ათასობით გლეხი მონაწილეობდა“ (ბ. ლომინაძის პირადი წერილიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანისადმი (1924 წ. შემოდგომა).- ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1989, №3, გვ. 38-40) ბ. ლომინაძე მიხეილ კახიანისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღიარებდა „რომ მენშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა მნიშვნელოვანწილად გარდაუვალი იყო“ (ბ. ლომინაძის პირადი წერილიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანისადმი (1924 წ. შემოდგომა).– ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1989, №3, გვ. 42).

კ. სულაქველიძე 1924 წლის აჯანყებას ავანტიურას უწოდებს და აცხადებს: „მთელი პასუხისმგებლობა იმ სრულიად უაზროდ და ბეცურად დანთხეულ ქართველი ხალხის სისხლში, რომელიც 24 წლის აგვისტოში მოხდა, თავს ადევს იმ პარტიულ კომიტეტში შემავალ პარტიებს, რომლებმაც ეს აჯანყება მოაწყვეს, და განსაკუთრებით მენშევიკურ პარტიას. სხვა დამნაშავე აქ არ არის“ (**კ. სულაქველიძე**. რა მოხდა? (ვინ მოაწყო და როგორ აგვისტოს აჯანყება). სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1927, გვ. 36-37).

ამდენად, იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფი საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიდგომა და შეფასება 1924 წლის აჯანყებისადმი იმთავითვე განსაზღვრული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ისტორიკოსებს უნდა გაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლების თვალსაზრისი და ერთგვარი გამართლება უნდა მოეძებნათ აჯანყების დამარცხების შემდეგ მთელ ქვეყანაში განხორციელებული უმკაცრესი რეპრესიებისათვის. ამასთან, ამ შეფასებას უნდა მოეხდინა საქართველოს ემიგრანტული მთავრობის, საქართველოში არსებული ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების, აჯანყების სამხედრო და პოლიტიკური ხელძღვანელობის დისკრედიტაცია. ყოველივე ამის ფონზე საბჭოთა ხელისუფლებას სათანადო „არგუმენტების“ მოშველიებით უნდა დაემტკიცებინა, რომ ევროპის სახელმწიფოები აჯანყების დასახმარებლად ინტერვენციას გეგმავდნენ.

ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ 1924 წლის აჯანყებას შეეხო **კლიმენტი შელია** იყო. ავტორი საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად აჯანყებას **„ავანტურას“** უწოდებს, რომელიც მისი აზრით „მოწყობილ იქნა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების მითითების თანახმად, მათი ფულითა და გეგმებით. მენშევიკების ავანტურას ხალხმა მხარი არ დაუჭირა და ზურგი შეაქცია მას...“ (**კლიმენტი შელია**. საქართვე-

ლოს კომუნისტების ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის (1921-1926 წ.წ.). აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა, სოხუმი, 1957, გვ. 149).

ისტორიკოსი **იური კაჭარავა** აგრძელებს საბჭოთა ხელისუფლების შეკვეთის შესრულების პოლიტიკას და წერს: „საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თითქმის ხელუხლებელი დარჩა კონტრ-რევოლუციის რეზერვები. რევოლუციურმა ხელისუფლებამ ამნისტირებულად გამოაცხადა ყველა ანტისაბჭოთა პარტია. მათ შორის, მარტო მენშევიკები 80 ათასამდე წევრს ითვლიდნენ თავიანთ რიგებში. ასევე მრავალრიცხოვანი იყო რეაქციული ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის პოლიტიკური პარტია — ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მათ შემდეგ, თავიანთი პოლიტიკური წონისა და რაოდენობრივი შემადგენლობის მიხედვით, მიდიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვ." ი. კაჭარავას აზრით „მენშევიკების სისხლიან ავანტიურას აღშფოთებით შეხვდა საქართველოს მშრომელი ხალხი... გამოსვლამ დაამტკიცა, რომ მენშევიკებს არ ჰქონდათ არავითარი ნიადაგი და დასაყრდენი არც მუშათა კლასში, არც გლეხობაში და აგრეთვე არც ქართველი ინტელიგენციის რიგებში..." (**ი. კაჭარავა.** საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1958, გვ. 268; 304). 1924 წლის აჯანყების მიზეზები იური კაჭარავას გამოკვლევაში ე. კვირინგის ზემოთ ხსენებული ბროშურის მიხედვითაა წარმოდგენილი. ავტორი პრინციპულად არ აღიარებს 1924 წლის აჯანყების ეროვნულ ხასიათს და მის საბოლოო მიზნად არ მიიჩნევს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ი. კაჭარავა ცდილობს ქართული ეროვნული მოძრაობა სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებულ უკმაყოფილო გლეხთა სოციალუ-

რი მოძრაობით ჩაანაცვლოს. ი. კაჭარავა მიუთითებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომელიც გამოიყენეს ანტისაბჭოთა პარტიებმა. ასეთ შეცდომებად მას მიაჩნია: 1) სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტე. იგი გამოიხატა, უპირველეს ყოვლისა, სოფლად პარტიული ორგანიზაციების ნელ ზრდაში; 2) სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სუსტი მუშაობა. მათ არ ჰყავდათ თავის გარშემო მტკიცედ დარაზმული უპარტიო გლეხთა აქტივი, უპარტიო გლეხობა ნაკლებად იყო ჩაბმული საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში; 3) სოფლად ადგილი ჰქონდა საბჭოთა და პარტიული ორგანოების ფუნქციათა ხშირ აღრევას. იგი გამოიხატა სოფლის ეკონომიკურ ცხოვრებაში პარტიული ორგანოების უხეშად ჩარევაში; 4) სოფლად ადგილი ჰქონდა ზოგიერთი ეკონომიკური ხასიათის სიძნელეს. ჯერ ერთი, მიწის რეფორმის დროს საშუალო და უღარიბეს გლეხობას მიწის საერთო სიმცირის გამო, დადგენილი ნორმის მიწა ვერ მისცეს. მაშინ, როდესაც კულაკურ და შეძლებულ გლეხურ მეურნეობებს, მიწის ჩამორთმევის შემდეგ, დადგენილი ნორმა მაინც შერჩათ, შერჩათ მათ აგრეთვე უკეთესი სამეურნეო ინვენტარი და ცოცხალი გამწევი ძალა, ყოველივე ეს ქმნიდა სოფლად პირობებს კულაკობის გაჯანსაღების შემდგომი ზრდისათვის; 5) პარტიის ეროვნული პოლიტიკის გატარების დროს ადგილი ჰქონდა ზოგიერთ დამახინჯებას. ჯერ ერთი, არასაკმარისი პოლიტიკური მუშაობის შედეგად მასებს არ განემარტა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში მომხდარი ცვლილებების პოლიტიკური მნიშვნელობა. ამის გამო წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციასა და კულაკურ გლეხობაში ერთგვარი გასავალი ჰქონდა მენშევიკურ ვერსიას „ისტორიული საქართველოს დაქუცმაცებისა და დაშლის“ შესახებ. მეორე, საერთოდ სუსტად წარმოებდა მასებში კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის, მისი თეორიისა და

პროგრამის პოპულარიზაცია, რის გამოც წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციასა და გლეხობაში ერთგვარი გასავალი ჰქონდა ნაციონალისტური პარტიების ვერსიას „ბოლშევიკების ეროვნული ნიჰილიზმის“ შესახებ (**ი. კაჭარავა.** საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1958, გვ. 308-314).

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეშვიდე ტომში (რედაქტორი ი. კაჭარავა) 1924 წლის აჯანყებაზე მიძღვნილი თავის ავტორია ი. კაჭარავა, რომელმაც უცვლელად გაიმეორა მის მიერ ადრე გამოცემულ ნაშრომში (იხ.: **ი. კაჭარავა.** საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1958) გამოთქმული აზრები (**საქართველოს ისტორიის ნარკვევები.** ტ. VII. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 190-209).

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში“, რომელიც საბჭოთა ისტორიკოსთა განმაზოგადებელ ნაშრომს წარმოადგენს, აღნიშნულია: „კონტრრევოლუციურ ბრძოლას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხელმძღვანელობდნენ ქართველ მენშევიკთა, ნაციონალ-დემოკრატთა, სოციალ-ფედერალისტთა მეთაურები, რომლებმაც საზღვარგარეთ შეაფარეს თავი და იქ შექმნეს ეგრეთ წოდებული „ჟორდანიას ეროვნული მთავრობა“. სარგებლობდნენ რა ინგლისელ-ამერიკელ-ფრანგ იმპერიალისტთა და II ინტერნაციონალის ლიდერთა მუდმივი მხარდაჭერითა და დახმარებით, მათ გააქტიურეს კონტრრევოლუციური მენშევიკური იატაკქვეშეთის საქმიანობა საქართველოში და ამზადებდნენ აშკარა გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“. ამ ნაშრომში 1924 წლის აჯანყების მონაწილეებად დასახელებულია „თავადები და აზნაურები, ყოფილი ოფიცრები და კულაკები, ვაჭრები და

მღვდლები, სისხლის სამართლის დამნაშავენი... მენშევიკებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების განზრახვა — აეჯანყებინათ ქართველი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩაიფუშა; იგი გადაიქცა კონტრრევოლუციურ პუტჩად, რომელსაც ბუტაფორული ხასიათი ჰქონდა" (**საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის. ნარკვევები 1883-1970.** საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971, გვ. 550-555).

§2. ემიგრანტული ისტორიოგრაფია

ემიგრანტული ისტორიოგრაფია 1924 წლის აჯანყების შეფასებისა და წარმოჩენის თვალსაზრისით, ცხადია, საბჭოთა ისტორიოგრაფიისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრანტულ ისტორიოგრაფიაშიც გარკვეულწილად აისახა ის წინააღმდეგობა, რაც არსებობდა საერთოდ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში (სოციალ-დემოკრატიულ და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებს შორის ძველი დაპირისპირება 1924 წლის აჯანყების დამარცხებამ კიდევ უფრო გაამწვავა).

ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა: **ნოე ჟორდანიამ, ნოე რამიშვილმა, სოლომონ ზალდასტანიშვილმა, ალექსანდრე სულხანიშვილმა, დავით ვაჩნაძემ, მიხეილ ლაშქარაშვილმა, ალექსანდრე კარგარეთელმა, სიმონ გოგიბერიძემ, რაჟდენ არსენიშვილმა, ვალიკო ჩუბინიძემ, შალვა ამირეჯიბმა, ალექსანდრე ასათიანმა** და სხვებმა თავიანთ ნაშრომებში მიმოიხილეს 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენები და ის სისხლიანი რეპრესიები, რომელიც თავს დაატეხა საბჭოთა რუსეთმა საქართველოს. ავტორთა აზრით, მშვიდობიანი ბრძოლის ყველა მეთოდის და საშუა-

ლების (დემონსტრაციები, მანიფესტაციები და სხვ.) ამოწურვის შემდეგ ლოგიკურად დადგა დღის წესრიგში საყოველთაო და მასობრივი ამბოხების გარდუვალობის საკითხი. ნაშრომებში გატარებულია ის აზრი, რომ აჯანყებულები გარკვეულწილად წაახალისა საერთაშორისო ძალების მხარდაჭერის მოლოდინმა, რაც საბოლოო ჯამში არარეალური აღმოჩნდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა და საქართველოს ემიგრანტული მთავრობის თავმჯდომარემ, **ნოე ჟორდანიამ,** რამდენიმე წერილი მიუძღვნა 1924 წლის აჯანყებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბროშურა **„რა მოხდა“**. ნ. ჟორდანია გამოყოფს აჯანყების დადებით და უარყოფით მხარეებს. აჯანყების დადებით მხარედ მას მიაჩნია ის, რომ „შიგნით მან გააერთიანა მთელი ერი“, ხოლო გარეთ კი „დასვა ჩვენი საკითხი პრაქტიკული პოლიტიკის დღის წესრიგში“. ამასთან, ნოე ჟორდანიას აზრით ამ აჯანყების განსაკუთრებულობის მაჩვენებელია ის, რომ შესაძლებელი გახდა ერთი და იმავე დროს კონსპირაციულად მოწყობილიყო აჯანყების კერები საქართველოს სხვადასხვა მაზრებში და „მოძრაობაში ჩაება მასები... ის არის ერთ და იმავე დროს აჯანყებაც და რევოლუციაც. აქ შეერთდა პოლიტიკური ორგანიზაცია და ერის სტიქია“. 1924 წლის აჯანყების უარყოფით მხარედ ნ. ჟორდანიას მიაჩნია ის, რომ „მისი სიმძიმის ცენტრი შეიარაღებულ გამოსვლებიდან გადავიდა უიარაღოთა გამოსვლებში, რევოლუციურ მოძრაობაში. აჯანყება დაფარა რევოლუციამ და მით ის დაასუსტა“. „საქართველოს აჯანყებამ ინარმოვა სრულიად წინააღმდეგ აჯანყების ძირითადი კანონისა. აქ ხალხის რევოლუციური გამოსვლა სავსებით ფარავს სამხედრო მოქმედებას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. მოძრაობას მეთაურობს უიარაღო ხალხი, შეიარაღებულნი გამონაკლისია. აღმოსავლეთში მოქმედებენ უმთავრესათ შეიარაღებუ-

ლი რაზმები, იჩენენ თავდასხმის ინიციატივას, მაგრამ მცირე რიცხოვნობის გამო მოწინააღმდეგეთ ვერ უმაგრდებიან. მოძრაობა აქ უფრო გავს აჯანყებას, ვინემ რევოლუციურ მღელვარებას". ამდენად, ნ. ჟორდანიას აზრით აჯანყების ზემოხსენებული უარყოფითი მომენტი გახდა იმის მიზეზი, რომ დასავლეთ საქართველოში აჯანყებამ მიიღო „ხალხური", ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი „რაზმული" ხასიათი.

ნ. ჟორდანია ეხება ასევე აჯანყების ბოლშევიკურ შეფასებას და აღნიშნავს, რომ „აჯანყების საზომი არის არა გამარჯვება-დამარცხება, არამედ სულ სხვა რამ, რასაც პირდაპირი კავშირი არ აქვს ამ დაუყონებლივ შედეგებთან. აჯანყების ერთათ-ერთი საზომია მისი პოლიტიკური მიზანი, მისი დროშა, მისი იდეოლოგია. მომხრე ამ იდეოლოგიისა მომხრეა მისთვის გაღებული მსხვერპლისაც, მოწინააღმდეგე ამ იდეოლოგიისა — მოწინააღმდეგეა აჯანყებისაც..." (**ნ. ჟორდანია**. რა მოხდა. პარიზი, 1925, გვ. 4-15).

მცირე ზომის წერილში **„დიდი თარიღი"** ნოე ჟორდანია აცხადებს, რომ „ქართველმა ერმა 1924 წ. დაამტკიცა, რომ მას არ შეუძლია შეურიგდეს მონობას, რომ თავისუფლების მოსაპოვებლათ არავითარ მსხვერპლს არ ერიდება, ვინაიდან „ვარდი უეკლოთ არავის მოუკრეფია" (**ნოე ჟორდანია**. რჩეული ნაწერები. გამომცემლობა „საქართველო", თბილისი, 1990, გვ. 61).

ნოე რამიშვილი თავის მცირე მოცულობის ბროშურაში „საქართველო და რუსეთი" ეხება 1924 წლის აჯანყებას და აცხადებს, რომ „აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში 1924 წ. ქართველმა ერმა იარაღით ხელში სცადა თავისუფლების მოპოება, მაგრამ ამაოთ. აჯანყება დამარცხდა, რუსის ლაშქარმა სძლია ერთსულოვნათ ამოძრავებულ ქართველობას. და აი მტერმა ააოხრა საქართველო და გაჟლიტა მისი საუკეთესო შვილები. მთელი ქართველი ერი ძაძებში გახვეულია.

მტერი არ ერიდება არავითარ ძალდატანებას, რომ საქართველო სისხლის მორევში ჩაახრჩოს და ტერორით და ათასნაირი ხრიკებით ქართველი ერი სულიერათ გასტეხოს. ამაო ცდაა. ქართველი ხალხი გამოწრთობილია ხანგრძლივ ეროვნულსა და რევოლიუციონურ ბრძოლაში. მან კარგად იცის დიდებული პოეტის სიტყვები: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“ (**ნოე რამიშვილი.** საქართველო და რუსეთი. პარიზი, 1924, გვ. 54-55).

სიმონ გოგიბერიძის ნაშრომში „ბრძოლა სამშობლოსათვის“ მოცემულია ანტიბოლშევიკური მოძრაობა გურიაში 1922-1924 წლებში, თუმცა ავტორი იქ მიმდინარე მოვლენებს ერთიანი მოძრაობის ასპექტში განიხილავს. ს. გოგიბერიძე მოძრაობის ორგანიზაციულ მხარესთან დაკავშირებით კი მართებულად შენიშნავს: „დღეს კი ვინც ამ მოძრაობას იცნობს, მან იცის, რომ ამ მხრივ ჩვენ არაფერი გვაქვს საძებარი სხვა ქვეყნების განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში“ (**ს. გოგიბერიძე.** ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 38).

სოლომონ ზალდასტანიშვილის ნაშრომში (1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1989) მოცემულია აჯანყების მომზადება-მოწყობის, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ყველაზე აქტიური წევრების როლისა და მოღვაწეობის საკმაოდ მკაფიო სურათი. ავტორი, როგორც აჯანყების აქტიური მონაწილე, ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემისას თავისუფალია ყოველგვარი ტენდენციურობისაგან და ამის ფონზე მკითხველი საზოგადოების წინაშე წარმოჩნდება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მიუკერძოებელი მსაჯული მის თანამედროვეთა შორის 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით.

ვალიკო ჩუბინიძე თავის ნაშრომში (მოგონება. წიგნი მეორე. პარიზი, 1953) დეტალურად აღწერს ჭიათურაში 1924 წლის აჯანყებისათვის მზადებას, აჯანყების მიმდინარეობას

და დამარცხებას. ავტორი უშუალო მონაწილეა აღწერილი ამბების, ამიტომაც ნაშრომს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს 1924 წლის აჯანყების შესწავლის თვალსაზრისით.

პარიზში 1924 წლის აჯანყების მეთერთმეტე წლისთავზე წარმოთქმულ სიტყვაში **შალვა ამირეჯიბმა** 1924 წლის აჯანყება ასე დაახასიათა: „აგვისტოს აჯანყება იყო დაჩაგრული ერის ამხედრება მჩაგვრელთა წინააღმდეგ, საქართველოსი — რუსეთის“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №18, 4 მაისი, გვ. 7). ბერლინის კოლონიაში 1940 წელს წაკითხულ მოხსენებაში შალვა ამირეჯიბმა ისაუბრა 1924 წლის აჯანყების მნიშვნელობაზე და განაცხადა: „აგვისტოს აჯანყებამ, მართალია ახალი დამოუკიდებელი საქართველო ვერ შვა, იგი დამარცხდა, მაგრამ მან შვა ახალი სულიერი საქართველო“ (**შალვა ამირეჯიბი**. წიგნი მეორე. გამომცემლობა „დიოგენე“ და „არსი“, თბილისი, 1998, გვ. 149-150).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი **ალექსანდრე სულხანიშვილი** 1924 წლის აჯანყების დამარცხების მთავარ მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებს: 1) ვ. ჯუღელის და სხვათა ჩამოსვლა საზღვარგარეთიდან, რამაც გააპირობა მთავრობის ყურადღების კიდევ უფრო გამძაფრება; 2) ნაადრევი გამოსვლა ჭიათურაში; 3) აჯანყებულთა მიერ თბილისის დატოვება, რამაც მთავარსარდალი ფაქტობრივად უფუნქციოდ აქცია (**ა. სულხანიშვილი**. რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე. სან-ფრანცისკო, 1985, გვ. 26).

ა. სულხანიშვილი მეორე ნაშრომში **„ჩემი პასუხი“ ჟორდანიას მემკვიდრეებს“** ჭიათურის ერთი დღით ადრე გამოსვლის მიზეზად ასახელებს სოციალ-დემოკრატ შალვა ბერიშვილის და მისი თანამოაზრეების მიერ ჭიათურის მანგანუმის წარმოების მუშათა კასის ხელში ჩაგდების სურვილს (**ა. სულხანიშვილი**. „ჩემი პასუხი“ ჟორდანიას მემკვიდრეებს. სან-ფრანცისკო, 1987, გვ. 9-10).

1924 წლის აჯანყებას კრიტიკულად აფასებს სოციალ-დემოკრატი **ირაკლი წერეთელი**. მისი აზრით, სამხედრო მეთოდებით ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გაუმართლებელი და უდროო იყო, რამაც დიდძალი მსხვერპლი გამოიწვია. ი. წერეთლის აზრით, როგორც „მეგობარი სოციალისტები, ისე ბურჟუაზიის... მოღვაწენი... ყოველთვის გვაფრთხილებდენ, ევროპის დახმარებაზე იმედებს ნუ აგებთო..." და ეს გაფრთხილება სამწუხაროდ სწორი აღმოჩნდა (**ირ. წერეთელი**. ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი. პარიზი, 1927, გვ. 20-27).

საბჭოთა სპეცსამსახურებთან ალიანსში მყოფი ეროვნულ-დემოკრატი **გრიგოლ ვეშაპელი** 1924 წლის აჯანყებას „საშინელ ავანტიურას" უწოდებდა და ქართველ ემიგრანტებს საბჭოთა საქართველოში დაბრუნებისაკენ მოუწოდებდა. მისი თქმით „თუ ბათომიდან წამოსვლისას ჩვენ გვაშინებდა ის კომუნისტური დიკტატურა, რომლის ღერბი — ჩაქუჩი და ნამგალია — დღეს ევროპაში, სამი წლის ხეტიალის შემდეგ, ჩვენ მშვიდობიანად შევხვდებით, ღერბი რომ დაგვხვდება შინ" (**გ. ვეშაპელი**. აჯანყების შემდეგ. პარიზი, 1925, გვ. 18-19).

§3. დასავლური ისტორიოგრაფია

ანრი ბარბიუსი, ვალტერ კოლარცი (საბჭოთა კავშირის ეროვნულ ურთიერთობათა ისტორიის ექსპერტი), **ლუი ლეფური** (პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი), **ჰიუ სეტონ-უოტსონი** (ლონდონის უნივერსიტეტის სლავური და აღმოსავლეთ ევროპის სწავლების სკოლის რუსეთის ისტორიის პროფესორი) და **უესტვუდი** (ინგლისელი ავტორი) თვლიან, რომ 1924 წლის აჯანყება იყო „მოსკოვის წინააღმდეგ საბჭოთა რესპუბლიკების ოპოზიცი-

ის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გამოხატულება, რომ იგი საბჭოების წინააღმდეგ არარუსი მოსახლეობის ყველაზე დიდი აჯანყება იყო, რომელიც გამოწვეული იყო საბჭოთა ხელისუფლების არაპოპულარობით, რუსების მიერ საქართველოს ოკუპაციით და სხვ". ინგლისელი **ჯ. გრეი** მიიჩნევს, რომ „1924 წლის ზაფხულში საქართველოში მომხდარი გლეხთა აჯანყება საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმის გაფრთხილებად უნდა ქცეულიყო, რომ მსგავსი გამოსვლები სხვაგანაც იყო შესაძლებელი, რადგან საშუალო და უღარიბეს გლეხობას იმედი არ ჰქონდა, რომ მიღებული მიწები შერჩებოდათ, მას მთავრობა არ ეხმარებოდა სამრეწველო საქონლით, მასზე დაწესებული იყო მაღალი ფასები, მათ პროდუქტზე კი, პირიქით — დაბალი. გლეხებს მეურნეობაში არც კაპიტალის დაბანდება შეეძლოთ და სხვ." 1924 წლის აჯანყებას ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ გლეხთა დიდ აჯანყებად მიიჩნევს პროფესორი **ჰიუ სეტონ-უოტსონი**. აჯანყების გლეხურ ხასიათზე მსჯელობენ აგრეთვე ამერიკელი **როჯერ ნ. ბოლდუინი** და ინგლისელი სოვეტოლოგი, კოლუმბიის უნივერსიტეტის რუსული ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ლონდონის ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერების სკოლის საბჭოთა ურთიერთობების განყოფილების წევრი **რობერტ კონქვესტი**. საქართველოში მომხდარი აჯანყება ნაწილობრივ გლეხურ აჯანყებად მიაჩნია მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორს **რ. გ. სიუნს**. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორს **ედგარ ჰალეთ კარს** მიაჩნია, რომ აჯანყება ატარებდა როგორც სოციალურ ისე ეროვნულ ხასიათს. 1924 წლის აჯანყების მიზანი **ჯ. კოულის, რიჩარდ პაიპის** (ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი) და **დევიდ მარშალ ლენგის** (ქართველოლოგი) აზრით იყო დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა. ამერიკელი ავტორები **მაიკლ საიერსი და ალბერტ კანი** 1924 წლის აჯანყების უმთავრეს მიზეზად ასახელებენ

დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ნავთობის ტრესტის — **„Royal Dutch Shell“**-ის უფროსის **სერ ჰენრი ვილჰელმ ავგუსტ დეტერდინგის** დაინტერესებას საბჭოთა კავკასიის ნავთობის საბადოებით. ამიტომაც, ავტორთა აზრით, „შემუშავებულ იქნა საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთში კონტრრევოლუციური ძალებისა და სავინკოვის ტერორისტული ჯგუფის ერთობლივ მოქმედებას. თუკი კონტრრევოლუციური ძალები წარმატებას მოიპოვებდნენ, იმავდროულად დაიწყებოდა სამხედრო აქციები, ლონდონი და პარიზი გააუქმებდნენ საბჭოთა მთავრობას და ბორის სავინკოვს რუსეთის დიქტატორად გამოაცხადებდნენ, იუგოსლავიასა და რუმინეთში დისლოცირებული მოხალისეთა არმიები გადალახავდნენ საბჭოთა საზღვარს, პოლონეთი შეიჭრებოდა კიევში, ფინეთი ალყას შემოარტყამდა ლენინგრადს, კავკასიაში კი — ქართველ მენშევიკთა მომხრეები ჟორდანიას მეთაურობით მოაწყობდნენ აჯანყებას (ნოე ჟორდანიასათვის, როგორც კომენტარი იქვე გვაუწყებს, საფრანგეთის მთავრობამ 400 ათ. ფრანკი სუბსიდია გამოჰყო — ა. ა.). კავკასია უნდა გამოჰყოფოდა საბჭოთა ქვეყანას და ინგლისისა და საფრანგეთის მფარველობით შექმნილიყო ამიერკავკასიის ფედერაცია, ნავთობის საბადოები და ხაზები დაბრუნებოდა ყოფილ პატრონებსა და უცხოელ პარტნიორებს“. ავტორები **ლეო აფრიკი** და **ლუი კოქე** ნაშრომში **„ოქროს ვერძის მემკვიდრეები“** უსირცხვილო მონაჭორს უწოდებენ 1924 წლის აჯანყების მიზეზად ბაქოს ნავთობის საბადოებისა და სახელმწიფოს სამრეწველო სარეწავების ხელში ჩაგდების მცდელობას. მათი აზრით, ზემოთ მოყვანილი მოსაზრების ინიციატორი რუსეთის საგანგებო კომისია იყო (**არჩილ ათანელაშვილი**. საქართველოს 1924 წლის აჯანყება უცხოელ მკვლევართა შრომებში.— ჟურნალი „საისტორიო ძიებანი“. III. წელიწდეული. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2000, გვ. 159-164).

როგორც ვხედავთ, დასავლური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს არ უწარმოებიათ სათანადო მეცნიერული კვლევა-ძიება, არ შეუსწავლიათ თბილისისა და მოსკოვის არქივებში დაცული პირველხარისხოვანი მასალა (ეს იმხანად შეუძლებელი იყო). ყოველივე ამან გარკვეული დაღი დაასვა დასავლურ ისტორიოგრაფიას. ზოგიერთმა ავტორმა თითქმის უცვლელად გაიმეორა ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა პოლიტიკური ლიდერებისა და საბჭოთა ისტორიკოსების მიერ წამოყენებული მცდარი დასკვნები და შეფასებები (აჯანყების გლეხურ ანუ სოციალურ ხასიათზე მინიშნება და სხვ.). ამასთან ერთად, დასავლურმა ისტორიოგრაფიამ სავსებით გარკვევით მიანიშნა ზოგიერთ საყურადღებო მოვლენაზე (ნავთობის მომპოვებელი კომპანიების როლი და სხვ.).

ერიხ ობსტი, რომელიც 1924 წლის შემოდგომაზე იმყოფებოდა საქართველოში, 1924 წლის აჯანყებას შემდეგნაირად ახასიათებს: „რაც ჩვენ საქართველოში ვნახეთ და გავიგონეთ, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ 1924 წელს... მომხდარი აჯანყება იყო უმთავრესად ეროვნული მოძრაობა და როგორც ასეთი, არა მარტო საბჭოთა სისტემის, არამედ სწორედ რომ მოსკოვური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული" (**ერიხ ობსტი.** საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი.— ჟურნალი „ახალი დროება", 1999, №4, ივნისი-ივლისი, გვ. 35).

§4. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია

XX საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარი კარდინალური ცვლილებების შემდეგ 1924 წლის აჯანყების შესწავლა-შეფასების საკითხი თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა — მოიხსნა ცენზურა, გაიხსნა არქივები, გაფართოვდა წყაროთმცოდნეობითი ბაზა და შესაბამისად შე-

იქმნა ხელსაყრელი პირობები დიდი ხნის განმავლობაში არქივებში დაცული უნიკალური დოკუმენტების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანისათვის.

რევაზ გრძელიძე თავის ნაშრომში აცხადებდა: „1924 წლის აჯანყების უმთავრესი მიზეზი და მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და მისი აღდგენა. ამაშია ამ ისტორიული ფაქტის მიზან-შედეგობითი კავშირი, თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლის ტრაგიზმი და ბედუკუღმართობა". რ. გრძელიძის აზრით, 1924 წლის აჯანყებაში „ქართველი ხალხი მონაწილეობდა განურჩევლად წოდებისა, პარტიულობისა და რწმენისა, მის ბირთვს შეადგენდა ინტელიგენცია, გლეხობა, ყველა ფენის ახალგაზრდობა" (**რევაზ გრძელიძე**. 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1992, გვ. 5-30).

მკვლევარ **ნიკოლოზ ბენდელიანის** აზრით 1924 წლის აჯანყება გამოიწვია „საქართველოში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მთელმა რიგმა მიზეზებმა, რომელთა ფესვები უნდა ვეძებოთ აგრარული და ეროვნული პოლიტიკის, რელიგიისა და ეკლესიის სფეროებში პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ დაშვებულ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დეფორმაციებში. მნიშვნელოვანწილად აჯანყება გამოიწვია მუშაობის იმ ავტორიტარულმა სტილმა და მეთოდებმა, რომლებსაც აღნიშნული ორგანოები ახორციელებდნენ სოფლად, აგრეთვე ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და სუვერენული უფლებების შელახვამ" (**ნიკოლოზ ბენდელიანი.** ისტორიოგრაფია საქართველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე. გამომცემლობა „სარანგი", ქუთაისი, 1993, გვ. 57).

ფარნაოზ ლომაშვილის აზრით 1924 წლის აჯანყება ჭეშმარიტად სახალხო აჯანყება იყო, „მან ნათელყო, რომ ქართველი ხალხი თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის

დაკარგვას არასოდეს არ შეურიგდებოდა და თავისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოლებდა" (**ფარნაოზ ლომაშვილი.** საქართველოს ისტორია. XI კლასის სახელმძღვანელო. 1993, გვ. 108).

1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზი **ვალერი ბენიძის** მიხედვით იყო: „1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოებაში წითელი არმიის ჩარევა, ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლა და ცენტრალიზაციის პროცესი. ე.წ. „კლასობრივი მტრების" განუკითხავი დევნა, მთავრობის არასწორი სამეურნეო პოლიტიკა და ოპოზიციური პარტიების აღნიშნულ ფაქტებზე აგებული დაჟინებითი პროპაგანდა დემოკრატიულ ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობის შესახებ" (**ვ. ბენიძე**. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. გამომცემლობა „სამშობლო", თბილისი, 1991, გვ. 30).

აჯანყების საერთო-სახალხო, ეროვნულ ხასიათზე მიუთითებს **ნესტან კირთაძე** ნაშრომში „1924 წლის აჯანყება საქართველოში". მისი აზრით „აჯანყება საქართველოში სწორედ ქართული სუვერენობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით წარიმართა" (**ნესტან კირთაძე**. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთაისი, 1996, გვ. 8); ნ. კირთაძემ მოგვიანებით გამოცემულ ნაშრომებში „რა მოხდა?!" და „კაენ, სად არის ძმა შენი?!" სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მრავალი, მანამდე უცნობი დოკუმენტი, რითაც მნიშვნელოვნად გააფართოვა 1924 წლის აჯანყების წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

გოგი ცხოვრებაძის ნაშრომი „ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში" ეძღვნება ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და, ზოგადად, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის როლს და მიზანმიმართულ საქმიანობას ქართული საკითხის დასმისათვის ევროპაში, ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთიანი ფრონ-

ტისათვის ბრძოლის საკითხებს, მის მოლვაწეობას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 1921-1925 წლებში. ავტორის აზრით, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ ამ ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანეს როგორც ქვეყნის დიპლომატიური ხსნის, ისე შეიარაღებული ბრძოლის მთელ ნარეკლიან გზაზე და დამარცხების სატკივარი მთელ ქართველ ხალხთან ერთად გაიზიარეს". გ. ცხოვრებაძის აზრით, 1924 წლის აჯანყება „იყო არა ავანტიურა, როგორც ამას საბჭოთა მოღვაწენი და ისტორიოგრაფია წარმოგვიდგენს, არამედ თვითონ საოკუპაციო რეჟიმი ცდილობდა თავისუფლებისათვის მებრძოლნი ავანტიურაში ჩაეთრია, მაგრამ დამოუკიდებლობის კომიტეტისა და მისი ყველა რგოლის მოქმედება გეგმაზომიერად ვითარდებოდა და იგი ნაკლებად ემორჩილებოდა შინაგან თუ გარეგან ფაქტორებს, თუმცა ისინი ხან აშკარად, ხან უხილავად მოქმედებდნენ მის წარმატებასა და წარუმატებლობაზე". გ. ცხოვრებაძე ეხება რა 1924 წლის აჯანყების შედეგებს, აცხადებს: „1924 წლის აჯანყების დამარცხებასთან ერთად, ფაქტიურად დამთავრდა „საქართველოს ბოლშევიზაცია", აი, ეს იყო მარცხის ყველაზე სავალალო შედეგი" (**გ. ცხოვრებაძე.** ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში. გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 1996, გვ. 116-120).

ოთარ გოგოლიშვილი ნაშრომში „ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში" 1921 წლიდან აჭარაში დაწყებულ ანტისაბჭოთა მოძრაობას შემდეგნაირად ახასიათებს: აჭარის მოსახლეობამ „არ მიიღო თავსმოხვეული ხელისუფლება და მის ყოველ ნაძალადევ ნაბიჯს მძლავრად უპირისპირდებოდა, მაგრამ „ძალა მაინც აღმართს ხნავდა" და საბჭოთა ხელისუფლებაც ცეცხლითა და მახვილით ახშობდა ყოველგვარ გამოსვლას მის წინააღმდეგ და ამკვიდრებდა თავის ძალაუფლებას" (**ოთარ გოგოლიშვილი.** ან-

ტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი", ბათუმი, 2000, გვ. 74). ო. გოგოლიშვილი ვრცლად ეხება აჭარაში 1924 წლის აჯანყების წინარე პერიოდს, აჯანყებისათვის მიმდინარე მუშაობას, საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ რეპრესიებს (რის გამოც აჭარაში ფაქტობრივად 1924 წლის აჯანყება არ მომხდარა), აჭარის ხელმძღვანელობის მუშაობას აჭარის გურული აჯანყებულებისაგან დასაცავად და სხვ. გარდა ამისა, ავტორი მიმოიხილავს აჭარაში მომხდარი 1924 წლის აჯანყების ცალკეულ ფაქტებს და ადგილობრივი და რუსული არმიის ნაწილების მხრიდან გამოვლენილ უმსგავსო საქციელს.

ედიშერ ნარიმანიძე თავის დისერტაციაში „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წლებში" 1924 წლის აჯანყებას შემდეგნაირად ახასიათებს: „...იგი იყო ქართველი ხალხის საწუკვარი მიზნის — სამშობლოს „აღდგომა-გამოხსნისათვის" ბრძოლის უმაღლესი გამოხატულება. ამიტომ იგი უნდა შეფასდეს, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, ჭეშმარიტად სახალხო, ეროვნული აჯანყება, რომელიც, მართალია, დამარცხდა, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში" (**ედიშერ ნარიმანიძე**. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წლებში. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2000, გვ. 194).

საუნივერსიტეტო დამხმარე სახელმძღვანელოში **„საქართველოს ისტორია. XX საუკუნე"**, რომელიც ავტორთა კოლექტიურ ნაშრომს წარმოადგენს, 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი თავის ავტორია ნესტან კირთაძე. ნ. კირთაძის აზრით, „1924 წლის აჯანყების მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ეროვნული სახელმწიფო-

ებრიობის აღდგენა. ამ აჯანყებას უნდა გადაეწყვიტა საქართველოს მომავალი" (**საქართველოს ისტორია. XX საუკუნე.** პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით. გამომცემლობა „არტანუჯი" და თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 130).

მაყვალა ნათმელაძის და **ალექსანდრე დაუშვილის** ნაშრომში „საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000 წწ.)" ერთგვარ უზუსტობას აქვს ადგილი, როცა ავტორები აღნიშნავენ, რომ 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ სხვებთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და მისი მოადგილე იასონ ჯავახიშვილი დახვრიტა (**მაყვალა ნათმელაძე. ალექსანდრე დაუშვილი.** საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000 წწ.). გამომცემლობა „მემატიანე", თბილისი, 2004, გვ. 57). ნაშრომში 1924 წლის აჯანყება შეფასებული არ არის.

თენგიზ ენდელაძე საკანდიდატო დისერტაციაში „საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.)" ვრცლად ეხება საბჭოთა ხელისუფლების დაუნდობელ ბრძოლას პოლიტიკური პარტიების დასაშლელად, პატრიოტული ძალების წინააღმდეგ. ავტორმა დიდძალი საარქივო მასალის შესწავლის ფონზე წარმოაჩინა 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების წვლილი. მოგვიანებით, **თენგიზ ენდელაძემ** 1924 წლის აჯანყებას უძღვნა ნაშრომი „ტრაგიკული 1924". ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მან 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დახვრეტილთა მეტ-ნაკლებად ზუსტი სიები მოგვცა მაზრების მასშტაბით (**თენგიზ ენდელაძე**. ტრაგიკული 1924. თბილისი, 2004).

მოგვიანებით, 1924 წლის აჯანყების შეფასების საკითხში თავი იჩინა საპირისპირო შეხედულებამ, რომლის ავტო-

რია პროფესორი **გიორგი ციციშვილი** (ამ თვალსაზრისს იზიარებს **კობა წენგუაშვილი**). გ. ციციშვილი ნაშრომში „სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ (მე-80 წლისთავის გამო)" აცხადებს, რომ „1924 წლის აჯანყება ერთი მხრივ, ხელისუფლების, მეორე მხრივ, საზღვარგარეთული ცენტრის (ნ. რამიშვილი და კომპანია), ხოლო მესამე მხრივ, ადგილობრივი ექსტრემისტი-ავანტურისტი ლიდერების (კ. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. იშხნელი და სხვ.) მიერ იყო პროვოცირებული". გ. ციციშვილის აზრით, აჯანყებით „რადიკალ-ექსტრემისტთა მეამბოხე ელიტამ „თავისი საქმე" გააკეთა..." და ამდენად, მისი აზრით, „1924 წლის აჯანყებაში „იყო ავანტურისტული ნაკადიც". თუმცა ავტორი აჯანყების ხელმძღვანელებს იმავდროულად გმირებად ასახელებს და სათანადო მაგალითიც მოჰყავს „ნ. ხომერიკი გმირულად შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას" (**გიორგი ციციშვილი.** სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ (მე-80 წლისთავის გამო). თბილისი, 2004, გვ. 35-54).

ამდენად, გიორგი ციციშვილი ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ერთდროულად „გმირებს" და „მამულიშვილებს" უწოდებს და „ავანტიურისტ-ექსტრემისტებსაც".

კობა წენგუაშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია", ვრცლად მიმოიხილავს 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით არსებულ ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას. კ. წენგუაშვილი ნაშრომის შესაბამისი თავის ბოლოს აყალიბებს თავის მოსაზრებას 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით. ავტორი წერს: „საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენდა მენშევიზმის გავლენის ამოძირკვა, რაც საკმაო პრობლემას წარმოადგენდა, ამასთან სოციალურად გატანჯული მოსახლეობის ყურადღების გადატანა „კონტრრევოლუციურ

აჯანყებაზე", რომლის ლიკვიდაცია ფართოდ გაუხსნიდა გზას რეპრესიული პოლიტიკის გატარებას, გამოავლენდა ეროვნული მოძრაობის ყველა ცენტრს და ყველა ლიდერს, გამოააშკარავებდა მოკავშირეებსა და მათთან დაკავშირების საშუალებებს, რაც საბოლოოდ განამტკიცებდა საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემას". საბოლოოდ, კ. წენგუაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „1924 წლის აგვისტოს აჯანყება ინსპირირებული შეიძლება ყოფილიყო საბჭოთა სპეცსამსახურების ორგანოების მიერ" (**კობა წენგუაშვილი**. საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია. გამომცემლობა „მემატიანე", თბილისი, 2005, გვ. 97-98).

ირაკლი მანველიძე 1924 წლის აჯანყებას ეროვნულს უწოდებს და აცხადებს, რომ მან „ყველაზე უფრო ნათლად აჩვენა ქართველი ერის დამოკიდებულება ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო რეჟიმისადმი" (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 42).

მიხეილ სამსონაძე თვლის, რომ საბჭოთა ხელისუფლება „ცდილობდა თავიდან აეცილებინა აჯანყების ფაქტი, რათა დემოკრატიული ევროპის თვალში, რომელთანაც ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა, ავტორიტეტი არ შელახოდა. თავის მხრივ, აჯანყების ადგილობრივ თუ საზღვარგარეთელ მოთავეებს კარგად ესმოდათ, რომ საკუთარი ძალებით საქართველო რუსეთის უღელს ვერ გადაიგდებდა, ამიტომ საჭიროდ თვლიდნენ აჯანყების თვით ფაქტის დაფიქსირებას, რათა ევროპის ყურადღება მიექციათ და დახმარების პერსპექტივა გაჩენოდათ. ამგვარმა ანგარიშებმა განსაზღვრეს განწირული წამოწყების გაგრძელება, რომელსაც ასობით პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა" (**მიხეილ სამსონაძე**. საქართველო 1921-1991 წლებში (პროექტი). თემა დისპუტისათვის. გამომცემლობა „მემატიანე", თბილისი, 2001, გვ. 4).

II. წყაროთმცოდნეობითი ბაზა

ქართველმა მკვლევარებმა (ნ. კირთაძემ, გ. ციციშვილმა, გ. ცხოვრებაძემ, კ. წენგუაშვილმა და სხვ.) მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარეს 1924 წლის აჯანყების ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნის მიზნით. ბოლო წლებში ჩვენს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივსა და საქართველოს სახელმწიფო არქივის ზუგდიდის ფილიალში გამოვლენილ იქნა საყურადღებო დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ახლებურად წარმოაჩენენ 1924 წლის აჯანყების მომზადებისა და მიმდინარეობის ისტორიას დასავლეთ საქართველოში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა შემდეგ ფონდებში დაცული საქმეები: **ფონდი №6.** ამ ფონდში დაცულია ძიების პროცესში შედგენილი 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა პირადი საქმეები, ასევე საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში დახვრეტილი აჯანყების მონაწილეთა სიები; **ფონდი №8.** ამ ფონდში დაცულია მასალები, რომელიც აჯანყებასთან დაკავშირებით ბოლშევიკების მოგონებებს წარმოადგენს; **ფონდი №14.** ამ ფონდში დაცულია ის მასალები, რომლებიც საქართველოს საგანგებო კომისიიდან და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან იგზავნებოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და საბჭოთა საქართველოს მთავრობაში; **ფონდი №30.** ამ ფონდში დაცულია მასალები, რომელიც გურიის სამაზრო კომიტეტის პლენუმისა და პრეზიდიუმის სხდომის ოქმებს წარმოადგენს;

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა შემდეგ

ფონდებში დაცული საქმეები: **ფონდი №284.** ამ ფონდში დაცულია საქმე აჭარის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის საგანგებო კიმისიის განცხადება აჭარაში 1924 წლის აჯანყების აღკვეთისა და აჯანყების ორგანიზატორთა დახვრეტის შესახებ; **ფონდი №285.** ამ ფონდში დაცულია: საქართველოს მაზრების მილიციის ხელმძღვანელების საიდუმლო მოხსენებები რესპუბლიკის მილიციის უფროსისადმი მაზრაში 1922 წლის მაისში ჩატარებული ანტისაბჭოთა დემონსტრაციების შესახებ; საქართველოს საგანგებო კომისიის საინფორმაციო დეპეშა ოზურგეთის მაზრაში ს. მათითაიშვილის წინააღმდეგ მოქმედებასთან დაკავშირებით; საქართველოს მაზრების აღმასრულებელი კომიტეტებისა და პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელების მოხსენებები საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისადმი, სადაც შესაბამის მაზრებში 1924 წლის აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლის დეტალებია აღწერილი; ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსის ჩაპლიგინის წერილი ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისადმი ოლქის ტერიტორიაზე სვანეთიდან 1924 წლის აჯანყების შემდეგ გაქცეულ პირებთან დაკავშირებით; შორაპნის მაზრის მილიციის უფროსის მოხსენებითი ბარათი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი ქ. ჭიათურაში 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობის შესახებ; შორაპნის მაზრის მილიციის უფროსის მოხსენებითი ბარათი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობის შესახებ შორაპნის მაზრაში; ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსის მოხსენებითი ბარათი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი ოზურგეთის მაზრაში 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობის შესახებ; ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის წერილი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსადმი მაზრა-

ში 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობის შესახებ; ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსის მოხსენებითი ბარათი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი მაზრაში 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობის საკითხზე; სენაკის მაზრის მილიციის უფროსის წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო განყოფილებისადმი 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებულ პატიმართა გაქცევის მცდელობასთან დაკავშირებით; ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის გადაცემული მაზრაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე პირთა სია; ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსის მოადგილის მოხსენებითი ბარათი მაზრაში 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობის შესახებ; საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ა. გეგეჭკორის, წერილი ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისადმი აჯანყებით გამოწვეული ხარჯების დაფარვასთან დაკავშირებით; რაჭის მაზრის მილიციის უფროსის მოხსენებითი ბარათი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი მაზრაში 1924 წლის აჯანყების მსვლელობასთან დაკავშირებით; **ფონდი №600.** ამ ფონდში დაცულია საქმეები დახურული ეკლესია-მონასტრების ქონების განკარგვის შესახებ; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის ტექსტი; საბჭოთა ხელისუფლების მიერ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალები საეკლესიო ქონების გადამალვის ბრალდებით; საგანგებო კომისიის აგენტურული მუშაობის მასალები კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და სხვა სასულიერო პირების წინააღმდეგ;

საქართველოს სახელმწიფო არქივის ზუგდიდის ფილიალის არქივში ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა №2 ფონდში

დაცული საქმეები. ამ ფონდში დაცულია მასალები 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული და აჯანყების ჩახშობის შემდეგ დახვრეტილ ადამიანებზე, შედგენილია მათი ანკეტები, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მათთვის ჩამორთმეული ქონების ნუსხა, დაპატიმრებული ადამიანების ოჯახის წევრების განცხადებები საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებისადმი და სხვ.

ჩვენს მიერ მოძიებულმა საარქივო მასალამ საშუალება მოგვცა უფრო სრულად წარმოგვეჩინა დასავლეთ საქართველოში 1924 წლის აჯანყების მომზადებისა და მიმდინარეობის ისტორია, გაგვესწორებინა ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ზოგიერთი ფაქტობრივი უზუსტობა, ჩვენი აზრი გამოგვეთქვა ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ ზოგიერთ დებულებასა და შეფასებაზე.

თავი II. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება საქართველოში

საბჭოთა რუსეთს, საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალის ახვევის მიზნით, საქართველოს ოკუპაციის ფაქტის შენიღბვა სჭირდებოდა, ამიტომ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველო დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. ფორმალურად საქართველოში ხელისუფლების უმაღლესი ორგანო **რევოლუციური კომიტეტი** (რევკომი) იყო, სინამდვილეში კი ქვეყნის მართვას რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი (მდივანი სერგო ორჯონიკიძე) ახორციელებდა. საქართველოში რევკომის ერთადერთ დასაყრდენ ძალას საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმია წარმოადგენდა, რომელსაც სახელი შეუცვალეს და „კავკასიის განსაკუთრებული არმია" უწოდეს. ადგილებზე ძალაუფლება **გუბერნიებისა და ოლქების რევკომებს** (თბილისის, ქუთაისის და ბათუმის გუბერნიების რევკომები, სოხუმის ოლქის რევკომი) გადაეცა. მაზრებში (რაიონებში) ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს მაზრის რევკომი წარმოადგენდა. ხოლო თემებსა და სოფლებში — თემის და სოფლის რევკომები.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, როგორც რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ორგანომ, თავისი ნამდვილი სახე მალევე გამოაჩინა. რევკომის 1921 წლის 25 თებერვლის დადგენილების საფუძველზე შექმნილი „საგანგებო-საგამომძიებლო კომისიით" („ჩეკა") ფაქტიურად დაიწყო ეროვნული ძალებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა (**საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978)**. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983, გვ. 19). დაიწყო მასობრივი დაპატიმრებების სერია. პატიმრების „გატეხვა" არაადამიანური მეთოდებით სწარმოებდა, მაგალი-

თად „ზუგდიდში ერთი პატიმარი, სოც-დემოკრატი, ღამის ორ საათზე გაიყვანეს მდინარის პირას, დაამზადეს ერთი არშინის სიმაღლის საფლავი, ჯერ მაგრათ სცემეს, რომ არ გამოტყდა, ჩააწვინეს საფლავში და ტანზე მიწა მიაყარეს (გარდა თავისა). ასე ჰყავდათ რამდენიმე წუთს. რაკი მაინც არ გამოტყდა, ამოიყვანეს და წაიყვანეს ჩეკა-ში. ეხლა ეს პატიმარი „ჩეკა"-ში ზის. ფოთში გახურებული მავთულით აწამეს. მავთულს იქვე „სპირტოვკაზე" ახურებდენ..." (**მალხაზ მაცაბერიძე**. ფოსტა №14. საქართველო აჯანყების წინ.— ჟურნალი „ახალი დროება", 1999, №4, გვ. 44).

საქართველოს რევკომის საბოლოო მიზანი ქართული ეროვნული ძალებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დაშლა-განადგურება იყო. დაიწყო სათანადო მუშაობა ქვეყანაში ერთპარტიული სისტემის, ტოტალიტარული რეჟიმის დასამყარებლად. პოლიტიკური პარტიების მიმართ განსაკუთრებულ „მზრუნველობას" **საქართველოს საგანგებო კომისია** („საქჩეკა") იჩენდა. საქართველოს საგანგებო კომისიაში სპეციალურად შეიქმნა მესამე და მეოთხე ქვეგანყოფილებები, რომლებიც შესაბამისად მემარჯვენე და მემარცხენე პარტიების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. მეოთხე ქვეგანყოფილება ძირითადად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის წინააღმდეგ მოქმედებდა, ხოლო მესამე ქვეგანყოფილებას დამატებით — საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიისა და სასულიერო პირების წინააღმდეგ (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-1925 წ.წ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2004, გვ. 66). საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 3 ივლისის სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გახრწნის საკითხი (სხდომაზე საკითხი ბოლშევიკმა რუბენმა გაიტანა).

საბოლოოდ, სხდომამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „1. თბილისის კომიტეტის მიერ გატარებული მენშევიკთა გახრწნის ხაზი მოწონებულ იქნეს, თბილისის კომიტეტს წინადადება მიეცეს, რომ ამ საკითხზე უფრო მჭიდრო კავშირი დაამყაროს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიასა და საქართველოს საგანგებო კომისიასთან.

2. ნება დაერთოს ყოფილ მენშევიკთა კონფერენციის მოწვევას თბილისში.

3. წინადადება მიეცეს ყველა რედაქტორს გააძლიერონ მენშევიკთა ხრწნის კამპანია“ (**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III)**, ფონდი №14, აღწერა №1, საქმე №493, ფურცელი 47).

ანალოგიური სხდომები ტარდებოდა საქართველოს სხვა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების დაშლის მიზნით.

ხელისუფლებამ მოახერხა ყველა პოლიტიკურ პარტიაში აგენტურის შეგზავნა. აგენტების საშუალებით ხელისუფლება ფლობდა უტყუარ ინფორმაციას თითოეულ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიაში მიმდინარე პროცესებზე. დაიწყო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ე.წ. „თვითლიკვიდაციის“ პროცესი. 1923 წლის აგვისტოში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ყრილობამ პარტია დაშლილად გამოაცხადა (**საქართველოს ისტორიის ნარკვევები**. ტ. VII. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, გვ. 195-196). 1923 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია ჯერ კიდევ 1921 წელს ორ ფრთად — მემარცხენე და მემარჯვენე ფრთად გაიყო. 1923 წლის 8 ნოემბერს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების შესახებ. 1923 წლის 30 ივლისს დაშნაკციუტი-

ნის პარტიის საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა („აშხატავორ") საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალური დამოკიდებულების დეკლარაცია მიიღო, იმავე წლის 20 ნოემბერს დაშნაკციუტინის ერევნის ყრილობამ კი პარტია დაშლილად გამოაცხადა. 1923 წლის 28 ოქტომბერს დაშლილად გამოცხადდა „ახალგაზრდა მარქსისტთა" სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ახალგაზრდული ორგანიზაციები: „ახალგაზრდა მემარჯვენე ფედერალისტთა ორგანიზაცია", „ახალგაზრდა ნაციონალ-დემოკრატები", „ახალგაზრდა დაშნაკთა ორგანიზაცია", „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია", „ებრაელ ახალგაზრდათა ორგანიზაცია", სომხური ნაციონალისტური ორგანიზაციები — „ჰნჩაკ", დაშნაკური „მიუტიუნ" და სხვ. დაიშალნენ მათი იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტიების დაშლასთან ერთად (**ი. კაჭარავა.** საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1958, გვ. 297-298).

ამდენად, საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია საწადელ მიზანს — მთელ ქვეყანაში ერთპარტიული რეჟიმი დამყარდა.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ე.წ. **„გამძევებელი კომისია"** შექმნა, რომლის მიზანს არასასურველი პირების ქვეყნიდან გაძევება შეადგენდა. გაძევება მისჯილმა სოციალ-დემოკრატმა **გრიგოლ ცინცაბაძემ** სამშობლოში დატოვება ითხოვა, თუნდაც საქართველოს რომელიმე საპყრობილეში ჩასმით, მაგრამ უარი მიიღო (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 417).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა თავადაზნაურობის ფენა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება, როგორც წესი, უნდობლად უყურებდა. კერძო საკუთრების გაუქმება უშუა-

ლოდ თავადაზნაურობის წინააღმდეგ იყო მიმართული. თავადაზნაურობას სახნავ-სათესი მიწებისა და ტყის მასივები ჩამოართვეს.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს მეფის ოფიცრობისაგან ქართული ჯარის გაწმენდა წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სერგო ორჯონიკიძის არგუმენტები: „ამ 2 თვის წინეთ (1924 წლის ივლისი-აგვისტო — **ავტ.**) სურამში ვიყავი, შევხედე ჯარის კაცებს — სამაგალითო ბიჭები არიან მაგრამ მეთაურები რომ დავინახე გული გამისკდა. ყველა ნიკოლოზის ოფიცრები იყვნენ და რა დღესაც გინდა საბჭოთა ხელისუფლებას ხიშტზე წამოაგებდნენ. ამიტომ 400 კაციდან 200 გამოვრეკე. ამ 200 კაცმა ყველამ მიიღო მონაწილეობა ამ აჯანყებაში...“ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №41, ფურცელი 43).

საბჭოთა ხელისუფლებას „მზრუნველობის“ გარეშე არ დარჩენია არც ვაჭართა ფენა. ვაჭრები საბჭოთა ხელისუფლებამ „არასაიმედოებს“ მიაკუთვნა და ამიტომაც, „კერძო ვაჭრებს, შუამავალთ და კომერციულ შუაკაცებს“ ჩამოერთვათ როგორც აქტიური ისე პასიური საარჩევნო ხმის უფლება (ანალოგიურად ჩამოერთვათ ხმის უფლება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის ყოფილ წევრებს და სხვ. — **ავტ.**) (**საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978 წ.წ.)**. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983, გვ. 93). მართალია, საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდნენ გლეხები, მაგრამ არჩევნების დროს მათ წინასწარ ეკითხებოდნენ თუ ვის აძლევდნენ ხმას (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №41, ფურცელი 46).

ბოლშევიკები ხელისუფლების უზურპაციამდე გლეხობას მიწებს ჰპირდებოდნენ. საქართველოს რევკომმა 1921

წლის 6 აპრილის №17 დეკრეტით მთელი მიწა მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებად გამოაცხადა და მისი ყიდვა-გაყიდვა იჯარით გაცემა აკრძალა. დეკრეტის შესაბამისად გლეხობისათვის მიწების გადაცემა მემამულეების, ეკლესია-მონასტრებისა და სხვა მსხვილ მფლობელთა ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ამასთან, რევკომმა მანამდე არსებული ყველა კანონი (1917 წლის 16 დეკემბრის, 1918 წლის 7 მარტის, 1919 წლის 28 იანვრის და 1920 წლის 10 თებერვლის) მიწის შესახებ გააუქმა (**საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978).** თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983, გვ. 28-31). აგრარული რეფორმა საქართველოში დაჩქარებული წესით რამდენიმე თვეში განხორციელდა (1922 წლის შემოდგომა — 1923 წლის გაზაფხული). საგანგებოდ შექმნილი „გლეხთა კომისიები" თავადაზნაურთა მიწების გარდა საშუალო შეძლების გლეხებსაც ართმევდნენ მიწას, თუ მათ ნორმაზე ოდნავ მეტი მიწა გააჩნდათ. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ღარიბ აზნაურს, რომელიც თავის მიწაზე თვითონ შრომობდა, მთლიანად ართმევდნენ სახნავ მიწას, ეზოს, სახლს, მიუხედავად იმისა, რომ დეკრეტის ძალით ხელისუფლებას ამის უფლება არ ჰქონდა. იმავდროულად, ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც კომისიის წევრები ჩამორთმეული მიწებიდან საუკეთესო ნაკვეთებს თვითონ ითვისებდნენ. ყოველივე ამის შედეგად ზოგან გლეხებს მიწები საერთოდ არ მიუღიათ, მაგალითად გურიაში (**ბ. ლომინაძის პირადი წერილიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანისადმი (1924 წ. შემოდგომა).**—ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი", 1989, №3, გვ. 43).

გლეხების მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამძიმდა სხვადასხვა გადასახადების დაწესებით. ასეთი გადასახადები (შემოსავლის 15%) დაწესდა: მატყლზე — ნატურალური გადასახადი, ცხვარზე — სულადობრივი გადასახადი, პურზე

— ნატურალური გადასახადი, წისქვილზე — ბაჟი, ვაშლზე — ნატურალური გადასახადი, მსხალზე — ნატურალური გადასახადი, თხილსა და კაკალზე — ნატურალური გადასახადი, ხორცზე — ნატურალური გადასახადი, რძეზე — ნატურალური გადასახადი (**საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“**, 1921, №14, გვ. 15; №17, გვ. 12-15). დაწესებული იყო შრომითი ბეგარა იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც რკინიგზების და, საერთოდ, შარაგზებიდან ახლოს (30 ვერსის რადიუსზე) სახლობდნენ (**საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“**, 1921, №18, გვ. 6). თუ გლეხი ორ ქათამს გაყიდდა, ამაზეც გადასახადს ახდევინებდნენ. გლეხებს ასევე ტყით სარგებლობის უფლება წაერთვათ. არსებული კანონით გლეხს უფლება ეძლეოდა მიეღო მოტეხილი (წაქცეული) ხე სრულიად უფასოდ, მაგრამ მეტყევე მას ამის უფლებას არ აძლევდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №41, ფურცელი 40).

ამდენად, ქვეყანაში ყველაფერი დაიბეგრა და დაიხარკა. მიუხედავად ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი რევკომები, ხშირად საკუთარი ინიციატივით, მოსახლეობას სხვადასხვა გადასახადს უწესებდნენ, თვითნებურად გაჰყავდათ ისინი სხვადასხვა სამუშაოებზე (**საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“**, 1921, №19, გვ. 14-16). იყო შემთხვევები, როდესაც შარაგზაზე ტვირთის გადაზიდვისათვის დაწესებული გადასახადის გადაუხდელობის გამო ადამიანები პასუხისგებაში მისცეს (**საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“**, 1923, №53, გვ. 4). პარადოქსი ის იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გადასახადები დააწესა ძაღლის ყოლაზეც კი (**საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“**, 1923, №55, გვ. 9).

ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლით საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ბედი იმთავითვე გადაწ-

ყვეტილი იყო. ამის უმთავრესი მიზეზი საბჭოთა ხელისუფლების ათეისტურ პოლიტიკაში მდგომარეობდა. გარდა ამისა, ბოლშევიკებს კარგად ახსოვდათ საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ქართველი სამღვდელოების პოზიცია. ხელისუფლების უზურპაციის შემდეგ ბოლშევიკების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი სწორედ საქართველოს ეკლესიას ეხებოდა. დეკრეტის ძალით ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, ხოლო სკოლა — ეკლესიას. ამასთან, ეკლესიას უძრავი და მოძრავი საკუთრების ფლობის უფლება ჩამოერთვა და ეკლესიის მთელი ქონება სახალხო საკუთრებად გამოცხადდა (**საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978).** თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983, გვ. 33). 1923 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ „საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ" მიღებული კანონით დაკეტილი ეკლესიების მთელი ქონება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს გადასცა (**საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი,** ფონდი №600, აღწერა №1, საქმე №144, ფურცელი 15).

ბოლშევიკებმა საქართველოში მასობრივი ანტირელიგიური კამპანია 1922 წლის დამლევიდან დაიწყეს. ქრისტიანულ შობას მათ ე.წ. „კომკავშირული შობა" დაუპირისპირეს. ამ კამპანიის ჩასატარებლად ამიერკავკასიის მასშტაბით სპეციალური სამხარეო კომისია შეიქმნა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სამხარეო კომიტეტის მდივნის მამია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით (**გივი როგავა.** როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში (XX საუკუნის 20-30-იანი წლები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1994, გვ. 16). მთელ ქვეყანაში ეკლესია-მონასტრების დახურვა-გადაკეთების პროცესი დაიწყო, რისთვისაც ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ხუთი მილიარდი მანეთი გამოყო (**სუიცსა,** ფონდი №600, აღწე-

რა №2, საქმე №2, ფურცელი 373). ეკლესია-მონასტრების გადაკეთებაში ცალკეული თემებისა თუ სოფლების ხელმძღვანელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. საქართველოში თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი დახურეს. დახურვას გადარჩენილ ეკლესიებში ღვთისმსახურებს უკიდურესად ავიწროებდნენ, ავიწროებდნენ და დევნიდნენ ეკლესიის მრევლსაც. ბოლშევიკები ანტირელიგიური კამპანიის დროს წმიდა ხატებს, წმიდა წიგნებს და წმიდა ნაწილებსაც ხელყოფდნენ. ბოლშევიკები ცდილობდნენ სასულიერო პირებში თავიანთი მომხრეები გაეჩინათ. ამ თვალსაზრისით გარკვეულ „წარმატებასაც" მიაღწიეს. ეკლესიებში ე.წ. „განახლებისა და რეფორმების" ჯგუფი გაჩნდა, რომელმაც „სიახლეები" შეიმუშავა — მარხვის აკრძალვა და სხვ. (**სერგო ვარდოსანიძე.** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წ.წ.). გამომცემლობა „ნათლისმცემელი", თბილისი, 2009, გვ. 126).

სასულიერო პირების წინააღმდეგ ბრძოლა ბოლშევიკებმა სასულიერო წოდებისათვის ხმის უფლების ჩამორთმევით დააგვირგვინეს (**საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978 წ.წ.).** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983, გვ. 93).

ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართული ენის დისკრედიტაციის პროცესი. საქართველოს სახალხო კომისარიატში მომუშავე ვიღაც ბოგდატიევმა 1921 წელს „ლათინურ შრიფტზე გადასვლა გვირჩია, მაგრამ მადლობა ღმერთს, ახლა ცოტა უკან დაიხიაო" — აღშფოთებული წერდა ტიციან ტაბიძე (**რევაზ კვერენჩხილაძე.** საბუთები ღაღადებენ... თბილისი, 2007, გვ. 142). ქართული ენის დაბეჩავებული მდგომარეობის შესახებ საქართველოს რევკომს გარკვეული საყვედურები ხშირად მისდიოდა. ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია: „ზოგიერთ დაწესებულებაში მთხოვნელი დიდ შევიწროებას განიცდიან იქ გაბატონებულ ენის უცოდინარობის

გამო. ზოგიერთ კუთხის მცხოვრებნი იმის გამო, რომ ადგილობრივ დაწესებულებათა სათავეში დგანან პირნი, რომელთაც არ ესმით ადგილობრივ მკვიდრთა ენა და რომელნიც მიწერ-მოწერას აწარმოებენ მცხოვრებთა უმრავლესობისათვის გაუგებარ ენაზე" (**საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე"**, 1921, №13, გვ. 13-14).

ქართველ ინტელიგენტებს, სომხებისა და რუსებისაგან განსხვავებით, დაწესებულებებში სამსახურს არ აძლევდნენ. სხვადასხვა ორგანიზაციებში ჩატარებული ე.წ. „წმენდა" მხოლოდ ქართველებს ეხებოდათ. ამის მიზეზად ს. ორჯონიკიძე იმ გარემოებას ასახელებდა, რომ ქართველი ინტელიგენტი ჯერჯერობით მათი ინტერესების გამტარებელი არ იყო (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №41, ფურცელი 59).

საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთ-საქართველოს ომის დროს უნივერსიტეტის პროფესურისა და სტუდენტების პოზიცია კარგად ახსოვდა. 1921 წლის 26 თებერვალს „რუსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები მე-11 არმიის სარდლობასთან გამოცხადნენ და თბილისის უნივერსიტეტის დახურვა მოითხოვეს" (**ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები)**. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა. გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი, 2004, გვ. 3). საბჭოთა ხელისუფლებამ უნივერსიტეტის ძირფესვიანი „წმენდა" დაიწყო, რის შედეგად თბილისის უნივერსიტეტში მოსწავლე 4 ათასი სტუდენტიდან 1200 გარიცხეს (**გ. ჟვანია.** საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში. საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1956, გვ. 55).

მოსკოვის მითითებით, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწი-

ლი გაასხვისა, თურქეთს გადაეცა 9969.71 კვ. კმ. ტერიტორია 158 728 მცხოვრებით, სომხეთს — 2575.38 კვ. კმ. ტერიტორია 37 800 მცხოვრებით, აზერბაიჯანს — 5199.47 კვ. კმ. ტერიტორია 92 608 მცხოვრებით (**ლევან თოიძე.** ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. გამომცემლობა „ივერთა მხარე", თბილისი, 1991, გვ. 197).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ოსებისათვის ერთგვარი სიგნალი გახდა და მათ მასიურად საქართველოში დაბრუნება დაიწყეს (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ „ოსების აჯანყების" ჩახშობის შემდეგ მათმა დიდმა ნაწილმა თავი ჩრდილოეთ ოსეთს შეაფარა). საქართველოში დაბრუნებული ოსები ყოველგვარ უმსგავსობას და თვითნებობას მიმართავდნენ (**ლევან თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999, გვ. 90). „ერთა თვითგამორკვევის" პრინციპის ერთგულმა საბჭოთა ხელისუფლებამ ოსებს აბსურდული მოტივით ავტონომიაც კი აჩუქა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა, რომელსაც ოსურ სოფლებთან ერთად გადაეცა „40 ქართული სოფელი და 1 ქალაქი, სადაც ოც ათასამდე ქართველია, ხოლო ოსთა რაოდენობა უდრის 1100 სულს" (**ლევან თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999, გვ. 94).

საქართველოს მოჩვენებით სუვერენიტეტს საბოლოოდ ბოლო მოეღო ჯერ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, ხოლო 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით და მასში ამიერკავკასიის ფედერაციის გაერთიანებით.

სრული ფიქცია აღმოჩნდა მოსკოვის დაპირება ქართული წითელი არმიის შექმნის შესახებ. უფრო მეტიც, საქარ-

თველოდან არ გაუყვანიათ ოკუპაციის დროს შემოსული საბჭოთა რუსეთის წითელი არმია.

საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნიშანსვეტი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის ერთეული — ქართული ბონები — 1923 წლის 10 აპრილს საბოლოოდ გაუქმდა და ხმარებაში ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნები შემოვიდა (ნიკო ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასთმცოდნეობა). თბილისი, 1996, გვ. 102).

ასეთია მოკლედ საბჭოთა რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის მოღვაწეობის შედეგები საქართველოში. ოკუპანტებმა ფეხქვეშ გათელეს საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, შელახეს ქართველი ხალხის ეროვნული ღირსება, დაარბიეს საქართველოს სამოციქულო-მართმადიდებელი ეკლესია, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდეს ყველა სოციალური ფენა. ქართველი ერის უკმაყოფილება საოკუპაციო რეჟიმით დღითიდღე იზრდებოდა.

თავი III. რუსული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობის დასაწყისი (1921-1922 წწ.)

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარებულ საოკუპაციო რეჟიმს ქართველი ერი არ ცნობდა. კონსტანტინე გამსახურდია 1921 წლის 7 მაისს ვლადიმერ ლენინს წერდა: „ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებასა და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას“ (**აკაკი სურგულაძე. პაატა სურგულაძე.** საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი. 1783-1990. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1991, გვ. 422).

მთელ საქართველოში დამოუკიდებლობის დღესთან, 26 მაისთან, დაკავშირებით საპროტესტო აქციები იმართებოდა (ხშირ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლების თვალის ასახვევად 26 მაისის აღნიშვნა 24 მაისს, ან სხვა რომელიმე დღეს ხდებოდა — **ავტ.**). ამ აქციებზე გამუდმებით გაისმოდა შემდეგი სახის მოთხოვნები: „მოვითხოვთ... რუსეთის ჯარის გაყვანას საქართველოდან. პოლიტიკური ტუსაღების განთავისუფლებას, სიტყვის და პრესის თავისუფლებას. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!..“ (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №22939-61, ფურცელი 4). იყო შემთხვევები, როდესაც 24 და 26 მაისის დემონსტრაციებში მონაწილეობას საბჭოთა მოსამსახურეებიც ღებულობდნენ. მაგალითად, 1921 წლის 24 მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თანამშრომლებმა: **ვეფხვაძემ** (საქმისმწარმოებელი), **შუშანიკა ცინცაძემ** (რეგისტრატორი), **ქურციკიძემ** (მემანქანე) და ლომინაძემ (მემანქანე). ადმინისტრაციის გაფრთხილების მიუხედავად ცინცაძე და ქურციკიძე სამჯერ გავიდნენ გარეთ და სამჯერ შეუერთდნენ დემონსტრაციას. ლომინაძემ პირველსავე გაფრთხილებაზე მიატოვა დემონსტრაცია და დაუბრუნდა სამუ-

შაოს. ასევე, ვეფხვაძეც გაფრთხილების შემდეგ არ გასულა გარეთ, მაგრამ მთელი დღე გამოძახების მოლოდინში იყო. ყოველივე ამის გამო, აღნიშნული თანამშრომლები სამსახურიდან დაითხოვეს. მხოლოდ ლომინაძე აღადგინეს თანამდებობაზე, რადგან მისი გათავისუფლება დიდად დაეტყობოდა სამსახურს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა იმ მაღაზიებისა და სავაჭრო დუქნების საქონლის კონფისკაცია მოახდინა, რომლებიც 1921 წლის 24 და 26 მაისს პოლიტიკური მოტივით დაკეტილი იყო (**სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №2, საქმე №2, ფურცელი 14ა-15).

1922 წლის 11 თებერვალს თბილისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქართველი ხალხისადმი მიმართვა გავრცელდა, რომელშიც კომუნისტების მიერ ჩადენილი ყველა უმსგავსოება იყო აღწერილი. მიმართვა მთავრდებოდა მოწოდებით:

„ძირს დამპყრობლები!
გაიყვანეთ რუსის ჯარი საქართველოდან!
გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!
ძირს „წითელი" იმპერიალიზმი!
გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!"

(**ედიშერ ნარიმანიძე**. 1922 წლის თებერვალი დაპყრობილ საქართველოში (ქ. თბილისი, 11.02-14.02. 1922 წელი).— ჟურნალი „კლიო", 2004, №23, გვ. 149).

1921 წელს, რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გამო, საქართველოს საბჭოთა მთავრობამ ვერ გაბედა 26 მაისის დღესასწაული აეკრძალა (**ლევან თოიძე**. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999, გვ. 180). 1922 წლის 24 მაისს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ეროვნული დროშების აფრიალებას ხელისუფლებამ ჯა-

რების მისევით უპასუხა. უნივერსიტეტს ალყა შემოარტყეს. „ამ დროს უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი შემოვიდა და იკითხა, რა ხდებაო. „რუსულად ილაპარაკე", იყო რუსი ჯარისკაცის პასუხი. ივანე ჯავახიშვილი და ანდრია რაზმაძეც დააპატიმრეს, მაგრამ მალე გამოუშვეს" (**სერგო ვარდოსანიძე**. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში. გამომცემლობა „ქრონოგრაფი", თბილისი, 2000, გვ. 37).

1922 წლის 11 თებერვალს ანტისაბჭოთა სამგლოვიარო დემონსტრაცია მოაწყო მოსწავლე ახალგაზრდობამ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, შორაპანში, ზესტაფონში, ფოთში, სამტრედიაში, ოზურგეთში, თელავში, ბანძაში, ლანჩხუთში, ნატანებში და სხვაგან (**ი. კაჭარავა**. საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1958, გვ. 284). 1922 წელს მუშათა დიდი გაფიცვა მოხდა ცხენისწყლის აუზში — საჭილაოს ტყის საჭრელ ქარხანაში და ტყიბულის მაღაროებში (**კობა წენგუაშვილი**. საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია. გამომცემლობა „მემატიანე", თბილისი, 2005, გვ. 129).

1922 წლის 11 თებერვალს და 24 მაისს მოწყობილ გამოსვლებში აქტიური მონაწილეობა სპორტული საზოგადოება „შევარდენი"-ს წევრებმაც მიიღეს (საზოგადოება 6700 წევრს აერთიანებდა). ამის გამო, 1922 წლის 23 ნოემბერს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საზოგადოება „შევარდენი"-ს დაშლის შესახებ. დაშლილი იქნა აგრეთვე სპორტული საზოგადოებები „სოკოლი" და „სკაუტი", რომლებიც „კონტრრევოლუციურ საზოგადოებებად" მოინათლნენ (**გ. ჟვანია**. საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში. საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1956, გვ. 57).

საბჭოთა ხელისუფლება სამშვიდობო დემონსტრაციებს რეპრესიებით პასუხობდა. საპყრობილეებში პატიმრების მოსათავსებელი ადგილი არ იყო. ემიგრაციაში მყოფი ქრისტეფორე იმნაიშვილი ქუთაისის საგანგებო კომისიის სარდაფში გატარებულ დროს ასე იგონებდა: „...გვაძლევდნენ ას გრამ ჭადს და ლობიოს ნახარშ წვენს. აქ იყო „კომენდანტ სმერტი" — ჯალათი ახუნდოვი, საზიზღარი შეხედულობის, იცვამდა თეთრ ჩერქესკას და სისხლით შეღებილი იყო. ამ ჯალათს მოყავდა სისრულეში დახვრეტა. სარდაფში ჩაკლავდა და შემდეგ მიჰქონდა საღორიის ტყეში" (**რევაზ კვერენჩხილაძე.** საბუთები ღაღადებენ... თბილისი, 2007, გვ. 218-219). ამასთან, პატიმრები მისჯილი ვადის ამოწურვის შემდეგაც საპატიმროებში რჩებოდნენ. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა პატიმარ ილია ბერძენიშვილის წერილი საქართველოს საგანგებო კომისიისადმი: „მე დამაპატიმრეს 2 სექტემბერს 1922 წ. და საგანგებო კომისიამ მომისაჯა ერთი წელიწადი, რომელიც შევასრულე 2 სექტემბერს 1923 წ, ხოლო მას შემდეგ ყოველ დღე ვფიქრობდი საპატიმროდან განთავისუფლებას, მაგრამ არ მელირსა. გადის 1923 წელი, დგება 1924 წელიც და ჩემს განთავისუფლებას ბოლო მაინც არ უჩანს..." (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2382, ფურცელი 11).

პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება მას შემდეგ ხდებოდა, რაც ისინი პარტიიდან გასვლის შესახებ სათანადო წერილს დაწერდნენ (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2382, ფურცელი 78). ასე რომ, გაზეთები შემდეგი შინაარსის წერილებით აჭრელდა „...თანაუგრძნობ და მთლიანად ვღებულობ საქართველოს სინამდვილეში მუშათა და გლეხთა საბჭოთა სისტემას, მხარს ვუჭერ მას როგორც სწორსა და საღს სისტემას პროლეტარიატის დიქტატურისა..." (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2382, ფურცელი 67).

საბჭოთა ხელისუფლება პატიმრებს ოთხ კატეგორიად ჰყოფდა. პირველ კატეგორიაში ათავსებდნენ იმათ, რომლე-

ბიც „არიან ორგანიზატორები არა ლეგალური მენშევიკური ორგანიზაციისა და აქტიურათ მოქმედებენ არსებულ საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ და არიან მისი განუკურნებელი მტრები". მეორე კატეგორიაში მოექცნენ ადამიანები, რომლებიც „არიან საშვალო გავლენიანი და აქტიური მომუშავენი არა ლეგალური პარტიისა და სასტიკი მოწინააღმდეგენი არსებული წესწყობილებისა". მესამე კატეგორია ასე განისაზღვრა — ამ კატეგორიაში შედიან „ყველა ის ბრალდებულნი, რომლებიც არიან თუმცა პასიური მომუშავენი არა ლეგალური ორგანიზაციისა, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენენ შეგნებულად შეკავშირებულ ძალას არსებულ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და არიან მისი მტრები". ბოლო, მეოთხე კატეგორიას მიაკუთვნეს „ყველა დანარჩენი ბრალდებულნი, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან საფილტრაციო გადამსინჯავ კომისიის მიერ სათანადო ხელწერილს ქვეშ საქმის საბოლოოთ დამთავრებამდე..." (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2382, ფურცელი 78).

1923 წელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას თხოვნით მიმართა, ჩაეტარებინათ საქართველოში რეფერენდუმი იმის შესახებ, თუ როგორ მმართველობას ამჯობინებდა ქართველი ერი. ამასთან, რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო ფარული კენჭისყრით, თუნდაც მხოლოდ მუშებისა და გლეხების მონაწილეობით. თუ რეფერენდუმში ბოლშევიკები ხმების თუნდაც ერთ მესამედს მიიღებდნენ, სოციალ-დემოკრატები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარ ბრძოლაზე საბოლოოდ ხელს აიღებდნენ. სოციალ-დემოკრატების ეს შეთავაზება ბოლშევიკებს სასაცილოდ არ ეყოთ (**ნესტან კირთაძე.** ისტორიულ-პოლიტიკური პროცესი.—გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 1991, №4, 25 იანვარი, გვ. 13).

ამდენად, საბჭოთა საქართველოს პირობებში რეფერენდუმის ჩატარების გზით არსებული რეჟიმის შეცვლის იმედი საბოლოოდ ამოიწურა.

1924 წლის შემოდგომაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ბესარიონ ლომინაძის, მიხეილ კახიანისადმი მიწერილ წერილში სავსებით სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „...მენშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა მნიშვნელოვანწილად გარდაუვალი იყო...“ (**ბ. ლომინაძის პირადი წერილიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანისადმი (1924 წ. შემოდგომა)**.—ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1989, №3, გვ. 43).

საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ საფრანგეთში ჩასვლისთანავე კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბა. მთავრობის შემადგენლობაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან **გრიგოლ ვეშაპელი** შევიდა (მალე ის სპირიდონ კედიამ შეცვალა), სოციალისტ-ფედერალისტებიდან — **იოსებ მდივანი** (შემდგომ ის სამსონ ფირცხალავამ შეცვალა), სოციალისტ-რევოლუციონერებიდან — **იოსებ გობეჩია**. მალევე ე.წ. **„პოლიტიკური ცენტრი — საერთო ფრონტი“** ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: **ნოე რამიშვილი** (თავმჯდომარე), **იოსებ მდივანი** (თავმჯდომარის მოადგილე), **გრიგოლ ვეშაპელი** (მდივანი), **ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი.** ნოე ჟორდანია ამ კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობას გადამწყვეტი ხმის უფლებით ღებულობდა (**გელა სულაძე**. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.). გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2010, გვ. 65).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა სპეციალური მემორანდუმით მსოფლიო თანამეგობრობას საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციისა და კანონიერი მთავრობის დამხობის

ფაქტი აუწყეს (**ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია)**. რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 525-532).

1921 წლის ბოლოს საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ, კონსტანტინე საბახტარაშვილის მეშვეობით, ვატიკანთან უშუალო კონტაქტი დაამყარა. კარდინალმა **შუსტერმა** ნოე ჟორდანიას ვატიკანისა და პირადად რომის პაპის მხრიდან დახმარება აღუთქვა. იმავდროულად, კარდინალმა ნოე ჟორდანიას საქართველოზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება სთხოვა.

ქართველი ემიგრანტებით განსაკუთრებით პოლონეთი იყო დაინტერესებული. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა ქართველი გენერლების **ალექსანდრე ზაქარიაძისა** და **ბაქრაძის**, აგრეთვე ქართველი იუნკრებისა და ოფიცრების პოლონეთის არმიაში ჩარიცხვა. ქართველი ემიგრანტებით დაინტერესება საბერძნეთმაც გამოთქვა და შესაბამისად, ქართველი იუნკრების მცირე ჯგუფი საბერძნეთის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა.

1921 წლის ბოლოსა და 1922 წლის დასაწყისში საქართველოს დევნილი მთავრობის ძირითადი ბირთვი სტამბოლიდან საფრანგეთში გაემგზავრა, ხოლო ქართველ ემიგრანტთა ნაწილი თურქეთში დარჩა.

1921 წლის ზაფხულში ჟენევაში საფუძველი ჩაეყარა **„ლტოლვილთა კომისარიატს“**, რომელმაც სპეციალური **„ნანსენსის პასპორტები“** შეიმუშავა. ამ პასპორტების მეშვეობით ქართველ ემიგრანტებს ევროპის ქვეყნებში გადაადგილება გაუადვილდათ. ლტოლვილთა კომისარიატმა დევნილებისთვის გარკვეული თანხებიც გამოჰყო. სტამბოლში მყოფ საქართველოდან დევნილ 400 ქართველს დახმარება ერთა ლიგამ, ერთა ლიგის ლტოლვილთა დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა და შრომის საერთაშორისო ბიურომ აღმოუჩინეს (**გელა სულაძე**. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და

სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.). გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა", თბილისი, 2010, გვ. 60-62).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მსოფლიოში საერთაშორისო სამართალსუბიექტად არ აღიარებდნენ. 1921 წლის 22 ივნისს კარპეზ მოდებაძე კონსტანტინოპოლიდან ალექსანდრე სვანიძეს წერდა, რომ „...ჯერ-ჯერობით ძალიან შეურიგებელია საფრანგეთი, რომელსაც არ უნდა გაიგონოს სიტყვა „საბჭოთა რესპუბლიკა". ამ სიტყვას დღემდის ვერ ინელებენ და პირდაპირ ცოფდებიან მითი... ძველი მთავრობა (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა — **ავტ.**) დღემდის ცნობილია როგორც კანონიერი მთავრობა საქართველოსი და იგინი ითვლებიან მხოლოთ როგორც გარეშე ძალით გამოგდებულები... ამათ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას — **ავტ.**) აქვთ აქ თავისი საკონსულო და თუ მისი ვიზა არ აქვს არავის საქართველოში არ უშვებს interallie... სასაცილოა, მაგრამ რას იზამ, ასე რომ თვით შენც რომ აქ ჩამობრძანდე ჩემო ალიოშა, ან თვით ჩვენი ფილიპე (იგულისხმება ფილიპე მახარაძე — **ავტ.**) და უკან დაბრუნება დაგჭირდესთ, არ არსებულ მთავრობის საკონსულოში გაგზავნიან..." **(სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №2, საქმე №3, ფურცელი 143).

საქართველოდან მსოფლიო თანამეგობრობას უნივერსიტეტის სტუდენტობამ (სულ 500 ხელმოწერა) მიაწვდინა ხმა. 1922 წლის 30 მარტით დათარიღებულ სტუდენტების მიმართვაში ევროპისა და ამერიკის ახალგაზრდობისადმი ვკითხულობთ: „უკანასკნელ კაცამდე ვიბრძოლებთ ეროვნული თავისუფლებისათვის იმ იდეითა და რწმენით, რომ ქართველი ერი კვლავ დააღწევს თავს რუსეთის მონობას, აღადგენს თავის დამოუკიდებლობას და კვლავ მოგვეცემა საშუალება განვაგრძოთ ოკუპანტების ტერორისაგან ჩახშობილი სამეცნიერო მუშაობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ

ბრძოლაში მთელი თქვენი თანაგრძობა ჩვენს მხარეზე იქნება და ყოველგვარი საშუალებით ხელს შეუწყობთ ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს".

საგულისხმოა ქართველი ინტელიგენციის სახელით სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მთავარი კომიტეტის ევროპის ერებისადმი მიმართვა: „1. აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, 2. დაუყოვნებლივ გაყვანა საოკუპაციო ჯარებისა, 3. სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიულ საფუძველზე აღდგენა, 4. საქართველოში ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ყოველმხრივ განვითარებას" (**გოგი ცხოვრებაძე.** ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში. გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 1996, გვ. 104-105).

საქართველოს ემიგრანტული მთავრობა დიდ იმედს საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ დახმარებაზე ამყარებდა. პირველი ასეთი სერიოზული იმედი გენუის კონფერენციის მიმართ გაჩნდა, რომელიც 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე მიმდინარეობდა. გენუის საერთაშორისო კონფერენციაში 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი მონაწილეობდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. გენუის კონფერენციის მიზანი იყო რუსეთის იმპერიის საგარეო ვალები საბჭოთა რუსეთისათვის დაეკისრებინა ამ ქვეყნის **დე იურე** ცნობის სანაცვლოდ. საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელმა, **აკაკი ჩხენკელმა,** კონფერენციამდე საფრანგეთის პრეზიდენტთან, **მილეირანთან** და საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარესთან, **პუანკარესთან,** შეხვედრისას მოითხოვა, გენუის კონფერენციაზე საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელი დაეშვათ და, პირიქით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეს-

პუბლიკის წარმომადგენელი არ დაეშვათ. მართალია, ა. ჩხენკელის მეორე მოთხოვნა დააკმაყოფილეს და საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი კონფერენციაზე არ დაუშვეს, მაგრამ არც საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელი დაასწრეს მას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია გენუაში მიწვეული არ ყოფილა, მისი სრულუფლებიანი ელჩი პარიზში, **აკაკი ჩხენკელი,** რამდენიმე ქართველ პოლიტიკურ მოღვაწესთან (ირაკლი წერეთელთან, სვიმონ მდივანთან, გრიგოლ ვეშაპელთან, ზურაბ ავალიშვილთან) ერთად გენუაში მაინც ჩავიდა, რათა საჭირო საბუთები მიეწოდებინა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის, რომლებიც მზად იყვნენ საქართველოს საკითხი კონფერენციაზე დაეყენებინათ. კონფერენციის დაწყებისთანავე აკაკი ჩხენკელმა წერილით მიმართა გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს, იტალიის პრემიერ-მინისტრს, **ლუიჯი ფაქტას,** საბჭოთა რუსეთის ძალმომრეობისაგან საქართველოს დაცვის თხოვნით. მაგრამ, იმ მოტივით, რომ საქართველო არ იყო მიწვეული კონფერენციაზე, მისი საკითხის განხილვა დღის წესრიგიდან მოიხსნა. თუმცა, კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მოსკოვის მთავრობას საქართველო დაპყრობილი ჰყავდა და ამიტომ საბჭოთა რუსეთს უფლება არ ჰქონდა საქართველოს სახელით ელაპარაკა (**გოგი ცხოვრებაძე**. გენუის კონფერენცია და საქართველოს საკითხი.—კრებული **ქართული დიპლომატია.** წელიწდეული. 3. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996, გვ. 335-336).

საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, **ამბროსი ხელაიამ,** სპეციალური მემორანდუმი შეიმუშავა და გენუის კონფერენციაზე გააგზავნა. მემორანდუმში უწმიდესი აღნიშნავდა:

„ცივილიზებულ კაცობრიობას, რომელიც გენუის კონფერენციაზეა წარმოდგენილი, ღვთის სახელით თავის მი-

სალმებას უგზავნის მონა ღვთისა ამბროსი, სრულიად საქართველოს სულიერი მოძღვარი და პატრიარქი.

ჯერ კიდევ წინაისტორიული დროიდან კავკასიაში, შავ და კასპიის ზღვებს შორის ქართველური წარმოშობის ზოგიერთმა ტომებმა შექმნეს სახელმწიფო, მოცულობით მცირე, მაგრამ მტკიცე ნებითა და შემოქმედებითი მონაცემებით ძლიერი, რომელიც ისტორიაში ცნობილია საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში წინა აზიაში ქრისტიანული ცივილიზაციისა და ჰუმანური ევროპული პრინციპების ერთადერთ პიონერს წარმოადგენდა. XVIII საუკუნის დასასრულს გარეშე მტრებთან ბრძოლაში დასუსტებული ქართველი ერი ნებაყოფლობით შევიდა ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში — იმ იმედით, რომ ეს მფარველობა მას ეროვნული და პოლიტიკური არსებობის შენარჩუნებაში დაეხმარებოდა. ეს მოტივები აშკარად ჩანს ხელშეკრულებაში, რომელიც 1783 წელს დაიდო ქართველთა მეფე ერეკლესა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინეს შორის.

მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ იმედები გაგვიცრუვდა და 117 წლის განმავლობაში რუსული ბიუროკრატიის მხრიდან მძვინვარე დესპოტიზმისა და აუტანელი ჩაგვრის მსხვერპლი გავხდით.

სწორედ ამიტომ, 1917 წელს, რუსული იმპერიის ხელოვნური ერთიანობის დაშლის შემდეგ ქართველმა ხალხმა თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დაუყოვნებლივ დაიწყო პოლიტიკური, ეროვნული და სულიერი არსებობის აღდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამუშაოს დიდი სიძნელეები ახლდა გარეშე და შინაური მტრების მხრიდან, ქართველმა ერმა დაამტკიცა თავისი შემოქმედებითი მონაცემები, რაც იმაში გამოიხატა, რომ სამი წლის შემდეგ ცივილიზებულმა ევროპამ აღიარა ის და თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფოების შემადგენლობაში შეიყვანა.

ცხადია, ამას არ მოითმენდა რუსეთი, საქართველოს ყოფილი მბრძანებელი და მცირე ხალხების მჩაგვრელი.

მან საქართველოს საზღვრებისაკენ ჯარები გამოგზავნა, რომლებიც შემოიჭრნენ ოკუპაციის მიზნით. 1921 წლის 25 თებერვალისთვის სისხლისაგან დაცლილ, პატარა საქართველოს კვლავ მონობის დამამცირებელი უღელი დაადგა, რომლის მსგავსი მას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არ გადაუტანია.

ფაქტია, რომ მოძალადეები ცდილობენ, დაუმტკიცონ ყველას, როგორც შინ, ისე უცხოეთში, რომ მათ გაათავისუფლეს ქართველი ერი და კეთილი საქმე გაუკეთეს მას. მაგრამ ჩვენ, მისი სულიერი მამა და ერთადერთი მისი ჭეშმარიტი მოძღვარი, რომლის ხელში თავმოყრილია მისი ეროვნული მისწრაფებების ყველაზე წმინდა ძაფები და ვისთანაც უშუალოდ მიდის ყველა მისი ცრემლი და საჩივარი, ჩვენ ვიცით, როგორი ბედნიერიც არის ის.

ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამტკიცოთ, რომ ექსპერიმენტები, რომელიც უკანასკნელი წლის განმავლობაში ქართველ ერს ჩაუტარეს, მას ფიზიკურ და მორალურ გადაშენებამდე მიიყვანს.

ხალხს ართმევენ მათი წინაპრების სისხლით მორწყულ და ძვლებით ნაკურთხ ქონებას: იგივე მოძალადეები ხალხს სისხლითა და ოფლით მოპოვებულ არსებობის საშუალებებს ართმევენ და საზღვარგარეთ გზავნიან. ხდება ხალხის მშობლიური ენის პროფანაცია, მახინჯდება წინაპართა მიერ შექმნილი ეროვნული კულტურა, შეურაცხყოფენ იმასაც კი, რაც ხალხისათვის ყველაზე ძვირფასია — მის რწმენას და სინდისის თავისუფლების ცრუ ნიღბით უკრძალავენ თავისი რელიგიური მოთხოვნილებების თავისუფლად დაკმაყოფილებას.

სამღვდელოებას უმოწყალოდ სდევნიან. ეკლესია, რომელიც ამდენი საუკუნის მანძილზე კვლავაც ქართული სახელმწიფოს დიდებისა და ძლიერების მთავარ ფაქტორს წარ-

მოადგენს, წართმეული აქვს, ყველა უფლება, იმდენად, რომ მიუხედავად მისი შრომისა, მოკლებულია საარსებო საშუალებების მოპოვების შესაძლებლობას.

ერთი სიტყვით, ერი გმინავს, ერი ჩივის. მას ხმის ამოღებაც არ შეუძლია ისე, როგორც საჭიროა.

ასეთ ვითარებაში ჩვენ თავს მოვალედ ვთვლით, მთელი ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე განვაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ, ღვთის ეკლესიის წარმომადგენლის სახით, არ ვერევით პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის განხილვასა და შედარებით შეფასებაში, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, არ მივისწრაფოდეთ ჩვენი ერისათვის ისეთი პირობების შექმნისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობს მის მატერიალურ აღორძინებას და სულიერ განვითარებას. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ:

1. დაუყოვნებლივ იქნას გაყვანილი საქართველოს ტერიტორიიდან რუსული საოკუპაციო ჯარები და საქართველოს საკუთრება დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობის, იძულებითი შეფასების და უცხოთა მიერ დატაცებისაგან.

2. ქართველ ხალხს მიეცეს უფლება, თავისუფლად მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის. განამტკიცოს თავისი პოლიტიკური და სოციალურ არსებობის ის ფორმები, რომლებიც უკეთესად მიესადაგება მის სულს, მისწრაფებებს, ჩვეულებებს და მის ეროვნულ კულტურას.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელმაც ამოცანად დაისახა კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოგვარება და ამ სამყაროში სამართლიანობისა და თავისუფლების აღდგენა, არ უგულებელყოფს საქართველოს არსებით მოთხოვნებს, რომლებიც ჩვენ აქ ჩამოვაყალიბეთ, და გაათავისუფლებს მას დამამცირებელი მონობისა და ძალადობისაგან, რომლის მსხვერ-

პლსაც ის წარმოადგენს. ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ, თქვენი დიდსულოვანი მიზნები და შრომა.

მორჩილი ამბროსი

სრულიად საქართველოს პატრიარქი"

(**სუიცსა,** ფონდი №600, აღწერა №2, საქმე №12, ფურცელი 39).

კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვამ კონფერენციის მონაწილეთა შორის და, საერთოდ, ევროპაში უდიდესი რეზონანსი ჰპოვა. პატრიარქის წერილის ტექსტი 1922 წლის 5 მაისს გენუის გაზეთ **„კაფარა"**-ში დაიბეჭდა (**სუიცსა,** ფონდი №600, აღწერა №2, საქმე №12, ფურცელი 39).

გენუის კონფერენციის მსვლელობის დროს სვანეთში ეროვნული აჯანყება მიმდინარეობდა (მოგვიანებით, მოძრაობა რაჭა-ლეჩხუმშიც გავრცელდა). აჯანყებულებმა თავდაპირველად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ საბოლოოდ, ცხადია, საოკუპაციო ჯარის ნაწილებს ვერ გაუმკლავდნენ. სვანეთში სისხლიანი ანგარიშსწორება დაიწყო...

სვანეთში მიმდინარე მოვლენები ნოე ჟორდანიამ დეპეშით გენუის კონფერენციის მონაწილეებს აცნობა და სთხოვა მათ მოეთხოვათ რუსეთისათვის სვანეთში სამხედრო მოქმედებების შეჩერება.

კონფერენციამ აღნიშნულ საკითხს ყურადღება მიაქცია და გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს გენუაში თავისი დელეგატი არ ჰყავდა, შვეიცის მთავრობის თავმჯდომარის, **ბრანტინგისა** და შვეიცარიის დელეგატის, **მოტას,** საშუალებით ეს საკითხი განსახილველად იმ კომისიაში იქნა გადატანილი, რომელშიც რუსეთის საკითხი იხილებოდა. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს საფრანგეთის წარმომადგენელმა, **ბარტუმ**, ინგლისის მხრიდან კი — **ლოიდ ჯორჯმა.** იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, მცირე კომისიის თავმჯდომარის, **შანცერის,** წინადადებით მიღებულ იქნა მიმართვა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო

კომისრის, **გ. ჩიჩერინის,** სახელზე. თავის მხრივ **შანცერმა** დაამატა, რომ „მოსკოვი გაითვალისწინებს გენუის კონფერენციაზე მოწვეულ სახელმწიფოთა დელეგატების სურვილს და გააკეთებს რაც შესაძლებელია მშვიდობის აღდგენისათვის იმ ტერიტორიაზე, რომელიც უკვე ძლიერ დატანჯულია ბოლო ხნის ბრძოლებით". გ. ჩიჩერინის პასუხი ამაზე შემდეგი იყო: „საქართველოში არავითარი ომი არ მიმდინარეობს და რუსეთს არავითარი მე-9 არმია არ ჰყავს და ეს მხოლოდ კერძო პირის ნ. ჟორდანიას მონაგონია და თუ სიმართლე გსურთ ამის შესახებ აქ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი ალაპარაკეთ"-ო (**გოგი ცხოვრებაძე.** გენუის კონფერენცია და საქართველოს საკითხი.—ქართული დიპლომატია. 3. წელიწდეული. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996, გვ. 338-339).

ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება კათოლიკოს-პატრიარქის გამბედაობას ვერ მოითმენდა. კათოლიკოს-პატრიარქისა და მასთან კავშირში მყოფი პირების წინააღმდეგ დაიწყო აგენტურული მონაცემების შეგროვება კოდური სახელწოდებით **„სვიატოი"**. აგენტურული მონაცემებით ცნობილი ხდება, რომ კათოლიკოს-პატრიარქი, ამბროსი, კომუნისტებს ანტიქრისტეებს, გამყიდველებს და იუდებს ეძახდა (**სუიცსა,** ფონდი №600, აღწერა №2, საქმე №12, ფურცელი 49ა). 1922 წლის 13 ივნისს საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა პატრიარქი მესამე განყოფილებაში დასაკითხად წაიყვანეს. დაკითხვის დასრულების შემდეგ პატრიარქი უკან დააბრუნეს (**სერგო ვარდოსანიძე.** საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში. გამომცემლობა „ქრონოგრაფი", თბილისი, 2000, გვ. 37).

1922 წლის 22 ივნისს საბჭოთა ხელისუფლებამ პატრიარქის მიერ კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი გაანიხილა და დაასკვნა, რომ პატრიარქის ეს ნაბიჯი იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ „მიმართული პროვოკაციუ-

ლი ნაბიჯი, რომლის მიზანი იყო საბჭოთა წყობილების დისკრედიტაცია" (**სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №2, საქმე №12, ფურცელი 45).

1922 წლის 2 ივნისს პატრიარქი იძულების წესით საპატრიარქო რეზიდენციიდან გამოასახლეს, ხოლო 23 ივნისს რეზიდენცია და პატრიარქის სამუშაო ოთახები დალუქეს. ამასთან, როგორც საეკლესიო, ისე საერო დანიშნულების ნივთები წაიღეს. 1922 წლის 17 ნოემბერს მთავრობამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სასახლის კონფისკაცია მოახდინა (**სერგო ვარდოსანიძე**. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში. გამომცემლობა „ქრონოგრაფი", თბილისი, 2000, გვ. 37-44). 1923 წლის 12 იანვარს საქართველოს საგანგებო კომისიამ საბოლოოდ „გაბედული" ნაბიჯი გადადგა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და მასთან ერთად საკათალიკოსო საბჭოს წევრები პატიმრობაში აიყვანა. მოგვიანებით, პატრიარქს შინა პატიმრობა მიესაჯა (**სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №2, საქმე №20, ფურცელი 28-28ა).

1924 წლის 19 მარტს, საღამოს 8 საათზე, 25 საათიანი თათბირის შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა (სასულიერო პირებს გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის გარდა ბრალად საეკლესიო განძეულის გადამალვა წაუყენეს):

1. კათოლიკოს-პატრიარქ **ამბროსი ხელაიას**, — იგივე ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიას — დაპატიმრება 7 წლით, 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

2. **იასონ კაპანაძეს** (ხელისუფლებას ემალებოდა) — 9 წლით, სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

3. **კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძეს** — 3 წლით, 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

4. **ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძეს** — 3 წლით, 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

5. **მარკოზ პავლეს ძე ტყემალაძეს** — 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

6. **იოსებ დიმიტრის ძე მირიანაშვილს** — 9 თვით და 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით (**სერგო ვარდოსანიძე**. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წ.წ.). გამომცემლობა „ნათლისმცემელი", თბილისი, გვ. 114-115).

1923 წლის 18 აპრილს ლონდონის გაზეთი **„პოსტი"** დაწვრილებით წერდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ კათოლიკოს-პატრიარქისა და სხვა სასულიერო პირების დაპატიმრებისა და ე.წ. პადვალში მოთავსების შესახებ.

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გასამართლების შემდეგ საქართველოს მიმართ ევროპის ყურადღება გაორმაგდა. 1923 წლის 7 აპრილს გაზეთი **„დეილი ნიუსი"** იუწყებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, ყოველგვარი სასამართლო პროცესის გარეშე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში პატიმრები დახვრიტა, რომელთა შორის იყვნენ პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები, ყოფილი ოფიცრები და ჯარისკაცები, გლეხები და მათ შორის ქალები და ბავშვები. მარტო თბილისში 92 ადამიანი იქნა დახვრეტილი (**სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №2, საქმე №2, ფურცელი 438).

რუსული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის დამყარების პირველსავე თვეებში ცხადი გახდა, რომ ქართველი ერის ყველა სოციალური ფენა, მათ შორის მუშებიც და გლეხებიც, არსებულ რეჟიმს ვერ ეგუებოდა და შეძლებისდაგვარად პროტესტს გამოხატავდა. საბჭოთა ხელისუფლება რეპრესიების გზით ცდილობდა საპროტესტო მოძრაობის ჩახშობას.

თავი IV. სვანეთის აჯანყება (1921-1922 წწ.)

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მშვიდობიანი ფორმებით ბრძოლის უპერსპექტივობის გამოკვეთის პარალელურად, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოში შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო. თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა პირველად სვანეთში აფრიალდა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პირველ წელსვე საბჭოთა ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით საშიშ ძალად ზემო სვანეთში მოქმედი პარტიზანული რაზმები იქცნენ, რომელთა ფორმირებას საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი ეწეოდა. ამ რაზმებს ხელმძღვანელობდნენ: **ნესტორ გარდაფხაძე, მოსესტრო დადეშქელიანი** და **ბიძინა პირველი**. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ სვანეთში ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა სამი ათეულიც კი გააგზავნა, ასევე შეიმუშავა შეიარაღებული რაზმების წესდება და ფიცი, რომელსაც თითოეული მებრძოლი რაზმში გაერთიანებისას დებდა. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სვანეთში მოქმედი პარტიზანული რაზმების მეთაურებს ქართლ-კახეთის კოოპერატორთა კავშირის **„წარმოკავშირის“** (თავმჯდომარე ივანე ციციშვილი) ხელშეწყობით 10 მილიონი მანეთი გადასცა შეიარაღებული გამოსვლების მოსამზადებლად (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003, გვ. 94-95).

სვანეთში მძლავრი ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება 1921 წლის 28 ოქტომბერს დაიწყო. აჯანყებული სვანები მულახში მდებარე სამაზრო რევოლუციურ კომიტეტს თავს და-

ესხნენ. სროლისას განყოფილების გამგე და ერთი მილიციელი დაიჭრა. მომდევნო დღეს დაპირისპირებულ მხარეებს შორის სროლები კვლავ განახლდა. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები და სვანეთში მყოფი რუსული ნითელი ჯარის ნაწილები ჯვარის მიმართულებით გაიქცნენ. აქ გზაზე ჩასაფრებული იყო აჯანყებულთა ნაწილი, რომლებმაც მოწინააღმდეგის დიდძალი იარაღი ჩაიგდეს ხელში. მოგვიანებით, აჯანყებულებმა ადგილობრივი მოსახლეობის ხატზე დაფიცება დაიწყეს. აჯანყებულების გარშემო 2000 კაცი შეგროვდა. ეს ძალა კვლავ მულახისაკენ დაიძრა. მულახში ამ დროს საბჭოთა ხელისუფლების 80 შეიარაღებული წარმომადგენელი იმყოფებოდა. აჯანყებულებმა მულახს ალყა შემოარტყეს. ალყა 5 კვირას გაგრძელდა. აჯანყებულებმა სოფ. კალაში თათბირი მოიწვიეს, რომელზეც დაისვა საკითხი ცაგერზე და ქუთაისზე თავდასხმა განეხორციელებინათ, მაგრამ საბოლოოდ ეს აზრი უარყოფილ იქნა. აჯანყებულ სვანებს წითელი ჯარის ხელმძღვანელებმა ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნეს: დაუყოვნებლივ შემოგვაგებეთ იარაღი და თქვენი ქალების გახდილი საცვლები. ასეთი შეურაცხმყოფელური წერილის შემდეგ სვანებს განუცხადებიათ: „გაგვწყვეტენ და თავი მაინც ვისისხლოთო!". აღშფოთებული 80 სვანი რუსის ჯარს მიუდგომელ კლდეებზე ჩაუსაფრდა და ცეცხლი გაუხსნა. რუსის ჯარმა 80 კაცი დაკარგა და ჯვარისაკენ დაიხია (**ალექსანდრე დაუშვილი**. ანტისაბჭოთა აჯანყება სვანეთში.— ჟურნალი „საისტორიო მოამბე", 2009-2010, №79-80, გვ. 174-175). სვანეთის აჯანყების შესახებ საქართველოს საგანგებო კომისია იტყობინებოდა: „მიმდინარეობს აშკარა ანტისაბჭოთა აჯანყება. აჯანყებულთა რიცხვი 1600 კაცამდე აღწევს. უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია... მოსახლეობა შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს საბჭოთა ხელისუფლების მიერ აჯანყების სალიკვიდაციოდ გაგზავნილ ძალებს. აჯანყებას მიემ-

ხრო სვანეთის მაზრის პირველი უბნის რევკომის ყოფილი თავმჯდომარე სამსონ ქალდანი. აღინიშნება მაზრის მილიციის დიდი ნაწილის გადასვლა აჯანყებულთა მხარეზე... შეიარაღებულნი არიან რუსული, გერმანული და თურქული მაუზერებით... საბრძოლო მასალებისა და ვაზნების რაოდენობა უცნობია. მათ განკარგულებაშია ორი გამართული ზარბაზანი" (**ალექსანდრე დაუშვილი. კობა წენგუაშვილი.** „იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის, თამარ!" გამომცემლობა „მემატიანე", თბილისი, 2005, გვ. 17).

სვანეთში ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სვანეთში ჯარის ახალი ნაწილები გააგზავნა. მოსახლეობა შეშინდა, შურისძიების შიშით ყველა შეიარაღდა და შალიანის ხატზე დაიფიცა, რომ ბოლომდე იბრძოლებდა (**ალექსანდრე დაუშვილი.** ანტისაბჭოთა აჯანყება სვანეთში.— ჟურნალი „საისტორიო მოამბე", 2009-2010, №79-80, გვ. 176). ზამთარმა აჯანყების მსვლელობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა — სვანეთი ჩაიკეტა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აჯანყებულებთან კავშირს აგრძელებდა, მორალურად ამხნევებდა მათ და მატერიალურად ეხმარებოდა. აჯანყებულმა სვანებმა საბჭოთა ხელისუფლების სახელზე პეტიცია შეადგინეს, რომელიც თბილისში 1922 წლის 20 იანვარს ჩაიტანეს. პეტიციაში აჯანყების გამომწვევი მიზეზები შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „1. რევკომის რეზიდენციად განისაზღვრა მულახი, რომელიც არ წარმოადგენდა სვანეთის ცენტრს და იყო განაპირა დასახლება.

2. სახალხო ფული იხარჯებოდა უკონტროლოდ. რევკომის წევრები ყიდულობდნენ გრამაფონს, ფირფიტებს, ველოსიპედს. არც ერთი მშიერი სვანი არ დაუპურებიათ.

3. რევკომის შემადგენლობა იყო მთლიანად მულახიდან და ისიც სულ ნათესავები.

4. რევკომმა ვერ აკრძალა მესისხლეობის ტრადიცია, პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავა, რითიც ავტორიტეტი შეულახა საბჭოთა ხელისუფლებას.

5. სვანური ადათ-წესებით საქონლის ქურდობისათვის ორმაგად დაბრუნების ტრადიცია გაასამმაგეს, ხოლო რევკომის თავმჯდომარე ამ განსხვავებას ითვისებდა". პეტიციაში აჯანყებულები ითხოვდნენ: 1. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე, შეაჩეროს ჯარების შეყვანა, სანამ არ შესრულდება წამოყენებული მოთხოვნები; 2. შეიქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეისწავლის ადგილობრივი რევკომის საქმიანობას; 3. გაიხსნას გზები და სვანეთი დაუკავშირდეს დანარჩენ საქართველოს; 4. მიეცეს სვანეთს უფლება, დააფუძნოს საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტები ისეთივე პირობებით, როგორიც მინიჭებული აქვთ ყარაჩაელებს და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებს.

სვანების დეპუტაციას თბილისში კარგად შეხვდნენ, ვითარებაში გარკვევას დაჰპირდნენ და მათ 300 მილიონი მანეთიც მისცეს ადგილობრივი ადმინისტრაციის შესაქმნელად. თუმცა დაპირებები არ შესრულდა, უფრო მეტიც, ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უმსგავსოებებს. ერთერთ საიდუმლო მოხსენებაში ნათქვამია: „ლაშხეთსა და ჩოლურში ადამიანებს სასამართლოს გარეშე ხვრეტენ. გვამებს არ მარხავენ. შეურაცხყოფილი ეკლესიები ფეხსადგილებად აქციეს, ხატებს ჩეხენ. ენგურის სვანეთში ჩამოვიდნენ ცხენისწყლის სვანი ლტოლვილები. ხმები ამტკიცებენ, რომ ლაშხეთში დაწვეს 27 სახლი და მოსახლეობა სასტიკად ისჯება. ამის გამო სვანეთს აქვს საფუძველი, ამტკიცოს, რომ მთავრობის მხრიდან შეთანხმება დარღვეულია მთავრობის არაკეთილსინდისიერი აგენტების მხრიდან". შესაბამისად, სვანები კვლავ აჯანყდნენ და 1922 წლის 15 მარტს ლენტეხის, ჩოლურისა და ლაშხეთის საგუშაგოებს დაესხნენ თავს და

ბოლშევიკები და წითელარმიელები განაიარაღეს და დაატყვევეს. მოგვიანებით, აჯანყებულებმა ცაგერს შეუტიეს, მაგრამ ვერ აიღეს და უკან დაიხიეს.

1922 წლის 16 მარტს თბილისში სასწრაფოდ შეიკრიბა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა. სხდომას სამსონ მამულია უძღვებოდა. სხდომამ შემდეგი დადგენილება მიიღო: „განსაკუთრებით დაუნდობლად ჩაქრობილ იქნას გამოსვლები სვანეთში. პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაევალოს პ. აღნიაშვილს (სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისრის მოადგილე) წითელი არმიის შტაბის საერთო ხელმძღვანელობით. ამხ. ბახტაძეს და აღნიაშვილს დაევალოთ, რომ ადგილზე გაარკვიონ მდგომარეობა და მოსახლეობაზე ზემოქმედების შესაძლებლობა".

1922 წლის 14 აპრილს სახელმწიფო კომისიამ და სვანეთის გლეხობის დეპუტაციამ მიაღწიეს შეთანხმებას, რომელშიც ნათქვამია: „1) წითელი ჯარის ნაწილები შევლენ ზემო სვანეთში, როცა ამას მთავრობა დაინახავს საჭიროდ; 2) მოხდება სვანეთის მოსახლეობის სრული განიარაღება; 3) მოძრაობის ბელადები უნდა ჩაბარდნენ მთავრობას. უკანასკნელი იძლევა სრულ გარანტიას, რომ მათ სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ დაემუქრება". შეთანხმების ტექსტში აჯანყების ორგანიზატორებად დასახელებულები არიან: **გრიშა ონიანი, გიორგი ფოჩიანი, ბიძინა პირველი, ბიძინა გვიშიანი, ბიძინა ნიჟარაძე, სამსონ ქალდანი** და სხვები. სამაგიეროდ მთავრობა სვანებს დაჰპირდა: 1) ზემო სვანეთში შედგებოდა ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უშუალოდ თბილისს დაუკავშირდებოდა; 2) დაინიშნებოდა ზემო სვანეთის რევოლუციური კომიტეტი 5 კაცის შემადგენლობით, რომელშიც აუცილებლად ნესტორ გარდაფხაძეს შეიყვანდნენ. სანამ რევკომის სხვა წევრები სვანეთში ჩავიდოდნენ ნესტორ გარდაფხაძე საბჭოთა ხელი-

სუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი იქნებოდა, რომელიც ძველი რევკომის საქმეებს ჩაიბარებდა; 3) სვანეთში ადგილობრივი შერეული მილიცია ჩამოყალიბდებოდა, რომელიც ნაწილობრივ სვანებით დაკომპლექტებოდა, ხოლო ნაწილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებით შეივსებოდა; 4) ზემო სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრი ბეჩო გახდებოდა, სადაც ზუგდიდიდან ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზის გაყვანა მოხდებოდა; 5) აღდგებოდა სვანეთის ყველა სკოლა და გაიხსნებოდა ტექნიკუმი.

1922 წლის 19 აპრილს სვანეთის ყველა საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ბეჩოს საზოგადოებას წარმოადგენდნენ გურამ, ანთოყ კვიციანები; ცხუმარის საზოგადოებას — ე. ახვლედიანი, გ. არღვლიანი და სხვ.; ეცერის საზოგადოებას — კ. ხორგვლიანი, მ. გორჩანი და სხვ.; უშგულის საზოგადოებას — თ. ნიჟარაძე, ნ. კოკრიაშვილი; იფარის საზოგადოებას — ბ. პირველი, გ. ხვიბლიანი და სხვ. შეკრებაზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სვანები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი არ იყვნენ და არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ემხრობოდნენ, მაგრამ მათ დიდად აფიქრებდათ მულახში მთავრობის მიერ დიდძალი იარაღის შეტანა და ოსთა 60 კაციანი რაზმის შეყვანა. აჯანყების ზოგიერთი მეთაური საბჭოთა ხელისუფლებას ნებაყოფლობით ჩაბარდა (ბიძინა პირველი, ბიძინა გვიშიანი).

საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან დანაპირების შესრულება გვიანდებოდა, რამაც სვანეთში კვლავ შექმნა ერთგვარი დაძაბული ფონი. საბოლოოდ, 1922 წლის 5 მაისს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და სვანეთის ყველა საზოგადოების წარმომადგენელთა კრება შედგა. დღის წესრიგში სხვადასხვა განსახილველი საკითხები იდგა. შეკრებაზე აჯანყებაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ ბიძინა პირველმა სვანების ტრადიციების მიმართ ღირსეული დამოკიდებულება მოითხოვა. ბ. პირველის თქმით, სვანს არ შეეძ-

ლო იარაღის გარეშე ცხოვრება მისი ყოველდღიური ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე (ზამთარში ნადირის ჩამოწოლა და სხვ.). ამიტომაც, ბ. პირველმა ყველა სოფელში რამდენიმე შაშხანის დატოვება მოითხოვა. სვანებმა ასევე წითელი ჯარის ნაწილების მიერ რეკვიზირებული საქონლის დაბრუნება მოითხოვეს.

1922 წლის 23 მაისს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სვანეთში სახელმწიფო კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა და დანაპირების შესრულებას შეუდგა — გამოჰყო სპეციალური კრედიტი სვანებისათვის, დანიშნა საბარგო მანქანა, რომელიც ქუთაისიდან ლეჩხუმამდე რეგულარულად ივლიდა. ზემო სვანეთის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ თ. ჟღენტი დაინიშნა. ამით სვანეთში კონფლიქტი ამოწურულად ჩაითვალა (**ალექსანდრე დაუშვილი**. ანტისაბჭოთა აჯანყება სვანეთში.— ჟურნალი „საისტორიო მოამბე", 2009-2010, №79-80, გვ. 176-181).

სვანეთის ერთგვარად დამშვიდების შემდეგ, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიზნად სვანეთის სრული განიარაღება დაისახა, რათა სვანეთში აჯანყების განმეორების შემთხვევაში ადვილად გასწორებოდა სვანებს. ეს საქმე სვანეთის სამაზრო რევკომის თავმჯდომარეს, **ს. ნავერიანს,** დაევალა, მაგრამ მან აღნიშნული დავალება ვერ შეასრულა. მოგვიანებით, 1922 წლის 9-15 აგვისტოს, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ძალოვანი სტრუქტურების აქტიური მონაწილეობით, ზემო სვანეთში მოსახლეობიდან 300 შაშხანა, 100 ბერდანა და 4 ტყვიამფრქვევი ამოიღო (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003, გვ. 95-99).

1922 წლის ზაფხულში საბჭოთა ხელისუფლებას ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი აუჯანყდა, თუმცა ეს აჯანყება დამარცხდა.

სვანეთის აჯანყება, მარცხის მიუხედავად, დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში. აჯანყებულმა სვანებმა მთელ ცივილიზებულ საზოგადოებას დაანახეს, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს ოკუპანტი იყო, ხოლო ქართველი ხალხი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს ვერ ეგუებოდა და ოკუპანტთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდა.

თავი V. ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შექმნა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებში უმრავლესობაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) წარმომადგენლები იყვნენ. საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური პარტიები მმართველ ძალას ოპოზიციაში ედგნენ. გამომდინარე აქედან, სოციალ-დემოკრატებსა და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის მძაფრი წინააღმდეგობა არსებობდა. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ ამ წინააღმდეგობამ კულმინაციას მიაღწია. საბჭოთა რუსეთთან ომში საქართველოს დამარცხებას ქართული პოლიტიკური პარტიები სოციალ-დემოკრატების მიზანშეუწონელი და არაადეკვატური პოლიტიკის შედეგად მიიჩნევდნენ. თავის მხრივ, სოციალ-დემოკრატები ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ისინი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საკმარისად არ ეხმარებოდნენ და თავიანთი შეურიგებელი პოლიტიკით მის საქმიანობას ხელს უშლიდნენ. ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთ ბრალდებების წაყენებამ დიდხანს გასტანა. აზრთა ასეთი სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა პოლიტიკური პარტია კარგად ხვდებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის ორგანიზებისათვის გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა და ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა იყო საჭირო. გაერთიანებისაკენ მიმართული პირველი ნაბიჯი საზღვარგარეთ გადაიდგა. 1921 წლის 8 მაისს, პარიზში, აზერბაიჯანის მთავრობის რეზიდენციაში, ერთმანეთს შეხვდნენ კავკასიის რეს-

პუბლიკების ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლები. თათბირს ესწრებოდნენ: 1. საქართველოს წარმომადგენლები: **ე. გეგეჭკორი, ნ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, კ. საბახტარაშვილი;** 2. აზერბაიჯანის წარმომადგენლები: **ა. შეიხულ-ისლამოვი, დ. ჰაჯიბეკოვი, მ. აგერამოვი, ალ. თოფჩიბაშევი;** 3. სომხეთის წარმომადგენლები: **ა. აგარონიანი, ა. ხატისიანი, ნ. ბეკზადიანი;** 4. ჩრდილო კავკასიის წარმომადგენელი: **ა. ჩერმოევი** (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). ნიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 289). 1921 წლის 10 ივნისს კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ შეთანხმებას. შეთანხმების ხელმოწერისთანავე მათ ამის შესახებ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, **არისტიდ ბრიანს,** აცნობეს. არისტიდ ბრიანისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში შეთანხმების მონაწილენი აღწერდნენ კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეებს და იმ სარგებლობას, რომელსაც საფრანგეთი მიიღებდა თუ კი მისი მთავრობა ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკურ ძალებს კავკასიაში ეროვნული ხელისუფლებების აღდგენაში დაეხმარებოდა (**საქართველოს ისტორიის ნარკვევები.** ტ. VII. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1976, გვ. 190). ამასთან, კავკასიის წარმომადგენლები მზად იყვნენ რუსეთის იმპერიის ვალებიდან მათი კუთვნილი წილი გადაეხადათ. 1921 წლის 7 ნოემბერს არისტიდ ბრიანის წარმომადგენელ **ლუშერსა** და კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება გაიმართა. ლუშერმა საკითხი შემდეგნაირად დასვა: „1) რა სახის დახმარებას მოელიან საფრანგეთისაგან კავკასიის 4 რესპუბლიკის წარმომადგენლები კანონიერი და ხალხის სურვილის შესაბამისი ხელისუფლების დამყარების საქმეში იარაღის, ფულის და აღჭურვილო-

ბის მხრივ; 2) ბოლშევიკებისაგან რესპუბლიკათა გათავისუფლების შემდეგ რით შეუძლია საფრანგეთს დაეხმაროს პირველ ხანებში კავკასიის რესპუბლიკათა კულტურულ-სამრეწველო აღორძინებას, მეტადრე ისეთი ღონისძიებების მხრივ, როგორიცაა გზები, 4-ვე რესპუბლიკისათვის ერთნაირი სამონეტო სისტემის საემისიო ბანკი, ნავთობგამტარები და ბუნებრივი სიმდიდრის დაუყოვნებლივ ექსპლოატაცია, ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საფრანგეთს დახმარება შეუძლია უმთავრესად მასალით, იარაღითა და ნაწილობრივ ფულით, ოღონდ ვფიქრობთ, 1000000 ფრანკით, მეტით არა; 3) რა კომპენსაცია და რა ფასეულობანი შეუძლიათ მოგვცენ კავკასიის რესპუბლიკებმა ვალუტითა და ნედლი მასალით, მინერალებისა თუ საერთოდ პროდუქტების სახით პირველსავე ხანებში იმ დახმარებისათვის, რომელსაც საფრანგეთი გაუწევს კავკასიის რესპუბლიკებს“. დელეგატებმა ლუშერს პირობა მისცეს, რომ ამ საკითხების დეტალურად დასამუშავებლად სპეციალურ კომისიებს შექმნიდნენ. 1921 წლის 9 ნოემბერს კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენელთა თათბირზე შეიქმნა: 1. სამხედრო კომისია; 2. საფინანსო-ეკონომიკური კომისია; 3. ნავთობმრეწველობის კომისია; 4. გზათა კომისია. 1921 წლის 16 ნოემბერს **სამხედრო კომისია** კავკასიის ემიგრირებული მთავრობების წარმომადგენელთა საერთო თათბირზე მოხსენებით წარსდგა. მოხსენებაში საუბარი იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის საერთო გეგმაზე. ამ გეგმის თანახმად, კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე 2700 სამხედროსაგან არმიის შექმნა იყო განსაზღვრული. თათბირზე გადაწყდა, რომ სამხედრო შტაბი პარიზში იმუშავებდა, ხელმძღვანელი ცენტრი კი — რაც შეიძლება ახლოს მოქმედების თეატრთან. არისტიდ ბრიანის რჩევით, კავკასიის წარმომადგენლებმა იმ ფრანგ კაპიტალისტებთან დაამყარეს კავშირი, რომლებიც კავკასიის სამ-

რეწველო პოტენციალით იყვნენ დაინტერესებული (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 289-291).

თავის მხრივ საქართველოს ემიგრანტული მთავრობა სხვადასხვა ქვეყნის ნავთობკომპანიებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა და მათი მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. განსაკუთრებული დაინტერესება დიდი ბრიტანეთის ნავთობმომპოვებელმა ფირმა **„შელი"**-იმ გამოთქვა, რომელიც მზად იყო „დაეფინანსებინა მენშევიკური რევოლუცია, რომელიც ბათუმის ჭიშკრის გავლით გაუხსნიდა მათ გზას ბაქოსაკენ" (**კობა ნენგუაშვილი**. ლ. ტროცკი — „ქართველი მენშევიკების შესახებ".— ჟურნალი „ანალები", 2000, №2, გვ. 93).

კავკასიის ემიგრანტული მთავრობების წარმომადგენლების შეთანხმების პარალელურად, ემიგრაციაში მყოფი ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იწყებენ მოძრაობას გაერთიანებისათვის. საქართველოს ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების გაერთიანებული ორგანოს როლს საზღვარგარეთ ჯერ **„დამფუძნებელი კრების კომისია"** და **„პარტიათა წარმომადგენლობა"** ასრულებდა, რომელიც შემდეგ **„პარიტეტულმა კოლეგიამ"** შეცვალა, ხოლო ეს უკანასკნელი კი — **„საზღვარგარეთის ბიურომ"** (**საქართველოს ისტორიის ნარკვევები**. ტ. VII. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო, 1976, გვ. 191). **საზღვარგარეთის ბიურო** პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 3). საზღვარგარეთის ბიუროში შევიდნენ: სოციალ-დემოკრატი **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე**, ეროვნულ-დემოკრატი **გრიგოლ ვეშაპელი** (მოგვიანებით ის სპირიდონ კედიამ შეცვალა), სოციალისტ-ფედერალისტი **სოსიკო მდივანი** და სოციალისტ-რევოლუციონერი **იოსებ გობეჩია** (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომ-

ცემლობა „მერანი“, თბილისი, 1998, გვ. 286). საღვარგარეთის ბიუროსა და ემიგრანტული მთავრობის ყველა მოქმედება ევროპის სახელმწიფოებში „ქართული საკითხის“ პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ამ მუშაობის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა კავშირ-დიდ ბრიტანეთს შორის წარმოებულ მოლაპარაკებაში ისეთი პუნქტის შეტანა, სადაც ინგლისი აცხადებდა, რომ ის ცნობდა საბჭოთა კავშირს იმ ტერიტორიებზე, რომელი ტერიტორიის მოსახლეობაც ცნობდა საბჭოთა ხელისუფლებას. ამასთან, საზღვარგარეთის ბიუროსა და საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მოღვაწეობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მეორე ინტერნაციონალმა მიიღო ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების ძალით მეორე ინტერნაციონალში შემავალი პარტიები ვალდებულებას იღებდნენ თავიანთ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში დახმარებოდნენ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას.

ევროპის სახელმწიფოებში საქართველოს საკითხთან დაკავშირებით საერთო აზრის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პარიზში, ლონდონში და ჟენევაში **„საქართველოს დახმარების კომიტეტები“** დაარსა. კარლო ჩხეიძე ჟენევაში სპეციალური მოხსენებით გამოვიდა. კ. ჩხეიძე ინგლისს ურჩევდა საბჭოთა კავშირისათვის სესხი არ მიეცა, რადგან ეს თანხა, მისი აზრით, წითელი არმიის გაძლიერებას მოხმარდებოდა. ამ მოხსენების ანგარიში ჟენევის ყოველდღიურ გაზეთ „ტრავაი“-ში დაიბეჭდა.

აკაკი ჩხენკელი და ირაკლი წერეთელი საფრანგეთში დემურგთან და ერიოსთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, რის შედეგადაც ა. ჩხენკელი დემურგმა საზეიმოდ მიიღო როგორც საქართველოს ოფიციალური ელჩი. ფრანგი სოციალისტი რენოდელი ირაკლი წერეთელს წერდა, რომ ფრანგი სოციალისტები საქართველოს საკითხში ჩარევას შეეცდე-

ბოდნენ. ეს წერილი საქართველოს საგანგებო კომისიას ჩაუვარდა ხელში (სშსსა (III), ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 3-5).

1922 წლის 6 მარტს საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ წარმომადგენელნი საქართველოში მოქმედი სამი მთავარი პოლიტიკური ორგანიზაციის — სოციალ-დემოკრატიული პარტიის, დემოკრატიულ (ბურჟუაზიულ-აგრარული პარტიების ბლოკი) და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, რომელთაც დამოკიდებულებას... დამფუძნებელ კრებაში ემხრობოდა დეპუტატთა 93%, ვაცხადებთ: 1. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკება, ხელშეკრულებათა დადება და კონცესიათა გაცემა შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ ჟორდანიას მთავრობას.

2. ყოველგვარი კონცესია და ხელშეკრულება, დარღვეული რუსეთის საოკუპაციო მმართველობის მიერ, ქართველი ხალხისათვის სავალდებულო აღარ არის და ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია.

3. საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და იქ თავისი საოკუპაციო რეჟიმი დააწესა, რომელიც დღემდის გრძელდება. ასეთი აქტი რუსეთისა სრულიად ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომელიც კანის კონფერენციის რეზოლუციის მეექვსე მუხლში არის აღნიშნული და რომელიც დიდ სახელმწიფოთა დადგენილებით, სავალდებულოა მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მთელი ქართველი ხალხის სახელით ჩვენ მოვითხოვთ საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას და ოკუპაციის გაუქმებას, რასაც ბუნებრივია მოყვება რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ დაწესებული კანონიერი რეჟიმის აღდგენა.

4. თუ ეს სამართლიანი მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული მშვიდობიანი გზით, არსებული საერთაშორისო უფლებრივ ნორმათა თანახმად ქართველი ხალხი იძულებული იქნება მიმართოს ბრძოლის ყოველნაირ საშუალებებს კანონიერ სახელმწიფოებრივ უფლებათა აღსადგენად და რუსეთის საოკუპაციო მმართველობისა და უკანასკნელის მიერ მოსალოდნელ კონტრაგენტთა მიერ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად". დეკლარაციას ხელს აწერდნენ: **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ბენია ჩხიკვიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, რეზო გაბაშვილი, ლევან ჯაფარიძე, ექვთიმე თაყაიშვილი** და **კ. კობახიძე**.

1922 წლის თებერვალ-მარტში პარიზში ქართულ პოლიტიკურ პარტიათა სათანადო მანდატებით აღჭურვილ წარმომადგენელთა კონფერენცია გაიმართა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ: **ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, ექვთიმე თაყაიშვილი, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ ვეშაპელი, ლევან ჯაფარიძე, სვიმონ მდივანი, კ. კობახიძე, აკაკი პაპავა** და **კონსტანტინე საბახტარაშვილი**. პარიზის კონფერენციამ 1922 წლის 6 მარტს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა დეკლარაცია მიიღო, რომელშიც აღნიშნული იყო:

„1. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკება, ხელშეკრულებათა დადება და კონცესიათა გაცემა შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ ჟორდანიას მთავრობას;

2. ყოველგვარი კონცესია და ხელშეკრულება, დარღვეული რუსეთის საოკუპაციო მმართველობის მიერ, ქართველი ხალხისათვის სავალდებულო აღარ არის და ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია;

3. საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და იქ თავისი საოკუპაციო რეჟიმი დააწესა, რომელიც დღემდის გრძელდება. ასეთი აქტი რუსეთისა სრულიად ეწინააღმდე-

გება იმ დებულებას, რომელიც კანის კონფერენციის რეზოლუციის მეექვსე მუხლში არის აღნიშნული და რომელიც დიდ სახელმწიფოთა დადგენილებით, სავალდებულოა მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მთელი ქართველი ხალხის სახელით ჩვენ მოვითხოვთ საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას და ოკუპაციის გაუქმებას, რასაც ბუნებრივია მოყვება რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ დაწესებული კანონიერი რეჟიმის აღდგენა;

4. თუ ეს სამართლიანი მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული მშვიდობიანი გზით, არსებული საერთაშორისო უფლებრივ ნორმათა თანახმად ქართველი ხალხი იძულებული იქნება მიმართოს ბრძოლის ყოველნაირ საშუალებებს კანონიერ სახელმწიფოებრივ უფლებათა აღსადგენად და რუსეთის საოკუპაციო მმართველობისა და უკანასკნელის მიერ მოსალოდნელ კონტრაგენტთა მიერ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად" (**ნესტან კირთაძე**. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთაისი, 1996, გვ. 99-103).

1922 წლის 29 ივნისს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო: 1. საქართველოს განმანთავისუფლებელი ბრძოლის დღის წესრიგში დგას საერთო აჯანყება და ამისათვის საჭიროა გამოინახოს ყოველგვარი საშუალებანი;

2. წარმოებული უნდა იქნეს სისტემატიურად კერძო გამოსვლები წინააღმდეგ ევროპის მიერ ვაჭრობის წარმოების, განსაკუთრებით ნავთის გატანისა.

1922 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სტამბოლში მყოფი „პოლიტიკური კომისიისათვის" 10 000 ფრანკი გაეგზავნა ე.წ. **„პუნქტების"** მოსაწყობად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზღვრის სიახლოვეს შექნილი ამ პუნქტების მეშვეობით ფოსტა-ტელეგრაფის და სპეციალური

ლიტერატურის საქართველოში გადატანა და არალეგალი პირების გადაყვანა ხორციელდებოდა.

1924 წლის 6 აპრილს პარიზში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს რეზოლუცია საქართველოში აჯანყების მხარდასაჭერად (**გოგი ცხოვრებაძე.** ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში. გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 1996, გვ. 107-108).

ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების გაერთიანების მიზნით ინტენსიური მუშაობა საქართველოშიც მიმდინარეობდა. გაერთიანების იდეის ინიციატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წინაშე დაისვა ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის საკითხი, რომლის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა ყოფილიყო (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 769). ეს მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდა, რადგან თითოეული პარტია მეტის-მეტად გადაჭარბებულად აფასებდა თავის გავლენას საქართველოში და არ სურდა წასულიყო რაიმე დათმობაზე (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 129). სოციალ-დემოკრატები იმ შემთხვევაში თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაემხობოდა მოითხოვდნენ როგორც საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასული საქართველოს ყოფილი მთავრობის, ისე ყოფილი დამფუძნებელი კრების სრულად აღდგენას (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 798). საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი მოით-

ხოვდა საქართველოში საბჭოთა წყობილების დამხობის შემდეგ შექმნილიყო მთავრობა, რომელიც დაკომპლექტდებოდა თანაბარი რაოდენობით სოციალისტებისა და არასოციალისტებისაგან (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 4). საბოლოოდ, 1922 წლის 5 თებერვალს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, არალეგალურ კონფერენციაზე, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის მთავარ ამოცანად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით საქართველოს ყველა ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიასთან შეთანხმებული მოქმედება იქცა (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 283).

პოლიტიკურ პარტიებს შორის დაწყებული მოლაპარაკებები 1922 წლის 11 თებერვალს საქართველოში მომხდარი მასობრივი დაპატიმრებების გამო შეწყდა, მაგრამ მალე კვლავ განახლდა. თითოეულმა პარტიამ მოლაპარაკებისათვის თითო წარმომადგენელი გამოჰყო. სოციალ-დემოკრატებიდან მოლაპარაკებას **ნიკოლოზ ქარცივაძე** აწარმოებდა, ეროვნულ-დემოკრატებიდან — **სპირიდონ კედია** (მისი დაპატიმრების შემდეგ — იასონ ჯავახიშვილი), სოციალისტ-ფედერალისტებიდან — **გრიგოლ რცხილაძე**, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან — **იოსებ გობეჩია**, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან — **მუხრან ხოჭოლავა** (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი," თბილისი, 1998, გვ. 150). ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის დაწყებული მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. საერთო მიზნის მისაღწევად საქართველოს ხუთი წამყვანი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა: **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია**

(მენშევიკები), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ჩამოშორებული ჯგუფი **„სხიველები“** (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები). ამ პოლიტიკურმა პარტიებმა 1922 წლის აგვისტოში ინტერპარტიულ ორგანიზაციას **„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“** („დამკომს“), იგივე **„პარიტეტულ კომიტეტს“** საფუძველი ჩაუყარეს. ადრე მიჩნეული იყო, რომ დამკომი 1922 წლის აპრილ-მაისში შეიქმნა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 769).

ხუთ ქართულ პოლიტიკურ პარტიას შორის დადებული შეთანხმების ტექსტი შემდეგი შინაარსის იყო: „1. დაარსდეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, აღნიშნულ პარტიათა თითო წარმომადგენლისაგან. კომიტეტს დაევალოს გაერთიანება და საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს გასათავისუფლად მიმართული მთელი მუშაობისა.

შენიშვნა: კომიტეტში ყველა საკითხი წყდება შეთანხმებით.

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უცხოეთში მყოფი კანონიერი მთავრობა განაგრძობს თავის მუშაობას მიმართულს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

3. დამოუკიდებლობის კომიტეტი მხარს უჭერს მთავრობის ამ მუშაობას, მთავრობა კი თავის მხრივ არ სდგამს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ახალი ურთიერთობის შემქმნელ ნაბიჯს დამოუკიდებლობის კომიტეტის დაუდასტურებლად.

4. მთავრობა ვალდებულია მიაწოდოს ნივთიერი საშვალებანი მხოლოდ დამოუკიდებლობის კომიტეტს ეროვნული მუშაობის საწარმოებლად იმ ქონებიდან და თანხებიდან, რო-

მელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის ან რომლის გამო რესპუბლიკა პასუხისმგებელია.

შენიშვნა: მთავრობასა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის არსებობს ურთიერთ ფინანსური ანგარიშ-ვალდებულება და კონტროლი.

5. გარდამავალ ხანაში მთავრობის ფუნქციების შესრულება მიენდოს დროებით მმართველობას, რომელსაც შეადგენს დამოუკიდებლობის კომიტეტი კოალიციის საფუძველზე, ყველა შეთანხმებულ პარტიათა წარმომადგენლებისგან იმ აუცილებელი პირობით, რომ არც ერთ პარტიას მმართველობაში ერთ მესამედზე მეტი ადგილი არ ქონდეს.

6. დროებითი მმართველობა დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის კონსტიტუციას აღდგენილად აცხადებს.

7. ადგილობრივი ხელისუფლების (თვითმმართველობის) ორგანოები ეწყობიან დროებითი მმართველობის პრინციპით და პროპორციით.

განაპირა კუთხეებში (აფხაზეთში, ბათუმსა და მის ოლქში, ბორჩალოს და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში), ხელისუფლების შექმნის საკითხი რჩება ღიათ და გადასწყდება დროებითი მმართველობის მიერ.

შენიშვნა: დროებით მმართველობას უფლება აქვს გამოსცეს განსაკუთრებული დადგენილება საერთოდ ადგილობრივ ხელისუფლების შედგენის შესახებ.

8. დამფუძნებელი კრება იკრიბება პირველ შემთხვევისთანავე და ადასტურებს დროებით მმართველობას.

9. მთავრობა ჩამოსვლისთანავე წარუდგება დამფუძნებელ კრებას მოხსენებით და გადადგება. ასევე მოიქცევა და ამავე დროს გადადგება დროებითი მმართველობა.

ამის შემდეგ დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციონურ მთავრობას იმავე პრინციპით, როგორც დროებითი მმართველობა.

10. დამფუძნებელი კრება უხსნის კრედიტს მთავრობას, იმუშავებს კანონს ერთიანი სამხედრო სისტემის შესახებ, ირჩევს საგანგებო, საგამომძიებლო პარიტეტულ კომისიას საქართველოს დამარცხების მიზეზების გამოსარკვევად, ირჩევს საარჩევნო პარიტეტულ კომიტეტს და იშლება.

11. არა უადრეს ორი თვისა, დამფუძნებელი კრების დაშლის შემდეგ, ან არა უგვიანეს ოთხი თვისა ხდება საქართველოს პარლამენტის არჩევნები" (**ნესტან კირთაძე**. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთაისი, 1996, გვ. 85-87). შეთანხმების ტექსტს ხელს აწერდნენ: სოციალ-დემოკრატებიდან — **გიორგი (გოგიტა) ფაღავა**, ეროვნულ-დემოკრატებიდან — **იასონ ჯავახიშვილი**, სოციალისტ-ფედერალისტებიდან — **გრიგოლ რცხილაძე**, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან — **იოსებ გობეჩია**, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან — **მუხრან ხოჭოლავა** (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 284).

პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში შემავალი ყველა პოლიტიკური პარტია თანაბარუფლებიანი იყო. მოსახლეობაში პარტიის გავლენას არანაირი ყურადღება არ ექცეოდა. დამკომში დასმული ნებისმიერი საკითხი დღის წესრიგიდან იხსნებოდა თუ დამკომის ერთი წევრი წინააღმდეგი აღმოჩნდებოდა. გარდა ამისა, დამკომში შემავალ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ჰქონდა უფლება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნაბიჯი დამკომთან შეთანხმების გარეშე გადაედგა. თუ დამკომი წინააღმდეგი აღმოჩნდებოდა, მაშინ პარტიას ეს საკითხი დღის წესრიგიდან უნდა მოეხსნა (**სშსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 289-291). პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, საქართველოს დამოუკი-

დებლობის კომიტეტის თავმჯდომარე მუდმივად სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, თუმცა სხდომებზე თავმჯდომარეობის გარდა მას სხვა პრივილეგიები არ გააჩნდა. დამკომში შემავალი თითოეული პარტია კომიტეტში თითო წარმომადგენელს აგზავნიდა. დამკომში წარმომადგენლის დანიშვნის წესს თითოეული პარტია თვითონ განსაზღვრავდა. ზოგიერთი პარტია დამკომში დასანიშნ წარმომადგენელს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ფარული კენჭისყრით ირჩევდა. ასე რომ, მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს შეეძლო სცოდნოდა დამკომში პარტიის წარმომადგენლად ვინ იყო გაგზავნილი. ზოგიერთ პარტიაში დამკომში გასაგზავნი წარმომადგენლის არჩევა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მეშვეობით ხდებოდა. ყოველშემთხვევაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობას არ უნდა სცოდნოდა, თუ ვინ იყო არჩეული დამკომის წევრად.

თბილისში მიღწეული შეთანხმების ტექსტი ესერ **იოსებ გობეჩიას** ხელით საზღვარგარეთ მყოფ ნოე ჟორდანიას მთავრობას გაეგზავნა. ტექსტთან ერთად საზღვარგარეთ გაიგზავნა ასევე წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო: საჭიროა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმება სცნონ ნოე ჟორდანიამ და ქართული პოლიტიკური პარტიების საზღვარგარეთულმა ორგანიზაციებმა (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 129-134). მოგვიანებით, საზღვარგარეთიდან დამკომის სახელზე წერილი მოვიდა, რომელიც პარტიებს შორის დადებულ შეთანხმებას იწონებდა (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 173).

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: სოციალ-დემოკრატებიდან დამკომში **გიორგი (გოგიტა) ფაღავა** შევიდა, ეროვნულ-დემოკრატებიდან — **იასონ ჯავახიშვილი**, სოციალისტ-ფედერალისტებიდან — **გრიგოლ რცხილაძე**, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან — **იოსებ გობეჩია**, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან — **მუხრან ხოჭოლავა**. შესაბამისად, დამკომის პირველი თავმჯდომარე **გოგიტა ფაღავა** გახდა, ხოლო მდივანი — **იასონ ჯავახიშვილი**.

მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში გარკვეული ცვლილებები მოხდა. 1922 წლის აგვისტოშივე დამკომში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გოგიტა ფაღავა **ნიკოლოზ ქარცივაძემ** შეცვალა. შესაბამისად, დამკომის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ქარცივაძე** გახდა. 1922 წლის აგვისტოდან 1923 წლის მარტამდე დამკომს ნიკოლოზ ქარცივაძე თავმჯდომარეობდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 769). ნ. ქარცივაძემ დამკომში მართალია აჯანყების საკითხი დასვა, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გასარკვევად, თუ რა ძალებს ფლობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანებული ძალები (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 348). 1923 წლის მარტში ნ. ქარცივაძე დააპატიმრეს. 1923 წლის მარტიდან დამკომის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი **კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი** გახდა. კოტე ანდრონიკაშვილი დამკომს 1924 წლის აჯანყების დამარცხებამდე თავმჯდომარეობდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 769). როდესაც დამკომში კ. ანდრონიკაშვილი შევიდა იქ ფაქტიურად მხოლოდ იასონ ჯავახიშვილი იყო. კ. ანდრონიკაშვილმა იკითხა, თუ სად იყვნენ სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ამაზე მას იასონ ჯავახიშვილმა უპასუხა, რომ მასობრივი დაპატიმრებების შემდეგ ისინი დამკომში არ

ცხადდებოდნენ. კ. ანდრონიკაშვილმა დამკომში შემავალ პარტიებთან მოლაპარაკებები დაიწყო. სოციალისტ-ფედერალისტებს კ. ანდრონიკაშვილმა **გედეონ სვანიძე** მიუგზავნა. საბოლოოდ, სოციალისტ-ფედერალისტებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა დამკომში თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 348-349). 1922 წლის დეკემბერში მუხრან ხოჭოლავას გარდაცვალების შემდეგ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებს დამკომში წარმომადგენელი არ გაუგზავნიათ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 769). 1923 წლის თებერვალში სოციალისტ-ფედერალისტი **გრიგოლ რცხილაძე** დამკომიდან გავიდა. გრიგოლ რცხილაძის დამკომიდან გასვლა გამოიწვია დამკომის ერთ-ერთ სხდომაზე აჯანყების საკითხის დასმამ. გრ. რცხილაძე აჯანყების წინააღმდეგი იყო, რის გამოც მან პროტესტის ნიშნად სხდომა და შესაბამისად დამკომი დატოვა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 292-296). 1924 წლის თებერვალში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ დამკომში **სამსონ დადიანი** გაგზავნა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 769). დამკომში შესვლის შემდეგ, კოტე ანდრონიკაშვილმა სამსონ დადიანს „შეთანხმების ტექსტი" გააცნო. ამასთან, ამ სხდომაზე კ. ანდრონიკაშვილმა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა (დამკომის სხდომები როგორც წესი ერთ საათზე მეტხანს არ გრძელდებოდა). დამკომის მომდევნო სხდომაზე კ. ანდრონიკაშვილმა შეიარაღებული აჯანყების საკითხი დასვა. სამსონ დადიანმა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა. კ. ანდრონიკაშვილმა ამაზე ს. დადიანს უპასუხა, რომ მან საკითხი დასვა დამკომის წევრების აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის და არა გადასაწყვეტად. აღნიშნულ სხდომაზე აჯანყების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. 1924 წლის

იელისის თვეში გამართულ დამკომის მორიგ სხდომაზე კ. ანდრონიკაშვილმა კვლავ გააცნო წევრებს საერთაშორისო მდგომარეობა. ამასთან, მან განაცხადა, რომ საქართველოს საკითხი ევროპაში ძალზე პოპულარული იყო. სხდომის დასასრულს, კ. ანდრონიკაშვილმა შეიარაღებული აჯანყების საკითხი დასვა და, თავის მხრივ, დაასაბუთა თუ რატომ იყო პირადად იგი და სოციალ-დემოკრატიული პარტია აჯანყების მომხრე. კ. ანდრონიკაშვილის პოზიცია ეროვნულ-დემოკრატებმაც გაიზიარეს. სამსონ დადიანმა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე თავისი უარყოფითი პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირა. სოციალისტ-რევოლუციონერების წარმომადგენელი აჯანყების იდეას მიემხრო. სხდომის წევრებმა სამსონ დადიანს შემდეგი წინადადება შესთავაზეს: „ვინაიდან თქვენ კრიტიკას უკეთებთ ჩვენ მოქმედებას, წამობრძანდით სამხედრო კომისიის კრებაზე და მოისმინეთ და ნახავთ თითონ, რა მზადება გვაქვს და რა იმედები". თუმცა ამაზე ს. დადიანმა უარი განაცხადა. ასეთ ვითარებაში ს. დადიანმა ულტიმატუმი წამოაყენა: თუ აჯანყების საკითხი სხდომის დღის წესრიგიდან არ მოიხსნებოდა, ის სხდომას დატოვებდა. ს. დადიანს სხდომის წევრებმა განუცხადეს: „თუ ჩვენ არ ჩაუდგებით ამ საქმეს სათავეში, ეს მაინც მოხდება თავის და თავად, ეს მიიღებს სტიქიურ ხასიათს, და თქვენ კიდეც რომ წაბრძანდეთ, ჩვენც მაინც ასე უნდა მოვიქცეთ". ს. დადიანმა სხდომის მონაწილეებს განუცხადა, რომ ის დამკომიდან სოციალისტ-ფედერალისტების გასვლის შესახებ დეკლარაციას გამოაქვეყნებდა. ამ სიტყვების შემდეგ ს. დადიანი გასასვლელისკენ ნელი ნაბიჯებით წავიდა იმ იმედით, რომ მოაბრუნებდნენ, მაგრამ ამაოდ. კარამდე მისული ს. დადიანი შემობრუნდა და იკითხა: „ის მაინც მითხარით, როდისთვის აპირებთ"-ო. ამაზე მას უპასუხეს: „თქვენ ერთ კვირაში აზრს ვერ შეიცვლით და რათ გინდათ დრო იცოდეთ"-ო **(სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე

№377, ტომი №3, ფურცელი 258-262). 1924 წლის 18-19 აგვისტოს ს. დადიანმა დამკომი დატოვა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 769).

სოციალისტ-რევოლუციონერი იოსებ გობეჩია დამკომში **მიხეილ ბოჭორიშვილმა** შეცვალა, რომელიც დამკომში 1924 წლის აჯანყების დამარცხებამდე მუშაობდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 769).

მოგვიანებით, დამკომში პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმება ერთგვარად შეიცვალა და კენჭისყრის დროს ვეტოს გამოყენების უფლება გაუქმდა და საკითხები ამიერიდან ხმათა უმრავლესობით წყდებოდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 298).

თუ ადრე ნიკოლოზ ქარცივაძის თავმჯდომარეობის დროს დამკომში განსახილველი საკითხები შემოდიოდა მასში შემავალი პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში დადებითად გადაწყვეტის შემდეგ განსახილველად, კოტე ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობის დროიდან საკითხები ჯერ დამკომში იხილებოდა და დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, საბოლოო სანქციის მისაღებად, პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში გადადიოდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 350-351).

კოტე ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობის დროს დამკომმა საზღვარგარეთიდან სულ 10 000 ლირა მიიღო (ორჯერ 5000-5000 ლირა). საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ფულს გოგიტა ფაღავა ღებულობდა. ეს ფული ორგანიზაციულ მუშაობას ხმარდებოდა. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულის ნაწილს დამკომი ქაქუცა ჩოლოყაშვილს უგზავნიდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 370-372).

საქართველოში მიმდინარე მასობრივი რეპრესიების ფონზე კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი იყო. სწორედ ამ დროიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაზე პრაქტიკული საუბრები და ინტენსიური მზადება იწყება (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 350-351).

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა საფინანსო კომისია, წითელი ჯვრის კომისია, სარედაქციო კომისია და „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი" ჩამოაყალიბა. ამ კომისიებიდან ყველაზე მძლავრი გაერთიანებული სამხედრო ცენტრი იყო. სამხედრო ცენტრის შექმნის ისტორია ასეთია: საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა: 1) ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სამხედრო ორგანიზაცია; 2) ოფიცერთა და ჯარისკაცთა სამხედრო კომიტეტი, რომელსაც გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მეთაურობდა; 3) აჯანყებულთა რაზმების კომიტეტი; 4) საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია და 5) ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაცია. დამკომის შექმნის შემდეგ ყველა ამ ორგანიზაციის გაერთიანების საკითხი დაისვა, რის შემდეგაც 1922 წლის აგვისტო-სექტემბრისთვის გაერთიანებული სამხედრო ცენტრი შეიქმნა. სამხედრო ცენტრში სოციალ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებს გენერალი **ვარდენ წულუკიძე** წარმოადგენდა, ეროვნულ-დემოკრატებს — გენერალი **კონსტანტინე (კოტე) აფხაზი**. სამხედრო ცენტრის დაზვერვას პოლკოვნიკი **ივანე ნარიკელაძე** განაგებდა. დამკომი სამხედრო ცენტრს საჭირო ინფორმაციებს აწვდიდა, ეს უკანასკნელი კი მათ ამუშავებდა. სამხედრო

ცენტრი ადგილებზე საქართველოს სხვადასხვა რაიონში ფილიალების შექმნას შეუდგა (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 32-52).

საქართველოს საგანგებო კომისიამ და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ მოიპოვეს ინფორმაცია გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შესახებ, რის შემდეგაც 1923 წლის 21 მაისს სამხედრო ცენტრის 15 ოფიცერი დააპატიმრეს და დახვრიტეს, ძებნილებად კი გამოცხადნენ სამხედრო ცენტრის შემდეგი წევრები: **ვასილ კობიაშვილი** (ეროვნულ-დემოკრატი), **ვასილ (ვასო) ზანდუკელი, სამსონ ერისთავი, ნიკოლოზ ზაქარიას ძე კეცხოველი** (ეროვნულ-დემოკრატი), **მიხეილ მილითაური, გერასიმე ნინიძე** (სოციალ-დემოკრატი), **ილია მაისურაძე** (სოციალ-დემოკრატი), **ივანე ლოლუა, იასონ ჯავახიშვილი** (ეროვნულ-დემოკრატი), **სამსონ დადიანი** (სოციალისტ-ფედერალისტი), **ბიქტორ ელისაბედაშვილი** (სოციალ-დემოკრატი), **გიორგი კლიმიაშვილი** (ეროვნულ-დემოკრატი), **შალვა ამირეჯიბი** (ეროვნულ-დემოკრატი), **ნიკოლოზ ანდროს ძე კაიშაური, მიხეილ იშხნელი** (ეროვნულ-დემოკრატი), **ირაკლი ცაგურია** (ეროვნულ-დემოკრატი), **შალვა ჭუმბურიძე** (სოციალ-დემოკრატი), **გიორგი წინამძღვრიშვილი** (ეროვნულ-დემოკრატი), **ნიკიფორე იმნაიშვილი** (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი), **იოსებ ცინცაძე** (სოციალ-დემოკრატი), **გიორგი (გოგიტა) ფაღავა** (სოციალ-დემოკრატი), **ნოე ხომერიკი** (სოციალ-დემოკრატი), **შალვა ქარუმიძე** (ეროვნულ-დემოკრატი), **სიმონ ყიფიანი** (ეროვნულ-დემოკრატი), **დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძე** (ეროვნულ-დემოკრატი), **გიორგი ფურცელაძე** (სოციალისტ-ფედერალისტი), **ელიზბარ ჭიჭინაძე** (სოციალ-დემოკრატი), **ვალიკო ჯუღელი** (სოციალ-დემოკრატი), **გიორგი ამილახვარი, იოსებ მაჭავარიანი** (ეროვ-

ნულ-დემოკრატი), **ილია ჩაჩიბაია** (სოციალ-დემოკრატი), **პართენ გოთუა** (ეროვნულ-დემოკრატი), **დიმიტრი დუმბაძე** (ეროვნულ-დემოკრატი), **აკაკი ჯიბლაძე** (სოციალ-დემოკრატი), **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ცაგარელი** (სოციალისტ-ფედერალისტი), **აპოლონ სიმონის ძე ნიკოლაძე, არჩილ არაბიძე** (სოციალ-დემოკრატი), **ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელი, აბესალომ შალამბერიძე** (სოციალ-დემოკრატი), **ნიკოლოზ ციციშვილი, ვარლამ რუხაძე** (სოციალ-დემოკრატი), **კირილე ნინიძე, მიხეილ იასონის ძე ლაშხი** (სოციალ-დემოკრატი), **გრიგოლ ტიმოთეს ძე გიორგაძე** (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი), **მიხეილ შავდია** და სხვ. (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 81-84). ამის შემდეგ სამხედრო ცენტრმა მუშაობა შეწყვიტა. სამხედრო ცენტრის ფუნქციები ე.წ. **„სამხედრო კომისიამ"** იკისრა. სამხედრო კომისიის შექმნის იდეით სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ სამხედრო ცენტრის არსებობის დროს გამოვიდნენ. სამხედრო კომისიას სამხედრო ცენტრისათვის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. სამხედრო კომისია სოციალ-დემოკრატ **ნოე ხომერიკის** (რომელიც საქართველოში 1922 წლის ნოემბერში ჩამოვიდა) და ეროვნულ-დემოკრატ **მიხეილ ჯავახიშვილის** (ცნობილი ქართველი მწერალი) შემადგენლობით შეიქმნა (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი.. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 301). სამხედრო კომისია ფაქტიურად სოციალ-დემოკრატების და ეროვნულ-დემოკრატების ორგანო იყო (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 352). საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდეგ სამხედრო კომისიაში ეროვნულ-დე-

მოკრატი **გიორგი წინამძღვრიშვილი** შევიდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №2, ფურცელი 186).

აღსანიშნავია, რომ საღვარგარეთიდან ნოე ხომერიკის ჩამოსვლის შემდეგ დამკომის მუშაობა ერთგვარად გამოცოცხლდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №2, ფურცელი 186). ნ. ხომერიკმა დამკომის ერთ-ერთ სხდომაზე საქართველოს ემიგრანტული მთავრობისა და საზღვარგარეთის ბიუროს საქმიანობის შესახებ მოხსენება წაიკითხა. მისი თქმით, სწორედ მათი ეფექტური მუშაობის წყალობით საქართველოს საკითხი ევროპაში უფრო პოპულარული გახდა. ნ. ხომერიკმა დამკომის სხდომაზე ასევე განაცხადა, რომ თუ საქართველო აჯანყების შემდეგ შეძლებდა ძალაუფლების ხელში აღებას და მის შენარჩუნებას ერთი-ორი თვის განმავლობაში, მაშინ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მხრიდან დიპლომატიური საშუალებებით და ფულადი სახსრებით დახმარების დიდი ალბათობა არსებობდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 3).

დამკომის გააქტიურებული მუშაობა 1923 წლის 9 ნოემბერს ნოე ხომერიკის დაპატიმრებამ შეწყვიტა (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 305). სამხედრო კომისიაში ნოე ხომერიკი გოგიტა ფაღავამ შეცვალა. ამის შემდეგ სამხედრო კომისიამ თბილისში სპეციალური **„სამხედრო ქვეკომისია"** შექმნა საზღვარგარეთიდან ჩამოსული სოციალ-დემოკრატ **ნაპოლეონ კახიანისა** და ეროვნულ-დემოკრატ **სოლომონ ზალდასტანიშვილის** შემადგენლობით. ნაპოლეონ კახიანის დაპატიმრების შემდეგ თბილისის სამხედრო ქვეკომისიაში **ვასილ (ვასო) ნოდია** შევიდა. გოგიტა ფაღავას და გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდეგ თბილისის ქვეკომისიამ, ვასო ნოდიასა და სოლომონ ზალდასტანიშვილის შემად-

გენლობით, სამხედრო კომისიის ფუნქციები თავის თავზე აიღო. მოგვიანებით, დაპატიმრებული ვასო ნოდია საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა **ვალიკო ჯუღელმა** შეცვალა (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 245). სამხედრო კომისია რეგიონებში არსებულ დამკომის სამხედრო ორგანიზაციებს ეყრდნობოდა, ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არსებობდა — სპეციალურ სამხედრო რწმუნებულებს. ეს რწმუნებულები იმ პირების აღრიცხვას ახორციელებდნენ, რომლებსაც აჯანყებაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ. ეს ისეთნაირად კეთდებოდა, რომ ამის შესახებ ხშირშემთხვევაში აღრიცხვაზე აყვანილებმაც კი არ იცოდნენ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 13). სამხედრო კომისია მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ აჯანყების საკითხს დამკომში სვამდა, გადაწყვეტილებას კი დამკომის გაფართოებული სხდომა იღებდა. აჯანყების თარიღის განსაზღვრა აჯანყების წინ დანიშნული მთავარსარდლის და მისი შტაბის კომპეტენციას შეადგენდა (**სოლომონ ზალდასტანიშვილი**. 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1989, გვ. 19).

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი სამხედრო კომისიები ჰქონდათ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიაში თავდაპირველად **ვასილ ნოდია** და **გოგიტა ფაღავა** შედიოდნენ, შემდეგ კი — **გიორგი ჯინორია** და **კოტე ანდრონიკაშვილი**. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომისიაში თავიდან შედიოდნენ: **დავით (დათა) ვაჩნაძე, ილიკო სიხარულიძე** და **სოლომონ ზალდასტანიშვილი**, მოგვიანებით კი — **სოლომონ ზალდასტანიშვილი** და **გიორგი წინამძღვრიშვილი** (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლო-

ბა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 308). 1923 წლის დასაწყისიდან საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაქვემდებარებაში მყოფი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი დამკომის განკარგულებაში გადავიდა. აქედან მოყოლებული დამკომი ქაქუცა ჩოლოყაშვილს ყოველთვიურად 200 ლირას უგზავნიდა. დამკომი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ურთიერთობას სამხედრო კომისიის მეშვეობით აწარმოებდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 771).

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სამხედრო კომისია ამავე პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან არსებობდა. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას სამხედრო კომისია არ ჰქონდა. სოციალისტ-რევოლუციონერებმა მხოლოდ 1924 წლის აჯანყების წინ თბილისში „საგანგებო სამხედრო რაზმი" შექმნეს. დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სამხედრო ორგანიზაცია არ შეუქმნია (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 308).

დამკომთან არსებულ სარედაქციო კომისიას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, **დავით ონიაშვილი,** ხელმძღვანელობდა. სარედაქციო კომისია დამკომის თავმჯდომარის მითითებებით დამკომის ბრძანებების, წერილების, პროკლამაციების გადამუშავებას ახორციელებდა. დავით ონიაშვილს დამკომის სხდომებზე დასწრების უფლება არ ჰქონდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 310-314).

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს რეგიონებში რწმუნებულები და კომისიები ჰყავდა. დამკომი რწმუნებულებს ისეთ დიდ რაიონებში ნიშნავდა, სადაც პარიტეტული კომისიის შექმნა ვერ მოხერხდებოდა. ასეთი იყო ბათუმის ოლქი, სადაც დამკომის ერთადერთი სრულუფლებიანი წარმომადგენელი **გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე** იყო

(**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 352-353).

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან ტერორისტული ჯგუფი არსებობდა, რომელსაც **მიხეილ კოლუაშვილი** ხელმძღვანელობდა. 1923 წლის 10 თებერვალს სწორედ ამ ჯგუფმა ოზურგეთის მაზრის სოფ. **ლიხაურში** სამხედრო კომისარზე, **ალექსანდრე ობოლაძეზე**, წითელი ჯარის მეთაურებზე: **სანიკიძეზე** და **ჩუბინიძეზე** თავდასხმა განახორციელა, რომლის დროსაც აღნიშნული პირები ლიკვიდირებულ იქნენ (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 771).

მართალია, საქართველოს საგანგებო კომისია თავისი აგენტურული ქსელის მეშვეობით იღებდა ინფორმაციებს 1924 წლის აჯანყების მზადების შესახებ და, ამდენად, „კარგად" მუშაობდა, მაგრამ არანაკლებ კარგად მუშაობდნენ პატრიოტული ძალები. მათ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში თავიანთი კაცი, **არჩილ ნიკოლოზის ძე კახიანი,** ჰყავდათ (ზოგიერთ დოკუმენტში ის კახიშვილად მოიხსენიება — **ავტ.**). არჩილ კახიანის გადაბირება ნოე ხომერიკის ინიციატივით მოხდა. ნოე ხომერიკი არჩილ კახიანის ბიცოლას, **ალექსანდრა ჯუღელს,** დაუკავშირდა და თხოვა მას არჩილ კახიანის საზღაურის საფასურად გადმობირება ეცადა. საბოლოოდ, არჩილ კახიანი ამ წინადადებას დათანხმდა და 1923 წლის ივნის-ივლისიდან ალექსანდრა ჯუღელისათვის ინფორმაციების მიწოდება დაიწყო (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23472, ფურცელი 8-23). 1923 წლის აგვისტოში ნოე ხომერიკმა ალექსანდრა ჯუღელის მეშვეობით არჩილ კახიანს დაავალა გაერკვია შემდეგი: „1) ვინ გასცა სამხედრო ორგანიზაცია; 2) მოეცა ყველა ცნობა რომელიც გააჩნდა ინფორმატორებზე; 3) მენშევიკების ცეკას წევრების (ხომერიკი, ცინცაძე, ფაღავა) რა მისამართები იყო ცნობილი ჩეკასთვის". 1923 წლის ოქტომბერში ნოე ხომერიკმა არჩილ კახიანს ახა-

ლი დავალება მისცა. მას უნდა გაერკვია: „1) იყო თუ არა ცნობილი ჩეკასთვის რომ მენშევიკები აგრძელებდნენ მუშაობას პარტიის მიერ სალიკვიდაციო კონფერენციის ჩატარების შემდეგ; 2) გადაეცა ასლები დაპატიმრებულების ჩვენებების, მათ შორის ჭუმბურიძის ჩვენება; 3) ინფორმატორების სია; 4) რა ცნობები ჰქონდა ჩეკას ფედერალისტებზე და ეროვნულ-დემოკრატებზე; 5) რა ხდებოდა აზერბაიჯანში; 6) ცნობები მენშევიკების მუშაობაზე საზღვარგარეთ". დავალების მიცემიდან რამდენიმე დღეში არჩილ კახიანმა ალექსანდრა ჯუღელის მეშვეობით ნოე ხომერიკს გადასცა საზღვარგარეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორი თუ სამი შეკრების ამსახველი დოკუმენტის ასლი და საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის თვიური მოხსენების ასლი. 1923 წლის ოქტომბერში ნოე ხომერიკმა არჩილ კახიანს დაავალა გაერკვია თუ რა იცოდნენ საქართველოს საგანგებო კომისიაში საზღვარგარეთ მყოფ და საქართველოში დაბრუნებულ პოლიტიკურ მოღვაწეებზე. როგორც არჩილ კახიანმა გაარკვია, საქართველოს საგანგებო კომისია ფლობდა ინფორმაციას საზღვარგარეთიდან ვალიკო ჯუღელის ჩამოსვლის შესახებ. ნოე ხომერიკმა არჩილ კახიანს ალექსანდრა ჯუღელის ხელით, მიწოდებული ინფორმაციებისთვის, 150 ლირა გადასცა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23472, ფურცელი 23).

საქართველოს საგანგებო კომისიამ ნოე ხომერიკი 1923 წლის 9 ნოემბერს დააპატიმრა (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004, გვ. 28). დაპატიმრებისას ნოე ხომერიკს აღმოაჩნდა: 1923 წლის 6 სექტემბრიდან 1923 წლის 30 სექტემბრამდე სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს შესახებ ცნობები, ცნობები ვარ-

შავიდან და საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის პოლიტიკური განყოფილების 1923 წლის სექტემბრის თვის მოხსენება (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 11). ნ. ხომერიკს ასევე საზღვარგარეთიდან სპეციალურად მის სახელზე გამოგზავნილი წერილი აღმოაჩნდა. წერილში მას საქართველოს ემიგრაციაში მყოფი მთავრობის წარმომადგენლები წერდნენ: „გიგზავნით რადიო-აპარატს. თუ ეს აპარატი იმუშავებს, ჩვენ საშუალება გვექნება სამხედრო ცნობები შევკრიბოთ მთელ კავკასიაში, ჩვენი მიზნებისათვის ამას დაუფასებელი მნიშვნელობა ექნება“ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 770).

ნოე ხომერიკის დაპატიმრებისას აღმოჩენილმა მასალებმა არჩილ კახიანის საქმიანობა გამოააშკარავა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 11) და 1923 წლის 10 ნოემბერს იგი პატიმრობაში აიყვანეს (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004, გვ. 28). პატიმრობაში აიყვანეს ასევე ალექსანდრა ჯუღელი. 1924 წლის მარტში, საქართველოს საგანგებო კომისიაში ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ, ალექსანდრა ჯუღელი გაათავისუფლეს, არჩილ კახიანი კი 1924 წლის 15 იანვარს, ღამის 1 საათზე, დახვრიტეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23472, ფურცელი 41-47).

წარმოებული კონტრდაზვერვითი სამუშაოების შედეგად მოპოვებულ მასალებს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას აწვდიდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 770).

საქართველოს საგანგებო კომისიამ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები დააპატიმ-

რა. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეს, მიხეილ ჩაჩუას, ჩხრეკისას აღმოაჩნდა: ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქისა და კავკასიის განსაკუთრებული არმიის ნაწილების დისლოკაციის აღმნიშვნელი მასალები; საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, აღნიაშვილის ხელით დაწერილი მოხსენება; საქართველოს საგანგებო კომისიის განყოფილების უფროსის, პეტროსიანცის და საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ოკუჯავას, საიდუმლო ბრძანებები.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით გიორგი წინამძღვრიშვილი აგროვებდა ცნობებს ქართული და რუსული წითელი არმიის რაოდენობის, მილიციისა და საგანგებო დანიშნულების ნაწილების მდგომარეობის შესახებ საქართველოში. ამ მიზნით, გიორგი წინამძღვრიშვილს მაზრებში სათანადო რწმუნებულები ჰყავდა. დასავლეთ საქართველოში მსგავსი ხასიათის ცნობებს „დასავლეთ საქართველოს კომიტეტი“ აგროვებდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, სეით დევდარიანს, დაპატიმრებისას წითელი ჯარის დისლოკაციისა და რაოდენობის აღმნიშვნელი მასალები აღმოაჩნდა.

გიორგი (გოგიტა) ფაღავას დაპატიმრების დროს კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი წერილი უპოვეს, რომელსაც ხელს „დიმიტრი“ აწერდა. წერილი 1923 წლის 5 სექტემბრით თარიღდებოდა. წერილში შემდეგი ფრაზა იყო: „ამას გარდა მოგვაწოდეთ სამხედრო ინფორმაცია“. გოგიტა ფაღავას ასევე საზღვარგარეთიდან „ფრანსუას“ მიერ გამოგზავნილი წერილი (1923 წლის 3 სექტემბრის თარიღით) აღმოაჩნდა. ამ წერილში ავტორი იძლეოდა ცნობებს სამხედრო გადაჯგუფების შესახებ სარატოვ-ასტრახან-ბაქოს რეგიონებში და ამ ცნობების გადამოწმებას ითხოვდა.

საქართველოს საგანგებო კომისიას ხელში საზღვარგარეთიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი წერილი ჩაუვარდა, რომელიც 1924 წლის 5 ივლისით თარიღდებოდა. წერილში ითხოვდნენ: „რაც შეიძლება ჩქარა გვაცნობეთ რუსული ჯარის რეორგანიზაცია, მისი ძალები და ქართული ჯარის რაოდენობა". მეორე წერილში კი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს კონსტანტინოპოლიდან წერდნენ: „გვაცნობეთ შემდეგი: გადავიდნენ ჩვენში სამილიციო სისტემაზე თუ არა? ან თუ რეგულარულ ნაწილებთან ერთად არსებობენ ტერიტორიალური ნაწილები? როდის და სად მოეწყვნენ და რამდენია რუსის ჯარი?.. ფრიად საჭიროა" (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა).** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 79-81).

არალეგალურად მომუშავეები, როგორც წესი, წერილებს სათანადოდ შიფრავდნენ. საიდუმლო მიმოწერის მთელი ტექსტი არ იშიფრებოდა, რადგან როგორც დაშიფრვა, ისე გაშიფრვა დიდ დროს მოითხოვდა. ამიტომ ცალკეული, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ადგილები იშიფრებოდა (**მალხაზ მაცაბერიძე.** ფოსტა №14. საქართველო აჯანყების წინ.— ჟურნალი „ახალი დროება", ივნისი-ივლისი, №4, 1999, გვ. 40).

თუმცა, როგორც გაირკვა, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შიფრების გამოყენება ცალკეულმა ადამიანებმაც დაიწყეს. ამის გამო დამკომი ქაქუცა ჩოლოყაშვილს ატყობინებდა: „შევიტყვეთ, რომ ჩვენი შიფრით სხვებიც სარგებლობენ კერძო წერილებისათვის. ეს დაუშვებელია. ამიტომ ახალ შიფრს გიგზავნით, რომელსაც ძველი გასაღებით გაშიფრავთ ლექსად და შემდეგ ისარგებლებთ

ძველისამებრ. ეს შიფრი შეიძლება იცოდეს მხოლოდ ორმა“ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 26).

არალეგალურად მომუშავე პირები კონსპირაციის მიზნით სხვადასხვა სახელებს (ფსევდონიმებს) ირქმევდნენ, მაგალითად: **„სოლომონი“** კონსტანტინე ანდრონიკაშვილის ფსევდონიმი იყო, **„ზურაბი“** — ვალიკო ჯუღელის (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 605), **„გაიოზი“** — ალექსანდრე ბოკერიას (ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თავმჯდომარე) (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 270), **„ფრიდონი“** — დავით ონიაშვილის (დ. ონიაშვილი ამ ფსევდონიმს 1921-1922 წლებში ატარებდა) (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 194), **„ფრანსუა“** — ნოე ხომერიკის (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 375), **„ფრიდონი“** — გრიგოლ ცინცაბაძის (გრ. ცინცაბაძე ამ ფსევდონიმს 1924 წელს ატარებდა) (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 194), **„მთის არწივი“** — მიხეილ ლაშქარაშვილის (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24060-64, ფურცელი 44), **„ორბი“** — სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელის (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24060-64, ფურცელი 44), **„ლუკა“** — იოსებ ცინცაძის (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24060-64, ფურცელი 44), **„გოგი“** — ქაქუცა ჩოლოყაშვილის, **„ქართლოსი“** — სოლომონ ზალდასტანიშვილის, **„სიკო“** — ვასილ (ვასო) წულაძის, **„სამფერი“** — დავით ვაჩნაძის, **„ავთანდილი“** — გიორგი (გოგიტა) ფაღავასი (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1998, გვ. 33-356).

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთერთი მთავარი საზრუნავი ჩრდილო კავკასიასთან და აზერბაიჯანთან დაკავშირება და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა იყო. სომხებთან მოლაპა-

რაკება პრაქტიკულად არ წარმოებდა, რადგან როგორც ნიკოლოზ ქარციევაძემ განაცხადა, სომხები ქართველებთან გულწრფელები არ იქნებოდნენ და ამიტომ მათთან დაკავშირება სარისკო იყო (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 56). იგივე აზრზე იდგა ნოე ხომერიკი, რომლის თქმით „ჩვენი პარტია მუსავატელებთან ხელიხელჩაკიდებული ივლის. დაშნაკებს კი მაინცდამაინც ვერ ვენდობით"-ო. სომხეთთან დაკავშირებით ნოე ჟორდანია, თავის სადირექტივო წერილში, აცხადებდა: „სომხეთი ჩვენ არ გამოგყვება, ყოველ შემთხვევაში დასაწყისში მაინც, მაგრამ შემდეგ (1924 წლის აჯანყების წარმატების შემთხვევაში — **ავტ.**) იძულებული გახდება ჩაებას ბრძოლაში". მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ქართველები მაინც შეეცადნენ სომხეთთან კავშირის დამყარებას, თუმცა უშედეგოდ.

1923 წლის მაისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბაქოში **ევტიხი სალუქვაძე** მიავლინა, რათა მას მუსავატელებთან კავშირი დაემყარებინა. ევტიხი სალუქვაძე მუსავატელების პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, **მირზა-ბალა-მამედ-ზადეს (მამედოვის),** რწმუნებულს **აღა-ალი იუსუფ-ზადეს** შეხვდა. მირზა-ბალა-მამედ-ზადემ, თავის მხრივ, აღა-ალი იუსუფ ზადეს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან კავშირის დამყარება დაავალა. 1923 წლის ნოემბერში აღა-ალი იუსუფ ზადე თბილისში ჩამოვიდა და გოგიტა ფაღავას შეხვდა, რომელმაც ის ნოე ხომერიკს შეახვედრა. ნოე ხომერიკმა აღა-ალი იუსუფ ზადეს შესთავაზა აზერბაიჯანს აჯანყებაში მონაწილეობა მიეღო, რომელიც ნოე ხომერიკის თქმით საქართველოში 2-3 კვირის შემდეგ დაიწყებოდა. აღა-ალი იუსუფ ზადემ განაცხადა, რომ აზერბაიჯანს აჯანყებაში მონაწილეობის მიღება 6 თვეზე უფრო ადრე არ

შეეძლო. ამასთან, აღა-ალი იუსუფ ზადემ ქართველებისგან მატერიალური დახმარება ითხოვა. ნოე ხომერიკი მას 300 თურქულ ლირას შეჰპირდა. 1923 წლის 9 ნოემბერს საქართველოს საგანგებო კომისიამ ნოე ხომერიკი დააპატიმრა, 1924 წლის თებერვალში — ევტიხი სალუქვაძე და აღა-ალი იუსუფ ზადე, მოგვიანებით კი — გოგიტა ფალავა. ამის შემდეგ, დამკომის კავშირი აზერბაიჯანთან გაწყდა (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 322-323).

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ჩრდილო კავკასიასთან კავშირი დაამყარა. ჩრდილო კავკასიასთან კავშირის დამყარება პირველად **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** სახელს უკავშირდება. ქაქუცა ჩოლოყაშვილს დაღესტნის გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერ **ნაჯბუდინ გაცინსკისთან** მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. 1923 წლის აგვისტოში ქაქუცა ჩოლოყაშვილი 7-8 კაციან რაზმთან ერთად ნაჯბუდინ გაცინსკისთან შესახვედრად გაემართა. 1923 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაღესტნიდან ჩეჩნეთში, კონკრეტულად კი **ტუმსოიში** გადავიდა (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 289). ჩეჩნეთში ქაქუცამ გავლენიანი ბეგის **ათაბაი უმაევის** მეშვეობით **ალი მიტაევთან** (ჩეჩნეთის შეიხი) კონტაქტი დაამყარა. ალი მიტაევი ქაქუცას კავკასიის მასშტაბით აჯანყების მოწყობაში დახმარებას დაჰპირდა (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 153-323). ცოტა ხნის შემდეგ, ათაბაი უმაევმა ქაქუცა ჩოლოყაშვილს აცნობა, რომ ჩეჩნეთში შეიარაღებული ქისტების რაზმი შეიქმნა, რომელიც კახეთში გადასასვლელად მზად იყო. მაგრამ ქისტების ეს რაზმი თუშებმა არ გამოატარეს, რადგან ქისტების მიერ მათი საქონლის გატა-

ცების დიდი ალბათობა არსებობდა (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1998, გვ. 324).

1923 წლის სექტემბერში სამხედრო კომისიის დავალებით (მაშინ მას ნოე ხომერიკი და გიორგი წინამძღვრიშვილი წარმოადგენდნენ) **გიორგი წინამძღვრიშვილი, კონსტანტინე ყარანგოზიშვილთან** ერთად, ბაქოს გავლით ჩეჩნეთში ალი მიტაევთან გაემგზავრა. ალი მიტაევი მზად იყო აჯანყებაში მონაწილეობა მიეღო და რამდენიმე ათასი მებრძოლიც გამოეყვანა, ოღონდ ის საქართველოდან 50 ოფიცრის ინსტრუქტორად გაგზავნას ითხოვდა. ალი მიტაევთან საუბარში გაირკვა, რომ ალი მიტაევსა და დაღესტნის უაღრესად პოპულარულ პირს იმამ **ნაჯმუდინს** შორის ერთგვარი შუღლი არსებობდა. თუმცა ალი მიტაევმა აღნიშნა, რომ ის მზად იყო საერთო საქმისთვის ეს წყენა დაევიწყებინა და გიორგი წინამძღვრიშვილის თანდასწრებით ნაჯმუდინს შერიგების თაობაზე წერილი მისწერა. გ. წინამძღვრიშვილმა კონსტანტინე ყარანგოზიშვილი ჩეჩნეთში დატოვა, თვითონ კი ათი დღის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 16).

საქართველოში დაბრუნებულმა გიორგი წინამძღვრიშვილმა ჩრდილო კავკასიაში მოგზაურობის ანგარიში ნოე ხომერიკს გააცნო, ამ უკანასკნელმა კი — კოტე ანდრონიკაშვილს. დამკომმა გიორგი წინამძღვრიშვილის მოგზაურობის ანგარიში მოისმინა და გადაწყვიტა: ჩრდილოეთ კავკასიასთან კავშირი შეენარჩუნებინა. რაც შეეხება 50 ქართველი ოფიცრის ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნას, უსახსრობის გამო ეს ვერ ხერხდებოდა.

მოგვიანებით, საქართველოში ერთი ჩეჩენი ჩამოვიდა, რომელმაც კონსტანტინე ყარანგოზიშვილის წერილი ჩამოიტანა. კ. ყარანგოზიშვილი ჩეჩნეთში 50 ქართველი ოფიცრის

გაგზავნის დაჩქარებას ითხოვდა. 1923 წლის მიწურულს საქართველოდან ჩეჩნეთში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, **ლეო დგებუაძე,** გაიგზავნა. ლ. დგებუაძეს შემდეგი სახის დირექტივები მიეცა: „1. ალი მიტაევი დაარწმუნე, რომ განვაგრძობთ გაძლიერებულ მუშაობას აჯანყების მოსამზადებლად და რომ ეს მუშაობა სერიოზულია; 2. აღუთქვი, რომ 50 ოფიცერს ვუგზავნით; 3. შეკრიბე ინფორმაცია ჩეჩნეთისა და მისი მეზობლების მდგომარეობაზე". 1924 წლის იანვრის დამდეგს საქართველოში ლეო დგებუაძე დაბრუნდა. მისი თქმით, ალი მიტაევმა კაზაკებთან ვინმე გენერალ **ფედიუშკინის** მეშვეობით გააბა კავშირი. მოგვიანებით, სამხედრო კომისიის წინადადებით (მაშინ მას გოგიტა ფაღავა და გიორგი წინამძღვრიშვილი წარმოადგენდნენ) ჩეჩნეთში **მიხეილ იშხნელი** გაემგზავრა. 1924 წლის თებერვლის შუა რიცხვებისათვის მიხეილ იშხნელმა ჩეჩნეთიდან საქართველოში ვიღაც ჩეჩენის ხელით წერილი გამოაგზავნა. ამ წერილით იგი საქართველოდან სათანადო ინფორმაციების მიწოდებას ითხოვდა. სწორედ ამ დროს საქართველოს საგანგებო კომისიამ გიორგი წინამძღვრიშვილი დააპატიმრა, რის გამოც ჩეჩენი ფაქტიურად საქართველოდან უპასუხოდ წავიდა. გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდეგ მალე ჩეჩნეთიდან საქართველოში მიხეილ იშხნელი დაბრუნდა, რომელმაც ჩეჩნეთთან კავშირის შენარჩუნების მიზნით თან ერთი ჩეჩენი ჩამოიყვანა.

დამკომის მიერ 1924 წლის თებერვლისათვის დანიშნული აჯანყება გოგიტა ფაღავას და გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრების გამო გადაიდო. ამიტომ, დამკომი ჩრდილო კავკასიასთან კავშირის შენარჩუნებას ცდილობდა.

1924 წლის 14 აგვისტოს დამკომმა ყალბი პასპორტებით ჩეჩნეთში ეროვნულ-დემოკრატი **ივანე ავალიშვილი** (ზურაბ ავალიშვილის ძმა), ეროვნულ-დემოკრატი **ვლადი-**

მერ ბერიძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნაკაშიძე გაგზავნა. ამ ჯგუფს შემდეგი სახის დირექტივები მიეცა: „1. რადაც უნდა დასჯდომოდა დაემყარებინა კავშირი ალი მიტაევთან; 2. ადგილზე გასცნობოდნენ საქმის ვითარებას და ერთერთი მათგანი დაბრუნებულიყო ინფორმაციის მისაწოდებლად და დირექტივების მისაღებად; 3. ცდილიყო, დაკავშირებოდა დაღესტანს ნაჯმუდინ გოცინსკის სახით". დამკომმა მათ სახარჯო ფული — 500-700 მანეთი გამოუყო. ამ ჯგუფმა გროზნოში ჩასვლის შემდეგ გაიგო, რომ ალი მიტაევი დაპატიმრებული იყო. ამის შემდეგ ჩრდილო კავკასიასთან კავშირი გაწყდა (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 153-327).

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ-დემოკრატი **შალვა ამირეჯიბი** ჩრდილო კავკასიასთან და აზერბაიჯანთან ერთად აჯანყებას მხარს არ უჭერდა. მისი აზრით, ევროპაში მთიელების დამოუკიდებლობის საკითხი პოპულარული არ იყო და მას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნდა. გარდა ამისა, შალვა ამირეჯიბის აზრით ჩრდილო კავკასიასთან და აზერბაიჯანთან ერთად აჯანყების მოწყობა საქართველოსათვის საზიანო იყო, რადგან როგორც შ. ამირეჯიბი აცხადებდა, საბჭოთა რუსეთი ბაქოს ნავთობს არ დათმობდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 16-17).

ასე რომ, საქართველო, რიგი მიზეზების გამო, იძულებული იყო 1924 წლის აჯანყება მხოლოდ საკუთარი ძალებით დაეწყო.

ამ მუშაობის პარალელურად საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ცდილობდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა მოეპოვებინა. ამ მიზნით, 1923 წლის 26 მაისს დამკომმა ერთა ლიგას წერილი გაუგზავნა (წერილის ასლი ასევე ევროპის სოციალისტურ პარტიებს, ამსტერდამის ინტერნაციონალს და ევროპის სახელმწიფოების

მთავრობებს გაეგზავნა). წერილში ნათქვამი იყო: „ქართველი ერის სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის გარშემო ადგილობრივ შემოკრებილია დღეს მრავალტანჯული ქართველი ერი, მიმართავს ერთა ლიგას და მისი საშუალებით მთელ განათლებულ კაცობრიობას და აუწყებს მათ ქართველი ერის დღევანდელ უბედურ მდგომარეობას.

ჩვენს მიერ აღწერილი სურათი ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობისა იქნება მკრთალი, რადგან შეუძლებელია სიტყვით გადმოცემა იმ ვაების, იმ წამებისა, რომელსაც დღეს განიცდის საქართველო...

1921 წლის თებერვალში რუსის ჯარი მოულოდნელად შემოესია ჩვენს საქართველოს... რუსეთმა ის კვლავ დაიპყრო. დღეს საქართველო კვლავ რუსეთის ოკუპაციის ქვეშაა. ეს ოკუპაცია — დაპყრობა არ შეედრება არც ერთ ისტორიაში არსებულ ეროვნულ ძალდატანებას და დაპყრობას... საქართველოში გამეფდა უსაშინელესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. დღეს საქართველოს განაგებს რუსეთის ჩეკა და დამსჯელი რაზმები... საქართველო სასაკლაოდ არის გადაქცეული. ნადგურდება და ისპობა პატარა კულტურული ერი. ვფიქრობთ, რომ ერთა ლიგა აიმაღლებს თავის ავტორიტეტულ ხმას ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ...

რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ამ ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი, გურია. ამ ორი თვის წინათ გურია, საქართველოს ეს საუკეთესო და კულტურული ნაწილი, სამხედრო ექსპედიციებმა მთლად გაანადგურეს. აქ ჩეკამ გაგზავნა დამსჯელი რაზმების მეთაურად ყოფილი ყაჩაღი, ახლა ბოლშევიკი ობოლაძე. ობოლაძემ გადასწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანაშაულო ხალხი, ცეცხლში დაწვა ახალგაზრდა უდანაშაულო 15 წლის ვაჟი. ეს ვერაგი მოკლეს და ამ მკვლელობას დამპყრობლებმა იმით

უპასუხეს, რომ ერთ ღამეში 92 კაცი გამოიყვანეს თბილისის ციხიდან და დახვრიტეს, მათ შორის 15 პოლიტიკური მოღვაწე, მასწავლებლები, სტუდენტები, კოოპერატორები, მუშები, გლეხები...

ამა წლის 20 მაისს რუსეთის ჩეკამ გაუსამართლებლად დახვრიტა 15 ქართველი მხედარი. ქართველი მხედრობის ხელმძღვანელნი — გენერლები, შტაბის ოფიცრები, სახელგანთქმული მეომრები და პოლიტიკური მოღვაწენი...

ისპობა და ნიავდება საუკუნეობით შექმნილი კულტურული ნაშთები. საქართველოში არ გაისმის არა თუ თავისუფალი სიტყვა და აზრი, მორწმუნე ხალხს ლოცვაც აღარ შეუძლია. ბოლშევიკურმა რუსეთმა დაანგრია და გაანადგურა ეკლესია-მონასტრები... საშუალო საუკუნეების ინკვიზიცია არარაა იმ წამებასთან, რომელსაც ოკუპანტები აყენებენ მუშებსა და გლეხებს... მაგრამ ქართველი ერი შეგნებულად ებრძვის დამპყრობელთ და იცავს თავის კულტურას და დამოუკიდებლობას.

ერთა ლიგისადმი მიმართვა ქართველი ერისათვის არის ერთი ამ საშუალებათაგანი... ისმინეთ ხმა კულტურული პატარა ერისა. ეს ერი იჟლიტება ფიზიკურად, ისპობა მისი კულტურა, ინგრევა მისი კულტურული კერა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს იმედი აქვს, რომ ერთა ლიგა — ეს სამართლიანობის უაღრესი ორგანო, მიიღებს ყოველგვარ ზომებს ქართველი ერის გადასარჩენად და მისი დამოუკიდებლობის აღსადგენად" (**ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია).** რედ. აკ. **როინ მეტრეველი.** თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 550-552). აღნიშნული წერილი **კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა** შეიმუშავა და რედაქტირებისთვის ის **დავით ონიაშვილს** გადასცა. დავით ონიაშვილმა რედაქტირების შემდეგ წერილი წასაკითხად **იასონ ჯავახიშვილს** და **მიხეილ ბოჭორიშვილს** გადასცა. სოციალისტ-ფედერალისტები

და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები წერილზე ხელმოსაწერად არ გამოცხადნენ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 374).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობით უკმაყოფილო იყო. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა წერილი, რომელიც ნოე ხომერიკს დაკავებისას აღმოაჩნდა. დამკომი კონსტანტინოპოლის და პარიზის კომიტეტებს შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნიდა: „თქვენდამი თხოვნით მიმართვამ არანაირი შედეგი არ გამოიღო. ორი თვეა თქვენ წერთ ერთი და იმავე შინაარსის წერილებს.— შალვა ქართველიშვილისაგან, შალიკაშვილის ხელწერით, 15-20/VIII თარიღით. 5/XII-ს მენშევიკებმა მიიღეს კონსტანტინოპოლიდან ფოსტა, დათარიღებული 8/XI-ით. ამას მოჰყვა 19/VIII-ით თარიღით დაწერილი წერილის ასლი და სხვა არაფერი.

ნუთუ შეუძლებელია პატარა წერილების გადაწერა.

მთავარი კომიტეტი განცვიფრებულია თქვენი საქციელით. აქამდე საზღვარგარეთ წასულმა არცერთმა პიროვნებამ და არც კომიტეტმა არაფერი არ შეგვატყობინეს თავის მუშაობაზე. აქ ბევრი საქმეა, ხოლო თქვენ კი იქ უსარგებლო საქმეებით ხართ დაკავებული.

იქ უნდა შეიქმნას კომიტეტი ორი პირისგან, საზღვარგარეთის საქმეების წარმოებისთვის, ამიტომაც მთავარი კომიტეტი ანულირებას უკეთებს ყველა მანდატს, რომელიც გამოცემულია საზღვარგარეთის ყოფილი წევრების მიერ /ასათიანი, გვაზავა, ბაქრაძე, გარდა კედიასი და გ. ვაშაპელის/.

ბოლო „ინტერვიუს“ ვთვლით არაწინდახედულად ნაციონალური საქმისთვის. ეს ნიშნავს კონსპირაციის დარღვევას, ჩვენი სამუშაოს ჩავარდნას.

ამ საკითხზე მოგვეცით ამომწურავი ახსნა განმარტება.

რა არის გაკეთებული დანიშნულ „ვადასთან“ დაკავშირებით. ორი თვე გავიდა, თქვენ კი დუმხართ.

დამკომი გაგიგზავნით ფრიად საიდუმლო მისიით განსაკუთრებულ კურიერს. ამ საკითხს ჩვენი პარტია მოაგვარებს წარმატებულად. პასუხი უნდა იყოს საჩქაროდ, ამ საკითხს მოეკიდეთ კონსპირაციულად.

5/VIII წერილით ადამიანი მოვა.

მთავარი კომიტეტი: შალვა, გიორგი, იასონი 7/XII-23 წელი“ (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 27).

1924 წლის მაისში საზღვარგარეთიდან თბილისში **ვასილ (ვასო) ნოდია, ვალიკო ჯუღელი, ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი, ვლასა მგელაძე, ვასილ ცინცაბაძე** და **ბიქტორ ცენტერაძე** ჩამოვიდნენ. მათ შემდეგი სახის ინფორმაცია ჩამოიტანეს: „საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას, და, თუ ვინიცობაა, აჯანყება დამარცხდეს, მაშინ მოძრაობა პროვინციებში უნდა გაგრძელდეს, რომ ამით პარიზში მყოფმა გაერთიანებულმა ცენტრმა შესძლოს ზოგიერთ მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოსთან დიპლომატიური წესით მოაგვაროს საქართველოს საკითხი რუსებთან“ (**სოლომონ ზალდასტანიშვილი.** 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1989, გვ. 27).

საქართველოს ემიგრანტული მთავრობა ვალიკო ჯუღელზე დიდ იმედს ამყარებდა. მას მალულად პარიზში სენსირის სამხედრო სკოლა დაამთავრებინეს. აჯანყებას სამხედრო თვალსაზრისით სწორედ ვ. ჯუღელი უნდა ჩადგომოდა სათავეში (**გელა სულაძე.** ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.). გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2010, გვ. 80).

1924 წლის ზაფხულში დამკომმა ნოე ჟორდანიასაგან სადირექტივო წერილი მიიღო (ეს წერილი ვლასა მგელაძემ ჩამოიტანა, რომელიც შემდეგ ბენია ჩხიკვიშვილს დაპატიმრებისას აღმოუჩინეს). ამ წერილში ნოე ჟორდანია დაწვრილებით მიმოიხილავდა საქართველოში აჯანყების საკითხს და მეზობლებთან (ჩრდილო კავკასია, აზერბაიჯანი) დამოკიდებულებას. თუმცა ეს წერილი საქართველოს საგანგებო კომისიას ჩაუვარდა ხელში (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 308).

საქართველოში აჯანყების თარიღის დანიშვნა დამკომის და მთავარსარდლის კომპეტენცია იყო. აჯანყების მთავარსარდლად გენერალ **სპირიდონ ჭავჭავაძის** კანდიდატურა წამოაყენეს. კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა სპირიდონ ჭავჭავაძესთან მოლაპარაკება დაიწყო. სპირიდონ ჭავჭავაძე შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდა. მთავარსარდლის დასახმარებლად ორი პოლკოვნიკი დაინიშნა. დამკომის გადაწყვეტილებით, აჯანყება საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულებას უნდა დამთხვეოდა (**სოლომონ ზალდასტანიშვილი.** 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1989, გვ. 23-26). დამკომმა საერთაშორისო ვითარების გასარკვევად საღვარგარეთ **ვასო ნოდია** გაგზავნა. ვ. ნოდიამ საზღვარგარეთ მომუშავე ქართულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებს აუწყა, რომ დამკომი უკვე მზად იყო საქართველოში აჯანყების დასაწყებად და ამიტომაც, დამკომს აინტერესებდა საერთაშორისო მდგომარეობა იყო თუ არა ხელსაყრელი. ვ. ნოდიამ საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა პასუხი — საერთაშორისო სიტუაცია აჯანყების დასაწყებად ხელსაყრელი იყო (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 373). საზღვარგარეთიდან მიღებული ინფორმაციების გათვალისწინე-

ბით, დამკომმა საქართველოში აჯანყება 1924 წლის თებერვლისათვის დანიშნა. მაგრამ, 1923 წლის 9 ნოემბერს საქართველოს საგანგებო კომისიამ **ნოე ხომერიკი** დააპატიმრა, 1924 წლის 24 იანვარს — **გოგიტა ფაღავა** (გ. ფაღავა აზერბაიჯანთან კავშირის დამყარების შემდეგ ბაქოდან ჩამოსულმა კაცმა გასცა, რომელმაც ჩეკისტი მის ფარულ ბინაში მიიყვანა), 1924 წლის 28 იანვარს — **გიორგი წინამძღვრიშვილი** (გ. წინამძღვრიშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან იარაღს აგზავნიდა, მაგრამ იარაღის წამღებთა შორის ერთი მოღალატე აღმოჩნდა) (**სოლომონ ზალდასტანიშვილი**. 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1989, გვ. 23). ამიტომ, დამკომი იძულებული გახდა, განხორციელებული მასობრივი დაპატიმრებებისა და ფულადი სახსრების უქონლობის გამო, აჯანყების თარიღი გადაეწია.

დამკომის და სამხედრო კომისიის ერთობლივი სხდომა 1924 წლის ივლისის დასაწყისში ჩატარდა. სხდომას ესწრებოდნენ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი, ვალიკო ჯუღელი, სოლომონ ზალდასტანიშვილი** და **შალვა ამირეჯიბი**. სამხედრო კომისიის მოხსენება სოლომონ ზალდასტანიშვილმა წაიკითხა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: აჯანყების მოწყობას აღმოსავლეთ საქართველოში თავის თავზე ქაქუცა ჩოლოყაშვილი იღებდა, რომლის განკარგულებაში 600 შეიარაღებული მებრძოლი იყო. ქაქუცა ჩოლოყაშვილს კახეთი, დუშეთის მაზრა და მანგლისის რაიონი უნდა აეჯანყებინა. გარე კახეთში აჯანყებისათვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უნდა ეხელმძღვანელა. გურიას (ძირითადად სოციალ-დემოკრატებს) 700 შეიარაღებული უნდა გამოეყვანა, სვანეთს — 600, სამეგრელოს — რამდენიმე ასეული. სვანეთის და სამეგრელოს შეიარაღებულ ძალებს აფხაზეთის დაკავება ევალებოდათ. იმერეთში იმედები ძირითადად შორაპნის მაზრაზე იყო დამყარებული. აჯანყების გეგმაში მთავრობის იარა-

ღის საწყობების ხელში ჩაგდება, ამ იარაღების მოსახლეობისათვის გადაცემა და ამით აჯანყების კიდევ უფრო გაფართოება შედიოდა. ქ. თბილისში სოციალ-დემოკრატებს 500 შეიარაღებული მებრძოლი უნდა გამოეყვანათ, ეროვნულ-დემოკრატებს — 150, სოციალისტ-რევოლუციონერებს — 60. სამთავრობო ჯარების რაოდენობა (რუსული წითელი არმია და წითელი არმიის ქართული ნაწილები), სოლომონ ზალდასტანიშვილის ინფორმაციით, 10-11 ათასს აღწევდა. ს. ზალდასტანიშვილის აზრით, წითელი არმიის ქართული ნაწილების აჯანყებულთა მხარეზე გადასვლის დიდი ალბათობა იყო (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 14).

1924 წლის ივლისის ბოლოს დამკომის და სამხედრო კომისიის მეორე გაფართოებული სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, ვალიკო ჯუღელი, სოლომონ ზალდასტანიშვილი, შალვა ამირეჯიბი** (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 246) და მთავარსარდალი გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე. ბინას, სადაც სხდომა ტარდებოდა **მიხეილ (მიშა) კოლუაშვილის** და ეროვნულ-დემოკრატთა შეიარაღებული რაზმი იცავდა. ეს სხდომა ფაქტიურად წინა სხდომის გაგრძელება იყო. მთავარსარდალმა განაცხადა, რომ ძალები აჯანყებისათვის და აჯანყების ტექნიკური თვალსაზრისით მომზადება მას საკმარისად მიაჩნდა (**სოლომონ ზალდასტანიშვილი.** 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1989, გვ. 29). საბოლოოდ, სხდომამ შეიარაღებული აჯანყების საკითხი დადებითად გადაწყვიტა. ამის შემდეგ, თანხმობის მიღების მიზნით, აჯანყების საკითხი დამკომში შემავალი პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში იქნა გადატანილი (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგ-

ნი პირველი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1998, გვ. 246). დამკომმა აჯანყების თარიღად 1924 წლის 17 აგვისტო დანიშნა. აჯანყება შემდეგი გეგმით უნდა წარმართულიყო: აჯანყება პირველად თბილისში დაიწყებოდა. ამისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით თბილისს 20 კილომეტრზე მიუახლოვდებოდა და სოფ. **ნახშირის გორასთან** დაბანაკდებოდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილს დაუკავშირდებოდნენ: **მიხეილ (მიშა) ლაშქარაშვილი** თავისი რაზმით, **გ. ნაცვლიშვილი** დუშეთისა და დიღმის რაზმით, **ელიზბარ ვაჩნაძე** ბორჩალოს რაზმით. ამ ძალებს მანგლისის რაზმი დაემატებოდა. ამ დროს ვაზიანში დისლოცირებული წითელი არმიის არტილერია 120 ზარბაზანს ითვლიდა. ამ იარაღის ხელში ჩაგდება თბილისის ბედს ნახევრად მაინც წყვეტდა. ამიტომ, აჯანყებულებს ეს არტილერია ხელში უნდა ჩაეგდოთ. ამ რაიონის სარდლად არტილერისტი, პოლკოვნიკი **ი. ცაგურია** დაინიშნა. ი. ცაგურიას განკარგულებაში სოციალ-დემოკრატთა რაზმი იყო. შემუშავებული გეგმით, ამ რაზმს რუსებისათვის ზარბაზნები უნდა წაერთმია და თბილისისათვის ნავთლულის მხრიდან უნდა შეეტია. აჯანყების მეორე დღეს თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის რაზმები ი. ცაგურიას განკარგულებაში უნდა გადასულიყვნენ (**სოლომონ ზალდასტანიშვილი**. 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1989, გვ. 30). 1924 წლის 6 აგვისტოს **ვალიკო ჯუღელი** დააპატიმრეს. ამან ძალაუნებურად აჯანყების გეგმა შეცვალა. ციხეში ჩეკისტმა **მოროზოვმა** ვალიკო ჯუღელს აჯანყების გეგმა დაუდო წინ (შესაძლებელია მის მიერ შედგენილი) და უთხრა, რომ სამხედრო კომისიის ერთ-ერთი წევრი ხელისუფლებას ინფორმაციებს აწვდიდა. ამან ვალიკო ჯუღელზე დიდად იმოქმედა და მან დამკომს რამდენიმე წერილი გაუგზავნა, რომელშიც აჯანყების საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას ითხოვდა. დამკომმა ვალიკო ჯუღელის წერილებს დიდი ყურადღება არ მიაქცია, რადგან საქართვე-

ლოს საგანგებო კომისიის საპყრობილიდან ანალოგიური შინაარსის წერილები ადრე **გიორგი წინამძღვრიშვილისა** და **გოგიტა ფალავას** სახელითაც მოვიდა. განსხვავება მხოლოდ წერილის კატეგორიულობაში იყო. დამკომმა ვალიკო ჯუღელთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო და მას თავისი წერილები უკანვე გაუგზავნა. მაშინ ვალიკო ჯუღელმა საქართველოს საგანგებო კომისიას დროებით გათავისუფლება და თავის თანამებრძოლებთან მოსალაპარაკებლად გაშვება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. საქართველოს საგანგებო კომისიამ მხოლოდ **ვანო ღლონტი** გაათავისუფლა, რომელმაც ვალიკო ჯუღელის სახელით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აჯანყებაზე ხელის აღება სთხოვა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ვანო ღლონტს უპასუხა: „გადაეცით ჯუღელს და ჩეკას, რომ გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არა სდგას და არც არავითარ აჯანყებას არ ვაპირებთ"-ო. ამ პასუხით საქართველოს საგანგებო კომისია რასაკვირველია არ დაკმაყოფილდა და მასობრივ რეპრესიებს მიმართა. ხელისუფლებამ მანევრებზე მყოფი წითელი არმიის ნაწილები თბილისში დააბრუნა, თბილისის ირგვლივ გზები შეკრა, საღამოს 9 საათიდან თბილისიდან გასვლა და თბილისში შემოსვლა აკრძალა, ქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტები გაამაგრეს, ქუჩებში პატრულები გამოიყვანეს და საეჭვო სამხედრო პირების დაპატიმრება დაიწყეს. ბათუმში გენერალი **ფურცელაძე** დააპატიმრეს, გურიაში — გენერალი **ს. ყარალაშვილი.** ყოველივე ამან დამკომს თავზარი დასცა (**სოლომონ ზალდასტანიშვილი.** 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1989, გვ. 30-31). დამკომმა აჯანყების 1924 წლის 17 აგვისტოს დაწყება გადაიფიქრა.

1924 წლის 18 აგვისტოს დამკომის პრეზიდიუმმა პლენარული სხდომა მოიწვია, რომელსაც ესწრებოდნენ: **კონ-**

სტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი და სამსონ დადიანი. სხდომას დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან არავინ დასწრებია. სხდომამ აჯანყების საკითხი კვლავ განიხილა. აჯანყებას მხარი დაუჭირეს: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმა და მიხეილ ბოჭორიშვილმა. სამსონ დადიანმა** კი სოციალისტ-ფედერალისტების სახელით პროტესტი განაცხადა და სხდომა დატოვა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 772). დამკომის ამავე სხდომაზე გადაწყდა აჯანყების თარიღი ხუთ კაცს განესაზღვრა: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, იასონ ჯავახიშვილს, შალვა ამირეჯიბს, დავით ონიაშვილს** (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარეს) და მთავარსარდალ გენერალ **სპირიდონ ჭავჭავაძეს**. მთავარსარდალ სპირიდონ ჭავჭავაძეს აჯანყების წარმატებაში ეჭვი შეეპარა და დამკომს აჯანყების გადადება სთხოვა. იასონ ჯავახიშვილმა, სოლომონ ზალდასტანიშვილის პირით, სპირიდონ ჭავჭავაძეს შეუთვალა: „აჯანყება უკვე დაწყებულია და ამ პირობებში უკან დახევა და მისი შეჩერება უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევს. ვთხოვ მთავარ-სარდალს თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგეს". იასონ ჯავახიშვილმა დამკომში მთავარსარდლის გადაყენება და მის ნაცვლად **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** დანიშვნა მოითხოვა. დამკომმა ეს წინადადება უარყო და სპირიდონ ჭავჭავაძე მთავარსარდლად დატოვა (**სოლომონ ზალდასტანიშვილი.** 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1989, გვ. 31-34).

1924 წლის 22 აგვისტოს დამკომის უკანასკნელი სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი და შალვა ამირეჯიბი.** სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აჯანყება საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. დამკომის ამავე

სხდომაზე გადაწყდა, რომ თბილისში აჯანყების დაწყებაზე უარი ეთქვათ, რადგან ხელისუფლებამ ქალაქში დამატებითი ძალების შემოყვანით კიდევ უფრო გაამაგრა იგი. თბილისზე შეტევა პროვინციებში წარმატების მიღწევის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 247). თბილისში სამხედრო კომისია დარჩა, რომლის წინაშე შესასრულებლად შემდეგი ამოცანები იდგა: ვაზიანის სამხედრო ბაზის დაკავება, აეროპლანების ხელში ჩაგდება (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 356-357), ფოსტა-ტელეგრაფის დაკავება, ჯავშნოსანი ავტომობილებისა და ჯავშნოსანი მატარებლის ხელში ჩაგდება, საქართველოს საგანგებო კომისიის შენობის დაკავება, სამხედრო კურსანტებისა და საავიაციო რაზმის დაპატიმრება (**სოლომონ ზალდასტანიშვილი.** 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1989, გვ. 36).

დამკომის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკურმა პარტიებმა ადგილებზე თავიანთ ორგანიზაციებს შეატყობინეს. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ **ქაქუცა ჩოლოყაშვილს** და **გოგი ჭაჭიაშვილს** (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში) შეტყობინებები გაუგზავნა (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 247).

1924 წლის 24 აგვისტოს ხუთმა კაცმა (კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, სპირიდონ ჭავჭავაძემ და დავით ონიაშვილმა) აჯანყების თარიღად 1924 წლის 28-29 აგვისტოს ღამის 2 საათი დანიშნეს (**სოლომონ ზალდასტანიშვილი.** 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1989, გვ. 36). საქართველოს დამო-

უკიდებლობის კომიტეტმა, დამკომის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, თბილისი 1924 წლის 27 აგვისტოს დატოვა და **შიო მღვიმის** ტყეში გადავიდა. შიო მღვიმის ტყეში ასევე გადავიდნენ: **დავით ონიაშვილი** და **შალვა ამირეჯიბი** შიო მღვიმის ტყეში ისინი **ქაქუცა ჩოლოყაშვილს** შეხვდნენ. საუბარი 2 საათს გაგრძელდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 192-194).

თავი VI. პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობა აჯანყების მომზადების მიზნით

1924 წლის აჯანყება პრაქტიკულად საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიისა და ოკუპაციის (1921 წლის თებერვალ-მარტი) შემდეგ მზადდებოდა. მზადებამ რამდენიმე ეტაპი გაიარა. აჯანყების მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას მიუძღვით.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. 1922 წლის გაზაფხულზე **სილვესტრ ჯიბლაძის** გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **სეით დევდარიანი** გახდა. ამის შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა ასეთი იყო: ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე — **სეით დევდარიანი,** პრეზიდიუმის წევრები — **ნოე ხომერიკი, კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი,** პლენუმის წევრები — **ვიქტორ (ბიქტორ) თევზაია, გრიგოლ ცინცაბაძე, იოსებ ცინცაძე, გიორგი (გოგიტა) ფაღავა** და **დავით ონიაშვილი (სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 192).

საფრანგეთიდან **ნოე ხომერიკის** დაბრუნების შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა თვისებრივად ახალ ეტაპზე ავიდა. ჩამოსვლისთანავე ნოე ხომერიკი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე გამოცხადდა. სხდომას სეით დევდარიანი თავმჯდომარეობდა. სხდომას ესწრებოდნენ: კოტე ანდრონიკაშვილი, გოგიტა ფაღავა, გრიგოლ ცინცაბაძე, იოსებ ცინცაძე და დავით ონიაშვილი. ნოე ხომერიკმა მოხსენება გააკეთა, რომელშიც გაანალიზა როგორც საერთაშორისო

მდგომარეობა, ისე საბჭოთა კავშირისა და კონკრეტულად საბჭოთა საქართველოს მდგომარეობა. ნოე ხომერიკის თქმით, საქართველოს საკითხი ევროპის ქვეყნებსა და ერთა ლიგაში აქტუალურად იხილებოდა. ამიტომ, ნოე ხომერიკის აზრით, საჭირო იყო საქართველოში სათანადო მუშაობა, რომ ხელსაყრელ ვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება დაწყებულიყო. სხდომაზე ნ. ხომერიკს დაუსვეს კითხვები საქართველოში საფრანგეთისა და ინგლისის შესაძლო ინტერვენციის თაობაზე. ამაზე ნ. ხომერიკმა განაცხადა, რომ ამ სახელმწიფოების მხრიდან შეიარაღებული დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ, თუმცა ფინანსებითა და იარაღით დახმარების მიღების და დიპლომატიური ჩარევის შესაძლებლობის ალბათობა მათი მხრიდან დიდი იყო.

ამდენად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შეიარაღებული აჯანყების საკითხი პირველად ნოე ხომერიკის საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ დაისვა. ნოე ხომერიკის აზრით, საქართველოში აჯანყება რომელიმე საერთაშორისო კონფერენციას უნდა დამთხვეოდა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საქართველოს მიმართ ყურადღება გაორმაგდებოდა. ტემპერამენტით გამორჩეული ნოე ხომერიკი მუშაობაში დიდი ენთუზიაზმით ჩაება. მან გოგიტა ფაღავასთან, იოსებ ციცაძესთან და სხვებთან ერთად ორგანიზაციული მუშაობა გარდაქმნა. „ორგანიზაციული კომისიის“ თავმჯდომარე **ნოე ხომერიკი** გახდა. მაზრებთან კავშირი სწრაფად აღდგა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 192-193).

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში რამდენიმე კომისია შეიქმნა. „პროფესიული მოძრაობის კომისიას“ **სეით დევდარიანი** თავმჯდომარეობდა. სეით დევდარიანი ასევე „სარედაქციო კომისიას“ (მასში შედიოდნენ დავით ონიაშვილი და კოტე ანდრონიკაშვილი) ხელმძღვანელობდა.

„საფინანსო კომისიას“ სათავეში **იოსებ ცინცაძე** ედგა. სარედაქციო კომისია დროგამოშვებით გაზეთ **„ჩვენი ერთობა“**-ს უშვებდა. აღნიშნული კომისია ასევე სხვადასხვა პროკლამაციებს ბეჭდავდა. დასაბეჭდად განკუთვნილი მასალა **კოტე ანდრონიკაშვილთან** იყრიდა თავს. საფინანსო კომისიის მუშაობა ძირითადად პარტიული საწევროების შეგროვებაში გამოიხატებოდა. შემოწირულობებსაც საფინანსო კომისია იღებდა. პარტიის მიერ გაწეული ხარჯების შესახებ მოხსენება ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იხილებოდა. უმეტესწილად მოხსენებას ამ საკითხზე **იოსებ ცინცაძე** აკეთებდა. პარტიის სახსრები ძირითადად საორგანიზაციო და სამხედრო კომისიების ეფექტურ მუშაობაზე იხარჯებოდა, უფრო ნაკლები — სარედაქციო კომისიის მუშაობაზე.

1923 წლის 9 ნოემბერს ნოე ხომერიკი დააპატიმრეს, რამდენიმე დღის შემდეგ — სეით დევდარიანი. მანამდე, ნახევარი წლით ადრე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია **ბიქტორ თევზაიამ** დატოვა, რომელმაც ამის თაობაზე პრესაში სათანადო განცხადება გააკეთა. პარტიიდან გასვლის მიზეზად ბ. თევზაიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტაქტიკის ცვლილება დაასახელა. კერძოდ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას ის არ ემხრობოდა. ნოე ხომერიკის და სეით დევდარიანის დაპატიმრების შემდეგ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემდეგი ცვლილებები მოხდა: თავმჯდომარედ **კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი** აირჩიეს, პრეზიდიუმის წევრებად: **გიორგი ჯინორია, ვასილ (ვასო) ნოდია** (რომელიც საფრანგეთიდან დაბრუნდა) და **დავით ონიაშვილი.** პლენუმის წევრები გახდნენ: **გრიგოლ ცინცაბაძე, იოსებ ცინცაძე** და **გიორგი (გოგიტა) ფაღავა.**

საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა მასობრივმა დაპატიმრებებმა ცვლილებები საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომისიებშიც გამოიწვია.

საორგანიზაციო კომისიაში შევიდნენ: **გიორგი ჯინორია, გრიგოლ ცინცაბაძე, გოგიტა ფაღავა**; სამხედრო კომისიაში: **ვასო ნოდია** და **გოგიტა ფაღავა** (ვასო ნოდიას დაპატიმრების შემდეგ კომისის წევრი გიორგი ჯინორია გახდა); სარედაქციო კომისიაში: **კოტე ანდრონიკაშვილი** და **დავით ონიაშვილი** (ამ კომისიაში ცვლილებები არ მომხდარა); საფინანსო კომისიაში: **კოტე ანდრონიკაშვილი** და **იოსებ ცინცაძე** (იოსებ ცინცაძე მოგვიანებით ემიგრაციაში წავიდა).

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებებს სამხედრო კომისიის წარმომადგენლები კოტე ანდრონიკაშვილი და გიორგი ჯინორია აკეთებდნენ. მათი განცხადებით, სამხედრო კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებელი იყო, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

საქართველოში შეიარაღებული აჯანყების ორგანიზების მიზნით საფრანგეთიდან **ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი** ჩამოვიდა, მაგრამ ის მალევე დააპატიმრეს. მანამდე პატიმრობაში **გრიგოლ ცინცაბაძე** აიყვანეს, მოგვიანებით — **ვალიკო ჯუღელი**. ამ დაპატიმრებებმა სამხედრო კომისიის მუშაობას დიდი დაღი დაასვა.

1924 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: **კოტე ანდრონიკაშვილი, გიორგი ჯინორია, დავით ონიაშვილი,** ასევე პროფესიული ბიუროს თავმჯდომარე და ახალგაზრდა მარქსისტთა წარმომადგენელი. სხდომაზე კოტე ანდრონიკაშვილმა და გიორგი ჯინორიამ დამკომის გაფართოებულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე მოხსენებები წაიკითხეს, რომლის თანახმად საქართველოში 1924 წლის აგვისტოს ბოლოს შეიარაღებული აჯანყება უნდა დაწყებულიყო. მათი თქმით, დამკომში აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ ჯერი დამკომში შემავალ

პოლიტიკურ პარტიებზე მიდგა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი საქართველოში შეიარაღებული აჯანყების დაწყებას დაეთანხმა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 193-194).

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. გიორგი წინამძღვრიშვილის დაპატიმრების შემდეგ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი ასეთი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე — **შალვა ამირეჯიბი**, თავმჯდომარის მოადგილე — **მიხეილ იშხნელი**, პრეზიდიუმის წევრი — **იასონ ჯავახიშვილი**, პლენუმის წევრები: **ელისე პატარიძე, ლეო დგებუაძე, დიმიტრი გოგნიაშვილი** (ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენელი), **ბიქტორ ყარანგოზიშვილი** (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე). ლეო დგებუაძისა და დიმიტრი გოგნიაშვილის დაპატიმრების შემდეგ ცენტრალურ კომიტეტში **სოლომონ ზალდასტანიშვილი** შევიდა.

მიხეილ იშხნელის ჩრდილო კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა გაიმართა. სხდომა საორგანიზაციო საკითხებს ეძღვნებოდა. სხდომის დღის წესრიგში იდგა: 1. სარედაქციო, საორგანიზაციო და საფინანსო კომისიების არჩევა; პარტიის წმენდა; 2. დამკომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის გადარჩევა. პირველ საკითხთან დაკავშირებით გადაწყდა შემდეგი: სარედაქციო კომისია არ აირჩა, რადგან უმრავლესობის აზრით არალეგალური ჟურნალ-გაზეთების გამოცემა დიდ ხარჯებს მოითხოვდა. სარედაქციო კომისიის ფუნქცია ფაქტიურად შალვა ამირეჯიბს უნდა შეესრულებინა. საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით დამტკიცდა: **მიხეილ იშხნელი, იასონ ჯავახიშვილი და ელისე პატარიძე**. მართალია ელისე პატარიძე საქართველოს ეროვ-

ნულ-დემოკრატიული პარტიის დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლად იყო დანიშნული, მაგრამ ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის წევრების დაპატიმრების შემდეგ ე. პატარიძე ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. საორგანიზაციო კომისიაში ფუნქციები შემდეგნაირად გადანაწილდა: დასავლეთ საქართველოში სამუშაოდ **გოგი ჭაჭიაშვილი** გაიგზავნა, ახალციხის, გორისა და თბილისის მაზრებში — **მიხეილ იშხნელი**, კახეთში, ბორჩალოსა და დუშეთის მაზრებში — **იასონ ჯავახიშვილი**.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საორგანიზაციო კომისიის დავალებით თავიდან დასავლეთ საქართველოში **მიხეილ გვალია** და **ელისე პატარიძე** მუშაობდნენ. მათი ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოს მაზრებში მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა. 1923 წელს სვანეთში **ბიძინა პირველთან ლეო დგებუაძე** გაემგზავრა. ამის შემდეგ სვანეთში მუშაობა **ბიძინა პირველს** მიენდო. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას სვანეთში კავშირი ასევე **ნესტორ გარდაფხაძესთან** ჰქონდა. სენაკის, ზუგდიდისა და ქუთაისის მაზრებში და ქ. ფოთში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენლების მუშაობა კარგად მიმდინარეობდა. რაც შეეხება ბათუმის ოლქს და შორაპნის მაზრას, იქ მუშაობა არადამაკმაყოფილებელი იყო. აფხაზეთში სამუშაოდ პარტიამ **სიმონ (ხუხუ) ხოფერია** გაგზავნა. ახალციხის მაზრაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა ფაქტიურად არ წარმოებდა. ამასთან დაკავშირებით მიხეილ იშხნელს ახალციხის მაზრის კომიტეტის თავმჯდომარესთან, **ალექსანდრე აზნაურიშვილთან** (რომელიც თბილისში ცხოვრობდა), ჰქონდა საუბარი. ალექსანდრე აზნაურიშვილი მიხეილ იშხნელს დაჰპირდა, რომ ის აჯანყებამდე ახალციხის მაზრაში წავიდოდა და მდგომარეობას გამოასწორებდა. აჯანყე-

ბამდე ორი კვირით ადრე მ. იშხნელი ა. აზნაურიშვილს ბინაში ეწვია და დაუყოვნებლივ ახალციხის მაზრაში გამგზავრება მოსთხოვა. ამაზე ა. აზნაურიშვილი შეცბუნდა და მ. იშხნელს განუცხადა, რომ ახლა ახალციხის მაზრაში წასვლა შეუძლებელიაო, რადგან ა. აზნაურიშვილის თქმით, მას იქ დააპატიმრებდნენ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 184).

ქ. თბილისში და თბილისის მაზრაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის „თბილისის კომიტეტი" (თეკა) მუშაობდა. ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ თეკა სხდომებს კონსპირაციის მიზნით არ ატარებდა. ბ. ყარანგოზიშვილის თქმით, თეკას პლენუმი 5 კაცისაგან შედგებოდა, პრეზიდიუმი კი — 3 კაცისაგან. ბ. ყარანგოზაშვილისავე თქმით, 4-5 რაიონული კომიტეტი (სამეული) იყო შექმნილი. კონსპირაციის მიზნით, ბ. ყარანგოზაშვილი მხოლოდ რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს უკავშირდებოდა. რაიონული ორგანიზაციები, თავის მხრივ, ათეულებად (მის სათავეში ათმეთაური და მისი თანაშემწე იდგნენ) და ხუთეულებად (ერთ ხუთეულს ათმეთაური მართავდა, მეორეს — მისი თანაშემწე) იყოფოდნენ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 185).

1922 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ საფინანსო კომისია ჩამოაყალიბა. საფინანსო კომისიაში შევიდნენ: **კონსტანტინე (კოტე) აფხაზი, მიხეილ ჯავახიშვილი** (ცნობილი მწერალი) და **გიორგი წინამძღვრიშვილი.** კოტე აფხაზის და მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდეგ საფინანსო კომისიაში მხოლოდ **გიორგი წინამძღვრიშვილი** დარჩა. 1923 წლის გაზაფხულზე გიორგი წინამძღვრიშვილი სამხედრო კომისიაში გადავიდა და საფინანსო კომისიაში ხაზინადრად **მიხეილ იშხნელი** დაინიშნა. საფინანსო კომისიას ფული დამკომიდან მოსდიოდა, რომელსაც **გიორგი წინამძღვრიშვილი** განკარგავდა. მიხე-

ილ იშხნელის ჩრდილო კავკასიაში გამგზავრების შემდეგ, მის ნაცვლად საფინანსო კომისიაში **დიმიტრი გოგნიაშვილი** დაინიშნა. თუმცა დიმიტრი გოგნიაშვილი ისე დააპატიმრეს, რომ მან პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის საფინანსო ანგარიშის ჩაბარებაც კი ვერ მოასწრო. მოგვიანებით, მიხეილ იშხნელი საფინანსო კომისიას კვლავ დაუბრუნდა, რადგან პარტიის წევრთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ხაზინადარი აუცილებლად პრეზიდიუმის წევრი უნდა ყოფილიყო. მიხეილ იშხნელმა ავადმყოფობის გამო ხაზინადარის ფუნქციები ვერ შეასრულა და ამიტომ დამკომიდან გამოგზავნილ თანხას **იასონ ჯავახიშვილი** განკარგავდა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში წმენდის მიზნით „სპეციალური კომისია" შეიქმნა. კომისიაში შევიდნენ: **მიხეილ იშხნელი, ელისე პატარიძე** და **დიმიტრი გოგნიაშვილი**. დიმიტრი გოგნიაშვილის დაპატიმრების, მიხეილ იშხნელის ავადმყოფობისა და ელისე პატარიძის ცენტრალური კომიტეტიდან გამოსვლის გამო კომისიას ფაქტიურად არ უმუშავია.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის, იასონ ჯავახიშვილის, გადარჩევის საკითხის განხილვისას **იასონ ჯავახიშვილმა** თავი უხერხულად იგრძნო და სხდომა დატოვა. საკითხმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. **შალვა ამირეჯიბის** სიტყვის შემდეგ გადაწყდა საკითხი ღიად დარჩენილიყო. ამდენად, დამკომში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლად იასონ ჯავახიშვილი დარჩა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 186).

1923 წლის აგვისტოში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა **დავით ვაჩნაძე** სამი თვით ოსმალეთში მიავლინა. დავით ვაჩნაძეს ოსმალეთის მთავრობისათვის უნდა ეთხოვა: ფული, იარაღი და საქართველოს საზღვრის სიახლოვეს ფარული ბინის მოწ-

ყობის ნებართვა. ფარულ ბინაში ქართველი მოხალისეების თავმოყრა უნდა მომხდარიყო. გარდა ამისა, ამ ბინის მეშვეობით ქართველ ემიგრანტთა წრეებში შეგროვილი თანხის თბილისში გადმოგზავნა უნდა გაადვილებულიყო. სტამბოლში დავით ვაჩნაძემ **მიხეილ წერეთლისა** და **მაჰმუდ თავდგირიძის** (სულთნის ყოფილი მინისტრის) დახმარებით ოსმალეთის მთავრობას წერილობით მიმართა. სწორედ ამ დროს ოსმალეთის მთავრობას მწვავე დავა ჰქონდა მოსულის თაობაზე ინგლისთან და, აქედან გამომდინარე, ოსმალეთის მთავრობის მინისტრმა **ფეჰტი ბეიმ** დავით ვაჩნაძეს შემოუთვალა: „მოსკოვის მეგობრობა გვესაჭიროება და ქართველებს ვერ დაგეხმარებითო" (**დავით ვაჩნაძე.** სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი). ნაწილი I.— ჟურნალი „ივერია", ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, 1992, №1, თბილისი-პარიზი, გვ. 131-132).

ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მოგვიანებით კი ის დამკომის განკარგულებაში გადავიდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილთან უშუალო კავშირი **დავით (დათა) ვაჩნაძეს** და **გიორგი წინამძღვრიშვილს** ჰქონდათ. ქაქუცას ფულადი საშუალებებით ხელს დამკომი უმართავდა.

მიხეილ ლაშქარაშვილის რაზმს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები თავისად თვლიდნენ. სოციალ-დემოკრატებმა რამდენჯერმე სცადეს მიხეილ ლაშქარაშვილთან დაკავშირება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა ქაქუცას წერილი მისწერეს და დახმარება სთხოვეს, მაგრამ ქაქუცასგან უარი მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ერთხელ მიხეილ ლაშქარაშვილს ასეთი რამ უთქვამს: „სამი წელი მე მხარს მიჭერდა ჩოლოყაშვილი და ახლა განა გადავალ მე მენშევიკებთან"-ო? (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 186).

თავი VII. საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაობა ეროვნული მოძრაობის ჩახშობის მიზნით

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტროგრადში განხორციელებული კონტრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად რუსეთში ხელისუფლებაში ბოლშევიკები (კომუნისტები) მოვიდნენ. ცხადია, რუსეთში იმთავითვე ძველი სახელმწიფო სტრუქტურების ნგრევა და ახლის შექმნა დაიწყო. 1917 წლის 8 ნოემბერს რუსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (შინსახკომი) შეიქმნა. ასევე სხვა სახალხო კომისარიატები (სამინისტროები) ჩამოყალიბდა.

საბჭოთა რუსეთის მთავრობას ჰაერივით სჭირდებოდა ისეთი სახელმწიფო ორგანოების ფორმირება, რომელიც ბოლშევიკების ძალაუფლების შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. სწორედ ამ მიზნით, 1917 წლის 20 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ **სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია** შექმნა. რუსეთის საგანგებო კომისიის პირველი თავმჯდომარე **ფილიპ ძერჟინსკი** გახდა. საგანგებო კომისიის მთავარი ამოცანა შემდეგში მდგომარეობდა: საბჭოთა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად და მტრულად განწყობილი ძალები გაენადგურებინა, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარი გამოსვლა, მათ შორის საბოტაჟი აღეკვეთა. საგანგებო კომისიის კომპეტენციაში ბანდიტიზმთან, სპეკულაციასთან, თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლა და პირველ ხანებში სახელმწიფო საზღვრების დაცვაც შედიოდა (**В. В. Коровин**. История отечественных органов безопасности. Издателъство „Норма", М., 1998, стр. 4; 248).

საგანგებო კომისიის ორგანოებს შეეძლოთ სასამართლოს სანქციის გარეშე მოქალაქეების ჩხრეკა და დაპატიმრება, საეჭვო პირებზე აგენტურული თვალთვალის დაწესება, ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციების შემოწმება,

მოქალაქეების საზღვარგარეთ გასახლება და სხვ. (**В. В. Коровин**. История отечественных органов бсзопасности. Издателъство „Норма", М., 1998, стр. 21).

საბჭოთა რუსეთში ძალოვანი სტრუქტურების ჩამოყალიბების კვალდაკვალ იწყება წითელი ტერორი. 1918-1919 წლებში რუსეთში საგანგებო კომისიისა და სხვა ძალოვანი ორგანოების მიერ 10 000 ადამიანი იქნა დახვრეტილი, რომელთა შორის მრავლად ქალები, ბავშვები და მოხუცებიც (დახვრეტილთა რაოდენობაში არ შედის სამოქალაქო ომის ფრონტებზე სამხედრო ტრიბუნალების განაჩენით დახვრეტილი თეთრი არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები იყვნენ). წითელი ტერორის მსხვერპლი ხდებოდნენ არა მხოლოდ ანტისაბჭოთა ორგანიზაციების წევრები, არამედ აგრეთვე თავადაზნაურობის წარმომადგენლები, მეფის არმიის გენერლები, სასულიერო პირები და სხვ. ხშირად ადამიანებს მხოლოდ იმის გამო აპატიმრებდნენ, რომ ისინი მსჯავრდებულების ნათესავები იყვნენ.

საგანგებო კომისია ფაქტიურად რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სადამსჯელო ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც ცენტრალური კომიტეტის დირექტივებით მოქმედებდა. საგანგებო კომისიის ოპერატიული განყოფილების თანამშრომლები ისედაც დრაკონულ საბჭოთა კანონებს ფეხქვეშ თელავდნენ, თვითნებურად აპატიმრებდნენ როგორც რუსეთის ისე უცხოელ მოქალაქეებს, მათ შორის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსაც (**В. В. Коровин**. История отечественных органов безопасности. Издателъство „Норма", М., 1998, стр. 6-18).

მოგვიანებით, საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან **გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო** შეიქმნა. გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებში არსებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოების

ხელმძღვანელობა დაევალა (**В. В. Коровин**. История отечественных органов безопасности. Издательство „Норма", М., 1998, стр. 26-27).

საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ, ცხადია, საქართველოშიც რუსეთის ანალოგიური ძალოვანი სტრუქტურების ფორმირება დაიწყო.

1921 წლის 25 თებერვალს, 14 საათსა და 28 წუთზე, თბილისში, ქალაქის მმართველობის შენობაში, **მამია ორახელაშვილის** თავმჯდომარეობით **საქართველოს რევოლუციური კომიტეტის** პირველი სხდომა შედგა. სხდომამ **შალვა ელიავას, მიხეილ ოკუჯავას, ლადო დუმბაძის, გიორგი ელისაბედაშვილის, შოთა გაბრიჩიძის** (სხდომის მდივანი) მონაწილეობით პირველ საკითხად საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანიზებისა და კომისიის დროებით თავმჯდომარედ **გიორგი ელისაბედაშვილის** დანიშვნის საკითხი მოისმინა. 1921 წლის 26 თებერვალს საქართველოს რევკომმა №2 ბრძანებით „კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის საგანგებო საგამომძიებლო კომისია" შექმნა. საქართველოს საგანგებო კომისიის საქმიანობის წარმართვისა და მისი ყოველდღიური უშუალო ხელმძღვანელობის მიზნით შეიქმნა **კოლეგია** საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის **კოტე ცინცაძის** და ხუთი წევრის (**კ. იაშვილის, ნ. ნოვიცკის, ვ. წივწივაძის, ა. ობოლაძის, ი. სტანსკის**) შემადგენლობით. 1921 წლის 9 აპრილის სხდომაზე აღნიშნული კოლეგია საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ უცვლელად დაამტკიცა. 1921 წლის მარტში ბათუმის საოლქო და ქუთაისის საგუბერნიო საგანგებო კომისიები შეიქმნა. დამტკიცდა მათი კოლეგიები თითოეული ოთხ-ოთხი წევრის შემადგენლობით. 1921 წლის მარტის ბოლოს **აფხაზეთის საგანგებო კომისია** შეიქმნა. ამიერკავკასიის რკინიგზის გა-

ერთიანებასთან დაკავშირებით **ამიერკავკასიის საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისია** შეიქმნა, ცენტრით თბილისში. ამიერკავკასიის საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის უფროსად საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე დაინიშნა.

საქართველოს საგანგებო კომისია რუსეთის საგანგებო კომისიისაგან პერიოდულად სახელმძღვანელო დოკუმენტებს ღებულობდა, რომელთაც როგორც წესი, გრიფი **„სრულიად საიდუმლო“** ან **„საიდუმლო“** ჰქონდათ.

1921 წლის 16 ივლისს საბჭოთა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ მიღებული დეკრეტით აჭარა ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადდა. ამის შემდეგ, ბათუმის საოლქო საგანგებო კომისიამ თავისი მოქმედების სფერო აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაავრცელა და აჭარის საგანგებო კომისიად გარდაიქმნა.

1921 წლის სექტემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სადირექტივო წერილის თანახმად, **საქართველოს საგანგებო დანიშნულების ნაწილების** შექმნის შესახებ დადგენილება მიიღო. 1921 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს საგანგებო დანიშნულების ნაწილების სარდლად **გ. ხუტულაშვილი** დაინიშნა. საქართველოს საგანგებო დანიშნულების ნაწილების სამხედრო საბჭო შეიქმნა, რომელშიც შევიდნენ: გ. ხუტულაშვილი, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრი, საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და საქართველოს წითელი არმიის პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი.

საქართველოს საგანგებო კომისიასთან, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის თავმჯდომარეობით, ცენტრალური სახელმწიფო **საინფორმაციო სამეული** შეიქმნა. აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო სამეულები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტის მდივნის, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისა და საგანგებო კომისიის ერთი თანამშრომლის შემადგენლობით განისაზღვრა. სამაზრო საინფორმაციო სამეულში კი შედიოდნენ: საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტის მდივანი, მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მაზრის საგანგებო კომისიის უფროსი.

საინფორმაციო პუნქტის უფროსი საქართველოს საგანგებო კომისიის დავალებისა და სხვა გადაუდებელი ოპერატიული ამოცანების შესრულებისათვის იყენებდა მაზრის მილიციას, მის უფროსთან წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ.

საბჭოთა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 10 ნოემბრის დადგენილების თანახმად, საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ **ეპიფანე კვანტალიანი** დაინიშნა. ქუთაისის გუბერნიის საგანგებო კომისია პოლიტბიუროდ გადაკეთდა, ზუგდიდის, ლეჩხუმის, რაჭის პოლიტბიუროების ბაზაზე **საინფორმაციო პუნქტები** შეიქმნა. მაზრებში **საფილტრაციო კომისიები** ფუნქციონირებდა, რომელთა წევრები სამაზრო კომიტეტის მდივნები, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეები და პოლიტბიუროს უფროსები იყვნენ. პერიოდულად საფილტრაციო კომისიის სხდომები იმართებოდა, რომლებზეც ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების დაპატიმრებულ წევრთა ფილტრაციის საკითხებს იხილავდნენ (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული

ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004, გვ. 12-16). აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგანგებო კომისიასთან სპეციალური კომისია არსებობდა, რომელიც **„მავნე პირების"** ადმინისტრაციულ გადასახლებას ახორციელებდა (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №811, ფურცელი 7).

1921 წლის ივლისიდან საქართველოს საგანგებო კომისიის სამხედრო განყოფილების ბაზაზე საბჭოთა საქართველოს **წითელი არმიის განსაკუთრებული განყოფილება** ჩამოყალიბდა.

1921 წლის გაზაფხულიდან თბილისში ამიერკავკასიაში საბჭოთა რუსეთის საგანგებო კომისიის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ დაიწყო ფუნქციონირება. რუსეთის საგანგებო კომისიის წარმომადგენლობა საქართველოს საგანგებო კომისიის საქმიანობაში უხეშად ერეოდა. 1922 წლის 12 მარტს **ამიერკავკასიის საგანგებო კომისია** შეიქმნა, რომლის თავმჯდომარედ **სოლომონ მოგილევსკი** დაინიშნა. საქართველოს საგანგებო კომისიისა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი აგენტურულ-ინფორმატორულ მუშაობას ეკავა. 1922 წლის ზაფხულისათვის საქართველოს საგანგებო კომისიას საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 17 აგენტ-ინფორმატორი ჰყავდა, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში — 14 (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004, გვ. 14-17).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგანგებო კომისიასა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობდა. ამიერკავკასიის საგანგებო

კომისიის თანამშრომლები საქართველოს საგანგებო კომისიის კომპეტენციაში უხეშად ერეოდნენ. მაგალითად, 1924 წლის მარტის შუა რიცხვებში ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თანამშრომელი **ურუშაძე** საქართველოს საგანგებო კომისიის ინფორმატორ **„ტარზანის“** სახლში მივიდა და აუწყა მას, რომ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში იბარებდნენ. „ტარზანი“ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კანცელარიაში ერთ საათიანი ლოდინის შემდეგ კონტრდაზვერვის უფროსთან, **აშუკინთან,** მიიყვანეს. აშუკინმა „ტარზანს“ მოსთხოვა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიისათვის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესახებ მის ხელთ არსებული მასალები გადაეცა. „ტარზანმა“ აშუკინს მიუგო, რომ ის საქართველოს საგანგებო კომისიაში მუშაობდა და არ შეეძლო მისთვის ინფორმაციის მიწოდება. აშუკინმა „ტარზანი“ მუქარით აიძულა ინფორმატორის ანკეტა შეევსო, რის შემდეგაც მას ახალი მეტსახელი **„ჯუღელი“** მისცა. გარდა ამისა, საქართველოს საგანგებო კომისიის ინფორმატორი **„X“** ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა. საქართველოს საგანგებო კომისია „X“-ის გათავისუფლებას ითხოვდა, მაგრამ უშედეგოდ. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ „X“ მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლა, რაც ამ უკანასკნელმა საქართველოს საგანგებო კომისიაში მუშაობაზე უარი თქვა და თანხმობა განაცხადა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სასარგებლოდ ემუშავა **(სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 12-15).

თავის მხრივ, საქართველოს საგანგებო კომისიის მიმართ პრეტენზიები ამიერკავკასიის საგანგებო კომისიასაც გააჩნდა. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, **პანკრატოვი,** საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, **ეპიფანე კვანტალიანის,** სახელზე გაგზავნილ წერილში საყვედურით აღნიშნავდა, რომ საქართველოს საგანგებო კომისია ამიერკავკასიის საგანგებო კო-

მისიის მოთხოვნებს იგნორირებას უკეთებდა. კერძოდ, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მზადების დამადასტურებელი მასალების გადაგზავნა მოითხოვა, მაგრამ უშედეგოდ. პანკრატოვის თქმით, საქართველოს საგანგებო კომისიამ მოთხოვნის მიუხედავად ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას ქართული ანტისაბჭოთა პარტიების წევრების სიები და სხვა მასალები არ გადაუგზავნა. პანკრატოვი ეპიფანე კვანტალიანისათვის მიწერილ წერილში საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მოთხოვნების შეუსრულებლობის ორ შესაძლო მიზეზზე საუბრობდა. მისი თქმით, შესაძლებელი იყო საქართველოს საგანგებო კომისიის აპარატი საქართველოს საგანგებო კომისიის ხელმძღვანელების მითითებებს არ ასრულებდა, ან თვით საქართველოს საგანგებო კომისიის ხელმძღვანელები ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის მოთხოვნებს უგულებელყობდნენ. პირველი ვარიანტის დადასტურების შემთხვევაში პანკრატოვი საქართველოს საგანგებო კომისიის ფილტრაციას მოითხოვდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 8). საქართველოს საგანგებო კომისიასა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას შორის ასეთი დაძაბული ურთიერთობა წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. საკითხი ვერც საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და ვერც კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში ვერ გადაწყდა. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობის მუშაობის დროს **სერგო ორჯონიკიძე, ლავრენტი ბერია** და **ლევან ღოღობერიძე ფილიპე ძერჟინსკის** შეხვდნენ, სადაც გადაწყდა, რომ ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიას საერთო ხელმძღვანელობა დარჩებოდა, ხოლო მთელი ოპერატიული აპარატი საქართველოს საგანგებო კომისიის ხელში გადავიდოდა. ამასთან, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის შემადგენლობაში საქართველოს სა-

განგებო კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილე უნდა შეეყვანათ. მიუხედავად ამ ცვლილებისა, საქართველოს საგანგებო კომისიასა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიას შორის დაპირისპირებები შემდეგშიც გრძელდებოდა (**ბ. ლომინაძის წერილი მ. კახიანისადმი.**— ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი", 1989, №3, გვ. 50).

1922 წლის მიწურულიდან საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ **ლავრენტი ბერია** დაინიშნა. ლავრენტი ბერიას მისვლის შემდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაობა უფრო ეფექტური გახდა. ამასთან, ლავრენტი ბერიამ მიზნად დაისახა საქართველოს საგანგებო კომისიაში ხელმძღვანელობისაგან ფარულად **საიდუმლო განყოფილება** შეექმნა. ამ განყოფილების მიზანი იყო არა მარტო კონტრევოლუციური ელემენტების ლიკვიდაცია, არამედ თვით საქართველოს კომუნისტურ პარტიაში არსებულ არასაიმედო პირთა გამოვლინება და მათ წინააღმდეგ სამხილის შეგროვება. ამ სარისკო ნაბიჯის გადადგმით ლავრენტი ბერია საქართველოს საგანგებო კომისიისაგან სრულიად დამოუკიდებელ კონტრდაზვერვის სამსახურს ქმნიდა, რომელიც მხოლოდ მის დაქვემდებარებაში იქნებოდა და „ბებერ ბოლშევიკთა" შეურყეველ სკამებს ძირს გამოუთხრიდა. საიდუმლო განყოფილების შექმნით ლავრენტი ბერია მოსკოვთან კავშირის განმტკიცებას და ფ. ძერჟინსკისთან და თვით ი. სტალინთან საიდუმლო მოხსენებების გაგზავნას ისახავდა მიზნად. მეორე მხრივ, მოსკოვთან მჭიდრო კავშირით ლავრენტი ბერია საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში საკუთარ იმიჯს იქმნიდა. საიდუმლო განყოფილების შემადგენლობაში შემავალი ოფიცრები, რომლებსაც ლავრენტი ბერია უსაზღვროდ ენდობოდა, ფაქტობრივად დამხმარე პერსონალისა და ქვემდგომი ადმინისტრაციული სამხედრო აპარატის გარეშე უკაბინეტოდ მუშაობდნენ. ოფიცრები მოპოვებული ინფორმაციით ერთმანეთს

ე.წ. **ნეიტრალურ ზონებში,** ან თვით ლავრენტი ბერიას მიერ შერჩეულ ბინებსა და აგარაკებზე ხვდებოდნენ. საბოლოოდ, 1923 წლის 15 მარტს ლ. ბერიამ თორმეტკაციანი ჯგუფი, გრიფით **სრულიად საიდუმლოდ,** შექმნა, რომელიც თავის მხრივ სამ ქვეჯგუფად დაიყო. პირველ ჯგუფს **რეგიონული სექტორი** წარმოადგენდა, რომელშიც შედიოდნენ: **მანუჩარ შელია, დუტუ წულეისკირი** და **იასონ ტარბა.** ჯგუფს არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესთა შესწავლა და ცენტრთან შეთანხმებით კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღება ევალებოდა. ჯგუფის ხელმძღვანელად ლავრენტი ბერიამ **მანუჩარ შელია** დანიშნა და მას მეტსახელი **„კაკო“** (მ. შელიას ძველი ბოლშევიკური მეტსახელი) მისცა. ამ ჯგუფს ასევე საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიაზე დივერსიული და



სერგო ორჯონიკიძე



ლავრენტი ბერია



სოლომონ მოგილევსკი

ძლიერი საინფორმაციო ქსელის შექმნა ევალებოდა, რომლის ცენტრი თბილისში იქნებოდა. პირველი ჯგუფის ფუნქციაში პოლიტიკური შპიონაჟის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაც შედიოდა. პოლიტიკური შპიონაჟის გამოცდილი მუშაკები ინფორმაციის მოპოვებისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის მიზნით ფარულად საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ პარტიებში უნდა შესულიყვნენ. პირველი ჯგუფის გავლენის ქვეშ აგიტაცია-პროპაგანდის სფეროც მოექცა. მეორე ჯგუფის დანიშნულებას **სადამსჯე-**

ლო ოპერაციების ჩატარება წარმოადგენდა — არასაიმედო პირთა დაპატიმრება, დაკითხვა და შემდგომში, სიტუაციიდან გამომდინარე, მათი დასჯა. მეორე ჯგუფი პირადად ლ. ბერიას ექვემდებარებოდა. ამ ჯგუფს სათავეში ლ. ბერიას სოხუმელი მეგობარი **კონსტანტინე ჯობავა** ედგა, მისი მოადგილე კი **დავით ნაკანი** (იგივე **„სვანი“**) იყო. მეორე ჯგუფის, სამხედრო ცენტრისა და ადმინისტრაციის უფროსად **სიმონ დანელია** დაინიშნა. მეორე ჯგუფის მოვალეობაში დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა დაკავებისა და დაკითხვის გარდა **საიდუმლო განყოფილების** ყველა წევრის პირად უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ნდობით აღჭურვილ პირთა მოძიება და ახალი პოლიტიკურ-სამხედრო მეთოდებით **ახალგაზრდული სექტორის** შექმნაც შედიოდა. ახალგაზრდული სექტორის თანამშრომლებს გარკვეული დროის შემდეგ **ძველი გვარდია** უნდა შეეცვალა. ახალგაზრდულ სექტორში ძირითადად უდედ-მამო ბავშვები, მეფის დროს ტერორიზმისა და ანარქიის მიმდევარი ახალგაზრდები მიჰყავდათ. ახალგაზრდულ სექტორს **როსტომ სანაია** ხელმძღვანელობდა. **მესამე ჯგუფი** ფაქტობრივად **დაცვის კორპუსს** წარმოადგენდა, რომელსაც ლ. ბერიას პირადი უსაფრთხოების დაცვა ევალებოდა. მართალია, ლ. ბერიას უსაფრთხოებას საქართველოს საგანგებო კომისიის ხელმძღვანელობის მიერ მისთვის გამოყოფილი დაცვა უზრუნველყოფდა, მაგრამ ლ. ბერია დაცვას არ ენდობოდა. მესამე ჯგუფს ვინმე **მარღანია** ხელმძღვანელობდა. საიდუმლო განყოფილების შემადგენლობაში შემავალი სამი ჯგუფიდან საქართველოს საგანგებო კომისიის ხელმძღვანელობას შეეძლო მხოლოდ მესამე ჯგუფი ჰყოლოდა კონტროლის ქვეშ, რადგან პირველი და მეორე ჯგუფის არსებობის შესახებ ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა (**მანუჩარ (კაკო) შელია.** მემუარები.— გაზეთი „დილის გაზეთი“, 1999, №152, 7 ივლისი, გვ. 17).

საქართველოს საგანგებო კომისია თავის მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოქმედი პოლიტიკური პარტიების დაშლა-განადგურებას უთმობდა. საგანგებო კომისიაში სპეციალურად მესამე და მეოთხე ქვეგანყოფილებები შეიქმნა, რომლებიც შესაბამისად მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ მუშაობდნენ (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004, გვ. 18). საგანგებო კომისიას თავის დაქვემდებარებაში ინფორმატორები ჰყავდა, რომლებიც კონსპირაციის მიზნით სხვადასხვა სახელებს (ფსევდონიმებს) ატარებდნენ, როგორიცაა: **„ჟორდანია“ (სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 10), **„ფალავა“ (სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 10), **„ელიზბარი“ (სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2520, ფურცელი 274), **„ენვერი“, „Приезжий“, „სულეიმანი“, „ჩ“, „კიაზიმ ბეი“, „ახმედი“, „X“ (სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 13-14), **„მაუზერი“ (სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 667), **„კილი“ (სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333-61, ფურცელი 90), **„სხულუხია“, „ჩიქავა“ (სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333-61, ფურცელი 124-126), **„აფხაზეთი“ (სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 130), **„მოსკოვი“ (თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003, გვ. 54), **„ტარზანი“, „ჯუღელი“ (სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 12), **„სალია“, „ალიოღლი“, „ლორჟუ“, „გაიდაშკინი“, „ტემნიძე“, „კალანდია“, „თოდუა“ (თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების ბრძოლა პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ საქართველო-

ში (1921-1923 წწ.).— ჟურნალი „საისტორიო შტუდიები". IV. თბილისი, 2003, გვ. 149) და სხვ.

საგანგებო კომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ინფორმატორთა" დაფინანსებას. ეს დაფინანსება საკმაოდ სოლიდური იყო. ამაზე ნათელ წარმოდგენას სენაკის მაზრის მილიციის უფროსის, **დ. ანდრონიკაშვილის,** მოხსენებითი ბარათი გვაძლევს. 1923 წლის 5 თებერვალს დ. ანდრონიკაშვილმა სოფ. **ისულაში** კონსპირაციული კრების მოწყობის მცდელობისას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) სენაკის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე, **აკაკი (კაკო) კალანდარიშვილი** და მისი მცველი, **ალექსანდრე ჯიქიძე,** დააპატიმრა. დ. ანდრონიკაშვილი მოხსენებით ბარათში ინფორმატორების დაფინანსების გაზრდას მოითხოვდა: „ასეთი საიდუმლო და თვალსაჩინო პოლიტიკური საქმის აღმოჩენისათვის უკვე ჩემს მიერ გაცემულია ოცდაათი მილიონი მანეთი საიდუმლო აგენტისადმი, რომლისათვის მისაცემია კიდევ 50. 000 000 მანეთი. ამ თანხის მიცემა აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს შემდეგშიც ასეთი საქმის სათანადო მოსაწყობად. მოგახსენებთ რომ ამას, გთხოვთ სათანადო განკარგულებას, რომ მომეცეს მე საიდუმლო ხარჯებისათვის ზემოთ ნაჩვენები ოთხმოცი მილიონი (80. 000 000) და ხსენებული თანამშრომლები თოფურია, გვაძაბია, მირცხულავა და დანელია მათზე მინდობილი ასეთი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი საქმის სათანადოდ შესრულებისათვის იქნან მატერიალურად დაჯილდოებულნი თქვენი შეხედულებით სხვების სამაგალითოდ" (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №476, ფურცელი 17). საქართველოს საგანგებო კომისიას ფარული აგენტები საზოგადოების სხვადასხვა ფენებში ჰყავდა, მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმშიც კი. საგანგებო კომისიისათვის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრთან, კალე მისაბიშვილთან, ურთიერთობა წარ-

მატებული აღმოჩნდა. 1923 წლის დასაწყისში საქართველოს საგანგებო კომისიამ კ. მისაბიშვილი ციხიდან გაათავისუფლა. კ. მისაბიშვილი არალეგალურ საქმიანობაში კვლავ ჩაერთო, თუმცა მის მიმართ თანაპარტიელებში ერთგვარი ეჭვები გაჩნდა. მიხეილ ჯავახიშვილის, კოტე აფხაზის, ვარდენ წულუკიძისა და სხვების დაპატიმრების შემდეგ კ. მისაბიშვილის საგანგებო კომისიასთან თანამშრომლობა გამომჟღავნდა. ამიტომ, საიდუმლო თათბირზე იასონ ჯავახიშვილმა, გიორგი წინამძღვრიშვილმა, ნიკო კეცხოველმა და სხვებმა კ. მისაბიშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია გადაწყვიტეს. კ. მისაბიშვილმა იასონ ჯავახიშვილისა და გიორგი წინამძღვრიშვილის წინაშე აღიარა, რომ პატიმრობაში მყოფი იძულებული გახდა საქართველოს საგანგებო კომისიასთან ეთანამშრომლა (**გელა სულაძე**. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.). გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა", თბილისი, 2010, გვ. 75).

საქართველოს საგანგებო კომისიაში არსებულ მესამე ქვეგანყოფილებას დამატებით საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიაზე და სასულიერო პირებზე კონტროლის დაწესება ევალებოდა. საქართველოს საგანგებო კომისია სასულიერო პირების დევნა-შევიწროების პარალელურად მათ კომპრომეტირებას ეწეოდა. ჩეკისტების მიერ შეთითხნილი პასკვილები პერიოდულად პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003, გვ. 58;66).

1923 წლის 10 თებერვალს ოზურგეთში ორმხრივი შეტაკების დროს ჩეკისტების: **ა. ობოლაძის, დ. ჩუბინაშვილისა** და **პ. სანიკიძის** დაღუპვის გამო საქართველოს საგანგებო კომისიამ გურიაში 98 კაცი დახვრიტა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 309).

1923 წლის აპრილში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის **სამხედრო კომისიაში** გადაწყდა სპეციალური რაზმი შექმნილიყო, რომელიც იმ შემთხვევაში თუ პატიმრობაში მყოფ კოტე აფხაზსა და მის თანამებრძოლებს სიკვდილს მიუსჯიდნენ, მათ გათავისუფლებას შეეცდებოდა. სპეცრაზმი როტმისტრ ვ. ყარანგოზაშვილის მეთაურობით შეიქმნა. საქართველოს საგანგებო კომისიას ამ რაზმის შექმნა არ გამოჰპარვია და მისი წევრების ძებნა დაიწყო. საქართველოს საგანგებო კომისიასთან ფარულად ვ. ყარანგოზაშვილის რაზმის წევრი შ. კანდელაკი თანამშრომლობდა. შ. კანდელაკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს საგანგებო კომისიამ ვ. ყარანგოზაშვილის რაზმს ჩასაფრება მოუწყო, შეტაკებისას ვ. ყარანგოზაშვილი დაიღუპა.

საქართველოს საგანგებო კომისია პატიმრობაში მყოფი პირების იდეური დამუშავებისა და მათი მეშვეობით აჯანყებისათვის მზადების მონაწილეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდებსაც აქტიურად იყენებდა. საქართველოს საგანგებო კომისიაში გიორგი წინამძღვრიშვილის წერილი სწორედ ასე დაიწერა. გ. წინამძღვრიშვილი თანამებრძოლებს თხოვდა უარი ეთქვათ აჯანყებაზე, ყველა შეიარაღებული რაზმი დაეშალათ და აჯანყების ორგანიზატორები ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად საზღვარგარეთ წასულიყვნენ (**გელა სულაძე**. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.). გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, თბილისი, 2010, გვ. 76-79).

1923 წლის 30 ივნისს ვარშავიდან საქართველოს საგანგებო კომისიას „წყარო“ ატყობინებდა, რომ: „ქართველმა მენშევიკებმა გააძლირეს არალეგალური მუშაობა თავის საიდუმლო რეზიდენტ ნოე ხომერიკის მეშვეობით, რომელიც ამჟამად იმყოფება რიზეში და იქიდან მუშაობს საქართველოზე...“ (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები

ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003, გვ. 59).

1923 წლის იანვარში საქართველოს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 53 წევრი დააპატიმრა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განკარგულებაში გადააგზავნა. 1923 წლის 27 იანვარს საქართველოს საგანგებო კომისიამ რესპუბლიკის მასშტაბით სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც 1000 ადამიანი დააპატიმრა. ამ დაპატიმრებულთაგან 40%-მა პარტია დატოვა, რის შესახებაც მათ პრესაში სათანადო განცხადება გააკეთეს. 1923 წლის 17 თებერვალს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 34 აქტიური წევრი დააპატიმრა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განკარგულებაში გადააგზავნა. 1923 წლის 22 თებერვალს საგანგებო კომისიამ საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტების ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა დააპატიმრა (თავმჯდომარე **ლომთათიძე,** მდივანი **ჩაჩუა,** წევრები: **ნუცუბიძე, კალანდაძე, ნაკაიძე,** ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე უფლებამოსილი პირი: **რაზმაძე, იოსელიანი, ცერცვაძე, დოლიძე** და სხვ.). ჩხრეკის დროს საგანგებო კომისიამ შემდეგი სახის მასალები ამოიღო: საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანებები და ინსტრუქციები, რუსეთის საგანგებო კომისიის ბრძანება, საქართველოს საგანგებო კომისიის 1922 წლის აგენტურული მუშაობის საინსტრუქტურო ტელეგრამა, საქართველოს საგანგებო კომისიის 1922 წლის აგვისტოს ტელეგრამა და საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოხსენების დედანი საქართველოში ბანდიტიზმის შესახებ. 1923 წლის 7 მარტს საქართველოს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სტამბა ჩაიგდო ხელში,

სტამბის გამგე **რუსიაშვილი** და ასოთამწყობი **ურუშაძე** კი პატიმრობაში აიყვანა. 1923 წლის 13 მარტს საქართველოს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის მეოთხე და მეექვსე რაიონების კომიტეტების ლიკვიდაცია განახორციელა, 9 კაცი კი დააპატიმრა, მათ შორის თბილისის კომიტეტის წევრი **ნაკაიძე**. 1923 წლის 15 მარტს საქართველოს საგანგებო კომისიამ მორიგი სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტის უფლებამოსილი პირი **კალანდაძე,** წევრები — **ჩანტლაძე** და **ხაფავა** დააპატიმრა. ასევე დააპატიმრეს რაიონული ორგანიზატორები. 1923 წლის 17 მარტს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე სტამბა ჩაიგდო ხელში, პატიმრობაში აიყვანა სტამბის გამგე **მანასე გოგუაძე** და სახლის მეპატრონე **მუჯირიშვილი** (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 814-16). 1923 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრის, **კალე მისაბიშვილის,** ჩვენების საფუძველზე **სამხედრო ცენტრის** 15 წევრი დააპატიმრეს (**ლია კერესელიძე**. თხუთმეტთაგან ერთ-ერთი...— ჟურნალი „საარქივო მოამბე", 2010, №9, გვ. 37).

1923 წლის 19 მაისს საქართველოს საგანგებო კომისიისა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიების ერთობლივი სხდომა ჩატარდა. სხდომას **სოლომონ მოგილევსკი** თავმჯდომარეობდა. სხდომას ესწრებოდნენ: **პანკრატოვი, ეპიფანე კვანტალიანი, ლავრენტი ბერია, მამია ორახელაშვილი, მიქელაძე** და **შალვა ელიავა**. სხდომის დღის წესრიგში სამხედრო ცენტრის დაპატიმრებულ წევრთა საკითხი იდგა. ამ საკითხზე მოხსენება კონტრდაზვერვის უფროსმა, **აშუკინმა,** გააკეთა. საბოლოოდ, სხდომამ სამხედრო ცენტრის წევრებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წი-

ნააღმდეგ შეთქმულების მოწყობა, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის შექმნა და მასში მონაწილეობა, ანტანტის სასარგებლოდ შპიონაჟი, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს გაცემა და ღალატი „დაუმტკიცა" (**მანუჩარ (კაკო) შელია**. მემუარები.— გაზეთი „დილის გაზეთი", 1999, №153, 8 ივლისი, გვ. 17). სხდომამ სამხედრო ცენტრის წევრებს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა შეუფარდა. შესაბამისად, 1923 წლის 21 მაისს, დილის 4 საათსა და 30 წუთზე, თბილისში ვაკის პარკის ტერიტორიაზე ჩეკისტებმა სამხედრო ცენტრის წევრები დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის იყვნენ: **ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, ვარდენ გრიგოლის ძე წულუკიძე, გიორგი ნიკოლოზის ძე ხიმშიაშვილი, როსტომ ილიას ძე მუსხელიშვილი, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, ნიკოლოზ მიხეილის ძე ზანდუკელი, სიმონ ლევანის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი, ფარნაოზ რევაზის ძე ყარალაშვილი, იასონ მათეს ძე კერესელიძე, ივანე გრიგოლის ძე ქუთათელაძე, სიმონ (იგივე ნასყიდა) იაგორის ძე ჭიაბრიშვილი, ალექსანდრე მიხეილის ძე მაჭავარიანი, ელიზბარ ზაქარიას ძე გულისაშვილი, ლევან ირაკლის ძე კლიმიაშვილი, დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩრდილელი** (ნესტან კირთაძე. კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 75-77). დახვრეტის წინ სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელმა თანამებრძოლები შემდეგი სიტყვებით გაამხნევა: **„რატომ ტირით, ვაჟკაცები არა ხართ, თქვენ ხომ იცით რატომაც ვკვდებით, მე მხოლოდ ის მადარდებს სამშობლოსთვის ვერაფერი რომ ვერ გავაკეთეთ, მაგრამ ჩვენს უკან რჩება ხალხი, რომელიც ჩვენს გასაკეთებელს გააკეთებს და ჩვენც იმქვეყნად გავიგებთ, როცა საქართველო იქნება თავისუფალი. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!"** (სშსა (II), ფონდი №6, საქმე №23540-61, ფურცელი 34). კოტე აფხაზის უკანასკნელი სიტ-

ყვები კი იყო: **„მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!"** (**ლელა ეძგვერაძე**. 1924 წლის აჯანყების ასახვა ლიტერატურაში. დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1996, გვ. 31). აღსანიშნავია, რომ თხუთმეტივე ქართველი ოფიცერი დახვრეტის წინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნს, **დიდებას,** მღეროდა (**ლია კერესელიძე**. თხუთმეტთაგან ერთ-ერთი...— ჟურნალი „საარქივო მოამბე", 2010, №9, გვ. 45). 1923 წლის 11 ივნისს საქართველოს საგანგებო კომისიამ კოტე აფხაზთან თანამშრომლობისა და შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობის ბრალდებით მეტეხის ციხის რამდენიმე პატიმარი დახვრიტა (**მანუჩარ (კაკო) შელია**. მემუარები.— გაზეთი „დილის გაზეთი", 1999, №153, 8 ივლისი, გვ. 17). სამხედრო ცენტრის საქმეზე საქართველოს საგანგებო კომისიამ დააპატიმრა: გიორგი ივანეს ძე მაზნიაშვილი, რევაზ გიორგის ძე ჩიქოვანი, ნიკოლოზ დავითის ძე ციციშვილი, ივანე ნიკოლოზის ძე ბროძელი, დიმიტრი დავითის ძე გვარამაძე, დავით კონსტანტინეს ძე იოსელიანი, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე არლიშვილი, ალექსანდრე თეოფანეს ძე სონღულაშვილი, გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილი, ვლადიმერ ფარნაოზის ძე ყიფიანი, კონსტანტინე დავითის ძე ქვარიანი, პეტრე მიხეილის ძე სარაჯიშვილი, იასონ მათეს ძე კერესელიძე, ალექსანდრე გიორგის ძე ანდღულაძე, ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილი, მიხეილ ნიკოლოზის ძე მახველაძე, შალვა ლავრენტის ძე კვალიაშვილი, არჩილ რაჟდენის ძე ჯაჯანაშვილი (**ნესტან კირთაძე**. კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 87).

საქართველოს საგანგებო კომისიამ გურიაში სამხედრო ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი ორი პოლკი გა-

მოავლინა. საქართველოს საგანგებო კომისიამ ინფორმაციის მიღებისთანავე ოზურგეთში პირები მიავლინა, რომლებსაც ამ სამხედრო ძალის მოქმედების ყველა ნიუანსი დეტალურად უნდა შეესწავლათ (**მანუჩარ (კაკო) შელია.** მემუარები.— გაზეთი „დილის გაზეთი", 1999, №151, 6 ივლისი, გვ. 17).

1923 წლის 13 აპრილს საქართველოს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონტრდაზვერვის უფროსი, **ჩიქოვანი,** დააპატიმრა. ჩხრეკის დროს ჩიქოვანს საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი მასალები აღმოუჩინეს. დააპატიმრეს ასევე კონტრდაზვერვის რამდენიმე წევრი (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 816). 1923 წლის 21-30 აპრილს საქართველოს საგანგებო კომისიის საიდუმლო სარდაფში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის 10 კაციანი ჯგუფის დაკითხვა ჩატარდა. დაპატიმრებულებმა წამების ქვეშ აღიარეს, რომ 1922 წლიდან ანტისაბჭოთა საქმიანობაში მონაწილეობდნენ. დაპატიმრებულებმა 72 კაცი დაასახელეს, რომლებიც ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდნენ. ეს ადამიანები საქართველოს საგანგებო კომისიამ ერთ თვეში პატიმრობაში აიყვანა. 1923 წლის 2 მაისს ლავრენტი ბერიას მიწისქვეშა კაბინეტში, რომელიც ძერჟინსკის ქუჩის №20-ში მდებარეობდა, მანუჩარ შელიამ ლ. ბერიას საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრების აღიარებები და იმ ბოლშევიკების სია გააცნო, რომლებმაც თავიანთ სამუშაოს თავი აარიდეს ან ანტისაბჭოთა მოღვაწეებთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს. დასახელებული ბოლშევიკების სიას ლ. ბერიამ იმათი გვარებიც დაუმატა, რომელთა განადგურებაც ჰქონდა გადაწყვეტილი. ორი დღის შემდეგ ეს სია, გრიფით **„სრულიად საიდუმლოდ",** ფ. ძერჟინსკის მაგიდაზე იდო (**მანუჩარ (კაკო) შელია.** მემუარები.— გაზეთი „დილის გაზეთი", 1999, №152, 7 ივლისი, გვ. 17). 1923 წლის 10 მაისს საქართველოს საგანგებო კომისიამ, მთელი რესპუბლიკის მასშტა-

ბით, მეორე სპეცოპერაცია ჩაატარა. სულ 1198 ადამიანი დააპატიმრეს, რომელთაგან 1000 მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მათ თავიანთი პარტიიდან გასვლის თაობაზე განცხადება გააკეთეს. 1923 წლის მაისში საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 81 აქტიური წევრი დააპატიმრა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განკარგულებაში გადააგზავნა. 1923 წლის 7 ივნისს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის არქივი ჩაიგდო ხელში. აღნიშნული მასალა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში გადააგზავნეს. 1923 წლის ივნისში საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტის 1923 წლის შემადგენლობა დააპატიმრა (თავმჯდომარე **ვასაძე,** მდივანი **ებანოიძე,** წევრები: **ვადაჭკორია, ბოლქვაძე, ნაკაიძე**). დაპატიმრებულთაგან ორი: ვადაჭკორია და ვასაძე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებიც იყვნენ. 1923 წელს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციების ლიკვიდაცია განახორციელა ახალ სენაკში, ფოთში, გორში და სოხუმში (აფხაზეთის სამხარეო კომიტეტი). 1923 წლის აგვისტოში საგანგებო კომისიამ, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან კავშირის გამო, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხელმძღვანელი, **სიმონ ვასილის ძე ყიფიანი,** დააკავა. 1923 წელს საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, **მარო დვალი,** დააპატიმრა. როგორც გამოირკვა, ქალთა ორგანიზაციას მიზნად ჰქონდა დასახული ის ქალები გაეერთიანებინა, რომლებიც საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას თანაუგრძნობდნენ. 1923 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში საქართველოს საგანგე-

ბო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები: **ილარიონ გეორგაძე** და **სამსონ დობორჯგინიძე** დააპატიმრა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 816-824). 1924 წლის ივლისში საგანგებო კომისიამ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაშიფრული წერილი და ფული ჩაიგდო ხელში. წერილი საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ დაკავებულ ქაქუცა ჩოლოყაშვილის კურიერს აღმოაჩნდა, რომელიც თბილისიდან კახეთში ბრუნდებოდა. წერილი 1923 წლის 7 დეკემბრით იყო დათარიღებული (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 25).

საქართველოს საგანგებო კომისია პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფ პირებს აქტიურად ადევნებდა თვალყურს. საბჭოთა წარმომადგენლობებში ანტისაბჭოთა ემიგრაციასთან მიმართებაში ფუნქციები ასე იყო გადანაწილებული: იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხებზე პასუხისმგებელი სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ერთ-ერთი მუშაკი იყო, მაგალითად პირველი მდივანი, ხოლო ოპერატიულ-სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზებას საგარეო დაზვერვის რეზიდენტი ახორციელებდა. საზღვარგარეთ საბჭოთა წარმომადგენლობების ის მუშაკები, რომლებსაც კონკრეტულად ემიგრანტებთან მუშაობა ჰქონდათ დავალებული ძირითადი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების პარალელურად, ვალდებული იყვნენ, საგარეო დაზვერვის დავალებით, სპეციფიკური ხასიათის ფარული საქმიანობა ეწარმოებინათ. ხშირ შემთხვევაში დაზვერვის გამოცდილ მუშაკს საქართველოს საგანგებო კომისიის უცხოეთის განყოფილება საზღვარგარეთ გარკვეული პერიოდით მიავლენდა. ის საბჭოთა წარმომადგენლობებში, შესაბამისი შტატით, განსაზღვრულ თანამდებობას იკავებდა, რაც მისთვის შეფარების უწყებას წარმოადგენდა. კონკრეტული სადაზვერვო და იდეოლოგიური საკითხების გადასაწყვეტად საზღვარგარეთ

საბჭოთა ხელისუფლების და საგარეო დაზვერვის ცალკეული წარმომადგენლების მოკლევადიან მივლინებებსაც ჰქონდა ადგილი (**გელა სულაძე**. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.). გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა", თბილისი, 2010, გვ. 94).

1924 წლის 25 ივლისს საქართველოს საგანგებო კომისიამ პარიზიდან საქართველოში სპეციალური დავალებით ჩამოსული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, **ბენია ჩხიკვიშვილი,** დააპატიმრა. 1924 წლის 6 აგვისტოს, თბილისში, საღამოს 10 საათზე და 35 წუთზე, საქართველოს საგანგებო კომისიამ **ვალიკო ჯუღელი** აიყვანა პატიმრობაში. აღსანიშნავია, რომ ვალიკო ჯუღელს საქართველოს საგანგებო კომისია გამუდმებით უთვალთვალებდა. მის ამოსაცნობად საქართველოს საგანგებო კომისიამ პატიმრობაში მყოფი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრი გაამწესა. იმ საღამოს ვალიკო ჯუღელი პლეხანოვის პროსპექტზე მიდიოდა ქართველ მანდილოსან ქეთევან ხუციშვილთან ერთად. კინოთეატრ **„აპოლოსთან"** ახალგაზრდა მარქსისტმა ვალიკო ჯუღელი იცნო და იმ წამსვე ჩეკისტ **ლავრენტიევს** ანიშნა, რომელიც მას უკან მისდევდა. ლავრენტიევმა ვალიკო ჯუღელი დააპატიმრა, როცა ამ უკანასკნელმა ბორანთან ჩაუხვია და მდინარე მტკვრის მეორე ნაპირზე გადასვლა დააპირა. დაპატიმრების დროს ვალიკო ჯუღელს ჯიბეში ორი რევოლვერი აღმოაჩნდა ვაზნებით. ვ. ჯუღელი ერთ პატარა ოთახში შეიყვანეს და ლავრენტი ბერიას აცნობეს. როდესაც ლ. ბერია ოთახში შევიდა ვ. ჯუღელმა ირონიულად შეათვალიერა ის და თქვა: „მე არა მწყინს, რომ დამიჭირეს, ვგრძნობდი, რომ ასეც მოხდებოდა, მე ისა მწყინს, ამ თახსირმა და სალახანამ რომ დამიჭირა" (**ედიშერ ნარიმანიძე**. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წლებში. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიე-

რო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2000, გვ. 167-169). 1924 წლის 7 აგვისტოს ვალიკო ჯუღელმა თავის მოკვლა სცადა: მარცხენა ხელზე 6 ადგილას ძარღვები გაიჭრა და ჭრილობა ჟანგით ამოივსო, თუმცა გადარჩა. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის №19 კამერაში მოთავსებული ვალიკო ჯუღელი საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ, **ეპიფანე კვანტალიანმა,** მოინახულა. ე. კვანტალიანმა ვალიკო ჯუღელს გააცნო მასალები, რომლის შემდეგ ვალიკო ჯუღელი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქართველოს საგანგებო კომისიაში მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ყველაფერი იცოდნენ. ამის შემდეგ, ვ. ჯუღელმა იზოლატორიდან თავის ამხანაგებს წერილი მისწერა და მოუწოდა მათ აჯანყებაზე ხელი აეღოთ. ამასთან, ვ. ჯუღელმა ე. კვანტალიანს წინადადებით მიმართა ის 3-4 დღით გაეთავისუფლებინათ. ეს დრო ვ. ჯუღელს თავის თანამებრძოლებთან მოსალაპარაკებლად სჭირდებოდა, რის შემდეგაც ის კვლავ ჩეკისტებს დაუბრუნდებოდა. ვ. ჯუღელმა ამ თხოვნაზე უარი მიიღო (**ვალიკო ჯუღელი.** ღია წერილი ყველა ამხანაგებისა და ყოფილ სახალხო გვარდიელებისადმი.—გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №196, 29 აგვისტო, გვ. 3-4).

საქართველოს საგანგებო კომისიის საპყრობილის სარდაფებში პატიმრებს სასტიკად აწამებდნენ. ხელებშეკრულ პატიმრებს საბარგო მანქანებში ყრიდნენ. მანქანები წინასწარ იყო ამუშავებული, რომ გარეთ გაყვანილი პატიმრების ყვირილი სხვებს არ გაეგონათ. პატიმრები დახვრეტის ადგილზე წინასწარ გამზადებულ ორმოსთან მიჰყავდათ და დახვრეტის შემდეგ ორმოში ყრიდნენ. ხშირად პატიმრების დახვრეტა საქართველოს საგანგებო კომისიის სარდაფებში ხდებოდა. ქუთაისის საგანგებო კომისიის სარდაფში **„კომენდანტ სმერტი“** (ახუნდოვი) მუშაობდა, საშინელი შესახედაობის კაცი, რომელიც თეთრ ჩერქესკას იცვამდა. „სმერტი“ პატიმრებს სარდაფში ხოცავდა და შემდეგ საღორიის ტყეში

მიჰქონდა დასამარხად. დახვრეტის შემდეგ მისი თეთრი ჩერქესკა სისხლით იყო ხოლმე შეღებილი. დასახვრეტად გამზადებული ადამიანები უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდნენ და როგორადაც შეეძლოთ ჯალათებს უსწორდებოდნენ. მაგალითად, ერთმა პატიმარმა, გვარად **ორმოცაძემ** (სოფ. ნიგოეთიდან), როცა ის ჯალათმა **შულმანმა** გამოიძახა, რათა დახვრეტის განაჩენი მოეყვანა სისრულეში, ჯიბიდან ჭიქის ნატეხი ამოილო, შულმანს სახეზე დაჰკრა და დაასახიჩრა. ცხადია, ორმოცაძე იქვე მოკლეს (**რევაზ კვერენჩხილაძე**. საბუთები ღაღადებენ... თბილისი, 2007, გვ. 218-219). იზოლატორებში საქართველოს საგანგებო კომისიის დივერსანტ-ინფორმატორებიც იჯდნენ, რომლებსაც „ღირებული" ინფორმაციები უნდა მოეპოვებინათ (**მანუჩარ (კაკო) შელია**. მემუარები.— გაზეთი „დილის გაზეთი", 1999, №152, 7 ივლისი, გვ. 17). პატიმრები მისჯილი ვადის გასვლის შემდეგაც საპატიმროებში რჩებოდნენ. ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1922 წელს ქუთაისის სისხლის სამართლის განყოფილების ინსპექტორის, **პ. მიქაბერიძის,** მოხსენება. პ. მიქაბერიძე აღნიშნავდა: „სატუსაღოში დაპატიმრებულ იყვნენ 10 კაცი და ქალი, რომლებზედაც არავითარი დადგენილება არ იყო დაწერილი. დაპატიმრებულნი სხედან განსაზღვრულ ვადაზე მეტი /იხ. სია №5/. ამ არა ნორმალურ მოვლენას უსათუოდ უნდა მოეღოს ბოლო. მაგალითად პატიმარი ფიოლიძე დაპატიმრებულია 7 მარტიდან და როგორც სჩანს სიის შენიშვნაში /იხ. ფურც. №5/ შეჩერებულია დროებით, ვინაიდან ადგილობრივად წასვლა და კვლევა-ძიების მოხდენა [აქ ერთი სიტყვა არ იკითხება — **ავტ.**] საჭიროა; წასვლა კი ჯერ შეუძლებელია, რადგანაც სახარჯო ფული არსად არის. აღძრულია შუამდგომლობა ფულების მიცემისა და მილებისთანავე იქნება მილებული შესაფერი ზომები. ასე რომ ფული თუ არ მიიღეს იმ შემთხვევაში ფიოლიძე იჯდება სულ ციხეში. ჩემი შეხედულებით ნაჩვენები პირები თითქმის ტყუილად სხე-

დან" (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №324, ფურცელი 239). იყო შემთხვევები, როდესაც არალეგალურად მომუშავე პირები საპყრობილის უფროსების მოსყიდვას ახერხებდნენ და პატიმრებს სხვადასხვა ნივთებს აწვდიდნენ (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23478, დამატება).

1923 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს საგანგებო კომისიის ინფორმაციით, მთელ საქართველოში 273 „პოლიტბანდიტი" მოქმედებდა, მათ შორის **კახეთში** ქაქუცა ჩოლოყაშვილი — 20 კაცით, **შორაპნის მაზრაში** მიხაკო აბულაძე — 4 კაცით, **შორაპნის მაზრაში** გრიგოლ აბაშიძე — 7 კაცით, **შორაპნის მაზრაში** ვარლამ კაპანაძე — 30 კაცით, **შორაპნის მაზრაში** მორჩიაშვილი — 9 კაცით, **შორაპნის მაზრაში** ილიკო ჯუღელი — 15 კაცით, **ოზურგეთის მაზრაში** ღლონტია გოგუა — 15 კაცით, **ბათუმის მხარეში** მანწკავა და გოგიტიძე — 40 კაცით, **ოზურგეთის მაზრაში** დობორჯგინიძე — 35 კაცით, **ქუთაისის მაზრაში** კეთილაძე — 3 კაცით, **ოზურგეთის მაზრაში** მათითაიშვილი — 16 კაცით, **ფოთში** ბესარიონ ჯაში — 8 კაცით, **ზუგდიდის მაზრაში** ბაგრატ ხონელია — 5 კაცით, **აფხაზეთსა** და **სვანეთში** კონსტანტინე (კონია) დადეშქელიანი — 6 კაცით, **აფხაზეთში** ევტიხი სიჭინავა — 3 კაცით.

1923 წლის აგვისტოში საქართველოს საგანგებო კომისიაში 97150 დაშიფრული წერილის გაშიფვრა მოხდა, მათ შორის 1261 უცხოეთიდან იყო შემოსული, წითელი არმიიდან — 650. გარდა ამისა, საგანგებო კომისიას 97568 ტელეგრამის გაშიფვრა მოუხდა. კონფისკაციაქმნილი წერილების რაოდენობამ 10630 შეადგინა. 1923 წლის სექტემბრის თვეში საგანგებო კომისიაში 97623 წერილი გაშიფრეს. 1923 წლის აგვისტოში საგანგებო კომისიამ 430 წიგნის კონფისკაცია განახორციელა, სექტემბერში კი — 17 წიგნის. 1923 წლის 1 იანვრიდან 1923 წლის 1 ოქტომბრამდე სულ 447 წიგნი იქნა კონფისკაციაქმნილი. ამ წიგნების უმეტესობას ძველი და

ახალი აღთქმის, საღვთისმსახურო, მართმადიდებელი ეკლესიის ისტორიისა და სხვა წიგნები შეადგენდა. 1923 წლის აგვისტოში საგანგებო კომისიამ შემდეგი ფილმების კონფისკაცია მოახდინა: 1) **გათავისუფლებული იერუსალიმი** (ოთხ ნაწილად); 2) **ორი ძმა** (ერთ ნაწილად); 3) **პატე-ჟურნალი** (ერთ ნაწილად); 4) **მოჯადოებული გასაღები** (ერთ ნაწილად); 5) **სინდისის ხმა** (ხუთ ნაწილად); 6) **მოდი ჩემთან** (შვიდ ნაწილად); 7) **ამერიკელი ყაჩაღები** (ერთ ნაწილად); 8) **დერუტი** (ერთ ნაწილად); 9) **ხალხი იღუპება ლითონისთვის ან გაყიდული ცხოვრებისთვის** (ხუთ ნაწილად). 1923 წლის სექტემბერში საგანგებო კომისიამ ფილმის **მოზეიმე სატანა**-ს კონფისკაცია მოახდინა. 1923 წლის აგვისტოში საგანგებო კომისიამ 348 პერიოდულ და 41 ერჯერად გამოცემაზე კონტროლი დააწესა, ხოლო სექტემბრის თვეში — 337 პერიოდულ და 28 ერთჯერად გამოცემაზე (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 827-833).

1924 წლის აჯანყების მზადების შესახებ საქართველოს საგანგებო კომისიაში ინფორმაციები 1924 წლის ადრე გაზაფხულზე შევიდა. ამით იყო განპირობებული ის, რომ საქართველოს საგანგებო კომისიამ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს თხოვნით მიმართა საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოებში წინა წლებში მომუშავე ჩეკისტების აღრიცხვა მოეხდინა აუცილებლობის შემთხვევაში მათგან საგანგებო კომისიის დაკომპლექტების მიზნით. 1924 წლის მარტის თვეში საგანგებო კომისიაში მოთხოვნილი სიები ადგილებიდან მართლაც შევიდა. 1924 წლის 14 მარტს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ლავრენტი ბერიამ, აჭარის საგანგებო კომისიის, აფხაზეთის საგანგებო კომისიის, პოლიტბიუროებისა და სატრანსპორტო განყოფილებების უფროსებს ტელეგრამა გრიფით **„სრულიად საიდუმლო“** გაუგზავნა, რომელიც იტყობინებოდა, რომ 1924 წლის 25-26 მარტს, ინგლის-

საბჭოთა კავშირის კონფერენციასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო შეიარაღებული აჯანყების დაწყება. ამ შეიარაღებული გამოსვლის მიზანი ლავრენტი ბერიას აზრით, იქნებოდა: 1) საბჭოთა ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა, 2) საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიებით ევროპის სახელმწიფოების აღშფოთების გამოწვევა. მოსალოდნელი გამოსვლების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, საგანგებო კომისია კატეგორიულად მოითხოვდა: 1) მუდმივ სიფხიზლეს, სიმძიმის ცენტრის აგენტურულ-ინფორმატორულ მუშაობაზე გადატანას და შიდა თვალთვალის მაქსიმალურად გაძლიერებას; 2) მუშაობის გააქტიურებას არალეგალური ორგანიზაციების სამხედრო ნაწილებთან კავშირის გამოვლენის მიმართულებით; 3) განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას მილიციისადმი და განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებისადმი, იქ არასასურველი ელემენტების აღმოჩენის შემთხვევაში კომუნისტური პარტიის კომიტეტებში ფილტრაციის საკითხის დასმა და ამ გზით აღნიშნული დანესებულებებიდან მათი გაძევება; 4) მუშაობის წარმართვა ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილი წევრების მიმართ, რომლებიც შესაძლოა აგრძელებდნენ ძველ საქმიანობას; 5) საქართველოს საგანგებო კომისიის აპარატის მომზადებას აქტიური ანტისაბჭოთა ელემენტების მასობრივი დაპატიმრებისათვის; 6) საგანგებო კომისიის საიდუმლო ოპერატიული ნაწილისათვის ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობის შესახებ ინფორმაციული ცნობების დაუყოვნებლივ მიწოდებას. 1924 წლის 16 ივლისს საგანგებო კომისიამ თავის ადგილობრივ ორგანოებს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების მიერ უახლოეს პერიოდში შეიარაღებული აჯანყების შესაძლო დაწყების შესახებ ტელეგრამა გაუგზავნა. მოსალოდნელი აჯანყების აღკვეთის მიზნით, საგანგებო კომისია თავის ადგილობრივ ორგანოებს ნებას რთავდა არალეგალუ-

რი ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების შერჩევით დაპატიმრება განეხორციელებინათ. 1924 წლის 12 აგვისტოს საგანგებო კომისიამ, საიდუმლო ცირკულარით, აჭარის საგანგებო კომისიისა და აფხაზეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეებს, ყველა პოლიტბიუროსა და საინფორმაციო პუნქტის უფროსს მოსალოდნელი აჯანყების შესახებ კიდევ ერთხელ შეატყობინა. ცირკულარებში ნათქვამი იყო: „ანტისაბჭოთა პარტიებს გადაწყვეტილი აქვთ არაუგვიანეს 15 აგვისტოსა მოაწყონ შეიარაღებული აჯანყება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ავანტურის მეთაურის — ვ. ჯუღელის დაპატიმრებასთან დაკავშირებით არ არის გამორიცხული შეიარაღებული გამოსვლების დასაწყისის გადადება ორი კვირით, ე.ი. შეიარაღებული აჯანყება მოსალოდნელია არაუგვიანეს აგვისტოს ბოლო რიცხვებისა". საგანგებო კომისია თავის ადგილობრივ ორგანოებს ავალებდა, მოსალოდნელი „ავანტურის" ხელმძღვანელებისა და აქტიური მონაწილეების დროულად გამოვლენისა და იზოლირებისათვის გადამჭრელი ზომები მიეღოთ. 1924 წლის 27 აგვისტოს ეპიფანე კვანტალიანმა პირდაპირი სატელეფონო ხაზით, დაშიფრული ტექსტით, ადგილობრივ ორგანოებს გადასცა ინფორმაცია, რომ უტყუარი მონაცემებით ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა 1924 წლის 28-29 ან 29-30 აგვისტოს ღამით და ავალებდა მათ დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები შეიარაღებული აჯანყების აღკვეთის მიზნით, ემოქმედათ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, ხოლო დაშიფრული ინფორმაციები დღეში სამჯერ მაზრის ხელმძღვანელებისათვის მიეწოდებინათ. 1924 წლის 28 აგვისტოს ეპიფანე კვანტალიანმა აჭარის საგანგებო კომისიას, აფხაზეთის საგანგებო კომისიას და ყველა პოლიტბიუროს უფროსს გაუგზავნა შეტყობინებები, რომ 1924 წლის 28 აგვისტოს, ღა-

მის 2 საათზე, ანტისაბჭოთა აჯანყება იყო მოსალოდნელი. შესაბამისად, ე. კვანტალიანი ზემოთ ხსენებულ ორგანოებს ნებას რთავდა მასობრივი რეპრესიული ღონისძიებები განეხორციელებინათ, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტებთან ერთად ემოქმედათ, შედეგების შესახებ კი საქართველოს საგანგებო კომისიისათვის ეცნობებინათ (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003, გვ. 121-124).

თავი VIII. აჯანყების მომზადება დასავლეთ საქართველოში

§1. იმერეთი (შორაპნის მაზრა. ქუთაისის მაზრა)

დასავლეთ საქართველოში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ არალეგალური მუშაობისათვის **ელისე პატარიძე** მიავლინა. ქუთაისში ასევე ეროვნულ-დემოკრატი **მიხეილ გვალია** ჩავიდა, რომელმაც საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი ჩამოაყალიბა. ქუთაისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეგიდით აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ: **ვასილ ლეჟავა, შალვა ელიავა, ალექსანდრე კედია, ივანე მებურიშვილი, მიხეილ ქობულია**. ვასილ ლეჟავამ ვაჭარ **პორფირე კუჭავას** ხელმძღვანელობით **ათეული** ჩამოაყალიბა. ეს ათეული საწევრო გადასახადს აგროვებდა. ამ მიზნით შეხვედრები პ. კუჭავას დუქანში ხდებოდა. შეგროვილ ფულს **ივანე მებურიშვილი** ინახავდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24395, ტომი №2, ფურცელი 49). საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები ქუთაისში საიდუმლოდ **ვასილ მაქსიმეს ძე ლეჟავას** ბინაში იკრიბებოდნენ. 1924 წლის 13 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს საგანგებო კომისიის ქუთაისის მაზრის განყოფილების (ქუთაისის პოლიტბიუროს) საინფორმაციო ნაწილის რწმუნებულმა, **ვ. ბახტაძემ,** ვასილ ლეჟავას ბინაში **მიხეილ გვალია** (ატარებდა ფსევდონიმს „კოტე კოდუა“) და შვიდი ადამიანი დააპატიმრა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24395, ტომი №2, ფურცელი 3). ვ. ლეჟავას დაკითხვისას გაირკვა, რომ მას საწევრო გადასახადების შეგროვება და სხვადასხვა ქალაქებში (ზუგდიდში და სხვ.) კორესპონდენციების გაგზავნა ევალებოდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24395, ტომი №2, ფურცელი 32-35).

არალეგალური მუშაობისათვის მომზადებულმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრებმა ჭიათურის მაღაროში დაიწყეს „მუშაობა“, რათა მუშებში გარკვეული გავლენა მოეპოვებინათ. ამ მეთოდმა გაამართლა. ერთ-ერთ „მუშასთან“, სინამდვილეში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ მაღაროს მუშათა შორის საგანგებო დავალებით შეგზავნილ **ვალიკო ჩუბინიძესთან**, ჭიათურის მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებლებმა კავშირი დაამყარეს: **დიდი რგანიდან** — კონსტანტინე (კოწია) ხვედელიძემ, **პატარა რგანიდან** — პორფირე სამყურაშვილმა, **ხრეითიდან** — სეით ცერცვაძემ, **კაცხიდან** — ფილიპე ცერცვაძემ, **ქვაციხიდან** — გრიგოლ ბეონაშვილმა. ვ. ჩუბინიძესთან კავშირში მყოფმა ადამიანებმა, თავის მხრივ, **სამეულები** შექმნეს. ამასთან, ვ. ჩუბინიძის კომპეტენციას სამხედრო აღრიცხვა შეადგენდა. ვ. ჩუბინიძეს აჯანყების მზადების შესახებ ცნობებს **გიორგი ნერეთელი** და **გიორგი გურული** აწვდნიდნენ (**ვ. ჩუბინიძე**. მოგონება. წიგნი მეორე. პარიზი, 1953, გვ. 255-258).

იმერეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკურ ბანდიტად შერაცხული სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) **ვარლამ კაპანაძე** მოქმედებდა, რომლის დაპატიმრება ან მოკვლა ხელისუფლებამ ვერ შეძლო. 1922 წელს ვ. კაპანაძე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტიკურ რწმუნებულად დანიშნა. ვ. კაპანაძეს უნდა მიეღო ზომები სვირის რაიონში აჯანყების ორგანიზების მიზნით. 1922 წლის 14 სექტემბერს ვ. კაპანაძემ, მითითებისამებრ, სვირის სათემო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და სვირის რაიონული მილიციის თანამშრომელი, ალექსანდრე ჭულუხაძე, მოკლა. გარდა ამისა, 1923 წლის 3 იანვარს ვ. კაპანაძე სადგურ **ბოსლევთან** სამგზავრო მატარებელს თავს დაესხა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24441, ფურცელი 263). მოგვიანე-

ბით, ილიკო ჯუღელისა და ვარლამ კაპანაძის რაზმების გაერთიანება მოხდა. ამ რაზმში ირიცხებოდნენ: **ილიკო ჯუღელი, ვარლამ კაპანაძე, ვლადიმერ ბურჯანაძე, კონსტანტინე (კოლია) იშხნელი, აკაკი ჭიჭინაძე, გერასიმე ჭუმბურიძე, ივანე ბრეგაძე** და **შალვა გეორგაძე**. რაზმს ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებთან და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. რაზმის შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ რაზმის სალიკვიდაციოდ მიღებულ ზომებს შედეგი არ მოჰყოლია, რადგან რაზმს ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ეხმარებოდა (**სუიცსა**, ფონდი №284, აღწერა №3, საქმე №9, ფურცელი 133).

1923 წლის 14 მაისს სვირში საბჭოთა ხელისუფლებამ **აკაკი ჭიჭინაძე** დააპატიმრა, რომელსაც ვარლამ კაპანაძის რაზმთან შეერთება სურდა (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 135). სოფ. სვირში არალეგალურად მუშაობდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები: **ალექსანდრე პავლეს ძე თუთარაშვილი**, 26 წლის, დაუოჯახებელი, საშუალო განათლებით, მასწავლებელი და **ვასილ გიორგის ძე მემარნიშვილი**, 35 წლის, მასწავლებელი, დაუოჯახებელი.

საბჭოთა ხელისუფლებამ **ვასილ კაკაურიძე** დააპატიმრა, რომელმაც მთავრობას პირობა მისცა, რომ ვარლამ კაპანაძის ლიკვიდაციაში დაეხმარებოდა. სწორედ ამ პირობით ვასილ კაკაურიძე გაათავისუფლეს, მაგრამ მან არა თუ პირობა არ შეასრულა, პირიქით თვითონაც მიიმალა. ამის გამო 1924 წლის 7 აპრილს ვასილ კაკაურიძე ხელისუფლებამ ხელახლა დააპატიმრა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24441, ფურცელი 262). საბჭოთა ხელისუფლებამ რეპრესიულ ზომებს მიმართა და ვ. კაპანაძისათვის ხელის შეწყობის ბრალდებით დააპატიმრა: **კაპიტონ დიმიტრის ძე კაპანაძე, მიხეილ სიმონის ძე ჭურაძე, სამსონ ლევანის ძე კაპანაძე, ალექ-**

სანდრე პავლეს ძე თუთარაშვილი, ვასილ გიორგის ძე მემარნიშვილი, პეტრე მოსეს ძე ჭურაძე, დავით გრიგოლის ძე წაქაძე, ერმოლოზ მაქსიმეს ძე ჭურაძე, ნიკოლოზ მალაქიას ძე ჭულუხაძე, ილია ალექსის ძე ჭურაძე, შაშიკო პარმენის ძე ჭურაძე, ვარლამ დიმიტრის ძე გურგენიძე, ერმოლოზ სიმონის ძე ჩიგოგა (ასეა დოკუმენტში! —**ავტ.**), **ნესტორ მოსეს ძე ჭულუხაძე, დავით ვასილის ძე წაქაძე, ბარნაბა ბესარიონის ძე გვალია, დავით ნიკიფორეს ძე კაპანაძე, გალაკტიონ ქაიხოსროს ძე კაპანაძე, კონსტანტინე ანტონის ძე სულაქველიძე, ვალერიანე ანტონის ძე სულაქველიძე** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24441, ფურცელი 67).

1923 წლის 4-7 აგვისტოს ვარლამ კაპანაძე, ილიკო ჯუღელი, ვლადიმერ (ლადიკო) ბურჯანაძე და კონსტანტინე ბოჭორიშვილი ქუთაისის პოლიტბიუროში გამოცხადნენ და მთავრობას იარაღი ჩააბარეს (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 108).

ქუთაისის მაზრაში სოციალისტ-ფედერალისტების მუშაობას **ამბროსი კვირიკაძე** ხელმძღვანელობდა. ანტისაბჭოთა მუშაობაში ქუთაისში არსებული სასწავლებლების მოსწავლეები (ახალგაზრდა ფედერალისტები) აქტიურად იყვნენ ჩაბმულები. ქუთაისში ქალაქის ორივე ტექნიკუმის **მოსწავლეთა კომიტეტი** დაარსდა. პირველი ტექნიკუმიდან მოსწავლეთა კომიტეტში **შალვა (შალიკო) ქელბაქიანი** შედიოდა, მეორე ტექნიკუმიდან — **გიორგი (გოგია) ჩოგოვაძე**. გარდა ამისა, ორივე ტექნიკუმში **უჯრედები** არსებობდა, რომელთა ხელმძღვანელებს უშუალო კავშირები ტექნიკუმების მოსწავლეთა კომიტეტის ერთ-ერთ წევრთან ჰქონდათ. მეორე ტექნიკუმში სულ 7-8 უჯრედი მოქმედებდა. თითოეულ უჯრედში ათი წლის და უფრო დიდი ასაკის მოსწავლეები ირიცხებოდნენ. უჯრედში ორიდან ხუთ წევრამდე იყო გაერთიანებული (სულ მეორე ტექნიკუმის ყველა უჯრედში 56 მოსწავლე იყო გაერთიანებული). გარდა ამისა, **ქალთა უჯ-**

რედიც არსებობდა. უჯრედების ხელმძღვანელები იკრიბებოდნენ და მათ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე მოხსენებებს **შოთა აბესაძე** უკითხავდა. კერძოდ, შოთა აბესაძის ლექციებს ესწრებოდნენ: **ნუქიბიშვილი** (მეორე ტექნიკუმის მეშვიდე კლასის მოსწავლე, ოკრიბელი), **პოლიევქტი გოგელია** (მეორე ტექნიკუმის მეშვიდე კლასის მოსწავლე), **კიკვაძე** (მეორე ტექნიკუმის მეექვსე კლასის მოსწავლე), **ვანო კოსტავა** (მეორე ტექნიკუმის მეოთხე კლასის მოსწავლე). ქალთა უჯრედის წევრები 13-14 წლის გოგონები იყვნენ. ქალთა უჯრედში სულ სამი გოგონა იყო გაწევრიანებული (ერთ-ერთი მათგანი გვარად ცქიტიშვილი იყო). ქალთა უჯრედს დიდხანს არ უარსებია. მოსწავლეთა უჯრედების წევრები მოხსენებებს ხან რიონის პირას, ნაციხართან (მომხსენებელი გიორგი კოსტავა), ხან გოგელიას ნაქირავებ ბინაში, ორპირის ქუჩაზე (მომხსენებელი შოთა აბესაძე), ხან ფერმასთან, რიონის პირას კითხულობდნენ. ერთხელ შ. აბესაძემ მოხსენება გიორგი კოსტავას სახლშიც გააკეთა. რაიონების ორგანიზაციასთან კავშირი შოთა აბესაძეს ჰქონდა. ორგანიზაციები სოფ. **ხონში** და სოფ. **ტობანიერში** კარგად იყო მოწყობილი. სულ ქუთაისის მაზრის მასშტაბით სოციალისტ-ფედერალისტებს 100-მდე წევრი ჰყავდათ. ორგანიზაციას აჯანყებისათვის მუშაობა უნდა დაეწყო, იარაღი და ვაზნები შეეძინა და სხვ. ორგანიზაციას უნდა გამოეყო პირი, რომელიც სამხედრო სექციას უხელმძღვანელებდა. შოთა აბესაძემ თავიდან აქცენტი **მიხეილ (მიშა) მიხაილოვზე** გააკეთა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, რადგან მისი აზრით, მიშა მიხაილოვი ამ საქმეში არ გამოდგებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ზაფხული იყო, არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და მოსწავლეები უმეტესწილად ქუთაისში არ იმყოფებოდნენ, სამხედრო მზადება ორგანიზაციას პრაქტიკულად არც ჰქონია. შოთა აბესაძემ გიორგი კოსტავას აუწყა, რომ ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტების სამხედრო შტაბის

ხელმძღვანელად **ციცერონ ლორთქიფანიძე** იყო დანიშნული. შ. აბესაძის თქმით, მათთვის იარაღი სწორედ ც. ლორთქიფანიძეს უნდა მოეტანა და, შესაბამისად, ორგანიზაციის წევრებსაც აჯანყებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ. შ. აბესაძე ორგანიზაციის წევრებს აჯანყების ზუსტ თარიღს არ ეუბნებოდა, რადგან მისი თქმით შესაძლებელი იყო აჯანყების თარიღის გადაწევა. 1924 წლის 28 აგვისტოს, ღამეს, შ. აბესაძემ ორგანიზაციის წევრები **ილიკო ჩხაიძის** სახლში დაიბარა. ილიკო ჩხაიძის სახლში გამოცხადნენ: **შალვა დოლაქიძე, შოთა აბესაძე, მიშა მიხაილოვი, შალიკო ქელბაქიანი, გიორგი კოსტავა.** შ. აბესაძის თქმით, ქუთაისში როგორც კი ტყვია გავარდებოდა და აჯანყებულები საპყრობილეს და საგანგებო კომისიის შენობას აიღებდნენ ისინი სადგურს უნდა დაცემოდნენ. მაგრამ ორგანიზაციის წევრები გამთენიისას დაიშალნენ და სახლში წავიდნენ, რადგან აჯანყება დაგეგმილი სცენარით არ მიმდინარეობდა.

სოციალისტ-ფედერალისტების არქივი და ბეჭედი გიორგი კოსტავასთან ინახებოდა. პარტიული ფსევდონიმები კი იყო: შოთა აბესაძის — **„ქუთაისელი“**, გიორგი კოსტავასი — **„გრიშა“** და **„მთისპირელი“**, პოლიევქტი გოგელიასი — **„მთისშვილი“**, ნუქიბიშვილის — **„ოკრიბელი“**, შალვა დოლაქიძის — **„კაენი“**.

1924 წლის აჯანყებამდე ათი დღით ადრე ჭიათურაში მყოფ გიორგი კოსტავას შოთა აბესაძის წერილი მიუვიდა, რომლითაც ეს უკანასკნელი მას ქუთაისში ჩამოსვლას თხოვდა. ქუთაისში ჩამოსულ გიორგი კოსტავას შოთა აბესაძემ სათანადო ინსტრუქცია მისცა და გადაკვრით აუწყა, რომ მოსალოდნელი იყო აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შოთა აბესაძის თქმით, როდესაც დაიწყებოდა ტერიტორიების განაწილება თუ ვის რა უნდა აეღო, გარკვეული ტერიტორია მათაც უნდა დაეკავებინათ. შ. აბესაძემ ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტებს სადგურის აღება და-

ავალა, რომ ამით მათ აჯანყებაში გარკვეული წვლილი შეეტანათ. ამ ოპერაციისათვის ციცერონ ლორთქიფანიძეს უნდა ეხელმძღვანელა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24383, ტომი №2, ფურცელი 5-7).

1924 წლის 17 აგვისტოს თბილისიდან იმერეთში **ლადო გიორგობიანი** ჩავიდა, რომელსაც უკან დაბრუნებისას თან **გიორგი წერეთელი** გაჰყვა. გ. წერეთელი ჭიათურაში 1924 წლის 23 აგვისტოს ჩავიდა და ადგილობრივ ორგანიზაციას აჯანყების დრო აცნობა — 1924 წლის 28 აგვისტო. სინამდვილეში აჯანყება 1924 წლის 29 აგვისტოს იყო დანიშნული (**ვ. ჩუბინიძე**. მოგონება. წიგნი მეორე. პარიზი, 1953, გვ. 259). ვისი დავალებით მოქმედებდა გ. წერეთელი, იყო თუ არა მისი ქმედება წინასწარ გამიზნული, ძნელი დასადგენია. ერთი რამ ცხადია: ჭიათურაში აჯანყების 29 აგვისტოს ნაცვლად 28 აგვისტოს დაწყებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა აჯანყების მარცხი.

1924 წლის 25 აგვისტოს თბილისიდან ჭიათურაში სოციალისტ-ფედერალისტი **ალექსანდრე (ალიოშა) ბოკერია** ჩავიდა. ა. ბოკერიამ ადგილობრივ სოციალისტ-ფედერალისტებს მითითებები მისცა. ა. ბოკერიას მითითებისამებრ სოციალისტ-ფედერალისტმა **გრიგოლ ვაშაძემ** შეიარაღებული რაზმი ჩამოაყალიბა, რომელშიც შედიოდნენ: **ალექსანდრე (ალეკო) მაჭავარიანი, ტიტიკო საყვარელიძე** და **დავით კილურაძე**. სოციალისტ-ფედერალისტების მეორე რაზმს **ჭუნა (ჭუნია) იაშვილი** (პაოლო იაშვილის ძმა) ხელმძღვანელობდა. ა. ბოკერიამ ამ ორ რაზმს დაავალა რკინიგზის სადგურის დაკავება, რკინიგზის მილიციის განიარაღება და ტელეგრაფის დაკავება. ა. ბოკერია ჭიათურიდან 25 აგვისტოს ღამესვე წავიდა (ა. ბოკერიას გამყოლ მცველად ვინმე ვახტანგ ბარათაშვილი ახლდა) (**გრიგოლ ვაშაძე (1901-1990)**. მასალები პირადი არქივიდან. თბილისი, 2009, გვ. 102-103).

1924 წლის 27 აგვისტოს კონსტანტინე ჩაჩანიძე გიორგი წერეთელს შეხვდა, რომელმაც მას აუწყა, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ანტისაბჭოთა აჯანყება უნდა მომხდარიყო. გიორგი წერეთლმა კონსტანტინე ჩაჩანიძეს, როგორც გამოცდილ ოფიცერს, აჯანყებაში მონაწილეობის მიღება შესთავაზა, რაზეც კონსტანტინე ჩაჩანიძემ თანხმობა განაცხადა. გ. წერეთელმა კ. ჩაჩანიძეს დაავალა აჯანყების დროს ქ. ჭიათურის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის დაკავებისათვის ეხელმძღვანელა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 196).

1924 წლის 27 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათისათვის, ჭიათურაში **ნესტორ წერეთლის** ბინაზე სამხედრო ხელმძღვანელების ინტერპარტიული კრება დაინიშნა. კრებას დაესწრენ: **გიორგი წერეთელი,** პოლკოვნიკი **ემელიანე (ეკო) წერეთელი** (ეროვნულ-დემოკრატი), **გრიგოლ (გრიშა) წერეთელი** (სოციალისტ-ფედერალისტი), **გიორგი გურული, შ. რამიშვილი, კ. ჯაფარიძე და ვალიკო ჩუბინიძე.** კრებაზე გაირკვა, რომ ჭიათურის დასაკავებლად სოციალ-დემოკრატებს ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი 112 მებრძოლი (მათ შორის 4 ოფიცერი) ჰყავდათ მობილიზებული, ჰქონდათ ერთი ტყვიამფრქვევი. ფედერალისტებმა თავი მოუყარეს 12 მებრძოლს (მათ შორის 2 ოფიცერს), ხოლო ეროვნულ-დემოკრატებმა — 15 მებრძოლს (მათ შორის ორ ოფიცერს).

აჯანყების მეთაურებმა ჭიათურა შემდეგ რაიონებად დაჰყვეს: 1. რკინიგზის სადგური; 2. მილიციისა და საგანგებო კომისიის ადმინისტრაციული შენობები მდინარე ყვირილის მეორე ნაპირზე. 3. კომუნისტური პარტიის ადმინისტრაციული შენობა და მუშათა საგანგებო რაზმის (ჩონის) ყაზარმები. პირველ რაიონში მოქმედება **გრიგოლ (გრიშა) წერეთელს** დაევალა, მეორე რაიონში — **ვალიკო ჩუბინიძეს,** მესამე რაიონში — **კონსტანტინე (კოწია) ჩაჩანიძეს** (ის კრებას არ ესწრებოდა). ჭიათურის დასაკავებლად მობი-

ლიზებული ძალების მეთაურად პოლკოვნიკი **სვიმონ წერეთელი** დაინიშნა. პაროლად სიტყვა **„ჭაღარა"** დაწესდა. კრება საღამოს 7 საათზე დაიშალა (**ვ. ჩუბინიძე**. მოგონება. წიგნი მეორე. პარიზი, 1953, გვ. 259-261).

1924 წლის 27 აგვისტოს, საღამოს, ჭიათურის რკინიგზის სადგურის უკან ერთ მაღალ ხეზე ვიღაცამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა გადმოკიდა (**გრიგოლ ვაშაძე (1901-1990)**. მასალები პირადი არქივიდან. თბილისი, 2009, გვ. 104).

ქ. ქუთაისში მყოფ სოციალისტ-ფედერალისტ ამბროსი კვირიკაძეს აჯანყების დაწყების შესახებ ცენტრიდან არავითარი ინფორმაცია არ მიუღია. 1924 წლის 26 აგვისტოს ამბროსი კვირიკაძე გიორგი მახვილაძესთან (სოციალ-დემოკრატი) მივიდა, რათა მოსალოდნელი აჯანყების შესახებ გაეგო. ამბროსი კვირიკაძე და გიორგი მახვილაძე ერთმანეთს აკაკი წერეთლის ქუჩაში შეხვდნენ. გიორგი მახვილაძემ ამბროსი კვირიკაძეს ამცნო, რომ ის ერთ პიროვნებას იცნობდა, რომელსაც წესით მოსალოდნელი აჯანყების შესახებ უნდა სცოდნოდა. ა. კვირიკაძე და გ. მახვილაძე ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩისაკენ ერთად გაემართნენ. ღამის ცხრა საათისათვის ისინი ერთ სახლში მივიდნენ. ამბროსი კვირიკაძე გარეთ დარჩა, ხოლო გიორგი მახვილაძე სახლში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ სახლიდან **ივანე გოლდავა** გამოვიდა, რომელიც ამროსი კვირიკაძეს გადაეხვია. მათ გიორგი მახვილაძისგან მოშორებით „საქმეზე" ილაპარაკეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24383, ტომი №2, ფურცელი 15).

§2. სამეგრელო (სენაკის მაზრა. ზუგდიდის მაზრა)

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა სამეგრელოში აჯანყებისათვის პრაქტიკული მუშაობა 1924 წლის

ზაფხულიდან დაიწყო. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი რეგიონალური (სამეგრელოს) სამხედრო შტაბის შექმნა იყო. სამხედრო შტაბში დამკომმა შეიყვანა: „გენერალი თოფურია — მთავარ ხელმძღვანელად, პოლკოვნიკი კოდუა — შტაბის უფროსად, გენერალი ჯიჯიხია — ზურგის უფროსად, დავით მხეიძე — სამხედრო კავალერიის უფროსად". სამხედრო შტაბს სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრებში და ქ. ფოთში (ფოთი არც ერთ მაზრას არ ეკუთვნოდა, ის ცალკე ქალაქს წარმოადგენდა) სამაზრო შტაბების ფორმირება უნდა მოეხდინა. „სამაზრო შტაბების შექმნა უნდა მომხდარიყო ყველა ადგილობრივი ოპოზიციური პარტიების თანხმობით და მონაწილეობით". პრაქტიკულად, რეგიონალური სამხედრო შტაბი და, შესაბამისად, სამაზრო შტაბები არ ფუნქციონირებდნენ. ამიტომ, დამკომმა სამხედრო შტაბის უკეთ ორგანიზებისა და რეგიონალური დამკომის შესაქმნელად სამეგრელოში ეროვნულ-დემოკრატი **აკაკი მათეს ძე კალანდარიშვილი** მიავლინა. ა. კალანდარიშვილმა თავის უფროს ძმასთან, შალვასთან, ერთად (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებული სამეგრელოში), მიზანშეწონილად ჩათვალა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარესთან, **ვანო ესვანჯიასთან,** დაკავშირება. ძმებმა კალანდარიშვილებმა და ვანო ესვანჯიამ პირველ რიგში მიზნად რეგიონალური სამხედრო შტაბის შეკრება დაისახეს, თუმცა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. დიდი ძალისხმევის მიუხედავად მათ გენერალი **თოფურია** ვერ იპოვეს. პოლკოვნიკ **კოდუასთან** დაკავშირება ოფიცერ **სპირიდონ სულუხიას** მეშვეობით გახდა შესაძლებელი. კოდუას აჯანყებაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ რეალური საგარეო დახმარების პირობებში მიაჩნდა მიზანშეწონილად. ყველა სხვა შემთხვევაში, მისი აზრით, აჯანყება თავიდანვე განწირული იყო. რაც შეეხება გენერალ ჯიჯიხიას, ის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა და

გამომდინარე აქედან ვერც მისი ნახვა მოხერხდა. ერთადერთი პიროვნება, რომელიც მზად იყო აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიეღო ოფიცერი **დავით მხეიძე** იყო. ამიტომ, ძმებმა კალანდარიშვილებმა და ვ. ესვანჯიამ ის რეგიონალურ სამხედრო შტაბს ჩაუყენეს სათავეში. შტაბში ასევე შეყვანილ იქნენ: **ხარიტონ ლაშხია, აქვსენტი შალამბერიძე** და **სპირიდონ სულუხია.**

ამის შემდეგ, ზემო დასახელებული პირების მთავარი საზრუნავი სამეგრელოს რეგიონალური დამკომის ფორმირება იყო. სამეგრელოს დამოუკიდებლობის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით შედგა: სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან მასში **ვანო ესვანჯია** და **თედო ესართია** შევიდნენ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან — **შალვა კალანდარიშვილი** და **შალვა თვალთვაძე.** სამეგრელოს დამოუკიდებლობის კომიტეტი იმავე დროს იყო სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც ზუგდიდის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტს ზედამხედველობას უწევდა.

სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა, აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოების უზრუნველსაყოფად, რაიონებში (მაზრის მასშტაბით) პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები მიავლინა. აბაშის რაიონში აჯანყების პოლიტიკური მომზადება სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან **თეოფანე შენგელიას** დაევალა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან — **ლადო ჭანტურიას.** ამავე რაიონში სამხედრო ხელმძღვანელებად სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან ოფიცერი **ვაშალამიძე,** ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან **ლადო ჭანტურია** დაინიშნენ (ლ. ჭანტურია ითავსებდა როგორც ერთ, ისე მეორე თანამდებობას); ბანძის რაიონში პოლიტიკური ხელმძღვანელობა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან **დავით (დათიკო) კოკაიას** (რომელიც იმავე დროს ამ რაიონის სამხედრო ხელმძღვანელი იყო) დაეკისრა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან პოლიტიკური

ხელმძღვანელობა სტუდენტ **გუგუ ხაინდრავას** დაევალა, სამხედრო ხელმძღვანელობა კი — ოფიცერ **ძუკუ ხატავას**; სალხინოს რაიონში პოლიტიკურ ხელმძღვანელად სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან **მელიტონ სხულუხია** მიავლინეს (დანარჩენი პარტიების წარმომადგენელთა ვინაობა უცნობია — **ავტ.**), სამხედრო ხელმძღვანელად სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან ოფიცერი **ხარიტონ ადამია** შეირჩა, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიიდან — **ნიკო ლაშხია**, სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიიდან — **ნიკო კუხალეიშვილი** (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის ვინაობა უცნობია — **ავტ.**) (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24235-61, ფურცელი 28-34). გარდა ამისა, ქ. ახალსენაკში მაზრის დამკომთან კოორდინირებულად სტუდენტების ორგანიზაცია მოქმედებდა, რომელსაც სათავეში სტუდენტი **კეშილავა** ედგა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24235-61, ფურცელი 22).

სამეგრელოს სოფლებს აგიტატორები მოედვნენ, რომლებიც მოძრაობაში მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩაბმას ცდილობდნენ. ისინი მთავარ აქცენტს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე და რელიგიის დაბეჩავებულ მდგომარეობაზე აკეთებდნენ.

სენაკის მაზრის სოფლებში ფოცხოსა და უშაფათში **ირაკლი გოგინავა** ცხენით დადიოდა და ამტკიცებდა, რომ „ამ მოკლე ხანში აუცილებლად მოხთება შეიარაღებული გამოსვლები და ძალა უფლება ჩვენი ხელში ავიღებთო. ეს ყველაფერი მოწყობილია ევროპიდანო. ევროპიდან ჩვენი ამხანაგები უკვე ჩამოვიდენ ყველა გარდა ნოე ჟორდანიასიო, ნოე ჟორდანია კი საზღვარგარეთულ ჯართან ერთად ჩამოვაო" (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 48-50). აღნიშნულ სოფლებში უახლესი ინფორმაციების მთავარი მიმწოდებელიც ირაკლი გოგინავა იყო.

სამხედრო შტაბმა სოფ. უშაფათში ჩამოყალიბებულ სამხედრო რაზმს სათავეში **იროდიონ გოგინავა** და **ირაკლი გოგინავა** ჩაუყენა. სოფ. ფოცხოში ირაკლი გოგინავასთან ერთად აგიტაციას **კოლია დემურია** ეწეოდა. ფოცხოსა და უშაფათის სოფლებში აჯანყების მომზადებისათვის მომუშავე პირებს: **ირაკლი გოგინავას, იროდიონ გოგინავას, მოსე გაბერდავას, თეოფანე შეროზიას, იასონ ქუჩულორიას** სამჯერ ჰქონდათ საიდუმლო შეკრება. პირველი ასეთი შეკრება ირაკლი გოგინავას სახლში გაიმართა, მეორე — ირადიონ გოგინავას სახლში, მესამე კი – მოსე გაბერდავას სახლში. კრებებზე მთავარი სასაუბრო თემები კონკრეტული ამოცანების გადაჭრის გზები და მეთოდები იყო. ამავე კრებებზე თითოეულ ხელმძღვანელს სამოქმედო ზონები განესაზღვრა, მაგალითად, ირაკლი გოგინავას დაევალა უშუალოდ **ლეგოგინე - უშაფათში** და **ლეკოკაიეში** მოემზადებინა ხალხი გამოსვლისთვის; მოსე გაბერდავას სოფ. **ფოცხოში** უნდა ემოქმედა (ასევე კავშირი უნდა ჰქონოდა კოლია დემურიასთან, როგორც იმ რაიონში მთავარ ხელმძღვანელთან); იასონ ქუჩულორიას დაევალა **ლექუჩლორიესა** და **სახაბურზანიოში** მოემზადებინა „მაგარ-მაგარი" ბიჭები აჯანყებისათვის. ამისათვის მის განკარგულებაში ოთხი კაცი იყო: **კონსტანტინე (კოსტა) ფაცია, დანე ფაცია, რაჟდენ ხაბურზანია** და **მიტრო კარტოზია**. იროდიონ გოგინავას, როგორც გამოცდილ გვარდიელს ფოცხოსა და უშაფათის სოფლებში სამხედრო საქმეების მოგვარება უნდა უზრუნველყო (**სშსსა (II), ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 44-50**).

სოფ. ნოქალაქევის მკვიდრს, **მელიტონ ბეგლარის ძე კარტოზიას** (სოფ. ნოქალაქევის სკოლის მასწავლებელი), **კანდია ხუბულავამ** (ისინი მეტეხის ციხეში სასჯელს ერთად იხდიდნენ) არალეგალურად მუშაობის დაწყება შესთავაზა. კ. ხუბულავა მას არწმუნებდა, რომ „ევროპის დიდ სახელმწიფოთა მმართველ წრეებში მწიფდება გადასაწყვეტად საქარ-

თველოს საკითხი"-ო. მ. კარტოზიასგან თანხმობის მიღების შემდეგ კ. ხუბულავამ მას არალეგალურად მომუშავე **ბაგრატ უჩანეიშვილი** (მისი პარტიული მეტსახელი „დურმიშხანი" იყო) გააცნო. ბ. უჩანეიშვილმა, თავის მხრივ, მ. კარტოზიას **ალექსანდრე კალანდარაშვილი** გააცნო, ამ უკანასკნელმა კი — **დავით (დათიკო) გაწერელია** (შეხვედრა ა. კალანდარაშვილის სახლში მოხდა). დ. გაწერელიამ მ. კარტოზიას სოფ. **ნოქალაქევში** მუშაობა დაავალა, რაც არალეგალური ლიტერატურის გავრცელებაში უნდა გამოხატულიყო. ამის შემდეგ მ. კარტოზია წიგნის მაღაზიის გამგისაგან, **ი. აფშილავასაგან,** სათანადო ლიტერატურას სისტემატურად ღებულობდა. ორჯერ ლიტერატურა მას ალექსანდრე კალანდარაშვილმა გადასცა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 38-41).

ანალოგიური ხასიათის მუშაობები სენაკის მაზრის სხვა სოფლებშიც მიმდინარეობდა.

სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა ზუგდიდის მაზრაში დამოუკიდებლობის კომიტეტის შესაქმნელად და მასზე მუდმივი მეთვალყურეობის მიზნით, ეროვნულ-დემოკრატი **შალვა თვალთვაძე** მიავლინა (ის ადრე ბათუმში არალეგალურად მუშაობდა, მაგრამ ბათუმის ორგანიზაციის ჩავარდნის შემდეგ სამეგრელოში გადავიდა). შალვა თვალთვაძემ ზუგდიდში ჩასვლისთანავე ზუგდიდის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტი შექმნა, რომელიც შემდეგი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: **მამია ანჯაფარიძე** (თავმჯდომარე), **ალექსანდრე გაბუნია** (ზუგდიდის არქივში დაცულ დოკუმენტში ის ზუგდიდის მაზრის დამკომის თავმჯდომარედ მოიხსენიება, რაც რეალობას არ შეესაბამება — **ავტ.**), **ესტატე ლატარია, ტიტე საჯაია, ლუკა გვასალია** (მოლარე) (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24235-61, ფურცელი 22-26), **ბიდი წულეისკირი** (ოფიცერი), **ნიკოლოზ გვათუა** (ეროვნულ-დემოკრატი, სტუდენტი),

გრიგოლ ჭაბუკიანი (ეროვნულ-დემოკრატი, სტუდენტი) (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24388, ფურცელი 12-14).

ზუგდიდის მაზრის სამხედრო შტაბში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი შედიოდა. სამხედრო შტაბის ხელმძღვანელი ქ. ზუგდიდის კომენდანტი და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი ბიდი წულეისკირი იყო (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24388, ფურცელი 12-14).

ზუგდიდის მაზრის დამკომმა **დარჩელის რაიონის** (ამჟამად სოფელი ზუგდიდის რაიონში) სამხედრო ხელმძღვანელებად **სოკრატ კეზუა** (მცხოვრები სოფ. კახათში) და **კალისტრატე ზარანდია** (მცხოვრები სოფ. დიდინეძში) დანიშნა. ამავე რაიონში აჯანყების ორგანიზატორობა **სოკრატ კეზუას** და **ადამურ ცხაკაიას** (მცხოვრები სოფ. კოკში) დაევალათ. საჭირო ინფორმაციებს მათ **კოლი კეიდია** აწვდიდა. სოკრატ კეზუა ითავსებდა ასევე ორგანიზატორის ფუნქციებს სოფ. **დიდინეძში**. მასთან უჯრედში 12 კაცი იყო გაწევრიანებული: **კალისტრატე ზარანდია, მიხეილ შონია, ერასტო ქარჩავა, ლევან ზარანდია, გრიგოლ კუკავა, ალექსი თოდუა, გრიგოლ კუტალია, გრიგოლ ნანავა, ესტატე ქირია, ვარლამ მაქაცარია, არსენ წურწუმია** და **მიხეილ (მიხა) შონია**. ხშირ შემთხვევაში მაზრის დამკომი ამა თუ იმ სოფელში „მუშაობას" მთლიანად სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესაბამის უჯრედს ანდობდა. სოფ. **დარჩელში** სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ოთხი უჯრედი ჰქონდა. ერთერთ უჯრედს **ბაადურ აბესაძე** ხელმძღვანელობდა, უჯრედის წევრები კი იყვნენ: **ბიქტორ ჯიქია, ნიკო ჟვანია, მიხეილ შენგელია, ბარდღუ აბსანძე, კირილე ქეცბაია**. მეორე უჯრედს **პავლე ბიგვავა** მეთაურობდა (ის აცხადებდა, რომ უჯრედში მარტო იყო). მესამე უჯრედს სათავეში **ფედია კორკელია** ედგა, წევრები კი იყვნენ: **კალისტრატე ყუფუნია, პორფირე სორდია, დუდუ ქართიშვილი, დომე კორკე-**

ლია. მეოთხე უჯრედის ორგანიზატორი **ბესა ბერაია** იყო, წევრი კი — **დომე ქართიშვილი.**

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სოფ. **ანაკლიაში** (ამჟამად უკვე ქალაქი) მხოლოდ ერთი უჯრედი ჰქონდა, რომელსაც **ოქროპირ ჭანტურია** ხელმძღვანელობდა.

სამეგრელოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა **ჩხოროწყუს რაიონში** სამხედრო ხელმძღვანელად **სამსონ როდონაია** (მცხოვრები სოფ. ჩხოროწყუში) დანიშნა. ს. როდონაიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა **სპირიდონ შენგელიასთან** (სოფ. ახუთის სკოლის მასწავლებელი), რომელსაც სოფ. ახუთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის უჯრედი ჰქონდა შექმნილი. უჯრედში 25 კაცი იყო გაწევრიანებული: **იაკობ ქაჯაია, ძუკუ ქაჯაია, კალე ქაჯაია, კოსტა ხევცურიანი** და სხვ. (**სშსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 2-3). მოგვიანებით, სამეგრელოს დამკომმა ჩხოროწყუს რაიონში დამკომის სამეული ჩამოაყალიბა **სპირიდონ შენგელიას, სამსონ როდონაიასა და ვალოდია შუბლაძის** შემადგენლობით. სპირიდონ შენგელიას და მისი თანამოაზრეების ინიციატივით ჩხოროწყუს „სოფლებში გამოჩნდნენ კაკლის ხის მორების შემსყიდველები, რომლებიც გლეხებს წინასწარ აძლევდნენ თანხას, სინამდვილეში ეს გამიზნული იყო იარაღის შესაძენად" (**ვალერიან ახალაია.** ჩხოროწყუ. წარსული და დღევანდელობა. თბილისი, 2002, გვ. 36).

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უჯრედების შექმნა (აღდგენა) ჩხოროწყუს სხვა სოფლებშიც მოხდა. სოფ. ლესიჭინეში უჯრედს სათავეში **პაისი ჭიჭინაძე** ედგა, სოფ. ლეწურწუმეში — **სპირიდონ წახნაკია,** სოფ. ხაბუმეში — **მოსე შენგელია,** სოფ. ჩხოროწყუში — **სამსონ როდონაია.**

1924 წლის ივნისში ქ. **ზუგდიდიდან** ჩხოროწყუში სტუდენტი **კანდია ხუბულავა** (მცხოვრები სოფ. მოიდინახეში) ჩავიდა და ჩხოროწყუს რაიონის აქტივისტები შეკრიბა. პარ-

ტიული შეკრება **სამსონ როდონაიას** სახლში გაიმართა. შეკრებას ესწრებოდნენ: **სპირიდონ შენგელია** (სოფ. ახუთის წარმომადგენელი), **სპირიდონ ნახნაკია** (სოფ. ლეწურწუმის წარმომადგენელი), **პაისი ჭიჭინაძე** (სოფ. ლესიჭინის წარმომადგენელი), **მოსე შენგელია** (სოფ. ხაბუმის წარმომადგენელი), **ნესტორ შენგელია** (სოფ. ჭოლისა და სოფ. ნაფიჩხოვოს წარმომადგენელი). თითოეული მათგანი იმავე დროს იყო შესაბამისი სოფლის სამხედრო ხელმძღვანელი. კ. ხუბულავამ შეკრების მონაწილეებს მუდმივი მზადყოფნისაკენ მოუწოდა, რადგან მისი თქმით „ხელსაყრელი მომენტი" ძალიან მალე დადგებოდა. ჩხოროწყუს რაიონში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურ გაზეთს **„ერთობა ჩვენი"** ცენტრიდან **სპირიდონ შენგელია** ღებულობდა, რომელიც თავის მხრივ ავრცელებდა მას, როგორც თავის უჯრედში, ისე სხვა უჯრედებში.

წალენჯიხის რაიონში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის რაიონული კომიტეტის წევრები იყვნენ: **იოსებ კვარაცხელია, აკაკი კვარაცხელია** (იოსების ძმა) და **იოსებ მიქაია**. რაიონში სამხედრო ხელმძღვანელის ფუნქციას რაიონული კომიტეტის წევრი, **იოსებ კვარაცხელია,** ასრულებდა. ცენტრიდან გაზეთს **„ერთობა ჩვენი",** პროკლამაციებსა და სათანადო დირექტივებს ძმები კვარაცხელიები უშუალოდ **კანდია ხუბულავასაგან** ღებულობდნენ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წალენჯიხის ერთ-ერთი უჯრედის ხელმძღვანელი **დანიელ ფიფია** იყო. მასთან უჯრედში 15 კაცი იყო გაწევრიანებული: **თევდორე ფიფია, პეტრე კაკაჩია, ანტონ კაკაჩია, დავით კაკაჩია, ანტონ კონჯარია, ძიკი გიგიბერია, ფარნა კაკაჩია, ძიკი კონჯარია** და სხვ. დანიელ ფიფიას დაპატიმრების შემდეგ უჯრედს სათავეში **თევდორე ფიფია** ჩაუდგა. მისი ხელმძღვანელობისას უჯრედში გაწევრიანდნენ: **მიხეილ ფიფია, რაჟდენ შენგელია, ისააკ ფიფია, ლევან მესხია, პეტია**

ჭონჭია და **იასონ სონგულია** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 7-12).

ლიის რაიონში (ამჟამად სოფელი წალენჯიხის რაიონში) 1924 წლის აჯანყების სათავეში **ალექსანდრე ბერიშვილი** (მასწავლებელი, მცხოვრები სოფ. ლიაში), **ტარას ბერიშვილი, ტრიფონ ბერიშვილი** (ეროვნულ-დემოკრატი), **სოლომონ გეთია** (ეროვნულ-დემოკრატი, ყოფილი მღვდელი), **შალვა დადიანი** (ეროვნულ-დემოკრატი, მცხოვრები სოფ. ჯვარში), **კონო დადიანი** (ეროვნულ-დემოკრატი), **ყარამან ხუბუტია** (ეროვნულ-დემოკრატი) და **პლატონ შამუგია** იდგნენ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხობის კომიტეტის წევრები იყვნენ: **ლევან დუნდუა** (თავმჯდომარე), **ესტატე ლატარია** (ცენტრალური კომიტეტიდან ზუგდიდის მაზრაში საგანგებო ხელმძღვანელად იყო მივლენილი), **გერასიმე ლატარია** (სამხედრო ხელმძღვანელი), **ვლადიმერ თამარიშვილი, ბესარიონ ქირია, ჩაქვა ქუთელია** (კომიტეტში ვარლამ ნაჭყებიას გარდაცვალების შემდეგ შევიდა). ლ. დუნდუას როგორც თბილისთან, ისე ზუგდიდის კომიტეტთან ჰქონდა კავშირი. კავშირი როგორც ერთთან, ისე მეორესთან დირექტივებისა და სათანადო არალეგალური ლიტერატურის მიღებაში გამოიხატებოდა. ხობის რაიონში სოციალ-დემოკრატიული პარტიის რამდენიმე უჯრედი მოქმედებდა. ერთ-ერთი უჯრედის მეთაური **ერისტო ქარჩავა** იყო, რომელიც მითითებებსა და არალეგალურ ლიტერატურას უშუალოდ ლევან დუნდუასაგან იღებდა. ხობის რაიონის სოფლებში სამხედრო ხელმძღვანელები იყვნენ: **ვლადიმერ თამარიშვილი** (დაბა ხობში), **სანდრო ჟორდანია** (სოფ. ხორგაში), **ბესარიონ ქირია** (სოფ. აბასთუმანში), **პაჩუ ჯორჯიკია** (სოფ. ნოჯიხევში), **რაჟდენ ქირია** (სოფ. ხეთაში) (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 2-6).

1924 წლის 20 ივლისს სოფ. ახალხიბულაში (1924 წელს ცალკე რაიონს წარმოადგენდა) საქართველოს სოციალ-დე-

მოკრატიული პარტიის რაიონული კრება გაიმართა, სადაც შეკრებილებს **სიმონ ადამიამ** აუწყა: ანგლო-რუსული კონფერენციის გადაწყვეტილებით კომუნისტებმა დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ საქართველო, ამიტომაც, საჭიროა სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება. ს. ადამიას სურვილი მალე რეალობად იქცა. ახალხიბულის რაიონში აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ: **ალექსანდრე ლომაია, ფუხული ლომაია, ჯუგუ დადიანი, დურუ როგავა.** ახალხიბულის რაიონის სამხედრო ხელმძღვანელობა **დურუ როგავას** დაეკისრა, თუმცა უმოქმედობის გამო ის ყოფილმა ოფიცერმა **დიმიტრი თოდუამ** შეცვალა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 26-27).

ნაბადაში (ფოთი) საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი **ლადი გოგია** იყო. 1924 წლის თებერვალში ლადი გოგია **გრიგოლ გოგიასთან** მივიდა და მას სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროკლამაცია მიუტანა. გრიგოლ გოგია პროკლამაციას გაეცნო და ის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაბადის ორგანიზაციის წევრს, **ერმოლოზ გვარამიას,** გადასცა. ნაბადაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ არალეგალურ უჯრედს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) წევრი, **ივანე კოკაია,** ხელმძღვანელობდა. ამ უჯრედში შედიოდნენ: **ბათლომე ბაღათურია** (კომუნისტი), **აქვსენტი ერაგია** (კომუნისტი), **გრიგოლ გოგია** (კომუნისტური პარტიის (ბ) წევრობის კანდიდატი), **ლავრენტი კოკაია** (კომუნისტი), **ერმოლოზ გვარამია** (კომუნისტური პარტიის (ბ) წევრობის კანდიდატი), **ივანე გუდავაძე, ალექსი ლაშხია** და **ვასილ ახალაია.** ივანე კოკაია სისტემატურად კრებდა უჯრედში საწევრო გადასახადს 25 კაპიკის ოდენობით. ივანე კოკაიას კავშირი ჰქონდა: **სოკრატე ქაჩიბაიასთან, ონოფრე ლომთათიძესთან** და **თეოფანე ჩოლოქავასთან.** აღნიშნული პირები ივანე კოკაიას დირექტივებს აძლევდნენ, თუ როგორ უნდა ემუშავა მას, როგორ უნდა მოეწ-

ყო უჯრედი, როგორ უნდა მოეზიდა ახალი წევრები და სხვ. თავიდან ივანე კოკაია პარტიულ საწევროებს **კირილე სეფერთელაძეს** აძლევდა, მაგრამ მოგვიანებით ამ უკანასკნელმა საწევროების მიღებაზე უარი განაცხადა.

1924 წლის აპრილში ივანე კოკაია ფოთის ბულვარში **ონოფრე ლომთათიძეს** და **სოკრატე ქაჩიბაიას** შეხვდა, რომლებმაც მას ვინმე **„ივანე"** გააცვნეს. ეს „ივანე" ქ. ფოთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე იყო. ონოფრე ლომთათიძემ და სოკრატე ქაჩიბაიამ თხოვეს ივანე კოკაიას საწევრო მას არქიფო ჩაჩავასთვის გადაეცა, ანუ იგივე „ივანესთვის". ამ შეხვედრის შემდეგ არალეგალური ლიტერატურა ივანე კოკაიამ თვით „ივანესგან" მიიღო. აპრილის თვეში ივანე კოკაიამ უჯრედში შეკრებილი საწევრო, სამი თურქული ლირა, არქიფო ჩაჩავას გადასცა.

1924 წლის აპრილში ვლადიმერ გოგია და ივანე კოკაია არქიფო ჩაჩავასთან ერთად წავიდნენ, რათა მისთვის შეკრებილი პარტიული საწევრო გადაეცათ. ისინი არქიფო ჩაჩავას ბაზართან შეხვდნენ და საწევრო გადასცეს. ივანე კოკაიამ არქიფო ჩაჩავას თავისი უჯრედისათვის არალეგალური ლიტერატურა სთხოვა. არქიფო ჩაჩავა მას მომდევნო დღისათვის არალეგალური ლიტერატურის გადაცემას შეჰპირდა. მეორე დღეს არქიფო ჩაჩავამ ივანე კოკაიას არალეგალური ლიტერატურა გადასცა. ივანე კოკაია, როგორც წესი, თავისი უჯრედის წევრებთან სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურ მუშაობაზე, კომუნისტურ პარტიაში არსებულ განწყობაზე და უჯრედში ახალი წევრების (კომუნისტების) გაწევრიანებაზე ხშირად საუბრობდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 100-103).

§3. გურია (ოზურგეთის მაზრა)

გურიის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) რიგებში იყო გაწევრიანებული. შესაბამისად, გურიის მოსახლეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უჭერდა მხარს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ეწინააღმდეგებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ გურიაში პირველივე დღეებიდანვე შურისძიების ნიადაგზე ძარცვა-რბევა და რეპრესიები დაიწყო. ასეთი ძარცვა-გლეჯის დროს გაწეული წინააღმდეგობისათვის კომუნისტებმა მამა-შვილი **გეგიაძეები** შეიპყრეს და დახვრიტეს. კომუნისტებმა სოფ. **ჭანჭათში** ამ სოფლის თვალსაჩინო პიროვნება **ალფესი გოგუაძე** ვერაგულად მოკლეს, ხოლო მისი ეზო გადახნეს, სახლი დაშალეს და სახლის ფიცრები ბოგირისთვის გამოიყენეს. ალფესი გოგუაძის ძმა, **ნოე გოგუაძე,** შეიპყრეს და ციმბირში გაგზავნეს, სადაც ის გარდაიცვალა. ყოველივე ამით გამწარებულმა მათმა მესამე ძმამ, **ალექსანდრე გოგუაძემ,** თავი ჩამოიხრჩო. პატიმრების მიმართ წამების სასტიკი მეთოდები გამოიყენებოდა. მაგალითად, ოზურგეთის საგანგებო კომისიაში ორ ახალგაზრდას: **გ. სხალაძეს** და **ვ. ინწკირველს** თითების ფრჩხილები დაუჩხვლიტეს, ტიტვლები თავდაყირა დაკიდეს და ანთებული სიგარეტით მთელი ტანი დაუწვეს. ჩეკისტმა **პოლშინმა** ჩოხატაურის გიმნაზიის მოსწავლე გააშიშვლა და რკინის წკეპლით მთელი ზურგი დაუსერა, თან აფრთხილებდა — **არავინ გაიგოს, თორემ მოგკლავო!** საგანგებო კომისიაში გამეფებული ასეთი სისასტიკის მიუხედავად პატიმრები სულიერად მაინც არ ტყდებოდნენ და ჩეკისტებს დამსახურებულ პასუხს აძლევდნენ. მაგალითად, ოზურგეთის საგანგებო კომისიაში ნაცემი და ტიფით დაავადებული ქალბატონი ჩვენების ჩამოსართმევად გაიყვანეს. ამ ქალბატონმა უკა-

ნასკნელი ძალღონე მოიკრიბა და ჯალათებს სისხლიანი ნახველი სახეში შეაფურთხა — **აი, ჩემი პასუხიო!** ჩეკისტების მრისხანებას ვერ ასცდა **ნოე ჟორდანიას დედა,** რომელსაც ლანჩხუთში სახლი ჩამოართვეს. მოგვიანებით, ამ სახლში საბჭოთა ხელისუფლებამ სკოლა გახსნა (**ვლასა მგელაძე**. მოგონებები. წიგნი პირველი. საქართველო აჯანყებამდე (1921-1924). პარიზი, 1936, გვ. 28-43).

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ასეთი რეპრესიების მიუხედავად მთელ გურიაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის, აღსანიშნავად მიტინგები იმართებოდა. 1922 წლის 23-24 მაისის ღამეს გურიის სოფლებს შეიარაღებულმა პირებმა ჩამოუარეს, რომლებმაც ადგილობრივი გლეხები გააფრთხილეს მიტინგის ჩასატარებლად სად და რა დროს მისულიყვნენ. 1922 წლის 24 მაისს ნატანების რაიონის სოფელ **კონჭკათში** მიტინგი გაიმართა. მიტინგს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსალოდნელი დარბევის აღკვეთის მიზნით, შეიარაღებული რაზმი იცავდა. ადგილობრივმა მილიციამ და კომკავშირელთა რაზმმა მიტინგის დარბევა სცადეს. ორმხრივი სროლები დაიწყო. კომუნისტმა **ილარიონ ღლონტმა** მიტინგის ერთ-ერთი დამცველი **მალაზონია** მოკლა. ამის საპასუხოდ, მიტინგის დამცველებმა კომუნისტი **ილარიონ ღლონტი** მოკლეს, დაიჭრა ორი კომუნისტი. ხანგრძლივი ორმხრივი სროლების შემდეგ მომიტინგეები გაიქცნენ. 1922 წლის 24 მაისს ანტისაბჭოთა მიტინგი სუფსის რაიონის სოფელ **ჩოჩხათში** გაიმართა. აქაც მომიტინგეებსა და მილიციელებს შორის შეტაკებას ჰქონდა ადგილი. მომიტინგეებმა მილიციელებისათვის იარაღის აყრა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს, მომიტინგეებმა მაუზერიდან სუფსის რაიონის მილიციის უფროსს, **გობრიძეს,** ესროლეს, მაგრამ გობრიძეს ტყვია აცდა. იმავდროულად, მომიტინგე **გიორგი გუჯაბიძემ** ერთ-ერთი მილიციელისათვის თოფის წართმევა სცადა, თუმცა ის იქვე მოკლეს. მილი-

ციელებმა მომიტინგეების მისამართით ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც ოთხი მომიტინგე დაიჭრა. საბოლოოდ, მომიტინგეების ნაწილი გაიქცა, ნაწილი კი დააპატიმრეს. მოგვიანებით, დაპატიმრებულები ოზურგეთის პოლიტბიუროში გადაიყვანეს. 1922 წლის 24 მაისს ლანჩხუთში მიტინგი ფაქტიურად არ ჩატარებულა. სამაგიეროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ლანჩხუთის რაიონის თითქმის ყველა სოფელში მიტინგის ჩატარებით აღინიშნა. სოფელ **შუხუთში** მიტინგის მსვლელობის დროს მომიტინგეებმა კომუნისტი **მელიტონ ორაგველიძე** მოკლეს. მომიტინგეების მხრიდან კი ერთი ქალი დაიჭრა. მომიტინგეების უმეტესობა დააპატიმრეს. დაპატიმრებულებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშები ჩამოართვეს. საბჭოთა ხელისუფლებამ სოფელ **ნიგვზიანში** მიტინგი ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე დაშალა. სოფელ **ჩიბათში** მიტინგის დამშლელებს მომიტინგეებმა რევოლვერებიდან გასროლით და ქვების სროლით უპასუხეს. მომიტინგეებმა ადგილობრივ სამმართველოში შეჭრა სცადეს, რომლის დროსაც დაიღუპა ერთი და დაიჭრა ერთი მომიტინგე. სოფელ ჩიბათში სულ 150 მომიტინგე შეიპყრეს, მათ შორის ქალები. მიტინგის აქტიური წევრები ოზურგეთის პოლიტბიუროში გადააგზავნეს. **ჩოხატაურის რაიონში** ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მიერ წინასწარ მიღებული ზომების შედეგად ანტისაბჭოთა მიტინგი არ ჩატარებულა. **ნაგომარის რაიონში** დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიტინგები საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე დაშალა. **ხიდისთავის რაიონში** მიტინგები ალაგ-ალაგ ჩატარდა. ერთი მიტინგი სოფელ **ფიჩხისჯვარის** ეკლესიის ეზოში გაიმართა. მიტინგის მსვლელობის დროს მომიტინგეებს მილიციის უფროსის, **ჭანიშვილის,** მეთაურობით ადგილობრივი მილიციელები და კომუნისტები დაესხნენ თავს. ჭანიშვილმა მიტინგის ხელმძღვანელს, **სერგო წიტაიშვილს** და ერთ-ერთ მომ-

ხსენებელს, **ისიდორე ლომთათიძეს,** სასწრაფოდ მიტინგის დაშლა უბრძანა. ამავე დროს, მომიტინგეებს მაუზერებითა და შაშხანებით შეიარაღებულმა მიტინგის დამცველებმა ალყა შემოარტყეს და შეკრებილებს ურჩიეს მილიციელების შიშით არ დაშლილიყვნენ, რადგან მათი თქმით „მაგი ჯალათები ჩვენ ვერაფერს გაგვიბედავენო". მომიტინგეებმა: **გიორგი კალანდაძემ** და **გერმანე ლომთათიძემ** მილიციის უფროსს, ჭანიშვილს, დაუძახეს „წადით თქვენ მოღალატენო სამშობლოს გამყიდველებოო, თორემ ჩვენ აქ ძალა გვყავსო". ამასთან, მომიტინგეებმა მილიციის მიმართულებით ბომბი ისროლეს, რომელიც იქვე მდგარ ცაცხვის ხეს მოხვდა, ბომბმა პირი იბრუნა და მომიტინგეების სიახლოვეს გასკდა. ბომბის გასკდომას მომიტინგეებს შორის მსხვერპლი მოჰყვა. ამის შემდეგ, მილიციელებმა მომიტინგეების დაშლა დაიწყეს. მომიტინგეები მათ სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამ ჭიდილში დამშლელთა მხრიდან **ჟოჟო სიმონიშვილი** და **აკაკი ფირცხალაიშვილი** დაიჭრნენ (ეს უკანასკნელი მოგვიანებით გარდაიცვალა), მომიტინგეების მხრიდან კი დაიჭრნენ: **სერგო ნიტაიშვილი და 15-მდე ქალი და კაცი.** მომიტინგეებმა გაქცევის დროს ბევრი დაღუპული მომიტინგის ცხედარი გაიტაცეს. მიტინგის დაშლის დროს შეიპყრეს: **ისიდორე ლომთათიძე, გერმანე ჯიბლაძე, გრიგოლ (გრიშა) ჭანიშვილი** და სხვ. სულ 15 მომიტინგე. დაპატიმრებულები ოზურგეთის პოლიტბიუროში გადააგზავნეს. 1922 წლის 24 მაისის დილის 12 საათისათვის ანტისაბჭოთა მიტინგი მთელ გურიაში დაშლილი იყო (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №324, ფურცელი 221-221ა).

გურიაში დაჭერა-დაპატიმრებების სერია არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა. ეჭვმიტანილები უმალვე საგანგებო კომისიის საკანში ხვდებოდნენ. 1922 წლის 3 აგვისტოს სოფელ **გოგოლეისუბნის** მკვიდრი, სტუდენტი **ილია სამსონის ძე ბერძენიშვილი,** დაპატიმრებული აღმოჩნდა. ი. ბერძენიშ-

ვილი სოფ. გოგოლეისუბნის სკოლაში მუშაობდა. სოფ. გოგოლეისუბნის კომუნისტები ქ. ოზურგეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს წერდნენ: „ილია სამსონის ძე ბერძენიშვილი კარგა ხანია საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო საზიანო პოლიტიკურსა ან სხვა რაიმე მუშაობას არ ეწევა“. წერილს ხელს აწერდნენ: **ვლადიმერ სიხარულიძე, ვასილ სიხარულიძე, ი. სიხარულიძე, სიმონ სიხარულიძე, ანთიმოზ სიხარულიძე, გრიგოლ გოგოლაძე, ნესტორ სიხარულიძე**. ქ. ოზურგეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ანალოგიური თხოვნით (საგანგებო კომისიას) ილია ბერძენიშვილის დედამ, **მაკრინე ბერძენიშვილმაც,** მიმართა. მისი თქმით, მან შვილი სასწავლებელში უსახსრობის გამო ვერ გაგზავნა და ამასთან, მისი შვილი ავადმყოფობდა კიდეც. 1922 წლის 2 ოქტომბერს ქ. ოზურგეთის პოლიტბიუროს ილია ბერძენიშვილმა თხოვნით მიმართა, სადაც ის აცხადებდა, რომ სრულიად უდანაშაულო იყო და სასწავლებელში გასამგზავრებლად ემზადებოდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2382, ტომი №3, ფურცელი 58-61). ილია ბერძენიშვილის მსგავსად კონტრრევოლუციის ბრალდებით დააპატიმრეს: **ექვთიმე იასონის ძე ვადაჭკორია, პავლე ნიკოლოზის ძე ვადაჭკორია, რაფიელ ოქროპირის ძე გოგუაძე, ქსენია იაგორას ასული ლომთათიძე, ზოსიმე ზევარის ძე მენაღარაშვილი, ყარამან ბიტოს ძე ნინიძე, ლავრენტი მელენტის ძე ტუსკია, გაბრიელ ესტატეს ძე თოხაძე, სიმონ ივლიანეს ძე ცხომელიძე, არონ სილვესტრის ძე ჩხაიძე, გრამიტონ სილვესტრის ძე დოლიძე, ვალს რომანის ძე ქურიძე, დესპინე ნიკიფორეს ასული გურგენიძე, გიორგი ილარიონის ძე ურატაძე, მიხეილ კონსტანტინეს ძე ჩხაიძე, ალექსანდრე ბესარიონის ძე იმნაიშვილი, სამსონ პორფირეს ძე ჩხაიძე, ირაკლი მოსეს ძე რუსეიშვილი, სიმონ დიმიტრის ძე ორაგველიძე, ესე სიოს ძე მგელაძე, ვლადიმერ სიმონის ძე დათუნაიშვილი, კირილე აბესას ძე სვანიძე, შამშე**

ასალოს ძე ჩხაიძე, მარია ივანეს ასული ცქიტიშვილი, კასიანე ლავრენტის ძე ორაგველიძე, რუბენ ლასოს ძე კვიტაიშვილი, ფოკა ლევარსის ძე კეკელიძე, ალექსანდრე ნეეროს ძე ჩხაიძე, მიხეილ ივანეს ძე ტუღუში, ისიდორე დიმიტრის ძე სიხარულიძე, პორფირე თეოფილეს ძე ქინქლაძე, მოსე ზაალის ძე თალაკვაძე, დიომიდე იოსების ძე ჭანტურიშვილი (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2382, ტომი №3, ფურცელი 244).

ზემოთ მოყვანილ სიაში ნახსენები დესპინე გურგენაძის დაპატიმრება იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა ხელისუფლების ინფორმაციით, ის ოზურგეთის მაზრაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) სხვადასხვა ორგანიზაციებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ხელისუფლების ინფორმაციით, დ. გურგენაძე ხშირად დადიოდა ოზურგეთში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში და ინფორმაციები გადაჰქონდა. ამასთან, დ. გურგენიძე **კირილე სვანიძესთან** ერთად **სუფსაში, ჩოჩხათში** და ახლომახლო სოფლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ხელმძღვანელი იყო (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2382, ტომი №3, ფურცელი 86-87).

1922 წლის 16 სექტემბერს ოზურგეთის მაზრის პოლიტბიურომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობის ბრალდებით დააპატიმრა: **სიმონ ივლიანეს ძე ცხომელიძე, დომენტი ზაალის ძე თალაკვაძე, სევასტი გერასიმეს ძე დოლიძე, ისააკ გერასიმეს ძე დოლიძე, სოლომონ ბეჟანის ძე ანდღულაძე, პორფირე თეოფილეს ძე ქინქლაძე, ისიდორე იესეს ძე ხურციძე, აქვსენტი ამბაკოს ძე მახარაძე** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2382, ტომი №3, ფურცელი 108).

ოზურგეთის მაზრის პოლიტბიუროს თანამშრომელმა, **ჯუღელმა**, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობის ბრალდებით დააპატიმრა: **სანდრო ანტონის ძე ჩიტაიშვი-**

ლი და ბესარიონ პავლეს ძე ჭელიძე. ოზურგეთის მაზრის პოლიტბიუროს თანამშრომელმა, **მუდრიმ,** კი ანალოგიური ბრალდებით **ირაკლი გარაყანიძე** და **გლახუა ჩიტაიშვილი** აიყვანა პატიმრობაში (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2382, ტომი №3, ფურცელი 119).

1922 წლის 19 სექტემბერს ლანჩხუთის რაიონული მილიციის უფროსმა, არალეგალური მუშაობის ბრალდებით, ოზურგეთის მაზრის პოლიტბიუროში გადააგზავნა დაპატიმრებულები: **აკაკი ფრიდონის ძე ცინცაძე, მარუსია ვლადიმერის ასული კილაბერია, სერგო კონსტანტინეს ძე ჯორბენაძე, არონ სამსონის ძე ფირცხალაიშვილი, ზოსიმე იოსების ძე ჯორბენაძე, მიხეილ კონსტანტინეს ძე ჩხაიძე, ლავრენტი მაქსიმელის ძე სიხარულიძე, ესე ეფრემის ძე ფირცხალაიშვილი, ეფემია მიხეილის ასული იმნაიშვილი, თამარა აპოლონის ასული თენიეშვილი, ნინა დავითის ასული იმნაიშვილი.** ხსენებული პირები ოზურგეთის სამაზრო გამასწორებელ სახლში მოათავსეს. საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა: სოფელ ხვარძეთში — **იოსებ ივანეს ძე ბაქანიძე, დიმიტრი ივანეს ძე ქარცივაძე, ვლადიმერ ვასაძე;** მიქელ-გაბრიელის სოფელში — **ვარლამ მჟავანაძე** და **ალექსი ქიშვარდის ძე ჩხაიძე;** სოფ. საღმრთოში — **ივანე გიორგის ძე ბაღდათურია** და **სამუელ მაქსიმელის ძე თავაძე** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2382, ტომი №3, ფურცელი 162-163).

საბჭოთა ხელისუფლება პოლიტპატიმრების რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში გადასახლებას ხშირად მიმართავდა. მაგალითად, 1923 წლის 25 მაისის საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით, პერმის გუბერნიის ჩერდინის მაზრაში, სამი წლის ვადით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 81 წევრი და დაშნაკ-ციუტუნის პარტიის 8 წევრი გადაასახლეს. გურიიდან გადასახლებულთა შორის იყვნენ: **მიხეილ ხოს-**

როს ძე ბაჟუნაშვილი, 30 წლის, მცირე მესაკუთრე, სტუდენტი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, მცხოვრები სოფ. აკეთში; **გაბრიელ ანანიას ძე ლომთათაძე**, 29 წლის, მცირე მესაკუთრე, სტუდენტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1912 წლიდან, მცხოვრები სოფ. ხიდისთავში; **ტიფო კონსტანტინეს ძე სურგულაძე**, 32 წლის, საშუალო შეძლების, სტუდენტი, სოციალ-დემოკრატი 1912 წლიდან, მცხოვრები სოფ. ლიხაურში; **ვარლამ მიხეილის ძე კალანდარიშვილი**, 38 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი 1904 წლიდან, მცხოვრები სოფ. ლიხაურში; **ისიდორე მაქსიმეს ძე ლომთათიძე**, 43 წლის, ღარიბი გლეხი, სოციალ-დემოკრატი 1902 წლიდან, მცხოვრები სოფ. ხიდისთავში; **მიხეილ ბესარიონის ძე ბუკია**, 52 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, მცხოვრები სოფ. ბუკნარში; **ბიქტორ ბიტოს ძე გოგობერიძე**, 43 წლის, საშუალო შეძლების, ოთხი კლასის განათლებით, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, მცხოვრები სოფ. ბუკნარში; **არსენ ოსმანის ძე წითლიძე**, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1904 წლიდან, აგიტატორი, მცხოვრები სოფ. ხუცუბანში; **პელაგია ერმოლოზის ასული ლომჯარია**, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, მცხოვრები სოფ. ლიხაურში; **ლიზა იოსების ასული ბოლქვაძე**, 39 წლის, საშუალო შეძლების, მცხოვრები სოფ. ნატანებში; **სამსონ პორფირეს ძე ჩხაიძე**, 36 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, მცხოვრები სოფ. ძიმითში; **ირაკლი მოსეს ძე რუსეიშვილი**, 25 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, მცხოვრები სოფ. ძიმითში; **სიმონ დიმიტრის ძე ორაგველიძე**, 49 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, მცხოვრები ქ. ოზურგეთში; **ვლადიმერ სიმონის ძე დათუნიაშვილი**, 33 წლის, საშუალო შეძლების, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1910 წლიდან, მცხოვრები სოფ. აკეთში; **კირილე აბასოს ძე**

სვანიძე, 35 წლის, ღარიბი გლეხი, საშუალო განათლებით, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, მცხოვრები სოფ. ჩოხატაურში; **სევერიანე გიორგის ძე რამიშვილი,** 19 წლის, საშუალო განათლებით, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, მცხოვრები სოფ. დიდი ვანში; **კალისტრატე ბესარიონის ძე ხოფერია**, 32 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი 1913 წლიდან, აგიტატორი, მცხოვრები სოფ. ჯუკნეთში (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №2316, ტომი №4, ფურცელი 4-17).

1922 წლის 22 დეკემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ოზურგეთის მაზრაში ბანდიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი **ხუთეულის** მოღვაწეობა მოიწონა, რომელსაც სათავეში **ალექსანდრე ობოლაძე** ედგა. ა. ობოლაძემ თავისი უფლებები კარგად გამოიყენა და „ბანდიტებისათვის" ხელშეწყობის ბრალდებით ბევრი უდანაშაულო ადამიანი დახვრიტა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №1, საქმე №60, ფურცელი 134).

საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად იყენებდა პატრიოტების წინააღმდეგ ნამდვილ ბანდიტებს: **მანწკავას** და მის ჯგუფს: **ღლონტს, კვაშალს, ჩიგოგიძეს, ლოლაძეს, სირაძეს, ანდღულაძეს, მაშავას, თოფურიას** და სხვებს, რომლებიც ადრე ძარცვა-ყაჩაღობისათვის იხდიდნენ სასჯელს. ისინი საბჭოთა ხელისუფლებამ იმ იმედით გაათავისუფლა, რომ ანტისაბჭოურად განწყობილთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენებდა. ზოგიერთი მათგანი სამაზრო ადმინისტრაციაში, საგანგებო კომისიაში და სხვა დაწესებულებაში სამუშაოდ მიიღეს. თვით მანწკავა გარკვეული პერიოდის განმავლობაში შორაპანში სამხედრო კომისარიც კი იყო. მანწკავას ჯგუფს საგანგებო კომისიამ ბევრი უპარტიო შეუერთა, რის შედეგადაც მანწკავას ჯგუფი 80 კაცამდე გაიზარდა. მანწკავა პირველად საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წლის აღდგომის დღეებში **სერგო მათითაიშვილის** წინააღმდეგ გამოიყენა. ოზურგეთში 1921 წლის 26 მაისის მიტინგის დარბევაში ჯგუ-

ფის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. მთავრობამ მანწკავას ჯგუფის რამდენიმე წევრს არაკეთილსაიმედო პირების ლიკვიდაცია დაავალა. ეს ფაქტი ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც მოკლულ **ჩიგოგიძეს** 25 კაცის სია აღმოუჩინეს. ეს 25 კაცი ჩიგოგიძეს, ვითომდა პირადი ინტერესის გამო, უნდა გაენადგურებინა. დიდი მცდელობის მიუხედავად საგანგებო კომისიამ მანწკავას რაზმის თავისი შეხედულებისამებრ მართვა ვერ შეძლო და მალე ყაჩაღთა ეს ჯგუფი ხელისუფლებისათვის საშიშ ძალად იქცა. 1923 წლის თებერვალში მანწკავას ბანდასთან ბრძოლაში დაიღუპნენ: **ობოლაძე, სანიკიძე, ჩუბინიშვილი.** ამის შემდეგ გურიას რეპრესიების ახალმა ტალღამ გადაუარა. პირველივე დღეებში დაწვეს და გაანადგურეს იმ რაზმელთა ოჯახები, რომლებიც ოზურგეთის რაიონში ცხოვრობდნენ. ოზურგეთის სატუსაღოდან 13 კაცი გამოიყვანეს და ობოლაძის მკვლელობის ადგილას დახვრიტეს. რამდენიმე დღეში ოზურგეთში **ი. ტალახაძე** ჩავიდა და **დამსჯელ ექსპედიციას** ჩაუდგა სათავეში. ი. ტალახაძე შეეცადა ობოლაძის მკვლელობისათვის პოლიტიკური დატვირთვა მიეცა და სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის დაებრალებინა. დამსჯელი ექსპედიციის პირველი მსხვერპლი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები: გლეხი **ს. ქავჟარაძე** და მუშა, ფოთის ყოფილი გვარდიის შტაბის წევრი, **ტ. ჟღენტი,** გახდნენ. მათ უარი განაცხადეს ხელი მოეწერათ წინასწარ გამზადებულ წერილზე, რომლითაც ობოლაძის მკვლელობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქტად უნდა ეღიარებინათ, დაეგმოთ პარტია და ეღიარებინათ, რომ საქართველოს გასაბჭოება ქართველი ხალხის სურვილით მოხდა და ა.შ.

1923 წლის მარტის პირველ ნახევარში ი. ტალახაძემ შემორიგებული 75 „ბანდიტიდან“ 10 ციხეში გამოამწყვდია, 5 კი დახვრიტა. გარდა ამისა, მან 3 „ბანდიტი“ და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) 10 წევრი დააპა-

ტიმრა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №1, საქმე №60, ფურცელი 134). გურიაში ი. ტალახაძის გარდა სისასტიკით გამოირჩეოდნენ: ოზურგეთის საგანგებო კომისიის უფროსი **მხეიძე;** ამავე დანაყოფის გამომძიებელი **გვანცელაძე**; ხუთეულის ხელმძღვანელი **ანდრო დოლიძე;** ხუთეულის წევრი, რუსი ჩეკისტი **პოლშინი**; მილიციის უფროსი **ჭანიშვილი** და მისი თანაშემწე **ლომთათიძე**; ცხენოსანი მილიციის უფროსი **მდინარაძე** და სხვ. (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23682-61, ფურცელი 36).

გურიაში ინგლისელ **კოუტს** სასადილოდან გამოსვლისას უცნობმა წერილი გადასცა, რომელშიც გურიაში მიმდინარე რეპრესიებზე და დახვრეტებზე იყო საუბარი. საბჭოთა ხელისუფლებამ წერილის გადამცემის გამორკვევა დაიწყო, მაგრამ უშედეგოდ. მოგვიანებით, ეჭვი საბჭოთა მოსამსახურეზე, **პროკოფი კილურაძეზე** მიიტანეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23489, ფურცელი 18). პ. კილურაძე სოციალ-დემოკრატებთან **„ძველი მოყვასის“** ფსევდონიმით თანამშრომლობდა. პ. კილურაძე 1923 წლის შემოდგომაზე დააპატიმრეს (**თენგიზ ენდელაძე.** საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003, გვ. 62). 1923 წლის 19 დეკემბერს ოზურგეთის მაზრის პოლიტბიუროს რწმუნებულმა, **მიქაძემ,** ბრალდებულ **პროკოფი პავლეს ძე კილურაძის** (37 წლის, ქართველი, დაოჯახებული, საშუალო განათლებით, სოციალ-დემოკრატი 1900 წლიდან) საქმე განიხილა. პ. კილურაძის საქმის ძიებამ გამოავლინა, რომ ის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) გურიის კომიტეტის წევრი იყო. პ. კილურაძე საქართველოს საგანგებო კომისიაში გადააგზავნეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23489, ფურცელი 16-19). 1924 წლის 21 იანვარს საგანგებო კომისიის პრეზიდი-

უმის სხდომამ პ. კილურაძეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა.

გურიაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) მუშაობას **გურიის კომიტეტი** წარმართავდა. გურიის კომიტეტში შედიოდნენ: **გიორგი სალუქვაძე, აკაკი ვადაჭკორია და პროკოფი კილურაძე** (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23489, ფურცელი 16). გიორგი სალუქვაძე კონსპირაციის მიზნით ატარებდა ფსევდონიმებს: **„ამირანი“, „გოჯაფერი“** და **„რევაზი“**. გურიის სამხედრო ორგანიზაციას **ვანო ცომაია** ხელმძღვანელობდა, გვარდიის შტაბში კი **გიორგი სალუქვაძე, პარმენ ჭანუყვაძე, სერგო მათითაიშვილი, თეოფილე მუხაშავრია** და **გოგი ლომთათიძე** შედიოდნენ. შეიარაღებულ რაზმს სათავეში უშუალოდ **სერგო მათითაიშვილი** ედგა. პროპაგანდისტებად **მიხეილ საბაშვილი** და **ვასილ ჩიტაიშვილი** იყვნენ. თბილისთან კავშირს **ჭეიშვილი** ახორციელებდა. 1923 წლის მაისში ჭეიშვილი თბილისში იმყოფებოდა, სადაც შვიდი დღე დარჩა. თბილისიდან გურიაში ჭეიშვილმა ორი ყუთი სხვადასხვა სახის ლიტერატურა წამოიღო. ღამე ჭეიშვილმა თავის ნაცნობთან, **დიმიტრი თოთიბაძესთან,** გაათია. გამთენიისას ის სოფელ **მელექედურში** წავიდა, სადაც **ვ. ჩიტაიშვილს** და **გ. სალუქვაძეს** შეხვდა. გურიის კომიტეტს მაზრის ყველა დაწესებულებაში თავისი აგენტურა ჰყავდა. დაზვერვას **აკაკი ვადაჭკორია** ხელმძღვანელობდა (მისი ფსევდონიმი „აფროდიტე“ იყო). ოზურგეთის პოლიტბიუროში გურიის კომიტეტს ინფორმატორად იმავე დაწესებულების თანამშრომელი ჰყავდა, რომლის ფსევდონიმი **„იორამი“** იყო.

თავის მხრივ, დაზვერვას და ინფორმატორებს საბჭოთა ხელისუფლებაც აქტიურად იყენებდა. 1924 წლის 6 ივლისს ოზურგეთის სამაზრო პოლიტბიუროს რწმუნებულმა, **შავიშვილმა,** მასთან კავშირზე მყოფ ინფორმატორ **„დინჯს“** დავალება მისცა, კიდევ უფრო დაახლოებოდა **ვა-**

ნო ცომაიას და დახმარებოდა ის ოზურგეთის პოლიტბიუროს ვ. ცომაიას და სხვა პირების დაკავებაში. ამის სანაცვლოდ შავიშვილი „დინჯს" თითოეულ დაკავებულ პიროვნებაში 200 მანეთს ჰპირდებოდა. 1924 წლის 8 ივლისს „დინჯი" შავიშვილს ატყობინებდა, რომ ხვალ ან ზეგ ის ერთი პიროვნების დახმარებით, ოზურგეთთან ახლოს, ვ. ცომაიას და გ. სალუქვაძეს შეხვდებოდა. ოზურგეთის პოლიტბიურომ გადაწყვიტა ინფორმატორი „დინჯი" მეთვალყურეობის ქვეშ აეყვანა. დაკავების ოპერაციაში ოზურგეთის მაზრის პოლიტბიუროს უფროსის მოადგილე, **ვლადიმერ შარმაზანაშვილი**, პოლიტბიუროს თანამშრომლები: **თედო შავიშვილი** და **პოლშინი**, პოლიტბიუროს ინფორმატორები **„ზორსკი"** და **„რაკი"** და რამდენიმე მეთვალყურე მონაწილეობდა. 1924 წლის 9 ივლისს, დილის 8 საათზე, ინფორმატორ „დინჯთან" ერთი უცნობი ქალბატონი მივიდა, რომელმაც „დინჯი" სოფელ **დვაბზუში** ვ. ცომაიასთან და გ. სალუქვაძესთან მიიყვანა სიმინდის ყანაში. აქ ჩეკისტებმა ვ. ცომაია, გ. სალუქვაძე და „დინჯი" აიყვანეს. ვ. ცომაია გაქცევას შეეცადა, მაგრამ ის ჩეკისტებმა ფეხში დაჭრეს. გ. სალუქვაძემ კი ერთერთი ჩეკისტისათვის პისტოლეტის წართმევა სცადა, მაგრამ ამაოდ. ვ. ცომაიასთან და გ. სალუქვაძესთან ერთად ოზურგეთის პოლიტბიუროში ინფორმატორი „დინჯიც" გადაიყვანეს (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003, გვ. 60-62).

ოზურგეთის მაზრის პოლიტბიუროს ინფორმატორს, **„მაუზერს"**, ს. მათითაიშვილის რაზმის წევრთან, **ანდრო თავბერიძესთან**, ჰქონდა კავშირი (**სშსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 667). 1923 წლის 2 ივნისისათვის „მაუზერის" მიერ ს. მათითაიშვილის ადგილსამყოფელის დადგენისთანავე სპეცოპერაციის ჩატარება გადაწყდა. ამ

დროს ს. მათითაიშვილი **მუხაშავრიასთან, ურუშაძესთან და ინაშვილთან** ერთად ხიდისთავის რაიონის სოფელ **ფიჩხისჯვარში** (ქ. ოზურგეთიდან 15 ვერსის დაშორებით) იმყოფებოდა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 39). სპეცოპერაციას პოლშინი ხელმძღვანელობდა, მაგრამ მოხდა კი პირიქით. ღამის პირველ საათზე ს. მათითაიშვილმა პოლშინს და მის მეგობრებს ჩასაფრება მოუწყო. ხანგრძლივი სროლების შემდეგ ს. მათითაიშვილი და მისი რაზმელები გაიქცნენ და ადგილზე ნაბდები, ქურქები და ერთი შაშხანა დატოვეს. ამასთან, ამ სპეცოპერაციის დროს ინფორმატორ „მაუზერის" საქმიანობა გამოაშკარავდა, რის შემდეგაც ს. მათითაიშვილის რაზმელები მას უკვე არ ენდობოდნენ (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 667). ამ ყველაფრის შემდეგ ოზურგეთის მაზრის პოლიტბიურომ გარკვეული დასკვნა გააკეთა — ს. მათითაიშვილის რაზმთან მიმართებაში უფრო ფრთხილად ყოფილიყვნენ (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 39ა).

1923 წლის 16 ივლისს ოზურგეთის მაზრის **საგანგებო ხუთეულის** სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: ხუთეულის თავმჯდომარე **ა. დოლიძე,** პოლიტბიუროს უფროსი **მ. მკურნალი,** საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ოზურგეთის სამაზრო პარტიული კომიტეტის მდივანი **თ. დოლიძე,** სამაზრო მილიციის უფროსი **ს. ჯიბუტი,** მუშათა საგანგებო რაზმის უფროსი **ვ. თავართქილაძე.** სხდომის დღის წესრიგში „პოლიტბანდიტების" მხრიდან ოზურგეთის პოლიტბიუროს უფროსზე და კომუნისტებზე განზრახული ტერორისტული აქტების აღკვეთის საკითხი იდგა (ინფორმაცია მათ კომუნისტმა მელიქაძემ მიაწოდა). სხდომაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება ხუთეულის თავმჯდომარემ, ა. დოლიძემ, გააკეთა. სათანადო მსჯელობის შემდეგ სხდომამ შემდეგი დადგენილება მიიღო: „1) სასწრაფოთ დაპატიმრებულ იქნას ბანდიტების, როგორც ახ-

ლობელი, ისე შორეული ნათესავები, რომელთა ბინებით იმათ საშვალება ეძლევათ თავი შეაფარონ რომელიმე უბანს. ეს დაპატიმრებულნი ნათესავები გამოცხადდეს მძევლებათ, რომლებიც, რომელიმე ვერაგული განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ სიკვდილით დაისჯებიან. აგრეთვე ის პირები /7 კაცი/ რომლებსაც № ოქმით პირობითი დახვრეტა ქონდათ მისჯილი;

2) პირველ მუხლში აღნიშნული დაპატიმრების სისრულეში მოყვანის შემდეგ, გამოიცეს ხუთეულის სახელით ოფიციალური განცხადება, სადაც აღნიშნული იქნება, როგორც 1-ლ მუხლში აღნიშნული ზომები ბანდიტების წინააღმდეგ, ისე გაფრთხილება იმ უბნებისა, რომელ უბნებიდან ბანდიტებია გასული. იმ თემების წინააღმდეგ, რომლის მცხოვრებლები არიან ბანდიტები და სადაც აშკარაა, ისინი ახერხებენ თავის შეფარებას, იქნება მიღებული უსასტიკესი ზომები;

3) აგრეთვე სასტიკათ დაისჯებიან იმ რაიონის მცხოვრებლები, სადაც ბანდიტები მოახდენენ თავდასხმას, ან მკვლელობას. ამასთან უსასტიკესი ზომები უნდა იქნას მიღებული იმ თემების წინააღმდეგ, სადაც აღმოჩენილი იქნება ბანდიტების თავშესაფარი;

4) წინადადება მიეცეს, როგორც სამაზრო მილიციის უფროსს, აგრეთვე ჩონის უფროსს შეიარაღებული ძალებით იყვნენ მზათ ყოველ შემთხვევისათვის. მილიციას ევალება გააძლიეროს ღამით ქალაქის დაზვერვა და მოახთინოს ქალაქის ფარგლებში დაზვერვა-ჩხრეკა შემჩნეულ და საეჭვო პირების ოჯახებში. მასვე ევალება გააძლიეროს ბახმაროს გზის დაცვა ახალი პოსტების დაარსებით;

5) სასწრაფოთ მოხდეს რაიონული მილიციის უფროსების თათბირი სათანადო დირექტივების მისაცემათ;

6) წინადადება მიეცეს გამასწორებელ სახლის უფროსს სასტიკი ზომები მიიღოს ციხის დასაცავად;

7) პოლიტ-ბიუროს უფროსს მიეცეს წინადადება სასტიკი თვალ-ყური ადევნოს გაბანდიტებულ მენშევიკების პარტიის წევრების მოძრაობას მაზრის ფარგლებში და დროზე მიიღოს იმათ წინააღმდეგ სათანადო ზომები" (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 102-102ა).

1924 წლის 2 თებერვალს გურიაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) გურიის სამაზრო კონფერენცია გაიმართა. ამ დღეს დელეგატებმა თბილისიდან ჩამოსული **ვანო ღლონტისაგან** (რომელიც ციხიდან ახალი გათავისუფლებული იყო) საქართველოში აჯანყების მოწყობის თაობაზე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის გადაწყვეტილება მოისმინეს. მოგვიანებით, გურიაში პარიზიდან ახლად ჩამოსული სოციალ-დემოკრატი **ვალიკო ჯუღელი** ჩავიდა. ვ. ჯუღელმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) გურიის სამაზრო კომიტეტსა და სამხედრო შტაბს ახალი ამბები გააცნო. მისი თქმით, „შესაძლებელი იყო საქართველოს გათავისუფლება პირველივე მცდელობით და თუ მოახერხებდნენ აჯანყებულები ძალაუფლების შენარჩუნებას ერთ თვემდე, შემდეგ უკვე შესაძლებელი იყო საზღვარგარეთიდან გარკვეული დახმარების მიღება". მეორე დღეს კრება გაიმართა, რომელსაც გურიის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი სალუქვაძე,** სამხედრო შტაბის თავმჯდომარე პოლკოვნიკი **ვანო ცომაია** და სარაიონო შტაბების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კრებაზე აჯანყების ორი გეგმა იქნა შემუშავებული: 1. აჯანყების პირველ ღამეს ოზურგეთის აღება, შემდეგ კი რაიონებზე თავდასხმა. გარდა ამისა, გურული აჯანყებულები ბათუმისა და ქუთაისის აჯანყებულებს უნდა დახმარებოდნენ. ტექნიკურად №1 გეგმა ასე უნდა შესრულებულიყო: ოზურგეთის რაიონს, რომელიც სხვებთან შედარებით მეტისმეტად სუსტი იყო, მარტო თავისი ძალებით ქალაქის აღება არ შეეძლო. ამიტომ, თითოეულ რაიონს ქ. ოზურგეთის ასაღებად 50 მებრძოლი

უნდა გამოეყო, ანუ მთლიანობაში — 150 კაცი 2 ტყვიამფრქვევით. ამ სამხედრო ძალას თვით ქ. ოზურგეთის სამხედრო ძალა უნდა დამატებოდა. გარდა ამისა, ს. მათითაიშვილის გეგმის შესაბამისად, ხიდისთავის რაზმი მთლიანად ქ. ოზურგეთის ასაღებად უნდა დაძრულიყო; 2. გეგმა №2 კი შემდეგში მდგომარეობდა: რაიონებზე თავდასხმა უნდა მომხდარიყო, სადაც ძალაუფლების სრულად მოპოვების შემდეგ შეერთებული ძალებით ქ. ოზურგეთზე გალაშქრება განხორციელდებოდა.

ოზურგეთის რაიონში **პარმენ ჭანუყვაძის** შეიარაღებული რაზმი იმყოფებოდა. პ. ჭანუყვაძისათვის აჯანყების გეგმის გაცნობა იყო საჭირო, რათა ამ უკანასკნელს თვითნებურად არ ემოქმედა. სწორედ ამ მიზნით, პ. ჭანუყვაძესთან მოსალაპარაკებლად გ. სალუქვაძე და ვ. ცომაია გაემართნენ, მაგრამ ორივე მათგანი გზაში ჩეკისტებმა დააპატიმრეს. ეს აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. მდგომარეობას ის გარემოებაც ართულებდა, რომ **ვანო ღლონტი** ამ დროისათვის დაჭრილი იყო, ხოლო **ვასო ჩიტაიშვილი** კი არალეგალური მუშაობისათვის ბათუმში იყო გადაყვანილი. გ. სალუქვაძე გურიის კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა შეცვალა (**სიმონ გოგიბერიძე.** ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 57-63), ხოლო ვ. ცომაიას შემცვლელად თბილისიდან **სოლომონ ყარალაშვილი** გამოგზავნეს (**სოლომონ ზალდასტანიშვილი.** 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, გვ. 21). თუმცა, ს. ყარალაშვილი გურიაში ჩასვლამდე ჯერ ბათუმში ჩავიდა, სადაც იგი დააპატიმრეს. ამას ვალიკო ჯუღელის დაპატიმრებაც დაემატა, რამაც მთელ გურიაში ძალიან არასასურველი განწყობა შექმნა (**სიმონ გოგიბერიძე.** ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 63).

1924 წლის 20 აგვისტოს გურიის კომიტეტს საქართველოს დამკომის წარმომადგენელი **ქავთარაძე** ესტუმრა (**სოლომონ ზალდასტანიშვილი.** 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა

„მერანი", თბილისი, გვ. 21), რომელსაც გურიაში აჯანყებისათვის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაეწია (**სიმონ გოგიბერიძე**. ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 65).

1924 წლის 26 აგვისტოს, დღის პირველ საათზე, თბილისიდან გურიაში დამკომის კურიერი ჩავიდა, რომელმაც გურიის კომიტეტს აუწყა: აჯანყება მთელ საქართველოში 1924 წლის 28-29 აგვისტოს, ღამის 2 საათზე, უნდა დაწყებულიყო. თავის მხრივ, 1924 წლის 27 აგვისტოს გურიის კომიტეტმა გურიის ყველა რაიონის მეთაურს აჯანყების თარიღი აუწყა. ამასთან, გურიის კომიტეტმა გადაწყვიტა აჯანყება გურიაში გეგმა №2-ის შესაბამისად განეხორციელებინა (**სიმონ გოგიბერიძე**. ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 65-68).

გურიის საბჭოთა ხელისუფლება ფხიზლად იყო. 1924 წლის 19 მაისს გურიის სამხედრო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც მიღებული დადგენილების თანახმად ვალოდია თავართქილაძეს და ოზურგეთის მაზრის ჩონის უფროსს, საბა ხუციშვილს, დაევალათ: სამხედრო მეცადინეობისათვის გამოეწვიათ ოზურგეთიდან ბრძოლაში გამოცდილი 300 კაცი, ჩოხატაურიდან და ლანჩხუთიდან — 50-50, ხიდისთავიდან და სუფსიდან — 25-25, თითოეული სოფლიდან — 10-10 კაცი; ტყვიამფრქვევებით გაემაგრებინათ აღმასრულებელი კომიტეტის, პარტიული კომიტეტის, მილიციის, პოლიტბიუროს, საპყრობილის, ხაზინისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობები. ეს მზადება პანიკისა და მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნეველად უნდა განხორციელებულიყო. ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსს, სარდიონ ჯიბუტს, დაევალა მუდმივ მზადყოფნაში ყოლოდა როგორც მაზრის, ისე რაიონული მილიციები (**სშსსა (III)**, ფონდი №30, აღწერა №1, საქმე №18, ფურცელი 81-82). ეს მობილიზებული ძალა 1924 წლის 7 ივნისამდე სხვადასხვა საგუშაგოებზე იდგა. 7 ივნისს კი მობილიზებული ძალებიდან ოზურგეთში, ლანჩხუთში, სუფსაში და ჩოხა-

ტაურში 120 კაცი დატოვეს (**სშსსა, (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №45, ფურცელი 76).

§4. სვანეთი. რაჭა-ლეჩხუმი

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი სვანეთს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, სადაც ანტისაბჭოთა მუხტი მუდმივად იყო. მართალია, ხელისუფლებამ მეამბოხე სვანების შემორიგება და სვანეთის ნაწილობრივი განიარაღება მოახერხა, მაგრამ სვანეთი კვლავაც დენთის კასრად რჩებოდა. ამიტომ, საბჭოთა ხელისუფლება სვანეთის 1921-1922 წლების აჯანყების მეთაურებზე მუდმივ თვალთვალს ახორციელებდა. ამ თვალთვალის შედეგად, 1923 წლის 7 ივნისს ლეჩხუმის მაზრის მილიციის უფროსი სოფ. **ჩოლურში** (ლეჩხუმის მაზრა), ორი ცხენოსანი მილიციელის თანხლებით, **ნესტორ გარდაფხაძეს** თავს დაესხა და დააპატიმრა. ნ. გარდაფხაძემ სიბნელით ისარგებლა (დაპატიმრება ღამით მოხდა) და გაიქცა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 119). ნ. გარდაფხაძის გაქცევა საბჭოთა ხელისუფლებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა, ამიტომ, 1923 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, **ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი,** ცაგერიდან ნესტორ გარდაფხაძეს შემდეგი შინაარსის წერილს სწერდა:

„ბ. ნესტორ!

მე ვარ ცაგერში მინდოდა თქვენი ნახვა და პირადად გადმოცემა, რომ თქვენი საწინააღმდეგო საქართველოს მთავრობას არაა აქ რა, პირიქით მადლობელი ვართ, ვინაიდან რაც კი ... (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) ყოველივე პირნათლად შეასრულეთ. გაძლევთ პატიოსან სიტყვას თქვენი დაჭერა იყო მარტოდ-მარტო გაუგებრობა და მეტი არასფერი, რისთვისაც ყველა ჩვენ დიდად ვწუხვართ.

ნესტორ, მე იშვიათად ვიძლევი სიტყვას ხოლო თუ მივეცი მას ვასრულებ, თუ შესრულებამდი სიკვდილმა არ მისწრო. თუ ეს თქვენ გჯერათ და წვრილმან გამცემლად არ მთვლით იკმარიეთ ჩემი თავდებობა, წამოდით და მანამდე, ოთხშაბათამდის, მოხვალთ ჩემ ძმასთან, გრიშასთან, სამშაბათ საღამოს" (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 63). ამის შემდეგ ნესტორ გარდაფხაძე ალექსანდრე გეგეჭკორთან გამოცხადდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 903).

საბჭოთა ხელისუფლებამ სვანეთის 1921-1922 წლების აჯანყების სხვა მეთაურებიც გადაიმტერა. თუმცა მოგვიანებით, 1923 წლის 12 სექტემბერს სვანეთის აჯანყების ერთერთი მეთაური, **ბიძინა პირველი,** ზემო სვანეთის მილიციაში ნებაყოფლობით გამოცხადდა და საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგების სურვილი გამოთქვა. მალე, საბჭოთა ხელისუფლებასთან შემდეგი „ბანდიტები" გამოცხადნენ: **პლატონ გურული, მიხეილ გომართელი, სიმონ ციმაკურიძე, ისიდორე მიროტაძე** და **გრიგოლ გამყრელიძე** (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 264).

მიუხედავად ამისა, სვანეთში რამდენიმე ანტისაბჭოთა რაზმი მოქმედებას აგრძელებდა, რომელთა შორის აღსანიშნავია **კონსტანტინე (კონია) დადეშქელიანისა** და **ოთარ დადიანის** რაზმები. კ. დადეშქელიანის განკარგულებაში მუდმივად 5 შეიარაღებული იმყოფებოდა, რომელთაგან ორი მისი შვილი, დანარჩენი კი — ძმისშვილები იყვნენ. ოთარ დადიანის (მასთან მუდმივად საბჭოთა ხელისუფლების აქტიური მოწინააღმდეგე დავით მხეიძე იმყოფებოდა) შეიარაღებული რაზმი მთლიანად სვანებით იყო დაკომპლექტებული და 40 მებრძოლს აერთიანებდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 145-150). ოთარ დადიანის მეუღლე კონსტანტინე დადეშქელიანის დისშვილი იყო (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 110). ოთარ დადიანმა და დავით

მხეიძემ თბილისში, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან, წერილი გააგზავნეს, რომლითაც ისინი თბილი ტანსაცმლის გაგზავნას ითხოვდნენ. დამოუკიდებლობის კომიტეტმა მათ აუწყა, რომ აღნიშნული თხოვნა საზღვარგარეთიდან ფულის მიღებისთანავე დაკმაყოფილდებოდა.

1923 წლის 22 ნოემბერს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, **ლავრენტი ბერიას**, კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსის, **ლორთქიფანიძისა** და კონტრდაზვერვის განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილების უფროსის, **ხუმაროვის,** ხელმოწერით ზუგდიდის საინფორმაციო პუნქტის სამაზრო რწმუნებულს საიდუმლო მიწერილობა გაეგზავნა, რომლის თანახმად მას ევალებოდა გაერკვია: თუ რაში გამოიხატებოდა კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანის და მისი ჯგუფის ბანდიტური ქმედება და მისი კავშირი ოთარ დადიანთან და რა მიზნით დადიოდა ოთარ დადიანი ზაფხულში სვანეთში; ასევე, საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთაგან სვანეთში ვინ იქნა გამოვლენილი, მათი სახელები, გვარები, პოლიტიკური პორტრეტი, საიდან ჩამოვიდნენ და საით წავიდნენ, ვისთან ჰქონდათ კავშირი; ვინ იყვნენ ბანდიტები შელია და ციმინტია და რა კავშირი ჰქონდათ მათ ოთარ დადიანთან. თუ აღნიშნული კავშირი დადასტურდებოდა, მაშინ დავალების ადრესატს ევალებოდა გადაებირებინა ო. დადიანი, რომლის მეშვეობითაც შელიას და ციმინტიას ლიკვიდაცია უნდა განხორციელებულიყო. მოწერილობის ავტორები ადრესატებს აძლევდნენ გაფრთხილებას, რომ კოწია დადეშქელიანთან და ოთარ დადიანთან წარმოებული მოლაპარაკების დროს ძალზე ფრთხილად ყოფილიყვნენ და საკითხის მოგვარების დროს დიპლომატიურობა გამოეჩინათ და საგანგებო კომისიის ნებართვის გარეშე არანაირი რეპრესიები არ გაეტარებინათ.

საბჭოთა ხელისუფლებამ 1923 წლის 4 დეკემბერს სოფ. **დალში** (კოდორის მაზრა) კონსტანტინე დადეშქელია-

ნისა და ოთარ დადიანის დაპატიმრება მოახერხა, თუმცა ისინი ხელისუფლებამ მალევე გაათავისუფლა. კ. დადეშქელიანი და ო. დადიანი ამის შემდეგაც ანტისაბჭოთა საქმიანობას აგრძელებდნენ. საქართველოს საგანგებო კომისიამ ო. დადიანის კვლავ შემორიგება გადაწყვიტა მისი ძმის, **მუშნი დადიანის,** მეშვეობით, რომელიც თბილისში ქართულ ცხენოსანთა დივიზიაში მსახურობდა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 145-150). 1924 წლის 26 ივნისს მუშნი დადიანი, საგანგებო კომისიის ერთ მოსამსახურესთან ერთად, ავტომობილით სამეგრელოში გაემგზავრა. მუშნი დადიანის მიერ ოთარ დადიანის ადგილსამყოფელის დადგენისა და ამ უკანასკნელის საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგების შემდეგ, ო. დადიანი შელიასთან და ძვაბავასთან ერთად (საბჭოთა ხელისუფლების აქტიური მოწინააღმდეგეები) საქართველოს საგანგებო კომისიის განკარგულებაში გადაადგზავნეს (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 903). 1924 წლის ივნისში საბჭოთა ხელისუფლებამ ოთარ კონსტანტინეს ძე დადიანს სრული ამნისტია გამოუცხადა და წარსულის ყველა „დანაშაული" აპატია (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №24333, დამატება, ფურცელი 1).

1924 წლის 22 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლებამ საკუთარი ინფორმატორისაგან ინფორმაცია მიიღო, რომლის თანახმად გაირკვა, რომ: ზემო სვანეთში ნესტორ გარდაფხაძეს 200 შეიარაღებული მებრძოლი ჰყავდა; ნესტორ გარდაფხაძეს თანამგრძნობების სია ჰქონდა შედგენილი (ხელისუფლებისათვის ეს სია უცნობი დარჩა); **მალაქია ონიანს** ნესტორ გარდაფხაძისათვის წერილი გაუგზავნია, რომლის თანახმად სოფ. ლაშხეთში ყველაფერი მზად იყო და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ზემო სვანეთში გადასვლა; ბოსი გვიდიანი ქვემო სვანეთში იმყოფებოდა და აჯანყებისათვის ემზადებოდა, რომლის დაწყებასაც ის ახლო

მომავალში ელოდება (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 54).

1924 წლის 30 მარტს ანალოგიური ინფორმაცია საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო. ამ ინფორმაციის თანახმად, სვანეთში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა პოლიტიკური დაჯგუფება, რომელშიც **ნესტორ გარდაფხაძე** (ეროვნულ-დემოკრატი, ყოფილი პოლკოვნიკი, 50 წლის), **ბიძინა პირველი** (ეროვნულ-დემოკრატი 1922 წლიდან, სტუდენტი, 27 წლის, უცოლშვილო), **ეგნატე გაბლიანი** (სოციალისტ-ფედერალისტი 1915 წლიდან, მეფის დროს სვანეთში მამასახლისად მუშაობდა, 50 წლის) და **ილარიონ მარგველიანი** (ეროვნულ-დემოკრატი, ნესტორ გარდაფხაძის მარჯვენა ხელი, შეძლებული გლეხი, 45 წლის) შედიოდნენ. როგორც ინფორმატორი იტყობინებოდა, ზემოთ ჩამოთვლილი პირები ზემო სვანეთში თავისუფლად მოძრაობდნენ. მათ ადგილობრივი ხელისუფლების არანაირი შიში არ ჰქონდათ და ხშირად სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შენობაშიც კი თავისუფლად შედიოდნენ. ინფორმატორის თქმით, ზემო სვანეთში ასევე დიდი გავლენით სარგებლობდა მეორე პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) აერთიანებდა. ამ დაჯგუფებას **მალაქია ონიანი** მეთაურობდა, წევრები კი იყვნენ: **შაშიკო ბერიძე** (ეროვნული გვარდიის ყოფილი წევრი, 30 წლის), **ქიშუ ჯამბურიძე** (ეროვნული გვარდიის ყოფილი წევრი, 30 წლის), **არტემ ონიანი** (ეროვნული გვარდიის ყოფილი წევრი) და სხვები, სულ 10 შეიარაღებული მებრძოლი. მართალია, ყველა ისინი ქვემო სვანეთის მაცხოვრებლები იყვნენ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ქვემო სვანეთის ხელისუფლება საკმაოდ ძლიერი იყო, ისინი, ინფორმატორის ცნობით, ზემო სვანეთში იმყოფებოდნენ.

ქვემო სვანეთში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გავლენა საქართველოს სოციალ-დემოკრა-

ტიულ პარტიასთან (მ) შედარებით უფრო სუსტი იყო. მიუხედავად ამისა, ნესტორ გარდაფხაძე და ბიძინა პირველი ქვემო სვანეთში აქტიური მუშაობის გაშლას ცდილობდნენ. მათ ქვემო სვანეთში **ბესარიონ კვიტიანთან** და **ერმოლოზ ხაბულიანთან** კავშირი ჰქონდათ (ორივე მათგანი მღვდელი იყო და სოფ. ჩოლურში ცხოვრობდა).

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება ზემო სვანეთში არსებული მდგომარეობის გამო შეშფოთებას ვერ მალავდა. ცხადი იყო, რომ სვანეთი საბჭოთა ხელისუფლებას კვლავ აუჯანყდებოდა თუ ამას ნესტორ გარდაფხაძე, ბიძინა პირველი და მალაქია ონიანი მოისურვებდნენ (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 15).

1924 წლის 24 მარტისთვის ნესტორ გარდაფხაძის რაზმში რაღაც უთანხმოება მოხდა, რის გამოც ნ. გარდაფხაძის რაზმი ფაქტობრივად დაიშალა. მოგვიანებით, ნ. გარდაფხაძემ რაზმის ხელახლა ფორმირება დაიწყო (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 54). ეს პროცესი მან 1924 წლის 11 აპრილისათვის დაასრულა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 112).

1924 წლის 14 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა დასავლეთ საქართველოში, მათ შორის სვანეთში, აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოებისათვის რწმუნებულები გაგზავნა. ცენტრიდან გაგზავნილი პირები ნესტორ გარდაფხაძეს, ოთარ დადიანსა და სხვებს შეხვდნენ (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 92).

1924 წლის აჯანყების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე სვანეთში სამხედრო ორგანიზაცია შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: **ბიძინა პირველი, ეგნატე გაბლიანი, თენგიზ დადეშქელიანი და ბესარიონ ხერგიანი.** ორგანიზაციაში მთავარ როლს ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი ასრულებდნენ. ორგანიზაციის დანარჩენ წევრებს დამკომთან უშუალო კავშირი არ ჰქონდათ (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა**

პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა). იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 111-112).

1924 წლის ივლისში თბილისში ბიძინა პირველი ჩავიდა. ბიძინა პირველს ეროვნულ-დემოკრატი **ელისე პატარიძე** შეხვდა (ბ. პირველი და ე. პატარიძე ერთმანეთს ქუთაისიდან იცნობდნენ) და აუწყა, რომ მისი ნახვა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, **იასონ ჯავახიშვილს,** სურდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 23-29). იასონ ჯავახიშვილი ბიძინა პირველს საქართველოსა და მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ესაუბრა და აუწყა, რომ ევროპის სახელმწიფოები მზად იყვნენ საქართველოსათვის დახმარება გაეწიათ, თუ საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება დაიწყებოდა. ი. ჯავახიშვილმა ბ. პირველს სთხოვა სვანეთში და ლეჩხუმში აჯანყებისათვის პირადად ეხელმძღვანელა. ბ. პირველმა ამაზე თანხმობა განაცხადა. ი. ჯავახიშვილი ბ. პირველს შეჰპირდა, რომ აჯანყების თარიღს მოგვიანებით შეატყობინებდა (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა).** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 111). ბ. პირველი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს, **კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილს,** შეხვდა. კ. ანდრონიკაშვილსაც ბ. პირველთან ანალოგიური შინაარსის საუბარი ჰქონდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 31). ამის შემდეგ ბ. პირველი სვანეთში დაბრუნდა. სვანეთში ჩასვლისას ბ. პირველმა ეგნატე გაბლიანს დამოუკიდებლობის კომიტეტთან წარმოებული მოლაპარაკების შინაარსი გააცნო (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა).** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 111).

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ცაგერის რაიონულ ორგანიზაციას **ილია სვანიძე** ხელმძღვანელობდა (ცაგერის რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იმავდროულად მთელი ლეჩხუმის მაზრის მასშტაბით მუშაობდა). საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ცაგერის რაიონული კომიტეტის წევრები იყვნენ: **მოსე ბრეგვაძე, ზოსიმე კოპალიანი, კონსტანტინე (კოწია) კოპალიანი, აბელ სალუქვაძე, ილარიონ ხვადაგიანი, თომა დაშნიანი, სამსონ შკუბულიანი, ვლადიმერ ჩარკვიანი' გიორგი ჭაბუკიანი** (მასწავლებელი), **პორფირე ბანძელაძე, ერმოლოზ მუშკუდიანი** (ცხოვრობდა სოფ. ოყურეშში), **კონსტანტინე (კოტე) ბანძელაძე, ისიდორე მუშკუდიანი.** ისინი **ილია სვანიძის** სახლში ან **გიორგი გოგიძის** სარდაფში იკრიბებოდნენ. თბილისიდან კორესპონდენციებს **ილარიონ ლეშკაშელი** (მცხოვრები სოფ. ლაჯანაში) და **ალექსანდრე ექვთიმეს ძე ფუტკარაძე** (მცხოვრები სოფ. სამორჩიში) ღებულობდნენ. მიღებული კორესპონდენციები სვანეთში **აბელ საგინაძის** მეშვეობით იგზავნებოდა. ცაგერის რაიონში მომუშავე სოციალ-დემოკრატებს ქვემო სვანეთში კავშირი **ელიზბარ ონიანთან და რაჟდენ მიშველიანთან** ჰქონდათ. რაჟდენ მიშველიანი ზემო სვანეთთან კავშირს **მალაქია ონიანის** მეშვეობით აწარმოებდა. 1923 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ლეჩხუმის მაზრის სოციალ-დემოკრატებმა ქუთაისიდან არალეგალური ლიტერატურა და პროკლამაციები მიიღეს სახელწოდებით **„გაძევებული სტუდენტები“**. იმავე წლის 10 მარტს ორგანიზაციამ გაზეთ **„დამოუკიდებელი საქართველოს“** ერთი ეგზემპლარი მიიღო. ამასთან, **მოსე ბრეგვაძემ, მელიტონ მანდარიამ და კაპიტონ ყურაშვილმა** თბილისიდან დავალება მიიღეს, რაც შეიძლება ჩქარა გამოეცოცხლებინათ ლეჩხუმის მაზრაში მუშაობა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №24333, ფურცელი 15-33).

1923 წლის თებერვალში ცაგერის რაიონში ადგილობრივი დამოუკიდებლობის კომიტეტი ჩამოყალიბდა, რომლის წევრები იყვნენ: **კაპიტონ ყურაშვილი** (ეროვნულ-დემოკრატი), **ილარიონ კოპალიანი** (მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტი) და **სამსონ ბრეგვაძე** (სოციალ-დემოკრატი). სამივე მათგანი მასწავლებლად მუშაობდა. ისინი დუქანში იკრიბებოდნენ, ღვინოს მიირთმევდნენ და აქტუალურ საკითხებს იხილავდნენ. დუქანში არასასურველი პირების შემოსვლის შემთხვევაში მათ საუბარი სხვა თემაზე გადაჰქონდათ. ლეჩხუმის მაზრის დამკომს **ნესტორ გარდაფხაძესთან** ჰქონდა კავშირი. ლეჩხუმის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებმა თბილისიდან გაფრთხილება მიიღეს: 1923 წლის 28 მაისისათვის მზად ყოფილიყვნენ, ამ დროისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება იგეგმებოდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23352, ფურცელი 4-17). მალე, 11 მაისს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ზემო აღნიშნული პირები დააპატიმრა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23352, ფურცელი 38). 1923 წლის 16 მაისით დათარიღებულ წერილში ცაგერის ტექნიკუმის პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები ლეჩხუმის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს თხოვდნენ მათი მასწავლებლები პატიმრობიდან გაეთავისუფლებინათ, ვინაიდან ტექნიკუმში სასწავლო პროცესი ფაქტიურად ჩაშლილი იყო. მოსწავლეების თქმით, ტექნიკუმში მხოლოდ ერთი მასწავლებელი (სასწავლებლის გამგე) დარჩა. ამასთან, ტექნიკუმის მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო წელი მთავრდებოდა და მათი მომდევნო კლასში გადასვლის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23352, ფურცელი 11). ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსწავლეების თხოვნა გაითვალისწინა და 1924 წლის 31 მაისს სამივე მასწავლებელი, სათანადო ხელწერილის ქვეშ, გაათავისუფლა, რათა მათ ტექნიკუმში კლასიდან კლასში გადასაყვანი გა-

მოცდები ჩაეტარებინათ. გამოცდების დასრულებისთანავე, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მილიციელები გააგზავნა, რომლებმაც ორი მასწავლებელი დააპატიმრეს. რაც შეეხება მესამეს — **კაპიტონ ყურაშვილს** — მილიციელებმა მის კვალს ვერ მიაგნეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23352, ფურცელი 38).

1923 წლის 13 ივნისს ლეჩხუმის მაზრის ხელმძღვანელობამ საბჭოთა ხელისუფლების აქტიური მოწინაღმდეგეები დააპატიმრა და ქუთაისის პოლიტბიუროში გადააგზავნა, რომელთა შორის იყვნენ: **დიანოზ კაკუჩოს ძე ცვარიანი** (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე, ჩაბარებული ჰქონდა პარტიის ბეჭედი), **კაპიტონ ყურაშვილი** (ცაგერის ტექნიკუმის მასწავლებელი, ლეჩხუმის მაზრის დამკომის წევრი, საიდუმლო კორესპონდენციებს ილარიონ კოპალიანისაგან ღებულობდა), **მოსე ექვთიმეს ძე ბრეგვაძე** (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის ინსტრუქტორი, ღებულობდა არალეგალურ გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოს"), **ილია ექვთიმეს ძე სვანიძე** (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ცაგერის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი), **ელიზბარ ონისიმეს ძე ონიანი** (სვანეთსა და ლეჩხუმს შორის კავშირი მისი მეშვეობით მყარდებოდა), **გერონტი არსენას ძე კოპალიანი** (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მექვენის სასოფლო ორგანიზაციის მდივანი), **ვლადიმერ გიორგის ძე ყურაშვილი** (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი სოფ. ოყურეშში), **ილარიონ ივანეს ძე ლეშქაშელი** (სოციალ-დემოკრატი, კორესპონდენციებს ცენტრიდან ღებულობდა), **ილარიონ იასონის ძე კოპალიანი** (ლეჩხუმის მაზრის დამკომის წევრი, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტი), **ბიძინა რომანის ძე გვიშიანი, აკაკი როფოზოს ძე ჩი-**

ქოვანი, ტერენტი ბიჭოს ძე ასლანიკაშვილი, ლავრენტი ნიკოლოზის ძე კუხალაშვილი, ირადიონ მიხეილის ძე კუხალაშვილი, ინდისი არსენას ძე ჩაკვეტაძე, დისიონ ივანეს ძე ახვლედიანი, პლატონ სიმონის ძე ჩხეტიანი, ესაია კირიმეს ძე ახვლედიანი, გრიგოლ ევგენის ძე სვანიძე, ივანე თედოს ძე სულცაძე, ელიზბარ ნიკოლოზის ძე უგრეხელიძე, ვლადიმერ მოსეს ძე ჩაკვეტაძე, მარკოზ გლახოს ძე აბროლიანი, გერასიმე საბას ძე მანაგაძე, გიორგი ნიკოლოზის ძე მანდარია და ერმოლოზ ივანეს ძე მამარდაშვილი (ეროვნულ-დემოკრატი, 65 წლის). მოგვიანებით, ყველა დაპატიმრებული გაათავისუფლეს **იანოზ ცვარიანის, გერონტი კოპალიანის, ილარიონ კოპალიანის, ილია სვანიძისა და ერმოლოზ მამარდაშვილის** გარდა (**სმსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23352, ფურცელი 40-46).

რაჭის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განსაკუთრებით სოციალისტ-ფედერალისტები აქტიურობდნენ. 1923 წლის 4 ივლისს რაჭის მაზრის საინფორმაციო პუნქტის უფროსის თანაშემწემ, **კონსტანტინე (კოტე) დვალმა,** მაზრის საინფორმაციო პუნქტის უფროსის განკარგულების შესაბამისად, ქ. ონში მცხოვრები **მიხეილ (მიშა) დავითის ძე კერესელიძის** (სოციალისტ-ფედერალისტი) ბინის ჩხრეკა განახორციელა. ჩხრეკის შედეგად კ. დვალმა სხვადასხვა ხასიათის წერილები აღმოაჩინა. აღნიშნული წერილებიდან გაირკვა, რომ მიხეილ კერესელიძე საბჭოთა ხელისუფლების აქტიური მოწინააღმდეგე იყო. წერილებიდან გაირკვა ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მ. კერესელიძესთან ერთად მუშაობდნენ: **პოლისკა პლატონის ასული ჯაფარიძე** (სოციალისტ-ფედერალისტი), **ინდიკო მინას ძე გოცირიძე** (სოციალისტ-ფედერალისტი), **კონსტანტინე (კონია) თევდორეს ძე დარახველიძე** (რაჭის მაზრის მილიციელი) და **ბუკურა ჯანელიძე** (სოციალისტ-ფედერალისტი). კ. დვალმა გაარკვია, რომ დროებით თბილისში

მყოფ პოლისკა ჯაფარიძეს არალეგალური ლიტერატურა (ჟურნალები) **მარო ჩიგოგიძემ** გადასცა, პოლისკა ჯაფარიძემ კი ეს ლიტერატურა **კონსტანტინე დარახველიძეს** გამოატანა. გარდა ამისა, ცხადი გახდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის რაჭის ორგანიზაციას პოლისკა ჯაფარიძისათვის დაუვალებია თბილისში ვინმე **„გ. შ."** ენახა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23323, ფურცელი 4-14). მიხეილ კერესელიძეს ასევე სატირული ხასიათის ლექსი აღმოუჩინეს, რომელიც 1922 წლის 16 მარტით იყო დათარიღებული. ლექს ხელს **მიხეილ კერესელიძე** და ვინმე **გ. ბაიზოვი** აწერდნენ (როგორც მინაწერიდან ირკვევა ორივე მათგანი ქ. ონის ტექნიკუმის მეშვიდე კლასის მოსწავლე იყო). ლექსი იმ დროს საქართველოში გაბატონებულ საყოველთაო შიშსა და საზოგადოების უმწეო მდგომარეობას ასახავდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23323, ფურცელი 9). კ. დვალმა **მიხეილ კერესელიძე, პოლისკა ჯაფარიძე, ინდიკო გოცირიძე, კონსტანტინე დარახველიძე** და **ბუკურა ჯანელიძე** დააპატიმრა, რომლებიც დაკითხვის შემდეგ, სათანადო ხელწერილით, გათავისუფლდნენ (**შსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23323, ფურცელი 4-14).

1924 წლის 26 აგვისტოს **ეგნატე გაბლიანმა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისაგან** შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო: „სვანეთის ორგანიზაციას. საჩქაროდ გაცნობებთ, რომ გამოსვლა მთელ საქართველოში დაიწყება შუალამისას 28-29 აგვისტოს. დარწმუნებული იყავით, რომ ქართველი ხალხი და ჯარი ჩვენს მხარეზე არიან. ჩვენ დახმარებას გვიწევს აგრეთვე ევროპა. ამიტომ წინადადებას გაძლევთ დანიშნულ დღეს მოაწყოთ შეიარაღებული ამბოხება სვანეთში და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ლიკვიდაციის შემდეგ დაიძრათ ლეჩხუმისა და ქუთაისისაკენ, ვინაიდან ლეჩხუმის ორგანიზაცია სისუსტეს იჩენს და საჭიროა მას დახმარება გაეწიოს!" (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბ-**

რალდებო დასკვნა). იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 111). წერილი კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილის ფსევდონიმით იყო ხელმოწერილი (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 15). **ეგნატე გაბლიანმა** აღნიშნული წერილი, ვინმე **ხებლიანის** მეშვეობით, **ბიძინა პირველს** გაუგზავნა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 39). საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისაგან ანალოგიური შინაარსის წერილი პირადად **ბიძინა პირველმაც** მიიღო (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 24).

1924 წლის 27 აგვისტოს ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი ერთმანეთს სოფ. **ლატალში** შეხვდნენ (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 10). იმავე დღეს, ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა ცხენებით **მულახის, მესტიის, ლატალის, ცხუმარის, ბეჩოსა და ეცერის** საზოგადოების სოფლები შემოიარეს. ბ. პირველმა და ე. გაბლიანმა ამ სოფლების მცხოვრებლებს გამოუცხადეს, რომ ვისაც კი იარაღი ჰქონდა 1924 წლის 28 აგვისტოს, საღამოს, ბალის მთაზე, სოფ. ბეჩოს მახლობლად გამოცხადებულიყვნენ.

1924 წლის 28 აგვისტოს, საღამოს, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ბ. პირველს და ე. გაბლიანს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა. დამკომის ხელმძღვანელები მათ სათანადო დირექტივებს აძლევდნენ (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა).** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 112).

§5. აფხაზეთი

1921 წლის მარტის დასაწყისში აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. აფხაზეთში მომუშავე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) წევ-

რების უმეტესობამ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, საქართველო დატოვა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) რიგითი წევრები კი აფხაზეთის სხვადასხვა სოფლებში გაიხიზნენ. მიუხედავად ამისა, აფხაზეთში ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა მალევე დაიწყო.

1922 წლის 26 მაისის აღსანიშნავად მთელ აფხაზეთში პროკლამაციები გავრცელდა. ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება ფხიზლად იყო, ქ. სოხუმში მრავალი ეჭვმიტანილი დააპატიმრეს (ლია კერესელიძე. 1922 წლის 26 მაისი საქართველოში.— ჟურნალი „საარქივო მოამბე", 2010, №9, გვ. 17).

1922 წლის პირველ ნახევარში ქ. **ოჩამჩირეში** თბილისიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) წევრები ჩავიდნენ. ისინი გლეხებში აგიტაციას ეწეოდნენ, რათა საბჭოთა ხელისუფლებას არ დამორჩილებოდნენ, გადასახადები არ გადაეხადათ და ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. აგიტატორების თქმით, მათ თბილისში, ქუთაისში და ოჩამჩირეში შეიარაღებული რაზმები ჰყავდათ და აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. ამ რაზმებს, როგორც ისინი ამბობდნენ, შეეძლოთ პირველივე ნიშანზე თავისუფლების დროშა აღემართათ.

მალე, კოდორის მაზრაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) უჯრედები აღმოცენდა. ქ. ოჩამჩირეში (რომელიც კოდორის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი იყო) სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები კონსპირაციულად **ნოჩო მიქელაძის** კუთვნილ რესტორან **„სამოთხეში"** იკრიბებოდნენ (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23480, ფურცელი 750-751). კრებებს ესწრებოდნენ: **კონსტანტინე (კონია) დადეშქელიანი, გრიგოლ ჭედია, რაჟდენ ჟვანია, კონსტანტინე გაბლია, გრიგოლ ჯინჯოლია, ნიკოლოზ მალანია, სოლდატ შერვაშიძე (შარაშია), ბიქტორ ჟორჟოლიანი, იასონ მარღანია, მაქსიმე კორსანტია, ანდრო ხოფე-**

რია, გრიგოლ გამესონია, ასტამურ აქირთავა, ჭიჭიკო უჩანაშვილი, სეით-ბეი ანჩაბაძე, დიჟ კვეკვესკირი, ნესტორ დადიანი. სოფლებში სააგიტაციოდ დადიოდნენ: **ნოჩო მიქელაძე, ალექსანდრე მარშანია, ვლადიმერ ქორქია, ალექსანდრე მიქელაძე, ნესტორ დადიანი** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23480, ფურცელი 281-282). სოციალ-დემოკრატები მოსახლეობაში ქართულ და რუსულ ენებზე ხელით ნაწერ და ნაბეჭდ პროკლამაციებს ავრცელებდნენ. პროკლამაციებში **ლენინი, ტროცკი, ჩიჩერინი** და სხვები ყაჩაღებად იყვნენ მოხსენიებული. პროკლამაციის ავტორები წითელ არმიას და პროფკავშირებს აუგად იხსენიებდნენ. პროკლამაცია მთავრდებოდა მოწოდებით: „გაუმარჯოს 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!“ და „გაუმარჯოს მენშევიკების ლიდერ ნოე ჟორდანიას!“ (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23480, ფურცელი 751). მოსახლეობაში გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა აფხაზეთში შეიარაღებული აჯანყების მოწყობა გაანიზრახეს. აჯანყების მეთაურებმა, იატაკქვეშა კომიტეტთან ერთად, გენერალური შტაბიც შექმნეს. შტაბში ინსტრუქციებს **ბიქტორ ჟორჟოლიანი** იძლეოდა, აჯანყების საერთო ხელმძღვანელი კი **ნოჩო მიქელაძე** იყო. სწორედ ბ. ჟორჟოლიანი დაეხმარა ნ. მიქელაძეს რესტორნის გახსნაში. აჯანყების თარიღად 1922 წლის 26 მაისი დაინიშნა.

1922 წლის 12 მაისს კოდორის მაზრის პოლიტბიუროში (საგანგებო კომისიაში) ინფორმაცია შევიდა, რომ მაზრაში ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყება მზადდებოდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23480, ფურცელი 750-752). 1922 წლის 23-24 მაისს კოდორის მაზრის პოლიტბიუროსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) კოდორის სამაზრო კომიტეტის ერთობლივი სხდომა გაიმართა. სხდომაზე მოსალოდნელი აჯანყების საწინააღმდეგო ღონისძიებები დაისახა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23480, ფურცელი 281-282). კოდორის

მაზრაში ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების დაწყება ვერ მოხერხდა, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ რამდენიმე საეჭვო პირი დააპატიმრა. მიუხედავად ამისა, აჯანყების მეთაურებს თავიანთ განზრახვაზე ხელი საბოლოოდ მაინც არ აუღიათ. 1922 წლის 29 მაისს აჯანყების ხელმძღვანელებმა სოფ. **აბაცახუში** შეკრება მოაწყვეს. თათბირზე აჯანყების აუცილებლობაზე იყო საუბარი. 1922 წლის 1 ივნისის ღამეს აჯანყების ხელმძღვანელებმა მეორე შეკრება სოფ. **მოქვის** ტყეში გამართეს (**სშსა (II),** ფონდი №6, საქმე №23480, ფურცელი 751-752). შეკრებაზე გადაწყდა იმ ღამესვე დაეწყოთ აჯანყება და ქ. ოჩამჩირე დაეკავებინათ. აჯანყების მეთაურებმა შეკრებილებს აუწყეს, რომ ისინი კონსტანტინოპოლიდან სამ გემს ელოდებოდნენ, რომლებსაც ფული და იარაღი უნდა ჩამოეტანა და, რაც მთავარია, 400 შეიარაღებული ფრანგი უნდა ჩამოეყვანა. გეგმის თანახმად, აჯანყებულებს ქ. ოჩამჩირე უნდა დაეკავებინათ, კომუნისტები დაეპატიმრებინათ და ძალაუფლება ხელში აეღოთ. აჯანყებულებისათვის დახმარება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტამიშის ორგანიზაციის შეიარაღებულ რაზმს და ქ. ოჩამჩირის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას უნდა აღმოეჩინა. შეკრებილებმა ქ. ოჩამჩირეში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული მასობრივი რეპრესიების შესახებ გაიგეს და დაიშალნენ (**სშსა (II),** ფონდი №6, საქმე №23480, ფურცელი 281-282).

1922 წლის 7 ივნისს სოფ. აჟარაში დისლოცირებულმა წითელი არმიის ნაწილებმა მისი მეთაურის, **ჩერნიშოვის,** გადაწყვეტილებით სოფელი დატოვა და ჩხალთის მიმართულებით დაიძრა. ამ დროს სოფ. აჟარაში სოფ. ტამიშიდან მივიდნენ: **კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანი,** მისი ძმები **თენგიზი, არდევანი** და **ტარიელი,** ასევე **ნიკოლოზ გერლიანი.** მათ მოსახლეობის დარწმუნება დაიწყეს, რომ ზღვის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე მძლავრი ანტისაბჭოთა

ეროვნული აჯანყება მიმდინარეობდა. მათი თქმით, ისინი სოფელში აჯანყების მოსაწყობად მოვიდნენ. კ. დადეშქელიანის განმარტებით, სოფ. აჟარიდან ხელისუფლების შეიარაღებული რაზმის გასვლა ტყვედ ჩავარდნის შიშით მოხდა. ყოველივე ამის შემდეგ 50 შეიარაღებული სვანი კ. დადეშქელიანის გარშემო დაირაზმა. კ. დადეშქელიანი შეიარაღებულ სვანებთან ერთად ჩერნიშევის რაზმის მოძრაობის მიმართულებით, ანუ სოფ. ჩხალთისაკენ დაიძრა. ჩერნიშევის რაზმმა სოფ. ჩხალთა კ. დადეშქელიანის მისვლამდე დატოვა. მოგვიანებით, კ. დადეშქელიანი თავის რაზმთან ერთად მიიმალა (**სშსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23480, ფურცელი 316).

აფხაზეთის საგანგებო კომისია აფხაზეთში აჯანყების მოწყობის მცდელობაში ეჭვმიტანილების დასაპატიმრებლად არაფერს იშურებდა. მალე, ამ ბრალდებით პატიმრობაში აიყვანეს: **ბიქტორ გიორგის ძე ჟორჟოლიანი**, 37 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან; **ნოჩო მიქელაძე**, სოციალ-დემოკრატი, აჯანყების ტექნიკური ხელმძღვანელი; **ალექსანდრე არჩილის ძე მაჭავარიანი**, 28 წლის, მცხოვრები ქ. ოჩამჩირეში; **ექვთიმე ფილიპეს ძე გაბუნია**, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, მცხოვრები ქ. ოჩამჩირეში; **თეიმურაზ ანდროს ძე კუპრავა**, 32 წლის, გლეხი; **ვასილ გურჯუა**, 45 წლის, გლეხი; **სეითბი ანჩაბაძე**, 23 წლის, ყოფილი თავადი; **ხერიპს ანჩაბაძე**, ყოფილი თავადი; **გუჯუჯ მარღანია**, ყოფილი თავადი; **გრიგოლ გამისონია**, 24 წლის, გლეხი; **ალექსანდრე მარშანია**, 25 წლის, ყოფილი თავადი, ადრე ნასამართლევი აფხაზეთის საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრის მკვლელობის გამო; **ვლადიმერ ქორქია**; **ნესტორ დადიანი**, 28 წლის, ყოფილი თავადი; **გიორგი მიქელაძე**; **ბიჯგვა ათუმავა**, 40 წლის, გლეხი; **კვაკვანა სოლმაქის ძე აგირბა**, 30 წლის, გლეხი, მცხოვრები სოფ. გუპში; **ედიკ სულეიმანის ძე აბიდჟი**, 30 წლის; **სოლდატ შერვაშიძე**; **კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანი**; **იპოლი-**

ტე ჟორჟოლიანი; ტარას კვარაცხელია; ალექსანდრე ყურაშვილი; მუშნი დადიანი; ოთარ დადიანი; ასტამურ ძიაპშიპა; დაჟგუ ხინდბა; მაჯგა ადლეიბა; სეითბეი ძიაპშიპა; ტაია ემუხვარი; იასონ მარღანია; ჩიკ კვარაცხელია; ფარნა ფილია; ფეხუ კვარჩაია; პლატონ ბერია; რაჟდენ ჟვანია; ბეგი (ბეგლარ) მინჯგია, ნესტორ გოგიძე (სშსსა (II), ფონდი №6, საქმე №23480, ფურცელი 281-282); იაკობ აბაკელია, სოციალ-დემოკრატი; არსენ ალანია, სოციალ-დემოკრატი; სამსონ ალანია, სოციალ-დემოკრატი; ჩიჟ ახუბა; ზოვარბექ ანჩაბაძე; ჟვილვ ადჟიბაია; პლატონ გოგია, სოციალ-დემოკრატი; ერმოლოზ გაბელია; ძუკუ კვარაცხელია; ევგენი კვარაცხელია; სეიდიკ ქარდავა, სოციალ-დემოკრატი; იასონ მარღანია; გუჯუჯ მარღანია; თამაშ მარშანია; შურა მაჭავარიანი; ჯოტო მარშანია, სოციალ-დემოკრატი; ბარდღუ მიქვაბია; ტარა მიქვაბია; ჯოტო მიქვაბია; ქვათა მიქვაბია; კონსტანტინე მოდზელევსკი; კირბეი მარშანია; პეტრე ლაგვილავა; სპირიდონ სალაყაია; თამაშ ძიაპშიპა; ტარასხან ანჩაბაძე; ყარამან ბარკალაია; ზაფას კვეკვესკირი; ზოსიმე ხაბურზანია, სოციალ-დემოკრატი; ბესარიონ ჭურღულია; ხუხუტი ჩაჩავა (სშსსა (II), ფონდი №6, საქმე №23480, ფურცელი 87).

1922 წლის 9 ივნისს აფხაზეთის საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებულთა ნაწილი 1922 წლის ოქტომბრის თვეში გაათავისუფლეს. მოგვიანებით, 1922 წლის 14 ნოემბერს აფხაზეთის საგანგებო კომისიის კოლეგიის სხდომა გაიმართა. სხდომას კუხალეიშვილი თავმჯდომარეობდა, ესწრებოდნენ: რევოლუციური ტრიბუნალის თავმჯდომარე ჩაჩბა, საოლქო კომიტეტის მდივნის მოადგილე უბირია, აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე კარტოზია, აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლაკობა, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წარმომადგენელი გოლდესგეიმი. სხომას დობროვოლ-

სკი მდივნობდა. სხდომამ ის პატიმრები, რომლებიც აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებით კვლავაც პატიმრობაში რჩებოდნენ, შემდეგ კატეგორიად დაჰყო: 1. ხელმძღვანელებად და აქტიურ წევრებად როგორც პოლიტიკური, ისე „ბანდიტური ხასიათის“ თვალსაზრისით; 2. ნაკლებად აქტიურებად და პოლიტიკური თვალსაზრისით ნაკლებ მნიშვნელოვან პირებად; 3. ბანდიტებად, რომლებიც მიემხრნენ აჯანყების მომზადების მონაწილეებს მენშევიკების პროპაგანდის ზეგავლენით; 4. გლეხები და უპარტიოები, ყოფილი თავადები და აზნაურები, რომლებიც მიემხრნენ აჯანყების ორგანიზატორებს დაბალი შეგნების და კულტურის წყალობით და არაფრით გამოუვლენიათ თავი (**თენგიზ ენდელაძე.** საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004, გვ. 77-78).

მალე, აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებას ახალი თავსატეხი გაუჩნდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს **აფხაზეთის განსაკუთრებული რაზმის** ხელმძღვანელი **ტარასხან დიმიტრის ძე ეშბა** აფხაზეთში დაბრუნდა. ტარასხან ეშბა კომუნისტების მიმართ აშკარა სიძულვილით გამოირჩეოდა. მან 1918 წელს კომუნისტების მიერ აფხაზეთში მოწყობილი ე.წ. აჯანყების ჩახშობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე ტ. ეშბამ აფხაზეთი დატოვა და თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25223, ფურცელი 4). 1922 წლის აგვისტოში ტ. ეშბა თურქეთიდან სამურზაყანოს მაზრაში (აფხაზეთში) ჩავიდა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25223, ფურცელი 90). ტ. ეშბამ აფხაზეთში თან 25 000 თურქული ლირა ჩაიტანა. ტ. ეშბას ჩასვლის შემდეგ სამურზაყანოს მაზრაში ანტისაბჭოთა მუხტი საგრძნობლად გაიზარდა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25223,

ფურცელი 4-5). ტ. ეშბამ სამურზაყანოში ჩასვლისთანავე შეიარაღებული რაზმი ჩამოაყალიბა, რომელშიც შედიოდნენ: **ტარასხან ეშბა,** 35 წლის, შეიარაღებული ნაგანით, მოქმედებდა სოფლებში: **ეშხეთი, ბედია, ტყვარჩელი, ოქუმი,** ჰყავდა 8 ინფორმატორი; **აკუმ კაჭარავა,** 28 წლის, შეიარაღებული მაუზერით და შაშხანით, მოქმედებდა სოფლებში: **აჩიგვარა, ტყვარჩელი, ბედია,** ჰყავდა 4 ინფორმატორი; **ევგენი ჯობავა,** 35 წლის, შეიარაღებული ნაგანით და შაშხანით, მოქმედებდა სოფლებში: **ბედია** და **რეჩხი,** ჰყავდა სამი ინფორმატორი; **იონა ჯინჯოლია,** 31 წლის, შეიარაღებული მაუზერით და შაშხანით, მოქმედებდა სოფ. **ფოქვეშში; ტარასხან ანჩაბაძე,** 34 წლის, შეიარაღებული ნაგანით და შაშხანით, მოქმედებდა სოფ. **ბარღეფში,** ჰყავდა 4 ინფორმატორი; **ლეონტი ოკუჯავა,** 23 წლის, შეიარაღებული მაუზერით და შაშხანით, მოქმედებდა სოფლებში: **ოტობაია** და **ბარღეფი,** ჰყავდა 5 ინფორმატორი; **იასონ ჯინჯოლია,** 29 წლის, შეიარაღებული ნაგანით და შაშხანით, მოქმედებდა სოფ. **ფოქვეშში,** ჰყავდა 5 ინფორმატორი; **სხულუხია** (სახელი უცნობია — **ავტ.**), შეიარაღებული ნაგანით, მაუზერით, შაშხანით და ბომბით, მოქმედებდა სოფ. **მუხურში,** ჰყავდა 5 ინფორმატორი (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25223, ფურცელი 36). თუმცა, როგორც ჩანს, ტარასხან ეშბას რაზმის წევრების რაოდენობა ხშირად იცვლებოდა. 1923 წლის 21 აპრილს ტარასხან ეშბას რაზმი **საბერიოს რაიონში** იმყოფებოდა. აქ ტ. ეშბას რაზმსა და ადგილობრივ მილიციას შორის შეტაკება მოხდა. ხანგრძლივი ორმხრივი სროლების შემდეგ ტ. ეშბას რაზმი სამ ნაწილად დაიშალა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25223, ფურცელი 30).

1923 წლის 30 მაისს აფხაზეთის საგანგებო კომისიის ინფორმაციით, ტარასხან ეშბა სოფ. **რეჩხოცხირში ბოკო ჩეხერიას** სახლში იმყოფებოდა, საიდანაც ჯერ სოფ. **ოქუმში,** შემდეგ კი კოდორის მაზრაში გადავიდა (**სშსსა (II),** ფონდი

№6, საქმე №25223, ფურცელი 39). 1923 წლის ივნისის პირველ რიცხვებში ტ. ეშბამ აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ ტ. ეშბას ძებნა კიდევ უფრო გააძლიერა. ამ ყველაფერს შედეგად მოჰყვა ის, რომ 1923 წლის 7 ივლისს ტ. ეშბა სოფ. **ბედიაში** ხელისუფლებას ნებაყოფლობით ჩაბარდა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25223, ფურცელი 90). მოგვიანებით, ტ. ეშბა თბილისში გადააგზავნეს (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25223, ფურცელი 18).

ტარასხან ეშბას რაზმის გარდა აფხაზეთში ანტისაბჭოთა შეიარაღებული რაზმები მრავლად მოქმედებდნენ. ერთ-ერთი ასეთი რაზმის მეთაური **ხუდა ემუხვარი** იყო. ხუდა ემუხვარს ტარასხან ეშბასთან მუდმივი კავშირი ჰქონდა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25223, ფურცელი 32). 1923 წლის 28 ოქტომბერს ხუდა ემუხვარმა, თავის რაზმთან ერთად, სოფ. **ბარღეფში** (სოხუმიდან 55 ვერსითაა დაშორებული) სამურზაყანოს მაზრის მილიციის უფროსს, **ქოცბაიას** და მასთან მყოფ მილიციელებს საფარიდან ცეცხლი გაუხსნა. სროლის დროს მილიციის უფროსი, ქოცბაია, ორ ადგილას დაიჭრა, ერთი მილიციელი გვარად **ხვიტია** ადგილზევე დაიღუპა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 287). აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებისათვის ასევე სერიოზულ პრობლემად იქცა **ევტიხი სიჭინავას** რაზმის წინააღმდეგ ბრძოლა. თავდაპირველად ე. სიჭინავას რაზმის დისლოკაციის ადგილი ზუგდიდის მაზრა იყო, შემდეგ კი — გუმისთის მაზრა (აფხაზეთი) (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 39). აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ ე. სიჭინავას რაზმის წინააღმდეგ რამდენიმე წარუმატებელი სპეცოპერაცია ჩაატარა. 1923 წლის აგვისტოში კელასურის მთაზე ე. სიჭინავას რაზმის გასანადგურებლად 8 კაციანი რაზმი გაგზავნეს **გლუმნის** მეთაურობით, თუმცა

უშედეგოდ (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 189). ხელისუფლებამ ე. სიჭინავას რაზმის წინააღმდეგ მორიგი წარუმატებელი სპეცოპერაცია **ვუგეხუს** მთაზე (სოხუმიდან 50 ვერსითაა დაშორებული) განახორციელა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 152).

აფხაზეთში ასევე **ივანე ჩხოტუას** 12 კაციანი რაზმი მოქმედებდა. აფხაზეთის ხელისუფლებამ ივანე ჩხოტუას რაზმის განადგურება მოახერხა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 827-828).

1923 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის საგანგებო კომისიის კოდორის მაზრის ოჩამჩირის საინფორმაციო პუნქტმა, ინფორმატორ **„№5"**-საგან, შეტყობინება მიიღო, რომლის თანახმად **გერასიმე განდელია,** სხვებთან ერთად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) მეორე ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ინფორმატორის ცნობით, გ. განდელია თითქოს თამბაქოს შეძენის მიზნით სოფელ-სოფელ დადიოდა, სინამდვილეში კი ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა. „№5"-ის თქმით, გ. განდელიას „პოლიტბანდიტ" **ძაგანიასთან** ჰქონდა კავშირი. 1923 წლის 28 მარტს აფხაზეთის ხელისუფლებამ გერასიმე განდელია დააპატიმრა. ამის შემდეგ აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ორი კვირის განმავლობაში 26 კაცი დააპატიმრა: **გედეონ სანიკიძე, ივანე აფონდოპულო, კონსტანტინე ჩიქოვანი, ვასილ გამისონია, კონსტანტინე აქირთავა, აქვსენტი ბერიძე** და სხვ. 1923 წლის აპრილის შუა რიცხვებში აფხაზეთის საგანგებო კომისიის რწმუნებულებმა **შურხოთეცკიმ** და **კალაშნიკოვმა** დაპატიმრებულებს ბრალად კონტრრევოლუციაში მონაწილეობა წაუყენეს. პარალელურად, აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ამ დაპატიმრებულების ახლო ნათესავებისა და ახლო პირების გადაბირება დაიწყო. 1923 წლის 4 აპრილს საგანგებო კომისიამ 1923 წლის 1 აპრილს დაპატიმრებული ვაჭრის, **ალექსი კაჭარავას** მეუღლე, **ნადეჟდა (ნადია) პავ-**

ლეს ასული კაჭარავა, გადაიბირა. ხელწერილში, რომელსაც ნადია კაჭარავამ ხელი მოაწერა, ვკითხულობთ: „1923 წლის 4 აპრილს მე, ქვემორე ხელისმომწერი ნადეჟდა პავლეს ასული კაჭარავა, ვაძლევ ხელწერილს აფხაზეთის „ჩეკას" მასზედ, რომ ვალდებულებას ვიღებ გავიგო და „ჩეკას" შევატყობინო თეიმურაზ ფანცულაიას ადგილსამყოფელი. ასევე ვიქნები რა თავისუფლებაში, არავის არ გავუმხელ მიცემული დავალების შესახებ, კონსპირაციის დარღვევისათვის მთელი სიმკაცრით ვაგებ პასუხს რევოლუციური კანონების წინაშე, რაზეც ხელს ვაწერ პირადად. პირობას ვიძლევი აღნიშნული დავალება შევასრულო გათავისუფლებიდან 20 დღის განმავლობაში" (**თენგიზ ენდელაძე.** საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-25 წწ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004, გვ. 54-55). როგორც ჩანს, ნადია კაჭარავამ პირნათლად შეასრულა მიცემული პირობა, რადგან თეიმურაზ ფანცულაია მალევე დააპატიმრეს.

1923 წლის 10 აგვისტოს აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის სამხარეო კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, შეუფარდა: **ალექსანდრე მარშანიას, ჯოტო მარშანიას, იასონ ჯიქიას, იონა ჯინჯილიას, შაშკო ამდჩბას, დომეი ამჩბას, სპირიდონ სალაყაიასა** და **ტატაშ ძიაპშიპას** (სუიცსა, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 189).

პატიმრობიდან გათავისუფლებულმა **ვასილ გურჯუამ** აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ გააგრძელა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 54). ვასილ გურჯუას ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით აფხაზეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა: **სპირიდონ**

გუჯუს ძე გურჯუა, 35 წლის, მცხოვრები სოფ. **კინგვში**, უპარტიო, გლეხი; **ტაბაკ გიტოს ძე გურჯუა**, 37 წლის, მცხოვრები სოფ. **კინგვში**, უპარტიო, გლეხი; **სტეფანე გუდუს ძე გურჯუა**, მცხოვრები სოფ. **კინგვში**, უპარტიო, გლეხი; **ნიქსოა კონსტანტინეს ძე ბჟანია**, 35 წლის, მცხოვრები სოფ. **ტამიშში**, უპარტიო (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 71-97). აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ყველა დაპატიმრებულს ხელწერილი ჩამოართვა, რომლის თანახმად ისინი ვალდებული იყვნენ 20 დღის ვადაში მათთვის ვასილ გურჯუა ჩაებარებინათ. მაგრამ მათ საგანგებო კომისიას არათუ არ ჩააბარეს ვ. გურჯუა, არამედ მის დასაკავებლად არაფერი გააკეთეს. ამის გამო ისინი კვლავ საგანგებო კომისიაში აღმოჩნდნენ. თითოეულ მათგანს 6 თვიანი პატიმრობა შეეფარდა, თუმცა ისინი 1924 წლის 20 მარტს, ვადაზე ადრე გაათავისუფლეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 98).

1923 წლის 22 მარტს აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ ვასილ გურჯუას ხელში ჩაგდების მიზნით ვასილ გურჯუას მეუღლე **მარია პეტრეს ასული გურჯუა** დააპატიმრა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 54). მარია გურჯუას დაკითხვიდან გაირკვა, რომ ის ვასილ გურჯუას საჭირო პროდუქტებითა და მედიკამენტებით ხშირად ამარაგებდა (ვ. გურჯუა ავადმყოფობდა) (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 98). მოგვიანებით, 1924 წლის აგვისტოს დასაწყისში აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ვასილ გურჯუას საქმეზე ქ. ოჩამჩირის მკვიდრი **პავლე ბესარიონის ძე ფაჩულია** დააპატიმრა (40 წლის, სოციალ-დემოკრატი). 1924 წლის 6 აგვისტოს პავლე ფაჩულია სამურზაყანოს მაზრის საინფორმაციო პუნქტის უფროსმა, **შარიამ,** დაკითხა. დაკითხვაზე გაირკვა შემდეგი: ვასილ გურჯუა სოფ. **ბედიაში რაჯიბ აბაშიას** სახლში ვინმე **მატკავამ** მიიყვანა. მატკავამ რაჯიბ აბაშიას სთხოვა ვასილ გურჯუა თავისთან დაეტოვე-

ბინა, რადგან ეს უკანასკნელი მკურნალობას საჭიროებდა. რ. აბაშიამ ამაზე თანხმობა განაცხადა და ვ. გურჯუა სამი დღე დაიტოვა. მოგვიანებით, 1924 წლის 2 აგვისტოს **არსენ ალანიამ პავლე ფაჩულიას** დაავალა, რაჯიბ აბაშიას სახლში მისულიყო და ვასილ გურჯუასთვის ეცნობებინა, რომ მისი ძმისშვილები ხელისუფლებამ დააპატიმრა, დაპატიმრება ელოდა გურჯუასაც. არსენ ალანიამ პავლე ფაჩულიას ასევე აუწყა, რომ მან ვასილ გურჯუასთან უკვე გაგზავნა კაჭი ალექსანდრეს ძე გოგია, მაგრამ ეს უკანასკნელი უკან არ დაბრუნებულა. პავლე ფაჩულია რაჯიბ აბაშიას სახლში მივიდა, თუმცა იქ ვასილ გურჯუა არ აღმოჩნდა. მან რაჯიბ აბაშიას სახლში **კაჭი (კოჩა) გოგია** ნახა. პავლე ფაჩულიამ რაჯიბ აბაშიას თავისი მისვლის მიზეზი აუწყა. ამის შემდეგ, პ. ფაჩულია და კ. გოგია ქ. ოჩამჩირისაკენ ერთად გაემართნენ, მაგრამ სოფ. **აჩიგვარის** ძველ პოსტთან ისინი **ილარიონ შიანოვმა** დააკავა და საპყრობილეში მოათავსა. პ. ფაჩულიასა და კ. გოგიას დაკითხვიდან ცოტა ხნის შემდეგ იმავე საპყრობილეში ვასილ გურჯუა და არსენ ალანია მიიყვანეს. მალე რაჯიბ აბაშიაც დააპატიმრეს. 1924 წლის 9 სექტემბერს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ რაჯიბ ასლანის ძე აბაშიას (47 წლის, მცხოვრები სოფ. ბედიაში, გლეხი, დაოჯახებული) და კაჭი ალექსანდრეს ძე გოგიას (28 წლის, მცხოვრები სოფ. ტამიშში, უპარტიო, გლეხი) საქმე განიხილა და ისინი პატიმრობიდან გაათავისუფლა. რაც შეეხება ვასილ გურჯუას, ის პატიმრობაში დატოვეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 123-131).

აფხაზეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე **არტემ სილიბისტროს ძე ფანცულაია** იყო. 1922 წლის აპრილში არტემ ფანცულაია აფხაზეთში ჩავიდა და იქ 1924 წლის 8 სექტემბრამდე დარჩა. ა. ფანცულაიამ აფხაზეთის ყველა მაზრასთან კავშირი აღადგინა. აფხაზეთში მომუშავე სოციალ-დემოკრატებს ერ-

თმანეთთან შიფრიანი მიმოწერა ჰქონდათ. მოგვიანებით, თბილისიდან არტემ ფანცულაიას შიფრიანი წერილი ვინმე **გონდორაიამ** ჩამოუტანა. წერილში ა. ფანცულაიას ეკითხებოდნენ: იყო თუ არა შესაძლებელი **ფელიქს ძერჟინსკიზე** ტერორისტული აქტის განხორციელება? (იმ პერიოდში ფ. ძერჟინსკი საქართველოში მოგზაურობდა). ტერორისტული აქტის განხორციელების შესაძლებლობის შემთხვევაში ა. ფანცულაიას 5 კაციანი ჯგუფით დახმარებას ჰპირდებოდნენ (**სშსსა III**), ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 55-62).

1922 წლის ნოემბერში ქ. სოხუმში სოციალ-დემოკრატი **ალექსანდრე ბეგლარის ძე ძაძამია** ჩავიდა და იქ 1924 წლის სექტემბრამდე, ანუ დაპატიმრებამდე დარჩა (**სშსსა III**), ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 41). ა. ძაძამიამ არტემ ფანცულაიას განუცხადა, რომ მას აფხაზეთში სამხედრო ორგანიზაციის შექმნა სურდა. ა. ძაძამიას თქმით, მას ეს დავალება სოციალ-დემოკრატმა **ნოე ხომერიკმა** მისცა. არტემ ფანცულაიამ ალექსანდრე ძაძამიას ამ განზრახვის შესრულების ნებართვა მისცა. თუმცა იმავდროულად არტემ ფანცულაიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ცენტრალურ კომიტეტს განცხადებით მიმართა, რომ აფხაზეთში მოსახლეობის სიჭრელის გამო სამხედრო ორგანიზაციის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ა. ფანცულაიას თქმით, აფხაზეთში სამხედრო ორგანიზაცია თუ შეიქმნებოდა, ის მალევე ჩავარდებოდა. საბოლოოდ, ალექსანდრე ძაძამიამ აფხაზეთში სამხედრო ორგანიზაციის შექმნა ვერ შეძლო.

1924 წლის დამდეგს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით სოხუმში **ივანე ჯაგუს ძე ბაძაღუა** ჩავიდა (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ბაძაღუა ქ. ზუგდიდის ერობის წევრი იყო). ივანე ბაძაღუას სო-

ხუმში ჩასვლის მიზანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) სოხუმის საოლქო კომიტეტის მუშაობის შემოწმება იყო. ივ. ბაძაღუამ ა. ფანცულაიას აუწყა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) სოხუმის საოლქო კომიტეტის მუშაობით უკმაყოფილო იყო, რადგან ამ უკანასკნელმა ადგილობრივი დამკომი და სამხედრო ორგანიზაცია ამ დრომდე ვერ შექმნა. ივ. ბაძაღუას თქმით, აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ცენტრიდან (თბილისიდან) სუბსიდიას ვერ მიიღებდა მანამ, სანამ სამხედრო ორგანიზაცია არ შეიქმნებოდა. სოხუმში ყოფნისას ივ. ბაძაღუამ კავშირი ალექსანდრე ძაძამიასთან და სოხუმის საოლქო კომიტეტის წევრ **ქუჩულორიასთან** დაამყარა (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 1998, გვ. 386-388).

1924 წლის 29 მარტს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ალექსანდრე ძაძამიას დაკავების მიზნით სპეცოპერაცია ჩაატარა, მაგრამ ოთახში ა. ძაძამია არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ მათ ხელში ივანე ბაძაღუა ჩაიგდეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24378, ფურცელი 34).

1924 წლის ივლისის დამლევს სოხუმში **გ. ჯინორიას** დავალებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) კიდევ ერთი რწმუნებული, **აკაკი ალექსის ძე ფიჩხაია,** ჩავიდა. წასვლის წინ გ. ჯინორიამ აკაკი ფიჩხაიას 80 მანეთი და **სალაყაიას** სახელზე გაცემული ყალბი პასპორტი მისცა. აკაკი ფიჩხაიას სოხუმში ჩასვლის მიზანი იყო გაერკვია სოხუმის საოლქო კომიტეტი რა ტიპის მუშაობას ეწეოდა და საერთოდ, რამდენი წევრი ჰყავდა მას. აკ. ფიჩხაია აფხაზეთში ერთ თვეზე მეტხანს დარჩა. აკ. ფიჩხაიას სოხუმში ჩასვლისთანავე ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ თითქოს იქ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) საოლქო კომიტეტი არც არსებობდა. წესით კომიტეტში 5 კაცი უნდა ყო-

ფილიყო, მაგრამ სინამდვილეში იქ მხოლოდ არტემ ფანცულაია და ქუჩულორია იყვნენ. მაზრებში კი, როგორც ა. ფანცულაიამ და ქუჩულორიამ განუცხადეს მას, ხელისუფლების მიერ სამაზრო ორგანიზაცია სრულიად იქნა ლიკვიდირებული. გარდა ამისა, აკაკი ფიჩხაიამ შეიტყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს შორისაც არ იყო მაინცდამაინც ჯანსაღი დამოკიდებულება. საბოლოოდ, აკ. ფიჩხაიამ აფხაზეთი დატოვა (**სშსსა III**), ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 71-79).

აფხაზეთში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რწმუნებული **სიმონ (ხუხუ) ხოფერია** იყო. ს. ხოფერია აფხაზეთში **გიორგი წინამძღვრიშვილმა** გაგზავნა, რომელმაც მას განუცხადა: „ვაპირებთ აჯანყებას, ყველგან არის დამთავრებული მუშაობა, თქვენ გაემგზავრეთ აფხაზეთში მდგომარეობის გასაგებათ, პირობების გამოსარკვევად, გაიგეთ როგორია ფსიქოლოგიური განწყობილება ხალხის, შესაძლებელია თუ არა რომ მოხდეს აჯანყება, გასინჯეთ ნიადაგი და მაცნობეთ". ს. ხოფერია თავდაპირველად სამეგრელოში ჩავიდა, აქედან კი ფეხით სამურზაყანოში გადავიდა. სამურზაყანოში ს. ხოფერია ვინმე **მიქელაძეს** შეხვდა, რომელმაც მას დახმარების მიზნით მეგზურები გააყოლა. აფხაზეთში ჩასვლიდან 15-20 დღის შემდეგ ს. ხოფერიამ გიორგი წინამძღვრიშვილს წერილი გამოუგზავნა. ს. ხოფერია საპასუხო წერილს ერთი თვის განმავლობაში უშედეგოდ ელოდა. საბოლოოდ, ს. ხოფერიამ აფხაზეთი დატოვა და თბილისში დაბრუნდა (**სშსსა III**), ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 190).

აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლება აფხაზეთში იატაკქვეშეთში მომუშავე პირებს თავისი აგენტების მეშვეობით თვალყურს ადევნებდა. სოციალ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის შესახებ ინფორმატორი **„აფხაზეთი"** ხელისუფლებას ატყობინებდა: „მე მქონდა საუბარი მამალა-

ძესთან, რაშია საქმე და როდის იქნება, რაზეც მან მიპასუხა, რომ მას ჰქონდა საუბარი ამხანაგებთან და ჩემთან მოვიდა ნეკი ღლონტი (რესტორანშიკი), რომელიც ხელმძღვანელობდა სამუშაოს. მე ვიცნობდი ამ ღლონტს და ხელფასის აღებისთანავე წავედი მასთან. ღლონტმა მიმიპატიჟა რესტორანში თავის მაგიდასთან და დავიწყეთ ღვინის სმა. ღლონტმა მითხრა, რომ მათ ჰყავდათ საიმედო კაცი მილიციაში, მაგრამ ის დააპატიმრეს, ხოლო მეორე, ანჯაფარიძე, დაპატიმრების შემდეგ შიშობდა და, რომ მას ეხლა ჩემი იმედი ჰქონდა. ღლონტმა მითხრა, რომ ეხლა მე უბრალო მილიციელი ვიყავი, ხოლო მერე კი ვიქნებოდი დაწინაურებული და წინადადება მომცა დამეწყო მილიციაში 10 ან მეტი მილიციელისაგან თუნდაც 50 კაპიკის აღება, რადგან, მისი თქმით, საჭირო იყო დაპატიმრებული გურჯუას (ვასილ გურჯუა — **ავტ.**) ოჯახის მატერიალური მხარდაჭერა. ასევე, ეს შეგროვილი თანხა დაიხარჯებოდა ღვინოზე, რომ შეკრებების დროს მაგიდაზე ყოველთვის ყოფილიყო ღვინო. ღლონტმა მითხრა, რომ მე ვიქნებოდი უშუალოდ მათი ხელმძღვანელი (მილიციელების — **ავტ.**) და მომეწვია ხოლმე მათი შეკრება. ღლონტმა მირჩია სასწრაფოდ დამეწყო მუშაობა, რადგან მისივე თქმით, ევროპაში უკვე დამთავრდა კონფერენცია და საბჭოთა ხელისუფლებას უთხრეს გაეწმიდათ საქართველო და ამიტომაც, ჩვენ ამ მომენტისთვის მზად უნდა ვიყოთო" (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 130).

სამურზაყანოს მაზრაში სამხედრო მუშაობა სამეგრელოს სამხედრო შტაბს დაევალა. სამეგრელოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ შემუშავებული გეგმით, სამეგრელოში 1924 წლის აჯანყების წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს სამურზაყანოს მაზრა უნდა დაეკავებინათ და შემდეგ სოხუმის მიმართულებით უნდა გაელაშქრათ. სოხუმისაკენ უნდა დაძრულიყვნენ

აჯანყებული სვანები (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24235-61, ფურცელი 28-34).

§6. აჭარა

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტის საფუძველზე აჭარა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. აჭარაში ავტონომიური მმართველობის დაწესება წინასწარ იყო გადაწყვეტილი საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1921 წლის 16 მარტს დადებული მოსკოვის ხელშეკრულებითა და 1921 წლის 13 ოქტომბრის რუსეთ-ოსმალეთ-საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის ყარსის ხელშეკრულებით (**ლევან თოიძე**. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999, გვ. 85-86). 1921 წლის 20 მარტს ბოლშევიკ **სერგო ქავთარაძის** თავმჯდომარეობით ბათუმის რევოლუციური კომიტეტი ჩამოყალიბდა. 1921 წლის მარტის ბოლოს სერგო ორჯონიკიძის რეკომენდაციით „ბანდიტიზმის, საბოტაჟის და სხვა კონტრრევოლუციურ გამოვლინებათა“ წინააღმდეგ მებრძოლი **ბათუმის საგანგებო კომისია** შეიქმნა, რომლის ხელმღვანელად **გიორგი ქავთარაძე** დაინიშნა (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2006, გვ. 29).

აჭარის გასაბჭოების შემდეგ ბათუმის რევკომის გვერდით არსებობას აჭარის მეჯლისი განაგრძობდა, რომლის დაშლა საბჭოთა ხელისუფლებამ პოლიტიკური მოსაზრებით თავდაპირველად მიზანშეუწონლად ცნო. 1921 წლის მაისში საბჭოთა ხელისუფლებამ მეჯლისის ახალი შემადგენლობის არჩევნები ჩაატარა. 1921 წლის 6 ივნისს მეჯლისის პირველი

სხდომა გაიმართა. ახალი მეჯლისი აჭარის ტერიტორიაზე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა და მას აჭარის რევოლუციური კომიტეტის უფლებები მიენიჭა. მალე, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ხელმძღვანელობამ მეჯლისის სხვა ორგანოთი ჩანაცვლება გადაწყვიტა. ეს უმტკივნეულოდ მხოლოდ მაშინ მოხდებოდა თუ მეჯლისის საწინააღმდეგო მოძრაობაში ფართო მასებს ჩააბამდნენ. აჭარაში **ღარიბი გლეხების კომიტეტების** („ფუხარა") შექმნა დაიწყო. ამ კომიტეტის მთავარ ამოცანას ბეგებისა და მოლების გავლენისაგან გლეხთა ფართო მასების გათავისუფლება შეადგენდა. მათ აგრეთვე მეჯლისის წინააღმდეგ გლეხთა დარაზმვა უნდა უზრუნველყოთ (**ლევან თოიძე**. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999, გვ. 53). ასეთ პირობებში მეჯლისის მომხრე რევკომებმა ანტისაბჭოთა საქმიანობა დაიწყეს, განსაკუთრებით ქედაში. აქ რევკომის წევრები ამბოხების მეთაურებად მოგვევლინენ. მათ შორის იყვნენ: **აბდულ კირილე ზადე** (ქედის რევკომის თავმჯდომარე), **ქაზიმ ბასილაძე** (ქედის რევკომის მდივანი) და ქედის რევკომის წევრები: **აბდულ გოგიბერიძე, მერჯან ჩურჩხელ-ოღლი, ჰასან ჰაჯი-ოღლი.** მათ მხარს ქედის მილიციის უფროსი **რემზი ცინცაძე (ზემი თორნი ზადე)** და სანაპირო რაზმის ყოფილი მეთაური **რასიმ ნიჟარაძე** უჭერდნენ. აღნიშნული ჯგუფის წევრები საიდუმლოდ სოფელ **მერისში** იკრიბებოდნენ და ცალკეულ სოფლებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ. ამ ჯგუფის მოქმედებას თანაუგრძნობდნენ მეჯლისის წევრები: **ყემბერ კონცელიძე, შაქირ აღა ჩალ-ოღლი, აჰმედ აღა დავითაძე (ველი-ოღლი), სულეიმან ცინცაძე** და **ჰუსეინ ბეგ ბიბინზადე.** ისინი აჭარის მოსახლეობაში აგიტაციას ეწეოდნენ და შეიარაღებულ რაზმებს ქმნიდნენ. ისინი აჯანყების შემთხვევაში ოსმალეთის ხელისუფლებასთან მოქმედების კოორდინირე-

ბაზე მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. მართლაც, ამბოხებამდე რამდენიმე დღით ადრე, **სარფი-გონიოს** გავლით, საჭირო დოკუმენტებითა და ინსტრუქციით აჭარაში სამი პირი შემოვიდა, რომლებიც ამბოხების ორგანიზატორებს დაუკავშირდნენ. ქედის მეჩეთში შეკრებილებმა ამბოხება გადაწყვიტეს, თუნდაც ამას წითელ ჯართან შეტაკება მოჰყოლოდა. წარმატების შემთხვევაში აჯანყების მონაწილეები ბათუმის მიმართულებით შეტევის განხორციელებას გეგმავდნენ. აღნიშნული ჯგუფი მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო მათი მოწოდება: **„ძირს აჭარისტანის კომიტეტი!", „ძირს ღარიბთა კომიტეტი!"** და **„გაუმარჯოს ძველ მეჯლისს!"** შეიქმნა შეიარაღებული რაზმი, რომელიც 500-მდე მებრძოლს აერთიანებდა. ამ რაზმს ქედის რევკომის ყოფილი თავმჯდომარე, **აბდულ მუფთი-ზადე (გოგიბერიძე)** და რევკომის რაზმის ყოფილი უფროსი, **რასიმ ნიჟარაძე,** მეთაურობდნენ. 1921 წლის 19 სექტემბერს რაზმმა ქედის მიმდებარე მაღლობი დაიკავა, საიდანაც ისინი მილიციის სამმართველოს შენობის აღებას და იქ მყოფი **„სანაპირო რაზმის"** („სასაზღვრო რაზმი") განიარაღებას აპირებდნენ. ქედაში მოქმედი ჯგუფის არსებობა ბათუმის რევკომმა შეიტყო. ამ უკანასკნელმა ქედის მილიციის უფროსად ვინმე **არჯევანიძე** დანიშნა. 1921 წლის 20 სექტემბერს ამბოხებულებმა ქედის სკოლის შენობა დაიკავეს და მილიციის სამმართველოს შენობას ალყა შემოარტყეს. მათ მილიციის სამმართველოს შენობაში წერილობითი ულტიმატუმით ხუთკაციანი დელეგაცია შეაგზავნეს. ამბოხებულები მოითხოვდნენ, რომ მათ ქვედა აჭარის ტერიტორია დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ, რადგან მეჯლისის მიერ გაცემული რწმუნებულების მანდატი არ გააჩნდათ. არჯევანიძე იძულებული გახდა ულტიმატუმი შეესრულებინა. ამბოხებულებმა ქედა დაიკავეს და მოსახლეობას აჯანყებისაკენ მოუწოდეს. აჭარის საბჭოთა ხელისუფლებამ მოძრაო-

ბის ლოკალიზაციის მიზნით სასწრაფო ზომები მიიღო. ქ. ბათუმიდან აჯანყებულთა მიმართულებით დაიძრა ჯავშნოსანი მანქანა და წითელი ჯარის ცხენოსანთა ესკადრონი **არალოვის** მეთაურობით. 1921 წლის 21 სექტემბერს წითელი ჯარის ნაწილები უკვე ქედის მისადგომებთან იყვნენ. ჯარის ნაწილების გამოჩენით დამფრთხალმა ამბოხებულებმა ქედა დატოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ორმხრივი სროლები იყო შეტაკებას და მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია. 1921 წლის 25 სექტემბერს ქედაში უკვე სრული სიწყნარე იყო. ამბოხების ორგანიზატორები და რევკომის წევრების ნაწილი ოსმალეთში გაიქცნენ, ნაწილმა კი ტყეებს შეაფარა თავი. რევკომის გაქცეული წევრების ნაცვლად რევკომში ახალი წევრები დანიშნეს. ქედის რევკომის ახალ შემადგენლობაში შევიდნენ: **აჰმედ ბერიძე, კურნალ დიასამიძე** და **შუქრი მახარაძე** (ირაკლი **მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 29-31).

ღარიბთა კომიტეტების წყალობით აჭარის მეჯლისმა, როგორც ხელისუფლების ორგანომ არსებობა შეწყვიტა. მას სოფლის საქმეთა დარგში მხოლოდ სათათბირო ორგანოს ფუნქცია დარჩა. ძალაუფლება მთლიანად რევოლუციური კომიტეტების ხელში გადავიდა. 1921 წლის 7-11 ნოემბერს ქ. ბათუმში აჭარის გლეხთა ყრილობა ჩატარდა, რომელმაც მეჯლისი დაშლილად გამოაცხადა და მისი უფლებამოსილება ახლად არჩეულ გლეხთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გადასცა. ყრილობისავე დადგენილებით ამ ორგანოს **წითელი მეჯლისი** ეწოდა. ფუხარებმა (ღარიბ გლეხთა კომიტეტებმა) დიდი მუშაობა გასწიეს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების დროსაც. ბათუმის საბჭოს არჩევნები 1921 წლის 8 დეკემბერს დაიწყო და 10 დეკემბერს დამთავრდა. 1921 წლის 17 დეკემბერს ბათუმის საბჭოს პირველი საზეიმო

სხდომა გაიმართა. საბჭოს თავმჯდომარედ **თენგიზ ჟღენტი** აირჩიეს (**ლევან თოიძე**. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999, გვ. 53-54).

1921 წლის ზაფხულში აჭარაში საზღვარგარეთიდან საგანგებო დავალებით ოფიცერი **ჭიჭიკო ხეცია** ჩავიდა. მას აჭარაში არალეგალური სახალხო რაზმის ჩამოყალიბება ევალებოდა. ჭ. ხეციას მიერ შექმნილ რაზმში 14 პირი ჩაეწერა. მათი მუშაობა ძირითადად ბათუმის ე.წ. ჭაობის და ბარცხანის უბნებში იყო კონცენტრირებული. იმავდროულად, კონსტანტინოპოლიდან აჭარაში გენერალი **ასლან აბაშიძე** ჩავიდა. მან კავშირი დაამყარა როგორც ადგილობრივ პატრიოტებთან, ისე თავის მეგობარ **ქაქუცა ჩოლოყაშვილთან**. აჭარაში ასლან აბაშიძის მეთაურობით ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება მზადდებოდა, მაგრამ ის ვერ განხორციელდა.

არალეგალურად მომუშავე პირებმა არჩევნების წინა დღეს ბათუმის ქუჩებში ანტისაარჩევნო პროკლამაციები გაავრცელეს, რომელშიც აღნიშნული იყო: „ასეთ არჩევნებს, რომელიც არ არის ხალხის მესაიდუმლე და მებაირახტრე, რომელიც ძალმომრეობაზე და ხიშტზეა აგებული ჩვენს დროში — პროტესტს და ბოიკოტს ვუცხადებთ და მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის გასაგონად ვაცხადებთ: ძირს ძალმომრეობა, გაუმარჯოს სიტყვის, კრების და პრესის თავისუფლებას“. პროკლამაციას ხელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ბათუმის ორგანიზაცია აწერდა (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2006, გვ. 34-35).

1922 წლის 24 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ბათუმის ორგანიზაციამ მორიგი დემონსტრაცია მოაწყო. ქ. ბათუმის თვითმმართველობის შენობის წინ ხალხი

შეიკრიბა, რომლებმაც ეროვნული დროშები გაშალეს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი „დიდება" ააჟღერეს. მიტინგის წინააღმდეგ ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალები გამოიყენა, რომლებმაც დემონსტრანტების დარბევა დაიწყეს. ნაცემთა შორის ბევრი ქალი იყო (**ლია კერესელიძე.** 1922 წლის 26 მაისი საქართველოში.— ჟურნალი „საარქივო მოამბე", 2010, №9, გვ. 18). დემონსტრანტმა მარია ფირცხალაიშვილმა ჩეკისტს, რომელიც ერთ-ერთი დემონსტრანტისათვის დროშის წართმევას ცდილობდა, დროშის ტარი თავში ჩაარტყა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №22173, ფურცელი 7). ხელისუფლებამ 350 დემონსტრანტი დააპატიმრა, მათ შორის ქალები. ამ დროს დუქნები დაკეტილი იყო, დაწესებულებებში არც ერთი ქართველი არ გამოცხადებულა. მუშაობა შეაჩერა საბაჟომ. გაფიცვა მთელი სამი დღის განმავლობაში გაგრძელდა (**ლია კერესელიძე.** 1922 წლის 26 მაისი საქართველოში.— ჟურნალი „საარქივო მოამბე", 2010, №9, გვ. 18). 1922 წლის 24 მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის ქ. ბათუმში დააპატიმრეს: **მარია მიხეილის ასული ზოიძე,** 40 წლის, ვაჭარი, უპარტიო; **მარია ივანეს ასული თალაკვაძე,** 23 წლის, გლეხი, საშუალო განათლებით, უპარტიო, მასწავლებელი; **სალომე გიტოს ასული სამსონია,** 23 წლის, გლეხი, საშუალო განათლებით, უპარტიო, მასწავლებელი; **ნინა ივანეს ასული სადრაძე,** 21 წლის, გლეხი, უპარტიო, მოლარე; **ნინა ალექსანდრეს ასული მღებრიშვილი,** 21 წლის, აზნაური, საშუალო განათლებით, უპარტიო, საბჭოთა მოსამსახურე; **მარია მაქსიმეს ასული ფირცხალაიშვილი,** 21 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი 1918-1920 წლებში, მოლარე; **მარია ნესტორის ასული ნაკაშიძე,** 60 წლის, აზნაური, დიასახლისი; **ივანე რომანის ძე ხვედელიძე,** 31 წლის, გლეხი, საშუალო განათლებით, უპარტიო, მექანიკოსი; **მიხეილ ალექსანდრეს ძე გელოვანი,** 32 წლის, აზნაური, სოციალისტ-ფედერალისტი 1903 წლიდან, აგრონომი; **ნადეჟდა**

პლატონის ასული ჩიქოვანი, 23 წლის, აზნაური, საშუალო განათლებით, უპარტიო, მასწავლებელი; **უშანგი ბიძოს ძე ლომინაძე**, 26 წლის, გლეხი, ღარიბი, უპარტიო. 1922 წლის 27 ივნისს მარია ზოიძე, მარია თალაკვაძე, სალომე სამსონია, ნინა სადრაძე, ნინა მღებრიშვილი, ივანე ხვედელიძე, ნადეჟდა ჩიქოვანი და უშანგი ლომინაძე მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ გაათავისუფლეს. რაც შეეხება მარია ნაკაშიძეს, მარია ფირცხალაიშვილსა და მიხეილ გელოვანს, ისინი საქართველოს საგანგებო კომისიის განკარგულებაში გადაგზავნეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №22173, ფურცელი 7).

აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში დაპატიმრების შესახებ ოჯახის წევრებმა არც კი იცოდნენ. მაგალითად, 1922 წლის 24 მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობის ბრალდებით ქ. ბათუმში დაპატიმრებული **მიხეილ (მიშა) ალექსანდრეს ძე გელოვანი** 1922 წლის 26 ოქტომბერს მეტეხის ციხიდან ვინმე ტარასის წერდა: „სალამი ტარასის!

გისურვებ სიცოცხლეს. მე ამ მეტეხში ვზივარ 5/IX და ეს არის გავიგე, რომ თქვენ მსახურობთ გუბერნიის გამასწორებელ სახლში №1 და იმედია მნახავ და თან წამომიძღვან თუთუნს და შაქარს. საერთოთ ვზივარ 24/V პოლიტიკურ და ცოლშვილი არის სოფელში არც იციან არასფელი. იმედია მაგიერ პატივის სცემას მეც გადაგიხთი“ (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №22173, ფურცელი 20).

საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მიხეილ გელოვანი, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, ქ. ვოლოგდაში გადაასახლეს. მოგვიანებით, საბჭოთა ხელისუფლებამ მიხეილ გელოვანის მეუღლის თხოვნა გაითვალისწინა და მას სასჯელი აპატია (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №22173, ფურცელი 25-26).

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის კომიტეტმა საიდუმლო დავალება მიიღო, რომლის თანახმად აჭარიდან ბეგების მასიური გასახლება უნდა მომხდარიყო.

ბეგები აჭარაში დიდ მიწებს ფლობდნენ, ამიტომ მიწის რეფორმის გატარება მათთვის მიწების ჩამორთმევის გარეშე შეუძლებელი იყო. ბეგებისათვის მიწების ჩამორთმევა დაიწყო, რამაც მათი სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ბეგები ოთხ კატეგორიად დაჰყვეს: პირველი ჯგუფი — ყველაზე უფრო აგრესიული ჯგუფი — ამიერკავკასიის ფარგლებიდან უნდა გაესახლებინათ; მეორე ჯგუფი კი მხოლოდ — აჭარიდან; მესამე ჯგუფი აჭარაში უნდა დარჩენილიყო მილიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ; მეოთხე ჯგუფი კი დროებით ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო. სწორედ ამ დროს თბილისიდან ბათუმში დამკომმა **ივანე შარაშიძე** გაგზავნა. მან ბეგების ერთ ნაწილს კერძოდ, **ნური აბაშიძეს, ყადირ აბაშიძესა და დედე ბეჟანიძეს** დამკომის წერილი გადასცა, რომელშიც დამკომი ბეგებს აჭარის მოსახლეობის აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. დამკომი ბეგებს ასევე თხოვდა გურიაში მყოფ სერგო მათითაიშვილთან კავშირი ჰქონოდათ. დამკომის აზრით, ეს კავშირი აუცილებელი იყო აჭარაში და გურიაში ერთდროული ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების მოწყობისათვის. აღსანიშნავია, რომ აჭარაში მცხოვრები ბეგების ნაწილი ანტისაბჭოთა მუშაობაში უკვე ჩაბმული იყო. ზოგიერთ მათგანს დამკომის ბათუმის წარმომადგენელ გენერალ **გიორგი ფურცელაძესთან** და დამკომის წევრ **ვასილ მგალობლიშვილთან** მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

1923 წლის 24 იანვარს აჭარის საგანგებო კომისიამ ბათუმში, **გიორგი ჩაგანავას** ბინაში, ივანე შარაშიძე შეიპყრო. გიორგი ჩაგანავას ბინის ჩხრეკის დროს ჩეკისტებმა დამკომის მიერ გამოგზავნილი წერილი იპოვეს. წერილში დამკომი ოსმალეთში წარმომადგენლის გაგზავნის დაჩქარებას ითხოვდა, რათა იქიდან იარაღი დროულად შემოეტანათ. ივანე შარაშიძეს ასევე უპოვეს წერილი, რომელიც სერგო მათითაიშვილისათვის იყო განკუთვნილი. წერილის შინაარსი ასეთი იყო: „ძვირფასო პატრიოტო! უკვე მესამე წელია, რაც ჩვენი

ქვეყანა იტანჯება ულმერთო ურჯულოების მიერ. ნადგურდება ყველაფერი ფასეული და წმინდა. ხალხის ტანჯვა-ვაებას ბოლო არ უჩანს. უკანონო დაპატიმრებებმა და დახვრეტებმა ცხოვრება აუტანელი და სახიფათო გახადა. აივსო ხალხის მოთმენის ფიალა. მათ ბრძოლა გამოუცხადეს ველურ დამპყრობლებს. გული სიხარულით ამევსო, როდესაც გავიგე, რომ მთელი გურია ფეხზე დადგა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ჯალათებს. იცოდეთ, აჭარის მოსახლეობა თქვენს გვერდითაა. საჭიროების შემთხვევაში თქვენ შემოგიერთდებით და ერთიანი ძალით მოვსპობთ დამპყრობლებს. ხალხი აქ (აჭარაში — **ავტ.**) იმედის თვალით შემოგცქერის თქვენ. ჩვენმა ხალხმა მტრებს ჩვენი მხარის დაპყრობისთანავე დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. პატრიოტების დიდი ნაწილი ტყეში იმალება. ვერც დაპატიმრებები და ვერც დახვრეტები ვერ შეაშინებს ჩვენი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. ჩემთან იყო „წითური“ და გადმომცა შენი წერილი. მოკითხვისათვის მადლობას შემოგწირავ. იცოდე, რომ ჩვენ მზად ვართ დანიშნულ დროს დავიწყოთ გამოსვლა. ჩიტმა ყველაფერი იცის. იყავით მხნედ და მედგრად. შენი აჭარელი“. შესაძლებელია, წერილში ნახსენები „წითური“ ივანე შარაშიძე ყოფილიყო, რადგან მას სახეზე წითელი ფერი დაჰკრავდა. „ჩიტი“ დამკომის ბათუმის ორგანიზაციის წევრი მგალობლიშვილი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება „აჭარელს“, ის ალბათ ერთ-ერთი ბეგთაგანი იყო. 1923 წლის მაისში ივანე შარაშიძე დახვრიტეს. 1923 წლის ივნის-ივლისში აჭარიდან ბეგების მასიური გასახლება დაიწყო. სულ 28 ბეგი დააპატიმრეს და გაასახლეს (**ოთარ გოგოლიშვილი. აჭარა ბობოქარ 1922-1924 წლებში.**—ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“, 1999, №7, ივლისი, გვ. 85-86).

აჭარის საბჭოთა ხელისუფლება აჭარაში მოქმედი ანტისაბჭოთა შეიარაღებული რაზმების განადგურებას ცდილობდა. 1923 წლის მაისის ბოლოს აჭარის საგანგებო კომი-

სიის თავმჯდომარემ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ **მანწკავას** წერილი გაუგზავნა. წერილში საგანგებო კომისიის თავმჯდომარე მანწკავას ქ. ბათუმში შეხვედრას და შერიგებას ჰპირდებოდა. 1923 წლის 30 მაისს მანწკავა თავის თანამებრძოლებთან: **სირაძესთან, ანდღულაძესთან, ძმებ ნიკოლაიშვილებთან** და **მეგრელიძესთან** ერთად ქ. ბათუმში გამოცხადდა. შერიგება შედგა. თავის მხრივ, მანწკავა აჭარის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს შეჰპირდა, რომ ის „ბანდიტ“ **ჟღენტს** საბჭოთა ხელისუფლებას ჩააბარებდა. საგანგებო კომისიამ შეიტყო, რომ მანწკავა და მისი რაზმელები მომდევნო დღეს ოსმალეთში გაქცევას აპირებდნენ. სწორედ ამ მიზნით, მანწკავა მოლაპარაკებას ერთ მუსლიმთან აწარმოებდა და მას ოსმალეთში გადაყვანის სანაცვლოდ 300 თურქულ ლირას ჰპირდებოდა. 1923 წლის 30 მაისის ღამეს მანწკავა და მისი მებრძოლები საგანგებო კომისიამ დააპატიმრა (**სუიცსა**, ფონდი №284, აღწერა №3, საქმე №9, ფურცელი 39ა).

1924 წლის 18 ივნისს აჭარაში 60 კაცი დააპატიმრეს, როგორც „აჭარაში დესტაბილიზაციის შეტანის მცდელობის“ ორგანიზატორები (**ოთარ გოგოლიშვილი.** აჭარა ბობოქარ 1922-1924 წლებში.—ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“, 1999, №7, ივლისი, გვ. გვ. 86).

1924 წლის 10 აგვისტოს აჭარის საბჭოთა ხელისუფლებამ ქედის მაზრის სოფელ **მახუნცეთში** შაკირ ირემაძის მეთაურობით მოქმედი ანტისაბჭოთა ჯგუფი აღმოაჩინა. შაკირ ირემაძე დამკომის საქმიანობაში აქტიურად იყო ჩაბმული. შ. ირემაძის ჯგუფი მოსახლეობაში პროკლამაციებს ავრცელებდა და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. შ. ირემაძე თბილისიდან ჩამოსულ დამკომის წევრებს ხშირად ხვდებოდა. 1924 წლის 8 აგვისტოს შ. ირემაძესთან თბილისიდან გივი კახაძე ჩავიდა. გ. კახაძე შ. ირემაძესთან ერთად მოქმედების გეგმას ადგენდა. გ. კახაძეს ასევე ოსმალეთთან კავშირის

დამყარება ევალებოდა. ამ მიზნით შ. ირემაძემ გ. კახაძე ხულოში „საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტერთან", **ჰასან აბდი-ოღლისთან,** დააკავშირა. ჰასან აბდი-ოღლს გ. კახაძე ოსმალეთში უნდა გადაეყვანა „იქედან საჭირო დახმარების მიღების მიზნით". 1924 წლის 10 აგვისტოს შ. ირემაძის სახლში მორიგი შეკრების დროს სახლს ჩეკისტებმა ალყა შემოარტყეს. ორმხრივი სროლები დაიწყო. სროლების დროს გივი კახაძე, ჰასან აფაქიძე და კიდევ ორი პიროვნება დაიღუპნენ. საგანგებო კომისიამ შ. ირემაძე შეიპყრო. ჩხრეკის დროს შ. ირემაძის სახლიდან ე.წ. გეგმა ამოიღეს, სადაც „მოქმედების ობიექტები" იყო აღნიშნული. შ. ირემაძე 1924 წლის 12 სექტემბერს დახვრიტეს.

1924 წლის 6 აგვისტოს საბჭოთა ხელისუფლებამ ქ. ბათუმში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ გაგზავნილი პირები ვარლამ დარჩია და ნოდარ რურუა დააპატიმრა. ბათუმში მათი ჩასვლის მიზანი მუშებს შორის ანტისაბჭოთა მოძრაობის გაჩაღება იყო. შეპყრობისას მათ პროკლამაციები უპოვეს. ვარლამ დარჩია და ნოდარ რურუა თბილისში გადააგზავნეს, სადაც ისინი დახვრიტეს. 1924 წლის 16 აგვისტოს აჭარის საგანგებო კომისიამ ბათუმში 20 კაცი დააპატიმრა (**ოთარ გოგოლიშვილი.** ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი", ბათუმი, 2000, გვ. 58-60).

1923 წლის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ქუთაისში **დასავლეთ საქართველოს კომიტეტი** შექმნა **მიხეილ გვალიასა** და **სევერიანე ჭირაქაძის** შემადგენლობით. იმავე წლის ზაფხულში მათ **ელისე პატარიძე** შეუერთდა. დასავლეთ საქართველოს კომიტეტს ბათუმში მუშაობაც ევალებოდა. ადრე ბათუმში **ვასილ (ვასო) მგალობლიშვილი** და **ნიკოლოზ მიქელაძე** მუშაობდნენ. ქუთაისში ელისე პატარიძის ჩასვლის შემდეგ მუშაობა გამოცოცხლდა, მაგრამ ქუთაისიდან მისი გამგზავრე-

ბის შემდეგ მუშაობა მოდუნდა და ბათუმთან კავშირი გაწყდა (**ნესტან კირთაძე.** კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1939 წწ). წიგნი პირველი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1998, გვ. 234-235).

ქ. ბათუმში და მთელ აჭარაში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის რწმუნებული სოციალ-დემოკრატი **გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე** იყო. ის 1924 წლის აჯანყებამდე ორი თვით ადრე დამკომის რწმუნებულად დაინიშნა. ქ. ბათუმში აჯანყებისათვის სამხედრო ორგანიზაციას უნდა ეხელმძღვანელა, რომელიც უშუალოდ თბილისს ემორჩილებოდა. სამხედრო ორგანიზაციას სათავეში **ვასილ (ვასო) ჩიტაიშვილი** ედგა, რომელმაც დამკომისაგან 600 ლირა მიიღო. გიზო ანჯაფარიძესა და სამხედრო ორგანიზაციას შორის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის ურთიერთობა არსებობდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი აჭარას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და იქ ისეთ მუშაობას არ აწარმოებდა, როგორსაც საქართველოს სხვა რეგიონებში (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 199-208). მიუხედავად ამისა, აჯანყების დროს ბათუმს 300 შეიარაღებული მებრძოლის გამოყვანა ევალებოდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 14).

აჯანყების მზადების პერიოდში აჭარიდან თბილისში გიგა ჩიქოვანი ჩავიდა და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისაგან სათანადო დირექტივები და 700 მანეთი მიიღო. გიგა ჩიქოვანი დამკომის წევრს, სამსონ დადიანს, შეხვდა, რის შემდეგაც ის ბათუმში დაბრუნდა. აჭარაში სამხედრო ხასიათის ცნობებს სოციალისტ-ფედერალისტი ახვლედიანი კრებდა და გენერალ ფურცელაძეს აწვდიდა (**პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის გასამართლება.**—გაზეთი „კომუნისტი“, 1925, №174, 1 აგვისტო, გვ. 3).

აჭარაში არალეგალურად მომუშავეები დიდ იმედს წითელი არმიის ქართულ პოლკზე ამყარებდნენ, რომელიც ქ.

ბათუმში არტილერიის საწყობს იცავდა. მოხერხდა კიდეც იქ მომუშავე ოფიცრების გადაბირება და მათი მეშვეობით არსენალის ხელში ჩაგდება იგეგმებოდა. როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლებამ ქართულ პოლკზე ეჭვი მიიტანა და არსენალის დაცვა „უფრო საიმედო ჯარისკაცებით“ შეცვალეს.

აჭარის საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) აჭარის ორგანიზაციის აქტიური წევრების დაპატიმრებები დაიწყო. დააპატიმრეს ქ. ბათუმში სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ვასილ (ვასო) ჩიტაიშვილი,** დასავლეთ საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთაური გენერალი **ყარალაშვილი,** საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული აჭარაში **ცენტერაძე,** საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მ) ბათუმის კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ (მიხა) საბაშვილი** და სხვ.

თავი IX. 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობა და დამარცხება

§1. იმერეთი (შორაპნის მაზრა. ქუთაისის მაზრა)

1924 წლის 14 აგვისტოს შორაპნის მაზრის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. ხელისუფლების ინფორმაციით, აჯანყება 1924 წლის 15 აგვისტოდან 1924 წლის 25 აგვისტომდე უნდა მომხდარიყო. ინფორმაციის მიღებისთანავე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) შორაპნის სამაზრო კომიტეტმა **ალექსანდრე ვაშაძეს** დაავალა ყოველდღიურად 20-30 კომუნარი გამოეყვანა და ქ. ჭიათურა სათანადოდ გაემაგრებინა. ანალოგიური განკარგულება გაიცა ქ. ზესტაფონის დასაცავად. 1924 წლის 25 აგვისტოს, შორაპნის მაზრის პოლიტბიუროსთან შეთანხმებით, კომუნარები სახლებში დააბრუნეს. ეს გადაწყვეტილება ორი გარემოებით იყო განპირობებული: პირველი — კომუნარებს დაღლილობა დაეტყოთ (ისინი დღისით ფიზიკურ მუშაობას ეწეოდნენ, ხოლო ღამით კი სადარაჯოზე იდგნენ) და მეორე — აჯანყების სავარაუდო თარიღმა ჩაიარა. 1924 წლის 26 აგვისტოს ჭიათურის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ტარასი მგალობლიშვილი, საგანგებო კომისიის უფროსი გრიგოლ (გრიშა) ლომიძე, საკონტროლო კომისიის რწმუნებული მიქაძე, კომუნალური განყოფილების გამგე ბურჯანაძე, დამზღვევი კასის გამგე ჭაოშვილი, ერთი მილიციელის თანხლებით, ამაშუკეთის რაიონში გზების დასათვალიერებლად და იქ კომუნისტებს შორის მომხდარი ინციდენტის გამოსარკვევად გაემგზავრნენ. 26 აგვისტოს, დღის 2 საათზე, ისინი უკვე სოფ. ამაშუკეთში იმყოფებოდნენ. სოფ. ამაშუკეთში მათ კომუნისტების კრება მოიწვიეს, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გაარკვიეს. 1924 წლის 26 აგ-

ვისტოს, ღამეს, ხსენებული დელეგაცია სოფ. შროშაში გაემგზავრა. 27 აგვისტოს, დილას, ისინი სოფ. შროშის მაღაროებისაკენ გაემგზავრნენ და მაღაროს მუშების მდგომარეობას ადგილზე გაეცვნენ. სოფ. შროშიდან დელეგაცია ქ. ჭიათურისაკენ გაემართა და 27 აგვისტოს, საღამოს 5 საათისათვის, უკვე ადგილზე იყო. ჭიათურის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ტ. მგალობლიშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტის შენობის გვერდით მდებარე ოთახში მოთავსდა დასაძინებლად. 1924 წლის დილის 3 საათზე ტ. მგალობლიშვილთან პოლიტბიუროს უფროსი გ. ლომინაძე მივიდა და აუწყა, რომ ერთ საათში სოციალ-დემოკრატები ქ. ჭიათურაზე თავდასხმას და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტის მდივნის, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, საგანგებო კომისიის უფროსისა და შორაპნის მაზრის მილიციის უფროსის გატაცებას გეგმავდნენ. ამ ინფორმაციის მიღებისთანავე, ტ. მგალობლიშვილმა გ. ლომიძეს დაავალა მუშათა საგანგებო რაზმის ყოფილ თანამშრომელთან, კარანაძესთან, წასულიყო, რათა მას კომუნარები შეეკრიბა. ერთი საათის შემდეგ 30-მდე კომუნარი უკვე კომუნისტური პარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტის შენობასთან იმყოფებოდა, თუმცა მათ უმეტესობას ვაზნები არ გააჩნდა. ვაზნები მუშათა საგანგებო რაზმის ყოფილ შენობაში ინახებოდა. ამიტომ, ტ. მგალობლიშვილმა გასცა განკარგულება საწყობი გაეტეხათ და ვაზნები კომუნარებისათვის დაერიგებინათ. კომუნარების ნაწილი ვაზნების მისაღებად გაემართა, ნაწილმა კი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სამაზრო კომიტეტის შენობის მიდამოებში სადარაჯოები დაიკავა.

1924 წლის 27 აგვისტოს, ოთხშაბათს, ქ. ჭიათურაში გიორგი წერეთელი ჩავიდა. იმავე საღამოს აჯანყებულებმა შუქრუთელ კომუნისტებს იარაღი აჰყარეს, ისინი დააპატიმრეს და კოოპერატივის შენობაში მოათავსეს. ამის შემდეგ

აჯანყებულები ქ. ჭიათურისაკენ გაემართნენ. 1924 წლის 28 აგვისტოს, დილის 4 საათზე, აჯანყებულები ჭიათურაში **გიორგი წერეთლის** მეთაურობით შეიჭრნენ. პირველად მათ იმ შენობას მიაშურეს, რომელშიც მუშათა საგანგებო რაზმი (ჩონი) იყო განლაგებული და სადაც რამდენიმე შაშხანა (კარაბინი) ვაზნებითურთ, ბომბები და ერთი ტყვიამფრქვევი (ტყვიამფრქვევი უვარგისი აღმოჩდა) ინახებოდა. აჯანყებულებმა დაიწყეს ყვირილი: **„დაყარეთ იარაღები!"** კომუნარებმა, რომლებმაც ვაზნების მიღება მოასწრეს, აჯანყებულებს სროლით უპასუხეს. კომუნარების ნაწილი მუშათა საგანგებო რაზმის შენობაში შევარდა, ნაწილი კი სადგურის მიმართულებით გაიქცა. ამ სროლების დროს აჯანყებულებმა კომუნისტი სოფრომაძე მოკლეს. შორაპნის მაზრის მილიციის უფროსმა ალექსანდრე ვაშაძემ („სიკოვიჩი", პატარა ალექსანდრედ წოდებული), აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ტარას მგალობლიშვილმა, საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ გრიგოლ ლომიძემ და რიგითმა მილიციელებმა მილიციის შენობას შეაფარეს თავი. ისინი დანებებას არ აპირებდნენ, მაგრამ აჯანყებულმა ლადია ვაშაძემ როგორც კი ყუმბარა შენობაში შეაგდო (ყუმბარა არ გასკდა) მათ იარაღი დაყარეს. ქ. ჭიათურა მთლიანად აჯანყებულების ხელში აღმოჩნდა. აჯანყებულებმა, თავის მხრივ, იარაღის საწყობის ხელში ჩაგდება მოახერხეს, რის შედეგადაც მათ ხელში 200-მდე შაშხანა (მათ შორის უვარგისები) და ბომბები აღმოჩნდა. აჯანყებულებმა დაპატიმრებულები სამაზრო პროფესიული ბიუროს შენობაში მოათავსეს. მოგვიანებით, აჯანყებულებმა დაპატიმრებულები გადაარჩიეს და პოლიტბიუროს შენობაში გადაიყვანეს (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 130-131). შემდეგ აჯანყებულებმა პროფკავშირის შენობა მისივე თანამშრომლებითურთ ხელში ჩაიგდეს. კომუნისტმა **ვალიკო შავგულიძემ** შორაპნის მიმართულებით გაქცევა მოახერხა, რათა დამხმარე ძა-

ლა ჭიათურის მიმართულებით დაეძრა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 27ა).

ჭიათურის დაკავებაში აქტიური მონაწილეობა გამოცდილმა ოფიცერმა **კონსტანტინე ჩაჩანიძემ** მიიღო. 1924 წლის 28 აგვისტოს კონსტანტინე ჩაჩანიძე დანიშნულ ადგილას (ტეხისში) გამოცხადდა. მის განკარგულებაში 20 მებრძოლი იყო. კ. ჩაჩანიძემ თავისი რაზმით საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) შორაპნის სამაზრო კომიტეტის შენობისა და საავადმყოფოს დაკავება მოახერხა. ჭიათურის აღების შემდეგ აჯანყებულთა რიცხვმა 200 მიაღწია. აჯანყებულთა შეიარაღებულ ძალებს მთავარი ხელმძღვანელის, სიმონ წერეთლის მოსვლამდე სწორედ კ. ჩაჩანიძე ხელმძღვანელობდა. სიმონ წერეთლის მოსვლის შემდეგ კი კ. ჩაჩანიძე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ ქ. ჭიათურის კომენდანტად დაინიშნა. კ. ჩაჩანიძე კომენდანტის ფუნქციების შესრულებას დაუყოვნებლივ შეუდგა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 196). ჭიათურაში აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს კომუნისტები: **ტარასი მგალობლიშვილი, გრიგოლ (გრიშა) ლომიძე, ჭაბუკი მიშველიძე, მიხაკო კავთელაძე, ალექსანდრე ვაშაძე, სეფე ბუაძე, ვარლამ მასხარაშვილი, ონისიმე მოდებაძე, ილიკო ნაქაძე, დავით კიღურაძე, ივანე ლომთათიძე, ვანო მოდებაძე, კოწია პოპოვი, ირაკლი ჯაოშვილი** და სხვ. (სშსსა (II), ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 10-11). პროფკავშირის შენობაში მოთავსებული პატიმრების ყარაულის უფროსად **დავით კონსტანტინეს ძე ლეჟავა** დანიშნეს. მას თან შაშხანა (კარაბინი) და ყუმბარა ჰქონდა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 22-23). აჯანყებულებმა ჭიათურის მანგანუმის წარმოების დამზღვევი სალაროდან 20 000 მანეთი გაიტაცეს, პროფკავშირების სალაროდან — 400 მანეთი, სამაზრო მილიციის სალაროდან — 258 მან. და 80 კაპიკი (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურ-

ცელი 27ა). აჯანყებულებმა ქ. ჭიათურის კოოპერატივის დარაჯად **ივანე სერგოს ძე წერეთელი** დანიშნეს (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 46-47). აჯანყებულებმა **ვანო ფხალაძის** მეთაურობით ქ. ჭიათურის საავადმყოფოსთან კომუნარები განაიარაღეს (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 79-80).

1924 წლის 28 აგვისტოს, დილის 10 საათისათვის, აჯანყებულები ვაშას ძახილით რკინიგზის სადგურ ჭიათურაში შეიჭრნენ და ყველა იქ მყოფს ხელები ააწევინეს. მათ ყოფილი სოციალ-დემოკრატი **შალვა გომართელი** დააპატიმრეს, რომელიც პარტიიდან გასვლის შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე ბინძურ წერილებს აქვეყნებდა (**შალვა გომართელი.** 22 საათით მენშევიკების ციხეში. მენშევიკების ავანტიურა ჭიათურა-საჩხერეში.— გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №202, 5 სექტემბერი, გვ. 2). ჭიათურის რკინიგზის სადგურის დაკავებით აჯანყებულებმა ქალაქის იმ ნაწილის ხელში ჩაგდება მოახერხეს, რომელიც მდინარე ყვირილის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. აჯანყებულების სურვილი იყო მდინარის მარცხენა ნაპირზე გადასვლა, რადგან იქ მილიციის, აღმასრულებელი კომიტეტისა და კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის კომიტეტის რეზიდენციები მდებარეობდა. მდ. ყვირილაზე ხიდების დაუფლების შემდეგ აჯანყებულები მდინარის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ და ქალაქის ამ ნაწილს სრულად დაეუფლნენ, ე.ი. მათ ხელში მილიციის, აღმასრულებელი კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის შენობები აღმოჩნდა. ეს 1924 წლის 28 აგვისტოს, დღის 2 საათზე, მოხდა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 27ა).

აჯანყებულები ჭიათურიდან შორაპნისაკენ გაემართნენ და შორაპანთან ახლოს რკინიგზის ლიანდაგები აყარეს. ერთი საათის შემდეგ შორაპნიდან ორთქმავალი გამოვიდა, რომელსაც შეიარაღებული კომუნარები ჭიათურის მიმართულებით მიჰყავდა. მემანქანემ მწყობრიდან გამოყვანილი

ლიანდაგი შენიშნა და დროზე დაამუხრუჭა. ამ დროს იქვე ჩასაფრებულმა აჯანყებულებმა ორთქმავალს ცეცხლი გაუხსნეს. ორთქმავალი უკან გაბრუნდა. სროლისას არავინ დაშავებულა (**გრიგოლ ვაშაძე (1901-1990)**. მასალები პირადი არქივიდან. თბილისი, 2009, გვ. 106).

ჭიათურაში ბრძოლაში სულ 4 კაცი დაიღუპა, აქედან ორი აჯანყებული და ორიც კომუნისტი. ჭიათურაში აჯანყებულთა მხარეზე გმირულად ორი ქალი **ნინა წერეთელი** და **იულია გაფრინდაშვილი** იბრძოდა. ჭიათურელმა აჯანყებულებმა 40 კაცი **პავლე (პავლუშა) ვაშაძისა** და **გრიგოლ (გრიშა) გამყრელიძის** მეთაურობით საჩხერეში გაგზავნეს, მაგრამ საჩხერე უკვე ადგილობრივ აჯანყებულებს ჰქონდათ დაკავებული (**ვ. ჩუბინიძე**. მოგონება. წიგნი მეორე. პარიზი, 1953, გვ. 271-272).

ჭიათურაში დროებითი მთავრობა შეიქმნა, რომელსაც სათავეში **გიორგი წერეთელი** ჩაუდგა. მან ჭიათურის კომენდანტებად **კონსტანტინე (კოწია) ჩაჩანიძე** და **ეკო (ემელიანე) წერეთელი** დანიშნა, მილიციის უფროსად — **გ. ჩაჩანიძე,** ფოსტა-ტელეგრაფის კომისრად — **ბარნაბა ჩუბინიძე** (**თენგიზ ენდელაძე**. ტრაგიკული 1924. თბილისი, 2004, გვ. 15).

აჯანყებულებმა **ტიტე (დიმიტრი) ჩაჩანიძე** სოფ. შუკინეთში წესრიგის დასაცავად გაგზავნეს. სოფ. შუკინეთში დაპატიმრებული კომუნისტების დარაჯად **გრიგოლ ლეონტის ძე ჩაჩანიძე** დაინიშნა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 55-65).

აჯანყებულებმა ქ. ჭიათურის აღებისთანავე სოფლებში თავისი წარმომადგენლები დაგზავნეს გლეხების გამოსაყვანად. აჯანყებულები გლეხებს ეუბნებოდნენ: „...მთელი საქართველო ჩვენს ხელშია, აზერბაიჯანში და რუსეთში აჯანყებებია, ასე რომ ყველაფერი ჩვენია...“ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 131). ჭიათურის რაიონის სოფლებიდან თბილისში ხელისუფლების ადგილობრი-

ვი წარმომადგენლების დაპატიმრების თაობაზე ინფორმაცია მოდიოდა. აჯანყებულებმა სოფ. **ქვაციხეში** აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ მელიტონ ჩუბინიძე დანიშნეს, სოფ. **კაცხში** — ფილიპე ცერცვაძე, სოფ. **დიდი რგანში** — კონსტანტინე (კოწია) ხვედელიძე, სოფ. **პატარა რგანში** — პორფილე სამყურაშვილი, სოფ. **ხრეითში** — სეით ცერცვაძე, სოფ. **წირქვალში** — კოლია გაფრინდაშვილი (**ვ. ჩუბინიძე.** მოგონება. წიგნი მეორე. პარიზი, 1953, გვ. 271).

ქ. ჭიათურის დაკავებისთანავე აჯანყებულთა ნაწილი საჩხერის რაიონისაკენ გაემართა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 132). საჩხერის აღებაში განსაკუთრებით **ანდრო მაჭავარიანი** აქტიურობდა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 49). საჩხერის რაიონი აჯანყებულებს ორი დღის განმავლობაში ეკავათ. ამ ორი დღის განმავლობაში ყოფილმა თავადაზნაურობამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მათთვის ჩამორთმეული მამულების დაპატრონება დაიწყო. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საჩხერის რაიონული კომიტეტის მდივანმა როგორც კი აჯანყებულთა მიერ ქ. ჭიათურის დაკავება გაიგო, რაჭაში გადასვლა მოახერხა, საჩხერის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ კი — სამხრეთ ოსეთში. რაჭიდან და სამხრეთ ოსეთიდან საჩხერის მიმართულებით კომუნარები გაემართნენ. 1924 წლის 30 აგვისტოს ქ. ჭიათურიდან წასულმა ხელისუფლების რაზმმა საჩხერე დაიკავა. იმავდროულად, რაჭიდან და სამხრეთ ოსეთიდან წამოსული კომუნარებიც საჩხერეში შევიდნენ. აჯანყებულები საჩხერის რაიონიდან მთების მიმართულებით მიიმალნენ. მოგვიანებით, მათი უმრავლესობა დააპატიმრეს, ნაწილი კი საბჭოთა ხელისუფლებას თვითონ ჩაბარდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 132).

ჩხარში აჯანყებულებს **ალექსანდრე არაბიძე** მეთაურობდა. ჩხარში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს:

კლემენტი კუტივაძემ, კაკოლი არაბიძემ, მიხეილ (მიშა) ხიდისბეგიშვილმა, ლეუშკი მესხმა, დავით (დათიკო) სოფრომაძემ, სეფე კახიძემ და სხვ. სულ ოცამდე აჯანყებულმა. ჩხარში მათთვის წინააღმდეგობა არავის არ გაუწევია (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 132). დავით სოფრომაძემ კომუნისტი გიორგი ჩიქოვანი წააქცია, ხელფეხი შეუკრა და პარტიული მანდატი დააღეჭინა (**სშსსა (III)**, ფონდი №91, აღწერა №1, საქმე №74, ფურცელი 39). 1924 წლის 31 აგვისტოს კი ქ. ჭიათურიდან ჩხარის მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლებამ 85 კომუნარი გაგზავნა, ზესტაფონიდან ჩხარის მიმართულებით კი ნითელი ჯარი დაიძრა. ამ ძალებმა ჩხარის რაიონიდან აჯანყებულები განდევნეს. აჯანყებულების ნაწილი დააპატიმრეს, ნაწილმა კი მიმალვა მოახერხა. გაქცეული აჯანყებულების წინააღმდეგ ხელისუფლებამ **კარპეზ ბარბაქაძე** გაგზავნა. კარპეზ ბარბაქაძემ გაქცეულ აჯანყებულთა უმრავლესობა აიძულა მას ჩაბარებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩხარის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 100-მდე გლეხმა მიიღო.

ზესტაფონის რაიონის საბჭოთა ხელისუფლებამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ წინასწარ იცოდა. ამიტომ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ რამდენიმე „საეჭვო" პირი დააპატიმრა, რის შედეგადაც ზესტაფონში 1924 წლის აჯანყება არ მომხდარა. ქ. ზესტაფონს აჯანყების დღეებში საფრთხე სვირის რაიონში მყოფი აჯანყებულების მხრიდან დაემუქრა. ამიტომაც, ზესტაფონი სათანადოდ გაამაგრეს. უფრო მეტიც, ზესტაფონის საბჭოთა ხელისუფლებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სვირის რაიონში მყოფი აჯანყებულების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში.

ხორაგაულის (ხარაგაულის) რაიონში 1924 წლის აჯანყებას ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მასობრივი დაპატიმრებები მაინც განხორციელდა.

ამაშუკეთის რაიონში 1924 წლის აჯანყებას ადგილი არ ჰქონია. ამაშუკეთის რაიონის კომუნარებმა ჭიათურიდან გაქცეული აჯანყების რამდენიმე ხელმძღვანელის დაპატიმრება მოახერხეს.

აჯანყების დღეებში ჭიათურიდან და საჩხერიდან გაგზავნილმა აჯანყებულთა რაზმებმა კორბოულის რაიონის ხელმძღვანელი პირები განაიარაღეს და კორბოულის რაიონს ერთი დღით დაეპატრონენ. თუმცა კორბოულის რაიონიდან აჯანყებულთა განდევნა მალევე მოხერხდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 132).

აჯანყებულების მიერ ჭიათურის საბოლოოდ დაკავებამდე საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება ჭიათურის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ტელეფონით დაუკავშირდა. მიღებული ინფორმაციის შედეგად თბილისში შექმნილ ვითარებაში გაერკვნენ. ჭიათურაში სამხედრო კურსანტთა რაზმი და დასაზვერად აეროპლანი გაიგზავნა. ღრუბლიანობის გამო აეროპლანმა უღელტეხილზე გადაფრენა მხოლოდ 1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, მოახერხა. 1924 წლის 29 აგვისტოს, ღამის სამი საათისათვის, კურსანტთა რაზმი ჭიათურას 5 ვერსზე მიუახლოვდა. ამ დროისათვის ჭიათურის მისადგომებთან თავი მოიყარეს კომუნართა რაზმებმა ქუთაისიდან და ზესტაფონიდან, სულ 50-60 კაცმა. 29 აგვისტოს, დილის 8 საათზე, აეროპლანი ქ. ჭიათურის თავზე გამოჩნდა. აჯანყებულებს ის ინგლისური ეგონათ და მოსახლეობას არწმუნებდნენ: აეროპლანში ნოე ჟორდანია ზის, რომლითაც იგი თბილისში ჩამოფრინდაო. აეროპლანმა ძირს დაშვება დაიწყო და აჯანყებულებს ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა (**ზვიად გამსახურდია.** ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული... საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერის კომენტარი.—გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1991, №33, 19 თებერვალი, გვ. 2).

1924 წლის 28 აგვისტოს, დილის შვიდის ნახევარზე, შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქტორმა, **გერონტი კიკნაძემ,** მაზრის მილიციის უფროსს ქალაქ ჭიათურაში აჯანყებულების შეჭრის თაობაზე შეატყობინა. შორაპნის მაზრის მილიციის უფროსმა ზესტაფონიდან დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ ჭიათურის მიმართულებით წასვლა გადაწყვიტა. მან სადგურ **სალიეთთან** თავისი ძალები ორი მიმართულებით გაშალა. შორაპნის მაზრის მილიციის უფროსის განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული ძალების პირველი შეტაკება აჯანყებულებთან სოფ. კაცხთან მოხდა. აჯანყებულები გაიქცნენ. ჭიათურის მაღლობამდე მისულ შორაპნის მაზრის მილიციის უფროსის რაზმს აჯანყებულებმა ყოფილი პოლკოვნიკის, **დავით ნოზაძის** მეთაურობით ალყა შემოარტყეს. ორმხრივი სროლები დაიწყო. ბრძოლა 28 აგვისტოს საღამოს შვიდ საათამდე გაგრძელდა. სროლების შედეგად მილიციელებს ერთი მებრძოლი, გვარად მენაბდე დაეჭრათ. მილიციის უფროსმა გადაწყვიტა სამი კომუნარის თანხლებით სადგურ სალიეთში დაბრუნება. სადგურ სალიეთში შორაპნის მაზრის მილიციის უფროსმა თბილისიდან დეპეშით დამხმარე ძალები გამოითხოვა. საღამოს 9 საათზე ჩეკისტთა რაზმი **მარქაროვის** მეთაურობით და ჩეკისტთა მეორე რაზმი **ჟორჟიკ ქავთარაძის** მეთაურობით მოვიდა. გადაწყდა გაერთიანებული ძალებით ჭიათურაზე შეტევა განეხორციელებინათ. ჭიათურისაკენ მიმავალი ხელისუფლების შეიარაღებული ძალები სოფ. ქვაციხეში აჯანყებულებს თავს დაესხნენ. ამ შეტაკების დროს რამდენიმე აჯანყებული მოწინააღმდეგეს ტყვედ ჩაუვარდა, ზოგი კი ბრძოლაში დაეცა. 29 აგვისტოს, დილის 9 საათზე, ხელისუფლების შეიარაღებული ძალები ჭიათურას ერთი ტყვიამფრქვევით მიადგნენ, ქალაქში შეიჭრნენ და პირველ რიგში მილიციისა და საფინანსო განყოფილების შენობები დაიკავეს. შეტაკების შემდეგ აჯანყებულებმა ჭიათურა დატოვეს. 1924 წლის 29 აგვისტოს,

საღამოს 8 საათისათვის, ჭიათურიდან აჯანყებულები მთლიანად განდევნეს (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 26ა). ჭიათურაში მომხდარ შეტაკებაში აჯანყებულთა მხრიდან დაიღუპნენ: **ანტონ ბერიძე, მამუკა აბაშიძე, ვლადიმერ ნადირაძე, გიორგი გუჯეჯიანი, ვლადიმერ (ელო) ლილუაშვილი, ნიკოლოზ (კოლია) ჩაჩანიძე, ალექსანდრე გაფრინდაშვილი, ივანე ფხალაძე, ერემია ცერცვაძე, ტიხონ წერეთელი, თეოფილე და ნიკიტა კავთელაძეები, პარმენ სამხარაძე, არჩილ არაბიძე, ვლადიმერ (ვალიკო) არსენაძე, ტიტიკო საყვარელიძე** და სხვ. (**თენგიზ ენდელაძე**. ტრაგიკული 1924. თბილისი, 2004, გვ. 16).

ჭიათურიდან უკან დახევის შემდეგ აჯანყებულებმა გაიტაცეს ჭიათურელი კომუნისტები: **ბიტოლი ლეჟავა, ჭაბუკი მიშველიძე, ალექსანდრე სიმონის ძე ვლაშაძე, ტარასი მგალობლიშვილი, ისააკ მიქაძე** (ყოფილი სოციალ-დემოკრატი), **სეფე ჭეიშვილი, ვარლამ მასხარაშვილი, მიხეილ ლომიძე, ირაკლი ჯაოშვილი, მიხეილ (მიშა) კავთელიძე, ფილიმონ ლაბაძე, დავით (დათიკო) მაჭარაშვილი** და **ონისიმე მოდებაძე**. აჯანყებულებმა გატაცებული კომუნისტები სოფ. **პერევისაში** გაათავისუფლეს (**შალვა გომართელი**. 22 საათით მენშევიკების ციხეში. მენშევიკების ავანტიურა ჭიათურა-საჩხერეში.— გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №202, 5 სექტემბერი, გვ. 2).

აჯანყებულთა ნაწილმა, გრიგოლ ვაშაძის მეთაურობით, სოფ. ზოდისაკენ წასვლა გადაწყვიტა. სოფ. დარკვეთის სადგურის მისადგომთან მათ ი. ტალახაძის შეიარაღებულმა რაზმმა ცეცხლი გაუხსნა. აჯანყებულებმა მათ სროლითვე უპასუხეს. სროლა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. აჯანყებულებმა უდანაკარგოდ ტყეში მიმალვა მოახერხეს. ამის შემდეგ აჯანყებულებმა გადაწყვიტეს სოფ. კაცხისაკენ წასულიყვნენ. სწორედ ამ დროს აჯანყებულების სიახლოვეს ალექსანდრე ვაშაძის შეიარაღებული რაზმი განლაგდა (სულ 40 კაცი). ა. ვაშაძემ აჯანყებულებს გიორგი (გოგია) მამულა-

იშვილი მიუგზავნა დანებების მოთხოვნით. ამაზე აჯანყებულებმა თანხმობა განაცხადეს. გადაწყდა აჯანყებულებს იარაღი მოწინააღმდეგისათვის სოფ. ზოდში ჩაებარებინათ. გ. ვაშაძემ თავისი რაზმი მწყობრად დააწყო და რაზმს უბრძანა: **„რაზმეულო, ზოდისაკენ იარ!"** აჯანყებულთა რაზმი სოფ. ზოდში შებინდებისას შევიდა. შეთანხმებისამებრ მათ ა. ვაშაძეს იარაღი ჩააბარეს. მეორე დღეს, ცხრა საათისათვის, ა. ვაშაძემ დაპატიმრებული აჯანყებულები, მილიციელების თანხლებით, ქ. ჭიათურისაკენ წაიყვანა. ჭიათურაში დაპატიმრებული აჯანყებულების სანახავად ქუჩებში მრავალი ადამიანი გარეთ გამოვიდა. გ. ვაშაძემ თავის თანამებრძოლებს უთხრა: ბიჭებო ცხვირჩამოშვებული და დაგლახავებული ნუ გახდებით, ძველებური რიხი შეინარჩუნეთო. აჯანყებულები სატუსაღოებში მოათავსეს, საიდანაც გრიგოლ ვაშაძემ და ალეკო მაჭავარიანმა გაქცევა მოახერხეს (სატუსაღოს კომკავშირელი სიმონ ჭალაშვილი დარაჯობდა) (**გრიგოლ ვაშაძე (1901-1990).** მასალები პირადი არქივიდან. თბილისი, 2009, გვ. 107-114).

საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ შორაპანში აჯანყების ჩასახშობად ამიერკავკასიის ფედერაციის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილებისა და საქართველოს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი, **ტიტე ლორთქიფანიძე,** გაგზავნა. მცირე დროში ტ. ლორთქიფანიძემ შორაპანში საბჭოთა ხელისუფლება აღადგინა (**ფარი — საიმედო, მახვილი — ბასრი.** რედაქტორი **ა. ნ. ინაური.** გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1987, გვ. 101).

1924 წლის 29 აგვისტოს, 11 საათზე, ქ. ჭიათურაში ჯარით ილარიონ ტალახაძე ჩავიდა. ი. ტალახაძემ კომუნარებს ვაზნები მიაწოდა. 29 აგვისტოს, 12 საათისათვის, ცნობილი გახდა, რომ აჯანყებულებს დანარჩენი ტყვეებიც გაეთავისუფლებინათ. იმავე დღეს კომუნარებისაგან სათანადო რაზ-

მები შეიქმნა, რომლებიც ქ. ჭიათურიდან ყველა მიმართულებით აჯანყებულების დასაჭერად გაიგზავნენ. მთლიანად შორაპნის მაზრაში აჯანყების დროს 10 აჯანყებული, 4 კომუნარი და 7 წითელარმიელი დაიღუპა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 131-133). სოფ. **კაცხში** აჯანყებას **შალვა ისმაილის ძე კუპატაძე** მეთაურობდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 71). სოფ. **რგანში** აჯანყებულებმა ძალაუფლების ხელში აღების პარალელურად კომუნისტებს იარაღები ჩამოართვეს, რომელიც სოფლის სკოლის შენობაში შეინახეს და შემდეგ ხალხს დაურიგეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 8). **ჩხარში** აჯანყებულთა რაზმს ხელმძღვანელობდნენ: **ალექსანდრე არაბიძე, კლემენტი კუტივაძე, კაკოლი არაბიძე, მიხეილ (მიშა) ხიდისბეგიშვილი, ლეუშკი მესხი, დავით (დათიკო) სოფრომაძე.** ჩხარი მათ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს. როგორც კი ჩხარზე ტყვიამფრქვევების თანხლებით ხელისუფლების მომხრეთა შეტევა დაიწყო აჯანყებულებმა პოზიციები დათმეს და გაიქცნენ (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 83).

1924 წლის 29 აგვისტოს ქუთაისის მაზრაში აჯანყებულთა გამოსვლა პირველად ვანის რაიონში დაიწყო. აქ აჯანყების საერთო ხელმძღვანელი **სერგო თვალაბეიშვილი** იყო, პოლიტიკური კი — **ამბერკი ადეიშვილი** (**ოთარ დვალიშვილი.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში და უცნობი ეროვნული გმირები. ქუთაისი, 2006, გვ. 68). ვანის რაიონში აჯანყებას ასევე ხელმძღვანელობდნენ: ფერშალი **პოლიკარპე ნაფეტვარიძე** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2520, ფურცელი 273), **ანდრიუშა კიკნაძე, კონსტანტინე (კონია) ბაქრაძე** და სხვ. (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №43, ფურცელი 3). დაბა ვანს დაახლოებით 200-მდე აჯანყებული დაესხა თავს (აჯანყებულები დაბა ვანში სოფლებიდან საპაიჭაოდან და დვალიშვილებიდან შეიჭრნენ). დაბა ვანის აღებისთანავე

აჯანყებულებმა კომუნისტების დაპატიმრება დაიწყეს. აჯანყებულებმა მიტინგი ჩაატარეს, რომელზეც სიტყვით **ვლასა მგელაძე** გამოვიდა. მან ადგილობრივ მოსახლეობას გამოუცხადა, რომ ძალაუფლება მთელი საქართველოს მასშტაბით აჯანყებულთა ხელში იყო და რომ საბჭოთა ხელისუფლება უკვე არ არსებობდა. აჯანყებულები მოსახლეობას ჰპირდებოდნენ: კერძო საკუთრების აღდგენას, ეკლესია-მონასტრების ამოქმედებას, საზღვარგარეთიდან იაფი საქონლის შემოტანასა და სხვ. აჯანყებულებმა კოოპერატივიდან 5000 მანეთი გამოიტანეს (აჯანყების დამარცხების შემდეგ ერთ-ერთმა აჯანყებულმა სოსიკო ნადირაძემ საბჭოთა ხელისუფლებას უკან დაუბრუნა 4000 მანეთი) (**სშსსა (III),** ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №262, ფურცელი 12). აჯანყებულებმა შეუტიეს სოფლებს: **ყუმურს, ზედა ბზვანს, ქვედა ბზვანს.** აჯანყებაში ასევე ჩაებნენ სოფლები: ინაშაური, ამაღლება და დვალიშვილები. სოფ. დვალიშვილების აჯანყებულებს **იოველ დვალიშვილი** ხელმძღვანელობდა. მათ ხელში ჩაიგდეს სოფლები: ისრითი, დიხაშხო, საქარხიდე. ი. დვალიშვილის რაზმს მოხალისეებიც ემატებოდნენ. ისინი სოფ. ამაღლებაში მივიდნენ, სადაც შეთანხმების მიხედვით ყველა აჯანყებულს უნდა მოეყარა თავი (**ოთარ დვალიშვილი.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში და უცნობი ეროვნული გმირები. ქუთაისი, 2006, გვ. 68). ამბერკი ადეიშვილის რაზმი დაეუფლა სოფლებს: **საპაიჭაოს, მუქეთს** და **ტობანიერს** (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №2520, ფურცელი 273). აჯანყებულებმა სოფ. საპაიჭაოში დააპატიმრეს კომუნისტები: სოლომონ ადეიშვილი, იპოლიტე ადეიშვილი, ამბროსი თვალაბეიშვილი, გიორგი ადეიშვილი და მარკოზ ჭილაძე (**სშსსა (III),** ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №263, ფურცელი 39).

სერგო თვალაბეიშვილმა და ამბერკი ადეიშვილმა დაპატიმრებული კომუნისტები სოფ. ამაღლებაში პარკის საწყობში მოათავსეს და დაცვა დაუყენეს. აჯანყებულებს გან-

ზრახული ჰქონდათ მდინარე რიონზე გადასულიყვნენ, ერთიანი ძალით ყველა სოფელი აეღოთ ქუთაისამდე და შემდეგ იერიში ქ. ქუთაისზე მიეტანათ.

სოფლების საპაიჭაოს, მუქეთისა და ტობანიერის დაკავების შემდეგ აჯანყებულებმა ვანის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის შენობა დაიკავეს. ვანის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კოღუაშვილი ამ დროს შენობაში იმყოფებოდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2520, ფურცელი 273). ა. კოღუაშვილმა ამბერკი ადეიშვილი დაჭრა, საპასუხო გასროლით კი ა. ადეიშვილმა ა. კოღუაშვილი მოკლა (**ოთარ დვალიშვილი.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში და უცნობი ეროვნული გმირები. ქუთაისი, 2006, გვ. 69). აჯანყებულებმა შეტაკების დროს კომუნისტი **ვალოდია ახვლედიანი** მოკლეს, აჯანყებიდან მესამე დღეს კი სიცოცხლეს კომუნისტი **არტემ ლომინაძე** გამოასალმეს. მომდევნო დღეს აჯანყებულებმა სოფ. **პატრიკეთში** 4 კომუნარი მოკლეს, სოფ. **სულორში** — ვანის რაიონული ინსტრუქტორი **ერმილე ძაგნიძე (სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №2520, ფურცელი 273).

სოფ. **ამაღლების** საბჭოთა ხელისუფლებამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ 1924 წლის 27 აგვისტოს შეიტყო. მათ ექვსი საეჭვო პირი დააპატიმრეს. 29 აგვისტოს სოფელში კომუნარებს სტრატეგიული ადგილები ჰქონდათ დაკავებული. 29 აგვისტოს, შუადღისას, კომუნისტი ხაბურზანია ორ მილიციელთან ერთად სოფ. **გორასკენ** გაემართა. გზაზე მათ 15 შეიარაღებული პირი შენიშნეს, რომლებისგანაც გაიგეს აჯანყებულთა მიერ სოფ. გორის აღება. ამ ინფორმაციის შემდეგ კომუნარებმა გადაწყვიტეს აჯანყებულებისთვის ჩასაფრება მოეწყოთ ბაღდათის გზაზე. 30 აგვისტოს აჯანყებულებმა მათ ორი კაცი ქარჩხაძე და აბაშიძე მიუგზავნეს და ულტიმატუმი წაუყენეს: 20 წუთში დანებებულიყვნენ. კომუნარებმა ერთი დელეგატი უკან გააბრუნეს და აჯანყებუ-

ლებს შეუთვალეს: ვიფიქრებთ და პასუხს მეორე დელეგატი მოგიტანთო. კომუნარებმა გადაწყვიტეს სვირში გადასულიყვნენ. სვირში ისინი შეუერთდნენ სვირელ და ქუთაისელ კომუნარებს. აჯანყებულებმა სოფ. **ამაღლების** დაკავების შემდეგ ტყვედ ჩაიგდეს კომუნისტები: არკადი გოგორიშვილი, ჭიჭიკო სვანაძე, ვანო დიხამიძე, გალაკტიონ მუმლაძე, ისიდორე ტყეშელაშვილი და ანდრო ნადირაძე. არკადი გოგორიშვილი, ჭიჭიკო სვანაძე და ისიდორე ტყეშელაშვილი აჯანყებულებს ცხრა დღის განმავლობაში ჰყავდათ მთებში დაპატიმრებული, ანდრო ნადირაძე კი ვანის სატუსაღოში მოათავსეს. სოფ. ამაღლებას აჯანყებულები სამი დღის განმავლობაში ფლობდნენ, რის შემდეგაც კომუნისტებმა ისინი სოფლიდან განდევნეს (**სშსსა (III)**, ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №263, ფურცელი 40). კომუნარების ეს შეერთებული ძალა იმ ღამესვე სოფ. **ბაღდათის** მიმართულებით დაიძრა. სოფ. **ობჩის** გზაჯვარედინზე 50 აჯანყებული იყო ჩასაფრებული, ამიტომაც კომუნარებმა ისევ სვირში დაბრუნება გადაწყვიტეს. აჯანყებულებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს, რომლის დროსაც კომუნისტი ქველიაშვილი დაიღუპა. სვირში დაბრუნებულ კომუნარებს აჯანყებულებმა მიუგზავნეს დელეგაცია დამორჩილების მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ. სოფ. სვირთან კომუნარებსა (რომლებსაც წითელარმიელებიც შეუერთდნენ ტყვიამფრქვევით) და აჯანყებულებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც დაიჭრა და დაიღუპა 14 აჯანყებული, 26 კი ტყვედ ჩავარდა. სოფლების **საპრასია-უხუთის** აჯანყებულთა რაზმს **გრიგოლ ხურციძე** მეთაურობდა (**ოთარ დვალიშვილი.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში და უცნობი ეროვნული გმირები. ქუთაისი, 2006, გვ. 70). აჯანყებულებმა სოფ. **უხუთში** დააპატიმრეს კომუნისტები: სერაპიონ ლომინაძე, ალექსანდრე ხურციძე, ივანე ნიკოლოზის ძე ხურციძე, კოლია ვარდენის ძე ხურციძე, სერგო გორგაძე, ილია ხურციძე, ვლადიმერ გეგია, აკაკი ხურციძე, პალადი ხურციძე, სერაპიონ ჭურაძე (**სშსსა (III)**,

ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №263, ფურცელი47-48). აჯანყებულები, საპრასია-უხუთის დაკავების შემდეგ, სოფ. **ბაღდათში** გადავიდნენ და დაიკავეს ის (**ოთარ დვალიშვილი.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში და უცნობი ეროვნული გმირები. ქუთაისი, 2006, გვ. 70). აჯანყებულებმა ბაღდათის რაიონში შემდეგი შინაარსის მოწოდება გაავრცელეს:

„განთავისუფლებულო ქართველო ერო.

კომუნისტური მთავრობა დაემხო. ქართველი ხალხი განთავისუფლდა, იგი შეიქნა თავის ქვეყნის ბატონ-პატრონი.

ბრძოლა ჯერ არ **გათავებულა,** დახმარება საჭიროა. ქართველი ერის შვილნი ერთ სულოვანათ **უტევენ** მტერს, რომელიც თავზარ დაცემული გარბის...

მოგიწოდებთ ჯანსაღ ახალგაზრდობას ჩადგეთ რიგებში, რათა მტერს ვუჩვენოთ ხალხის ძლიერება. შეაგროვეთ ტყვიები, თოფები და სხვა იარაღი...

ქართველო, **დღე გათენდა** დიდების, თოფ-იარაღი აისხი, დრო დადგა გამარჯვებისა.

ბაღდათის რაიონის განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. გორგოძე

2/IX—24 წ." (**სშსსა (III),** ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №262, ფურცელი 15).

ბაღდათის რაიონში აჯანყებას მეთაურობდნენ: **ანდრო კიკნაძე, კონსტანტინე (კონია) ბაქრაძე, აბესალომ თავხელიძე, ვანიკო გებუაძე.** ბაღდათის რაიონში მყოფმა კომუნისტებმა, შეიარაღებული ძალების სიმცირის გამო, სოფ. **სვირის** მიმართულებით დაიხიეს. ამ გარემოებამ აჯანყებულებს საშუალება მისცა ბაღდათის და ვანის რაიონებში თავისუფლად ემოქმედათ, სადაც ისინი ძალაუფლებას ორი დღის განმავლობაში ფლობდნენ (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 54). ბაღდათის რაიონის სოფ. წაბლარის ხევში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა მოსამსახურეებმა: **იულონ ივანეს ძე შალამბერი-**

ძემ (მოანგარიშე), **აკაკი ილარიონის ძე სიგუნავამ, გიორგი (გოგიტა) გრიგოლის ძე სარალიძემ, საულე მიზარბეგის ძე კიკნაველიძემ, დავით არჩილის ძე ფურცელაძემ, დიმიტრი ლუკას ძე გძელიძემ** და **ივანე სტეფანეს ძე საშუკმა** (მოგვიანებით ყველა მათგანი თანამდებობიდან გაათავისუფლეს) (**სშსსა (III),** ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №262, ფურცელი 2). აჯანყებულებმა სოფ. ბაღდათში კოოპერატივიდან ფართალი გამოიტანეს და თავისიანებს დაურიგეს. ბაღდათის დაკავების შემდეგ აჯანყებულები სვირში გადავიდნენ და იქ არსებული რკინიგზა გადაკეტეს. ხალხი აჯანყებულებს თანაუგრძნობდა და მათთვის სურსათ-სანოვაგე მიჰქონდა, მაგალითად კალისტრატე გაბუნიამ სოფ. ინაშაურიდან აჯანყებულებს მოზვერი ჩაუყვანა (**ოთარ დვალიშვილი.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში და უცნობი ეროვნული გმირები. ქუთაისი, 2006, გვ. 70). აჯანყებულები სოფ. სვირში გაიძახოდნენ: **„გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!"** ისინი მღეროდნენ ჰიმნ **„დიდებას"**. სვირელ კომუნისტებს 31 აგვისტოს ქუთაისიდან შეუერთდნენ კომუნარები შ. ჩხეიძის მეთაურობით. ამ შეერთებული ძალით კომუნარებმა გადაწყვიტეს სვირის აღება საღამოს 6 საათზე. კომუნარების ერთი ათეული ა. ალასანიას მეთაურობით სოფ. ობჩისაკენ გაემართა. ა. ალასანიას რაზმი სოფ. ობჩის საზღვართან აჯანყებულებს გადაეყარა, შეტაკებისას კომუნარი ქველიაშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა, ერთი კომუნარი ამბერკი ჯუღელი და ერთი მილიციელი აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელში (ისინი სიტუაციის დასაზვერად გაგზავნეს კომუნარებმა). კომუნარები იძულებული გახდნენ სვირში დაბრუნებულიყვნენ. სვირში მყოფ კომუნარებს აჯანყებულებმა 1 სექტემბერს ხუთკაციანი დელეგაცია მიუგზავნეს (დელეგაცია ხანდაზმული ადამიანებისაგან შედგებოდა) იარაღის დაყრისა და დანებების მოთხოვნით. კომუნარებმა უპასუხეს: ქუთაისს შევეკითხებით და და პასუხს ხვალ დილისთვის შეგატყობინებთო. სწორედ ამ

დროს კომუნარებს ერთი ოცეული რუსის რაზმი მოუვიდათ კოვალჩუკის მეთაურობით. მათ ერთობლივად შეადგინეს საბრძოლო გეგმა და 2 სექტემბრის დილის 4 საათზე მუდრინის მეთაურობით სვირში მყოფ აჯანყებულთა რაზმს დაესხნენ თავს. აჯანყებულებმა კომუნარებისა და წითელ არმიელების შეტევას ვერ გაუძლეს და სოფ. ობჩისაკენ დაიხიეს. შეტაკებისას კომუნარების მხრიდან დაიღუპნენ ბოხუა და მეძმარიაშვილი, აჯანყებულთა მხრიდან დაიღუპა სამი და დაიჭრა სამი მებრძოლი. კომუნარებმა და წითელარმიელებმა სრულად განდევნეს აჯანყებულები სოფ. სვირიდან. 3 სექტემბერს, დილის საათებში, კომუნარები დაიძრნენ სოფ. ობჩისაკენ. კომუნარებმა წინ მზვერავები გაუშვეს, რომლებმაც მოუტანეს ინფორმაცია თუ რა ადგილზე იყვნენ აჯანყებულები ჩასაფრებულები. დაიწყო შეტაკება, რომლის დროსაც აჯანყებულები ტყეებში გაიფანტნენ. კომუნარები და წითელარმიელები სოფ. ობჩაში შევიდნენ. მუდრიმ მზვერავები სოფ. ბაღდათისაკენ გაგზავნა. ამ დროს სოფ. ბაღდათში აჯანყებულებსა და ქუთაისიდან მომავალ კომუნარებს შორის (რომელსაც ენუქიძე მეთაურობდა) შეტაკება მიმდინარეობდა. შეტაკება აჯანყებულების დამარცხებით დამთავრდა. სვირელი კომუნარები სოფ. ბაღდათში უომრად შევიდნენ. კომუნარებმა საპყრობილიდან დაპატიმრებული კომუნისტები გაათავისუფლეს. სვირელმა კომუნარებმა, ტყვეობიდან გათავისუფლებულ კომუნისტებთან ერთად, ინტერნაციონალის სიმღერით ამოიარეს ბაზრის ტერიტორია და შეუერთდნენ ქუთაისელ კომუნარებს. ამის შემდეგ სვირელი კომუნარები ისევ სვირში დაბრუნდნენ (**სშსსა (II)**, ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №262, ფურცელი18-19).

აჯანყებულთა გამოსვლა მოხდა სოფლებში როდინოული, ზედა და ქვედა სიმონეთი. სოფ. როდინოულში აჯანყებულებსა და ადგილობრივ კომუნისტებს შორის მოხდა შეტაკება, რომელსაც მსხვერპლი არ მოჰყოლია.

1924 წლის 28 აგვისტოს, ღამის 11 საათზე, აჯანყებულებმა იარაღი აჰყარეს ქუთაისის რაიონის სოფ. ქვიტირში მცხოვრებ ექვს კომუნისტს. აქ აჯანყებას მეთაურობდნენ: **ვლადიმერ რაჟდენის ძე მეძმარიაშვილი, იოსებ გულიაშვილი, ილიკო შალამბერიძე, შამშე რაფიელის ძე მეძმარიაშვილი.** აჯანყებულები იმავე ღამეს თავს დაესხნენ სოფ. **მუხიანს** და ერთი მილიციელი მოკლეს. აქ აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: **იოსებ მიხეილის ძე ფხაკაძე, პარმენ ბერაძე** (მუხიანის სადგურის ტელეგრაფისტი), **სილოვან კიზირია, ვალოდია ისიდორეს ძე ლალიაშვილი, ტიხონ ექვთიმეს ძე ფუტურიძე.** სოფ. მუხიანში მყოფ აჯანყებულებს შტაბი **ირაკლი ტყეშელაშვილის** სახლში ჰქონდათ.

სოფ. **ბაშში** აჯანყება 1924 წლის 28 აგვისტოს, ღამეს, დაიწყო. აჯანყებულებმა განაიარაღეს ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე და მისი ძმა (მელიტონ ჟორჟოლიანი), სოფელში ძალაუფლება ხელში აიღეს და ის 48 საათის განმავლობაში შეინარჩუნეს. აქ აჯანყებულებს სათავეში ედგნენ: **ვალიკო (ვარლამი) ტარიელის ძე კაშია, ივანე ვლადიმერის ძე ნაფეტვარიძე, ვარლამ ნიკოლოზის ძე მეძმარიაშვილი, ლავრენტი ილარიონის ძე ტყეშელაშვილი** და **სევასტი რემანოზის ძე ჩიქოვანი.**

სოფ. **ბაშში** (ქუთაისის მაზრა) აჯანყებულებმა შორაპნის მაზრის მილიციის უფროსი, **მელიტონ ჟორჟოლიანი** (ავადმყოფობის გამო ამ დროს შვებულებაში იმყოფებოდა), დააპატიმრეს. მ. ჟორჟოლიანმა მოახერხა ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მისი დაპატიმრების ამბავი ეცნობებინა. 1924 წლის 31 აგვისტოს, დილით, კომუნისტებმა მ. ჟორჟოლიანი გაათავისუფლეს. გათავისუფლების შემდეგ მ. ჟორჟოლიანმა სოფ. ბაშში აჯანყებულების წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო. მან ამბერკი ადეიშვილის რაზმის 6 ცხენოსანი შეიპყრო, მათ იარაღი აჰყარა და ისინი სადგურ მუხიანში მყოფ კურსანტების სკოლის კომისარს, **მარ-**

ქაროვს, გადასცა. მოგვიანებით, 2 სექტემბერს, მ. ჟორჟოლიანმა, მარქაროვთან ერთად, ვანის გათავისუფლებაში მიიღო მონაწილეობა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 40-40ა).

სოფ. **საყულიაში** აჯანყება 1924 წლის 28 აგვისტოს, ღამის პირველ საათზე, დაიწყო. აჯანყებულებმა იარაღი აჰყარეს ადგილობრივ კომუნისტებს და დააპატიმრეს (მხოლოდ ერთმა კომუნისტმა მოასწრო გაქცევა, მაგრამ ის აჯანყებულებმა სოფ. პატრიკეთში მოკლეს), ძალაუფლება ხელში აიღეს და ის 48 საათის განმავლობაში შეინარჩუნეს. აქ აჯანყებას მეთაურობდნენ: **პარმენ არჩილის ძე ნიჟარაძე, თეოფილე ვასილის ძე ლომიძე** და **ბარნაბა იოსების ძე არეშიძე.**

სოფ. **პატრიკეთში** აჯანყებულები 1924 წლის 30 აგვისტოს, დილის 9 საათზე შეიჭრნენ. შეტაკებისას კომუნარი დომენტი ვაჩაბერიძე დაიღუპა, სამი კომუნარი დაიჭრა, ტყვედ კი რვა კომუნარი ჩავარდა. სოფ. პატრიკეთში აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: **ამბერკი ადეიშვილი, ივანე თადეოზის ძე ჯიქიძე, იოსებ მიხეილის ძე ფხაკაძე, ივანე რაჟდენის ძე სანებლიძე, სერაპიონ იოსების ძე შენგელია, სერაპიონ ექვთიმეს ძე ნამჩამაძე, ლუკა ალექსის ძე კაკუშაძე, ბარნაბა სამსონის ძე გიორგისძე, ალიოშა მოსეს ძე კაკუშაძე** და **ალექსანდრე სპირიდონის ძე ძოძუაშვილი.**

სოფ. რიონში მხოლოდ ერთმა ადამიანმა, **ლევანტი სერაპიონის ძე ძოწენიძემ,** სცადა აჯანყების წამოწყება, მაგრამ ის შეტაკებისას მოკლეს (**სშსსა (III),** ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №262, ფურცელი 29).

ამბერკი ადეიშვილმა სამტრედია-მუხიანის მიმართულებით ბრძოლით დაიკავა სოფლები: **ბაში, საყულია, მუხიანი.** ამბერკი ადეიშვილის შეიარაღებული რაზმი 200 კაცამდე გაიზარდა. აჯანყებულები სოფ. გეგუთთან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ, ვინაიდან კომუნისტ თემურხან პაპიაშვილს ქუთაისიდან დამხმარე ძალა მოუვიდა. თ. პაპიაშვილის

რაზმს აჯანყებულებმა იოველ დვალიშვილისა და ვასილ ახვლედიანის მეთაურობით ორი მხრიდან შეუტიეს. სასტიკი ბრძოლა დაიწყო, ი. დვალიშვილი სოფ. გეგუთს მარცხნიდან უტევდა, ვ. ხვლედიანი — მარჯვნიდან. ამ ბრძოლაში აჯანყებულთაგან მძიმედ დაიჭრნენ: **ბენია ტყეშელაშვილი** და **მიხა ძიგრაშვილი** (მოგვიანებით ისინი გარდაიცვალნენ). ამის შემდეგ აჯანყებულებმა გეგმა შეცვალეს და გადაწყვიტეს ქუთაისზე შეტევა სოფ. უკანეთიდან დაეწყოთ. მათ ბრძოლით დაიკავეს სოფლები: მესხეთი და ბაკისუბანი. საერთო გეგმის მიხედვით ქუთაისს აჯანყებულები ლეჩხუმის მხრიდანაც უნდა მისდგომოდნენ. აჯანყებულებმა მიიღეს ცნობა, რომ მათ წინააღმდეგ ქუთაისელი კომუნისტები და რუსული წითელი ჯარის ნაწილები მოემართებოდნენ.აჯანყებულები ასევე სოფ. **უკანეთში** შეიჭრნენ და კომუნარ **სერგო გვანცელაძეს** თავს დაესხნენ, რომელიც დაჭრეს, მისი ცოლი კი მოკლეს. სოფ. უკანეთში ბრძოლის დროს ორი კომუნარი დაიჭრა. საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეებიდან აჯანყებულებს ზოგი ტყვედ ჩაუვარდა, ზოგმა კი გაქცევა მოახერხა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 54).

მუხიან-კოპიტნარის აჯანყებულები **ვასილ ნიკოლეიშვილის** რაზმს შეუერთდნენ. მათ დააპატიმრეს თბილისიდან მოვლინებული მაღალჩინოსანი კომუნისტები: ვანო სტურუა, ალექსანდრე ჩეჩალაშვილი და თ. ღლონტი. დაპატიმრებულების დაცვა **ვასილ და ალექსანდრე დვალიშვილებს** დაევალათ. სამტრედია ადგილობრივმა აჯანყებულებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ დაიკავეს. სოფ. ჯიხაიშთან ბრძოლის დროს ბოლშევიკებმა იარაღი დაყარეს და აჯანყებულებს ჩაბარდნენ (**ოთარ დვალიშვილი.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში და უცნობი ეროვნული გმირები. ქუთაისი, 2006, გვ. 71-74).

ქუთაისელ კომუნარებს დაევალათ აჯანყებულების მიერ დაპატიმრებული ვ. სტურუას, რუბენისა და სხვა დაპატიმრებული კომუნისტების გათავისუფლება. ამ ამოცანის შესრულება დაევალა რაზმს, რომელსაც ი. დუნდუა მეთაურობდა. კომუნართა ეს რაზმი 29 აგვისტოს გავიდა ქ. ქუთაისიდან და დაიწყო აჯანყებულების წინააღმდეგ მოქმედება მუხიანი-საყულია-პატრიკეთის მიმართულებით. 30 აგვისტოს რაზმმა აიღო სოფ. ბაში და ქართველი კურსანტების ოცეულს შეუერთდა. 31 აგვისტოს, დილით, ეს შეერთებული ძალა მდ. რიონზე გადავიდა და ვანის მიმართულებით გაემართა. ამ დროს მათ შეუერთდა მაკაროვის შტაბიც, რომელიც საბრძოლო მოქმედებებს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა. კომუნარებმა წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ ამოცანას და ტყვეები გაათავისუფლეს (**სშსსა (III)**, ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №262, ფურცელი 32).

ვანიდან გაქცევის დროს ამბერკი ადეიშვილმა კოოპერატივი და ყველა სახელმწიფო დაწესებულება გაძარცვა. კოოპერატივიდან ასევე წაღებულ იქნა გლეხებისათვის დასარიგებელი 10000 მანეთი. საერთო ზარალმა ვანის რაიონში 20000 მანეთს მიაღწია (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 34).

აჯანყების დაწყებამდე **ხრესილის** და **ტყიბულის** რაიონების ხელმძღვანელად ვინმე **კუპრაშვილი** დაინიშნა. მან თავის მხრივ ალიმ დარახველიძეს დაავალა სასწრაფოდ შეექმნა რაზმი. კუპრაშვილი აცხადებდა, რომ აჯანყებულთა დასახმარებლად კონსტანტინოპოლიდან უკვე ინგლისის დესანტი დაიძრა. კუპრაშვილის გეგმით, აჯანყებულებს ტყიბული ხრესილის მხრიდან შეტევით უნდა აეღოთ. კუპრაშვილი ა. დარახველიძეს სოფ. **გურნის** დაკავებას ავალებდა. კუპრაშვილის თქმით, ქუთაისში ყველაფერი წესრიგში იყო, სადაც მილიციაც კი მიიღებდა მონაწილეობას კომუნისტების განიარაღებაში. ალიმ დარახველიძემ, დავალებისამებრ,

სოფ. გურნი დაიკავა და კომუნისტები განაიარაღა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №27497-07, ფურცელი 19). 1924 წლის 29 აგვისტოს ა. დარახველიძემ **მექვენის რაიონში** (ლეჩხუმის მაზრა) **თომა ჩარკვიანთან** შემდეგი შინაარსის წერილი გააგზავნა: „როგორც ცნობა მაქვს, თქვენ ყოველივე ძალა უფლება საბჭოთა თავრობის ხელთ ჩაგიგდიათ. შესანარჩუნებლათ მე საჭიროთ მიმაჩნია ქუთაისის მაზრის სანაპიროები თქვენ მიერ იქნას გამაგრებული, ვინაიდან ნაწილი ტყიბულის რაიონისა და თვით ქუთაისი ამ ჟამათ ჩვენ მიერ ალყა შემორტყმული მორჩილებას არ გვიცხადებს. იქონიოთ აგრეთვე ერთმანეთ შორის კავშირი და... საქმეს დაბოლავება მივცეთ. გილოცავთ მთელ მაზრას მასეთ ბრწყინვალე გამარჯვებას, რაიცა თქვენი მხურვალე ენერგიის დამახასიათებელია. სალამი მაზრას.

გურნის თემი. სოფელი „გურნა“ (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №27497-07, ფურცელი 5).

ალიმ დარახველიძემ სოფელში კომუნარების შემოსვლისთანავე, თავის რაზმთან ერთად, სოფ. გურნი დატოვა და სოფ. **ძმუისში** დაბანაკდა. შემდეგ ა. დარახველიძე გეორგობიანთან ერთად გაიქცა და ჯერ ხრესილის რაიონში შემდეგ კი ლეჩხუმში იმალებოდა. 1924 წლის სექტემბრის ბოლოს ა. დარახველიძე ქუთაისის პოლიტბიურომ დააპატიმრა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №27497-07, ფურცელი 9-19).

ტყიბულის მაღაროებში და მის ახლო-მახლო სოფლებში მიმდინარეობდა სამზადისი აჯანყებისათვის და აჯანყებულები შეიკრიბნენ კიდეც **ვალიკო დარსაძის, გრიგოლ (გრიშა) ჩაფიძისა** და **გალაკტიონ ჭლიკაძის** ხელმძღვანელობით, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად აჯანყებულები გაიფანტნენ (**სშსსა (III)**, ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №262, ფურცელი 21).

ხრესილში აჯანყებულების წინააღმდეგ კომუნარების რაზმს **ეზეკია კუბლაშვილი** ჩაუდგა სათავეში (**ელგუჯა თავბერიძე.** ბოროტების კარუსელი ანუ წითელ წიგნში შესატანი ისტორია.— გაზეთი „მოწამეთა“, 1990, №7-8, ივლისი-აგვისტო, გვ. 4).

1924 წლის 28 აგვისტოს ღამეს სოფ. **ორპირის** კანცელარიასთან 11-მდე შეიარაღებული აჯანყებული შეიკრიბა **ლუკა კუპრაშვილის** მეთაურობით. მეორე დღეს, 29 აგვისტოს, აჯანყებულებსა და კომუნარებს შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც აჯანყებულთა მეთაური **ლუკა კუპრაშვილი** დაიღუპა, აჯანყებული **კაპიტონ დოლონაძე** კი დააპატიმრეს. დანარჩენი აჯანყებულები გაიქცნენ (**გლეხკორი სალაშინი.** მენშევიკ-ავანტიურისტების გამოსვლა ორპირის თემში.—გაზეთი „მუშა და გლეხი“, 1924, №38, 28 სექტემბერი, გვ. 6).

1924 წლის 28 აგვისტოს, დილის 7 საათზე, სამტრედიის რკინიგზის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, აკაკი თავბერიძემ, სამტრედიის რაიონული კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, ლადო გაგნიძე გამოიძახა და აჯანყებულების მიერ ჭიათურის დაკავების შესახებ ამცნო. ლ. გაგნიძემ ქ. სამტრედიის კომუჯრედების პასუხისმგებელ მდივნებს გამოუძახა და ჭიათურაში მიმდინარე ამბები გააცნო. დილის 8 საათისათვის ა. თავბერიძე ჯავშნიანი მატარებლით ჭიათურისაკენ გაემგზავრა. 28 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ლ. გაგნიძეს ტელეფონით ქუთაისის ჩონის უფროსი, წივწივაძე, დაუკავშირდა და კომუნარების შეგროვება დაავალა. დღის 12 საათზე ქ. სამტრედიაში შეიკრიბნენ კომუნარები, რომლებიც სასწრაფოდ გაიგზავნენ სტრატეგიული ადგილებისაკენ და სამტრედიაში შემოსასვლელი გზების დასაკავებლად. ქალაქის უჯრედებიდან გამოიყვნენ ხელმძღვანელები, რომლებიც სოფლებში გაგზავნეს. ასე რომ, დღის 4 საათისათვის სამტრედიის რაიონი სრულად იქნა გამაგრებუ-

ლი. ქ. სამტრედიაში მოდიოდა ინფორმაციები, რომ აჯანყებულები სამტრედიის ცალკეულ სოფლებში ჩნდებოდნენ. სამტრედიის რაიონში საალყო წესები გამოცხადდა და წითელი ჯვრისა და სასადილო პუნქტები იქნა დაარსებული. 1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყებულებსა და კომუნარებს შორის სოფ. **გომში** შეტაკება მოხდა. აჯანყებულთა რიცხვი 50-მდე აღწევდა. შეტაკებისას კომუნარებმა ხუთი აჯანყებული დააპატიმრეს. სწორედ ამ დროს ქ. სამტრედიაში 200 რუსი კურსანტი შემოვიდა **დობრენკოს** მეთაურობით, რის შემდეგაც **საგანგებო ხუთეული** ჩამოყალიბდა **ლ. გაგნიძის** ხელმძღვანელობით. ქ. სამტრედიაში მოვიდა ინფორმაცია, რომ სენაკი აჯანყებულებს ჰქონდათ აღებული და რომ კომუნარებსა და აჯანყებულებს შორის აბაშაში შეტაკებას ჰქონდა ადგილი. აბაშის მიმართულებით ჯავშნოსანი მატარებელი გაიგზავნა დობრენკოს მეთაურობით, ხოლო კომუნარები — მდ. ცხენისწყლის მიმართულებით ბაგრატ ხუჭუას მეთაურობით. აჯანყებულებთან ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც ჯავშნოსანმა მატარებელმა უკან დაიხია. ამ შეტაკების დროს ორი კურსანტი დაიღუპა და ორიც დაიჭრა.

აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედების კოორდინირების მიზნით ხაშურიდან სამტრედიისაკენ დრეზინა გაემართა, რომელშიც იმყოფებოდნენ კომუნისტები: **ვანო სტურუა, რუბენი** და **ტარობკინი**. აჯანყებულებმა, ტელეგრაფისტის მეშვეობით, ეს ამბავი გაიგეს და სოფ. **მუხიანთან** ჩასაფრება მოაწყვეს, დრეზინა გააჩერეს, ხოლო მგზავრები შეიპყრეს. აჯანყებულებმა დაპატიმრებულები ვანის მიმართულებით წაიყვანეს, რომლებიც მას შემდეგ გაათავისუფლეს, როცა აჯანყება პრაქტიკულად დამარცხდა (**ფარი — საიმედო, მახვილი — ბასრი.** რედაქტორი **ა. ნ. ინაური**. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987, გვ. 84-85).

სოფ. გომს აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს, რის შემდეგაც კომუნარებმა სოფელი დატოვეს. შეტაკებები მიმ-

დინარეობდა სოფ. საჯევახოში და სოფ. დაფნარში. აჯანყებულები სოფ. **ეწერ-იანეთში** თავს დაესხნენ და მოკლეს კომუნარები: ივანიძე და ერმოლოზ გრიმალოვი. მალე სამტრედიაში ი. ტალახაძე ჩავიდა ქართველ კურსანტებთან ერთად. კურსანტები კომუნართა ათისთავებად დაინიშნენ და ყველა მიმართულებით გაიგზავნენ. 31 აგვისტოს აჯანყებულები სამტრედიის რაიონიდან სრულად განდევნეს. აბაშიდან აჯანყებულების გასადევნად 40 კომუნარი აბაშაში იქნა გაგზავნილი, დანარჩენი ძალები — სოფ. ტობანიერისა და სოფ. საპაიჭაოს ასაღებად, რის შემდეგაც აჯანყებულები სრულად განდევნეს ამ სოფლებიდან. სამტრედიიდან ხონის მიმართულებით გაიგზავნენ კომუნარები ილარიონ სტურუას მეთაურობით და ავტომობილი 30 კურსანტით, რის შედეგადაც ხონში აჯანყებას ადგილი არ ჰქონია. 11 სექტემბერს ქ. სამტრედიაში კომუნისტებმა მიტინგი ჩაატარეს, სადაც მომხდარ ამბებთან დაკავშირებით მოხსენება კომუნისტმა კორნელი ქაცარავამ წაიკითხა. 14 სექტემბერს მსგავსი მიტინგები სამტრედიის სხვა სოფლებშიც ჩატარდა (**სშსსა (III)**, ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №262, ფურცელი 23-24).

1924 წლის 28 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ხონის აღმასრულებელ კომიტეტს ქ. ქუთაისიდან ცნობა მიუვიდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ანტისაბჭოთა აჯანყება იგეგმებოდა. ცოტა ხანში ხონის პარტიული კომიტეტის შენობასთან კომუნისტები და კომკავშირლები შეიკრიბნენ იარაღით ხელში, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით გაიგზავნენ. მათ ხელმძღვანელობდნენ: შ. ქუთათელაძე, კ. ბახტაძე და ე. კარმანოვი. დაიწყო საეჭვო პირების დაპატიმრებები. ხონში ჩავიდა პირველი ქართული მსროლელი ლეგიონის ხელმძღვანელი **გ. ქუთათელაძე** (რომელიც იმ პერიოდში შვებულებაში იმყოფებოდა), მეორე დღეს კი — მოსკოვიდან შვებულებით ჩამოსული გენერალური შტაბის მსმენელი **მ. ჭავჭანიძე**. მათ გამოთქვეს სურვილი კომუნარ-

თა რაზმებისათვის ეხელმძღვანელათ, რაზედაც დასტური მიიღეს. გ. ქუთათელაძე და მ. ჭავჭანიძე ხონის რაიონის შეიარაღებული ძალების უფროსებად დაინიშნენ. 29 აგვისტოს, საღამოს, ხონელმა კომუნარებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ სოფ. **კუხში** აჯანყებულებს შტაბი ჰქონდათ შექმნილი და ხონზე თავდასხმას გეგმავდნენ. ხონელმა კომუნარებმა ასევე შეიტყვეს, რომ აჯანყებულებმა სენაკის მაზრა დაიკავეს, რის გამოც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მდ. ცხენისწყლის სანაპიროს გამაგრებისა სოფ. **ღანირ ქვიტირიდან** სოფ. **გორდი-კინჩხის** საზღვრამდე. ხონელმა კომუნარებმა ქუთაისიდან დახმარება ითხოვეს, მაგრამ ქუთაისიდან მხოლოდ ვაზნები მიიღეს. 30 აგვისტოს აჯანყებულები **ნაოღალევის რაიონის** აღებას ცდილობდნენ. ნაოღალევის რაიონის კომუნისტებმა დახმარება ხონს სთხოვეს, მაგრამ მანამდე ნაოღალევის რაიონი აჯანყებულებმა დაიკავეს. ნაოღალევის რაიონის კომუნისტებმა თავი სოფ. **ნახახულევს** შეაფარეს. 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს აჯანყებულები ხონისაკენ მიიწევდნენ სოფ. ნაოღალევისა და მდ. ცხენისწყლის მხრიდან. ამ დროს ხონში ქ. სამტრედიიდან 35 კურსანტი ჩავიდა. 4 სექტემბერს ხონელი კომუნარები აჯანყებულების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ. აჯანყებულებმა სოფ. ნაოღალევი დატოვეს და სოფ. **გაჭედილში** გამაგრდნენ. ხონელმა კომუნარებმა შტაბი სოფ. ნაოღალევში გადაიტანეს. 5 სექტემბერს, ღამით, ხონელმა კომუნარებმა ქუთაისიდან დახმარება მიიღეს, 6 სექტემბერს კი ისინი შეტევაზე გადავიდნენ და დაიკავეს სალხინოს რაიონი სოფ. **კურზუმდე**. ხონელმა კომუნარებმა მრავალი აჯანყებული დაატყვევეს, დატყვევებული კომუნისტები კი გაათავისუფლეს (**სშსსა (III)**, ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №262, ფურცელი 25-26).

ქუთაისის მაზრაში აჯანყებაში მთლიანობაში მონაწილეობა 1120 კაცმა მიიღო, რომელთა შორის იყვნენ: **მასწავლებლები, ვაჭრები, მდიდარი გლეხები (კულაკები), სა-**

შუალო და ღარიბი გლეხები (მათ შორის ისეთებიც, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლებისგან მიიღეს მიწა), **სამღვდელოება, ოფიცრები** და სხვ. აჯანყებულები ხალხს არწმუნებდნენ: „აღებულია ყველა ქალაქები, საზღვარ გარეთიდგან მოდის ნოე ჟორდანია ჯარით და თქვენ თუ არ დაგვეხმარეთ სასტიკათ დაისჯებით“ (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 54).

1924 წლის ოქტომბერში აჯანყების დამარცხების შემდეგ სოფ. საპაიჭაძეოში ა. ადეიშვილისა და ს. თვალაბეიშვილის რაზმს მილიციისა და კომუნარების 300 კაციანი რაზმი თავს დაესხა. სროლების დროს მილიციელებმა შეცდომით სამი თავისიანი დაჭრეს. აჯანყებულთა შეპყრობა ვერ მოხერხდა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №2520, ფურცელი 373).

1924 წლის აჯანყების დროს აჯანყებულებთან შეტაკებისას ქუთაისის მაზრაში დაიღუპნენ კომუნისტები: **ალექსანდრე მარკოზის ძე კოლუაშვილი,** ვანის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, კომუნისტი 1904 წლიდან, დაიღუპა 1924 წლის 29 აგვისტოს; **ერმილე ლუარსაბის ძე ძაგნიძე,** ვანის რაიონის პარტიული ინსტრუქტორი, სოფლის მასწავლებელი, 1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყებულებთან სოფ. დიხაშხოში შეტაკებისას დაიჭრა და გარდაიცვალა; **ონიფანტე კირილეს ძე ეფრემიძე,** მუშაობდა ვანის რაიონის მიწის კომისიაში, 1924 წლის 29 აგვისტოს ვანში აჯანყებულებთან შეტაკების დროს დაიღუპა; **მაქსიმე სიმონის ძე ქველიაშვილი,** ქუთაისის გამასწორებელ სახლში მუშაობდა, 1924 წლის 29 აგვისტოს სვირის რაიონში აჯანყებულებთან შეტაკების დროს დაიჭრა, დაჭრილმა ტყეში რამდენიმე დღე დაჰყო, შემდეგ კი აჯანყებულების უკან დახევის დროს აჯანყებულებმა მოკლეს; **გრიგოლ ექვთიმეს ძე ხობუა,** მცხოვრები ხონის რაიონის სოფ. ცხუნკურში, კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან, 1924 წლის 31 აგვისტოს სვირის რაიონში აჯანყებულებთან შეტაკების დროს

დაიღუპა; **მიხეილ (მიშა) პარმენის ძე მეძმარიაშვილი**, 23 წლის, 1924 წლის 31 აგვისტოს სვირის რაიონში აჯანყებულებთან შეტაკებაში დაიღუპა; **ლუკა ლაზარეს ძე ივანიაძე**, კომუნისტური პარტიის წევრი 1918 წლიდან, 43 წლის, სადგურ რიონში დარაჯად მსახურობდა, 1924 წლის 30 აგვისტოს აჯანყებულებმა დაჭრეს, გარდაიცვალა ოთხი დღის შემდეგ; **ნიკოლოზ ნიკოს (ლუკას) ძე კიკაჩეიშვილი**, სენაკის რაიონში აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა; **ალექსანდრე ილიკოს ძე გრიმალოვი**, კომკავშირის სამტრედიის რაიორგანიზაციის წევრი, სამტრედიის რაიონის სოფ. ეწერში აჯანყებულებთან შეტაკებაში დაიღუპა; **ბესარიონ ილარიონის ძე მეფარიშვილი**, სოფ. გამოჩინებულის მკვიდრი, კომკავშირის წევრი, 1924 წლის 30 აგვისტოს სამტრედიის რაიონში (ბრძოლა წარმოებდა საჯავახოს მიმართულებით) აჯანყებულებთან ბრძოლაში დაიღუპა; **გალაკტიონ (კოკი) გრიგოლის ძე კანდელაკი**, კომკავშირის წევრი, 1924 წლის 31 აგვისტოს სოფ. საყულიაში აჯანყებულებთან ბრძოლაში დაიღუპა; **დომენტი ანტონის ძე ვაჩიბერიძე**, კომუნისტური პარტიის წევრი, სოფ. პატრიკეთის მკვიდრი, სოფ. **პატრიკეთში** აჯანყებულების თავდასხმის მეორე დღეს აჯანყებულებთან ბრძოლაში დაიღუპა; **კალისტრატე მაღლაფერიძე**, სოფ. პატრიკეთის მკვიდრი, უპარტიო, 1924 წლის 30 აგვისტოს აჯანყებულებთან ბრძოლაში დაიღუპა; **ნესტორ მალაქიას ძე გეწაძე**, ტყიბულის მაღაროს მუშა, კომუნისტური პარტიის წევრი, აჯანყებულების **ხრესილზე** თავდასხმის დროს დაიღუპა, ამ დროს ის ხრესილის რაიონულ ცენტრს იცავდა; **ნიკოლოზ პეტრეს ძე უგულავა**, 46 წლის, ხონის რაიონის სოფ. ცხუნკურის მკვიდრი, აჯანყებულებმა სოფლების ახალბედისაულსა და საწულუკიძეოს შორის მოკლეს; **ვლადიმერ ხურციძე**, 42 წლის, მუშაობდა გლეხკომში, აჯანყებულებმა ვანის რაიონის სოფ. უხუთში მოკლეს; **ამბაკო სულაქველიძე**, უპარტიო, მილიციელი, და-

იღუპა სოფ. მუხიანში აჯანყებულებთან შეტაკების დროს; **ვლადიმერ კირილეს ძე ახვლედიანი,** უპარტიო, ვანის რაიონის მილიციელი, აჯანყებულებთან შეტაკებისას დაიჭრა და იმავე დღეს ჭრილობისაგან გარდაიცვალა; **დავით დიმიტრის ძე ბერაძე (სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №43, ფურცელი 4-15); **აკაკი სარდიონის ძე დალაქიშვილი; ნიკოლოზ ვაშაყმაძე,** დაიღუპა ქ. ქუთაისში შეტაკების დროს; **სერგო გვანცელაძის ცოლი,** აჯანყებულები განიარაღების მიზნით თავს დაესხნენ სერგო გვანცელაძეს, რა დროსაც ს. გვანცელაძე დაჭრეს ხოლო მისი ცოლი კი მოკლეს; **გალაკტიონ გოჩოლაშვილი,** აჯანყებულებმა სადარაჯოზე დგომისას მოკლეს; **სერგო ელიზბარის ძე ხაჭაპურიძე,** მოკლეს აჯანყებულებმა ვანის რაიონზე თავდასხმისას; **შალვა ისიდორეს ძე მინაშვილი** მოკლეს აჯანყებულებმა ვანის რაიონზე თავდასხმისას; **ბესარიონ არველაძე,** მოკლეს აჯანყებულებმა ვანის რაიონზე თავდასხმისას; **კოსტა პავლეს ძე კიკაბიძე (სშსსა (III),** ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №264, ფურცელი 32-35). ქუთაისის მაზრაში აჯანყებულებთან შეტაკებისას კი დაიჭრნენ კომუნისტები: **სერგო პაატას ძე გვანცელაძე, იასონ ეგნატეს (დავითის) ძე კაპანაძე, ივანე სიმონის ძე სინაურიძე, ნიკოლოზ დაუროვი, გალაკტიონ გოჩელაშვილი (სშსსა (III),** ფონდი №29, აღწერა №1, საქმე №264, ფურცელი 20).

ქუთაისის მაზრის მილიციაში ისეთი თანამშრომლებიც აღმოჩნდნენ, რომლებსაც აჯანყებულებთან კავშირი დაუმტკიცდათ. ამის გამო ისინი (ერთი მათგანი გვარად ბურჯანაძე იყო) მოგვიანებით დახვრიტეს (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 54).

1924 წლის 7 სექტემბერს გამოსვლები ქუთაისის მაზრაში სრულად იქნა ლიკვიდირებული (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 34).

§2. სამეგრელო (სენაკის მაზრა. ზუგდიდის მაზრა)

1924 წლის აჯანყების წინა დღეებში სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა, მათ მიერ გაწეული მუშაობის ანალიზის მიზნით, მაზრის ყველა რაიონის ხელმძღვანელი შეკრიბა. შეკრებაზე გაირკვა, რომ აბაშის, ბანძისა და სალხინოს რაიონებში აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები კარგად იყო ჩატარებული. საპირისპირო ვითარება იყო მარტვილისა და ნოქალაქევის რაიონებში. ამიტომ, სალხინოსა და ბანძის აჯანყებულებს, თავიანთ რაიონებში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, მარტვილისა და ნოქალაქევის დაუფლებაზე უნდა ეზრუნათ. ქ. ახალსენაკი 200 შეიარაღებულს უნდა აეღო. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა აჯანყებამდე სამი დღით ადრე აჯანყების ზუსტი თარიღი **თედო ესართიას** (სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი) შეატყობინა. 1924 წლის 26-27 აგვისტოს თ. ესართიამ სენაკის, ზუგდიდისა და სამურზაყანოს მაზრებში აჯანყების მეთაურები გააფრთხილა. 1924 წლის 28 აგვისტოს, დილით, სენაკის მაზრის დამკომისა და სამხედრო შტაბის გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომაზე სენაკის რაიონის ასაღებად კონკრეტული გეგმა შემუშავდა. ამისათვის, როგორც აღვნიშნეთ 200 შეიარაღებული იყო მობილიზებული. გადაწყდა ეს ძალა ორად გაეყოთ. პირველ რაზმს სამოქმედოდ განესაზღვრა სოფლების: ნოსირის, ქვემო და ზემო შხვიის, ხორშის ტერიტორიები და ქ. ახალსენაკი. 1924 წლის 29 აგვისტოს, დილის ორი საათისათვის, ეს რაზმი საკალანდარიშვილოს ეკლესიის ეზოში (ახალსენაკიდან ერთი ვერსის დაშორებით მდებარეობს) უნდა შეკრებილიყო. მეორე რაზმს სამოქმედოდ განესაზღვრა სოფლების: თეკლათის, ქვემო და ზემო (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) და ქვალონის ტერიტორიები. პირველი რაზმის მეთაურად **დავით მხეიძე** დაინიშნა, მეორის — **აქვსენტი შალამბერიძე.**

პაროლად სიტყვა **„სიმინდი“** დაწესდა. დილიდან საღამომდე კურიერებს ქალაქში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციები მოჰქონდათ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ არაფერი იცოდა. უფრო მეტიც, ამ დროისათვის ხელმძღვანელი პირები ქალაქში არ იმყოფებოდნენ. აჯანყებულთა ინფორმაციით, ქ. ახალსენაკში არსებული შეიარაღებული ძალები მათ რეალურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. აჯანყებულებს მილიციაში თავისი კაცი, **ნოე გვაზავა,** ჰყავდათ, რომელსაც საღამოსათვის მილიციის ნაწილების ქალაქიდან გატყუება დაევალა. ნ. გვაზავამ ეს ამოცანა ვერ შეასრულა (ამის შემდეგ ნ. გვაზავა აჯანყებულებს მილიციის განიარაღებაში დახმარებას ჰპირდებოდა). აჯანყებულები განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტის დაკავებას უთმობდნენ, რადგან ამ შენობაში იარაღისა და ტყვია-წამლის მარაგი ინახებოდა. აჯანყებულებმა მზვერავებს მისცეს დავალება გაერკვიათ: იმყოფებოდა თუ არა ქ. ახალსენაკში კომუნისტი **ბესარიონ მელიქაძე**. ბ. მელიქაძეს კრიტიკულ მომენტშიც კომუნისტების დარაზმვა შეეძლო. მზვერავების ინფორმაციით, ბ. მელიქაძე ქალაქში არ იმყოფებოდა. რაც შეეხება სენაკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარეს, **სამსონ მამულიას,** ის ტიფით იყო ავად და ამიტომ, აჯანყებულებმა გადაწყვიტეს ის თავის სახლშივე დაეპატიმრებინათ (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №24235-61, ფურცელი 28-34).

1924 წლის 28 აგვისტოს, საღამოს, საკალანდარიშვილოს ეკლესიასთან სენაკის მაზრის დამკომისა და სამხედრო შტაბის წევრები შეიკრიბნენ. აქ ისინი შეიარაღებული რაზმების გამოჩენას ელოდებოდნენ. ადგილზე პირველად ახალგაზრდების ჯგუფი მივიდა, რომლებიც სანიტრებად დანიშნეს. მოგვიანებით, დანიშნულ ადგილზე სოფ. ქვემო შხეფის 8

კაციანი რაზმი და ეროვნულ-დემოკრატების შეიარაღებული რაზმი გამოცხადდა. ადგილზე არ გამოცხადნენ სოფლების: ხორშის, ნოსირისა და ზემო შხეფის რაზმები, მიუხედავად იმისა, რომ მათთან კურიერები გაგზავნეს. მოგვიანებით, აჯანყებულთა პირველ რაზმს სოფ. წყემის 8 კაციანი რაზმი შეუერთდა **ალექსანდრე ჯალაღონიასა და ჭ. თოფურიას** მეთაურობით. მეორე რაზმიც ნელ-ნელა ივსებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც პირველი ისე მეორე რაზმის სრულად შევსება ვერ მოხერხდა. ორივე რაზმში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ. აჯანყებულთა მთავარი პრობლემა იარაღისა და ტყვია-წამლის უკმარისობა იყო. აჯანყებულთა ხელთ არსებული იარაღის უმეტესობა დაჟანგული იყო, თითოეულ აჯანყებულს კი 5-10 პატრონაზე მეტი არ ჰქონდა. ამიტომ, აჯანყებულებმა 15 შეიარაღებული და 15 უიარაღო გამოჰყვეს, რომლებსაც მიეცათ დავალება: ქალაქში შეჭრისთანავე ეხმაურათ და ამ ხერხით მოწინააღმდეგე დაეშინებინათ. 29 აგვისტოს, დილის 3 საათისათვის, აჯანყებულებმა წაიხემსეს (სურსათი ვაჭრებმა მოიტანეს). ამის შემდეგ აკაკი კალანდარიშვილმა აჯანყებულებს სიტყვით მიმართა და კიდევ ერთხელ მოუწოდა მათ მამაცობისაკენ. დავით მხეიძემ, რომელიც აჯანყებულთა საერთო ხელმძღვანელად დაინიშნა, რაზმები საბრძოლო მოქმედებაში მოიყვანა. აჯანყებულები ნელი სვლით ქალაქის ცენტრისაკენ დაიძრნენ. აქ მათ ორი მებაღე და ორი ქვეითი პატრული შენიშნეს, რომლებმაც ასევე შეამჩნიეს აჯანყებულები. მეტის დაყოვნება არ შეიძლებოდა და აჯანყებულები მათკენ გაემართნენ შეძახილებით: **„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!" „გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!" „ძირს ოკუპაცია!"** რამდენიმე წუთში აჯანყებულებმა აღმასრულებელი კომიტეტის შენობა დაიკავეს. ამ ოპერაციისას ორი აჯანყებული მსუბუქად დაიჭრა. ამის შემდეგ აჯანყებულებმა იერიში პარტიული კომიტეტის შენობა-

ზე მიიტანეს, სადაც კომუნისტები იყვნენ გამაგრებულები. ამ დროს წინასწარ გამოყოფილმა 30 აჯანყებულმა ყიჟინა ატეხა, რამაც აჯანყებულებს რაიონული მილიციისა და პარტიული კომიტეტის შენობების დაკავება გაუადვილა. სადგურისა და ფოსტის შენობა აქვსენტი შალამბერიძის რაზმმა დაიკავა. ამის შემდეგ აჯანყებულები საპყრობილის მიმართულებით დაიძრნენ, მისი უფროსი შეიპყრეს და პატიმრები გაათავისუფლეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24235-61, ფურცელი 28-34). აჯანყებულებმა საპყრობილის უფროსად **გრიშა სპირიდონის ძე მატახერია** დანიშნეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 33-35). ახალსენაკის დასაკავებლად მიმდინარე ბრძოლა საათნახევარი გაგრძელდა. ბრძოლაში 10 აჯანყებული და ერთი კომუნარი დაიჭრა. აჯანყებულებმა, ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქონების ყოფილი მფლობელებისათვის დაბრუნება დაიწყეს. მაგალითად, აჯანყებულებმა ივანე სანიკიძეს უკანონოდ წართმეული სასტუმრო და სასადილო დაუბრუნეს (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 20-21).

აჯანყებულებმა მოსახლეობაში შემდეგი შინაარსის პროკლამაცია გაავრცელეს:

„მოწოდება

მოქალაქენო! დიდი თავგანწირულ ბრძოლით და მრავალის მსხვერპლის გაღებით ქართველმა ერმა თავი დააღწია რუსეთის ასოცი წლის მონობას და 1918 მაისს 26 ქვეყანას აუწყა, რომ ის არის თავისუფალი სუვერენული ერი, აქვს თავის ისტორიული მიწა-წყალი და ითხოვა ამ მიწა-წყალზე ეცნოთ მისი სახელმწიფოებრივობა. ყველა სახელმწიფოებმა ეს მოთხოვნილება სამართლიანად დაინახა და საქართველოს სახელმწიფოებრივობა იურიდიულად იცნო. საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორება და მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა იცნო რუსეთმაც. მაგრამ რუსეთი როდის ინ-

დობდა საქართველოს, რომ ეხლა დაენდო და საქართველოს მოღალატე-ქართველ ბოლშევიკების დახმარებით 1921 წლის თებერვალში საქართველოს თავისი ჯარი შემოუსია, დაიპყრო და ხელ მიჰყო მის აკლება გაპარტახებას. დღიდან საქართველოს დაპყრობისა რუსეთის მიერ მოვლინებულ საოკუპაციო მთავრობამ მოსპო ყოველგვარი თავისუფლება, კანონის გარეშე გამოაცხადა ყველა პოლიტიკური პარტიები, გარდა ქართველ ერის ნაძირალების, ე.წ. კომუნისტური პარტიისა, რომელზედაც თვითონ ეყრდნობოდა, დაარსდა საგანგებო კომისია „ჩეკა“ რომელსაც მიენდო საქართველოს სრულიად მოკვლა. ამ მიზნის მისახწევად „ჩეკამ“ გაავსო ქალაქები, დაბები და სოფლები თავისი ჯაშუშებით. იწყო საქართველოს მებრძოლთა ჭერა-დაპატიმრება, (მოიგონეთ სხვათა-შორის 15 აფიცრების დახვრეტა) დახვრეტა, გახურებულ შანთებით წამება, ჩეკის ნესტიან ჯურღმულებში ცემა, დაცინვა, ადამიანის ღირსების დამცირება, ხელის მოწერით უარეყოთ თავიანთი აზრები წამების, დახვრეტის და გადასახლების შიშით, გადასახლება საზღვარგარეთ, გადასახლება რუსეთში და საქართველოს მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრთა და აგრეთვე თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეთა მძევლად დაჭერა რუსეთის ციხეებში. ის ამაზედ არ დაჯერდა, მან დახურა და გაძარცვა საქართველოში ათას ოთხასი ეკლესია; ზოგი მადგანი სრულიად დაანგრია, ზოგიც სათეატრო სახლად და კლუბად გადააკეთა და ზოგიც სხვა რამედ, რითაც დასჭირდებოდა. მან სამასხაროთ და ქუჩის ბიჭების დასაცინად გახადა სარწმუნოება. ეკლესიის მსახურნი, ვინც კი გაბედა სარწმუნოების გამოქომაგება, გაკრიჭა, ციხეში ჩაყარა კათალიკოსიანათ, ციხის გარეთ დარჩენილი მღვდლები აიძულეს მღვდელ-მოქმედებაზედ ხელი აეღოთ და ძალად გაკრიჭეს. ამავე დროს ყველა ეს სისაძაგლე დააბრალეს ხალხს, განაცხადეს რა თავიანთ ყრილობებზე — ეკლესიები ხალხმა დახურაო, თარეში განაგრძეს სწავლა განათლე-

ბის საქმეშიც და ეს დარგი სრულიად გაათახსირეს. გაყარეს სკოლიდან პატიოსანი და ნიჭიერი მასწავლებლები და მათ მაგიერად სასწავლებელში შეიყვანეს უმეტეს ნაწილი ახალგაზრდა კომკავშირის წრიდან — ნაკლები ღირსების მასწავლებლები და დაავალეს მათ რუსეთის მონების აღზრდა საქართველოში. ამ ბოლო დროს მისწვდნენ ქართულ უნივერსიტეტს წასახრჩობად. არც ამას დასჯერდა საოკუპაციო მთავრობა და სულიერად აკლებასთან ერთად შეუდგა ნივთიერ გაპარტახებასაც, რომ გაპარტახებულ რუსეთის დაბალ-ღირსების ნაწარმოებისთვის ბაზა მოეპოვა (მოაქცია რა საქართველო რუსეთის სახელმწიფო ფარგლებში და სავაჭრო რკალში), ჯერ არ გაგონილი სიდიდის საბაჟო გადასახადები დააწესეს უცხო სახელმწიფოთათვის შემოსატან საქონელზე, იწყო თავისი გაძვირებულ საქონლის გასაღება აქ და აქედანვე გაზიდვა ყოველივე იმ ნედლი მასალისა, რაც კი ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება და ამავე დროს რუსეთს ესაჭირვება. რუსეთი აწესებს ფასებს ჩვენს საქონელზედ (მატყლი, ბამბა, პარკი და სხვ.) და ამ მიზეზით ხალხი გაშიშვლდა. ამრიგად, ჩვენს ქვეყანას დაღუპვისაკენ მიაქანებს. იღუპება საქართველო — სარგებლობს რუსეთი, ასეთია დაპყრობის შედეგი.

მოქალაქენო! თქვენ უკვე მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ნაციონალურ მთავრობას რუსეთის ურდოებმა საქართველო დაატოვებინეს და საზღვარგარეთ გააქციეს. ამის შემდეგ დაარსდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი, რომელშიც შედიან საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტიები, გარდა კომუნისტური პარტიისა. დღიდან თავისი არსებობისა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ცდილობს საქართველოს განთავისუფლებას რუსეთის მონობისაგან. ის აწარმოებს შეუწყვეტელ ბრძოლას შინ და გარეთ, საქართველოში და ევროპაში; და აი დადგა კიდეც დრო გადამჭრელი ბრძოლისა, დრო, ქართველი ერის აღდგომისა.

მოქალაქენო! განვლო სამნახევარმა წელმა, წლებმა ტანჯვისამ, წამებისამ, რჩეულ პატრიოტთა სიკვდილით დასჯისამ, გადასახლებისამ, დამცირებისამ და შეურაცხყოფისა, ერის ნაოფლარის გაფლანგვისამ, მითვისებისამ. ამ პირობებში საქართველოს დარჩენა ნიშნავს — საქართველოს დაღუპვას, ხოლო განთავისუფლება — აღორძინებას. ამიტომ ქართველმა ერმა, მთიულეთთან და აზერბაიჯანთან ერთად დაიწყო თავის განთავისუფლებისათვის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა დილით 29 აგვისტოს.

მოქალაქენო! ვისაც გინდათ ეროვნული თავისუფლება, ვისაც გინდათ პოლიტიკური თავისუფლება, სარწმუნოების თავისუფლება, ვისაც გინდათ თქვენი ნაოფლარის პატრონი იყოთ — იარაღს მოკიდეთ ხელი. ყველამ მიიღეთ მონაწილეობა ამ ბრძოლაში, ყველამ, ვისაც რითი შეგეძლებათ.

ამ ბრძოლაში ჩვენთანაა ევროპა და ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ძირს საოკუპაციო მთავრობა!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!

საქ. დამ. სამეგრელოს კომიტეტი“ (რევაზ ლომინაძე. 1924 წლის აჯანყების დოკუმენტი.— ჟურნალი „პოლიტიკა“, 1991, №8, გვ. 63-65).

მოწოდებას მოსახლეობა აქტიურად გამოეხმაურა, ისინი აჯანყებულებს სხვადასხვა სახის დახმარებას უწევდნენ. ქალაქში კომუნისტების ახალი ძალების შემოსვლა რკინიგზის საშუალებით იყო მოსალოდნელი, ამიტომ აჯანყებულებმა მისი გამაგრების გადაწყვეტილება მიიღეს. სადგურ ახალსენაკის კომენდანტად **სერგო მიქაძე** დაინიშნა, მის თანაშემწედ — **გრიგოლ აფაქიძე**. ამასთან, არსებობდა საშიშროება მოსახლეობა თვითნებურად გასწორებოდა კომუნისტებს. ამიტომაც, დამკომის გადაწყვეტილებით, აჯანყებულებმა დააპატიმრეს კომუნისტები: **სამსონ მამულია,**

ანია მამულია (სამსონის მეუღლე), **ბაგრატ გოგინავა, ვანო ჩაკვეტაძე, ერმოლოზ შალამბერიძე, ესტატე გვილავა, ნიკო შამათავა, გრიგოლ გვარამია, ხუტუ ხუბუტია, ანტონ გვარამია, პანტე ნაჭყებია, იასონ ნადარაია** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 33-35), **კ. ჯანჯღავა, გ. ჯიქია, მ. კაჭარავა, კ. ლომია, ა. რუხაძე, ლ. გაგუა, შ. ჯოჯუა** და სხვ. ისინი საპყრობილეში მოათავსეს. მარტო №2 საპყრობილეში პატიმართა რიცხვმა 300 მიაღწია. ასეთივე მდგომარეობა იყო №1 საპყრობილეში (დაპატიმრებულთა შორის მრავლად იყვნენ კომუნისტი ქალები) (**ბაგრატ უჩანეიშვილი.** მენშევიკურ ბანდიტების ლიკვიდაცია. თავად-აზნაურულ-მენშევიკური „აჯანყება" (წერილი სენაკიდან).—გაზეთი „კომუნისტი", 1924, №206, 10 სექტემბერი, გვ. 1).

აჯანყებულებმა რამდენიმე მღვდელი ეტლზე დასვეს და ქ. ახალსენაკი და მისი შემოგარენი აკურთხებინეს **„კომუნისტების ნაკვალევის და მაცდურობისაგან გვიხსნასო უფალმაო!"** (**კალისტრატე სამუშია.** კოლხთა ნაფუძარზე. გამომცემლობა „ცოტნე", თბილისი, 2002, გვ. 41). მღვდელმა **არისტრახო კალანდარიშვილმა** იმ ადგილას, სადაც კომუნისტებმა ეკლესია დაანგრიეს, დიდი ზარი ჩამოაკიდებინა და წირვის ჩატარება დაიწყო. „სად იყავი ამდენ ხანს, მამაო!" – ეკითხებოდნენ მას. „გამოვედი ღვთის ნებით და აჰა თქვენთან ვარ მართმორწმუნე, ღვთის მოციქულიო!" – პასუხობდა ის (**ბაგრატ უჩანეიშვილი.** მენშევიკურ ბანდიტების ლიკვიდაცია. თავად-აზნაურულ-მენშევიკური „აჯანყება" (წერილი სენაკიდან).—გაზეთი „კომუნისტი", 1924, №206, 10 სექტემბერი, გვ. 1).

ქ. ახალსენაკში აჯანყებაში მონაწილეობა სულ 296 კაცმა მიიღო, მათ შორის საბჭოთა დაწესებულებების 15 მოსამსახურემ, 20 მოსწავლემ, 6 მღვდელმა, 30 სოციალ-დემოკრატმა, 70 ეროვნულ-დემოკრატმა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 20).

სამეგრელოს დამკომისა და სამხედრო შტაბის წევრები სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში შეიკრიბნენ და სამეგრელოში არსებული ვითარება გაანალიზეს. გაირკვა შემდეგი: ქ. ახალსენაკიდან 2-3 ვერსის მოშორებით, მდ. ცივთან, ფოთიდან წამოსული კომუნისტების რაზმმა აჯანყებულებს ტყვიამფრქვევებიდან და შაშხანებიდან ცეცხლი გაუხსნა; ზუგდიდი აჯანყებულებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული; აჯანყება აბაშაში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, კომუნისტებმა მოასწრეს აბაშის გამაგრება ფოთიდან მოსული ჯავშნოსნებით; მარტვილი და ნოქალაქევი აჯანყებულებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ აღებული. გურიიდან და იმერეთიდან დამაიმედებელი პასუხები მოდიოდა. ამან სამეგრელოს აჯანყებული მოსახლეობა საგრძნობლად გაამხნევა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24235-61, ფურცელი 28-34).

1924 წლის 29-30-31 აგვისტოს და 1 სექტემბრის საღამომდე აჯანყებულები ქ. ახალსენაკში სრულ ძალაუფლებას ფლობდნენ. ამ დროის განმავლობაში მათ **ლენინის, მარქსის, ენგელსისა** და **ტროცკის** ძეგლები და სურათები გაანადგურეს. მათ ადგილზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა აღმართეს (**ბაგრატ უჩანეიშვილი.** მენშევიკურ ბანდიტების ლიკვიდაცია. თავად-აზნაურულ-მენშევიკური „აჯანყება" (წერილი სენაკიდან).—გაზეთი „კომუნისტი", 1924, №206, 10 სექტემბერი, გვ. 1).

1924 წლის 1 სექტემბრის საღამოს ქ. ახალსენაკში კომუნისტების ახალი ძალების შემოსვლა დაიწყო. სროლები განახლდა. შეტაკებისას ქ. ახალსენაკში და მის რაიონში აჯანყებულთა მხრიდან დაიღუპნენ: **ბაგრატ ბეგლარის ძე უვანია, გიორგი დიმიტრის ძე ბერულავა, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ფარცანია, ტერენტი ზურაბის ძე გაბუნია, მიხეილ გერასიმეს ძე ხუხია, პართენ ფილიპეს ძე კემულარია, ნიკოლოზ ტარიელის ძე ჩიქოვანი, აკაკი ბიქტორის ძე მონიავა, ილარიონ ტატუზოს ძე დაჟემია, ხუხუ**

თომას ძე ელიავა, იპოლიტე ნესტორის ძე ბარამია, გიორგი გუჯუს ძე გაბუნია, კიწი ივანეს ძე ფაღავა, პავლე გიორგის ძე გაბუნია, ივანე გრიგოლის ძე ფაღავა, ბაგრატ ტუტუს ძე ხაინდრავა, ფომი ტარასის ძე გაბუნია, ილია ისიდორეს ძე ანჯაფარიძე, რაჟდენ პავლეს ძე ყურუა, პორფირე პავლეს ძე ხურცილავა, ძიკი თედოს ძე გარდავა, დიანოზ ქვარცხავა, ტარას შარტავა, ალექსი სიმონის ძე წულეისკირი, გოჯე კაბანოს ძე ჩიჩუა, ჩიჩუ (ნიკო) ლაზარეს ძე გვასალია, შალვა (შალიკო) კაბანოს ძე ჩიჩუა, კოკი გრიგოლის ძე დადიანი, მატუშა ანდროს ძე ქაჯაია, უტუ ჯათუს ძე ბეჭვაია, პარმენ იოანეს ძე კოკაია, თადა პეტრეს ძე რატიანი, მიხეილ ქიშვარდის ძე ფიჩხაია, პორფირე ქიშვარდის ძე ფიჩხაია, ესტატე კვაშილავა, სიმონ ბერულავა, ესტატე (სიმონ) აროსიანი, მელენტი გიგოს ძე ჩაჩიბაია, ნიკოლოზ (ნიკო) პავლეს ძე გვასალია, იპოლიტე ნესტორის ძე ბარამია, ბესარიონ თანაფიეს ძე პინტურია, იროდიონ ერასტოს ძე გოგინავა, ბარნაბა თეიმურაზის ძე წითლიძე, მიხეილ კონსტანტინეს ძე კეკელია, ბიქტორ კონსტანტინეს ძე კეკელია, ალექსანდრე ბესარიონის ძე კარტოზია, ფედე გერასიმეს ძე გაბუნია, ლევან გვაჩის ძე კვარაცხელია (სამს ხვრეტენ... ექვსს იმახსოვრებენ.—გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, №2, გვ. 11). კომუნისტების მხრიდან კი დანაკარგი უმნიშვნელო იყო.

ქ. ახალსენაკში წითელი არმიის შესვლისთანავე 100-ზე მეტი ადამიანი დახვრიტეს, რომელთა უმეტესობას აჯანყებასთან კავშირი არ ჰქონია. დახვრეტილთა შორის კომუნისტებიც იყვნენ (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24235-61, ფურცელი 28-34). აჯანყებულებმა მოწინააღმდეგის შეტევას ვერ გაუძლეს და ქ. ახალსენაკის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს. აჯანყებულები მოგვიანებით ქალაქზე იერიშის განხორციელებას გეგმავდნენ. ქ. ახალსენაკის დატოვებისას აჯანყებულებმა ოცამდე ტყვე კომუნისტი წაიყვანეს, რომელთა შორის

იყვნენ: ს. მამულია, ა. მამულია, ნ. შამათავა, გ. გვაძაბია, ე. შალამბერიძე, პ. ნაჭყებია, კ. ჯღანჯღავა, გ. ჯიქია, მ. კაჭარავა, კ. ლომია (რომელიც გზიდან გაიქცა), ა. რუხაძე, ხ. ხუბუტია, ლ. გაგუა, ვ. ჩაკვეტაძე, შ. ჯოჯუა (**ბაგრატ უჩანეიშვილი.** მენშევიკურ ბანდიტების ლიკვიდაცია. თავად-აზნაურულ-მენშევიკური „აჯანყება" (წერილი სენაკიდან).—გაზეთი „კომუნისტი", 1924, №206, 10 სექტემბერი, გვ. 1). აკაკი კალანდარიშვილმა სოფ. ზანაში მისვლისთანავე კომუნისტები ხუტუ ხუბუტია და ერმოლოზ შალამბერიძე ქ. ახალსენაკში მყოფ კომუნისტებს მიუგზავნა, რათა მათთვის ტყვე კომუნისტების წაყვანის ნამდვილი მიზეზი აეხსნათ. მოგვიანებით, აჯანყებულებმა სოფ. ჯვარის ეკლესიასთან (წალენჯიხის რაიონი) ტყვეები გაათავისუფლეს (არჩილ რუხაძისა და სამსონ მამულიას გარდა). აჯანყებულებმა არჩილ რუხაძის მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკება სცადეს, თუმცა უშედეგოდ. სოფ. ჯვარში მყოფი აჯანყებულების მიზანი სვანეთში გადასვლა იყო. სოფ. ჭუბერში მათ სვანების 60-80 კაციანი რაზმი დახვდათ არდევან ჭკადუასა და დავით ნიჟარაძის მეთაურობით. სვანებმა აჯანყებაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს, რის შემდეგ ისინი ერთად სოფ. ხუდონამდე მივიდნენ. სვანებმა როგორც კი სოფ. ჯვარის ეკლესიასთან საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული ძალების გამოჩენის შესახებ შეიტყვეს, ბრძოლაზე უარი განაცხადეს, თან წაიყვანეს კომუნისტები ა. რუხაძე და ს. მამულია და უკან გაბრუნდნენ. პატიმრების გამოხსნის მიზნით სვანებს აკაკი კალანდარიშვილი, დავით მხეიძე და შალვა კალანდარიშვილი დაედევნენ. სვანებმა ტყვეები გაათავისუფლეს. ამის შემდეგ აჯანყებულებმა ცხომარის ტყეს შეაფარეს თავი (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №24235-61, ფურცელი 28-34).

მართალია, ქ. ახალსენაკის საბჭოთა ხელისუფლებამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ სამი დღით ადრე შეიტყო,

მაგრამ მათ აჯანყების აღსაკვეთად არაფერი გაუკეთებიათ (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 164).

სოფ. **ზემო ჭალადიდის** (ახალსენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული იყო. აჯანყებულებმა ორ საათიანი ბრძოლის შემდეგ კომუნარების ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს. კომუნარების ნაწილი გაიქცა და ქ. ფოთის კომუნარებს შეუერთდა. სოფ. ზემო ჭალადიდში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **დოროთე ნანეიშვილმა, შალვა იოსელიანმა** და **ჭიჭიკო ქოჩაკიძემ**. სოფ. **ზემო ჭალადიდში** აჯანყებაში მონაწილეობა სულ 68 კაცმა მიიღო, მათ შორის 7 ღარიბმა გლეხმა, 1 მღვდელმა, 14 სოციალ-დემოკრატმა, 5 ეროვნულ-დემოკრატმა. აჯანყებულთა ლოზუნგი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა. სოფ. ზემო ჭალადიდში შეტაკებისას მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

აჯანყებულებმა სოფ. **ქვემო ჭალადიდში** (ახალსენაკის რაიონი) ძალაუფლების ხელში აღება ვერ მოახერხეს, რადგან კომუნარებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. აჯანყებულთაგან განსაკუთრებით **კოლია ნორაკიძე** აქტიურობდა. ქვემო ჭალადიდში აჯანყებაში მონაწილეობა სულ 12 კაცმა მიიღო, მათ შორის 4 სოციალ-დემოკრატმა, 6 ეროვნულ-დემოკრატმა.

სოფ. **ხორშის** საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ გაფრთხილებული იყო. აჯანყებულებმა ერთ საათიანი ბრძოლის შემდეგ სოფელი დაიკავეს, კომუნარები კი ტყვედ ჩაიგდეს. შეტაკებისას ერთი უპარტიო კომუნარი დაიჭრა. აჯანყებულთა ლოზუნგი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა. აჯანყებულები სოფელს ორი დღის განმავლობაში ფლობდნენ. სოფ. ხორში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **იოსებ ეჯიბიამ, ჯონჯი**

დადიანმა და სალადინ ჭანტურიამ. სოფ. ხორში აჯანყებაში მონაწილეობა სულ 69 კაცმა მიიღო, მათ შორის 3 ღარიბმა გლეხმა, 5 მღვდელმა, 16 სოციალ-დემოკრატმა, 10 ეროვნულ-დემოკრატმა.

სოფ. **ზანის** (ახალსენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ გაფრთხილებული იყო. კომუნარებმა აჯანყებულთა პირველი შეტევა მოიგერიეს, მაგრამ მეორე შეტევის დროს ტყვედ ჩაუვარდნენ აჯანყებულებს. შეტაკების დროს ერთი აჯანყებული დაიჭრა. აჯანყებულებმა როგორც კი ძალაუფლება ხელში აიღეს ყოფილ მფლობელებს მიწები დაუბრუნეს. აჯანყებულთა ლოზუნგი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა. სოფ. ზანაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **პლატონ ანდროს ძე კვაშილავამ, ფარნა ღვინჯილიამ, ნესტორ შურღაიამ, კოკი აფაქიძემ, მიხეილ (მიშა) აფაქიძემ, ილიკო ბობოხიძემ, დუტუ აფაქიძემ, კირილე ესებუამ, პლატონ აფაქიძემ, ათანასე თოდუამ.** აჯანყებულები ძალაუფლებას სოფ. ზანაში ერთი დღის განმავლობაში ფლობდნენ. სოფ. ზანაში აჯანყებაში მონაწილეობა სულ 101 კაცმა მიიღო, მათ შორის საბჭოთა დაწესებულების 4 მოსამსახურემ, 5 მოსწავლემ, 29 ღარიბმა გლეხმა, 1 მღვდელმა, 15 სოციალ-დემოკრატმა, 10 ეროვნულ-დემოკრატმა.

სოფ. **ძონძირ-ისულის** (ახალსენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული იყო. აჯანყებულებმა ორ საათიანი ბრძოლის შემდეგ სოფელი დაიკავეს და კომუნარები ტყვედ აიყვანეს. შეტაკების დროს ერთი კომუნარი დაიღუპა. სოფ. ძონძირისულაში აჯანყების დროს განსაკუთრებით **ძაკუ პილას ძე ხოფერია** აქტიურობდა. აჯანყებულთა ლოზუნგები იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა. აჯანყებულები

სოფელს სამი დღის განმავლობაში ფლობდნენ. სოფ. ძონძირ-ისულაში აჯანყებაში მონაწილეობა 34 კაცმა მიიღო, მათ შორის 3 საბჭოთა მოსამსახურემ, 18 სოციალ-დემოკრატმა, 1 სოციალისტ-ფედერალისტმა.

სოფ. **თეკლათის** (ახალსენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყების მზადების შესახებ წინასწარ იცოდა. აჯანყებულებმა რამდენიმე საათიანი ბრძოლის შემდეგ სოფელი დაიკავეს და კომუნარები ტყვედ ჩაიგდეს. აჯანყების დროს განსაკუთრებით **ძიკა გარუჩავა** აქტიურობდა. აჯანყებულთა ლოზუნგი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა. აჯანყებულები სოფელს სამი დღის განმავლობაში ფლობდნენ. სოფ. **თეკლათში** აჯანყებაში მონაწილეობა 299 კაცმა მიიღო, მათ შორის 3 საბჭოთა მოსამსახურემ, 1 მოსწავლემ, 8 მღვდელმა, 72 სოციალ-დემოკრატმა, 106 ეროვნულ-დემოკრატმა.

ახალსენაკის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 879 კაცმა მიიღო, მათ შორის საბჭოთა დაწესებულების 25 მოსამსახურემ, 26 მოსწავლემ, 39 ღარიბმა გლეხმა, 21 მღვდელმა, 169 სოციალ-დემოკრატმა, 1 სოციალისტ-ფედერალისტმა, 207 ეროვნულ-დემოკრატმა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 20-21).

სოფ. **ძველი სენაკის** (ძველი სენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ გაფრთხილებული იყო. სოფელი აჯანყებულებმა ადვილად დაიკავეს. შეტაკების დროს მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია. სოფ. ძველ სენაკში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **კალისტრატე ბოხუამ, პეტრე ფაჩუაშვილმა და კაპიტონ ანჯაფარიძემ.** აჯანყების დროს **გიორგი ჩიჩუამ** საბჭოთა ხელისუფლების მიერ წართმეული სახლი დაიბრუნა. აჯანყებულთა ლოზუნგი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღ-

დგენა. აჯანყებულები სოფელს ორი დღის განმავლობაში ფლობდნენ. სოფ. ძველ სენაკში აჯანყებაში მონაწილეობა სულ 124 კაცმა მიიღო, მათ შორის საბჭოთა დაწესებულებების 7 მოსამსახურემ, 5 მოსწავლემ, 4 ღარიბმა გლეხმა, 30 სოციალ-დემოკრატმა, 2 სოციალისტ-ფედერალისტმა, 3 ეროვნულ-დემოკრატმა.

სოფ. **ეკის** (ძველი სენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული იყო. აჯანყებულებმა სოფელი მცირე შეტაკების შემდეგ დაიკავეს. შეტაკების დროს ერთი აჯანყებული დაიღუპა. აჯანყებულები სოფელში ძალაუფლებას ორი დღის განმავლობაში ფლობდნენ. ამ დროის განმავლობაში მათ ყოფილ მფლობელებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნეს. სოფ. ეკში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ტარას შარტავამ, იპოლიტე წულეისკირმა, ევგენი წულეისკირმა, არტემ წულეისკირმა, დავით (დათიკო) საჯაიამ, ლევან გუნიამ, თეოფანე პეტრეს ძე ადამიამ, ძიკი გალდავამ, დოროთე ჟვანიამ.** აჯანყებულთა ლოზუნგი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა. სოფ. ეკში აჯანყებაში მონაწილეობა 96 კაცმა მიიღო, მათ შორის საბჭოთა დაწესებულებების 2 მოსამსახურემ, 3 ღარიბმა გლეხმა, 2 მღვდელმა, 10 სოციალ-დემოკრატმა, 3 სოციალისტ-ფედერალისტმა, 1 სოციალისტ-რევოლუციონერმა, 4 ეროვნულ-დემოკრატმა.

სოფ. **გეჯეთის** (ძველი სენაკის რაიონი) საბჭოთა ხელისუფლებამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ იცოდა. სოფელი აჯანყებულებმა ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე დაიკავეს. სოფ. გეჯეთში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **დომენტი კიმოთეს ძე ჯღამაძემ** და **გრიგოლ სპირიდონის ძე მატახერიამ.** აჯანყებულთა ლოზუნგი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის, კერძო საკუთრებისა და

ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა. აჯანყებულები სოფელს ორი დღის განმავლობაში ფლობდნენ. სოფ. გეჯეთში აჯანყებაში მონაწილეობა 68 კაცმა მიიღო, მათ შორის საბჭოთა დაწესებულებების 3 მოსამსახურემ, 7 მოსწავლემ, 2 ღარიბმა გლეხმა, 1 მღვდელმა, 9 სოციალ-დემოკრატმა, 1 სოციალისტ-ფედერალისტმა, 7 ეროვნულ-დემოკრატმა.

სულ ძველი სენაკის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 288 კაცმა მიიღო, მათ შორის საბჭოთა დაწესებულებების 12 მოსამსახურემ, 12 მოსწავლემ, 9 ღარიბმა გლეხმა, 3 მღვდელმა, 49 სოციალ-დემოკრატმა, 6 სოციალისტ-ფედერალისტმა, 1 სოციალისტ-რევოლუციონერმა, 14 ეროვნულ-დემოკრატმა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 13-24).

1924 წლის 29 აგვისტოს, დილის 7 საათზე, ძველი სენაკის რაიონში მყოფმა კომუნისტებმა აჯანყებულთა მიერ ქ. ახალსენაკის აღება შეიტყვეს. მათ სასწრაფოდ ადგილობრივი **საგანგებო სამეული** შექმნეს **ლავრენტი დავითაიას, მიხეილ გოგიასა** და **ი. ბეჭვაიას** შემადგენლობით. საგანგებო სამეულმა სოფ. ნოქალაქევში მყოფ **მაკარ ბედიას** ქ. ახალსენაკის დაცემის შესახებ აცნობა. მაკარ ბედია ძველი სენაკის რაიონში დაბრუნდა და საგანგებო სამეულს სათანადო დირექტივები მისცა. საგანგებო სამეულმა 25 შეიარაღებული კომუნისტი შეაგროვა. სამეულის დადგენილებით, აჯანყებულებისათვის გადამწყვეტი ბრძოლა სოფ. ნოქალაქევში უნდა გაემართათ. ამ მიზნით, საჭირო იყო სოფ. ნოქალაქევში სტრატეგიული ადგილების დაკავება. სამეულის განკარგულებაში მყოფი ძალები სოფ. ნოქალაქევის მიმართულებით დაიძრნენ, მაგრამ მათ გზაში 50 შეიარაღებული აჯანყებული დაესხა თავს. მიუხედავად ამისა, კომუნისტებმა სოფ. ნოქალაქევში შესვლა მოახერხეს და იქ მყოფ კომუნარებს შეუერთდნენ. სოფ. ნოქალაქევში აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა ორი დღის განმავლობაში მიმდინარე-

ობდა. მას შემდეგ რაც კომუნარებს ტყვია-წამლის მარაგი ამოეწურათ, ისინი იძულებული გახდნენ ტყეში გახიზნულიყვნენ. გახიზნულმა კომუნარებმა როგორც კი ქ. ახალსენაკში აჯანყების დამარცხება შეიტყვეს, უმალვე ძველ სენაკში დაბრუნდნენ. ძველ სენაკში ლავრენტი დავითაიამ მობილიზაცია დაიწყო. 1924 წლის 3 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტისა და წითელი არმიის შტაბის განკარგულებით კომუნარები ლავრენტი დავითაიას მეთაურობით აჯანყებულებისაგან სოფლების: ლეძაძამის, თამაკონისა და სალხინოს გასათავისუფლებლად გაიგზავნენ. მათ ახალსენაკისა და ნოქალაქევის რაიონების კომუნარებიც შეუერთდნენ. ყველა ამ ძალის მეთაურად ლავრენტი დავითაია დაინიშნა. ლ. დავითაიამ მისთვის დაკისრებული ამოცანა წარმატებით გადაჭრა და დასახელებული სოფლები აჯანყებულებისაგან სრულად გაათავისუფლა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 161).

აჯანყებულებმა სოფ. **აბაშაში** 3-4 დღით ძალაუფლების ხელში აღება მოახერხეს, რის შემდეგაც მათ ყველა ადგილობრივი კომუნისტი განაიარაღეს და დააპატიმრეს. კომუნისტებმა სოფ. აბაშაში შემოსვლა ჯავშნიანი მატარებლით სამტრედიიდან სცადეს. ამბოხებულებმა სათანადო თადარიგი დაიჭირეს და რკინიგზის ხაზი მწყობრიდან გამოიყვანეს, თუმცა მემანქანემ დროზე შეძლო მატარებლის შეჩერება. კომუნისტებმა მდ. ტეხურის ხიდთან განლაგებული ქვემეხებიდან მოწინააღმდეგეს ცეცხლი გაუხსნეს. აჯანყებულები გაიფანტნენ (**ფარი-საიმედო, მახვილი-ბასრი.** რედაქტორი ა. ინაური. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1987, გვ. 85).

1924 წლის 28 აგვისტოს, ღამით, აჯანყებულები სოფ. **უშაფათში** (ნოქალაქევის რაიონი) კვარჩხალის მთაზე შეიკრიბნენ. შეკრებას ესწრებოდნენ: **ირაკლი გოგინავა, ირო-**

დიონ გოგინავა, აქვსენტი გოგინავა, მაინჩა გოგინავა, აკაკი ბახვას ძე საბახტარიშვილი, იასონ ქუჩულორია, მიტროფანე კარტოზია, კონსტანტინე (კოსტა) ფაცია, დანე ფაცია, თედო გოგინავა, დავით (დათიკო) კუბეცია, მოსე გაბერდავა, ალექსი შამათავა, ალე კარტოზია, არისტრახო ბუსკანძე, მიხეილ (მიხა) კუბეცია, რაჟდენ ბუსკანძე, კოლია დემურია და სხვ. შეკრებილებთან კურიერი უნდა მოსულიყო, რომელიც მათ საჭირო მიმართულებით წაიყვანდა, მაგრამ კურიერი ადგილზე არ გამოცხადდა და შეკრებილებიც დაიშალნენ. 1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, ირაკლი გოგინავამ და იროდიონ გოგინავამ აჯანყებულების მიერ ქ. ახალსენაკის აღების შესახებ შეიტყვეს. ამიტომაც, მათ რაზმის ხელახლა შეკრება და სოფ. ფოცხოსაკენ წასვლა გადაწყვიტეს. იმავდროულად, სოფ. ფოცხოდან მათ წერილი მიიღეს, რომლითაც სოფ. ფოცხოს აჯანყებულები დახმარებას ითხოვდნენ. სოფ. უშაფათის 10 კაციანი აჯანყებულთა რაზმი სოფ. ფოცხოსაკენ გაემართა. რაზმში იყვნენ: **ირაკლი გოგინავა, დანე ფაცია, მიტროფანე კარტოზია, იროდიონ გოგინავა, მაინჩა გოგინავა, იასონ ქუჩულორია, კოსტა ფაცია, თედო გოგინავა, აქვსენტი გოგინავა, რაჟდენ ხაბურძანია (სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 48-50). სოფ. ფოცხო ადგილობრივმა აჯანყებულებმა უშაფათის რაზმის მისვლამდე აიღეს. ამის შემდეგ უშაფათელი აჯანყებულები უკან გაბრუნდნენ რათა, სოფ. უშაფათის კანცელარია დაეკავებინათ. სოფლის კანცელარიაში მისულ აჯანყებულებს იქ არავინ დახვდათ. ადგილობრივი კომუნისტები სოფ. ნოქალაქევში აღმოჩნდნენ წასულები. ამის შემდეგ მათ სახალხო კრება მოაწყვეს და **თავდაცვის კომიტეტი** აირჩიეს შემდეგი შემადგენლობით: **ისიდორე გაბელია, დავით (დათიკო) ივანეს ძე გოგინავა, იასონ ქუჩულორია.** სოფ. უშაფათში აჯანყებაში მონაწილეობა 38 კაცმა მიიღო, მათ შორის 2 მოსწავლემ, 1 ღარიბმა გლეხმა, 1 მღვდელმა, 10 სოციალ-დე-

მოკრატმა, 1 ეროვნულ-დემოკრატმა. აჯანყებულებმა სამფეროვანი დროშები ააფრიალეს, ეკლესიებში კი ზარები ჩამოკიდეს. აჯანყებულების ლოზუნგი იყო: **„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! „გაუმარჯოს ქრისტიანობას“!** სოფ. უშაფათში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **მაქსიმე ქუჩუს ძე ახალაიამ** (35 წლის, სოციალ-დემოკრატი) და **სოკრატ ღვინჯილიამ** (30 წლის, სოციალ-დემოკრატი) (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 6-10).

1924 წლის 1 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე, სოფ. უშაფათის კანცელარიაში **მიხეილ (მიშა) ევგენის ძე ბოკუჩავა** და **აკაკი ხორავა** გამოცხადნენ და ქ. ახალსენაკიდან შემდეგი შინაარსის წერილი მიიტანეს: **„ფოცხო-უშაფათს. გთხოვთ საჩქაროთ გამოგზავნოთ, თუ რამე გაგაჩნიათ ასაფეთქებელი მასალები!“** წერილს ხელს შალვა კალანდარიშვილი და ვანო ესვანჯია აწერდნენ. არც უშაფათის და არც ფოცხოს აჯანყებულებს მსგავსი საბრძოლო საშუალება არ ჰქონდათ. სოფ. უშაფათში მყოფმა აჯანყებულებმა კომუნისტების მიერ ქ. ახალსენაკის აღების შესახებ შეიტყვეს, კანცელარიაში ყარაულები დააყენეს და სოფლის ტერიტორია დატოვეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402, ფურცელი 48-50).

სოფ. ფოცხოში (ნოქალაქევის რაიონი) აჯანყებულებმა **კოლია დემურიასა** და **დავით (დათიკო) კუბეციას** მეთაურობით სოფლის კანცელარიის შენობა დაიკავეს, რის შემდეგ თავდაცვის კომიტეტი აირჩიეს. კომიტეტში შევიდნენ: **კოლია დემურია** (თავმჯდომარე), **დავით კუბეცია, ბაგრატ ღვინჯილია, მოსე გაბერდავა** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402, ფურცელი 44-45). აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნარები დააპატიმრეს და მათი სახლები გაჩხრიკეს. მოგვიანებით, აჯანყებულებმა მიტინგი ჩაატარეს, სამფეროვანი დროშა აღმართეს და ეკლესიებში ზარები ჩამოკიდეს. აჯანყებულების ლოზუნგი იყო: **„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!**

გაუმარჯოს ქრისტიანობას“. სოფ. ფოცხოში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **დავით (დათიკო) ზურაბის ძე კუბეციამ,** 35 წლის; **ჭუკუ დიმიტრის ძე საჯაიამ,** 21 წლის, ეროვნულ-დემოკრატი; **არისტრახო დიმიტრის ძე ბუსკანძემ,** 24 წლის, ეროვნულ-დემოკრატი; **ვარლამ იოსების ძე გაბისონიამ,** 24 წლის, ეროვნულ-დემოკრატი; **მოსე გაბისონიამ,** 40 წლის, სოციალ-დემოკრატი; **კოლია ტუტუს ძე დემურიამ,** 24 წლის, სოციალ-დემოკრატი; **კონსტანტინე (კოსტა) სტეფანეს ძე ხეცურიანმა,** 32 წლის; **კოლია ივაკის ძე მამულიამ,** 20 წლის; **ფანო დათას ძე ჯოჯუამ,** 35 წლის, ყოფილი ოფიცერი. სოფ. ფოცხოში აჯანყებაში მონაწილეობა 74 კაცმა მიიღო, მათ შორის საბჭოთა დაწესებულებების 6 მოსამსახურემ, 2 მოსწავლემ, 1 ღარიბმა გლეხმა, 7 სოციალ-დემოკრატმა, 7 ეროვნულ-დემოკრატმა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 6-9).

მოგვიანებით, სოფ. ფოცხოდან აჯანყებულებმა სოფ. ნოქალაქევის მიმართულებით გალაშქრება გადაწყვიტეს, მაგრამ მათ სოფ. ნოქალაქევი ადგილობრივი აჯანყებულების მიერ აღებული დახვდათ (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402, ფურცელი 36-37). აჯანყებულებმა სოფ. ფოცხოს კანცელარიის შენობა კომუნისტების მიერ ქ. ახალსენაკის აღების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დატოვეს.

სოფ. **ლეძაძამეს** (ნოქალაქევის რაიონი) აჯანყებულები ადვილად დაეუფლნენ და ორნახევარი დღის განმავლობაში აკონტროლებდნენ მას. აჯანყებულებმა კომუნარები დააპატიმრეს და მათი სახლები გაჩხრიკეს, შემდეგ მიტინგი ჩაატარეს, სამფეროვანი დროშები აღმართეს და ეკლესიებში ზარები ჩამოკიდეს. აჯანყებულების ლოზუნგი იყო: **„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! გაუმარჯოს ქრისტიანობას“**. სოფ. ლეძაძამეში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **სარდი ჯარუს ძე კაკაშვილმა,** 33 წლის, უპარტიო; **ნოე ბათურას ძე ძიმისტარაშვილმა,** 27 წლის, ეროვ-

ნულ-დემოკრატი; **გრიგოლ (გრიშა) არისტოს ძე შუშანიამ**, 24 წლის, ეროვნულ-დემოკრატი; **ისააკ უთუს ძე აფშილავამ**, 33 წლის, სოციალ-დემოკრატი; **იოსებ ნიკოლოზის (ნიკოს) ძე ხურცილავამ**, 35 წლის, სოციალ-დემოკრატი, ყოფილი გვარდიელი. სოფ. ლეძაძამეში აჯანყებაში მონაწილეობა 59 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო: საბჭოთა დაწესებულებების 4 მოსამსახურე, 3 მოსწავლე, 5 ღარიბი გლეხი, 2 მღვდელი, 21 სოციალ-დემოკრატი, 5 ეროვნულ-დემოკრატი (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 6-11).

სულ ნოქალაქევის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 274 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო: საბჭოთა დაწესებულებების 17 მოსამსახურე, 7 მოსწავლე, 12 ღარიბი გლეხი, 4 მღვდელი, 53 სოციალ-დემოკრატი, 19 ეროვნულ-დემოკრატი (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 6).

1924 წლის 28 აგვისტოს, ღამეს, სოფ. ნოქალაქევში (ნოქალაქევის რაიონი) მასვანჯებულის მთაზე აჯანყებულებმა საიდუმლო კრება გამართეს. კრებას ესწრებოდნენ: **ევგენი ბესელია, რაჟდენ ხელაია, მიხეილ (მიხა) კილასონია, ივანე ბესელია, ალექსანდრე ბაღათურია, გრიგოლ (გრიშა) როგავა, ამირან შავდია, თადა ბესელია და ბიქტორ კოღუა** (რევოლვერი მხოლოდ ბ. კოღუას ჰქონდა, დანარჩენები კი უიარაღოდ იყვნენ). კრებაზე აჯანყების კონკრეტული გეგმა შემუშავდა. 29 აგვისტოს, დილით, აჯანყებულები, გეგმის შესაბამისად, ადგილობრივ კომუნისტებს თავს დაესხნენ, დაამარცხეს ისინი და ძალაუფლება ხელში აიღეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 42-43). სოფ. ნოქალაქევში აჯანყებულები ძალაუფლებას დღენახევრის განმავლობაში ფლობდნენ. მათ მიტინგი ჩაატარეს, სამფეროვანი დროშები აღმართეს და ეკლესიებში ზარები ჩამოკიდეს. აჯანყებულთა ლოზუნგი იყო: **„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ „გაუმარჯოს ქრისტიანობას“** (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 7). აჯანყებუ-

ლების შემდეგი ნაბიჯი თავდაცვის კომიტეტის შექმნა იყო. კომიტეტის ერთ-ერთი წევრი **ვლადიმერ მანუჩარის ძე კარტოზია** იყო (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 42-43). სოფ. ნოქალაქევში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **თადეოზ ეგნატეს ძე ბესელიამ,** 34 წლის, სოციალ-დემოკრატი; **მელიტონ ბეგლარის ძე კარტოზიამ,** 23 წლის, სოციალ-დემოკრატი; **ვლადიმერ მანუჩარის ძე კარტოზიამ,** 22 წლის, სოციალ-დემოკრატი; **ალექსანდრე გიორგის ძე ბარკალაიამ,** 45 წლის, სოციალ-დემოკრატი; **გრიგოლ (გრიშა) გუსარის ძე როგავამ,** 35 წლის, სოციალ-დემოკრატი; **ამირან გიორგის ძე შავდიამ,** 23 წლის, სოციალ-დემოკრატი, ყოფილი აზნაური; **იასონ სიკოს ძე სანიკიძემ,** 34 წლის, სოციალ-დემოკრატი, ყოფილი გვარდიელი; **შალვა ანდრიას ძე შალამბერიძემ,** 24 წლის; **ილარიონ ბიქტორის ძე ბაღათურიამ,** 28 წლის (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 8). საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, **მ. ბედია,** აჯანყებას სოფ. ნოქალაქევში შეესწრო. მან კომუნისტების დარაზმვა დაიწყო. სოფ. ნოქალაქევში აჯანყებულებმა ფარ-ხმალი დაყარეს, როგორც კი კომუნისტების მიერ ქ. ახალსენაკის აღება შეიტყვეს (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 42-43).

სოფ. **ნოქალაქევში** აჯანყებაში მონაწილეობა 103 კაცმა მიიღო. მათ შორის საბჭოთა დაწესებულებების 7 მოსამსახურემ, 5 ღარიბმა გლეხმა, 1 მღვდელმა, 15 სოციალ-დემოკრატმა, 6 ეროვნულ-დემოკრატმა.

მარტვილის რაიონის სოფ. **გაჭედილში** აჯანყებულები სალხინოს რაიონიდან შეიჭრნენ. მათ ადგილობრივი აჯანყებულებიც შეუერთდნენ. კომუნარებმა აჯანყებულთა შეტევებს ვერ გაუძლეს, უკან დაიხიეს და სოფ. მარტვილში მყოფ კომუნარებს შეუერთდნენ. შეტაკების დროს აჯანყებულთა მხრიდან ხუთი კაცი დაიღუპა, კომუნარების მხრი-

დან — ერთი. სოფ. **გაჭედილში** აჯანყებაში მონაწილეობა 23 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო: საბჭოთა დაწესებულებების 2 მოსამსახურე, 1 მოსწავლე, 1 ღარიბი გლეხი, 10 სოციალ-დემოკრატი. სოფ. გაჭედილში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **მიხეილ (მიხა) ჯანჯღავამ, მაკარ შავდიამ, პლატონ შავდიამ, აკაკი შავდიამ, ფარნა წულაიამ, სანდრო წულაიამ, მიხეილ (მიხა) ხურცილავამ, სოლომონ წულაიამ, მალაქია ღვინჯილიამ.** აჯანყებულებმა ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ყოფილ მფლობელებს მიწები დაუბრუნეს. სოფლის ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ არ იცოდა. აჯანყებულები სოფ. გაჭედილს 8 დღის განმავლობაში ფლობდნენ.

სოფ. **ნახუნავოში** (მარტვილის რაიონი) აჯანყებულებსა და ადგილობრივ კომუნისტებს შორის მომხდარ შეტაკებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. აჯანყებულებმა სოფელი დაიკავეს და მას ორი დღის განმავლობაში აკონტროლებდნენ. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **თეოფანე ჭილაიამ, კოლია ცანავამ, ანტონ ცანავამ, ბოკო ჭოჭუამ, ვახტანგ ჭოჭუამ, პლატონ ქურდიანმა, ყარამან ჭოჭუამ, სოლომონ სიგუამ, მიხა სულაბერიძემ, გიგო ნარსიამ, ხარიტონ ადამიამ, მოსე ცანავამ.** აჯანყებულთა მიერ წარმატების მოპოვებისთანავე ყოფილი მფლობელები თავიანთ მიწებს დაეპატრონენ. სოფლის ხელმძღვანელობა მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა. სოფ. ნახუნავოში აჯანყებაში 55 კაცი მონაწილეობდა, მათ შორის იყო: საბჭოთა დაწესებულებების 3 მოსამსახურე, 1 მოსწავლე, 1 ღარიბი გლეხი, 3 მღვდელი, 13 სოციალ-დემოკრატი, 1 სოციალისტ-ფედერალისტი.

სოფ. **ნაგვაზავო** (მარტვილის რაიონი) აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნარების მიერ მარტვილის რაიონის დატოვების შემდეგ დაიკავეს და სოფელს დღენახევრის განმავლობაში ფლობდნენ. აჯანყებულების მიერ ძალაუფლების

მოპოვების შემდეგ ყოფილი მფლობელები საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეულ მიწებს დაეპატრონენ. სოფლის ხელმძღვანელობა მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა. სოფ. **ნაგვაზავოში** აჯანყებაში მონაწილეობა 32 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო: საბჭოთა დაწესებულებების 1 მოსამსახურე, 2 ღარიბი გლეხი, 1 მღვდელი, 6 სოციალ-დემოკრატი, 3 სოციალისტ-ფედერალისტი.

სოფ. **ხუნწში** (მარტვილის რაიონი) 1924 წლის აჯანყების დაწყებისთანავე ადგილობრივმა კომუნარებმა ხონის მიმართულებით დაიხიეს. აჯანყებულებმა სოფელი დაიკავეს და ერთი დღე-ღამის განმავლობაში აკონტროლებდნენ მას. სოფ. **ხუნწში** აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **თენგიზ რევიამ, რაჟდენ გეგეჭკორმა, ლუკა ბერიამ, პავლე გელენიძემ, ბახვა კირთაძემ, ლადი მონიავამ, ჭიჭიკო რევიამ, ილია რევიამ, პლატონ გაბისონიამ, მიხა თოფურიამ, ალექსანდრე გოგიამ, ისააკ გოგიამ, რაჟდენ წოწერიამ.** აჯანყებულებმა ყოფილ მფლობელებს მიწები დაუბრუნეს. სოფლის ხელმძღვანელობა მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა. სოფ. ხუნწში აჯანყებაში მონაწილეობა 51 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო: 1 მოსწავლე, 1 მღვდელი, 8 სოციალ-დემოკრატი.

სოფ. **მარტვილი** (მარტვილის რაიონი) აჯანყებულებმა ადვილად დაიკავეს და 18 საათის განმავლობაში აკონტროლებდნენ მას. სოფ. მარტვილში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **სილოვან ფარულავამ, შალვა ჩიქოვანმა, გრიგოლ გაბისონიამ, ლუკა ხვინგიამ, კაკო მონიავამ, ხუხუ ელიავამ, ნოე კვანტალიანმა.** მთლიანობაში სოფ. მარტვილში აჯანყებაში მონაწილეობა 86 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო: 3 მოსწავლე, 1 ღარიბი გლეხი, 4 მღვდელი, 12 სოციალ-დემოკრატი, 3 სოციალისტ-ფედერალისტი, 9 ეროვნულ-დემოკრატი.

სულ მარტვილის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 247 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო: საბჭოთა დაწესებულებების 6 მოსამსახურე, 6 მოსწავლე, 10 მღვდელი, 40 სოციალ-დემოკრატი, 7 სოციალისტ-ფედერალისტი, 9 ეროვნულ-დემოკრატი (**სშსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 3-6).

სოფ. **სალხინოს** (სალხინოს რაიონი) აჯანყებულები 7 დღის განმავლობაში ფლობდნენ. მათ კომუნისტები საკუთარ სახლებშივე განაიარაღეს და დააპატიმრეს. შეტაკების დროს ორი კომუნარი დაიჭრა. აჯანყებულების ლოზუნგი იყო: რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანა, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა, ევროპის ბურჟუაზიასთან კავშირის დამყარება. სოფლის ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ არაფერი იცოდა. სოფ. სალხინოში აჯანყებაში მონაწილეობა 112 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო: საბჭოთა დაწესებულებების 5 მოსამსახურე, 31 სოციალ-დემოკრატი, 3 სოციალისტ-ფედერალისტი, 2 სოციალისტ-რევოლუციონერი, 17 ეროვნულ-დემოკრატი. სოფ. სალხინოში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ნიკოლოზ (ნიკო) ლაშხიამ, ნიკოლოზ (ნიკო) კუხალაშვილმა, ანტონ მებონიამ, სევერიანე სხულუხიამ, გრიგოლ (გრიშა) აბულაძემ, ბარნაბა გაგუამ, ტუტუ დგებუაძემ, მარკოზ კალანდიამ, იასონ გვარამიამ, მელიტონ სხულუხიამ.**

სოფ. **კურზუ** (სალხინოს რაიონი) აჯანყებულებმა ადვილად დაიკავეს და 7 დღის განმავლობაში აკონტროლებდნენ მას. აჯანყებულებმა კომუნისტები თავიანთ სახლებშივე განაიარაღეს და დააპატიმრეს. აჯანყებულების ლოზუნგი იყო: რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანა, კერძო საკუთრების და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა, ევროპის ბურჟუაზიასთან კავშირის დამყარება. სოფლის ხელმძღვანელობამ აჯანყების თარიღი არ იცოდა. სოფ. კურზუში აჯანყებაში მონაწილეობა 72 კაცმა მიიღო, მათ შორის

იყო: საბჭოთა დაწესებულებების 5 მოსამსახურე, 1 მღვდელი, 30 სოციალ-დემოკრატი, 6 ეროვნულ-დემოკრატი. სოფ. კურზუში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **სამსონ ფირცხალავამ, ჯადული ნაჭყებიამ, იონა ნაჭყებიამ, აკაკი ნაჭყებიამ, დიმიტრი ნაჭყებიამ, დავით ნაჭყებიამ, ჯოტო ნაჭყებიამ, ილია ნაჭყებიამ, კირილე ჯოჯუამ, ექვთიმე ნაჭყებიამ, იონა დიმიტრის ძე ნაჭყებიამ, გიორგი პეპუს ძე ნაჭყებიამ და გიორგი სისოს ძე ბერულავამ.**

სოფ. **თამაკონი** (სალხინოს რაიონი) აჯანყებულებმა ყოველგვარი გართულების გარეშე დაიკავეს. აჯანყებულები სოფელს 7 დღის განმავლობაში ფლობდნენ. მათ კომუნისტები თავიანთ სახლებშივე განაიარაღეს და დააპატიმრეს. აჯანყებულების ლოზუნგი იყო: რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანა, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა, ევროპის ბურჟუაზიასთან კავშირის დამყარება. სოფლის ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი აჯანყების შესახებ არაფერი იცოდა. სოფ. თამაკონში აჯანყებაში მონაწილეობა 117 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო: საბჭოთა დაწესებულებების 6 მოსამსახურე, 7 მოსწავლე, 9 ღარიბი გლეხი, 3 სოციალ-დემოკრატი, 1 სოციალისტ-ფედერალისტი, 32 ეროვნულ-დემოკრატი. სოფ. თამაკონში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ხარიტონ ადამიამ, სისო ხეიძემ და ჯვებე დგებუაძემ.**

სოფ. **კიწია** (სალხინოს რაიონი) აჯანყებულებმა ადვილად აიღეს. აჯანყებულები სოფელს 7 დღის განმავლობაში ფლობდნენ. მათ კომუნისტები თავიანთ სახლებშივე განაიარაღეს და დააპატიმრეს. აჯანყებულების ლოზუნგი იყო: რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანა, კერძო საკუთრებისა და ეკლესია-მონასტრების უფლებების აღდგენა, ევროპის ბურჟუაზიასთან კავშირის დამყარება. სოფლის ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი აჯანყების თარიღი არ იცოდა. სოფ. კიწიაში აჯანყებაში მონაწილეობა 145 კაცმა მიიღო, მათ შო-

რის იყო: საბჭოთა დაწესებულებების 4 მოსამსახურე, 5 მოსწავლე, 15 ღარიბი გლეხი, 1 მღვდელი, 17 სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი, 31 ეროვნულ-დემოკრატი. სოფ. კიწიაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **გიორგი ჟვანიამ და ივლიანე ბოკუჩავამ (სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 13-18).

სულ სალხინოს რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 446 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 20 მოსამსახურე, 12 მოსწავლე, 24 ღარიბი გლეხი, 2 მღვდელი, 81 სოციალ-დემოკრატი, 6 სოციალისტ-ფედერალისტი, 2 სოციალისტ-რევოლუციონერი, 86 ეროვნულ-დემოკრატი (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 13).

სოფ. **ნოსირში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებულებმა ძალაუფლება ხელში ყოველგვარი გართულების გარეშე აიღეს. აჯანყებულების ლოზუნგი იყო: **„გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს და ქრისტიანობას!“** სოფ. ნოსირში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ბარნაბა პავლეს ძე ძველაიამ, შალვა ამირანის ძე ძველაიამ, ბონდო ბარნაბას ძე ძველაიამ, კონსტანტინე (კოტე) წირღვავამ, ჯვანდი ანტონის ძე დგებუაძემ.** აჯანყებაში მონაწილეობა 201 აჯანყებულმა მიიღო, მათ შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 14 მოსამსახურე, 6 მოსწავლე, 15 ღარიბი გლეხი, 4 მღვდელი, 42 სოციალ-დემოკრატი, 4 სოციალისტ-ფედერალისტი, 8 სოციალისტ-რევოლუციონერი, 12 ეროვნულ-დემოკრატი. აჯანყებულებმა ძალაუფლება სოფ. ნოსირში ორი დღის განმავლობაში შეინარჩუნეს.

სოფ. **წყემში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ალექსანდრე ბესას ძე ჯალაღონიამ, გრიგოლ დიმიტრის ძე თოფურიამ, ლევთერ გოგის ძე ჯალაღონიამ, ყირიმ გიორგის ძე თუნგიამ** და **ალექსანდრე ამბაკოს ძე მელიამ.** სოფ. წყემში აჯანყებაში მონაწილეობა 66 აჯანყებულმა მიიღო, მათ შორის იყო: საბჭოთა

დაწესებულების 1 მოსამსახურე, 6 ღარიბი გლეხი, 1 მღვდელი, 10 სოციალ-დემოკრატი, 1 სოციალისტ-ფედერალისტი, 2 ეროვნულ-დემოკრატი.

სოფ. **ძველ აბაშაში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ვარლამ ლევანის ძე ქოიავამ, ვარლამ ფარნას ძე ქოიავამ, ვარლამ ათანასეს ძე ქოიავამ, ტარასი ფარნას ძე ქოიავამ, არისტრახო ისიდორეს ძე ქოიავამ, ივანე მანუჩარის ძე ჭანტურიამ, მიხეილ პავლეს ძე ქოიავამ, შალვა დიმიტრის ძე იოსავამ, არტემ ზოსიმეს ძე კორძაიამ, ვასილ იაგორას ძე კუპრავამ, გალაკტიონ პავლეს ძე კუპრავამ, ლუკა მოსეს ძე კუპრავამ, ლავრენტი გაბრიელის ძე გრიგოლიამ, სანდრო სამსონის ძე ტყებუჩავამ, ელიზბარ მურზას ძე ტყებუჩავამ, კოლია ბეკოს ძე ტყებუჩავამ, ბესარიონ დათიკიას ძე ტყებუჩავამ, თადა ნოდიამ** და სხვ. სულ 72 კაცმა. აჯანყებულებს შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 3 მოსამსახურე, 10 მოსწავლე, 2 ღარიბი გლეხი, 1 მღვდელი, 8 სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი, 3 სოციალისტ-რევოლუციონერი, 12 ეროვნულ-დემოკრატი.

სოფ. **სუჯუნაში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **იოსებ ბეგლარის ძე ნოდიამ, სოლომონ ისიდორეს ძე მატკავამ** და სხვ. სოფ. სუჯუნაში აჯანყებაში მონაწილეობა 146 კაცმა მიიღო. აჯანყებულებს შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 4 მოსამსახურე, 5 მოსწავლე, 20 ღარიბი გლეხი, 4 მღვდელი, 15 სოციალ-დემოკრატი, 5 სოციალისტ-რევოლუციონერი, 8 ეროვნულ-დემოკრატი (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 26-31).

სოფ. **ნაესაკოვოში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა 70 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 4 მოსამსახურე, 5 მოსწავლე, 15 ღარიბი გლეხი, 1 მღვდელი, 10 სოციალ-დემოკრატი.

სოფ. **ახალ აბაშაში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს: **სამსონ მიმინოშვილმა, აკაკი თოფურიამ, დავით თოფურიამ, იოსებ დიმიტრის ძე თოფურიამ, ილიკო კაჭარავამ** და სხვ. სულ 177 კაცმა. აჯანყებულთა შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 8 მოსამსახურე, 4 მოსწავლე, 10 ღარიბი გლეხი, 4 მღვდელი, 35 სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი, 3 სოციალისტ-რევოლუციონერი, 20 ეროვნულ-დემოკრატი.

სოფ. **მარანში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა 52 აჯანყებულმა მიიღო, მათ შორის იყო 3 მოსწავლე, 10 სოციალ-დემოკრატი, 4 ეროვნულ-დემოკრატი.

სოფ. **ონტოფოში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს: **სანდრო სტეფანეს ძე ფირცხალავამ, ჭიჭიკო ერისტოს ძე ჟვანიამ, მოსე ეგნატეს ძე ჟვანიამ, დიომიდე მეტოს ძე ჟვანიამ, ევგენი ნიკოლოზის ძე ნადარეიშვილმა, ნესტორ ბესას ძე ნადარეიშვილმა, ანტონ ტრიფონის ძე ნადარეიშვილმა, ზაქარია დუტუს ძე დავითაიამ, ჭიჭიკო ივანეს ძე ურუდიამ, ილია კინტირიას ძე ჭანტურიამ, კონდრატე მელიტონის ძე ბარკალაიამ, ბათუ ბესას ძე ნადარეიშვილმა, ბეგი სტეფანეს ძე ბოკერიამ, გიორგი ბესას ძე ნადარეიშვილმა** და სხვ. სულ 93 აჯანყებულმა. აჯანყებულთა შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 4 მოსამსახურე, 11 მოსწავლე, 7 ღარიბი გლეხი, 20 სოციალ-დემოკრატი, 10 სოციალისტ-რევოლუციონერი, 3 ეროვნულ-დემოკრატი.

სოფ. **გეზათ-გულუხეთში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს: **ბუჭუ გიორგის ძე ბოკერიამ, კაკო გიორგის ძე ბოკერიამ, ისააკ დიმიტრის ძე შუბლაძემ, ვარლამ ბარნაბას ძე ჯიბლაძემ, თეოფილე სიმონის ძე შენგელიამ** და სხვ. სულ 116 აჯანყებულმა. აჯანყებულთა შორის იყო საბჭოთა დაწესებულების 1 მოსამსა-

ხურე, 11 მოსწავლე, 15 ღარიბი გლეხი, 29 სოციალ-დემოკრატი, 2 ეროვნულ-დემოკრატი.

სოფ. **სეფიეთში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს: **ხუხუ მელიტონის ძე თოფურიძემ, ივანე გაბუნიამ, იაკობ კოსტას ძე მელიამ, ივლიანე ფარნას ძე ლაბარტყავამ, ერასტო ნიკოლოზის ძე ლაბარტყავამ** და სხვ. სულ 36 აჯანყებულმა. აჯანყებულთა შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 2 მოსამსახურე, 4 ღარიბი გლეხი, 5 სოციალ-დემოკრატი (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 26-35).

სოფ. **სამიქაოში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა 162 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო 7 მოსწავლე, 40 ღარიბი გლეხი, 1 მღვდელი, 20 სოციალ-დემოკრატი.

სოფ. **ქოლობანში** (ახალი აბაშის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა 62 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო საბჭოთა დაწესებულების 1 მოსამსახურე, 4 მოსწავლე, 15 ღარიბი გლეხი, 20 სოციალ-დემოკრატი, 1 ეროვნულ-დემოკრატი.

სულ ახალი აბაშის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 1253 აჯანყებულმა მიიღო, მათ შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 42 მოსამსახურე, 66 მოსწავლე, 149 ღარიბი გლეხი, 16 მღვდელი, 224 სოციალ-დემოკრატი, 9 სოციალისტ-ფედერალისტი, 39 სოციალისტ-რევოლუციონერი, 64 ეროვნულ-დემოკრატი (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 26).

სოფ. **ბანძაში** (ბანძის რაიონი) აჯანყებულებმა ძალაუფლება ხელში აიღეს და ოთხი დღის განმავლობაში შეინარჩუნეს. აჯანყებულებმა კომუნარებისა და მათი მშობლების დაპატიმრებები დაიწყეს, რის შემდეგაც სოფელში მიტინგი ჩაატარეს. მღვდლებმა ანაფორა ჩაიცვეს და გულზე ჯვრები დაიკიდეს. აჯანყების დროს ადგილობრივმა მილიციამ და კომუნარების ნაწილმა ნოქალაქევის და მარტვილის რაიონებში გადასვლა მოახერხეს. აჯანყებულების ლოზუნგი იყო:

„გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!", „გაუმარჯოს ქრისტიანობას!" „ძირს ამხანაგობა!" სოფ. ბანძაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **გიორგი ალექსანდრეს ძე ხაფავამ** (28 წლის), **ბათლომე ლუკას ძე ჭოჭუამ** (25 წლის), **ძორგო ლევარსას ძე გაბუნიამ** (33 წლის), **დათიკო გიორგის ძე კოკაიამ** (32 წლის), **მიხეილ კოსტას ძე კეკელიამ** (36 წლის), **ანდრო სესის ძე კეკელიამ** (43 წლის), **ტარას ანტონის ძე ეჯიბიამ** (40 წლის, ყოფილი ოფიცერი), **გიორგი ალექსანდრეს ძე ფალავამ** (42 წლის), **ბაგრატ კოსტას ძე კეკელიამ** (32 წლის), **პლატონ მიხეილის ძე გაბუნიამ** (45 წლის), **ექვთიმე ფანცულაიამ** (50 წლის, სოციალ-დემოკრატი), **ვარლამ ექვთიმეს ძე ფანცულაიამ** (23 წლის, სოციალ-დემოკრატი), **ერასტო მაქსიმეს ძე კეკელიამ** (47 წლის, სოციალ-დემოკრატი), **ვარლამ პეტრეს ძე ფალავამ** (45 წლის, ყოფილი გვარდიელი), **მეტია პეტრეს ძე ფალავამ** (32 წლის), **გაიოზ ტარიელის ძე ფალავამ** (28 წლის), **სევერიანე ნიკოლოზის ძე კეკელიამ** (28 წლის, ყოფილი გვარდიელი), **კონსტანტინე მიხეილის ძე კეკელიამ** (28 წლის, ყოფილი გვარდიელი), **დავით მიხეილის ძე კეკელიამ** (24 წლის, ყოფილი გვარდიელი), **ბეე (? — ავტ.) გერასიმეს ძე გაბუნიამ** (35 წლის, ყოფილი გვარდიელი), **ევგენი ივანეს ძე ფოჩხუამ** (32 წლის, ყოფილი გვარდიელი), **არსენ ვარლამის ძე ყურუამ** (29 წლის, ყოფილი გვარდიელი), **სამსონ გიორგის ძე პატარაიამ** (35 წლის, ყოფილი გვარდიელი), **ვასილ ივანეს ძე პატარაიამ** (38 წლის, ყოფილი გვარდიელი), **მაჭუ დავითის ძე ქაჯაიამ** (20 წლის, ახალგაზრდა მარქსისტი), **ანდრია გიატის ძე სართანიამ** (35 წლის, ყოფილი გვარდიელი), **ხუტუ ევგენის ძე გოგინავამ** (28 წლის, ახალგაზრდა მარქსისტი), **ბუხუ კოსტას ძე გაბუნიამ** (40 წლის, სოციალ-დემოკრატი), **დავით იასონის ძე ფალავამ** (35 წლის, სოციალ-დემოკრატი), **სევერიანე ბასილის ძე ესვანჯიამ** (42 წლის, სოციალ-დემოკრატი). მთლიანობაში

სოფ. ბანძაში აჯანყებაში მონაწილეობა 96 კაცმა მიიღო. აჯანყებულთა შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 6 მოსამსახურე, 3 მოსწავლე, 4 ღარიბი გლეხი, 1 მღვდელი, 18 სოციალ-დემოკრატი, 3 სოციალისტ-ფედერალისტი, 1 სოციალისტ-რევოლუციონერი, 5 ეროვნულ-დემოკრატი.

სოფ. **ლეხაინდრავოში** (ბანძის რაიონი) აჯანყებაში მონაწილეობა 58 აჯანყებულმა მიიღო, მათ შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 8 მოსამსახურე, 5 მოსწავლე, 2 ღარიბი გლეხი, 1 მღვდელი, 4 სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი, 6 ეროვნულ-დემოკრატი.

სოფ. **ჯოლო-აბედათში** (ბანძის რაიონი) აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **პარმენ დიმიტრის ძე შელეგიამ** (18 წლის, სოციალ-დემოკრატი), **აკაკი ბახვას ძე შელეგიამ** (25 წლის, სოციალ-დემოკრატი), **ჭიჭიკო ერმინეს ძე ანჯაფარიძემ** (24 წლის, სოციალ-დემოკრატი), **ილია იოსების ძე ანჯაფარიძემ** (43 წლის, სოციალ-დემოკრატი), **ილია სტეფანეს ძე ლომიამ** (46 წლის, სოციალ-დემოკრატი), **ალექსანდრე უთუს ძე მიქავამ** (38 წლის, სოციალ-დემოკრატი), **ჯონდი უთუს ძე მიქავამ** (33 წლის, სოციალ-დემოკრატი), **პარმენ კოსტას ძე ჩიქოვანმა** (40 წლის, სოციალ-დემოკრატი), **ანდრო ნესტორის ძე ყურუამ** (22 წლის, სოციალ-დემოკრატი) და **პეტრე ფაჩუაშვილმა** (35 წლის, სოციალ-დემოკრატი). სოფ. ჯოლო-აბედათში აჯანყებაში მონაწილეობა 89 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო საბჭოთა დაწესებულების 1 მოსამსახურე, 4 მოსწავლე, 4 ღარიბი გლეხი, 1 მღვდელი, 12 სოციალ-დემოკრატი, 1 სოციალისტ-ფედერალისტი.

სულ ბანძის რაიონში აჯანყებაში მონაწილეობა 253 კაცმა მიიღო, მათ შორის იყო საბჭოთა დაწესებულებების 15 მოსამსახურე, 12 მოსწავლე, 10 ღარიბი გლეხი, 3 მღვდელი, 34 სოციალ-დემოკრატი, 6 სოციალისტ-ფედერალისტი, 1

სოციალისტ-რევოლუციონერი, 11 ეროვნულ-დემოკრატი (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 37-40).

ზუგდიდის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა აჯანყების თარიღი **თედო ესართიასაგან** (სენაკის მაზრის დამკომის წევრი) შეიტყო. ზუგდიდის მაზრის დამკომმა მაზრის სამხედრო შტაბისა და აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმების მეთაურები გააფრთხილა. აჯანყების მოსამზადებელი სამუშაოები, მაზრის დამკომის მტკიცებით, დამაკმაყოფილებელი იყო.

1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყებულები სოფ. კახათის კოოპერატივის შენობას (იგი ზუგდიდიდან კახათის გზაზე 6 ვერსის დაშორებით მდებარეობდა) განზრახ დაეცნენ (**სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №1, საქმე №282, ფურცელი 10ა). სოფ. კახათისაკენ ზუგდიდის რაიონული მილიციის უფროსი, **თოლორაია,** მილიციელების თანხლებით გაემართა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 29). მანამდე თოლორაიასთან მივიდა პიროვნება (აჯანყებულების მიერ მოსყიდული), რომელიც მას ყაჩაღების ბინის ჩვენებას დაჰპირდა (**სუიცსა,** ფონდი №600, აღწერა №1, საქმე №282, ფურცელი 10ა). ამ ინფორმაციის საფუძველზე ყაჩაღების ბინისაკენ (სოფ. ობუჯისაკენ, წალენჯიხის რაიონი) მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე, **როგავა,** სამი მილიციელის თანხლებით გაემართა. რაიონის მილიციიდან ორი მილიციელი ჩხოროწყუში ტუსაღების ბადრაგად იყო გაგზავნილი. ამდენად, მაზრის მილიციის უფროსის განკარგულებაში დამატებით მაზრის მილიციიდან მხოლოდ ოთხი მილიციელი აღმოჩნდა, ზუგდიდის რაიონის მილიციიდან — ხუთი მილიციელი. 1924 წლის 28 აგვისტოს, საღამოს, ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსმა მოსალოდნელი გამოსვლის შესახებ ინფორმაცია ზუგდიდის საინფორმაციო პუნქტის რწმუნებულის თანაშემწისაგან მიიღო. მან მილიციელებს სათანადო მითითება მისცა, თვითონ კი პარტიულ ამხანაგებთან ერთად ქალაქში

პატრულირება დაიწყო, თუმცა საეჭვოს ვერაფერს ამჩნევდა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 29).

1924 წლის 29 აგვისტოს, დილის ოთხ საათზე, აჯანყებულებმა ქ. ზუგდიდზე იერიში მიიტანეს (**გ. კალანდია.** გაძარცული საგანძური. გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი, 2006, გვ. 102). აჯანყებულები საინფორმაციო პუნქტის შენობაში შეიჭრნენ და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, **გრიგოლ როგავა,** სიცოცხლეს გამოასალმეს. აჯანყებულთა სხვა ძალები ქალაქისაკენ სამხრეთის მხრიდან მიიწევდნენ. აქ ისინი მაზრის მილიციის უფროსს და მილიციელებს წააწყდნენ. ხანგრძლივი სროლის შემდეგ აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. ამასობაში გააფთრებული ბრძოლა დადიანების სასახლეების მახლობლად მიმდინარეობდა. აქ აჯანყებულებს ტყვიამფრქვევით სამხედრო კომისარი, **ჩიჩუა,** უმკლავდებოდა. რიცხობრივი უპირატესობა აჯანყებულთა მხარეზე იყო, ამიტომ დადიანების სასახლისაკენ მაზრის მილიციის უფროსი, **ვანიჩკა ჩხეტიასთან** და მილიციელებთან ერთად, გაემართა. ბრძოლაში ვანიჩკა ჩხეტია სასიკვდილოდ დაიჭრა. პოზიციური ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. კომუნისტებს ტყვია-წამლის მარაგი აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში ჰქონდათ, ამიტომ აღმასრულებელი კომიტეტის შენობის დაუფლებისათვის ბრძოლას აჯანყებულები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მაგრამ აჯანყებულებმა აღმასრულებელი კომიტეტის შენობის დაკავება ვერ შეძლეს. შენობები ხელიდან ხელში გადადიოდა (საავადმყოფო, გამასწორებელი სახლი და სხვ.). აჯანყებულებმა გამასწორებელი სახლიდან (საპყრობილიდან) პატიმრები გაათავისუფლეს. ზუგდიდის რაიონის სოფლებში გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობდა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 29). ამიტომ, ქ. ზუგდიდის დაუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლა აჯანყებულთა გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ აჯანყებულებმა კომუნისტების განიარაღებასა და და-

პატიმრებას მიჰყვეს ხელი. აჯანყებულებმა დააპატიმრეს: **კირილე მიქაია, მელიტონ ხორავა** და სხვ. ამის პარალელურად აჯანყებულები მოსახლეობაში მოწოდება-პროკლამაციას ავრცელებდნენ (იგივე შინაარსის, როგორიც გაავრცელა სენაკის მაზრის დამკომმა) და აცხადებდნენ: **„ყველაფერი გათავებულია (ირფელქ გეთუუ, ირფელი გათებული რე)"**. აღსანიშნავია, რომ აჯანყებულები პატიმრებს ჰუმანურად ექცეოდნენ და ნათესავებს უფლებას აძლევდნენ მოემარაგებინათ ისინი სურსათით, თუთუნითა და ა.შ. ამას ნათლად ადასტურებს აჯანყების თვითმხილველის, ზუგდიდის მუზეუმის პირველი დირექტორის, **აკაკი ჭანტურიას,** ჩანაწერები (აჯანყებულებმა სხვებთან ერთად აკ. ჭანტურიას ძმისშვილიც დააპატიმრეს): „ხუთის ნახევარზე წავუღე საჭმელი ჩემს ძმისწულს — სკოლაში კი არა (ხმა იყო ასეთი, რომ პატიმრებს სკოლაში მოათავსებდნენ — **ავტ.**), არამედ აბასთუმნის ქუჩაზე, სადაც ერთ დუქანში მოეთავსებინათ ტყვეები. დუქნის კარები ორივე მხრივ ღია იყო. შიგ ისხდნენ კომუნისტები თავისუფლად და მათი მცველები კი კიდევ უფრო თავისუფლად, ე.ი. ნამდვილ მცველებს არც ერთი არ ჰგავდა. აქა-იქ ლაზღანდარობდნენ. გადავეცი ქაღალდში გახვეული ღომი და ყველი, გამოუძახეს, შორიდან დავინახე, გადასცეს გახსნილად და სასაცილო იყო, რომ ქაღალდი უკან დამიბრუნეს. ეს მეწყინა, რადგან მასზე ეწერა, თუ კირილე მიქაიას არ უჭამია რამე, იმასაც უწილადე ცოტა მეთქი. ხმამაღლა თქმა ვერ გავბედე და მოვშორდი. ისევ დამიძახა მცველმა და მითხრა, თუთუნის გამოგზავნას გთხოვსო, ამოვიღე ჯიბეში რაც მქონდა და მივეცი".

მოსახლეობა აჯანყებულებთან ცხადდებოდა და აჯანყებაში მონაწილეობის მიღების სურვილს გამოთქვამდა. ეს გარემოება საბჭოთა ხელისუფლების სიძულვილთან ერთად განპირობებული იყო თვით აჯანყებულების მიერ გავრცე-

ლებული ხმებით, რომ თითქოს (ეს ხმები აჯანყებულებმა ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ გაავრცელეს):

„1. თბილისი აიღეს ორი სიტყვით.

2. ქუთაისმა ცოტა გააჭირვა, მაგრამ მალე იარაღი დაჰყარა და ჩაბარდა „ჩვენიანებს".

3. ფოთმა ცოტა გააჭირვა, მაგრამ ახლა „ჩვენს" ხელშია.

4. ბათომი, ოჩამჩირე, სოხუმი ჩვენს ხელშია.

5. სენაკმა უბრძოლველად ჩააბარა მართვა-გამგეობა, კომუნისტები არ დაუჭერიათ და „Под надзор" მარტო იარებიან. ს. მამულიამ უთხრა მენშევიკებს, მართვა-გამგეობა თუ ცენტრმა თქვენ სასარგებლოდ გადაწყვიტა, თქვენი იყოს თუ არა და ისევლე დაგვიბრუნეთ.

6. სენაკიდან მოვა ჯარი ორასი კაცი და ზარბაზნები.

7. ი.ხ.-მ სვანეთიდან მოიყვანა ორასი კაცი მებრძოლი.

8. საქართველოში აუღებელი დარჩა მარტო გალი.

9. ზარბაზნის ხმაზე, ნოე ჟორდანია გადმოჯდა ბათუმში.

10. როცა ჰაეროპლანმა გაიაროს, ის იქნება საერთო სიგნალი აჯანყებისა.

11. სოფლები ყველა ჩვენს ხელშია.

12. კ.ა. და ჯ. აქა ყოფნა.

13. ბიჭები სვამენ, ატაკაში უნდა მივიდნენ.

14. ტყუილი ჯუღაშვილის ჩამოსვლის შესახებ.

15. ინგლისი გადმოსვამს დესანტს, მხოლოდ ცოტა ხნის გამაგრებაა საჭირო" (გ. **კალანდია.** გაძარცული საგანძური. გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი, 2006, გვ. 102-107).

მამია ანჯაფარიძე და ესტატე ლატარია ცენტრიდან ტელეგრამებს ღებულობდნენ. აჯანყებულების მთავარი ლოზუნგი იყო: **„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!"** ზუგდიდის მაზრაში აჯანყებულთა რიცხვმა 1 500 მიაღწია, აქედან 50% სოციალ-დემოკრატი იყო, ეროვნულ-დემოკრა-

ტი — 10-15%, ყოფილი ოფიცერი — 10%, ყოფილი აზნაური — 15-20%, დანარჩენი — 15%. აჯანყებულებს გლეხებისათვის არანაირი დაპირება არ მიუციათ, ისინი აჯანყებაში ნებაყოფლობით ჩაერთვნენ (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24388, ფურცელი 12-14).

მამია (ანტონ) ანჯაფარიძემ ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სავაჭრო სალაროდან ხელწერილის ქვეშ 1500 მანეთი გამოიტანა. ეს თანხა აჯანყებულთა მიერ დაპატიმრებულებს და თვით აჯანყებულებს მოხმარდა, გადარჩენილი თანხა კი 303 მანეთი მ. ანჯაფარიძემ უკან დააბრუნა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №617, ფურცელი 6).

1924 წლის აჯანყების პირველივე დღეს, 4 საათზე, **მამია ანჯაფარიძემ ვლადიმერ ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი** (31 წლის, მცხოვრები ქ. ზუგდიდში, უპარტიო, ყოფილი ოფიცერი) გამოიძახა. მ. ანჯაფარიძემ ვ. გეგეჭკორს ჰკითხა, თუ რატომ არ ღებულობდა ის აჯანყებაში მონაწილეობას, მაშინ, როდესაც, მ. ანჯაფარიძის თქმით, აჯანყებულებმა თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი უკვე აიღეს. ამ ინფორმაციის შემცველი ტელეგრამა შეკრებილი ოფიცრობის, საზოგადოებისა და დაპატიმრებული კომუნისტების წინაშე ესტატე ლატარიამ (სოციალ-დემოკრატი, მცხოვრები სოფ. ხეთაში) წაიკითხა. ამის შემდეგ ვლადიმერ გეგეჭკორმა აჯანყებაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა განაცხადა. ვ. გეგეჭკორს აჯანყებულებმა შაშხანა მისცეს, რომელიც კომუნისტ გრიგოლ ჩიჩუას წაართვეს (ის აჯანყებულებს ნებაყოფლობით ჩაბარდა) (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24388, ფურცელი 12-14). ესტატე ლატარიამ აჯანყებულებს განუცხადა, რომ ზუგდიდის მაზრის მასშტაბით სამხედრო საქმეების გაძღოლას ამიერიდან ვლადიმერ გეგეჭკორი განახორციელებდა (კრება ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ეზოში გაიმართა) (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე

№23402-60, ფურცელი 26). ვ. გეგეჭკორი და ოფიცერი იასონ ჯღამაია სტეფანე გოგიას (სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსი) რაზმს შეუერთდნენ, რომელიც 60 მებრძოლისაგან შედგებოდა. სტეფანე გოგიას რაზმელები რუსული შაშხანებით იყვნენ შეიარაღებულები. თითოეულ მებრძოლს საშუალოდ 15 ვაზნა ჰქონდა. ოფიცრები რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულები, რომელიც მათ აჯანყებულთა შტაბში მიიღეს. თვით ვ. გეგეჭკორს შაშხანის გარდა რევოლვერი „ნაგანი" ჰქონდა, რომელიც მან აჯანყების მონაწილე სტუდენტ მამია კარტოზიას გამოართვა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24388, ფურცელი 12-14).

აჯანყებულებმა ძალაუფლების ხელში აღებისთანავე პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს და ყოფილ მფლობელებს კომუნისტების მიერ ჩამორთმეული სახლები დაუბრუნეს.

1924 წლის 31 აგვისტოს ზუგდიდში კომუნისტების ახალი ძალების შემოსვლა დაიწყო, რომელსაც სათავეში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **აქირთავა** და გალის საინფორმაციო პუნქტის უფროსი **შარია** ხელმძღვანელობდნენ (**თენგიზ ენდელაძე**. საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921—25 წ.წ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2004, გვ. 30). შეტაკებები განახლდა. სროლები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 28). აჯანყებულთა ერთ-ერთი რაზმი, რომელსაც ვ. გეგეჭკორი მეთაურობდა, მდინარე ჩხოუშის ხიდთან დაბანაკდა. ამ დროს აჯანყებულებთან ვინმე **კალანტარია** მივიდა და აუწყა, რომ მათკენ სამურზაყანოელი კომუნისტების შეიარაღებული რაზმები **კოლბაიასა** (სოფ. ჭუბურხინჯის საბჭოს თავმჯდომარე) და **იასონ ქარდავას** ხელმძღვანელობით მო-

იწევდნენ. კალანტარიას თქმით, იასონ ქარდავას აჯანყებულებთან მოლაპარაკება სურდა. ვ. გეგეჭკორმა კალანტარიას დაავალა იასონ ქარდავასათვის გადაეცა, რომ ის უკან იხევდა და მათ გზას უთმობდა. სამურზაყანოს შეიარაღებული ძალები ქ. ზუგდიდში შევიდნენ. ვ. გეგეჭკორი კი აჯანყებულთა შტაბში გამოცხადდა (აჯანყებულთა შტაბი სასტუმრო „ფრანციაში" მდებარეობდა). შტაბში ვ. გეგეჭკორს ჰკითხეს, თუ რატომ გაიარეს თავისუფლად კომუნისტებმა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის იცავდა. ამაზე ვ. გეგეჭკორმა უპასუხა, რომ მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები 150 მებრძოლისაგან შედგებოდა და მათი შეჩერება შეუძლებელი იყო. სამხედრო შტაბში თათბირი დაიწყო. თათბირის დასრულების შემდეგ შტაბიდან სოციალ-დემოკრატი **ალექსანდრე ქავთარაძე** გამოვიდა და ვ. გეგეჭკორს უბრძანა მათთვის იარაღი ჩაებარებინა, რადგან ა. ქავთარაძის თქმით, ის არასანდო პიროვნება იყო. ვ. გეგეჭკორმა შაშხანა და რევოლვერი ა. ქავთარაძეს ჩააბარა. იარაღის ჩაბარებას დაახლოებით 10 ოფიცერი ესწრებოდა: **იასონ ჯღამაია, კონსტანტინე ჟვანია, ბიდი წულეისკირი** (აჯანყებულთა მიერ ქ. ზუგდიდის კომენდანტად დანიშნული), **კაკულია** და სხვ. ამ ოფიცრებმა განაცხადეს, რომ ვლადიმერ გეგეჭკორი მათი მეგობარი იყო. ოფიცრები თვითონაც იარაღის დაყრით იმუქრებოდნენ. ამის შემდეგ ესტატე ლატარიამ და ალექსანდრე ქავთარაძემ ვ. გეგეჭკორს მოუბოდიშეს და იარაღი დაუბრუნეს. ვ. გეგეჭკორმა ზუგდიდის მაზრაში არსებული აჯანყებულთა ცალკეული შეიარაღებული რაზმების ხელახლა შეკრება დაიწყო. სოფ. მანცხვარში აჯანყებულთა ოთხი რაზმი შეიკრიბა. თითოეული რაზმი 100 მებრძოლისაგან შედგებოდა. რაზმებში სულ ხუთი ოფიცერი იყო: პირველ რაზმში ოფიცერი **იასონ ჯღამაია** იყო, მეორეში — **დურუ როგავა**, მესამეში — **კონსტანტინე ჟვანია**, მეოთხეში — **გეთია** (აჯანყებამდე ქ. თბილისში წითელი არმიის ერთ-ერთ

ქართულ ნაწილში მსახურობდა) და მეხუთეში — **ვლადიმერ გეგეჭკორი**. თითოეულ მებრძოლს შაშხანა და 15 ვაზნა ჰქონდა. ტყვიამფრქვევი არც ერთ რაზმს არ ჰქონდა. ვ. გეგეჭკორმა, შემდგომი მოქმედების გეგმის შედგენის მიზნით, თათბირი ჩაატარა. საბოლოოდ, ვ. გეგეჭკორმა სენაკის მიმართულებით წასვლა გადაწყვიტა. ამასთან, მან განაცხადა, რომ მსურველებს შეეძლოთ არ გაჰყოლოდნენ მას. აჯანყებულთა სამხედრო შტაბი და 200 აჯანყებული ვლადიმერ გეგეჭკორს გაჰყვა. ვ. გეგეჭკორმა რაზმიდან 30 შეიარაღებული გამოჰყო, რომლებსაც პატიმარი კომუნისტების წაყვანა ევალებოდათ. 20-მდე პატიმარი კომუნისტი მოიყვანეს. დაპატიმრებულთა შორის **ოლგა ჩიჩუაც** იყო, რომელიც თავში იყო დაჭრილი. ვლადიმერ გეგეჭკორმა მას ზუგდიდის საავადმყოფოში წასვლის ნებართვა მისცა, რაზეც ო. ჩიჩუამ უარი განაცხადა. ოლგა ჩიჩუა აჯანყებულებს ფაქტიურად ხელში აყვანილი მიჰყავდათ. აჯანყების მეოთხე დღეს სოფ. ცაიშთან (ქ. ზუგდიდიდან 6 ვერსის დაშორებით) აჯანყებულები 8 შეიარაღებულ კომუნისტს გადაეყარნენ. აჯანყებულებმა ვ. გეგეჭკორს შესთავაზეს პატიმარი კომუნისტები წინ გაეშვათ, რათა ისინი ფარად გამოეყენებინათ. ამაზე ვ. გეგეჭკორმა უარი განაცხადა. ვ. გეგეჭკორმა კომუნისტი **შამუგია** კომუნისტებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა, რათა მათთვის გზა მიეცათ. ამით აჯანყებული ალექსანდრე ქავთარაძე განაწყენდა, რომელიც თვლიდა, რომ ვ. გეგეჭკორი კომუნისტების მიმართ მზრუნველობას იჩენდა. ა. ქავთარაძემ აჯანყებულთა რაზმიდან 10 შეიარაღებული გამოჰყო და კომუნისტებს ცეცხლი გაუხსნა. კომუნისტებს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნიათ. სროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ცოტა ხნის შემდეგ ვ. გეგეჭკორმა აჯანყებულებთან ერთად სოფ. ცაიში გაიარა. სოფ. ხეთაში ვ. გეგეჭკორი აჯანყებულთა 60 კაციან რაზმს შეხვდა, რომელსაც სოციალ-დემოკრატი ვარლამ კობახიძე მეთაურობდა. მათ თან 200 დაპატიმრე-

ბული კომუნისტი მიჰყავდათ (ვლადიმერ ჯაგუა და სხვ.). სოფ. ხეთაში ე. ლატარიამ თათბირი ჩაატარა, ტელეგრამა წაიკითხა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მთელი საქართველო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელში იმყოფებოდა. ამ დროს აჯანყებულებმა წამოაყენეს წინადადება პატიმრები ვლადიმერ ჯაგუა და კალანდარია დაეხვრიტათ, მაგრამ ვ. გეგეჭკორმა მათ ამის უფლება არ მისცა. ვ. გეგეჭკორმა ყველა პატიმარი გაათავისუფლა.

1924 წლის 1 სექტემბერს აჯანყებულებმა სოფ. ხეთა დატოვეს და სენაკისაკენ გააგრძელეს გზა. აჯანყებულებმა დაბა ხობში შეისვენეს. მოგვიანებით, ვლადიმერ გეგეჭკორმა ე. ლატარიასთან და ჭაბუკიანთან საუბარი მოისურვა, მაგრამ ისინი ადგილზე არ აღმოჩნდნენ. მათ თურმე კომუნისტების მიერ ქ. ახალსენაკის აღება შეიტყვეს და აჯანყებულთა ბანაკი მიატოვეს. ვ. გეგეჭკორი ქ. ახალსენაკიდან მოსულ ერთ სოციალ-დემოკრატს გაესაუბრა, რომელმაც მას კომუნისტების მიერ ქ. ახალსენაკის აღება ამცნო. ვ. გეგეჭკორმა აჯანყებულებს ყველაფერი აუწყა და დასძინა, რომ მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე ის პასუხს არ აგებდა და თითოეულ მათგანს თვითონ შეეძლო ეშველა საკუთარი თავისთვის. ვ. გეგეჭკორმა თითოეული აჯანყებული გააფრთხილა, რომ შაშხანები არ გადაეგდოთ და ვინმე ნაცნობის ხელით იმათთვის გაეგზავნათ, ვისაც წაართვეს. აჯანყებულებმა იარაღის ნაწილი დაბა ხობში დატოვეს. აჯანყებულებმა ხობის დატოვება დაიწყეს, მაგრამ ამ დროს მათ კომუნისტებმა ცეცხლი გაუხსნეს, რასაც აჯანყებულებმა სროლითვე უპასუხეს. შეტაკებისას აჯანყებულები დაიქსაქსნენ. ვლადიმერ გეგეჭკორი, სამ აჯანყებულთან ერთად (ერთ-ერთი მათგანი იყო ილარიონ ხუბუტია სოფ. ჯვარიდან), ქ. ზუგდიდის მიმართულებით გაემართა. სოფ. აბასთუმანთან (ზუგდიდიდან 10-12 ვერსის დაშორებით მდებარეობს) ვ. გეგეჭკორი ამ სამ აჯანყებულსაც დაშორდა. მანამდე

კი მან თავისი შაშხანა და 30 ვაზნა ილარიონ ხუბუტიას გადასცა, თვითონ კი მხოლოდ „ნაგანი" დაიტოვა. ვ. გეგეჭკორი ქ. ზუგდიდისაკენ გაემართა, დანარჩენები — თავიანთი სოფლებისაკენ. ვ. გეგეჭკორი თავისი სოფლისაკენ, ცაიშისაკენ, გაემართა, ღამე ტყეში გაათია. 1924 წლის 5 სექტემბერს ვ. გეგეჭკორი ქ. ზუგდიდში ჩავიდა. 1924 წლის 5 ნოემბრამდე ის ქ. ზუგდიდში გლეხების სახლში იმალებოდა. 5 ნოემბერს კი მან ქ. სოხუმში წასვლა გადაწყვიტა. 1924 წლის 6 ნოემბერს ვ. გეგეჭკორი უკვე სოხუმში იყო. ვ. გეგეჭკორმა გადაწყვიტა საშა გეგეჭკორის შვილს დაკავშირებოდა, რათა ამ უკანასკნელს **ლაკობასთან** ეშუამდგომლა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24388, ფურცელი 12-14). 1924 წლის 19 ნოემბერს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ქ. სოხუმში **ვლადიმერ გეგეჭკორი** დააპატიმრა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24388, ფურცელი 8-11).

1924 წლის 28 აგვისტოს, საღამოს 7 საათისათვის, ქ. ზუგდიდიდან **დარჩელის რაიონში იაკობ ახალაია** (დარჩელის რაიონის აგრონომი) და **ვარლამ თორია** (სოციალისტ-ფედერალისტი) ჩავიდნენ, რომლებმაც ადგილობრივებს აჯანყების ზუსტი თარიღი აცნობეს. შესაბამისად, ადგილობრივმა აჯანყებულებმა დანიშნულ ადგილზე შეკრება დაიწყეს. 1924 წლის 28 აგვისტოს, ღამის ორი საათისათვის, 22 კაცი მოგროვდა, რომელთაგან 10 იყო შეიარაღებული, დანარჩენები კი უიარაღოდ იყვნენ. აქ მათ დილამდე დაჰყვეს, დილას კი აჯანყება დაიწყეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 2-3) **ვარლამ ანჩაბაძისა** და **ვალოდია ჩხოლარიას** ხელმძღვანელობით (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №45, ფურცელი 55). აჯანყებულებმა ყველა ადგილობრივი კომუნისტი განაიარაღეს და დააპატიმრეს. კომუნისტებისათვის წართმეული იარაღებით აჯანყებულები შეიარაღდნენ. აჯანყებაში მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო, რის შემდეგაც აჯანყებულთა რიცხვმა 500-600 მიაღწია. აჯანყებულებმა ძა-

ლაუფლების ხელში აღების შემდეგ **თავდაცვის კომიტეტი** ჩამოაყალიბეს შემდეგი შემადგენლობით: **ვარლამ ანჩაბაძე, კალისტრატე ხუფენია, ესავა სიჭინავა და ტარასხან სიჭინავა.** ბრძანებას და განკარგულებას ვარლამ ანჩაბაძე და კალისტრატე ხუფენია იძლეოდნენ. დარჩელის რაიონში, ისევე როგორც სხვაგან, აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: თავადაზნაურობამ, ვაჭრებმა, კულაკებმა, გლეხებმა და სხვ. აჯანყებულებმა დარჩელში ძალაუფლების მოპოვების შემდეგ 10 კაციანი რაზმი **კირილე ქეცბაიას** მეთაურობით სოფ. ანაკლიის მიმართულებით გაგზავნეს (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 2-3). დარჩელის რაიონის მილიცია ფოთიდან დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ აჯანყებულების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა და სოფ. ანაკლია აჯანყებულებისაგან მთლიანად გაწმინდა (**სუიცსა,** ფონდი №600, აღწერა №1, საქმე №282, ფურცელი 10ა). მდინარე ჯუმს (რომლის ორივე ნაპირზე მდებარეობს სოფ. დარჩელი) სოფლების ერგეტასა და ორულუს კომუნისტები მიადგნენ. აჯანყებულებმა ხიდის ერთ მხარეს პოზიციები დაიკავეს, მეორე მხარეს — კომუნისტთა რაზმმა. შუადღისათვის სოფ. დარჩელი კომუნისტებმა აიღეს. დარჩელის აღებამდე აჯანყებულთაგან ლაუ გვასალია ქ. ზუგდიდისაკენ დახმარების სათხოვნელად გაემართა, მაგრამ ამ დროისათვის ზუგდიდი უკვე კომუნისტების ხელში იყო და ლ. გვასალია დააპატიმრეს (**ანტონ არნანია. ვალიკო შონია.** დარჩელი (ნარკვევები სოფლის ისტორიიდან). გამომცემლობა „ზანი", თბილისი, 1999, გვ. 25). „ჯუმის ბრძოლა" აჯანყებულების დამარცხებით დამთავრდა.

1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, სოფ. **ორულუ-ერგეტაში** (ამჟამად ცალ—ცალკე სოფლებს წარმოადგენენ და ზუგდიდის რაიონის შემადგენლობაში შედიან) აჯანყება დანიშნულ დროს დაიწყო. აჯანყებულები ზუგდიდის მაზრის უფროს მილიციელს, **ს. მიქავას** და მის ძმას თავს დაესხნენ (ს. მიქავა 27 აგვისტოს სამი დღით სოფ. ორულუ-ერგეტაში

მიავლინეს, თავდასხმისას ს. მიქავა თავის სახლში იმყოფებოდა). ძმები მიქავეები სროლით გავიდნენ სახლიდან და სოფ. ორულუ-ერგეტაში მყოფი კომუნისტის, **მიხა მამფორიას,** რაზმს შეუერთდნენ. 1924 წლის 31 აგვისტოს ამ რაზმმა, რამდენიმე დღიანი ბრძოლის შემდეგ, სოფ. ორულუ-ერგეტა აჯანყებულებისაგან გაწმინდა და ქ. ზუგდიდში დაბრუნდა. ს. მიქავა მაზრის მილიციის უფროსთან გამოცხადდა და არსებული ვითარების შესახებ პატაკი ჩააბარა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 31).

1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, სოფ. **კახათში** აჯანყებულები ზუგდიდის რაიონის მილიციის უფროსს, **ა. თოლორაიას,** თავს დაესხნენ, რომელიც ორი მილიციელის თანხლებით სოფელში იყო მივლინებული იქ მომხდარი ქურდობის ფაქტის გამოსარკვევად. ა. თოლორაია აჯანყებულებს გაექცა და ზუგდიდისაკენ აიღო გეზი. ა. თოლორაიამ ზუგდიდში შესვლა ვერ შეძლო, რადგან ქალაქი აჯანყებულების ხელში იყო. ა. თოლორაია სოფ. **ჯოლეჯიანში** გადავიდა, იქიდან კი — სოფ. **ცაიშში** და კომუნისტების შეგროვება დაიწყო. ამ ორ სოფელში მან ხუთ მებრძოლს მოუყარა თავი. სოფ. ცაიშში მათ აჯანყებულები დაესხნენ თავს, თუმცა აჯანყებულებისაგან გაქცევა ადვილად მოახერხეს. ამის შემდეგ ა. თოლორაია შეკრებილ კომუნისტებთან ერთად სოფ. კახათში დაბრუნდა და აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო (აჯანყებულები 60 კაცს შეადგენდნენ). ა. თოლორაიამ 25 აჯანყებულის განიარაღება და მათ მიერ დაპატიმრებული კომუნისტების გამოხსნა შეძლო. ამასობაში ა. თოლორაიას რაზმი თანდათანობით ივსებოდა, რის შემდეგაც მათ აჯანყებულები საბოლოოდ დაამარცხეს. სოფ. კახათის დაკავების შემდეგ ა. თოლორაია თავისი რაზმით სოფ. ცაიშში გადავიდა. აქ აჯანყებულებთან ცხარე ბრძოლა გაიმართა. შეტაკებისას ერთი აჯანყებული, გვარად **ბიბლაია,** დაილუპა, ცხრა კი შეიპყრეს. ა. თოლორაიამ 40 კომუნისტი აჯანყებულთა ტყვეობიდან გა-

ათავისუფლა. აჯანყებულებმა სოფ. **ხეთის** მიმართულებით დაიხიეს. 1924 წლის 1 სექტემბერს ა. თოლორაია თავის რაზმთან ერთად ქ. ზუგდიდიდან უკან დახეულ აჯანყებულებს ჩაუსაფრდა. ბრძოლაში ერთი აჯანყებული, გვარად, **ჯიშკარიანი,** დაიღუპა, დანარჩენები კი სოფ. **ხეთის** მიმართულებით გაიქცნენ, სადაც საბოლოოდ დაიშალნენ (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 31).

აჯანყებამდე რამდენიმე დღით ადრე ხობში **ესტატე ლატარია გერმანე ლატარიას** ოჯახში მივიდა და აჯანყების თარიღი აცნობა. გერმანე ლატარიამ ყველა „თავისიანი" გააფრთხილა. 1924 წლის 28 აგვისტოს, ღამით, აჯანყებულები, დაახლოებით 70 კაცამდე, დათქმულ ადგილზე შეიკრიბნენ. მათ შორის იყვნენ: **გერმანე ლატარია, პაჩუ ჯორჯიკია, ვლადიმერ თამარიშვილი, სიმონ როდონაია, ბესარიონ ქირია.** გერმანე ლატარიამ აჯანყებულები ოთხ რაზმად დაჰყო და თითოეულ მათგანს მეთაური მიუჩინა (ერთ-ერთი რაზმის მეთაური მალაქია გაგუა იყო). 1924 წლის 29 აგვისტოს, დილის ოთხ საათზე, აჯანყებულები ხობში შეიჭრნენ. მათი ლოზუნგი იყო: **„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!"** (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 2-6). აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნისტები განაიარაღეს და დააპატიმრეს. სოფ. **ბიის** მღვდელი **ლ. იოსავა** ხალხს არწმუნებდა, რომ სამეგრელოს ყველა კუთხე, ქუთაისი და თბილისი აჯანყებულების მიერ იყო აღებული და საბჭოთა ხელისუფლება აღარ არსებობდა. აჯანყების ერთ-ერთმა მონაწილემ, **ლ. თათარიშვილმა,** ხალხს გამოუცხადა, რომ ინგლისის ჯარები უკვე მოადგნენ ფოთს და მალე აქაც ჩამოვლენო. თითქოსდა ამის დასტურად, ნაშუაღამევს, საყვირის ხმა მოისმა, რომელიც ძალიან ჰგავდა გემის საყვირს (როგორც შემდეგ გაირკვა აჯანყებულებმა სოფლებში ხეთასა და ხორგაში ხეტყის ქარხნების საყვირები აახმაურეს) (**ვარ. ბიელი.** როგორ ატყუებდენ მენშევიკები ხობის რაიონში.—გაზეთი „კომუნის-

ტი", 1924, №216, 21 სექტემბერი, გვ. 5). **ლევან დუნდუამ** ხალხს ტელეგრამა წაუკითხა, რომელშიც თბილისის აღებაზე იყო საუბარი (მოგვიანებით გაირკვა, რომ ტელეგრამა ყალბი იყო). ხალხი აჯანყებაში მასიურად ჩაება, მოხუცებიც კი იარაღს ითხოვდნენ. აჯანყებულთა რიცხვმა 400 მიაღწია. 1924 წლის 29 აგვისტოს, დილის 8 საათზე, ხობის ბულვარში (სადაც აჯანყებულებმა სამფეროვანი დროშები ააფრიალეს) აჯანყებულებმა კრება ჩაატარეს. კრებაზე სოციალისტ-ფედერალისტმა **ბესარიონ ჯორჯიკიამ** ხალხს საქართველოს გათავისუფლება მიულოცა და ხობის რაიონის დამკომის დაუყოვნებლივი შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა (ზოგან აჯანყებულები მას **თავდაცვის კომიტეტს** ეძახდნენ). არჩეულ იქნა დამკომი **ლევან დუნდუას** (თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი), **ნესტორ როდონაიასა** (სოციალ-დემოკრატი) და **ბიქტორ პაჭკორიას** (ეროვნულ-დემოკრატი) შემადგენლობით. დამკომმა გერმანე ლატარია სამხედრო ხელმძღვანელად დატოვა (მან ამის შემდეგ სამხედრო შტაბის რეორგანიზაცია მოახდინა). დამკომმა **ექვთიმე ნიფურია** ხობის კომენდანტად დანიშნა, **ჭაჭია** (ყოფილი ოფიცერი) — მის თანაშემწედ, **ჯორჯიკია** — მილიციის უფროსად, **სილვესტრ კობახიძე** — ხობის რაიონის კომისრად (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 25). 1924 წლის 30 აგვისტოს სენაკის მაზრის დამოუკიდებლობის კომიტეტმა შემდეგი შინაარსის ბრძანება გამოსცა: „უბრძანებ ყველა კომუნისტებს, რომელნიც გაქცეულნი არიან, ოცდა ოთხ საათში წარმოადგინონ იარაღები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლებიან, როგორც ბანდიტები". ხობის დამკომმა გამოსცა ბრძანება №5, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო: „უბრძანებთ ყველა მოქალაქეს, რომელნიც დაბადებულნი არიან 1901, 1902, 1903, 1904 წ. გატარდენ რეგისტრაციაში და მოემზადონ ჯარში გასაწვევად, გამოცხადენ რაიონული ერობის მიმღებ კომისიაში" (**აკ. ივლიანიშვილი.**

ავანტიურისტების ერთი დღის ბატონობა ხობის რაიონში.— გაზეთი „კომუნისტი", 1924, №213, 18 სექტემბერი, გვ. 3).

1924 წლის 31 აგვისტოს ხობის აჯანყებულებმა მზვერავისაგან შეიტყვეს, რომ ქ. ფოთისა და სოფ. ქვალონის კომუნისტების შეერთებული ძალები ხობს უახლოვდებოდნენ. აჯანყებულებმა ხობის საზღვრის გამაგრების გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ამის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა. აჯანყებულებსა და კომუნისტებს შორის შეტაკება დაიწყო. შეტაკებისას აჯანყებულები გაიფანტნენ.

სოფ. **ხეთაში** აჯანყებულები აჯანყების წინა ღამეს ორად გაიყვნენ, რათა მობილურად ემოქმედათ. 1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, სოფ. ხეთაში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა ყველა ადგილობრივი კომუნისტი განაიარაღეს, დააპატიმრეს და სკოლის შენობაში მოათავსეს. ერთადერთი კომუნისტი, რომელიც წინააღმდეგობას აგრძელებდა **ლევან გოგია** იყო, მაგრამ საბოლოოდ ისიც იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა. აჯანყებულებმა **რაჟდენ ქირიას** მეთაურობით სოფლის კანცელარიის შენობა დაიკავეს, რომლის შემდეგაც ადგილობრივი დამკომი აირჩიეს (ვარლამ კობახიძის ინიციატივით). დამკომში შევიდნენ: **ვარლამ კობახიძე** (თავმჯდომარე), **ჩაქვა (იასონ) კუტალია, რაჟდენ ქირია, თეიმურაზ კუკუვა** და **დოროთე კიტია** (ავადმყოფობის გამო არ უმუშავია) (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 5-6). სამხედრო საქმეების გაძღოლა ჩაქვა კუტალიასა და გიორგი პეტრეს ძე ლატარიას დაევალათ. მათ ეხმარებოდნენ: **სერაფიონ კობახიძე** და **დომენტი ქორთუა** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 25). აჯანყებულებმა „დაგზავნეს ეკლესიაში კაცები და შეიქმნა ზარების რეკვა" და დიდი ზეიმი (**აკ. ივლიანიშვილი.** ავანტიურისტების ერთი დღის ბატონობა ხობის რაიონში.— გაზეთი „კომუნისტი", 1924, №213, 18 სექტემბერი, გვ. 3). აჯანყებულებმა სოფლის კოოპერატივის გამგეს ტყვია-წამალი და 264 მანეთი წაართვეს.

1924 წლის 29 აგვისტოს, დღის ორ საათზე, სოფ. ხეთაში მოიტანეს ცნობა კომუნისტების მიერ სოფ. ცაიშის დაკავების შესახებ. სოფ. ხეთის აჯანყებულებმა ცაიში-ხეთის საზღვრის დაცვის გადაწყვეტილება მიიღეს, რაც შესრულდა კიდეც. უფრო მეტიც, მათ სოფ. ცაიშიც კი დაიკავეს და 26 კომუნისტი დააპატიმრეს (ყველა ისინი ხობში გააგზავნეს).

1924 წლის 31 აგვისტოს ქ. ზუგდიდიდან უკან დახეულმა აჯანყებულებმა: **მამია ანჯაფარიძემ, ვარლამ გობეჩიამ, ვარლამ ხუბუტიამ, ბაგრატ ვეკუამ, არსენ კუჭავამ, ბეგი გეგეჭკორმა** და სხვებმა სოფ. ხეთაში 150 კომუნისტი პატიმარი, 100 მცველის თანხლებით, მიიყვანეს. მათ 40 ავადმყოფი პატიმარი სოფ. ხეთაში დატოვეს, დანარჩენები კი ხობის მიმართულებით წაიყვანეს. მოგვიანებით, ვარლამ კობახიძემ დაბა ხობში კაცი გააგზავნა კითხვით: შეეძლოთ თუ არა მათ დამატებით პატიმრების მიღება? აღმოჩნდა, რომ ხობი უკვე კომუნისტებს ჰქონდათ დაკავებული. ამასთან, სოფ. ხეთაში ცნობა მოვიდა, რომ სოფ. ანაკლიის კომუნისტებისაგან შემდგარი რაზმი სოფ. ხეთაზე თავდასხმისათვის ემზადებოდა. ვ. კობახიძემ ადგილზე **თეიმურაზ კუკუვა** დატოვა, თვითონ კი რაჟდენ ქირიასთან ერთად მიიმალა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 5-6).

ხიბულის რაიონში აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: **ჯუგუ დადიანი, ფუხული ლომაია, ალექსანდრე ლომაია, რაჟდენ ყურაშვილი, აკაკი ქაჯაია** (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №45, ფურცელი 55).

სოფ. **საჩიჯაოში** აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნისტები და კომკავშირლები დააპატიმრეს. აჯანყებულმა **გრიგოლ თირქიამ** ერთ-ერთ პატიმარს მუქარის ძალით სოფლის კანცელარიის ეზოს ჭიშკარზე გამოსახული ჩაქუჩი და ნამგალი წააშლევინა. **ერასტო ქუჩულორიამ** ლენინის სურათი დანით დაჭრა და დაპატიმრებულ კომუნისტებს ზედ დააფურთხებინა. სოფ. საჩიჯაოში აჯანყებაში აქტიური

მონაწილეობა მიიღეს: **ერასტო ქუჩულორიამ** (ასრულებდა სოფლის კანცელარიის საქმეთა მმართველის ფუნქციას, მწყობრიდან გამოიყვანა ტელეფონის მავთული), **ამბაკო კუჭავამ** (აჯანყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოსკოვიდან ჩამოვიდა), **გრიგოლ გუსარის ძე თირქიამ, ნესტორ გუსარის ძე თირქიამ** (გრიგოლ თირქიას ძმა), **ნესტორ კოსტას ძე კვარაცხელიამ, გიორგი (კუკი) იოსების ძე ჩიჩუამ, ანტონ ბასას ძე ფულარიამ, ესტატე სიმონის ძე ახალაიამ, ხუტუ ესტატეს ძე ახალაიამ** (ესტატე ახალაიას შვილი), **ამბაკო თანაფიას ძე კუჭავამ, ლადი თანაფიას ძე კუჭავამ, კალისტრატე მიხეილის ძე ნანეიშვილმა** (**საქართველოს სახელმწიფო არქივის ზუგდიდის ფილიალი**, ფონდი №2, აღწერა №1, საქმე №41, ფურცელი 214-215). აჯანყებულთა რიცხვმა 100 მიაღწია. სოფ. საჩიჯაოს თავდაცვის კომიტეტში შევიდნენ: **გრიგოლ თირქია, ნესტორ კვარაცხელია** და **ერასტო ქუჩულორია**.

სოფ. **ხიბულაში** აჯანყების სათავეში **სიმონ ადამია** იდგა, რომლის განკარგულებაში 25 შეიარაღებული იყო. სოფ. ხიბულაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ალექსანდრე ლომაიამ, ფუხული ლომაიამ, ჯუგუ დადიანმა, დურუ როგავამ** და სხვ. აჯანყებულებმა ძალაუფლების ხელში აღება მოახერხეს, რომლის შემდეგ თავდაცვის კომიტეტი ჩამოაყალიბეს. თავდაცვის კომიტეტში შევიდნენ: **იგორ კვირკვაია, ბეგი ჯიშკარიანი, ლევან გოგია** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 25).

სოფ. **ხორგაში** აჯანყების სათავეში **პილა ბერაია** იდგა. თუ როგორ განვითარდა მოვლენები აღნიშნულ სოფელში ჩვენთვის უცნობია.

1924 წლის 28 აგვისტოს ცენტრიდან გამოგზავნილმა პიროვნებამ **სამსონ როდონაიას** აჯანყების თარიღი აუწყა. სამსონ როდონაიამ ჩხოროწყუელი აჯანყებულები გააფრთხილა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 7). 1924 წლის 29 აგვისტოს, გამთენიისას, ჩხოროწყუში აჯანყე-

ბა დაიწყო. აჯანყებულთა მთავარი რაზმი **სპირიდონ შენგელიას** ხელმძღვანელობით სოფ. **ხაბუმედან** წამოვიდა და დღევანდელი №1 ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე დაბანაკდა. აჯანყებულებმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან დელეგაცია გაგზავნეს (რომელიც ძირითადად ქალებისაგან შედგებოდა) და შეუთვალეს: წინააღმდეგობის გაუწევლად დანებებულიყვნენ. პასუხად მიიღეს: თუ მთელი საქართველო აჯანყებულთა ხელშია, დავაზუსტებთ და ჩაგბარდებითო. აჯანყებულთა რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი როლი შეასრულა და მათ დაბა ჩხოროწყუში ძალაუფლება ხელში აიღეს. აჯანყებულებმა კომუნისტების ნაწილი განაიარაღეს, დააპატიმრეს და ეკლესიებში და სხვა ნაგებობებში მოათავსეს. ამასობაში, ჩხოროწყუს მილიცია ვარლამ შოგირაძის მეთაურობით ჩხოროწყუს სოფლებიდან გამოქცეული კომუნისტებით ივსებოდა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა (**ვალერიან ახალაია.** ჩხოროწყუ. წარსული და დღევანდელობა. თბილისი, 2002, გვ. 36-37). ჩხოროწყუს აჯანყებულებმა წალენჯიხიდან მიღებული დირექტივების შესაბამისად (აჯანყების მსვლელობისას ისინი წალენჯიხიდან მიღებული დირექტივებით მოქმედებდნენ) ადგილობრივი დამკომი ჩამოაყალიბეს **სპირიდონ შენგელიასა** (სოციალ-დემოკრატი) და **აკაკი შამათავას** (ეროვნულ—დემოკრატი) შემადგენლობით (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 12).

სოფ. **ახუთის** აჯანყებულებმა **ვალოდია შუბლაძის** მეთაურობით სოფლები **ახუთი** და **გარახა** დაიკავეს და სოფ. ჩხოროწყუში დაბანაკებულ კომუნისტებს შეუტიეს (**ვალერიან ახალაია.** ჩხოროწყუ. წარსული და დღევანდელობა. თბილისი, 2002, გვ. 162-239). აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნისტები დააპატიმრეს და სოფლის საბჭოს შენობაში მოათავსეს. დაპატიმრებული კომუნისტების ყარაულად აჯანყებულებმა **კალისტრატე დემურია** დანიშნეს (**სშსსა (III),** ფონდი №247, აღწერა №1, საქმე №92, ფურცელი 188). სოფ. **კირცხში**

აჯანყებულებმა **ზებე ჯიქიას** მეთაურობით ადგილობრივი კომუნისტები დაატყვევეს და ეკლესიაში მოათავსეს. სოფ. **ლეწურწუმეში** აჯანყებულებმა: **აქვსენტი ქუთელიას, ბუხუტი ქუთელიას, დავით გობეჩიას, სპირიდონ გობეჩიასა** და **ალექსანდრე პერტაიას** ხელმძღვანელობით ადგილობრივი კომუნისტები დააპატიმრეს და სოფ. ეგიარზენში, ვინმე ანთიას სახლში გამოკეტეს. სოფ. **ლესიჭინეში პაისი ჭიჭინაძის, იონა სიჭინავას, ილიკო სიჭინავას, ნიკოლოზ (ნიკო) სიჭინავას** და **ნიკოლოზ (ნიკო) ფაციას** ხელმძღვანელობით მოქმედმა აჯანყებულთა რაზმმა სოფ. ლესიჭინეში ძალაუფლება ხელში აიღო და ორი დღის განმავლობაში შეინარჩუნა. სოფ. **მუხურში** აჯანყებულებს მეთაურობდნენ: **ალექსანდრე (საშა) ბენდელიანი** და **ივანე ბაძაღუა**. სოფ. **ნაფიჩხოვოში** ადგილობრივ კომუნისტებს აჯანყებულები **პროფი ფიჩხაიასა** და **მიხეილ (მიხა) ფიჩხაიას** მეთაურობით დაუპირისპირდნენ. სოფ. **ქვედა ჩხოროწყუში** აჯანყებულებმა ძალაუფლება ხელში აიღეს და ორი დღე-ღამის განმავლობაში ფლობდნენ მას. რაც შეეხება სოფ. **ხაბუმეს,** სწორედ ამ სოფლიდან დაიწყო მოქმედება ჩხოროწყუს აჯანყებულთა მთავარმა რაზმმა სპირიდონ შენგელიას მეთაურობით (**ვალერიან ახალაია.** ჩხოროწყუ. წარსული და დღევანდელობა. თბილისი, 2002, გვ. 162-239).

ჩხოროწყუს მილიციის რაზმმა აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიური მოქმედება მას შემდეგ დაიწყო, რაც მათ **გიორგი სოსელია, ევგენი უბირია** და **თომა ლუკავა** შეუერთდნენ. მათ მოიტანეს ცნობა, რომ აჯანყებულებს საქართველოს მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში ჰქონდათ ძალაუფლება ხელში აღებული. აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა ჩხოროწყუს მილიციამ წარმატებით დაასრულა და მთელი ჩხოროწყუს მასშტაბით აჯანყებულები დაამარცხა. 1924 წლის 30 აგვისტოს, საღამოსათვის, ჩხოროწყუს რაიონის ყველა სოფელი კომუნისტების ხელში იყო. აჯანყებულ-

თა ნაწილმა ჩხოროწყუ დატოვა და წალენჯიხის გავლით სვანეთის ტყეებს შეაფარა თავი.

ჩხოროწყუს კომუნისტებმა ქ. ზუგდიდიდან დახმარების თხოვნა მიიღეს. ზუგდიდისაკენ მიმავალი ჩხოროწყუელი კომუნისტები გზაში, სოფ. **ჯიხაშკართან,** აჯანყებულებს შეეტაკნენ. ასევე მდ. **სინწასთან** ისინი რიცხობრივად უპირატეს მოწინააღმდეგეს გადაეყარნენ, რომელსაც **ჭუჭუ ხუბულავა** მეთაურობდა. კომუნისტებმა ბრძოლას თავი აარიდეს და შემოვლითი გზით ქ. ზუგდიდში შესვლა მოახერხეს. მათ ზუგდიდის რაზმთან ერთად, რომელსაც **ვლადიმერ ზაქარაია** ხელმძღვანელობდა, ალყაშემორტყმული მაზრის ხელმძღვანელების გათავისუფლება მოახერხეს (**ვალერიან ახალაია.** ჩხოროწყუ. წარსული და დღევანდელობა. თბილისი, 2002, გვ. 37-38).

1924 წლის 28 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, წალენჯიხელი აჯანყებულებიდან **იოსებ მიქაიამ** აჯანყების ზუსტი თარიღი შეიტყო. ი. მიქაიამ **თედო ფიფია** და სხვები გააფრთხილა. 1924 წლის 29 აგვისტოს, დილის საათებში, აჯანყებულებმა წალენჯიხა უომრად აიღეს. კომუნისტები აჯანყებულებს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დანებდნენ (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 11-12). წალენჯიხის რაიონში აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: **შალვა თვალთვაძე** (ეროვნულ-დემოკრატი) და **იოსებ კვარაცხელია** (დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი) (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №45, ფურცელი 55). ძალაუფლების ხელში აღებისთანავე აჯანყებულებმა რაიონული დამკომი შექმნეს **ისიდორე კვარაცხელიასა** (სოციალ-დემოკრატი) და **გუდუ კვარაცხელიას** (ეროვნულ—დემოკრატი) შემადგენლობით. დამკომმა შტაბის ხელმძღვანელად **მიხეილ ბელქანია** დანიშნა (ის იყო ასევე წალენჯიხის რაიონის კომენდანტი), მილიციის უფროსად — **იოსებ მიქაია,** მილიციის

უფროსის თანაშემწედ — **ცხონდია**, მწერლად — **თედო ფიფია**, მდივნად — **მიხეილ თვალთვაძე**.

მოსახლეობა აჯანყებულებთან მასიურად ცხადდებოდა და მათ თანადგომას უცხადებდა (აჯანყებულებს მოსახლეობაში რაიმე განსაკუთრებული სახის აგიტაცია არ ჩაუტარებიათ). აჯანყებულთა რიცხვმა 300 მიაღწია (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 11- 12).

1924 წლის 29 აგვისტოს, გამთენიისას, სოფ. **ობუჯში** აჯანყება დაიწყო. ამ დროს სოფელში ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე, **ვ. როგავა,** იყო ჩასული, რომელსაც ბანდიტები ანდრო წულუკიძე და ერასტო შულაია უნდა შეეპყრო. იმავდროულად, სოფელში წალენჯიხის რაიმილიციის უფროსი, **ვასილ მანია,** იმყოფებოდა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის მიზნით იყო მივლინებული. ორივე მათგანის განკარგულებაში ოთხი მილიციელი იყო (სამი როგავას ახლდა, ერთი — მანიას). აჯანყებულები ვ. როგავას თავს დაესხნენ. ორმხრივი სროლის დროს ვ. როგავამ სოფლის სამმართველომდე მისვლა მოახერხა. სამმართველოში ტელეფონი იყო. მან აჯანყებულების მიერ ქ. ზუგდიდის დაკავება შეიტყო, რის გამო სოფ. ობუჯის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. აჯანყებულებმა სოფ. ობუჯში ადგილობრივი კომუნისტები ადვილად განაიარაღეს. მოგვიანებით, ობუჯელ აჯანყებულებს წალენჯიხიდან მოსული 10 კაციანი რაზმი შეუერთდა, რომელსაც **მეტო გიგიბერია** მეთაურობდა. მ. გიგიბერიამ შეკრებილ ხალხს აჯანყებულების მიერ საქართველოს ყველა ქალაქის დაკავებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შესახებ ამცნო. მ. გიგიბერიამ ადგილობრივებს განუცხადა, რომ ინგლისური ფლოტი და დესანტი უკვე სოფ. ანაკლიასთან იმყოფებოდა და საჭირო იყო ანაკლიაში ურმების გაგზავნა და იქიდან საბრძოლო იარაღის მოტანა. აჯანყებულებმა სოფ. ობუჯის თავდაცვის კომიტეტი აირჩიეს **ლევან მესხიას** (თავმჯდომა-

რე), **მიხეილ ფიფიასა** და სხვათა შემადგენლობით. მ. გიგიბერია სოფ. ობუჯიდან წალენჯიხაში 20 კაციანი რაზმით დაბრუნდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 27-28).

სოფ. **ჯგალი** აჯანყებულებმა ადვილად აიღეს **კონსტანტინე კვარაცხელიას** მეთაურობით. ამის შემდეგ ისინი დახმარების აღმოსაჩენად წალენჯიხაში გამოცხადნენ. წალენჯიხის დამკომმა ისინი უკან გააბრუნა იარაღის მოსატანად. სოფ. ჯგალში მისვლისთანავე აჯანყებულებმა სოფლის აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, **ბაგრატ კვარაცხელიას**, ორი შაშხანა წაართვეს, ფოსტის უფროსს — რევოლვერი „სმიტ-ვერონა". აჯანყებულებმა იარაღი სხვა კომუნისტებსაც წაართვეს და წალენჯიხის დამკომს ჩაუტანეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 9-10).

წალენჯიხის დამკომმა სოფ. **კორცხელის** მიმართულებით აჯანყებულთა რაზმი გაგზავნა, რომელიც სოფ. ობუჯიდან გაქცეულ ვ. როგავას გადაეყარა. ვ. როგავამ ამ დროისათვის სოფლებში: **ჯიხაშკარში, კორცხელში** და სხვაგან 71 თანამებრძოლი შეკრიბა. შეტაკებისას ერთი აჯანყებული დაიღუპა, 18 აჯანყებული კი ტყვედ ჩავარდა (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 30). აჯანყებულებზე უარყოფითად იმოქმედა გავრცელებულმა ხმამ, რომ მათკენ რუსის ჯარი მოემართებოდა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 27-28). წალენჯიხელმა აჯანყებულებმა ძალაუფლება 3-4 დღის განმავლობაში შეინარჩუნეს, ბოლოს კი ისინი გატყდნენ. წალენჯიხაში აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლაში „თავდადებულობა და დიდი ბრძოლის ენერგია გამოიჩინეს შემდეგმა ამხანაგებმა: წალენჯიხის რაიმილიციის უფროსმა ვასილ მანიამ, უმცროსმა მილიციელმა ჭიჭიკო მხეიძემ, ლაუ ფიფიამ, კოსტა ესართიამ, ერმინე კვარაცხელიამ" და სხვ. (მათ დიდი როლი ითამაშეს სოფ. კორცხელში გამაგრებული აჯანყებულების დამარ-

ცხებაში) (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 30). წალენჯიხის რაიონის მილიციამ, ზუგდიდის რაიონის მილიციასთან ერთად, 70 აჯანყებული დააპატიმრა (**სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №1, საქმე №282, ფურცელი 10ა).

1924 წლის 29 აგვისტოს, დილის 10 საათზე, სოფ. **ლიაში** (1924 წელს ცალკე რაიონს წარმოადგენდა, ამჟამად შედის წალენჯიხის რაიონში) აჯანყება დაიწყო. 40 აჯანყებული (აქედან მხოლოდ 20 იყო შეიარაღებული) **ტარას ბერიშვილის** მეთაურობით სოფლის კანცელარიის შენობაში შეიჭრა და დაიკავა. აჯანყებულებმა ადგილობრივი კომუნისტები განაიარაღეს და დააპატიმრეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 27). ლიის რაიონში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ნესტორ დადიანმა, ანდრო წულუკიძემ, კონია დადიანმა, ჯვებე დადიანმა, ილარიონ ხუბუტიამ** (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №45, ფურცელი 55). ლიის რაიონული მილიციის უფროსმა ლიის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე აჯანყებულებისაგან გამოიხსნა, რისთვისაც მან 4 აჯანყებული მოკლა (**სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №1, საქმე №282, ფურცელი 10ა). ძალაუფლების ხელში აღებისთანავე აჯანყებულებმა რაიონული თავდაცვის კომიტეტი აირჩიეს შემდეგი შემადგენლობით: **ალექსი ბერიშვილი** (თავმჯდომარე), **ალექსანდრე ბერიშვილი, მელიტონ სამუშია, ესტატე სამუშია, ივლიანე ბერიშვილი, კაი ბერიშვილი**. აჯანყებულებმა სამხედრო ხელმძღვანელის ფუნქციის შესრულება **ტარას ბერიშვილს** მიანდეს. ბრძანებას და განკარგულებას **ალექსი ბერიშვილი** იძლეოდა. აჯანყებული ლიელების დასახმარებლად სოფ. **ჭკადუაშიდან** 40 შეიარაღებული მოვიდა **ჭანტურიას** მეთაურობით (მილიციის ყოფილი უფროსი ქ. ზუგდიდში) და ასევე სოფ. **კორცხელიდან** 10 შეიარაღებული **ანდრო წულუკიძის** მეთაურობით. სოფ. ლიაში მათ ორი დღე დაჰყვეს (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 27). ლიის თავ-

დაცვის კომიტეტმა **ნესტორ დადიანს** მისცა დავალება მდ. ენგურის ნაპირი გაემაგრებინა და სოხუმი-ჯვარის გზის პატრულირება განეხორციელებინა. ამ გადაწყვეტილებას თავდაცვის კომიტეტი იმით ხსნიდა, რომ სამურზაყანოს მაზრის კომუნისტების გადმოსვლის საშიშროება არსებობდა. ნ. დადიანმა, იარაღისა და ტყვია-წამლის სიმცირის გამო, დავალების შესრულება ვერ შეძლო (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 3-4). კომუნისტების ახალი ძალების სოფელში შემოსვლისთანავე ლიელმა აჯანყებულებმა თავიანთი პოზიციები დატოვეს და სოფ. ჯვარის მიმართულებით გაიქცნენ, რომ სვანეთის ტყეებისათვის შეეფარებინათ თავი (**სსაზფ**, ფონდი №2, აღწერა №1, საქმე №43, ფურცელი 11).

1924 წლის აჯანყებას ზუგდიდის მაზრაში სოფლების: ანაკლიისა და ნიკოსიის გარდა ყველგან ჰქონდა ადგილი (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №45, ფურცელი 55). ზუგდიდის მაზრაში აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: **ხარიტონ ივანეს ძე ქვარაიამ**, ბობოლა გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **ლავრენტი ალექსის ძე ჩიქავამ**, ეროვნულ-დემოკრატი, ყოფილი აზნაური, მასწავლებელი, ხელმძღვანელობდა აჯანყებულთა რაზმს; **პავლე (ქარსანა) შენგელიამ (ნაყოფიამ)**, ბობოლა გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **ადამურ სიკოს ძე ცხაკაიამ**, მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატი; **ივლიანე ხუტუს ძე ნორაკიძემ**, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი, მეთაურობდა აჯანყებულთა რაზმს; **ოთარ კაჭის ძე ჩხოლარიამ**, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი, აჯანყებულთა ერთ-ერთი ორგანიზატორი; **ტარას ყარამანის ძე ნავეიშვილმა**, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი, აჯანყებულთა ერთ-ერთი ორგანიზატორი; **ვარლამ გრიგოლის ძე ანჩაბაძემ**, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი, აჯანყებულთა ერთ-ერთი ორგანიზატორი; **ვარლამ გვარდღას ძე თორიამ**, ბობოლა გლეხი, პროვიზორის თანაშემწე, ეროვნულ-დემოკრატი; **კაჭია კუკავამ**, ბო-

ბოლა გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **კონსტანტინე პახვალას ძე ჩხოლარიამ,** ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი, აჯანყებულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი; **ისიდორე ძოლოს ძე ხუფენიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **იასონ ლატარიამ,** ბობოლა გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **ამროსი სტეფანეს ძე სორდიამ,** გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **კაპიტონ მიხეილის ძე გაბილაიამ,** ბობოლა გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **დვირია გოჩას ძე ნარუამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **რაჟდენ ერჩქინდის ძე შელიამ,** გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **იოსებ დავითის ძე ჭითანავამ,** გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **ასტამურ თადის ძე ჯაიანმა,** ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი; **ხუტუ ალექსის ძე ორზოლიამ,** ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი; **ალექსი თოდუამ,** გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **ერასტო შალვას ძე ქარჩავამ,** გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **ჯინჯერი ბორდღუს ძე ნოსირიძემ,** ყოფილი აზნაური, სოციალ-დემოკრატი; **კალისტრატე გაიოზის ძე ზარანდიამ,** გლეხი, სოციალ-დემოკრატი, აჯანყებულთა ერთ-ერთი ორგანიზატორი; **თარა კუტალიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **გრიგოლ კუდნათის ძე შერვაშიძემ,** ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი; **ჭუჭუ ნესტორის ძე დგებუაძემ,** ყოფილი აზნაური, სოციალ-დემოკრატი; **შამელი ბაზალიას ძე გელენავამ,** გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **არსენა ქვათის ძე ნაყოფიამ,** ყოფილი აზნაური, სოციალ-დემოკრატი; **სპირიდონ მორგოშიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **იოსებ მიხას ძე ლემონჯავამ,** გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **ტრიფონ ფიოლიამ,** გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **ვალოდია ქიბარის ძე როგავამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **იონა მარკოზის ძე სიჭინავამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **ცხოფო მიხეილის ძე მგალობლიშვილმა,** სასულიერო წოდებიდან, სოციალისტ-ფედერალისტი; **ბეგო ქანთარიამ,** ეროვნულ-დემოკრატი; **ესტატე შენგელიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **ბარნაბა შურღაიამ,** გლეხი,

სოციალ-დემოკრატი; **კონსტანტინე (კოტე) ანჯაფარიძემ,** ყოფილი აზნაური, ოფიცერი, ეროვნულ-დემოკრატი; **ლუკა მურზაყანის ძე გვასალიამ,** ეროვნულ-დემოკრატი; **ძუკუ კონსტანტინეს (კოწიას) ძე წულეისკირმა,** ეროვნულ-დემოკრატი; **სოლომონ გერანდუხუს ძე ქუთელიამ,** ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი; **იასონ ჯინჯოლავამ,** გლეხი, სოციალ-დემოკრატი; **ევგენი ბულიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **ფარნაოზ ნიკოლოზის ძე ფიჩხაიამ,** ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი; **ნიკოლოზ (ნიკო) სვიმოს ძე გოროზიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **აკაკი ბასას ძე დარასელიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **აქვსენტი კვარაცხელიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **ექვთიმე თოდუამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **გრიგოლ (გრიშა) ბერანძემ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **დოროთე საბას ძე ცხაკაიამ,** სასულიერო წოდებიდან, ეროვნულ-დემოკრატი; **ბეგლარ მესხმა,** ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი; **მაკარ პეხუს ძე დარასელიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **რაჟდენ ტაიას ძე დგებუაძემ,** ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი; **ილარიონ ჯიშკარიანმა,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **დიმიტრი შენგელიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **ლადი გოგიამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **თადეოზ პეტრეს ძე ვეკუამ,** გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი; **ძარგუ კოსტაიას ძე წულეისკირმა,** ეროვნულ-დემოკრატი (სსაზფ, ფონდი №2, აღწერა №1, საქმე №41, ფურცელი 3-106). სულ ზუგდიდის მაზრაში აჯანყებაში მონაწილეობა 2769 კაცმა მიიღო (სშსსა (III), ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №45, ფურცელი 55).

1924 წლის აჯანყების დროს ზუგდიდის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლებას 13 კაცი დაეღუპა, 15 კი დაეჭრა. დაღუპულთა შორის იყვნენ: ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **გრიგოლ როგავა,** საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის საინფორმაციო განყოფილების გამგე **ჩხეტია** და წა-

ლენჯიხის რაიონული კომიტეტის მდივანი **სოლომონ გოგია** (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №45, ფურცელი 55).

ქ. ფოთში, საბჭოთა ხელისუფლების მიერ წინასწარ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად, 1924 წლის აჯანყებას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ფოთელი კომუნისტები მეზობელ მაზრებს აქტიურად ეხმარებოდნენ აჯანყების ჩახშობაში (**სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №1, საქმე №287, ფურცელი 1ა-8).

§3. გურია (ოზურგეთის მაზრა)

1924 წლის 28 აგვისტოს, დილით, **სიმონ გოგიბერიძემ**, რომელსაც დავალებული ჰქონდა **ნაგომარის** რაიონის დაკავება, სოფლების: **ასკანის, ბუკნარისა** და **ნაგომარის** რწმუნებულები გამოიძახა. ს. გოგიბერიძემ მათ სათანადო დირექტივები მისცა, ადგილი და დრო დაუნიშნა, თუ სად უნდა შეკრებილიყვნენ. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ს. გოგიბერიძემ თითოეულ რწმუნებულს თითო მეგზური გააყოლა. ს. გოგიბერიძეს დაბა ნაგომარში ორი კურიერი ჰყავდა, რომლებმაც მას დაღამებამდე ორჯერ აცნობეს თუ რამდენი მილიციელი იმყოფებოდა ნაგომარის რაიონული მილიციის სამმართველოში, რამდენი კაცი იცავდა ფოსტას, რამდენი დარაჯი იდგა საგრენაჟო საწარმოსთან და ა.შ. ს. გოგიბერიძემ თავისი რაზმიდან ე.წ. „მეორე რაზმი“ გამოჰყო, რომელსაც აჯანყების დაწყებისთანავე სოფ. ნაგომარის მოსახლეობის გაფრთხილება ევალებოდა. მეორე რაზმს სურსათ-სანოვაგისა და სანიტარული ნივთების მომარაგება დაეკისრა (**სიმონ გოგიბერიძე**. ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 69-70).

1924 წლის 28 აგვისტოს, პარასკევს, ღამის 12 საათზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ოზურგეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც ოზურგეთის მაზრაში გზების გაყვანისა და ხიდების აგების საკითხზე მსჯელობდა,

მოსალოდნელი აჯანყების შესახებ შეტყობინება მიიღო. სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა რაიონების გაფრთხილება დროულად ვერ მოასწრო, რადგან მანამდე აჯანყებულებმა სატელეფონო მავთულები მწყობრიდან გამოიყვანეს (**მენშევიკურ ბანდიტების ლიკვიდაცია. რა მოხდა გურიაში (ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). „მეკვერცხეთა“ ბუდე.— გასტროლიორები.— „დემოკრატიული მთავრობა“.— კომუნისტების დატუსაღება.— გამოსვლების ლიკვიდაცია.— წითელი ჯარი.— გლეხობის გამოფხიზლება.**—გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №206, 10 სექტემბერი, გვ. 1).

1924 წლის 28-29 აგვისტოს, ღამით, ს. გოგიბერიძის რაზმელები დანიშნულ ადგილზე შეიკრიბნენ. მათ თოფები და ერთი ტყვიამფრქვევი ჰქონდათ. ერთ-ერთი ათეულის მეთაური სიცხიანი იყო, მაგრამ დანიშნულ ადგილას თავშეხვეული მაინც გამოცხადდა. ს. გოგიბერიძემ თავისი რაზმიდან მცირე ჯგუფი გამოჰყო, რომელიც სოფ. ნაგომარის ბაზრის პირდაპირ პატარა მაღლობზე დაბანაკდა. ტყვიამფრქვევი ამ რაზმს გადაეცა. ს. გოგიბერიძე 12 რაზმელთან ერთად ბაზრისაკენ გაემართა. მისი გეგმის თანახმად 5 მებრძოლს მილიციის სამმართველო უნდა აეღო, დანარჩენებს კი — ფოსტის შენობა. სანამ აჯანყებულები აღნიშნულ დაწესებულებებამდე მიაღწევდნენ, მათ ერთი კილომეტრის სიმინდის ყანებში გავლამ მოუწიათ, რამაც ხმაური გამოიწვია. ხმაურზე ძაღლებმა ყეფა დაიწყეს. ს. გოგიბერიძის რაზმმა ბაზრის გასწვრივ მდებარე ღობეს მიაღწია თუ არა სოფ. ხიდისთავში თოფი გავარდა. თოფის ხმაზე, სოფ. ნაგომარის მილიციის შენობიდან მილიციელები აივანზე გამოცვივდნენ. მილიციელებმა მათკენ მომავალი შეიარაღებულები შენიშნეს და მათ ცეცხლი გაუხსნეს. ორმხრივი სროლები დაიწყო. აჯანყებულებმა საქმეში ტყვიამფრქვევი ჩართეს. მილიციელები შენობაში შეიკეტნენ. აჯანყებულები მილიციის შენობაში შეცვივდნენ და მილიციელები განაიარაღეს და დააპატიმრეს.

მხოლოდ პარტიული კომიტეტის მდივანმა მოახერხა გაქცევა, რომელიც სამმართველოს უკანა კარებიდან გაიპარა. აჯანყებულებმა ის ერთ-ერთ სოფელში დააპატიმრეს. ს. გოგიბერიძის რაზმმა ფოსტის შენობა ადვილად დაიკავა. აჯანყებულებმა ფოსტაში მყოფი კომუნისტები დააპატიმრეს, რომლებიც კედელთან მიაყენეს და აძახებინეს: **„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“** აჯანყებულებმა გადამცემი აპარატი მწყობრიდან გამოიყვანეს. აჯანყებულებმა იპოვეს ტელეფონოგრამა, რომელიც აჭარის სამხედრო კომისარიატისაგან იყო გამოგზავნილი. ტელეფონოგრამაში აჭარის სამხედრო კომისარიატი გურიის სამაზრო და სარაიონო ადმინისტრაციას თხოვდა ორ დღეში მომზადებულიყვნენ რეგულარული წითელი ჯარის ნაწილების მისაღებად. ამასთან, მათ ჯარის საჭიროებისათვის ცალკეული შენობები უნდა გამოეყოთ. მეორე დღესვე ს. გოგიბერიძემ ტელეფონოგრამა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის რწმუნებულს გურიაში, **ქავთარაძეს,** გადასცა. ამდენად, სოფ. ნაგომარი აჯანყებულებმა დაიკავეს. ის კომუნისტები, რომლებიც სახლებში იმყოფებოდნენ და სროლის ხმაზე სოფლის დაწესებულებებისაკენ მირბოდნენ, აჯანყებულებმა გზაშივე დააპატიმრეს. სოფ. ნაგომარში აჯანყების წარმატებით დასრულებისთანავე აჯანყებულებმა დროებითი ხელისუფლება შექმნეს.

ს. მათითაიშვილმა სოფ. ხიდისთავში და სოფ. ჩოხატაურში შიკრიკები გაგზავნა და სოფ. ნაგომარში აჯანყების გამარჯვება ახარა. ს. მათითაიშვილმა ჩოხატაურის რაიონში მისვლისთანავე ცნობები დაგზავნა სოფლებში: **სურებში, საჭამიასერში, საჯავახოში** და ჩოხატაურის დასაკავებლად ძალების მობილიზებას შეუდგა. სოფ. **სურებში** აჯანყებულებმა პირნათლად შეასრულეს დაკისრებული მისია და ძალაუფლება ხელში აიღეს. **საჭამიასერის რაიონში** აჯანყების მეთაურს ჰქონდა ერთი ნაგანი ოთხი ვაზნით. 1924 წლის

28 აგვისტოს (მარიამობას) ყველა ოჯახში დიდი სტუმრიანობა იყო და აქედან გამომდინარე აჯანყებისათვის საჭირო რაოდენობის მებრძოლების შეკრება ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, სოფ. საჭამიასერის აჯანყებულთა მეთაურმა ადგილობრივ სარაიონო დაწესებულებებზე თავდასხმა მაინც განიზრახა. თავდასხმისას კომუნისტებმა აჯანყებულებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. შეტაკების დროს რამდენიმე აჯანყებული დაიჭრა. აჯანყების პირველ დღეს აჯანყებულებმა ვერც ერთი დაწესებულება ხელში ვერ ჩაიგდეს. ამის შემდეგ, აჯანყებულები რაზმის შევსებას შეუდგნენ და მეორე დღეს, 29 აგვისტოს, დილას, რაიონის ყველა დაწესებულება დაიკავეს.

სოფ. საჯავახოში მყოფ აჯანყებულებს რკინიგზის ხაზის მწყობრიდან გამოყვანა ევალებოდათ, მაგრამ დავალების დაგვიანებით მიღების გამო მათ ეს ამოცანა ვერ შეასრულეს. თუმცა აჯანყებულებმა საჯავახოს სოფლებში ძალაუფლება ხელში აიღეს.

ს. მათითაიშვილი თავისი რაზმით ჩოხატაურისაკენ გაემართა. სოფ. სუფსასთან აჯანყებულები კომუნისტების რაზმს გადაეყარნენ, რომელსაც **სამსონ ჭანიშვილი** მეთაურობდა. ორმხრივი სროლები დაიწყო. კომუნისტებმა სიბნელით ისარგებლეს და სიმინდის ყანებში გაიფანტნენ. აჯანყებულებმა ჩოხატაურისაკენ გზა განაგრძეს. ჩოხატაურში მყოფი კომუნისტები სროლის ხმის გაგონებისთანავე დაირაზმნენ. მათ განკარგულებაში ორი ტყვიამფრქვევი იყო. ს. მათითაიშვილმა ფოსტა, მილიციის შენობა და სხვა დაწესებულებები დაიკავა. აჯანყებულებმა კომუნისტები დააპატიმრეს (**სიმონ გოგიბერიძე.** ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 73-75). აჯანყებულებმა ჩოხატაურში ყოფილ მეპატრონეს აფთიაქი დაუბრუნეს. აჯანყებულებმა სოფელ **ამაღლების** დაკავების შემდეგ ამ სოფელში სუფრაზე მიწვეული ოზურგეთის სასულიერო ორკესტრი ქ. ოზურგეთისაკენ

ნაიყვანეს. აჯანყებულთა მოთხოვნით ორკესტრი გზაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნ **„დიდებას"** უკრავდა. სოფ. **ხიდისთავის** დაკავების შემდეგ აჯანყებულებმა ოფიცრების აღრიცხვა და მობილიზაცია დაიწყეს. აჯანყებულებმა კოოპერატივიდან ტანსაცმლები გამოიტანეს და თავისიანებს დაურიგეს (**სშსსა, (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 139). სოფ. ხიდისთავში **გურიის ცენტრალური შტაბი** შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: **სერგო მათითაიშვილი** (ხელმძღვანელი), **აქვსენტი კალანდაძე, გერმანე კალანდაძე, ისიდორე ლომთათიძე, გრიგოლ გოგიბერიძე** და სხვ. შტაბთან თანამშრომლობდნენ: **ნოე შერმადინის ძე კალანდაძე, პოლიო ანტიფოს ძე კალანდაძე** და სხვ. (**ოთარ გოგოლიშვილი.** ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი", ბათუმი, 2000, გვ. 63).

აჯანყების დროს აჯანყებულებმა კომუნისტებს გალაკტიონ თევზაძეს, ბესარიონ უღრელიძეს, სარდიონ თავაძეს, ვასილ ნარმანიას, გედეონ ბარამიძესა და ივანე კოტრიკაძეს ხელი მოაწერინეს ტექსტზე, სადაც ისინი აცხადებდნენ, რომ კომუნისტურმა პარტიამ მათი იმედები ვერ გაამართლა და რომ ისინი პარტიას ტოვებდნენ (**სშსსა (III),** ფონდი №30, აღწერა №1, საქმე №18, ფურცელი 44).

1924 წლის აჯანყებაში თითქმის მთელი გურია ჩაერთო. აჯანყების მიმართ ნეიტრალური არც ერთი სოფელი არ დარჩენილა. ასე რომ, 1924 წლის აჯანყებამ გურიაში მასობრივი ხასიათი მიიღო (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 166).

1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, ზემო გურიაში შემდეგი სურათი იყო: აჯანყებულებმა დაიკავეს **ნაგომარის, ხიდისთავის, სურების** და **საჭამიასერის** რაიონები. ამ რაიონებში აჯანყებულებმა კომუნისტების უმეტესობა დააპატიმრეს. გაქცეული კომუნისტების მცირე ნაწილმა სოფ. **ერ-**

ქეთს და სოფ. **ხევს** შეაფარეს თავი, ჩოხატაურიდან გაქცეულმა კომუნისტებმა კი — სოფ. **ნიგოითის** მთის კალთებს. ს. მათითაიშვილის წინაშე სამი ამოცანა იდგა: 1) სოფ. ერკეთში და სოფ. ხევში გამაგრებული კომუნისტებისათვის შეეტია; 2) ჩოხატაურიდან გაქცეული კომუნისტებისათვის შეეტია; 3) იმერეთთან კავშირის დასამყარებლად საჯავახოში აჯანყებულთა რაზმი გაეგზავნა და გურია სამტრედიაში მყოფი რუსის ჯარის მოსალოდნელი შეტევისაგან დაეცვა. პირველი ამოცანის შესრულება ს. მათითაიშვილმა სოფ. **ხიდისთავიდან** გამოძახებულ რაზმს მიანდო. ამ რაზმმა დაკისრებულ მისიას წარმატებით გაართვა თავი და სოფლები **ერკეთი** და **ხევი** სრულად გაწმინდა კომუნისტებისაგან. ამის შემდეგ სოფ. ხიდისთავის რაზმი საჯავახოში მესამე ამოცანის შესასრულებლად გაიგზავნა. საჯავახოში მისვლისთანავე ხიდისთავის რაზმმა რკინიგზის სადგური აიღო, მაგრამ ამ დროს ისინი ერთი მხრივ ჯავშნოსანი მატარებლის და მეორე მხრივ იმერეთიდან რიონზე ბორანით გადმოსული კომუნისტების რაზმის ცეცხლის ქვეშ მოექცნენ. ორივე მხრიდან დაჭრილთა და დახოცილთა რაოდენობამ 50 მიაღწია. ბრძოლაში აჯანყებულთა მხრიდან დაილუპნენ: სოფ. ხიდისთავის მცხოვრებლები ძმები **ევგენი** და **თეოფილე ცხოიძეები.** აჯანყებულებმა რკინიგზის სადგური დატოვეს და იქვე გორაკზე დაბანაკდნენ. 1924 წლის 30 აგვისტოს დილიდან 1924 წლის 2 სექტემბრის ღამემდე სოფ. **ხიდისთავის რაზმი** კომუნისტების იერიშებს იგერიებდა. სოფ. ხიდისთავის რაზმის გმირულმა ბრძოლამ ბევრი აჯანყებული ალყაში მოქცევას გადაარჩინა. ჩოხატაურიდან გაქცეული კომუნისტების წინააღმდეგ ს. მათითაიშვილმა, თავის რაზმთან ერთად, ერთი ჩოხატაურელი ოფიცერი გაგზავნა (მეორე ამოცანა). რაზმმა დაკისრებული ამოცანა შეასრულა და კომუნისტების ნაწილი გააქცია, ნაწილი კი დააპატიმრა.

აჯანყებულთა გურიის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ და დამკომის რწმუნებულმა **სამხედრო ცენტრი** შექმნეს. სამხედრო ცენტრში შევიდნენ: **ს. მათითაიშვილი, თ. მუხაშავრია** და კიდევ ერთი პირი. სამხედრო ცენტრი ქ. **ოზურგეთის** ასაღებად შეიქმნა. ოზურგეთის დასაკავებლად აჯანყებულთა ძალები **ნასაკირალზე** უნდა შეკრებილიყვნენ. ქ. ოზურგეთში ამ დროს ასეთი ვითარება იყო: 1924 წლის 27 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, აჯანყების ბრძანება ოზურგეთის რაიონის შტაბმა მიიღო. შტაბმა **პარმენ ჭანუყვაძის** მეთაურობით სპეციალური გეგმა შეიმუშავა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: **ბახვის, შემოქმედის, ლიხაურის** და სხვა სოფლების გათავისუფლება და შემდეგ ქ. ოზურგეთის აღება და გამაგრება (**სიმონ გოგიბერიძე**. ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 76-78).

1924 წლის 28-29 აგვისტოს, ღამეს, შემოქმედის რაიონის სოფ. **გომში** აჯანყება დაიწყო. ამ დროს სოფ. გომში **ფილიპე მახარაძე** იმყოფებოდა (მეუღლესთან ერთად). საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ოზურგეთის სამაზრო კომიტეტმა აჯანყების დაწყებისთანავე ფილიპე მახარაძის გასაფრთხილებლად ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსი, **ლავრენტი სოსელია,** ორ წითელარმიელთან და სამ მილიციელთან ერთად გაგზავნა (**გ. შემოქმედელი**. პროვინციაში. ბანდიტების გამოსვლა შემოქმედის თემში (გურია).— გაზეთი „კომუნისტი", 1924, №213, 18 სექტემბერი, გვ. 3). აჯანყებულებმა ფ. მახარაძე მის გაფრთხილებამდე დააპატიმრეს, თუმცა ლავრენტი სოსელიამ ფ. მახარაძის გათავისუფლება მოახერხა (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 44). აჯანყებულები ფ. მახარაძის კვლავ დაპატიმრებას ცდილობდნენ. აჯანყებულები სოფ. **გომის** ფოსტის შენობაში გამაგრდნენ, ლ. სოსელიას რაზმი კი — სოფ. გომის ტყეში. ლ. სოსელიამ მზვერავები გაგზავნა, რომლებსაც აჯანყებულებმა სროლა აუტეხეს. ორმხრივი სროლის დროს მზვერავებს ერ-

თი შეიარაღებული და ერთი უიარაღო აჯანყებული ხელში ჩაუვარდათ. აჯანყებულებმა ლ. სოსელიას დამორჩილებისა და ფ. მახარაძის მათთვის გადაცემის მოთხოვნით დელეგაცია გაუგზავნეს. აჯანყებულები პირობას იძლეოდნენ ფ. მახარაძეს „არაფერს არ ვაწყენინებთო“ (**გ. შემოქმედელი.** პროვინციაში. ბანდიტების გამოსვლა შემოქმედის თემში (გურია).— გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №213, 18 სექტემბერი, გვ. 3). ფ. მახარაძის დასაცავად სოფ. **გომში** და სოფ. **გონების კარში** 45 კომუნარი შეიკრიბა. ფ. მახარაძის ხელში ჩაგდების მიზნით იზრდებოდა აჯანყებულთა რაოდენობაც. აჯანყებულთა შტაბმა გასცა ბრძანება: „რათაც არ უნდა დაჯდეს, შეიპყარით!“ დიდი ძალისხმევის შედეგად მილიციელებმა ფ. მახარაძე, მეუღლესთან ერთად, ჯერ სოფ. გომის მთაზე გადაიყვანეს, აქედან კი — აჭარაში. აჭარის საზღვართან ფ. მახარაძეს აჭარის საგანგებო ხუთეულის თავმჯდომარე, **ხიმშიაშვილი,** დახვდა, რომელმაც ფ. მახარაძეს უპატაკა: „აჭარისტანის რესპუბლიკაში სრული სიწყნარეა, არავითარ სიგლახეს აქ ადგილი არა აქვს“-ო (**გ. შემოქმედელი.** პროვინციაში. ბანდიტების გამოსვლა შემოქმედის თემში (გურია).— გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №213, 18 სექტემბერი, გვ. 3).

აჯანყებულებმა სოფლები: **ბახვი** და **ლიხაური** დაიკავეს და ყველა ადგილობრივი კომუნისტი დააპატიმრეს. სოფ. **ლიხაურში** აჯანყებულებს მხოლოდ ერთი ჩეკისტი გაექცათ. სოფ. ლიხაურის დაკავებაში განსაკუთრებით **სევერიანე თოიძემ** გამოიჩინა თავი. აჯანყებულებმა სოფლებში: ბახვში, შემოქმედში და ლიხაურში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ მთელი თავიანთი ძალები ქ. ოზურგეთის ასაღებად წარმართეს (**სიმონ გოგიბერიძე.** ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 79).

ლანჩხუთის რაიონის დაკავებას **თეოფილე მუხაშავრია** ხელმძღვანელობდა. ლანჩხუთის რაიონული ფოსტის შენობას მილიციელი **ალექსანდრე ერქომაიშვილი** მარტო

იცავდა. ა. ერქომაიშვილი აჯანყებულებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უმკლავდებოდა. ლანჩხუთის რაიონული მილიციის უფროსი, **კ. ორაგველიძე,** ერთ მილიციელთან ერთად მილიციის სამმართველოში გამაგრდა. მალე კ. ორაგველიძეს ადგილობრივი კომუნარების რაზმმა მოუსწრო. რამდენიმე საათიანი ბრძოლა აჯანყებულთა დამარცხებით დამთავრდა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 43-43ა). ლანჩხუთის რაიონში 1924 წლის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს: **პროკოფი თურნავამ,** სოფ. სახურის სკოლის მეორე კლასის მოსწავლემ; **სოფრომ გურგენიძემ,** პეტრე მელიქიშვილის სახელობის ტექნიკუმის სტუდენტმა; **ქრისტეფორე ბოლქვაძემ,** ფოსტა-ტელეგრაფის სასწავლებლის მსმენელმა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 41). გაქცევის წინ აჯანყებულებმა ლანჩხუთის კოოპერატივიდან გლეხებისათვის დასარიგებელი აბრეშუმის პარკის საფასური 6 000 მანეთი გაიტაცეს (**მენშევიკურ ბანდიტების ლიკვიდაცია. რა მოხდა გურიაში (ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). „მეკვერცხეთა ბუდე".— გასტროლიორები.— „დემოკრატიული მთავრობა".— კომუნისტების დატუსაღება.— გამოსვლების ლიკვიდაცია.— წითელი ჯარი.— გლეხობის გამოფხიზლება.**—გაზეთი „კომუნისტი", 1924, №206, 10 სექტემბერი, გვ. 1).

1924 წლის 29 აგვისტოს, დილის 4 საათზე, სოფ. **სუფსაში** აჯანყებულები შეიჭრნენ. აჯანყებულები პირველად მილიციის სამმართველოს თავს დაესხნენ. მილიციის უფროსმა, **ტუღუშმა,** გაქცევა მოასწრო. აჯანყებულებმა მილიციელებს, რომლებსაც ტყვიამფრქვევი გაეჭედათ, იარაღი აჰყარეს. სროლის ხმის გაგონებისთანავე სუფსის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე, **დ. მეგრელიძე,** სახლიდან გამოვიდა და რამდენიმე კომუნისტთან ერთად მდინარე სუფსის ხიდთან გამაგრდა. ის ხიდს ჯავშნოსანი მატარებლის მოსვლამდე იცავდა. აჯანყებულებმა სუფ-

სის აღმასრულებელი კომიტეტის კანცელარიაში საქმიანი ქაღალდები გაანადგურეს, საწყობიდან სიგარეტი და წაღები გამოიტანეს (**ა. თორდია.** პროვინციაში. სუფსა.—გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №206, 10 სექტემბერი, გვ. 4). სუფსაში აჯანყებულებმა ტელეგრაფით შეიტყვეს ხაშურში მყოფი რუსეთის წითელი ჯარის უფროსის ბრძანება, რომელიც სამტრედიაში დაბანაკებულ წითელი ჯარის რაზმებს გურიის აჯანყებულების წინააღმდეგ მოქმედებას ავალებდა. მანამდე სუფსა ბათუმიდან მოსულმა წითელმა ჯარმა დაიკავა.

1924 წლის 30 აგვისტოს აჯანყებულები **ნასაკირალის მთაზე** შეიკრიბნენ, რათა ქ. **ოზურგეთზე** შეტევა დაეწყოთ. იმავე დღეს, ნაშუადღევისათვის, ქ. ოზურგეთში მყოფმა საბჭოთა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა და რუსის ჯარმა, რომლებსაც ჯავშნოსანი მატარებელიც მიემატა, აჯანყებულების წინააღმდეგ სოფ. **ექადიის** მიმართულებით შეტევა დაიწყეს. აჯანყებულებმა სოფ. **შემოქმედისაკენ** დაიხიეს. სოფლები ლიხაური და ექადია კომუნისტების ხელში აღმოჩნდა. აჯანყებულებმა, ტყვე კომუნისტებთან ერთად, **ნიგოითის ქედი** გადაიარეს. მიუხედავად ამისა, აჯანყებულებს ქ. **ოზურგეთზე** შეტევაზე ხელი არ აუღიათ.

სურების რაზმს თეოფილე მუხაშავრიას მეთაურობით სოფ. **სიროულ-ჯუმათის** მიმართულებით მოქმედება დაევალა. ამ რაზმს **ნიგოითის მთიდან** კომუნისტები უნდა განედევნა. სურების რაზმს სოფ. **მოდინახეს** მხრიდან ქ. ოზურგეთზე უნდა შეეტია.

ლანჩხუთის ორ რაზმს და ნაგომარის რაზმს მდინარე ნატანებზე გადასვლა დაევალა, რის შემდეგაც ისინი საბჭოთა ხელისუფლების იმ რაზმს მოექცეოდნენ ზურგში, რომელიც **პარმენ ჭანუყვაძეს** მისდევდა. აჯანყებულებმა პ. ჭანუყვაძეს მათი გეგმა აცნობეს და უბრძანეს, არავითარ შემთხვევაში უკან არ დაეხია. ამ ორი ამოცანის წარმატებით შესრულების შემდეგ ეს რაზმები აჯანყებულთა მარჯვენა

და მარცხენა ფრთად გადაიქცეოდნენ, ნასაკირალის მთაზე მყოფი აჯანყებულთა რაზმი კი — ცენტრალურ რაზმად. 1924 წლის 1 სექტემბერს ამ ძალებს ქ. ოზურგეთზე შეტევა უნდა დაეწყოთ. სურების რაზმმა დაკისრებული ამოცანა პირნათლად შეასრულა: გაათავისუფლა სოფლები **სიროული** და **ჯუმათი**, გაამაგრა **ნიგოითის ქედი**, მოწინააღმდეგის მიერ აჯანყებულთა ტყვეობიდან გათავისუფლებული კომუნისტები ხელახლა დააპატიმრა და ქ. ოზურგეთზე შეტევისათვის მოემზადა. სამწუხაროდ, ლანჩხუთისა და ნაგომარის რაზმებმა დავალება ვერ შეასრულეს, რადგან პ. ჭანუყვაძემ თავისი პოზიცია დატოვა და სოფ. **ბაღდადის** სიმაღლეებისაკენ გაემართა. პ. ჭანუყვაძემ ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ბათუმიდან წამოსული მუშათა საგანგებო რაზმის ნაწილები სოფლების **შემოქმედ-ასკანა-ბასილეთის** მიმართულებით მოიწევდნენ და მას ალყაში მოქცევა ემუქრებოდა. პ. ჭანუყვაძის უკან დახევისთანავე კომუნისტებმა ქ. ოზურგეთში არსებული ქვემეხები სოფ. ბაღდადის სიმაღლეებისაკენ მიმართეს (**სიმონ გოგიბერიძე**. ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 80-82).

1924 წლის 1 სექტემბერს, საღამოს, აჯანყებულთა ხელმძღვანელობამ თათბირი მოიწვია. თათბირზე გადაწყდა ორგანიზებულად უკან დაეხიათ. **პ. ჭანუყვაძის** რაზმმა და სოფ. აკეთის რაზმმა **პ. თოხაძის** მეთაურობით ბრძოლით სოფლების **ასკანა-ბასილეთ-ჭაჭიეთის** გზით სოფ. ხიდისთავისაკენ დაიხია. სურების რაზმმა ბრძოლით გაიკაფა გზა და **ბახმაროს მთაზე** მყოფ აჯანყებულებს შეუერთდა. ნასაკირალის მთაზე მყოფმა აჯანყებულთა რაზმმა სოფ. ნაგომარისაკენ დაიხია. უკან დახევის დროს აჯანყებულებს არც ერთი ტყვე კომუნისტი არ გაუთავისუფლებიათ.

ფხიზლად იყო აჭარის საბჭოთა ხელისუფლება, რადგან გურული აჯანყებულების აჭარაში გადასვლა იყო მოსალოდნელი. აჭარის საგანგებო ხუთეულის გადაწყვეტილე-

ბით, ქობულეთში გაიგზავნა 50 შეიარაღებული კომუნარი და 10 წითელარმიელი ერთი ტყვიამფრქვევით (ამ დროს გურული აჯანყებულების ნაწილი ქობულეთის მიმართულებით მიდიოდა). აჯანყებულებმა სოფლები **შემოქმედი** და **გომი** გაამაგრეს, მაგრამ კომუნარებმა აქაც მოახერხეს მათი წინააღმდეგობის დაძლევა. გაქცეულმა აჯანყებულებმა ბახმაროს მთას მიაშურეს. აჭარის საგანგებო ხუთეულმა ხულოს მაზრის საგანგებო სამეულს აჯანყებულების მიერ დაკავებული **ბახმაროს მთის** გათავისუფლება და **ბახმარო-ზოიტის** და **გომის მთის** გაყოლებით სამხედრო ხაზის გამაგრება უბრძანა (**აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი,** ფონდი №2, აღწერა №1, საქმე №19, ფურცელი 226).

სოფ. **ხიდისთავს** ოზურგეთის მხრიდან მოსული რუსული წითელი არმიის ნაწილები მოადგნენ და აჯანყებულებს ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნეს. ბრძოლაში რამდენიმე აჯანყებული დაიღუპა. სოფ. **ხიდისთავში** აჯანყებულთა მეთაურებმა 180 ტყვე კომუნისტიდან 38 დაიტოვეს: **ანდრო დოლიძე** (ოზურგეთის მაზრის ხუთეულის თავმჯდომარე), **პოლშინი** (რუსი ჩეკისტი), **ჭანიშვილი, ნინიძე** და სხვ. დანარჩენი ტყვეები კი გაათავისუფლეს.

სოფ. **ჭაჭიეთის** მაღლობზე აჯანყებულებსა და ბათუმიდან წამოსულ მუშათა საგანგებო რაზმის ნაწილებს შორის შეტაკება მოხდა. შეტაკებისას ლანჩხუთის რაზმმა რამდენიმე მებრძოლი დაკარგა.

1924 წლის 2 სექტემბერს, 13 საათზე, **ჩოხატაურისაკენ** მიმავალი აჯანყებულთა რაზმი ს. მათითაიშვილის რაზმს სოფ. **ჯვარცხმის** მაღლობზე შეუერთდა. იქვე იმყოფებოდა აჯანყებულთა სამაზრო კომიტეტი, დამკომის წარმომადგენელი **ქავთარაძე** და სხვ. სოფ. ჯვარცხმაში აჯანყებულებსა და რუსის ჯარს შორის შეტაკება მოხდა.

აჯანყებულთა ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1924 წლის 29 აგვისტოდან 1924 წლის 2 სექტემბრის საღა-

მომდე **საჯავახოს მთაზე** იდგა და მოწინააღმდეგეს უმკლავდებოდა. 1924 წლის 2 სექტემბერს მათ პოზიციის დატოვების ბრძანება მიიღეს. შესაბამისად, რაზმმა საჯავახოს მთა დატოვა.

სოფ. **სურებისაკენ** მიმავალმა აჯანყებულებმა ტყვე კომუნისტები გზაში დატოვეს და მათ დამცველად რამდენიმე შეიარაღებული აჯანყებული გამოჰყვეს. 1924 წლის 3 სექტემბერს, შუადღისას, აჯანყებულებმა სოფ. სურებში ჩააღწიეს. სოფ. სურების მცხოვრებლები აჯანყებულთა მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდნენ: საგზალს უმზადებდნენ, ფეხსაცმელს და ტანსაცმელს აძლევდნენ და სხვ. სოფ. სურებში მყოფ აჯანყებულებს იმერეთიდან გადმოსული **ვლასა მგელაძე** შეუერთდა. ვ. მგელაძემ მათ იმერეთში განვითარებული მოვლენების შესახებ აუწყა. ამ დროს აჯანყებულთა თავზე აეროპლანმა გადაიფრინა, რომელმაც აჯანყებულებს ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნა და ფურცლები გადმოყარა. ფურცლები დამკომის მოწოდება აღმოჩნდა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელები აჯანყებულებს აჯანყების მთელ საქართველოში დამარცხებას ამცნობდნენ და ყოველგვარი წინააღმდეგობის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდნენ. სოფ. სურებში მყოფ აჯანყებულებს **ახალციხიდან** წამოსული სომეხი კურსანტების რაზმი გადაეყარა. კურსანტთა რაზმს ქართველები მეთაურობდნენ. კურსანტების რაზმმა აჯანყებულებს გვერდი აუარა.

1924 წლის 3 სექტემბერს წითელმა არმიამ ჩოხატაური დაიკავა, სოფ. სურები კი — 4 სექტემბერს (**სიმონ გოგიბერიძე**. ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991, გვ. 83-88). 4 სექტემბერს წითელმა ჯარმა **გომის მთა, ბახმარო** და **ზოტიყელი** დაიკავა. იმავე დღეს აჭარის ხუთეულის თავმჯდომარემ, **თ. ხიმშიაშვილმა,** ხულოში **ო. მოწყობილს** აცნობა, რომ დაახლოებით 200-250 შეიარაღებული აჯანყებული ს. მათითაიშვილის მეთაურობით სოფ. სურებისაკენ მიემართებოდა.

წითელი არმიის ნაწილებმა სოფ. სურებისაკენ მიმავალი გზა გადაკეტეს და ს. მათითაიშვილს სოფელში შესვლის შესაძლებლობა არ მისცეს (**აცსა,** ფონდი №2, აღწერა №1, საქმე №30, ფურცელი 473).

ხულოს მაზრის საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება **ბახმარო-გომის მთის** გამაგრებას მიაქცია. დაიწყო აჯანყებულებთან შეტაკება. ერთ-ერთი შეტაკების დროს ხულოს მაზრის რაზმმა სოფ. **ბახმაროში** 17 აჯანყებული დაატყვევა, **გომის მთაზე** კი — 15.

1924 წლის 28 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით აჭარიდან გურული აჯანყებულების წინააღმდეგ სულ 500 კომუნარი გაიგზავნა სამი ტყვიამფრქვევითა და ერთი ჯავშანმანქანით. კომუნარების ამ რაზმებს **ქავთარაძე, კილაძე, ახალაძე, რამიშვილი, ცხომელიძე** და **კომროვსკი** ხელმძღვანელობდნენ (**ირაკლი მანველიძე.** საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 49).

1924 წლის აჯანყების დროს გურიაში საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან დაიღუპნენ: **შალვა იასონის ძე ურუშაძე,** კომკავშირელი, აჯანყებულებმა სოფ. დვაბზუში მოკლეს, მისი ძმა კი სოფ. აცანაში ბრძოლაში დაიჭრა; **ნესტორ ვადაჭკორია,** აჯანყებულთა ტყვეობაში დაიღუპა სოფ. შუხუთში; **შალვა ლევანტის ძე დობორჯგინიძე,** აჯანყებულებმა მოკლეს ლანჩხუთში; **თედო ფილიპეს ძე ხურციძე,** კომუნისტი, აჯანყებულებმა სოფ. დვაბზუში მოკლეს; **ალექსანდრე ლავრენტის ძე ერქომაიშვილი,** შეტაკების დროს დაიღუპა ლანჩხუთში; **ერასტო გაბრიელის ძე ღლონტი,** კომუნისტი, აჯანყებულებმა სოფ. დვაბზუში იარაღის აყრის დროს მოკლეს; **ირაკლი ნიკოლოზის ძე თავდუმაძე,** კომუნისტი, დაიღუპა სოფ. ლიხაურში შეტაკების დროს; **დათა ქუტიძე,** აჯანებულებმა მოკლეს ოჯახიდან გატაცების შემდეგ

სოფ. ახალსოფელში; **ვლადიმერ სოლომონის ძე მიმინოშვილი**, კომუნისტი, დაიღუპა ნატანების რაიონში შეტაკების დროს; **კალისტე კოიძე**, კომუნისტი, დაიღუპა შეტაკების დროს; **ელიზბარ მიქელის ძე ჭანიშვილი**, დაიღუპა სუფსაში შეტაკების დროს; **ბიქტორ ალექსანდრეს ძე თედორაძე**, კომუნისტი, დაიღუპა საჯავახოს მთაზე შეტაკების დროს; **კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე კავზოვი**, აჯანყებულებმა მოკლეს დატუსაღების დროს; **ილარიონ იასონის ძე სიხარულიძე**, კომუნისტი, აჯანყებულებმა მოკლეს ცხემლის ხიდზე; **მარუსია მიხეილის ასული დობორჯგინიძე**, კომკავშირელი, დაიღუპა აჯანყებულებთან შეტაკების დროს; **გიორგი სპირიდონის ძე ზაქარეიშვილი**, კომუნისტი, დაიღუპა 29 აგვისტოს საჭამიასერში შეტაკების დროს; **ბესარიონ ილარიონის ძე მეფარიშვილი**, კომკავშირელი; **მაკარ თედოს ძე ართილაყვა**, დაიღუპა 31 აგვისტოს სოფ. დვაბზუში შეტაკების დროს; **ვალერი ფრიდონის ძე ხოფერია**, დაიღუპა 29 აგვისტოს ლანჩხუთში; **ერმილე სოლომონის ძე ურუშაძე**, კომუნისტი, აჯანყებულებმა მოკლეს სოფ. ორაგვეში დატყვევების დროს (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №43, ფურცელი 76).

§4. სვანეთი. რაჭა-ლეჩხუმი

1924 წლის 28 აგვისტოს, ღამით, შეთანხმებისამებრ, ბალის მთაზე 150 სვანი შეიკრიბა, რომელთა შორის იყვნენ: **იშმაგ ქურდიანი (მღვდელი), ბაუჩი ქალდანი, ელიზბარ იოსელიანი, ალექსანდრე შერვაშიძე, ვარლამ შერვაშიძე, ბესარიონ ჟორჟოლიანი, აფრასიონ ჟორჟოლიანი, მიხეილ (მიშა) ჟორჟოლიანი, ივანე გაბლიანი, ვლადიმერ გაბლიანი, გიორგი გაბლიანი, თედო გუჯეჯიანი, არჩილ გუჯეჯიანი, არდევან ზურაბიანი, გოჯი ჯაფარიძე, გრიგოლ ჯაფარიძე, კონსტანტინე ჯაფარიძე, სარდიონ გოშტელიანი,**

ერმოლოზ გოშტელიანი, ბესარიონ ხერგიანი, გიორგი ხვისტანი, ისიდორე გულბანი, გიორგი გულბანი, ილარიონ მარგველანი (ბიძინა პირველის მარჯვენა ხელი), **ვასილ არღვლიანი, გიორგი გუჯეჯიანი, სილო მარგიანი, რაფა გულბანი, თენგიზ დადეშქელიანი, კონსტანტინე (კონია) დადეშქელიანი, მოსესტრო დადეშქელიანი, მირზაყან დადეშქელიანი, თენგიზ დადეშქელიანი** (კონია დადეშქელიანის ძმა), **არდევან ჭკადუა, კილინებეი რეზესიძე, ბიქუ ცინდელიანი, ერასტი შერვაშიძე, კოსტა შერვაშიძე, სალიბე ბალდანი, თავადე გადრანი** და სხვ. (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1062, ფურცელი 5-6). შეკრებილებს ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისაგან გამოგზავნილი წერილები წაუკითხეს და აუწყეს, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება უნდა დაწყებულიყო. ამის შემდეგ ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა შეკრებილები სამ 50 კაციან რაზმად დაჰყვეს. ერთ-ერთ რაზმს სათავეში **ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი** ჩაუდგნენ, დანარჩენ ორს — **ძმები კონსტანტინე (კონია) და მოსესტრო დადეშქელიანები (საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა).** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 112). ძმები დადეშქელიანები აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად პირადად ბ. პირველმა მიიწვია. 1924 წლის 28-29 აგვისტოს, ღამის 2 საათზე, აჯანყებული სვანები ზემო სვანეთის ადმინისტრაციულ ცენტრს, სოფ. **ბეჩოს,** თავს დაესხნენ. აჯანყებულებმა ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლებას მოსთხოვეს მთელი სახაზინო ქონება და იარაღი მათთვის გადაებარებინა, რადგან, მათი თქმით, მთელი საქართველოს მასშტაბით ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება დაიწყო და ძალაუფლება პატრიოტულმა ძალებმა აიღეს ხელში. ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყე-

ბულთა წინადადება უარყო. ორმხრივი სროლები დაიწყო. ხელისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა აჯანყებულთა შტურმს ვერ გაუძლეს, იარაღი დაყარეს და აჯანყებულებს ტყვედ ჩაბარდნენ. ტყვედ ჩავარდნილთა შორის იყვნენ: **ანდრო ამაშუკელი** (ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსი), **შალვა (შალიკო) ამილახვარი** (ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე), **ბესარიონ (ბესო) ამაშუკელი** (სოფ. ბეჩოს მილიციის უფროსი), **გრიგოლ (გრიშა) კარანაძე, შალვა (შალიკო) ნიკურაძე** (მესტიის რაიონული მილიციის უფროსი), **პარმენ ნოდია** (სახალხო მოსამართლე) და სხვები, სულ 35 კაცი. აჯანყებულებმა ისინი განაიარაღეს და გაათავისუფლეს (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 7-8).

1924 წლის 29 აგვისტოს, დილით, სოფ. ბეჩოს დაკავების შემდეგ აჯანყებულებმა მიტინგი ჩაატარეს. მიტინგზე პირველად ყოფილი თავადი **თენგიზ დადეშქელიანი** გამოვიდა, რომელმაც ხალხს საბჭოთა წყობილების დამხობის მიზნით გაერთიანებისაკენ მოუწოდა. თენგიზ დადეშქელიანის თქმით, 1924 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას საქართველოსთან ერთად სომხეთი და თითქმის მთელი რუსეთი დაიწყებდა და არა უმეტეს ერთი კვირისა საბჭოთა წყობილება ყველგან დაემხობოდა. ანალოგიურად ილაპარაკა ეგნატე გაბლიანმა. ამის შემდეგ აჯანყებულთა რიცხვმა ათასს მიაღწია (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №829, ფურცელი 37). ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა ხალხს აუხსნეს, რომ შესაძლებელი იყო აჯანყების დამარცხება, ამიტომ, მათი თქმით, ვისაც არ ჰქონდა აჯანყებაში მონაწილეობის სურვილი, შეეძლო არ ჩაბმულიყო მასში. ხალხმა ერთხმად განაცხადა, რომ მათ წინასწარ ჰქონდათ ყველაფერი აწონილ-დაწონილი და მზად იყვნენ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურ-

ცელი 38). ამის შემდეგ ბიძინა პირველმა ზემო და ქვემო სვანეთის რაზმების შტაბი შექმნა. რაზმების მეთაურობა თავის თავზე ბიძინა პირველმა აიღო. შტაბის უფროსად **ეგნატე გაბლიანი** დაინიშნა, სვანეთის ცენტრის რწმუნებულად — ექიმი **ილია კობალაძე,** შტაბის მდივნად — **კაპიტონ ჭიჭინაძე.** შტაბში მნიშვნელოვან ფუნქციებს **პავლე კობეშავიძე** (მესტიის აღმასრულებელი კომიტეტის საქმის მწარმოებელი, ყოფილი ოფიცერი) ასრულებდა (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა).** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 112).

სოფ. ბეჩოს დაკავების შემდეგ აჯანყებულთა მხარეზე ნებაყოფლობით გადავიდნენ: ადგილობრივი რაიონული მილიციის უფროსი, ყოფილი ოფიცერი **კაპიტონ ჭიჭინაძე,** სადაზღვევო სალაროს რწმუნებული **გიორგი ბერულოვი,** მეათე ქალი **სოფიო პავლეს ასული ახალაძე,** მილიციელები: **იასონ ლაგოშვილი, დილიმონ გერგასლიდი, ზაქარია სამადაშვილი და დავით გორდაძე.**

1924 წლის 31 აგვისტოს სვანეთიდან ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, უღელტეხილ უსენგის (მდებარეობს ამ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე) გავლით აჯანყებულების მიერ გათავისუფლებული მილიციელები გადავიდნენ, რომელთა შორის იყვნენ: სამაზრო მილიციის უფროსის თანაშემწე **შალვა ამილახვარი,** სახალხო მოსამართლე **პარმენ ნოდია,** სამაზრო გამომძიებელი **კუგუნალო** და სხვ. ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობამ ენერგიული ზომები მიიღო სვანეთ-ბალყარეთის საზღვრის გასამაგრებლად, რათა ბალყარელებს აჯანყებული სვანებისათვის მხარი არ დაეჭირათ. თუმცა ბალყარელებს სვანეთში მიმდინარე მოვლენებისადმი დაინტერესება არ გამოუმჟღავნებიათ. ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობას განსაკუთრე-

ბით ბელიმის საზოგადოებაში მომუშავე სვანების ეშინოდა (ბელიმი ბალყარეთის ერთ-ერთ რაიონს წარმოადგენდა), რომელთა რიცხვი 200 აჭარბებდა. მაგრამ ყაბარდო-ბალყარეთში სრული სიმშვიდე იყო (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №829, ფურცელი 37).

1924 წლის 29 აგვისტოს ზემო სვანეთის თხუთმეტიევე საზოგადოებას ბიძინა პირველისა და ეგნატე გაბლიანის მიერ ხელმოწერილი ბრძანება დაეგზავნა. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ყველა სვანი 20-დან 40 წლამდე, ვისაც თოფი გააჩნდა, მიმდინარე წლის 2 სექტემბერს უნდა გამოცხადებულიყო სოფ. კალაში საკუთარი იარაღითა და ორი დღის სამყოფი სურსათით. სოფ. კალაში შეკრების შემდეგ აჯანყებულები ქვემო სვანეთში გადასვლას გეგმავდნენ. 1924 წლის 2 სექტემბერს სოფ. კალაში 120 შეიარაღებული სვანი შეიკრიბა. 3 სექტემბერს აჯანყებულები სოფ. ჩოლურში შევიდნენ, სადაც ძალაუფლება უკვე აეღო ხელში აჯანყებულ **გრიგოლ კვასტიანს**. ბიძინა პირველის რაზმს შეუერთდნენ **გრიგოლ კვასტიანი**, სოფ. ლაშხეთის აჯანყებულთა მეთაური **მალაქია ონიანი** და ასევე სოფ. ლენტეხის აჯანყებულთა მეთაური. მათ განკარგულებაში 50 შეიარაღებული და 150 უიარაღო სვანი იყო (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა)**. იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 112).

1924 წლის 4 სექტემბერს ქვემო სვანეთიდან აჯანყებულებმა ლეჩხუმის მაზრის მიმართულებით წასვლა გადაწყვიტეს. აქ მათ ჩასაფრებულმა კომუნარებმა სროლა აუტეხეს. კომუნარებმა აჯანყებულთა იერიშებს ვერ გაუძლეს და რამდენიმე მათგანი ტყვედ ჩავარდა, დანარჩენები კი ცაგერის მიმართულებით გაიქცნენ. აჯანყებულები გაქცეულებს დაედევნენ. ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი თავიანთი რაზმებით ცაგერში შეიჭრნენ და საპყრობილე აიღეს (**სშსსა**

(III), ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 24-25). ლეჩხუმის მაზრაში შესულ აჯანყებულ სვანებთან ერთად საბჭოთა ხელისულების წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ ადგილობრივი აჯანყებულები. ლეჩხუმის მაზრაში აჯანყებულებთან შეტაკებაში დაიღუპნენ უმცროსი მილიციელები: **ფილიპე გიორგის ძე ჩხეტიანი** (დაბადებული 1891 წ.) და **გიორგი ილარიონის ძე ჩაკვეტაძე** (დაბადებული 1889 წ, ფინანსური აგენტი), დაიჭრა 4 კომუნისტი და კომუნარი (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №43, ფურცელი 12). 1924 წლის 2 სექტემბერს აჯანყებულებმა ლეჩხუმის მაზრაში დახვრიტეს ძმები **გიორგი თეიმურაზის ძე ჩარკვიანი** (სახალხო მოსამართლის მდივანი, დაბადებული 1898 წელს) და **ერმოლოზ თეიმურაზის ძე ჩარკვიანი** (ფინანსური აგენტი, დაბადებული 1893 წელს) (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №43, ფურცელი 22).

მექვენის რაიონის (ეკუთვნოდა ლეჩხუმის მაზრას) ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება მოსალოდნელი აჯანყების შესახებ აჯანყებამდე ორი საათით ადრე იქნა ცენტრიდან (ცაგერიდან) გაფრთხილებული (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №45, ფურცელი 62). მექვენის რაიონში აჯანყების აღსაკვეთად ცაგერიდან ცხენოსანი რაზმი გაიგზავნა, რომელშიც იყვნენ: **ინდისი სვანიძე, კოლია ნერგაძე, გრიგოლ ლაკვებელიანი, კოლია ლეთოდიანი, გრიგოლ სვანიძე, იაკობ ახვლედიანი** და სხვ. რაზმს მექვენის რაიონში აჯანყების ჩახშობასთან ერთად აჯანყების მონაწილეების დაპატიმრება და ცაგერში გაგზავნა ევალებოდა. ამოცანის წარმატებით შესრულების შემდეგაც რაზმი ადგილზე უნდა დარჩენილიყო. მაგრამ ცაგერში აჯანყებული სვანების შეჭრის გამო ეს რაზმი მალევე ცაგერში გამოიძახეს. ამ რაზმმა მექვენის რაიონში საეჭვო პირები დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის მრავლად იყვნენ ქალები. ამასთან, რაზმის წევრებმა **კოლია ნერგაძემ** და **გრიგოლ ლაკვებელიანმა**

პატიმარი ქალები გააუპატიურეს (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №42, ფურცელი 39).

ცაგერში მყოფმა ბიძინა პირველმა და ეგნატე გაბლიანმა საბჭოთა ხელისუფლების მიერ აჯანყების მთელი საქართველოს მასშტაბით ჩახშობის შესახებ შეიტყვეს. ამიტომ, მათ ცაგერს ალყა შემოარტყეს და ყველა სტრატეგიული ადგილი დაიკავეს. ცაგერში აჯანყებული სვანები რუსის ჯარს შეეტაკნენ. აჯანყებულები ბრძოლის გაგრძელების უპერსპექტივობაში დარწმუნდნენ და სვანეთში დაბრუნდნენ. ეს გადაწყვეტილება აჯანყებულებმა იმ მოსაზრებით მიიღეს, რომ ქვემო სვანეთი ზემო სვანეთისაგან განსხვავებით კარგად იყო გამაგრებული. ქვემო სვანეთში რუსის ჯარმა აჯანყებულებზე იერიში მიიტანა, თუმცა უშედეგოდ. აჯანყებულებმა რამდენიმე რუსის ჯარისკაციც კი შეიპყრეს. თუ დატყვევებულ რუს ჯარისკაცს ექიმის დახმარება დასჭირდებოდა, აჯანყებულები სპეციალურად შექმნილ საექიმო პუნქტებში უმალვე აღმოუჩენდნენ მათ დახმარებას (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 25-26).

1924 წლის 11 სექტემბერს ქვემო სვანეთში მყოფ აჯანყებულებს სოფ. **ლექსურაში** ზემო სვანეთიდან მოსული აჯანყებულები შეუერთდნენ, რომელთა შორის იყვნენ სამეგრელოს აჯანყების მეთაურები: **ხარიტონ ლაშხია, დავით მხეიძე, შალვა კალანდარაშვილი, აკაკი კალანდარაშვილი, თეოფანე შენგელია** და სხვები, სულ 120 კაცი (სამეგრელოში აჯანყების დამარცხების შემდეგ მათ სვანეთის ტყეებს შეაფარეს თავი) (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა)**. იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 113). სამეგრელოდან გაქცეულმა აჯანყებულებმა ბიძინა პირველს აჯანყების დამარცხების შემდეგ დაწყებული უსასტიკესი რეპრესიების შესახებ აუწყეს. ბიძინა პირ-

ველს გაზეთები მოუტანეს, რომლებიც აჯანყების მთელი საქართველოს მასშტაბით დამარცხებას ადასტურებდა. გაზეთში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელების განცხადება იყო მოთავსებული, რომლითაც ისინი აჯანყებულებს წინააღმდეგობის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდნენ. ბიძინა პირველმა აჯანყების ყველა აქტიურ მონაწილეს წერილები დაუგზავნა და ურჩია მათ რუსის ჯარისათვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ. მიუხედავად ამისა, აჯანყებულებს რუსის ჯართან შეტაკებამ მაინც მოუწიათ, რომლის დროსაც რუსის 9 ჯარისკაცი დაიღუპა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 27). 1924 წლის 14 სექტემბერს ბიძინა პირველმა აჯანყებულები დაითხოვა, თვითონ კი იფარის ტყეს შეაფარა თავი (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა).** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 113). საბოლოოდ, სვანმა აჯანყებულებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 27).

§5. აფხაზეთი

1924 წლის 28-29 აგვისტოს, ღამეს, აჯანყებულებმა **კონსტანტინე (კოწია) დადეშქელიანის** მეთაურობით **წებელდის რაიონში** ძალაუფლება ხელში აიღეს. კოწია დადეშქელიანმა სოფ. **აჟარის** სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ **ბესარიონ გიორგის ძე აფროსიძე** დანიშნა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 135). კოწია დადეშქელიანმა ხმები გაავრცელა, რომ მთელ საქართველოში და, მათ შორის აფხაზეთშიც, საბჭოთა ხელისუფლება დაემხოო (**აფხაზეთში.**—გაზეთი „კომუნისტი", 1924, №205, 9 სექტემბერი, გვ. 2).

1924 წლის აგვისტოს აჯანყებას ადგილი ჰქონდა **საბერიოს რაიონში**. აქ აჯანყების სათავეში **ჩხოტუა** იდგა (**ფარი — საიმედო, მახვილი — ბასრი.** რედაქტორი ა. ნ. ინაური. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1987, გვ. 78). მასალები საბერიოს რაიონში აჯანყების მსვლელობის შესახებ არქივში ფრაგმენტული სახითაა შემონახული, რის გამოც აჯანყების დეტალურად აღწერა ვერ ხერხდება.

§6. აჭარა

აჭარას საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. აჯანყებისათვის მზადება ბათუმში სტამბოლიდან რამდენიმე პირის ჩამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა. ქ. ბათუმში სამხედრო შტაბი შეიქმნა, თუმცა ის დაარსების დღიდან საგანგებო კომისიის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. საქართველოს საგანგებო კომისიიდან და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიიდან ბათუმში მაღალი რანგის ჩეკისტები გაიგზავნა. 1924 წლის 27 აგვისტოს აჭარის საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტისა და სამხედრო ორგანიზაციის წევრები დააპატიმრა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 128). დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ აჭარაში შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნული გენერალ-მაიორი **სოლომონ ყარალაშვილი**, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის შტაბის წევრი **აკაკი რამიშვილი**, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე აჭარაში **ვასილ (ვასო) ჩიტაიშვილი**, ვალიკო ჯუღელთან ერთად პარიზიდან სპეციალური დავალებით ჩამოსული **ვიქტორ ცენტერაძე**. აჭარის საგანგებო კომისიის

ხელში აღმოჩნდა აჭარაში განსახორციელებელი აჯანყების გეგმა და „ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტები". გეგმის მიხედვით, ქ. ბათუმში უნდა გამოსულიყო სამასი შეუიარაღებელი კაცი. ნავარაუდევი იყო ქობულეთში შეიარაღებული რაზმის შექმნა. გეგმის მიხედვით, აჯანყებაში დიდი როლი ბათუმში დისლოცირებული ქართული წითელი ჯარის ერთი პოლკის ჯარისკაცებს უნდა შეესრულებინათ. ბათუმის არტილერიის საწყობს ქართველი ჯარისკაცები იცავდნენ. 300 შეუიარაღებელი აჯანყებული ამ საწყობიდან გამოტანილი იარაღით უნდა აღჭურვილიყო. აჭარის საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული წითელი ჯარის (პოლკის) მეთაურები სანდო პირებით შეცვალა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის გეგმის მიხედვით, გურიაში აჯანყების წარმატების შემთხვევაში ბათუმზე გალაშქრება იგეგმებოდა (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 43-45). 1924 წლის 28 აგვისტოს აჭარის საგანგებო კომისიამ სადგურ მწვანე კონცხთან სოციალისტ-ფედერალისტების სამხედრო შტაბის წევრები დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდნენ: სოციალისტ-ფედერალისტების ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე, დამკომის სამხედრო რწმუნებული ქობულეთში **გიგა ჩიქოვანი**; ქობულეთის სამხედრო უბნის სარდალი გენერალი **გიორგი ფურცელაძე**; სოციალისტ-ფედერალისტების სამხედრო შტაბის წევრი, უფროსი ლეიტენანტი **ვლადიმერ ახვლედიანი** და სხვ. გარდა ამისა ქ. ბათუმში „არასანდო" პირთა მასობრივი დაპატიმრებები განხორციელდა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 128). საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის განკარგულებით ქობულეთში გაიგზავნა 120 წითელარმიელისა და კომუნარისაგან შემდგარი რაზმი აჭარის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის

მოადგილის, **კილაძის,** მეთაურობით. 1924 წლის 29 აგვისტოს რკინიგზის სადგურების ნატანებისა და სუფსის მიდამოებში ამ რაზმსა და აჯანყებულებს შორის შეტაკება მოხდა. შეტაკების შემდეგ აჯანყების მეთაურები დააპატიმრეს (**ვალერი ბენიძე.** 1924 წლის აჯანყება საქართველოში. გამომცემლობა „სამშობლო", თბილისი, 1991, გვ. 27).

1924 წლის 27 აგვისტოს სოციალისტ-ფედერალისტმა **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩხაიძემ** მოსალოდნელი აჯანყების შესახებ სოციალისტ-ფედერალისტ **იესე კეჭეყმაძისაგან** (ბიძამისი) გაიგო. ი. კეჭეყმაძემ ა. ჩხაიძეს აუწყა, რომ ის ქ. ბათუმიდან ფარულად უნდა გასულიყო, რადგან წინა ღამეს თურმე მის სახლში ჩეკისტები მივიდნენ. ი. კეჭეყმაძემ ა. ჩხაიძე მეორე დღეს, დილისათვის, დაიბარა. ა. ჩხაიძემ მას თანხმობა მისცა და მეორე დღეს ქობულეთში გაემგზავრა. ქობულეთში ა. ჩხაიძის გარშემო 70 შეიარაღებული და უფრო მეტი შეუიარაღებელი კაცი დაირაზმა. სოფ. **ლიხაურში** ა. ჩხაიძის რაზმსა და რუსული წითელი არმიის კავალერიას შორის შეტაკება მოხდა. შეტაკებისას აჯანყებულთაგან ერთი მებრძოლი დაიღუპა. აჯანყებულთა რაზმმა სოფ. **შემოქმედისაკენ** დაიხია (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 212-215).

1924 წლის 28 აგვისტოს **გაბრიელ კონსტანტინეს ძე გოგოლეიშვილს** ვლადიმერ ახვლედიანმა აცნობა, რომ აჭარაში ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება იწყებოდა. ვ. ახვლედიანის თქმით, გ. გოგოლეიშვილს იესე კეჭეყმაძე უნდა ენახა, რომელიც მას მითითებებს მისცემდა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 220-221). ი. კეჭეყმაძის მითითებით, გ. გოგოლეიშვილი ა. ჩხაიძესთან ერთად ქობულეთში გაემგზავრა. გ. გოგოლეიშვილი ბათუმიდან ჩამომავალ შტაბს რკინიგზის სადგურზე ელოდებოდა, მაგრამ შტაბიც და გ. გოგოლეიშვილიც დააპატიმრეს (**პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის გასამართლება.**—გაზეთი „კო-

მუნისტი", 1925, №174, 1 აგვისტო, გვ. 3). გ. გოგოლეიშვილი ჩეკისტებმა ბათუმის საგანგებო კომისიაში გადააგზავნეს (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 220-221).

საქართველოს რეგიონებში 1924 წლის აჯანყების დაწყებისთანავე აჭარის **საგანგებო ხუთეული** შეიკრიბა. შეკრებაზე აჯანყების შესახებ მოხსენება ი. ქავთარაძემ გააკეთა. 1924 წლის 28 აგვისტოდან აჭარაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. ხუთეულმა იანოვსკის დაავალა სამხედრო მდგომარეობის შესახებ ბრძანების პროექტი წარმოედგინა. სხდომაზე **საგანგებო სამეულები** შეიქმნა. 1924 წლის 29 აგვისტოს ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის სპეციალური ბრძანება გამოიცა, რომელშიც ვკითხულობთ: „29 აგვისტოდან ბათუმის ქუჩებში 22 საათის შემდეგ სიარული სასტიკად აკრძალულია დილის 6 საათამდე. ამ დროს სიარული შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც ქალაქის კომენდანტის მიერ გაცემული მოწმობები ექნება. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, მასზე დაწესდება მკაცრი სასჯელი, კერძოდ სამი თვე პატიმრობა ან ხუთი ათასი მანეთი ჯარიმა". მოსახლეობა ბრძანების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, 1924 წლის 30 აგვისტოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის 12 კაცი დააპატიმრეს. დაპატიმრებები მომდევნო დღეებშიც გრძელდებოდა (**ოთარ გოგოლიშვილი**. ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი", ბათუმი, 2000, გვ. 62).

1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ დაადგინა: „მენშევიკების და ანტისაბჭოთა ძალების გამოსვლების სალიკვიდაციოდ შეიქმნას ცენტრალური საგანგებო ხუთეული — თ. ხიმშიაშვილის (თავმჯდომარე), ს. ქავთარაძის, დ. კილაძის, იანოვსკის, ტაკუნოვის, ახალაძის და წითლიძის შემადგენლობით. ხუთეულის ყველა განკარგულება შესრულე-

ბულ იქნას უსიტყვოდ და რიგგარეშედ, აჭარაში არსებულ ყველა დაწესებულებათა მიერ" (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 45). მაზრებში საგანგებო სამეულების ხელმძღვანელებად მიავლინეს მაღალი თანამდებობის კომუნისტები: ქობულეთის მაზრაში — **ბარამიძე**, ხულოს მაზრაში — **კომახიძე**, ქედის მაზრაში — **თავდიშვილი**, აჭარისწყლის მაზრაში — **სულუხია**, ჭოროხის მაზრაში — **გოგიტიძე (სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 128). 1924 წლის 29 აგვისტოს აჭარის საგანგებო ხუთეულის ბრძანება №1 გამოიცა, რომლითაც აჭარაში სამხედრო წესები გამოცხადდა. 1924 წლის 30 აგვისტოს აჭარის ცენტრალურმა საგანგებო ხუთეულმა მიიღო დადგენილება შავი ზღვის სანაპიროს საქართველოს მონაკვეთის დაცვის გაძლიერების შესახებ. ბათუმის მისადგომების დასაცავად 5 გემი გამოიყო, სანაპიროს დარჩენილი ნაწილისათვის კი — 7 გემი (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 45-46).

1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების პირველ დღეებში აჭარაში ადგილობრივი ღარიბი გლეხობა იქნა მობილიზებული. ქ. ბათუმში მობილიზებულ იქნა 260 კომუნისტი, 260 კომკავშირელი და 150 უპარტიო, სულ 1000 კაცზე მეტი (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 128). ისინი შეიარაღეს და სრულ მზადყოფნაში მოიყვანეს. კომუნართა მთავარ სამხედრო ხელმძღვანელად **ვ. ჩაჩბა** დაინიშნა (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 46). ნებაყოფლობით აიღო იარაღი ხელში 500-მდე მუშამ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 128). აჭარის ხუთი-

ვე მაზრაში სულ მობილიზებული იყო 2234 გლეხი, მათგან — 771 ქობულეთის მაზრიდან, 430 — ჭოროხის მაზრიდან, 255 — აჭარისწყლის მაზრიდან, 365 — ქედის მაზრიდან და 413 კაცი — ხულოს მაზრიდან (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 46). მობილიზებულმა გლეხებმა თურქეთთან აჭარის სასაზღვრო პუნქტები გააძლიერეს, რათა თურქეთში მყოფი შეიარაღებული რაზმები აჭარაში არ შემოჭრილიყვნენ. მობილიზებულმა გლეხებმა გააძლიერეს ასევე ბახმარო-ზოტის სასაზღვრო ხაზი, რომ ამით აჯანყებული გურულების მხრიდან აჭარაში გადმოსვლის შესაძლებლობა აღკვეთილიყო (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 128).

აჯანყებულების გურიის შტაბმა გადაწყვიტა აჭარაში ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება მოეხდინა. ამ მიზნით, აჭარაში **ლეო ლომაძე** და **კირილე სიხარულიძე** გაიგზავნენ. 1924 წლის 31 აგვისტოს ქ. ბათუმის ცენტრალურ მოედანზე ოცამდე კაცი შეიკრიბა, რომლებმაც მიტინგის ჩატარება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ — ყველა მათგანი დააპატიმრეს. დაპატიმრებისას **ნოდარ მენაბდემ** ხმამაღლა დაიძახა: **„ძირს სისხლიანი ხელისუფლება, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!"**

1924 წლის 1 სექტემბერს საგანგებო ხუთეულის თავმჯდომარეს, თ. ხიმშიაშვილს, აცნობეს, რომ მდ. ჩოლოქთან განლაგებულ ჩაჩბას რაზმს გურული აჯანყებულები დაესხნენ თავს. ჩაჩბას რაზმსა და აჯანყებულებს შორის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს თავდამსხმელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. აჯანყებული გურულების ერთი ნაწილი **ნიკოლოზ ურუშაძის** ხელმძღვანელობით გურიიდან ქობულეთისაკენ დაიძრა. სოფ. ქაქუთთან აჯანყებულებს საბჭოთა ჯარის ნაწილებმა გზა გადაუღობეს. ორმხრივი სროლების შემდეგ აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. ნიკოლოზ

ურუშაძის რაზმის დასახმარებლად ქობულეთიდან სოფ. ქაქუთის მიმართულებით **მაჰმუდ დიასამიძის** რაზმი დაიძრა. მაჰმუდ დიასამიძე ბრძოლის ველზე იმ დროს მივიდა, როდესაც ნიკოლოზ ურუშაძის რაზმი უკან იხევდა. ნიკოლოზ ურუშაძემ უკან დახევა შეაჩერა. მაჰმუდ დიასამიძის რაზმი დაუყოვნებლივ ბრძოლაში ჩაერთო. წითელი ჯარის ნაწილები ალყაში მოექცნენ. ამ დროს წითელი ჯარის ნაწილებს ოზურგეთიდან და ბათუმიდან დამხმარე ძალები მოუვიდათ. მაჰმუდ დიასამიძის რაზმი მთლიანად განადგურდა. თითქმის სრულად განადგურდა ნიკოლოზ ურუშაძის რაზმიც. მსხვერპლი წითელ არმიაშიც დიდი იყო.

ზემო აჭარაში ხულოს მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლებამ რამდენიმე ტყვიამფრქვევით დამატებით რაზმი გაგზავნა. ამ დროს ზემო გურიაში **შუქრი კეკელიძის** რაზმმა სოფლები **ქვაბღა, ზოტი და ჩხაკოურა** დაიკავა. აჯანყებულებმა ამ სოფლებში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები დაატყვევეს. ამის შემდეგ გურული აჯანყებულები აჭარის მიმართულებით დაიძრნენ. შუქრი კეკელიძემ მისი რაზმის წევრის, **ალიოსმან თავართქილაძის,** ხელით ხულოში მყოფ თანამოაზრეებს წერილი გაუგზავნა და აჯანყებისაკენ მოუწოდა. მაგრამ ხულოში აჯანყების დაწყება ვერ მოხერხდა, რადგან აჭარის საგანგებო კომისიამ რამდენიმე პირი დააპატიმრა. სოფ. ხულოში მყოფი ანტისაბჭოთა ძალები სოფ. ღორჯომში გადავიდნენ და მოსახლეობის დარაზმვა დაიწყეს. 1924 წლის 4 სექტემბერს სოფ. ღორჯომში ხალხი გამოვიდა და საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია მოითხოვა. აჯანყებულებმა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები დააპატიმრეს. ხალხის წინაშე სიტყვით **მემედ გაბაიძე** გამოვიდა, რომელმაც აღნიშნა, რომ გურიაში ხელისუფლებაში აჯანყებულები მოვიდნენ. მემედ გაბაიძის თქმით, ზემო გურიაში მოქმედი აჯანყებულები მათ დასახმარებლად მოემართებოდნენ. ამი-

ტომაც, მემედ გაბაიძის აზრით, საჭირო იყო დაუყოვნებლივ შეიარაღება და ხულოს მიმართულებით წასვლა. მემედ გაბაიძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ ასამდე კაცი თოფებით შეიარაღებულები სოფ. ხულოს მიმართულებით დაიძრა. აჯანყებულებმა დიდი მანძილის გავლა ვერ მოახერხეს, რადგან მათ სოფ. ხულოდან სოფ. ღორჯომში გამოგზავნილი წითელი ჯარის ნაწილები გადაეღობნენ **ო. მოწყობილის** მეთაურობით. ო. მოწყობილმა აჯანყებულებს დაპატიმრებული კომუნისტების გათავისუფლება მოსთხოვა, მაგრამ უშედეგოდ. ო. მოწყობილის რაზმმა შესაშინებლად ჰაერში გაისროლა. ამან მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. აჯანყებულები საბრძოლველად მოემზადნენ. დაიწყო ორმხრივი სროლები, რის შედეგადაც ორივე მხრიდან დაიღუპა 5 და დაიჭრა 3 მებრძოლი. ბოლოს, ო. მოწყობილი იძულებული გახდა უკან დაეხია, მაგრამ შორს არ წასულა, რადგან შეიტყო, რომ ხულოდან **ბასოვის** მეთაურობით წითელარმიელები მის დასახმარებლად მოემართებოდნენ (მათ მოჰქონდათ ორი ტყვიამფრქვევი). დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ ო. მოწყობილი შეტევაზე გადავიდა. ამასთან, ბასოვის რაზმმა ტყვიამფრქვევიდან აჯანყებულებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც 4 აჯანყებული დაიღუპა. აჯანყებულები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ბასოვმა გადაწყვიტა მთლიანად გადაებუგა სოფელი ღორჯომი. ის მივიდა სოფელ ღორჯომის ცენტრში, ადგილობრივი მოსახლეობა შეკრიბა და მათ „ბუნტოვშიკების“ გადაცემა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სოფლის განადგურებით იმუქრებოდა. მიუხედავად მუქარისა, ხალხმა აჯანყებულები არ გასცა. მოსახლეობისათვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ბასოვის წინაშე აჯანყების მეთაურები **მემედ გაბაიძე, ჰასან მეკეიძე** და სხვ. თვითონ გამოცხადნენ. ბასოვის ბრძანებით ისინი იქვე, ხალხის თვალწინ ჯერ სასტიკად გაროზგეს, შემდეგ კი დახვრიტეს. ბასოვმა ესეც არ იკმარა და რამდენიმე სახლი გადაწვა. ბა-

სოვმა თავისი რაზმის ნაწილი სოფელ ღორჯომში დატოვა, თვითონ კი ო. მოწყობილთან ერთად ხულოსაკენ გაეშურა, სადაც კეკელიძის რაზმი ხულოს აღებას ცდილობდა. კეკელიძის რაზმი ხულოდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით იდგა. ო. მოწყობილმა კეკელიძეს ულტიმატუმი წაუყენა წინააღმდეგობა არ გაეწია მისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასტიკად დასჯას „დაჰპირდა". კეკელიძე დანებებას არ აპირებდა. ბასოვმა საიდუმლო თათბირი მოიწვია, სადაც გადაწყდა, რომ მოწინააღმდეგისათვის შემოვლითი გზით ზურგიდან დაერტყათ. ამ მანევრის შესასრულებლად ოცამდე ჯარისკაცი გამოიყო. ჯარისკაცები, რომლებსაც ვინმე **საფრონოვი** მეთაურობდა, საცალფეხო ბილიკებით გაემართნენ, მაგრამ მათ აჯანყებულები თავს დაესხნენ. წითელარმიელებს ბრძოლაში 7 მებრძოლი დაეღუპათ, მათ შორის საფრონოვიც, აჯანყებულებმა თავდასხმისას 4 მებრძოლი დაკარგეს. ამასობაში ო. მოწყობილს და ბასოვს ბათუმიდან წამოსული რაზმი შეუერთდა კაპიტან **პანოვის** მეთაურობით. კეკელიძე დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და თურქეთში გადასვლა გადაწყვიტა. თურქეთის საზღვრისაკენ მიმავალ კეკელიძის რაზმს **სანისლიას ტყესთან** წამოეწივნენ. დაიწყო ორმხრივი სროლები. წითელარმიელებმა 6 აჯანყებული შეიპყრეს. კეკელიძემ რევოლვერით თავი მოიკლა. გაბოროტებულმა რუსმა ჯარისკაცებმა კეკელიძის გვამი ხიშტებით დაასახიჩრეს და ხევში გადააგდეს. დაპატიმრებული ექვსი აჯანყებულიდან სამი: **იასონ წითელაძე, გაბრიელ ლომიძე** და **ალექსანდრე კაკაბაძე** ფეხებით ხეზე ჩამოკიდეს და ცემით მოკლეს, შემდეგ კი მათი გვამები ხევში გადააგდეს. დანარჩენი სამი აჯანყებული კი ხულოში ჩაიყვანეს. აქ წინასწარ შედგენილი სცენა გათამაშდა. ხულოს ცენტრში თავი მოუყარეს ადგილობრივ მოსახლეობას, დაასვენეს მოკლული წითელარმიელები (მათ შორის საფრონოვი) და მათ წინ სამი დაპატიმრებული დააყე-

ნეს. ო. მოწყობილი, ბასოვი, პანოვი და სხვ. სიტყვებით გამოვიდნენ. მათ მოითხოვეს მოსახლეობას აღეძრა შუამდგომლობა აჭარის საბჭოთა ხელისუფლების წინაშე „ბანდიტებთან ბრძოლის დროს გმირულად დაღუპულების მედლებით დაჯილდოვების და მათი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ“. შემდეგ პანოვმა ხალხს ჰკითხა თუ რისი ღირსნი იყვნენ დაპატიმრებულები. დაშინებულმა ხალხმა ერთხმად იღრიალა: **„ჩაქოლვის, ჩაქოლვისო!“** და ის ის იყო, რომ ხალხის ერთი მოზრდილი ჯგუფი აჯანყებულების ჩასაქოლად მოემზადა, რომ ამ დროს მათ წინ ო. მოწყობილი გადაეღობა და ისინი შეაჩერა. ო. მოწყობილმა ხალხს მიმართა: „მართალია ეს ბანდიტები მართლაც რომ ჩაქოლვის ღირსნი არიან, მაგრამ ამჯერად უმჯობესია, რომ თავი შევიკავოთ ასეთი მოქმედებისაგან. ისინი სამართალში გადაეცემა და რა თქმა უნდა მიიღებენ საკადრის პასუხს“-ო (**ოთარ გოგოლიშვილი.** ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი, 2000, გვ. 63-68).

აჭარის საგანგებო ხუთეულის ყურადღება მიპყრობილი იყო აჭარა-გურიის საზღვრისაკენ, ვინაიდან მოსალოდნელი იყო გურული აჯანყებულების აჭარის ტერიტორიაზე გადასვლა. გამომდინარე იქიდან, რომ ქ. ოზურგეთიდან გაქცეული აჯანყებულების ერთი ნაწილი ქობულეთის მიმართულებით გაემართა, საგანგებო ხუთეულის დადგენილებით ქობულეთში 50 კომუნარი და 10 წითელარმიელი გაიგზავნა ერთი ტყვიამფრქვევით. აჯანყებულებმა სოფლები შემოქმედი და გომი გაამაგრეს, მაგრამ კომუნარებმა აქაც მოახერხეს მათი წინააღმდეგობის დაძლევა. უკუქცეულმა აჯანყებულებმა ბახმაროს მთას მიაშურეს. აჭარის საგანგებო ხუთეულმა ხულოს მაზრის სამეულს აჯანყებულების მიერ დაკავებული ბახმაროს მთის გათავისუფლება და ბახმარო-ზოტის და გომის მთის გაყოლებით სამხედრო ხაზის გამაგრება დაავალა. ხუთეულის ასეთი ყურადღება გურიის მიმართ

იმით იყო განპირობებული, რომ გურიაში **ფილიპე მახარაძე** იმყოფებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფილიპე მახარაძემ გურიიდან ბათუმში ჩასვლა მოახერხა (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 48-49).

1924 წლის 5 სექტემბერს ბათუმიდან ხულოს მაზრის მიმართულებით 110 კომუნარი გაიგზავნა ორი ტყვიამფრქვევით იქ მყოფი გლეხთა შეიარაღებული რაზმის დასახმარებლად. გლეხთა რაზმს დავალებული ჰქონდა აჭარიდან თურქეთში აჯანყებულთა გადასვლა აღეკვეთა.

1924 წლის 29 აგვისტოდან მოყოლებული აჭარის საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივით ქ. ბათუმში და აჭარის ყველა მაზრაში ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა. 1924 წლის 2 სექტემბერს ქ. ბათუმში მორიგი მიტინგი ჩატარდა, რომელზეც სიტყვით **ფილიპე მახარაძე** გამოვიდა.

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ქ. ბათუმში 200 შეიარაღებულის გარდა ყველა ძალის დემობილიზაცია გამოცხადდა. ანალოგიურად, შეიარაღებული ძალების დემობილიზაცია აჭარის მაზრებშიც მოხდა. იქ მხოლოდ მცირე რაზმები დატოვეს.

1924 წლის 8 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის ყველა უჯრედის ერთობლივი სხდომა გაიმართა. სხდომამ აჯანყებულთა წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში მოისმინა. სხდომამ აჯანყების დღეებში აჭარის ცენტრალური ორგანოების მუშაობა ერთხმად მოიწონა. აჯანყებულების წინააღმდეგ წარმატებული მოქმედებისათვის რამდენიმე ადამიანი დაჯილდოვდა (**სშსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 128).

1924 წლის 6 სექტემბერს სოფ. დღვანში **დავით ფუტკარაძის** სახლში ანტისაბჭოთა ჯგუფი შეიკრიბა **ისკენდერ**

ფუტკარაძის, ოსმან ფუტკარაძის, მევლუდ ფუტკარაძის, ომერ ფუტკარაძის, ქერიმ ფუტკარაძისა და სხვათა შემადგენლობით. შეკრებილებმა შექმნილ ვითარებაზე იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ სოფელ კვიახიძეებში დავითაძის 150 კაციანი ჯგუფის შეჭრა იყო მოსალოდნელი. შეკრებილებმა დავითაძის რაზმთან შეერთების სურვილი გამოთქვეს.

აჭარის საგანგებო ხუთეულის თავმჯდომარემ, **თ. ხიმშიაშვილმა,** ხულოში **ო. მოწყობილს** აცნობა, რომ მოსალოდნელი იყო თურქეთის მხრიდან „ბანდის" შემოჭრა. თ. ხიმშიაშვილმა ო. მოწყობილს განსაკუთრებული ზომების მიღება დაავალა. „ბანდას" თ. ხიმშიაშვილის თქმით, სოციალ-დემოკრატებთან ჰქონდა კავშირი. ამასთან, 1924 წლის 5 სექტემბერს ხულოს მაზრაში სასწრაფოდ გაგზავნეს 110 კომუნარი ორი ტყვიამფრქვევით, რათა თურქეთის მხიდან გადმოსასვლელები საიმედოდ ჩაეკეტათ. 1924 წლის 8 სექტემბერს მეექვსე სანაპირო საგუშაგოს **სარიჩაირ-ჩირუხის** ხაზზე შემოიჭრა 30 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ჯგუფი დავითაძის მეთაურობით, მაგრამ სანაპირო რაზმის წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. 1924 წლის 7 სექტემბერს, დავითაძის ჯგუფის შემოჭრამდე, ჭოროხისპირეთში, სოფ. **თხილნარის** თავზე, თურქული აეროპლანი გამოჩნდა. 8 სექტემბერს სოფელ **კობალთის** მხრიდან ასევე აეროპლანი გადმოფრინდა, რომელმაც ორი ბომბი ჩამოაგდო. როგორც ჩანს აეროპლანს სადაზვერვო დავალება ჰქონდა. თ. ხიმშიაშვილმა მომხდარი თბილისს შეატყობინა.

1924 წლის აჯანყების დროს აჯანყებულთათვის თურქეთიდან იარაღის მიწოდების არა ერთი მცდელობა იყო. აჭარაში იარაღის შემოტანის ორგანიზებას აჭარიდან ემიგრირებული ბეგები ცდილობდნენ, მათ შორის ყოფილი **„სედაი მილეთის"** ორგანიზაციის წევრები: **ჰუსეინ ბეგ ბიბინ-ოღლი (ბიბინეიშვილი)** და **მაჰმუდ მათარაჯ-ოღლი.** პირველი არ-

თვინში იმყოფებოდა, მეორე — რიზეში. ჰუსეინ ბიბინეიშვილმა თავისი შვილების იუსუფისა და ომერის მეშვეობით გურიაში მაჭახელა-მარადიდის გავლით დიდი რაოდენობით იარაღი გაგზავნა გუნთაიშვილის რაზმისათვის. მაჰმუდ მათარაჯ-ოღლიმ რიზედან ფოთისაკენ იარაღით დატვირთული მოტორიანი ნავი გამოაგზავნა. თუ რა ბედი ეწია ამ ნავს უცნობია (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 46-48).

1924 წლის 25 სექტემბერს აჭარის საგანგებო ხუთეულის ინიციატივით აჭარის მშრომელი მოსახლეობის ყრილობა ჩატარდა. როგორც ოფიციალურ დოკუმენტებშია აღნიშნული ყრილობაზე „ხალხი ერთსულოვნად იწონებდა პარტიის გენერალურ ხაზს, მხარს უჭერდა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და წყევლა-კრულვას უგზავნიდა ყოველგვარი ჯურის ავანტიურისტს და ნაძირალას". ყრილობაზე მიღებული დადგენილება მოსკოვში გააგზავნეს (**ოთარ გოგოლიშვილი**. ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი", ბათუმი, 2000, გვ. 69).

თავი X. რეპრესიები

1924 წლის 3 სექტემბრს მცხეთის მილიციის ცხენოსანმა პატრულმა ვ. არჯევანიძის მეთაურით, შიო მღვიმის მონასტერთან ახლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი** და დამკომის მდივანი **იასონ ჯავახიშვილი** დააპატიმრა. მალევე დააპატიმრეს სოციალისტ-რევოლუციონერი **მიხეილ ბოჭორიშვილი,** ეროვნულ-დემოკრატი **მიხეილ იშხნელი,** საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **გიორგი ჯინორია** და სხვ. პატიმრები ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საპყრობილეში მოათავსეს (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 358-368). 1924 წლის 4 სექტემბრს კ. ანდრონიკაშვილი პირადად ლავრენტი ბერიამ დაკითხა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 201). 1924 წლის 4 სექტემბრის ღამეს დამკომის დაპატიმრებულმა ხელმძღვანელებმა მუქარის ქვეშ ხელი მოაწერეს განცხადებას დამკომის დაშლის შესახებ. საპყრობილიდან კოტე ანდრონიკაშვილმა თანამებრძოლების მისამართით წერილი გააგზავნა, სადაც უხსნიდა მათ თუ რა მიზეზით მოაწერა ხელი დეკლარაციას, მაგრამ წერილმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია, ის საგანგებო კომისიას ჩაუვარდა ხელში (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 358-368).

1924 წლის 6 სექტემბერს სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ **მიხა ცხაკაიამ** და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ლევან ღოღობერიძემ** ქართველ ხალხს მიმართეს და დაჰპირდნენ, რომ „ქვა-ქვაზე დაედუღება, სიკვდილის ცელი აღიმართება ყველა იმ შავ-ბნელ ძალების წინააღმდეგ, ვინც მოისურვებს მუ-

შათა და გლეხთა ხელისუფლების შებღალვას“ (**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს „მოამბე“**, 1924, №8, გვ. 2-7).

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყების დამარცხებით ისარგებლა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი პირების ქონება კონფისკირებულად გამოაცხადა. ეს გადაწყვეტილება შეეხოთ: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, რაჟდენ არსენიძეს, ვლადიმერ ახმეტელაშვილს, გიორგი ანჯაფარიძეს** (დოკუმენტში მის გასწვრივ კითხვის ნიშანია დასმული — **ავტ.**), **სიმონ ახმეტელაშვილს, ალექსანდრე ასათიანს, ევგენი გეგეჭკორს, კონსტანტინე გვარჯალაძეს, იოსებ გობეჩიას, ნოე ხომერიკს, ვლადიმერ ჯუღელს, მაღნარაძეს** (დოკუმენტში მის გასწვრივ კითხვის ნიშანია დასმული — **ავტ.**), **კედიას, ფაჩულიას, ვლადიმერ სულაქველიძეს, კონსტანტინე სულაქველიძეს, ვლადიმერ გოგვაძეს, გოგვაძეს** (ვლადიმერ გოგვაძის ძმა), **ნიკოლოზ ელიავას, იოსებ ელიგულაშვილს, გრიგოლ ვეშაპელს, ექვთიმე თაყაიშვილს, კონსტანტინე კანდელაკს, სპირიდონ კედიას, ალექსანდრე ლომთათიძეს, ვლასა მგელაძეს, სიმონ მდივანს, კირილე ნინიძეს, დავით ონიაშვილს, ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, კონსტანტინე საბახტარაშვილს, გიორგი (გოგიტა) ფაღავას, შალვა ქარუმიძეს, ვარლამ შერვაშიძეს, კადირ შერვაშიძეს, დავით შარაშიძეს, ნიკოლოზ ჩხეიძეს, აკაკი ჩხენკელს, ბენიამინ ჩხიკვიშვილს, ნოე ცინცაძეს, ირაკლი ნერეთელს, ივანე ჭავჭანიძეს, ნიკოლოზ ქარცივაძეს, ოდიშელიძეს, კვინიტაძეს** (დოკუმენტში მის გასწვრივ კითხვის ნიშანია დასმული — **ავტ.**), **ვლადიმერ ქუთათელაძეს, ბახტაძეს, იოსებ სალაყაიას, ალექსანდრე ჯაფარიძეს და ვალიკო ჯუღელს** (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 274). აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან ზოგი-

ერთი მათგანი საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ დროისათვის უკვე დახვრეტილი იყო.

1924 წლის 6 სექტემბერს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე **ეპიფანე კვანტალიანმა** და საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ლავრენტი ბერიამ** აჭარის საგანგებო კომისიას, აფხაზეთის საგანგებო კომისიას, ყველა პოლიტბიუროსა და საინფორმაციო პუნქტის უფროსს შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნეს: „საქჩეკა გიბრძანებთ, დაუყოვნებლივ მოახდინოთ პარტკომებთან და აღმასკომებთან ერთად, ფილტრაცია აჯანყებასთან დაკავშირებული პირებისა:

პირველი. გათავისუფლდნენ ორკვირიანი პატიმრობის შემდეგ ყველა გლეხი, რომლებიც იყვნენ აჯანყების რიგითი წევრები. დატოვებულ იქნენ პატიმრობაში აჯანყებულთა რაზმების მეთაურები და ხელმძღვანელები.

მეორე. გათავისუფლდნენ ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებიც არ ღებულობდნენ მონაწილეობას აჯანყებაში და არ იყვნენ შემჩნეულები აგიტაციაში. ასევე ისინიც, ვინც არ გადიან დამუშავებაში და რომელთა წინააღმდეგაც არ არის მამხილებელი მასალა.

მესამე. აჯანყების აქტიური მონაწილეები აშკარა მოქმედი პირები აჯანყებისა გადმოგზავნეთ თბილისში საქჩეკას განკარგულებაში სათანადო მამხილებელ მასალასთან ერთად.

მეოთხე. ყველა თავადი და აზნაური, რომლებიც სარგებლობენ საქართველოში ავტორიტეტით, მაგრამ არ მიუღიათ მონაწილეობა აჯანყებაში, ასევე, გადმოგზავნეთ საქჩეკაში.

მეხუთე. ყველა ყოფილი თავადი და აზნაური, რომლებიც არ არიან საშიშები და რომელთა წინააღმდეგ არ არის მამხილებელი მასალა, ლოიალობას იჩენდნენ საბჭოთა ხე-

ლისუფლების მიმართ აჯანყების დღეებში — გათავისუფლდნენ.

მეექვსე. ყოფილი ოფიცრები, რომლებიც არიან დაპატიმრებულები და რომლებიც მეფის დროს და მენშევიკების დროს იყვნენ სამსახურში, გადმოაგზავნეთ თბილისში.

მეშვიდე. საგამომძიებლო საქმე აჯანყების აქტიური მონაწილეებისა, რომლებიც იგზავნება საქჩეკაში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კონკრეტულად რაში გამოიხატა აჯანყებაში მონაწილეობა. მიაქციეთ ყურადღება აჯანყებულთა რაზმების კავშირს ცენტრთან და აჯანყების ხელმძღვანელ პირებთან.

მერვე. დახვრეტილების და აჯანყების აქტიური მონაწილეების საკუთრება, რომლებიც გაქცეულები არიან დაექვემდებაროს კონფისკაციას განსაკუთრებით მათი, ვისაც დარჩა."

აჯანყებულთა წინააღმდეგ რეპრესიების დაწყებისთანავე საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკური) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელის, **სერგო ორჯონიკიძის,** სახელზე საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, **ალექსეი რიკოვის,** დეპეშა მოვიდა დახვრეტების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. სერგო ორჯონიკიძემ თავის თანამებრძოლთა ვიწრო თათბირი მოიწვია, სადაც განაცხადა: ჯერჯერობით ამ დეპეშას ყურადღება არ მივაქციოთ და ენერგიული ზომები გავატაროთ, რათა საქართველო რაც შეიძლება მაქსიმალურად გავწმინდოთ კონტრრევოლუციური უწმინდურობისაგანო (**გოლა ხვედელიძე**. ინტერვიუ შალვა ბერიშვილთან.— გაზეთი „ერთობა", 1991, №6, ივლისი, გვ. 3).

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა 1924 წლის აჯანყებისადმი ქართველი ინტელიგენციის უარყოფითი პოზიცია დაეფიქსირებინა. მასობრივი რეპრესიების ფონზე ეს არც ისე ძნელი აღმოჩნდა. 1924 წლის 5 სექტემბერს თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო შეიკრიბა, რომელმაც მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო: „მეოთხე წელიწადია არსებობს საქართველოში მტკიცე მოქალაქეობრივი მშვიდობიანობა. რევოლუციის შემდგომი ხანის დასრულებულ შეტაკებებს და ომებს მეზობელ ხალხებთან ბოლო მოელო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველოში.

ერთი მუჭა ქართველი ხალხი მრავალგვარ ფიზიკური უბედურებით დაუძლურებული გარკვეულად შევიდა ახალ მშვიდობიან ხანაში, არსებული ძალაუფლება შეძლებისდაგვარად ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა დანგრეული ცხოვრების ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებისათვის და შექმნილ პირობებში ორივე მიმართულებით წინსვლის პერსპექტივები იშლებოდა ქართველი ერის წინაშე.

კულტურული ცხოვრება საზოგადოდ, და მეცნიერული კერძოდ, ერთ დროს შეფერხებული, ნელ-ნელა დაიძრა წარმატების და განვითარების გზაზე, რომლის დადებითი მიღწევანი უკვე გარკვეულად ჩანდნენ და ყველასათვის თვალსაჩინო და ხელშესახები იყვნენ.

მრავალი ხნის განმავლობაში დაბეჩავებულს ენასა და მწერლობას ხელსაყრელი პირობები შეექმნა და აყვავების უტყუარი ნიშნები დაეტყო; ამის მჭერმეტყველური მოწმეა აუარებელი ახალი სკოლა და ქართული ბეჭდვითი გამოცემანი, რომელთა რიცხვმა საბჭოთა ხელისუფლების დროს ისეთ რაოდენობას მიაღწია, რომელსაც არც ერთ წინანდელ თაობების დროს ადგილი არ ჰქონია. ყველა ამის შემდგომ აშკარა იყო, რომ სამი წლინახევრის შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ საბჭოთა ძალაუფლება ქართველი ხალხის ფართო მასების მთავრობა იყო, რომელიც ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან ორგანულად იყო დაკავშირებული. საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი მშვიდობიანი პირობები ერთადერთი თავმდები და საწინდარი იყო კულტუ-

რული და ეკონომიური აღორძინებისათვის და მომავალი განვითარებისათვის.

ასეთ პირობებში ავანტურისტული მახვილის შემოტანა საქართველოში გაუმართლებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ერის წინაშე და მომაკვდინებლად მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

უმაღლესი განათლების კერას და ქართული კულტურის ბურჯს — სახელმწიფო უნივერსიტეტს არ შეუძლია უტყვი მოწმე იყოს იმ საშინელებათა, რომლებიც დაატრიალა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა უპასუხისმგებლო ავანტურამ და თავისი მკაცრი საპროტესტო ხმა არ აღიმაღლოს იმათ წინააღმდეგ, რომელთაც დაკარგული ძალაუფლების დასაბრუნებლად ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა არ დაინდეს და ერი სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს.

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ გმობს უპასუხისმგებლო და ავანტურისტულ გამოსვლას არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ და მას სთვლის ქართველი ერის ინტერესების ღალატად.

სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭო სრულს იმედს გამოთქვამს, რომ ყოველი პატიოსანი ინტელიგენტი ჯეროვნად დააფასებს შექმნილ მდგომარეობას და მთელს თავის გულისწყრომას მიმართავს მათ წინააღმდეგ, ვინც ასე ხელაღებით ქართველ ხალხს მოულოდნელი უბედურება თავს დაატეხა.

პროფესორთა საბჭოს იმედი აქვს, რომ მომხდარი ავანტურა ვერ დაარღვევს იმ მშვიდობიან განწყობილებას, რომელიც არსებობს საბჭოთა ძალაუფლების და ქართული კულტურის მესვეურთა შორის და როგორც მეცნიერების, ისე მთელი ერის მიმართ ურყევი დარჩება ის გზა, რომელზედაც მშვიდობიანი მოქალაქეობრიობის აღდგენით ამიერიდან გაჩაღდება შემოქმედებითი მუშაობა" (**სერგო ჯორბენა-**

ძე. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984, გვ. 347-348).

1924 წლის 14 სექტემბერს ანალოგიური დადგენილება მიიღო მასწავლებელთა კონფერენციამ, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს გასაბჭოება იყო ისტორიული შედეგი რუსეთის ოქტომბრის დიდი რევოლუციისა, რომელმაც შრომისა და ხალხთა სოლიდარობის პრინციპი დაუპირდაპირა კაპიტალისტურ იმპერიალისტურ შურსა, მტრობას და ექსპლოატაციას.

სამ წლის განმავლობაში მშრომელი საქართველო გვერდში უდგია დიდი რუსეთის რევოლუციას და პროლეტარული დიქტატურის წესწყობილებაში განუწყვეტლივ იბრძვის — კაცობრიობის საუკეთესო იდეალისათვის.

ქართველი ხალხი თავის რევოლუციონური ტემპერამენტით ისტორიულად იკაფავს გზას და ქართული საზოგადოებრივობა იზრდება და იწვრთნება სოციალისტურ მოძრაობაში. ინტელიგენციის დიდი ნაწილი საქართველოს დედაქალაქში — ტფილისის მასწავლებლობა ხალხის სოციალ-ისტორიული ტკივილების დროს ვერ დარჩება გარეშე საზოგადოებისა, გარეშე მასისა, რომელიც ჰქმნის ახალ ეპოქას კულტურის ევოლუციაში, რომელსაც შემოაქვს წუთისოფლად ახალი მორალი შრომისა და ხალხთა სოციალისტური სოლიდარობის.

მასწავლებლობა ნათლად ხედავს საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ მიღწევებს. სამი წლის განმავლობაში ხელოვნების, მეცნიერების და მრეწველობის დარგებში სოციალისტური პოლიტიკის რადიკალური ნაბიჯები გამონახავენ ინტერესებსა და იდეალებს; ყოველგვარი აჯანყება და მენშევიკების და მათი მომხრეების ავანტიურისტული გამოსვლა ხელს უშლის მთავრობის შემოქმედებითს მუშაობას.

ამიტომ ყოველ-გვარი კონტრრევოლუციონური აჯანყება არსებულ მთავრობის წინააღმდეგ მასწავლებლობას მი-

აჩნდა ხალხისათვის დაუშვებლად და დამღუპველად სავსებით ჰკითხავს ამ ავანტიურისტულ მოძრაობის სულის ჩამდგმელთ და ხელმძღვანელებს ყოველ პატიოსან ინტელიგენტს მოუწოდებს ითანამშრომლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის.

ამასთანავე ერთად მასწავლებელთა კრება ავალებს კავშირის ცენტრალურ გამგეობას და სახალხო განათლების კომისარიატს მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ მასწავლებელთა რიგები სასწრაფოდ გაიწმინდოს იმ უცხო ელემენტისგან, რომელსაც თავი შეუფარებია მის რიგებში" (**სშსსა (III)**, ფონდი №8, აღწერა №2, საქმე №235, ფურცელი 64-65).

§1. იმერეთი (შორაპნის მაზრა. ქუთაისის მაზრა)

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეებს, მათ თანამგრძნობებს და ეჭვმიტანილებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი ე.წ. **„სამეულები"** ყოველგვარი ძიებისა და გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ. დააპატიმრეს ყვირილის ხეობაში მცხოვრები წერეთლები და საჩხერიდან ჩამოყვანილ პატიმრებთან ერთად სპეციალურ ეშელონში მოათავსეს. ეშელონი შემდეგ ჭიათურაში ჩამოაყენეს, სადაც მუშათა საგანგებო რაზმის წევრებმა მათ ჭიათურასა და მის ახლო-მახლო სოფლებში დაპატიმრებულები დაახვედრეს. მოგვიანებით, ეშელონი შორაპანში გადაიყვანეს, სადაც ასევე დაახვედრეს მათ პატიმრები. პატიმრები ექვს ვაგონში გადაანაწილეს. ჩეკისტები დაპატიმრებულებს ეუბნებოდნენ, რომ ქუთაისში ჩაიყვანდნენ, აჯანყებასთან დაკავშირებით დაკითხავდნენ, უდანაშაულოებს უკან დააბრუნებდნენ, დამნაშავეების საქმეს კი სასამართლოს გადასცემდნენ. ვაგონებში გამომწყდეულ ადამიანებს რამე რომ არ ეეჭვათ თითო „ბუ-

ხანკა“ პური დაურიგეს. სოფ. არგვეთის ხიდთან, რკინიგზის სიახლოვეს ორმოები წინასწარ იყო გათხრილი. არემარეს რუსული წითელი არმიის ნაწილები იცავდნენ, რომლებშიც ქართველი ჯარისკაცებიც ერივნენ. ქართველმა ჯარისკაცებმა როგორც კი შეიტყვეს თუ რას უპირებდნენ ვაგონებში გამომწყვდეულ ადამიანებს მწყობრიდან გამოვიდნენ და ბრძანების შესრულებაზე უარი თქვეს, რის გამოც ისინი დააპატიმრეს და მოგვიანებით თბილისში გადააგზავნეს. 1924 წლის 31 აგვისტოს, დილის 3 საათზე, ზესტაფონიდან გასული მატარებელი სოფ. არგვეთის ხიდთან გაჩერდა. პირველი ვაგონიდან დაპატიმრებულები გადმოიყვანეს, ორმოს გასწრივ გაამწკრივეს და იაპონური ტყვიამფრქვევებიდან უკლებლივ ყველა ჩაცხრილეს. დახვრეტის დროს მათმა ღრიალმა: **„რას გვერჩით, რა დაგვიშავებია!“** და ტყვიამფრქვევების კაკანმა დანარჩენ ვაგონებში მყოფი პატიმრები „საქმის კურსში“ ჩააყენა. მათ ვაგონებიდან გადმოსვლაზე უარი თქვეს, არადა თენდებოდა, „საქმე“ კი გათენებამდე უნდა მოთავებულიყო. ასეთ „კრიტიკულ“ სიტუაციაში ქუთაისის საგანგებო კომისიის თავკაცმა, **ილარიონ ტალახაძემ,** „მახვილგონიერება“ გამოიჩინა და წამოაყენა წინადადება ყველა დაპატიმრებული ვაგონებშივე ჩაეცხრილათ. გადაწყვეტილება რა თქმა უნდა აღსრულდა (**გოლა ხვედელიძე.** ინტერვიუ შალვა ბერიშვილთან.— გაზეთი „ერთობა“, 1991, №7, სექტემბერი, გვ. 3). რკინიგზაზე მდგარ ხუთივე ვაგონში მყოფი პატიმრები ტყვიამფრქვევებით ვაგონებშივე ჩაცხრილეს. ვინც ტყვიამფრქვევის ცეცხლს გადაურჩა, ცოცხალ-მკვდარი იყო და სიცოცხლის ნიშნებს ამჟღავნებდა ილარიონ ტალახაძემ და დომენტი მშვენიერაძემ (შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ) მაუზერებიდან დახვრიტეს (**ალექსანდრე სიგუა.** ერთი ეპიზოდი 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან.— გაზეთი „საქართველო“, 1991, №16, აგვისტო, გვ. 3). როგორც კი ჩეკისტებმა ვაგონების კარები გააღეს ორმა დაპა-

ტიმრებულმა არჩილ გიორგის ძე მაჭარაშვილმა და წერეთელმა გაქცევა მოახერხეს. არჩილ მაჭარაშვილი 2-3 კვირის განმავლობაში ვიღაც გლეხის ოჯახში იმალებოდა (**სშსსა (III)**, ფონდი №247, აღწერა №1, საქმე №92, ფურცელი 204). გავრცელდა ხმები, რომ სიმონ საყვარელიძემ და გოგია მამულაიშვილმა დახვრეტილებს ოქროს კბილები დააძვრესო (**გრიგოლ ვაშაძე (1901-1990)**. მასალები პირადი არქივიდან. თბილისი, 2009, გვ. 122). დახვრეტის შემდეგ ჩეკისტებმა ვაგონების კარები გააღეს და დახოცილები ორმოში გადაყარეს. თხრილი, თავისი სიდიდის მიუხედავად, საკმარისი არ აღმოჩნდა და ჩეკისტები იძულებული გახდნენ ზევიდან უამრავი მიწა დაეყარათ, რათა გვამები მთლიანად დაეფარათ. ეპიდემიის საწინააღმდეგოდ სასაკლაოს კირი მოაყარეს, დახოცილებს კი დაცვა დაუყენეს, რათა ახლობლებს გვამები არ მოეპარათ. ამით „ოპერაცია“ დამთავრდა და კიდეც ინათა. დახვრეტის დამთავრების შემდეგ ი. ტალახაძე და დ. მშვენიერაძე, რომლებსაც ჩექმები სისხლში და ტვინის ნანთხევში ჰქონდათ გასვრილი, იქვე მდინარე ყვირილაში შევიდნენ და „მოწესრიგდნენ“. შემდეგ დ. მშვენიერაძემ ჩონის მებრძოლებს მიმართა: — **აბა, თქვენ იცით, ბიჭებო!.. ამა და ამ ადგილას მობრძანდით, იქ გაშლილი სუფრა დაგხვდებათ, რათა ღირსეულად აღვნიშნოთ ჩატარებული „ოპერაციაო“!** დამსჯელი რაზმის ხელმძღვანელობა მაშინვე სუფრაზე წასულა. საინტერესოა ის, რომ ჩეკისტებს თან წაუღიათ ის პურები, რომლებიც პირველ ვაგონში მყოფ პატიმრებს დარჩათ“ (**ალექსანდრე სიგუა.** ერთი ეპიზოდი 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან.— გაზეთი „საქართველო“, 1991, №16, აგვისტო, გვ. 3). ვაგონებში დასახვრეტთა შორის ორი ქალი — **ნინა წერეთელი** და **იულია გაფრინდაშვილი** — იყო. დახვრეტის წინ ონის საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ, **სოფრომაძემ,** მათ გადასარჩენად ენერგიული ზომები მიიღო. ეს ორი ქალი ცოცხალმკვდარი ვაგონიდან გადმოასვენეს. ისინი ორი დღის გან-

მავლობაში გონზე არ მოსულან, მიუხედავად იმისა, რომ ექიმები თავს დასტრიალებდნენ (**ვ. ჩუბინიძე.** მოგონება. წიგნი მეორე. პარიზი, 1953, გვ. 278). სულ არგვეთის ხიდთან 96 ადამიანი დახვრიტეს (**სშსსა (II),** საქართველოს ჩეკა-ს მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წ.წ. ტ. 1, ფურც. 258 (I) — 260 (I). მოგვიანებით, მათ რიცხვს კიდევ სხვა დახვრეტილებიც დაემატნენ. მთლიანობაში, შორაპნის მაზრაში დახვრეტილთა რაოდენობამ 171 მიაღწია. შორაპნის მაზრაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს:

1. **სერაფიონ ოქროპირის ძე მაჭარაშვილი,** 30 წლის, მასწავლებელი, სოციალისტ-ფედერალისტი.
2. **ვალერიან (ვალიკო) ოქროპირის ძე მაჭარაშვილი,** 28 წლის, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი.
3. დავით დიმიტრის ძე გაფრინდაშვილი, 27 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.
4. გრიგოლ ილარიონის ძე ტაბატაძე, 38 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.
5. **ნიკოლოზ დომენტის ძე ხარჩილაძე,** 22 წლის, სასულიერო წოდებიდან, სტუდენტი.
6. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე აბაშიძე, 38 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.
7. ისმაილ გიორგის ძე აბაშიძე, 49 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.
8. სერტოი დავითის ძე წერეთელი, 33 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.
9. ფრიდონ სიმონის ძე აბაშიძე, 24 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.
10. გიორგი გედევანის ძე აბაშიძე, 58 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

11. ზურაბ ალექსის ძე წერეთელი, 60 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

12. გიორგი არჩილის (არქიპოს) ძე აბაშიძე, 37 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

13. დავით სიმონის ძე აბაშიძე, 50 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

14. მიხეილ (მიშა) ალექსანდრეს ძე აბაშიძე, 17 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

15. მიხეილ (მიშა) ილიკოს ძე აბაშიძე, 23 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

16. გრიგოლ დავითის ძე წერეთელი, 36 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

17. ზუბიკო ვასილის ძე აბაშიძე, 33 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

18. გრიგოლ (გრიშა) ოთარის ძე აბაშიძე, 27 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

19. ბოდურა კონსტანტინეს ძე გვალია, 40 წლის, გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი.

20. შალვა დავითის ძე მაჭარაშვილი, 36 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

21. გრიგოლ გიორგის ძე მაჭარაშვილი, 23 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

22. **ვლადიმერ ტარასის ძე არსენაძე,** 24 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

23. სიმონ ზაქარიას ძე მოსიაშვილი, 23 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

24. დავით არჩილის ძე აბაშიძე, 36 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

25. გერვასი გიორგის ძე ზაბახიძე, 27 წლის, სასულიერო წოდებიდან, მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატი.

26. ალექსანდრე ილარიონის ძე მაჭარაშვილი, 42 წლის, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი.

27. ალექსანდრე (ალუა) სიმონის (სამოელის) ძე აბაშიძე, 32 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

28. შალვა დავითის ძე კურცხალია, 37 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

29. ივანე ექვთიმეს ძე კურცხალია, 23 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

30. პავლე ომანის ძე კურცხალია, 26 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

31. ანტონ მაქსიმეს ძე ბერიძე, 42 წლის, გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი.

32. მამუკა გიორგის ძე აბაშიძე, 50 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

33. ვლადიმერ ტატის ძე ნადირაძე, 43 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

34. ალექსანდრე გიორგის ძე კაპანაძე, 21 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

35. დავით გიგოს ძე მაჭავარიანი, 24 წლის, აზნაური, სოციალ-დემოკრატი.

36. დავით ბიჭის ძე მაჭავარიანი, 35 წლის, აზნაური, სოციალ-დემოკრატი.

37. ალექსანდრე კოკოს ძე შეყლაშვილი, 36 წლის, გლეხი.

38. მიხეილ ნიკოლოზის ძე სუტიძე, გლეხი.

39. ბაუკ როსტომის ძე წერეთელი, 34 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატი.

40. **ნიკოლოზ (ნიკუშა) სარდიონის ძე წერეთელი,** 41 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატი.

41. **გიორგი სიმონის ძე წერეთელი,** 42 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატი.

42. ტარიელ ნესტორის ძე წერეთელი, 32 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატი.

43. სარდიონ ნესტორის ძე წერეთელი, 34 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატი.

44. გიორგი გუჯეჯიანი, 59 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატი.

45. ვარდენ კონსტანტინეს ძე ომიაძე, 31 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

46. პეტრე როსტომის ძე წერეთელი, 32 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატი.

47. ვანია იგორის ძე დუშუაშვილი, 21 წლის, ლავოჩნიკი.

48. **მიხეილ ჯაჯანიძე,** 24 წლის, მოსამსახურე, სოციალ-დემოკრატი.

49. ვლადიმერ ზაბახიძე, 43 წლის, ფელდშერი, სოციალ-დემოკრატი.

50. ელო ოსოს ძე ლელუაშვილი, 25 წლის, ვაჭარი.

51. ნესტორ ზაქარიას ძე წერეთელი, 45 წლის, აზნაური, სოციალ-დემოკრატი.

52. კოლია გედევანის ძე ჩაჩანიძე, 35 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

53. ალექსანდრე მაქსიმეს ძე გაფრინდაშვილი, 37 წლის, მემამულე, სოციალ-დემოკრატი.

54. **ივანე (ვანო) სერგოს ძე ფხალაძე,** 22 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი.

55. **ერემია ამირანის ძე ცერცვაძე,** 29 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

56. გრიგოლ ილარიონის ძე ტაბატაძე, 35 წლის, სასულიერო წოდებიდან, სოციალისტ-ფედერალისტი.

57. ტიხონ ნესტორის ძე წერეთელი, 23 წლის, თავადი, სოციალ-დემოკრატი.

58. თეოფილე თომას ძე კავთელაძე, 35 წლის, გლეხი, უპარტიო.

59. ნიკიტა ყარამანის ძე კავთელაძე, 23 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

60. პარმენ იაკობის ძე სამხარაძე, 21 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

61. **აკაკი ივანეს ძე გამყრელიძე,** 32 წლის, თავადი, სოციალ-დემოკრატი.

62. **გრიგოლ (გრიშა) ალექსანდრეს ძე გამყრელიძე,** 34 წლის, თავადი, სოციალ-დემოკრატი.

63. ნიკოლოზ (კოლია) დავითის ძე გამყრელიძე, 26 წლის, მდიდარი, უპარტიო.

64. გიორგი ლავრენტის ძე აბაშიძე, 28 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

65. კონია მალაქიას ძე გურული, 28 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

66. კონსტანტინე (კოტე) ყარამანის ძე ბაქრაძე, 26 წლის, თავადი, სოციალ-დემოკრატი.

67. **პარმენ ივანეს ძე ქველაძე,** 35 წლის, სასულიერო წოდებიდან, სოციალ-დემოკრატი.

68. მიხეილ მიხეილის ძე ჯაჯანიძე, 30 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

69. ვლადიმერ ზაბახიძე, 40 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი.

70. ალექსანდრე ბესარიონის ძე მჭედლიძე, 38 წლის, საშუალო შეძლების, ეროვნულ-დემოკრატი.

71. ვალიკო იასონის ძე ცხელიშვილი, 28 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი.

72. **იოველ ერმოლოზის ძე ცერცვაძე,** 32 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

73. **კალისტრატე ნიკოლოზის ძე სარალიძე,** 30 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

74. ასპან პავლეს ძე მოდებაძე, 54 წლის, გლეხი, უპარტიო.

75. ვანია ალექსანდრეს ძე ლეონიძე, 35 წლის, თავადი, სოციალ-დემოკრატი.

76. ჩაჩულა გიორგის ძე ერგემლიძე, 25 წლის, აზნაური, სოციალ-დემოკრატი.

77. ალექსანდრე ივანეს ძე საყვარელიძე, 30 წლის, აზნაური, სოციალ-დემოკრატი.

78. არჩილ დიმიტრის ძე არაბიძე, 41 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

79. ვლადიმერ არსენაძე, 27 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

80. ტიტიკო საყვარელიძე, 27 წლის, აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი.

81. **იონა სიმონის ძე ვაშაძე,** 28 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

82. **ვლადიმერ სიმონის ძე ვაშაძე,** 32 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

83. **ნესტორ წერეთელი,** 48 წლის, თავადი, მრეწველი, ეროვნულ-დემოკრატი.

84. **ბიქტორ ბეჟანის ძე მელიქოვი,** 45 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

85. **შალვა დოლიძე,** 35 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი.

86. **ალექსანდრე გაფრინდაშვილი,** 40 წლის, გლეხი, სოციალისტ-ფედერალისტი.

87. **სანდრო ვლადიმერის ძე წერეთელი,** 42 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატი.

88. **კოლია სარალიძე,** 22 წლის, მოსწავლე, სოციალ-დემოკრატი.

89. აკაკი ალექსანდრეს ძე დოლიძე, 23 წლის, თავადი, სოციალ-დემოკრატი.

90. **ილიკო კეკელიძე,** 35 წლის, თავადი, დალაქი, სოციალ-დემოკრატი.

91. იუსტინე შარიქაძე, 28 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი.

92. გოლა ესელინი, 26 წლის, თავადი, მოსწავლე, ეროვნულ-დემოკრატი.

93. ტიტიკო იოსების ძე საყვარელიძე, 28 წლის, საშუალო შეძლების, ეროვნულ-დემოკრატი.

94. **არჩილ არაბიძე,** 40 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი.

95. **ვალერიან მიქაშავიძე,** 45 წლის, თავადი, სოციალ-დემოკრატი.

96. **ჭუნია ჯიბოს ძე იაშვილი,** 25 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატი.

97. **ეკო დიმიტრის ძე წერეთელი,** 42 წლის, თავადი, ეროვნულ-დემოკრატი.

98. დავით (დათიკო) ნოზაძე, 43 წლის, ოფიცერი, სოციალ-დემოკრატი.

99. გედევან ფხალაძე, 43 წლის, ოფიცერი, სოციალ-დემოკრატი.

100. **ილიკო ბერძენიშვილი,** 45 წლის, ოფიცერი, სოციალ-დემოკრატი.

101. **გრიგოლ (გრიშა) კეკელიძე,** 24 წლის, სტუდენტი, სოციალ-დემოკრატი.

102. გრიგოლ (გრიშა) ჯორბინაძე, 28 წლის, ტექნიკოსი, სოციალ-დემოკრატი.

103. **შალვა (შალიკო) ჯუღელი,** 25 წლის, სტუდენტი, სოციალ-დემოკრატი.

104. **ილიკო ჯიბოს ძე ჯაფარიძე,** 35 წლის, თავადი, სოციალ-დემოკრატი.

105. იასონ მარკოზის ძე მაჭარაშვილი, 35 წლის.

106. სეით ლავრენტის ძე მესხი, 19 წლის.

107. **პორფირე ბასალის ძე სამყურაშვილი,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

108. **არტემ კოტიას ძე სამყურაშვილი,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

109. **ილია სამხარაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

110. **სანდრო ნადირაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

111. **აკაკი ლოლაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

112. **ბიქტორ ჭიჭინაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

113. **სოგრატ თოდრიაშვილი,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

114. **შალვა ჭავჭანიძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

115. **არჩილ კაპანაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

116. **ვლადიმერ (ლადო) ციმაკურიძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

117. **დავით (დათიკო) ქურციკიძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

118. **კონსტანტინე (კოწია) ვაკოიშვილი,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

119. **გაბრიელ (გაბო) ბარათაშვილი,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

120. **ნოე გამყრელიძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

121. **სინო კობახიძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

122. **ნიტუშა სამხარაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

123. **დავით (დათიკო) ცაბაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

124. **გრიგოლ (გრიშა) აბულაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

125. **გრიგოლ ასათიანი,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

126. **რაჟდენ ნიქატაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

127. **გიორგი შეყილაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

128. **გიორგი ხვედელიძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

129. **გიორგი მაჩიტაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

130. **დარისპან გაბუნია,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

131. **დომენტი მიქაბერიძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

132. **აიხა აბესაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

133. **ისააკ სარალიძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

134. **თანოს მოდებაძე,** მუშა, სოციალ-დემოკრატი.

135. **პოლიკარპე მიქაძე,** გლეხი.

136. **გიორგი ხელაძე,** გლეხი.

137. **გრიგოლ გერონტის ძე ჭიჭინაძე,** 52 წლის, აზნაური.

138. **მოსე ვარდოსანიძე,** გლეხი.

139. **მაქსიმე ბრეგვაძე,** გლეხი.

140. **შალვა (შალიკო) გაფრინდაშვილი,** გლეხი.

141. **კონსტანტინე (კოწია) პორფირეს ძე სამყურაშვილი,** მრეწველი.

142. **პარმენ იაკობის ძე სამხარაძე,** 21 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

143. **ნიკოლოზ (ნიკო) შარაშიძე.**

144. **თენგიზ ჯაფარიძე.**

145. **ჭუკია კოკიაშვილი.**

146. **რაჟდენ ლოსაბერიძე.**

147. **ალექსანდრე ილარიონის ძე მაჭარაშვილი,** 42 წლის, სასულიერო წრიდან, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი.

148. **კონსტანტინე უგლავა,** მასწავლებელი.

149. **ბესარიონ კაკაბაძე,** მასწავლებელი.

150. **სიმონ გორდაძე,** მასწავლებელი.

151. **ტერენტი ბოჭორიშვილი,** მასწავლებელი.

152. **ვანო აბაშიძე,** მასწავლებელი.

153. **ვანო ჩხენკელი,** მოსამსახურე.

154. **ვლადიმერ (ვალოდია) ანთიმოზის ძე ჯორბენაძე,** მოსამსახურე.

155. **გოლა იოსელიანი,** მოსამსახურე.

156. **გიორგი რობაქიძე,** მოსამსახურე.

157. **ვლადიმერ (ლადო) ბურჯანაძე,** მოსამსახურე.

158. **ლავრენტი მასხარაშვილი,** სოციალისტ-ფედერალისტი.

159. **იონა ვაშაძე,** მუშა, უპარტიო.

160. **ვლადიმერ ჭიჭინაძე,** მუშა, უპარტიო.

161. **დავით (დათიკო) გელაშვილი,** მოსამსახურე.
162. **ვლადიმერ (ლადო) ნაფეტვარიძე,** მოსამსახურე.
163. **ვლადიმერ ლოლუაშვილი,** გლეხი.
164. **ვლადიმერ დათიაშვილი,** გლეხი.
165. **კონია მიქაბერიძე,** გლეხი.
166. **ლავრენტი მიქაძე,** გლეხი.
167. **ლავრენტი კვინიხიძე,** გლეხი.
168. **მიხეილ (მიხა) ცქიფურიშვილი,** გლეხი.
169. **კიმოთე მოდებაძე,** მოსამსახურე.
170. **ლავრენტი ხვედელიძე,** მოსამსახურე.
171. **ნიკოლოზ (ნიკო) მოდებაძე,** მოსამსახურე.

(სიები შედგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მასალებისა და 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მონაწილის ვალიკო ჩუბინიძის მიერ წარმოდგენილი სიის ურთიერთშეჯერების საფუძველზე. სოფ. არგვეთასთან ვაგონებში დახვრეტილი ადამიანების გვარები და სახელები ბოლდითაა გამოყოფილი — ავტ.)

(სშსსა (II), საქართველოს ჩკ-ს მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წ.წ. ტ. 1, ფურც. 258 (I) – 260 (I).

შორაპნის მაზრაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის მიღების ბრალდებით საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა: **გიორგი ალფეზის ძე ბოჭორიშვილი,** 25 წლის, მცხოვრები სოფ. ალისუბანში (ჩხარის თემიდან), მასწავლებელი, უპარტიო; **არონ ზურაბის ძე ყიფშიძე,** 30 წლის, მცხოვრები სოფ. რგანში, გლეხი, უპარტიო; **ალექსანდრე სოლომონის ძე სამხარაძე,** 30 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, გლეხი, საშუალო შეძლების, უპარტიო; **მიხეილ ამბაკოს ძე გოგიბერიძე,** 37 წლის, მცხოვრები სოფ. ხიდისთავში (ოზურგეთის მაზრიდან), წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, მუშა, უპარტიო, აჯანყების დროს იარაღით ხელში იდგა გუშაგად საპყრობილეზე; **იოსებ ალექსანდრეს ძე ვარაზაშვილი,** 21 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, მეორე

კურსის სტუდენტი, უპარტიო; **სერგო ალექსანდრეს ძე გამყრელიძე,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. ზოდში, ყოფილი აზნაური, მუშა, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო; **გრიგოლ ვასილის ძე ჯაფარიძე,** 33 წლის, მცხოვრები სოფ. ზოდში, ყოფილი აზნაური, მუშა, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო; **ტარიელ ვასილის ძე აბდუშელიშვილი,** 33 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა მოტორიანი წისქვილი, მექანიკი ფირმა „კარუტოში", უპარტიო; **მაკარ თეოფანეს ძე უფლისაშვილი,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. ქვაციხეში, სტუდენტი, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო; **სანდრო ბესარიონის ძე გაფრინდაშვილი,** 32 წლის, მცხოვრები სოფ. მღვიმევში, მუშა, წერა-კითხვის მცოდნე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს წელიწადნახევარი მუშაობდა მილიციაში, 4 თვე მუშაობდა სახალხო გვარდიაში, უპარტიო; **გრიგოლ (გრიშა) ბესარიონის ძე ვაშაძე,** 24 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, წვრილი მესაკუთრე, გლეხი, საშუალო განათლებით, უპარტიო; **მიხეილ (მიშა) დავითის ძე გამყრელიძე,** 19 წლის, მცხოვრები სოფ. ზოდში, ყოფილი აზნაური, მუშა, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო; **ალექსანდრე არჩილის ძე გამყრელიძე,** 25 წლის, მცხოვრები სოფ. ზოდში, ყოფილი აზნაური, მიწის მუშა, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო; **შალვა (შალიკო) გიორგის ძე გამყრელიძე,** 21 წლის, მცხოვრები სოფ. ზოდში, ყოფილი აზნაური, საშუალო განათლებით, სოციალისტ-ფედერალისტი 1917 წლიდან; **შალვა დავითის ძე წერეთელი,** 24 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, ყოფილი აზნაური, ფირმა „კარუტოს" მუშა, დაბალი განათლებით, უპარტიო; **ვარლამ ალიოზის ძე აბაშიძე,** 35 წლის, მცხოვრები სოფ. სავანეში, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, ქ. ჭიათურაში არსებული სტამბის მუშა, დაბალი განათლებით, უპარტიო; **ნიკოლოზ ივანეს ძე გაფრინდაშ-**

ვილი, 39 წლის, მცხოვრები სოფ. ხარიფოულში, წვრილი მესაკუთრე, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა 10 ქცევა ტყე, სოციალ-დემოკრატი 1917-1918 წლებში; **სევასტი იაგორას ძე გაფრინდაშვილი,** 41 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო; **სეით ფირასის ძე ცერცვაძე,** მცხოვრები სოფ. ხრეითში; **აკაკი აბესალომის ძე გაფრინდაშვილი,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში (ჭიათურის რაიონი), მეშვიდე კლასის მოსწავლე, უპარტიო; **იოსებ დარისპანის ძე გაფრინდაშვილი,** 18 წლის, მცხოვრები სოფ. ხარიფოულში, მეშვიდე კლასის მოსწავლე, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო; **ვარლამ ეგნატეს ძე ბაღათურია,** მიკიტანი; **ილია ასლანის ძე მჟავანაძე,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. აკეთში (ოზურგეთის მაზრა), ფირმა „კარუტოს" მუშა, ახალგაზრდა მარქსისტი 1918-1923 წლებში; **კარპეზ სიმონის ძე სამყურაშვილი,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. სარქველეთუბანში, გლეხი, მოსწავლე, ახალგაზრდა მარქსისტი 1917-1923 წლებში; **ალექსანდრე სიმონის ძე მასხარაშვილი,** 22 წლის, მცხოვრები სოფ. კაცხში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო; **გრიგოლ უფლისას ძე ფხალაძე,** 27 წლის, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა ერთი ქცევა მინა, მცხოვრები სოფ. პერევისაში, ფირმა „კარუტოს" მუშა, წერა-კითხვის მცოდნე; **ფედოტი იოსების ძე ნეფარიძე,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო; **ივანე გედევანის ძე ჩაჩანიძე,** 27 წლის, მცხოვრები სოფ. პერევისაში, გლეხი, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა 6 ქცევა მინა, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო; **კონსტანტინე ვარდენის ძე მაჭავარიანი,** 27 წლის, ყოფილი აზნაური, მცხოვრები სოფ. ჭორვილაში, დაბალი განათლებით, უპარტიო; **გრიგოლ ილიას ძე კაპანაძე,** 22 წლის, მცხოვრები სოფ. კორბოულში, გლეხი, საშუალო შეძლების, საშუალო განათლებით, ახალგაზრდა

მარქსისტი; **სიმონ შალვას ძე წერეთელი,** 19 წლის, მცხოვრები სოფ. საჩხერეში, ყოფილი აზნაური, საშუალო განათლებით, უპარტიო; **ფილიმონ ანტონის ძე გოგიტაშვილი,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. კორბოულში, გლეხი, საშუალო შეძლების, საშუალო განათლებით; **დავით იოსების ძე მაჭავარიანი,** 18 წლის, მცხოვრები სოფ. სხვიტორში (საჩხერის რაიონი), ყოფილი აზნაური, საშუალო შეძლების; **ივანე ვლადიმერის ძე აბრამიშვილი,** 28 წლის, მცხოვრები სოფ. საჩხერეში, საშუალო განათლებით, სოფ. არგვეთის სკოლის მასწავლებელი, წვრილი მესაკუთრე, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი; **ლავრენტი ნიკოლოზის ძე აბაშიძე,** 28 წლის, მცხოვრები სოფ. ჭალაში, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, მიწის მუშა, წერა-კითხვის მცოდნე; **შალვა ილიას ძე ამაშუკელი,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. სავანეში, ყოფილი აზნაური, მიწის მუშა, დაბალი განათლებით, საშუალო შეძლების, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა 10 ქცევა მიწა; **გიორგი დიმიტრის ძე მაჭავარიანი,** 18 წლის, მცხოვრები სოფ. ჩიხში, ყოფილი აზნაური, მეშვიდე კლასის მოსწავლე, ახალგაზრდა მარქსისტი; **ბიძინა სერგოს ძე მაჭარაშვილი,** 19 წლის, მცხოვრები სოფ. კორბოულში, მეშვიდე კლასის მოსწავლე, მღვდლის შვილი, შეძლებული, ახალგაზრდა მარქსისტი, აჯანყების დროს საჩხერის რაიაღმასკომის თავმჯდომარის სახლი გაჩხრიკა; **დავით ანტონის ძე მეტონიძე,** 36 წლის, მცხოვრები სოფ. **პასიეთში,** გლეხი, საშუალო შეძლების, წერა-კითხვის მცოდნე, აჯანყებულებმა საჩხერიდან სოფ. ქორეთში გაგზავნეს შიკრიკად შემდეგ კი სოფ. ქორეთის კომისრად დანიშნეს; **შალვა ისმაილის ძე კუპატაძე,** 25 წლის, გლეხი; **პავლე ვასილის ძე გაფრინდაშვილი,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, გლეხი, საშუალო განათლებით, აჯანყების დროს რკინიგზის სადგურის ტელეფონს იცავდა; **კონსტანტინე (კონია) დიმიტრის ძე ბრეგვაძე,** 33 წლის, მცხოვრები სოფ. ჯვარიეწერში, ფირმა

„კარუტოს“ მუშა, საშუალო შეძლების, უპარტიო; **ვლადიმერ (ვალოდია) საჩინოს ძე კურტანიძე**, 23 წლის, მცხოვრები სოფ. სკინდორში, გლეხი, მცირე მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო; **ნოე იპოლიტეს ძე გამყრელიძე**, 24 წლის, მცხოვრები სოფ. ზოდში, ყოფილი აზნაური, საშუალო შეძლების, მუშა, სოფ. საჩხერეში მიიღო აჯანყებაში მონაწილეობა, უპარტიო, დაპატიმრებული გზიდან გაიპარა, მოგვიანებით რაჭაში დააპატიმრეს; **პარმენ ბეგლარის ძე წერეთელი**, 19 წლის, მცხოვრები სოფ. პერევისაში, ყოფილი აზნაური, მეექვსე კლასის მოსწავლე, მცირე მესაკუთრე, ახალგაზრდა მარქსისტი; **ლავრენტი ნიკოლოზის (ნიკოს) ძე სარალიძე**, 40 წლის, მცხოვრები სოფ. ჯვარიეწერში, ფირმა „კარუტოს“ მუშა, საშუალო შეძლების; **გიორგი მიხეილის ძე გელაშვილი**, 24 წლის, მცხოვრები ბორჯომში, გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, მაღაროს მუშა, უპარტიო (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 93);

ზემოთ ჩამოთვლილი პატიმრებიდან საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა: **გიორგი ბოჭორიშვილი, არონ ყიფშიძე, ალექსანდრე სამხარაძე, მიხეილ გოგიბერიძე, სერგო გამყრელიძე, გრიგოლ ჯაფარიძე, მიხეილ (მიშა) გამყრელიძე, აკაკი გაფრინდაშვილი, იოსებ გაფრინდაშვილი, ალექსანდრე მასხარაშვილი, ფედოტი ნეფარიძე, ივანე ჩაჩანიძე, კონსტანტინე მაჭავარიანი, გრიგოლ კაპანაძე, სიმონ წერეთელი, ფილიმონ გოგიტაშვილი, დავით მაჭავარიანი, გიორგი გელაშვილი** (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 93).

შორაპნის მაზრიდან თბილისში გადააგზავნეს პატიმრები: **ვიქტორ მიხეილის ძე გამყრელიძე**, 47 წლის, ყოფილი აზნაური, მცხოვრები სოფ. ზოდში, მრეწველი, სოციალისტ-რევოლუციონერი 1905 წლიდან, სახლში აღმოაჩნდა მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერების ორი დროშა, სურათები და წიგნები, მონაწილეობა მიიღო საჩხერის აღებაში;

ზურაბ არჩილის ძე გამყრელიძე, 24 წლის, მცხოვრები სოფ. ზოდში, ყოფილი აზნაური, სტუდენტი, სოციალისტ-ფედერალისტი; **გრიგოლ ვასილის ძე დეკანოიძე,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. ღარიხევში, გლეხი, საშუალო შეძლების, უპარტიო; **ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე მერმანიშვილი,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. რუფოთში, სოფ. რგანის სკოლის გამგე (ამ თანამდებობაზე დროებით იყო დანიშნული), მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტი 1917 წლიდან; **დავით ნესტორის ძე კილურაძე,** 24 წლის, მცხოვრები ოზურგეთში, გლეხი, ჭიათურის გლეხკომის მდივანი, საშუალო განათლებით, უპარტიო; **ალექსანდრე ფარნაოზის ძე მაჭავარიანი,** 22 წლის, მცხოვრები სოფ. საჩხერეში, ყოფილი აზნაური, სოფ. არგვეთის სკოლის მასწავლებელი, საშუალო შეძლების, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტი 1918 წლიდან; **ვარლამ ნესტორის ძე კიკნაძე,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. ბალიეთში, ყოფილი აზნაური, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა 4 ქცევა მინა, გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო; **ნიკოლოზ (ნიკო) სიმონის ძე ალფაიძე,** 50 წლის, მცხოვრები ქ. ქუთაისში, მუშაობდა ქ. ჭიათურაში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან; **იაკობ სიმონის ძე გოგსაძე,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. ქვაციხეში, მოსწავლე, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტი 1918 წლიდან; **ლეონ გრიგოლის ძე ჭიჭინაძე,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. ქორეთში, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, სტუდენტი, უპარტიო; **ბიჭიკო დომენტის ძე ასანიძე,** 26 წლის, მცხოვრები სოფ. მერევისში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე; **პლატონ დიმიტრის ძე აბდუშელიშვილი,** 46 წლის, მცხოვრები სოფ. მერევისში, ყოფილი აზნაური, საშუალო შეძლების, უპარტიო; **იპოლიტე ალექსანდრეს ძე დარბაიძე,** 22 წლის, მცხოვრები სოფ. ითხვისში, სტუდენტი, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო; **დავით კონსტანტინეს ძე**

ლეჟავა, 31 წლის, მცხოვრები სოფ. დიდ ჯიხაიშში, ფირმა „კარუტოს" მუშა, წვრილი მესაკუთრე, სოციალ-დემოკრატი 1912 წლიდან, 1922 წლის 24 მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის 5 დღით დააპატიმრა ქუთაისის პოლიტბიურომ; **სიმონ საჩინოს ძე მოდებაძე**, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, სოციალ-დემოკრატი 1913 წლიდან, მოგვიანებით პარტია დატოვა; **ალექსანდრე სოლომონის ძე კოპალეიშვილი**, 26 წლის, მცხოვრები სოფ. სამტრედიაში, ქ. ჭიათურის შრომის კავშირის საქმის მწარმოებელი, გლეხი, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი; **სანდრო იოსების ძე ზაქარიაძე**, 36 წლის, მცხოვრები სოფ. ჭაგანში (სამტრედიის რაიონი), ღვინით მოვაჭრე, უპარტიო; **ბარნაბა ტარიელის ძე ჩუბინიძე**, 31 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, სპეციალობით ტელეგრაფისტი, მუშაობდა კომუნალური განყოფილების საწყობში, უპარტიო; **მიტროფანე დავითის ძე ჯაფარიძე**, 28 წლის, მცხოვრები სოფ. პერევისაში, ყოფილი აზნაური, მუშაობდა ფირმა „გელზენკირხნერში", უპარტიო; **ვლადიმერ (ლადიკო) დავითის ძე ნეფარიძე**, 40 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, ფირმა „კარუტოს" მუშა, წერა-კითხვის მცოდნე, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან; **კონსტანტინე (კოსტა) პანაიოტის ძე გალანიდი**, 47 წლის, მცხოვრები სოფ. წირქვალში, ბერძენი, ფირმა „ფორდის" მუშა, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, უპარტიო; **პეტრე სპირიდონის ძე გურბანიძე**, 23 წლის, მცხოვრები სოფ. ჭილოვანში, საშუალო განათლებით, მარქსისტი 1918-1920 წლებში; **ივანე დიმიტრის ძე წერეთელი**, 33 წლის, მცხოვრები სოფ. ხრეითში, ყოფილი აზნაური, მიწის მუშა, წვრილი მესაკუთრე, სოციალ-დემოკრატი 1918 წლიდან; **გრიგოლ (გრიშა) სოლომონის ძე კახიძე**, 24 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, ყოფილი აზნაური, ფირმა „კარუტოს" მუშა, უპარტიო; **ვანო სერგოს ძე წერეთელი**, 34 წლის, მცხოვრები სოფ. მერევისში, ყოფილი აზნაური, ფირმა „კა-

რუტოს“ მუშა, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა 1100 დესეტინა მიწა, ხუთი კლასის განათლებით, მარქსისტი 1905 წლიდან; **სიმონ ლავრენტის ძე კაციტაძე,** 40 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, სასულიერო წოდებიდან, წვრილი მესაკუთრე, ფერშალი, მედიცინის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, სოციალ-დემოკრატი 1905-1921 წლებში; **სერგო სევასტის ძე ქურციკიძე,** 21 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში და სოფ. მუხურში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, „სხიველი“ 1918-1919 წლებში, ორი კლასის განათლებით; **თეოფილე პავლეს ძე ჯიმშელეიშვილი,** 43 წლის, მცხოვრები ქ. ქუთაისში, გლეხი, დაამთავრა სოფლის სკოლა, სოციალ-დემოკრატი 1905-1918 წლებში; **ვასილ ეფრემის ძე ჭიჭინაძე,** 30 წლის, მცხოვრები ქ. ქუთაისში, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, ქ. ჭიათურის აფთიაქის ფარმაცევტი, სოციალისტ-ფედერალისტი 1914-1917 წლებში; **სერგო ვასილის ძე ბიწაძე,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. ცხრუკვეთში, მეორე კურსის სტუდენტი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან; **ანდრო ზურაბის ძე მაჭავარიანი,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. ჭორვილში, ყოფილი აზნაური, რკინიგზის დამცველი რაზმის ყოფილი მოსამსახურე, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო საჩხერეში, გ. აბდუშელიშვილის რაზმელი; **ალექსანდრე ვასილის ძე კურცხალია,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. არგვეთაში, ყოფილი აზნაური, წერა-კითხვის მცოდნე, მცირე მესაკუთრე, მუშა, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო სოფ. არგვეთაში; **კონსტანტინე (კოწია) გრიგოლის ძე ჩაჩანიძე,** 44 წლის, ყოფილი ოფიცერი; **გრიგოლ ლეონტის ძე ჩაჩანიძე,** 31 წლის, ხუთი კლასის განათლებით, ყოფილი ოფიცერი, სოციალ-დემოკრატი; **ლავრენტი გიორგის ძე ქავთარაძე,** 35 წლის, ყოფილი აზნაური, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო საჩხერეში; **ილარიონ ოქროპირის ძე ჩაჩანიძე,** 34 წლის, მეფის ჯარში მუშაობდა მწერლად, ექვსი კლასის განათლებით; **ტიტე აბესალომის ძე ჩაჩანიძე,** 29 წლის, ყოფილი ოფიცე-

რი, მსახურობდა ჩონში ოფიცრად; **თადეოზ ივანეს ძე გაფრინდაშვილი,** 34 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, გლეხი, ყოფილი ოფიცერი, ყოფილი მასწავლებელი, სოციალისტ-რევოლუციონერი; **შალვა ამბაკოს ძე ჭუმბურიძე,** 29 წლის, მცხოვრები სოფ. ჯვარიეწერში, ყოფილი სოციალ-დემოკრატი; **მინა ვლადიმერის ძე ნეფარიძე,** 33 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, აჯანყების დროს სოფ. შუქრუთის საბჭოს თავმჯდომარე დარბაიძეს თავის სახლშივე აჰყარა იარაღი; **შოთა გაბრიელის ძე გამყრელიძე,** 22 წლის, მცხოვრები სოფ. საჩხერეში, ყოფილი აზნაური, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო ქ. ჭიათურაში; **ივანე ფარსადანის ძე ჩუბინიძე,** 25 წლის, მცხოვრები სოფ. ხრეითში, გლეხი, ყოფილი გვარდიელი, წერა-კითხვის მცოდნე, აჯანყების დროს დაიჭრა; **ნიკოლოზ სპირიდონის ძე ხუციშვილი,** 23 წლის, მცხოვრები ბორჯომში, გლეხი, საშუალო განათლებით, მემანქანე, ეროვნულ-დემოკრატი.

ზემოთ ჩამოთვლილი პატიმრებიდან საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა: **ვიქტორ გამყრელიძე, ვარლამ კიკნაძე, ბიჭიკო ასანიძე, პლატონ აბდუშელიშვილი, სიმონ კაციტაძე, სერგო ქურციკიძე, თეოფილე ჯიმშელეიშვილი, ალექსანდრე კურცხალია** (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 95-97).

შორაპნის მაზრაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრეს, მაგრამ მოგვიანებით საგანგებო სამეულმა გაათავისუფლა: **პარმენ აღდომელას ძე ქებაძე,** 34 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აცხადებდა, რომ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **მიხეილ მიხეილის ძე გრიშაშვილი,** 24 წლის, მცხოვრები ქ. თბილისში, „ჩემოს" ბუღალტერი, საშუალო განათლებით, უპარტიო, აცხადებდა, რომ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **მიხეილ იორდანეს ძე მიროტაძე,** 34 წლის, მცხოვრები სოფ. წირქვალში, გლეხი, სოციალისტ-

რევოლუციონერების თანამოაზრე, აჯანყების დროს განაიარაღა კომუნისტები, აცხადებდა, რომ აჯანყებაში მონაწილეობით დიდი შეცდომა დაუშვა და თხოულობდა პატიებას; **სანდრო ალექსის ძე მიროტაძე,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. წირქვალში, გლეხი, უპარტიო, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას იარაღით ხელში; **მიხეილ ივანეს ძე მილორავა,** 17 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, გლეხი, მოსწავლე, უპარტიო, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას იარაღით ხელში; **კონსტანტინე (კოწია) იოსების ძე ხვედელიძე,** 34 წლის, მცხოვრები სოფ. რგანში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო უიარაღოდ, თხოულობდა დანაშაულის პატიებას; **სერგო გალაკტიონის ძე გაჩეჩილაძე,** 19 წლის, მცხოვრები სოფ. ჯვარიეწერში, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, მეწაღე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **კონსტანტინე ალფეზის ძე ზეინკლიშვილი,** 25 წლის, მცხოვრები საჩხერის რაიონში, გლეხი, დაბალი განათლებით, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო, აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში, ხელისუფლებას დანებდა 25 აჯანყებულთან ერთად; **დარისპან პავლეს ძე ცერცვაძე,** 45 წლის, მცხოვრები სოფ. ვაჭევში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, უსწავლელი, უპარტიო, აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **ალექსანდრე (საშა) სიმონის ძე მასხარაშვილი,** 34 წლის, მცხოვრები სოფ. წირქვალში, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, მუშა, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა, აჯანყების დამარცხების შემდეგ 25 კაცთან ერთად იმალებოდა, მისი ხელმძღვანელობით შემოირიგეს აჯანყებულები; **ვარლამ სპირიდონის ძე ცერცვაძე,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. უსახელოში, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, ფირმა „კარუტოს" მუშა, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე**

ჩინჩალაძე, 36 წლის, მცხოვრები სოფ. ჭიათურაში, წვრილი მესაკუთრე, ყოფილი მასწავლებელი, ფირმა „კარუტოს“ მუშა, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **ვიქტორ კონსტანტინეს ძე მასხარაშვილი,** 25 წლის, მცხოვრები სოფ. წირქვალში, ყოფილი აზნაური, ჭიათურის შავი ქვის ქარხნის ტაბელშიკი, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში, საბჭოთა ხელისუფლებას ჩაბარდა 25 კაცთან ერთად, გათავისუფლდა მამულეიშვილის თავდებით; **პლატონ ივანეს ძე ძნელაძე,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. სარქველეთუბანში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას იარაღით ხელში; **დომენტი ნიკოლოზის (ნიკოს) ძე პაპიძე,** 41 წლის, მცხოვრები სოფ. მერევისში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, უსწავლელი, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **ვლადიმერ სოფრომის ძე იაკობიძე,** 36 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, მრეწველი, თვითნასწავლი, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში, განაიარაღა კომუნისტები, აცხადებს, რომ ძალდატანებით მიაღებინეს მონაწილეობა აჯანყებაში; **ნოშრევან პართენის ძე აბაშიძე,** 44 წლის, მცხოვრები ქ. ქუთაისში, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის უცოდინარი, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **მიტროფანე ივანეს ძე კიკნაძე,** 35 წლის, მცხოვრები სოფ. ხარაგაულში, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, ქვის მთლელი, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **სერაფიონ კონსტანტინეს (კოსტას) ძე გელაშვილი,** 19 წლის, მცხოვრები სოფ. მანდაეთში, გლეხი, მეშვიდე კლასის ბოსნავლე, უპარტიო, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას იარაღით ხელში, საბჭოთა ხელისუფლებას თვითონ ჩაბარდა; **კარპეზ ნიკოლოზის ძე ბრეგვაძე,** 27 წლის, მცხოვრები სოფ. ზოდში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, უპარ-

ტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **შალვა არჯევანის ძე ლომიძე,** 35 წლის, მცხოვრები სოფ. ლიჩში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, თვითნასწავლი, უპარტიო, ფირმა „კარუტოს" მუშა, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში, სოციალ-დემოკრატებმა დანიშნეს სოფ. ლიჩის თავმჯდომარედ; **ნოე ვლადიმერის ძე ჟღენტი,** ფირმა „კარუტოს" მუშა, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას იარაღით ხელში; **ანდრო ალექსანდრეს ძე ბერიძე,** 35 წლის, მცხოვრები სოფ. ხიდისთავში (ოზურგეთის მაზრა), მუშა, დაბალი განათლებით, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **სევერიანე ანტონის ძე აბესაძე,** მუშა, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში; **ვასილ ალფეზის ძე გაფრინდაშვილი,** ვაჭარი, უპარტიო, ღებულობდა აჯანყებაში მონაწილეობას იარაღით ხელში; **ვარდენ სარდიონის ძე გაფრინდაშვილი,** 20 წლის, სტუდენტი, უპარტიო, ახალგაზრდა მარქსისტი, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **პლატონ მალაქიას ძე ჩუბინიძე,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. ქვაციხეში, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო სოფ. ქვაციხეში; **ნიკოლოზ დავითის ძე ბრეგვაძე,** 58 წლის, მცხოვრები სოფ. ზოდში, გლეხი, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა 40 ქცევა ტყე, წერა-კითხვის მცოდნე, სოციალ-დემოკრატი 1921 წლამდე, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ენუქი რომანოზის ძე ბრეგვაძე,** 20 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, გლეხი, აქვს 1,5 ქცევა მიწა და სახლი, სტუდენტი, ახალგაზრდა მარქსისტი 1918-1919 წლებში, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო თოფით ხელში; **მელქისედეკ როსტომის ძე მოდებაძე,** 39 წლის, მცხოვრები სოფ. კაცხში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, სოციალ-დემოკრატი 1917-1921 წლებში, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ივანე ერმოლოზის ძე მაღრაძე,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. ლელვაში, ფირმა „კარუტოს"

მუშა, წვრილი მესაკუთრე, ექვსი კლასის განათლებით, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო თოფით ხელში; **ვასილ ლევანტის ძე არაბიძე,** 47 წლის, მცხოვრები სოფ. ჩხარში, მუშა, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა 2 ქცევა მიწა, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო თოფით ხელში; **აკაკი ბეჟანის ძე წერეთელი,** 19 წლის, მცხოვრები სოფ. წინსოფელში, ყოფილი აზნაური, მუშა, წერა-კითხვის მცოდნე, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა მიწა, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **მინა სიმონის ძე ჩუბინიძე,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. წინსოფელში, გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, კომკავშირის წევრი, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ისიდორე მიხეილის ძე ბიწაძე,** 28 წლის, მცხოვრები სოფ. ცხრუკვეთში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, სტუდენტი, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა, განაიარაღა კომუნისტები; **გრიგოლ სილოვანის ძე სამყურაშვილი,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. სარქველეთუბანში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა; იაშა ტრიფონის ძე ნიკოლაძე, 26 წლის, მცხოვრები სოფ. სკანდეში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყების დროს სოციალ-დემოკრატებმა გაათავისუფლეს საპყრობილიდან, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში; **ალექსანდრე ლუკას ძე სილაგაძე,** 18 წლის, მცხოვრები სოფ. ხოჩში (ლეჩხუმის მაზრა), გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში; **მელიტონ ამირანის ძე კურტანიძე,** 44 წლის, მცხოვრები სოფ. სვერში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **პეტრე მოსეს ძე პეტრიაშვილი,** 53 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, მეწაღე, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, სოციალ-დემოკრატი 1901–1917 წლებში, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ბიძინა პარ-**

მენის ძე კობახიძე, 19 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში, იდგა დარაჯად საგუშაგოზე; **ალექსანდრე უფლისას ძე ტყემალაძე**, 25 წლის, მცხოვრები სოფ. ჭილოვანში, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, ფირმა „კარუტოს“ მუშა, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **გიორგი ივანეს ძე თოდუა**, 35 წლის, მცხოვრები სოფ. ხონში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, მუშაობდა „ჩემოში“, სოციალ-დემოკრატი 1911-1921 წლებში, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **მიხეილ ფარნაოზის ძე ნანიკაშვილი**, 42 წლის, ვაჭარი, მცხოვრები ქ. ქუთაისში, წერა-კითხვის მცოდნე, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა 4 ქცევა მიწა, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა თოფით ხელში; **ლავრენტი სპირიდონის ძე კეკელიძე**, 27 წლის, გლეხი, მცხოვრები სოფ. იანოულში (ოზურგეთის მაზრა), მუშაობდა ქ. ჭიათურაში, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **შალვა ჯაბულოს ძე ჩხიკვიშვილი**, 24 წლის, მცხოვრები ჩოხატაურში (ოზურგეთის მაზრა), ყოფილი აზნაური, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო უიარაღოდ; **შალვა დავითის ძე მხეიძე**, 19 წლის, მცხოვრები სოფ. კრიხში (რაჭის მაზრა), ყოფილი აზნაური, საშუალო შეძლების, მუშა, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო თოფით ხელში; **როფოსი ლუარსაბის ძე კევლიშვილი**, 37 წლის, მცხოვრები სოფ. ნავათქევში (ჭიათურის რაიონი), გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში; **ვარდენ რევაზის ძე სამყურაშვილი**, 23 წლის, მცხოვრები სოფ. სარქველეთუბანში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში; **ტერენტი სევერიანეს ძე გაფრინდაშვილი**, 18 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, გლეხი, შვიდი კლასის გა-

ნათლებით, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო თოფით ხელში; **ნიკოლოზ დიმიტრის ძე გველესიანი,** 39 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, სოციალ-დემოკრატი 1917-1921 წლებში, ფირმა „კარუტოს" საწყობის გამგე, აჯანყებულებს აღმოუჩინა დახმარება ცხენების მიწოდებით; **რაჟდენ ივანეს ძე ჯიმშელეიშვილი,** 38 წლის, მცხოვრები სოფ. ხონში, წვრილი მესაკუთრე, ქ. ჭიათურის საავადმყოფოს თანამშრომელი, სოციალ-დემოკრატი 1906-1909 წლებში, წერა-კითხვის მცოდნე, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ვარლამ სილიონის ძე მასხარაშვილი,** 41 წლის, მცხოვრები სოფ. ხარიფოულში, ყოფილი აზნაური, მრეწველი, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **მიხეილ პართენის ძე თაბაგარი,** 25 წლის, მცხოვრები სოფ. თაბაგრებში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **სიმონ ვლადიმერის ძე ნეფარიძე,** 27 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, ქ. ჭიათურის საავადმყოფოს მეეზოვე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ზაქარია (შაქრო) დიმიტრის ძე ტაბატაძე,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. ნულში (ცხინვალის რაიონი), გლეხი, წვრილი მესაკუთრე, ფირმა „კარუტოს" მუშა, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო თოფით ხელში; **ნესტორ როსტომის ძე ქუთათელაძე,** 29 წლის, მცხოვრები ქ. ქუთაისში, ქ. ჭიათურაში არსებული სტამბის მემანქანე, წვრილი მესაკუთრე, აჯანყების დროს დაბეჭდა პროკლამაციები; **ვასილ ივანეს ძე ბარელაძე,** 40 წლის, მცხოვრები სოფ. პერევისაში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო თოფით ხელში; **ალექსანდრე ივანეს ძე ყიფშიძე,** 39 წლის, მცხოვრები სოფ. რგანში, სასულიერო წოდებიდან, საექიმო დახმარების აგენტი, წვრილი მესაკუთრე, საშუალო განათ-

ლებით, უპარტიო, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანამგრძნობი, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **აკაკი ბიქტორის ძე ქოქოსაძე,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. ზნაკვაში (რაჭის მაზრა), ვაჭარი, საშუალო შეძლების, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა თოფით ხელში; **ანდრო ზაქარიას ძე ცომაია,** 32 წლის, მცხოვრები ქ. თბილისში კიროჩნის №65-ში, ქ. ჭიათურის რკინიგზის ელექტროსადგურის გამგე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ივანე სერგოს ძე ყიფშიძე,** 27 წლის, მცხოვრები სოფ. რგანში, სასულიერო წოდებიდან, წვრილი მესაკუთრე, სააქციო საზოგადოების მწონავი, საშუალო განათლებით, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **აკაკი ალექსის ძე ბაკურაძე,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. ზნაკვაში (რაჭის მაზრა), მუშაობდა ხაბაზად ქობულეთში, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ივანე ბეკოს ძე ჭანტურიძე,** 49 წლის, მცხოვრები სოფ. საზანოში, გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, ქ. ჭიათურის ცხრაწლედის სკოლის დარაჯი, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ალექსანდრე (საშა) გიორგის ძე მაღრაძე,** 20 წლის, მცხოვრები სოფ. ბელაგორში, ქ. ჭიათურის „ეპოს" ნოქარი, ერთი კლასის განათლებით, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში; **ვასილ იასონის ძე ბახტაძე,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. ხონში, ქ. ჭიათურის ცხრაწლედის სკოლის მასწავლებელი, სოციალისტ-ფედერალისტი 1918-1921 წლებში, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა; **ალექსანდრე ლიანიდის ძე ბაშკანგი,** 31 წლის, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, კანტორის მოხელე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ნოშრევან ნიკოს ძე ორბელაძე,** 40 წლის, მცხოვრები სოფ. საზანოში, გლეხი, უსწავლელი, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა; **ანტონ გიგოს ძე სამყურაშვილი,** 40 წლის, მცხოვრები სოფ. სარქველეთუბანში, მრეწველი, წერა-კითხვის მცოდნე, სო-

ციალ-დემოკრატიული პარტიის თანამგრძნობი, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში; **იასონ სიმონის ძე სამხარაძე,** 39 წლის, მცხოვრები სოფ. რგანში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ვარლამ დავითის ძე აბაშიძე,** 55 წლის, მცხოვრები სოფ. საზანოში, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, მუშაობდა ქ. ჭიათურაში, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **პელანგია ილიას ასული წერეთელი,** 28 წლის, მცხოვრები სოფ. ლიჩში, ყოფილი აზნაური, საშუალო განათლებით, წვრილი მესაკუთრე, სოციალ-დემოკრატი 1917-1918 წლებში, ქ. ჭიათურის შავი ქვის სამმართველოს მოანგარიშე, მიიღო თუ არა აჯანყებაში მონაწილეობა უცნობია; **ნინა იასონის ასული ხარშილაძე,** 19 წლის, მცხოვრები სოფ. ნიგვზიანში, გლეხი, საშუალო განათლებით, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა; **შალვა ირაკლის ძე ამაშუკელი,** 32 წლის, მცხოვრები სოფ. ამაშუკეთში, ყოფილი აზნაური, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა 5 ქცევა მიწა, ორი კლასის განათლებით, შავი ქვის მწონელი, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **მიხეილ ივანეს ძე არაშიძე,** 28 წლის, მცხოვრები სოფ. ლელვაში, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, ფირმა „კარუტოს" მუშა, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **მალაქია ბუჭუას ძე ასანიძე,** 45 წლის, მცხოვრები სოფ. გალაურში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერა-კითხვის არ მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **პეტრე პატის ძე აბაშიძე,** 60 წლის, მცხოვრები სოფ. საჩხერეში, ყოფილი აზნაური, ხალხში დიდი გავლენის მქონე, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **მიხეილ ივანეს ძე კაჭკაჭოვი,** მცხოვრები სოფ. საჩხერეში, მეშვიდე კლასის მოსწავლე, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში, მაგრამ პასიურად; **შალვა ღენტორის ძე ტაბა-**

ტაძე, 17 წლის, მცხოვრები სოფ. ბერეთში, სწავლობს ბუღალტერიის კურსებზე, საშუალო შეძლების, ახალგაზრდა მარქსისტი, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში ქ. ჭიათურაში; **დუშიკო მინაგოს ძე გომართელი,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. ჭალაში, ყოფილი აზნაური, ამჟამად მიწის მუშა, საშუალო შეძლების, მაღაროს მუშა, წერა-კითხვის მცოდნე, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას იარაღით ხელში, სოფ. ჭალაში დარაჯობდა აჯანყებულების მიერ დაპატიმრებულ კომუნისტებს; **სიმონ სპირიდონის ძე ჟორჟოლაძე,** 25 წლის, მცხოვრები სოფ. კალუათაში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, რკინიგზის დამცველი რაზმის ყოფილი წევრი, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა დაბა საჩხერეში თოფით და რევოლვერით ხელში, იდგა დარაჯად ფოსტაზე; **ისიდორე ზურაბის ძე გულიაშვილი,** 33 წლის, მცხოვრები სოფ. კალუათაში, ვაჭარი, უპარტიო; **აქვსენტი ლავრენტის ძე ქავთარაძე,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. ივანწმინდაში, ყოფილი აზნაური, მიკიტანი, საშუალო შეძლების, წერა-კითხვის მცოდნე, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში, იცავდა ფოსტას; **ვარდენ მელიტონის ძე კაპანაძე,** 34 წლის, მცხოვრები სოფ. კალუათაში, გლეხი, საშუალო შეძლების, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო სოფ. კალუათაში და აიარაღებდა კომუნისტებს, აჯანყების დამარცხების შემდეგ გაიქცა ხაშურში, სადაც გამოცხადდა ნათესავ ჩეკისტთან (თვითონ აცხადებდა); **ვიქტორ იოსების ძე წერეთელი,** 42 წლის, მცხოვრები სოფ. ითხვისში, ყოფილი აზნაური, უმაღლესი განათლებით, შორაპნის მაზრაში ტყის განყოფილების ყოფილი გამგე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **არტემ ალექსის ძე იაკობიძე,** 29 წლის, მცხოვრები სოფ. ითხვისში, გლეხი, შეძლებული, მონაწილეობა მიღებული აქვს სომხების წინააღმდეგ ომში, სოციალისტ-რევოლუციონერი 1918 წლიდან, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო თოფით ხელში ქ. ჭიათურაში; **ვარდენ იოსე-**

ბის ძე წერეთელი, 47 წლის, მცხოვრები სოფ. ითხვისში, ყოფილი აზნაური, ყოფილი მღვდელი, საშუალო განათლებით; **ბიკენტი სამსონის ძე იაკობაშვილი**, 22 წლის, მცხოვრები სოფ. ჩიხაში, საშუალო შეძლების, ტყის მცველი; **ვარლამ დავითის ძე ჯამოსბერიშვილი** (იგივე წერეთელი), 40 წლის, მცხოვრები სოფ. ითხვისში, ყოფილი აზნაური, წერა-კითხვის უცოდინარი, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო პასიურად, ძალდატანებით; **ლავრენტი ვლადიმერის ძე კურცხალია**, 30 წლის, მცხოვრები სოფ. არგვეთაში, ყოფილი აზნაური, ამჟამად მიწის მუშა, წერა-კითხვის მცოდნე, საშუალო შეძლების, ბინის ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს თოფი ვაზნებით; **რეზო მიხეილის ძე აბაშიძე**, 24 წლის, მცხოვრები სოფ. არგვეთაში, ყოფილი აზნაური, თვითნასწავლი, საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა ერთი ქცევა მიწა, ამჟამად მიწის მუშა, ყოფილი მილიციელი, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო სოფ. არგვეთაში იარაღით ხელში; **მიხეილ დავითის ძე კიკნაძე**, 34 წლის, მცხოვრები სოფ. ბჟინევში, გლეხი, მცირე შეძლების, წერა-კითხვის მცოდნე, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **იასონ ეფრემის ძე ღვალაძე**, 34 წლის, მცხოვრები სოფ. სვერში, გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო; **კოლია გრამიტონის ძე ბაქრაძე**, 22 წლის, მცხოვრები დაბა ონში, დროებით მცხოვრები ქ. ჭიათურაში, ყოფილი აზნაური, ამჟამად მუშა, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას იარაღით ხელში ქ. ჭიათურაში, აწარმოებდა კომუნისტების ოჯახებში ჩხრეკას, იცავდა ფოსტას, გაემართა დაბა საჩხერის ასაღებად; **ივანე ბიჭიას ძე ჟორჟოლაძე**, 55 წლის, მცხოვრები სოფ. კალუათში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას უიარაღოდ; **ტარასი ირაკლის ძე ხატელიშვილი**, 27 წლის, ყოფილი აზნაური, წვრილი მესაკუთრე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ვიქტორ დავითის ძე ღვალაძე**, 25 წლის, გლეხი, წერა-კითხვის

მცოდნე, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას იარაღით ხელში; **მიხეილ მალხაზის ძე დვალი,** 38 წლის, გლეხი, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ლადიკო დავითის ძე ნეფარიძე,** 40 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, ფირმა „კარუტოს" მუშა, წვრილი მესაკუთრე, უსწავლელი, უპარტიო; **იონა სპირიდონის ძე ჩაჩანიძე,** 21 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, საშუალო განათლებით, უპარტიო, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას იარაღით ხელში ქ. ჭიათურაში; **ონისიმე ნიკოს ძე სარალიძე,** 23 წლის, მცხოვრები სოფ. კაცხში, გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, აჯანყებაში ღებულობდა მონაწილეობას იარაღით ხელში; **ამბროსი სიკოს ძე გაფრინდაშვილი,** 21 წლის, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, ფირმა „კარუტოს" მუშა, მცირე შეძლების, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იძულებით თოფით ხელში; **კოლია იაკინთეს ძე კუპატაძე,** 24 წლის, მცხოვრები სოფ. ჯვარიეწერში, ფირმა „კარუტოს" მუშა, ღარიბი, უსწავლელი, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ირაკლი იაკობის ძე ციცქაძე,** 39 წლის, მცხოვრები სოფ. სარეკში, გლეხი, უპარტიო, ერთ ღამეს შეიფარა ქ. ჭიათურიდან გამოქცეული აჯანყებულები; **დიმიტრი ივანეს ძე გოგოლაძე,** 29 წლის, მცხოვრები სოფ. რგანში, მუშა, უსწავლელი, ღარიბი, აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია; **ივანე ბეროს ძე შუკაკიძე,** 44 წლის, გლეხი, წერა-კითხვის მცოდნე, საშუალო შეძლების, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **აბესალომ როსტომის ძე შუკაკიძე,** 37 წლის, მცხოვრები სოფ. სკინდორში, გლეხი, უპარტიო, აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა თოფით ხელში; **ლავრენტი როსაპის ძე ხარაიძე,** 58 წლის, მცხოვრები სოფ. პერევისაში, გლეხი, თვითნასწავლი, ამჟამად უპარტიო; **ამბერკი სეხნიას ძე ფხალაძე,** 29 წლის, მცხოვრები სოფ. სკინდორში, გლეხი, საშუალო შეძლების, აჯანყებაში მიიღო მონაწილეო-

ბა თოფით ხელში; **ვასილ ივანეს ძე კურტანიძე**, 30 წლის, მცხოვრები სოფ. პერევისაში, გლეხი, საშუალო განათლებით, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, კანცელარიის მოხელე, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო პასიურად; **ვენიკა ვარლამის ძე ლოლაძე**, 35 წლის, მცხოვრები სოფ. ხრეითში, დროებით ცხოვრობს ქ. ჭიათურაში, ყოფილი აზნაური, ფირმა „გილზენკირხენის" მუშა, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო პასიურად, იდგა დარაჯად პატიმრებთან; **ვარლამ სამსონის ძე ბრეგვაძე**, 16 წლის, მცხოვრები სოფ. საკუორწეში, ღარიბი გლეხი, უსწავლელი, აჯანყებაში მონაწილეობის მიღება აიძულეს ჩუბინიძემ და ირ. გამეზარდაშვილმა; **ბენია მელიტონის ძე ვაშაძე**, 21 წლის, მცხოვრები სოფ. ზედა რგანში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია; **ირაკლი გერმანეს ძე ნოზაძე**, 24 წლის, მცხოვრები სოფ. **ჭილაურთაში**, გლეხი, საშუალო შეძლების, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იარაღით ხელში ძალდატანებით (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 99-103).

1924 წლის 31 დეკემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ პატიმრობიდან გაათავისუფლა აჯანყებაში მონაწილე პირები: **ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე მერმანიშვილი**, 24 წლის, გლეხი, მცხოვრები სოფ. რუპოტში, საშუალო განათლებით, სოციალისტ-ფედერალისტი 1917 წლიდან; **დავით ნესტორის ძე ნიკურაძე**, 24 წლის, გლეხი, საშუალო განათლებით, ოზურგეთის მაზრიდან, უპარტიო; **ნიკოლოზ სიმონის ძე ალფაიძე**, 50 წლის, გლეხი, მცხოვრები ქუთაისის მაზრაში, წიგნიერი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან; **პლატონ დიმიტრის ძე აბდუშელიშვილი**, 46 წლის, ყოფილი აზნაური, მცხოვრები სოფ. მერევისში, თვითნასწავლი, უპარტიო; **დავით კონსტანტინეს ძე ლეჟავა**, 31 წლის, ყოფილი აზნაური, მცხოვრები სოფ. დიდ ჯიხაიშში, თვითნასწავლი, სოციალ-დემოკრატი 1912 წლიდან; **სიმონ საჩინოს ძე მოდებაძე**, 35

წლის, გლეხი, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, წიგნიერი, სოციალ-დემოკრატი 1913 წლიდან; **ალექსანდრე სოლომონის ძე კოპალეიშვილი,** 26 წლის, გლეხი, მცხოვრები სოფ. სამტრედიაში; **ალექსანდრე იოსების ძე ზაქარიაძე,** 36 წლის, გლეხი, მცხოვრები სოფ. ჩაგანში (ქუთაისის მაზრა), თვითნასწავლი, უპარტიო; **ბარნაბა ტარიელის ძე ჩუბინიძე,** 31 წლის, გლეხი, მცხოვრები სოფ. ჭიათურაში, უპარტიო; **კონსტანტინე პანაიოტის ძე გალანიდი,** 40 წლის, გლეხი, მცხოვრები სოფ. წირკვალიდან, ბერძენი, თვითნასწავლი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი; **გრიგოლ სოლომონის ძე კახიძე,** 24 წლის, ყოფილი აზნაური, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, მუშა, უპარტიო; **გრიგოლ ლევანტეს ძე ჩაჩანიძე,** 31 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი ოფიცერი, სოციალ-დემოკრატი; **ლავრენტი გიორგის ძე ქავთარაძე,** 55 წლის, ყოფილი აზნაური, მცხოვრები სოფ. საჩხერეში; **ილარიონ ოქროპირის ძე ჩაჩანიძე,** 34 წლის, გლეხი, საშუალო განათლებით, უპარტიო; **ტიტე აბესალომის ძე ჩაჩანიძე,** 29 წლის, ყოფილი აზნაური, მცხოვრები სოფ. შუკურეთში, ყოფილი ოფიცერი; **მინა ვლადიმერის ძე ნეფარიძე,** 33 წლის, გლეხი, მცხოვრები სოფ. შუქრუთში, წიგნიერი, უპარტიო.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის მიერ გამოცხადებული ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდნენ: **ზურაბ არჩილის ძე გამყრელიძე,** 24 წლის, ყოფილი აზნაური, მცხოვრები სოფ. ზოტში (შორაპნის მაზრა), საშუალო განათლებით, დაუოჯახებელი, სოციალისტ-ფედერალისტი 1917 წლიდან; **ალექსანდრე ფარნაოზის ძე მაჭარაშვილი,** 22 წლის, ყოფილი აზნაური, მცხოვრები სოფ. ორდულში (შორაპნის მაზრა), საშუალო განათლებით, სოციალისტ-ფედერალისტი 1918 წლიდან; **შოთა გაბრიელის ძე გამყრელიძე,** 22 წლის, ყოფილი აზნაური, მცხოვრები სოფ. საჩხერეში (შორაპნის მაზრა), მცირე მესაკუთრე, სოციალისტ-ფედერალისტი; **ივანე დი-**

მიტრის ძე წერეთელი, 33 წლის, მცხოვრები სოფ. ხრეითში, ყოფილი აზნაური, თვითნასწავლი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი; **ივანე ფარსადანის ძე ჭუმბურიძე,** 25 წლის, ყოფილი სახალხო გვარდიელი, წიგნიერი, შავი მუშა; **შალვა აბრაამის ძე ჩუბინიძე,** 29 წლის, მცხოვრები სოფ. ჩანრში, მესამე კურსის სტუდენტი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი; **სეფე დავითის ძე კახიძე,** 38 წლის, ყოფილი აზნაური, უპარტიო, ღარიბი.

აჯანყებულთა მიერ ქ. ჭიათურის კომენდანტად დანიშნული კონსტანტინე ჩაჩანიძე საბჭოთა ხელისუფლებამ კაკის-წყალის ტყეში დააპატიმრა. მას 5 წლის პატიმრობა მიესაჯა მკაცრი იზოლაციით (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 194-196).

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ალიმ დარახველიძე ხახული გეორგობიანთან ერთად იმალებოდა, მაგრამ 1924 წლის 20 სექტემბერს ქუთაისის პოლიტბიურომ დააპატიმრა. ალიმ დარახველიძეს 10 წლიანი პატიმრობა მიესაჯა მკაცრი იზოლაციით, თუმცა 1924 წლის ნოემბრის ამნისტიით მას პატიმრობის ვადა გაუნახევრდა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №25153, ტომი №4, ფურცელი 25).

ქუთაისის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტა:

1. **ისიდორე სიმონის ძე სვანაძე,** 30 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.
2. **ვარლამ დარისპანის ძე სვანაძე,** 25 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.
3. **ბიძინა ილარიონის ძე კვერნაძე,** 27 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.
4. **გრიგოლ პავლეს ძე კეპულაძე,** 33 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.
5. **თეოფილე სევასტის ძე ლომიძე,** 29 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

6. **სიმონ გრიგოლის ძე ლომიძე,** 32 წლის, ინტელიგენტი, სოციალ-დემოკრატი.

7. **მიხეილ პარმენის ძე ნიჟარაძე,** 21 წლის, ინტელიგენტი, სოციალ-დემოკრატი.

8. **ვასილ (ვარდენ) რაჟდენის ძე ბუაძე,** 29 წლის, ინტელიგენტი, სოციალ-დემოკრატი.

9. **იოსებ (სოსო) რაჟდენის ძე ბუაძე,** 24 წლის, ინტელიგენტი.

10. **იაკინთე გრიგოლის ძე სირაძე (ალიბეგაშვილი),** 30 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

11. **ივანე მოსეს ძე სოფრომაძე,** 19 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

12. **ანიკიტ (ონიფანტე) ივლიანეს ძე არეშიძე,** 24 წლის აზნაური.

13. **აკაკი ალექსის ძე ქოჩიაშვილი,** 30 წლის, სტუდენტი, სხიველი.

14. **ნესტორ მიხეილის ძე კამლაძე,** 24 წლის, მოსწავლე, სოციალ-დემოკრატი.

15. **ვასილ დავითის ძე კამლაძე,** 29 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

16. **კორნელი ბესარიონის ძე კაკაბაძე,** 26 წლის, ინტელიგენტი, სოციალ-დემოკრატი.

17. **რაჟდენ ნიკოლოზის ძე წივწივაძე,** 45 წლის, სასულიერო წრიდან, სოციალ-დემოკრატი.

18. **კონსტანტინე პეტრეს ძე უგლავა,** 46 წლის, ინტელიგენტი, სოციალ-დემოკრატი.

19. **ივანე ესტატეს ძე ჩხენკელი,** 37 წლის, ინტელიგენტი, სოციალ-დემოკრატი.

20. **გერმანე ნიკოლოზის ძე კარასანიძე,** 33 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

21. **სერგო ბაგრატის ძე ბასილაძე,** 27 წლის, მუსიკოსი, სოციალ-დემოკრატი.

22. **კაპიტონ მეთოდეს ძე დოლონაძე,** 23 წლის, ინტელიგენტი, სუფლიორი, სოციალ-დემოკრატი.

23. **ევტიხი ილარიონის ძე ნემსაძე,** 24 წლის, აზნაური.

24. **ალექსანდრე თევდორეს ძე ჭოლაძე,** 20 წლის, გლეხი.

25. **ონისიმე მაქსიმეს ძე კაშია,** 52 წლის, გლეხი.

26. **ბიქტორ პავლეს ძე ფუტურიძე,** 37 წლის, წვრილი მესაკუთრე, სოციალ-დემოკრატი.

27. **ტიხონ ექვთიმეს ძე ფუტურიძე,** 28 წლის, გლეხი.

28. **პარმენ ნიკიფორეს ძე ფუტურიძე,** 35 წლის, კოოპერატორი, სოციალ-დემოკრატი.

29. **ვლადიმერ ალექსის ძე ბურჯანაძე,** 32 წლის, გლეხი.

30. **ილიკო გიორგის ძე ქართველიშვილი,** 26 წლის, გლეხი.

31. **ივანე გიორგის ძე აბზიანიძე,** 32 წლის, ვაჭარი.

32. **ვასილ ილარიონის ძე მგელაძე,** 28 წლის, ყოფილი პროპორჩიკი.

33. **ეგნატე დიმიტრის ძე ფაჩულია,** 47 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი.

34. **გიორგი სიბიტოს ძე გორგოძე,** 20 წლის, გლეხი.

35. **ალექსანდრე (შაშუა) კონსტანტინეს ძე უგრეხელიძე,** 24 წლის, აზნაური.

36. **სიმონ თადეოზის ძე გორგაძე,** 24 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

37. **ერმოლოზ ეგნატეს ძე ხელაია,** 27 წლის, გლეხი.

38. **ნიკოლოზ ალექსის ძე რამიშვილი,** 32 წლის, მასწავლებელი.

39. **პოლიკარპე ლუკას ძე მიქაძე,** 32 წლის, ყოფილი ოფიცერი.

40. **ერემია დომენტის ძე ახვლედიანი,** 26 წლის, აზნაური.

41. **აკაკი მიხეილის ძე ლასხიშვილი,** 23 წლის, აზნაური.

42. **ალექსანდრე მიხეილის ძე ახვლედიანი,** 22 წლის, აზნაური.

43. **მიტროფანე ზაქარიას ძე გეორგაძე,** 32 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი.

44. **იოსებ თედოს ძე ძაგნიძე,** 36 წლის, გლეხი.

45. **პოლიკარპე იასონის ძე გეორგაძე,** 21 წლის, მოსწავლე.

46. **კონსტანტინე (პოჩინია) იასონის ძე გეორგაძე,** 23 წლის, გლეხი.

47. **აკაკი ლუკას ძე აბრამიძე,** 25 წლის, გლეხი.

48. **ივანე პავლეს ძე ადეიშვილი,** 31 წლის, აზნაური.

49. **ვლადიმერ (ვალოდია) კოზმანის ძე კახიძე,** 23 წლის, გლეხი.

50. **სილოვან ჯაფარიძე,** 35 წლის, აზნაური.

51. **გრიგოლ ტარიელის ძე სანადირაძე,** 53 წლის, საშუალო შეძლების.

52. **ალექსანდრე ივლიანეს ძე შათირაშვილი,** 25 წლის, აზნაური.

53. **ანატოლი ვასილის ძე ლორთქიფანიძე,** 27 წლის, აზნაური.

54. **ვლადიმერ დავითის ძე ბრეგვაძე,** 30 წლის, გლეხი.

55. **ილიკო ქაიხოსროს ძე ძაგნიძე,** 54 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი.

56. **იოსებ რომანის ძე ნაცვლიშვილი,** 46 წლის, სასულიერო წოდებიდან.

57. **პავლე იოსების ძე გურული,** 24 წლის, წვრილი მესაკუთრე.

58. **თენგიზ სოლომონის ძე ჯაფარიძე,** 19 წლის, სტუდენტი.

59. **ვასილ სამხარაძე,** 25 წლის, გლეხი.

60. **აბესალომ სამსონის ძე ყიფიანი,** 42 წლის, აზნაური.

61. **აკაკი ონისიმეს ძე ხათრიძე,** 23 წლის, გლეხი.

62. **კონსტანტინე ალექსის ძე ცხადაძე,** 63 წლის, გლეხი.

63. **იულონ სპირიდონის ძე გეორგაძე,** 60 წლის, გლეხი.

64. **თეიმურაზ სიმონის ძე ხათრიძე,** 65 წლის, გლეხი.

65. **ნესტორ ბესარიონის ძე ჭყოიძე,** 24 წლის, გლეხი.

66. **ვლადიმერ დიმიტრის ძე გიბრაძელი,** 30 წლის, გლეხი.

67. **ვასილ სპირიდონის ძე ჯუღელი,** 25 წლის, გლეხი.

68. **სევერიანე სიმონის ძე წიქარიძე,** 18 წლის, გლეხი.

69. **ილია სამსონის ძე თავხელიძე,** 22 წლის, გლეხი.

70. **ვლადიმერ გიორგის ძე ჯაფარიძე,** 23 წლის, გლეხი.

71. **ნიკოლოზ ივანეს ძე ლორთქიფანიძე,** 24 წლის, აზნაური.

72. **კალისტრატე ალექსის ძე ხურციძე,** 23 წლის, გლეხი.

73. **ანეპოდისტ ბიქტორის ძე ლორთქიფანიძე,** 23 წლის, აზნაური.

74. **თედო ირაკლის ძე გოგიბერიძე,** 28 წლის, გლეხი.

75. **ვლადიმერ თადეოზის ძე ჭოპოძე,** 32 წლის, გლეხი.

76. **ბარნაბა იასონის ძე სანიკაძე,** 27 წლის, გლეხი.

77. **ისააკ ნიკოლოზის ძე ჭეიშვილი,** 27 წლის, გლეხი.

78. **ნიკოლოზ სამსონის ძე ბოჭორიშვილი,** 19 წლის, გლეხი.

79. **რაჟდენ მარკოზის ძე მამისეიშვილი,** 38 წლის, გლეხი.

80. **არკად სამსონის ძე მუშკუდიანი,** 24 წლის, გლეხი.

81. **დავით იოსების ძე იაშვილი,** 22 წლის, აზნაური.

82. **ვლადიმერ დავითის ძე ციმაკურიძე,** 19 წლის, გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი.

83. **დავით არსენას ძე ქურციკიძე,** 26 წლის, გლეხი.

84. **ბიკენტი მიხეილის ძე კაკოიშვილი,** 18 წლის, აზნაური.

85. **კირილე ნარიმანის ძე გორგოძე,** 25 წლის, გლეხი (**სშსსა (II),** საქართველოს ჩკ-ს მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წ.წ. ტ. I, ფურცელი 260 (I) – 261 (II)).

დახვრეტების დროს დასახვრეტად გამზადებულთა გაქცევის ფაქტებიც იყო, მაგალითად, დახვრეტების შეწყვეტიდან 2-3 დღის შემდეგ ქუთაისელ კომუნისტს, **კოლია ზედაშიძეს** (მცხოვრები სოფ. გოდოგანში), რომელიც დილით სამსახურში მიდიოდა, გზაზე წყალწითელას ხიდთან რაღაც ფაჩუნის ხმა მოესმა. კ. ზედაშიძემ დაინახა საცვლების ამარა უკან ხელებშეკრული ადამიანი, რომელმაც მას ხელების გახსნა სთხოვა, მაგრამ კ. ზედაშიძემ მას ამაზე უარი უთხრა (**ელგუჯა თავბერიძე**. ბოროტების კარუსელი ანუ ნითელ ნიგნში შესატანი ისტორია.— გაზეთი „მოწამეთა", 1990, №7-8, ივლისი-აგვისტო, გვ. 9).

ქუთაისის მაზრის მილიცია საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს სწერდა, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს „ბანდიტებთან" ბრძოლის დროს ცხენების რაოდენობის გაზრდა გახდა საჭირო. ეს პრობლემა მილიციის მიერ მოქალაქეებიდან ცხენების შესყიდვით გადაიჭრა. ხარჯებმა მთლიანობაში 200 მანეთი შეადგინა. იმავდროულად, როგორც ქუთაისის მაზრის მილიცია იუწყებოდა, მათ ვანისა და ბაღდათის რაიონებში აჯანყებულებთან ბრძოლებში 17 ცხენი და 22 უნაგირი დაკარგეს. ამიტომ, ქუთაისის მაზრის მილიცია ცენტრალური ხელისუფლებისაგან ამ ხარჯების ანაზღაურებას ითხოვდა. ქუთაისის მაზრის მილიციის თხოვნას „სათანადოდ" გამოეხმაურა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, **ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი**, რომელმაც განაცხადა: ეს ხარჯები **„ანაზღაურებულ უნდა იქმნან ბანდიტების და კონტრევოლიუციონერების კონფისკაცია ქმნილ ქონებიდან"** (სუიცსა, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 19-21ა).

§2. მიტროპოლიტ ნაზარის საქმე

მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) იმ მღვდელმთავართა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომლებიც 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეროვნულ პოზიციებზე დადგნენ. 1921 წლის 23 თებერვალს, როდესაც რუსული ოთელი არმია თბილისის მისადგომებთან გამოჩნდა, საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ სიონისა და სვეტიცხოველის განძეულობა (სულ 19 ყუთი და ერთი კალათა), პავლე ჯაფარიძის ხელით, ქუთაისში ჩაიტანა ქუთაისის ბანკში ან სახელმწიფო ხაზინაში შესანახად (ამ დროს სახელმწიფო ხაზინა ბოლშევიკების შიშით ქუთაისში გადაიტანეს). მოგვიანებით, „ექვთიმე თაყაიშვილმა ის 19 ყუთი და ერთი კალათა განძეული გადაარჩია უცხოეთში წასაღებად (განძი ევროპაში კრეისერ „ერნესტ რენანით“ წაიღეს), დარჩენილი ნაწილი კი ყუთებში ჩაალაგეს და ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარს ხელწერილით ჩააბარეს. ეს ყუთები მისი სამიტროპოლიტო სახლის აივნის ქვეშ ჩაფლეს და ქვის ფილაქანი დააფარეს...“ (**თემურ ამყოლაძე**. მიტროპოლიტ ნაზარის უკანასკნელი დღეები.— ჟურნალი „ცისკარი“, 1998, №11, გვ. 117).

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებისა და ეკლესია-მონასტრებისათვის კუთვნილი მიწების ჩამორთმევის შემდეგ „მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მიტროპოლიტ ნაზარის ეპარქიაში შემავალი გელათის მონასტერიც. საუკუნეებგამოვლილმა მონასტერმა, რომელიც „ახალ ათინად და მეორე იერუსალიმად“ იწოდებოდა, 1923 წლის გაზაფხულზე არსებობა შეწყვიტა“ (**XX საუკუნის მოღვაწეები. მათ არ უღალატეს ქრისტეს.** შემდგენელ-გამომცემელი დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე. თბილისი, 2005, გვ. 34). 1923 წლის 12 იანვარს მიტროპოლიტი ნაზარი კომუნისტებმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას, მიერ გენუის კონფერენციისათვის გაგზავნილი მემო-

რანდუმის გამო, ამბროსისა და საკათალიკოსო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს (მემორანდუმის შედგენის დროს საკათალიკოსო საბჭოს წევრი მიტროპოლიტი ნაზარი თბილისში არ იმყოფებოდა). მიტროპოლიტის საქმე კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც კომუნისტებმა ნაზარის საეპისკოპოსო სახლის აივნის ქვეშ მიწაში ჩაფლულ საეკლესიო განძს მიაგნეს. დაპატიმრებული მიტროპოლიტი თბილისში ჩაიყვანეს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო იძულებული გახდნენ საპყრობილის საავადმყოფოში მოეთავსებინათ. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, მიტროპოლიტი ბრალდებას არ იცნობდა და ამიტომაც, თხოვდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბრალმდებელს გაეცნო მისთვის საქმე „ან თვით სასამართლოში ან აქ საავადმყოფოში“. ეს იყო ნაზარის მესამე განცხადება, რადგან წინა ორი შუამდგომლობა უპასუხოდ დარჩა. დააკმაყოფილა თუ არა სასამართლომ მიტროპოლიტის თხოვნა, ჩვენთვის უცნობია. თუმცა ჩვენთვის ცნობილი ხდება სხვა დეტალები. 1923 წლის 15 ნოემბერს, დაპატიმრების პარალელურად, ქუთაისის სამაზრო რევკომმა „არქიელის გორაზე“ მიტროპოლიტის კუთვნილი სახლის კონფისკაცია მოახდინა ინვენტარით, ეზოთი, ბაღით და მასზე არსებული სხვა შენობებით. მიტროპოლიტის სახლი ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა (ქონების აღწერა მიტროპოლიტის წარმომადგენლის დაუსწრებლად მოხდა). მოგვიანებით, ქუთათელი მიტროპოლიტის სახლში, ექიმ სიმონ ლორთქიფანიძის შუამდგომლობით, შამშე ლეჟავას სახელობის ბავშვთა თავშესაფარი განთავსდა. ქუთაისის მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა იმერეთის საეპარქიო კანცელარიის შენობა დაიკავა და ქუთაისის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევის დროს სამღვდელმსახურო შესამოსელიც თან ნაიღო (**სუიცსა,** ფონდი №600, აღწერა №1, საქმე №257, ფურცელი 42ა-43). 1923 წლის 21 სექტემბერს მიტროპოლიტი ნაზარი

საპყრობილეში გადაიყვანეს (**სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №2, საქმე №20, ფურცელი 28ა).

1924 წლის 10 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით საკათალიკოსო საბჭოს წევრთა სასამართლო პროცესი ნაძალადევის მუშათა თეატრში მიმდინარეობდა. მართალია, მიტროპოლიტი ნაზარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს (ბრალი ვერ დაუმტკიცეს), მაგრამ ის საცხოვრებელი სახლის, საკუთარი ნივთებისა და სამღვდელმსახურო ატრიბუტიკის გარეშე დარჩა. ამიტომ, 1924 წლის 13 ივლისს მიტროპოლიტმა საბჭოთა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თხოვნით მიმართა, რათა ქუთაისის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს მისთვის უკანონოდ წართმეული სახლი, პირადი ნივთები და სამღვდელმსახურებო ნივთები დაებრუნებინა (**სუიცსა**, ფონდი №600, აღწერა №1, საქმე №257, ფურცელი 41). სახალხო კომისართა საბჭომ „ყურად იღო" მიტროპოლიტის თხოვნა და საქმის „გამორკვევა" ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს მოსთხოვა (მოწერილობა №6611). თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმასრულებელი კომიტეტის პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა. მიტროპოლიტი ნაზარი იძულებული გახდა ძმის სახლში გადასულიყო საცხოვრებლად. მოგვიანებით, მიტროპოლიტ ნაზარის წინააღმდეგ საბრძოლველად კომუნისტებს ახალი „საბაბი" მიეცათ. საქმე იმაშია, რომ სოფელ **როდინოულის** მცხოვრებლებმა საბჭოთა ხელისუფლებას თხოვნით მიმართეს დახურული ეკლესიის კვლავ ამოქმედების თაობაზე. საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. სოფლის შვიდკაციანმა სამრევლო საბჭომ (აირჩა 1923 წელს), რომელშიც შედიოდნენ: **ვლადიმერ მაღლაკელიძე, მაქსიმე მაღლაკელიძე, ქრისტეფორე სამხარაძე, კოლია ვარდოსანიძე, აქვსენტი ვარდოსანიძე, ილია ბოჭოიძე** და **გრიგოლ ჩუბინიძე** გლეხებისაგან შემოწირულობების შეგროვება დაიწყო. სულ 28 თუმანი შეგროვდა. აქედან ოთხი თუმანი ეკ-

ლესიის ხელახლა მოწყობას მოხმარდა, ხატებისათვის კი 170 მანეთი დაიხარჯა. თანხის დანარჩენი ნაწილი სხვა წვრილმანებისათვის გადაიდო (**თემურ ამყოლაძე.** მიტროპოლიტ ნაზარის უკანასკნელი დღეები.— ჟურნალი „ცისკარი“, 1998, №11, გვ. 118). 1924 წლის ივლისის ბოლოს უკვე ყველაფერი მზად იყო. იმავე წლის 30 ივლისს სოფლის სამრევლო საბჭომ **ვლადიმერ მაღლაკელიძე** ქუთაისში გააგზავნა, რომელმაც მიტროპოლიტს თხოვა ეკლესია, რომელსაც ადრე საბჭოთა ხელისუფლება თეატრისათვის იყენებდა, ეკურთხებინა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №24424, ფურცელი 112-113). 1924 წლის 2 აგვისტოს მიტროპოლიტი ნაზარი სოფ. როდინოულისაკენ გაემგზავრა, ქუთაისის საკათედრო საკრებულოს წევრებთან ერთად (დეკანოზები ვასილ დოლაბერიძე და ერთაოზ ნიკოლაძე, პროტო დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე, მთავარი დიაკონი ისიდორე სვანიძე, ასევე ორი მოსწავლე — მიტროპოლიტის ძმისშვილები — ნიკოლოზ ლეჟავა და არჩილ ლეჟავა) (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №24424, ფურცელი 1). საღამოს ლოცვის შემდეგ ქუთაისიდან ჩასულმა სამღვდელოებამ და მათმა თანმხლებმა პირებმა თავი მათე ჩუბინიძის ოჯახში მოიყარეს, სადაც წინასწარ ჰქონდათ მათვის გამზადებული ვახშამი. სვირის რაიონული მილიციის უფროსის მოადგილემ, **მაღლაკელიძემ,** სოფ. როდინოულის საბჭოს თავმჯდომარემ, **ხაჭაპურიძემ**, სვირის რაიონული მილიციის მილიციელებმა: **უგრეხელიძემ** და **ბურჯანაძემ,** საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევით, ჯერ მიტროპოლიტის თანხმლები პირები, შემდეგ კი თვით მიტროპოლიტი შეიპყრეს, აბუჩად აიგდეს და სცემეს, დაპატიმრებულები ქუთაისში გადაიყვანეს და საპყრობილეში მოათავსეს. მიუხედავად დიდი მონდომებისა გამოძიებამ მიტროპოლიტ ნაზარს და მის თანმხლებ სამღვდელოებას ბრალი ვერაფერში დასდო. ეკლესიის კურთხევა და საერთოდ ღვთისმსახურება საბჭოთა კანონმდებლობით აკრძალული არ ყოფილა. ხელისუფლება

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, მიტროპოლიტ ნაზარისა და მისი თანმხლები სასულიერო პირების სასამართლო პროცესის გამართვა მისთვის მომგებიანი არ იქნებოდა, არც პატიმრობაში მყოფთა გათავისუფლება უნდოდათ. მიტროპოლიტ ნაზარის საქმე სხვა ვითარებაში გადაწყდა. 1924 წლის 28-29 აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების დაწყების შემდეგ უკვე აღარავის აინტერესებდა თუ რა მიზეზით დახვრეტდნენ მიტროპოლიტს და მის თანმხლებ სამღვდელოებას (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24424, ფურცელი 112-113). 1924 წლის 1 სექტემბერს ქუთაისის მაზრის პ/ბ არსებული სამეულის განაჩენით დახვრიტეს: **ნაზარი ანდრიას ძე ლეჟავა** (56 წლის), **იერეთეოზ ანდროს ძე ნიკოლაძე** (59 წლის), **გერმანე ბესარიონის ძე ჯაჯანიძე** (56 წლის), **სიმონ მიხეილის ძე მჭედლიძე** (60 წლის), **ბესარიონ სოფრომის ძე კუხიანიძე** (53 წლის). სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ გათავისუფლდნენ: 1. დეკანოზი **ვასილ ლუკას ძე დოლაბერიძე**, 57 წლის, საშუალო განათლების მქონე, უპარტიო, ცოლ-შვილიანი, პასუხისგებაში ადრე არ მყოფი, მცხოვრები ქ. ქუთაისში ივანოვის და მარდალეიშვილის ქ. სახლ №17-ში; 2. მღვდელი **დომენტი მიხეილის ძე გიორგაძე**, 40 წლის, უპარტიო, უცოლ-შვილო, პასუხისგებაში ადრე არ მყოფი, მცხოვრები სოფ. სიმონეთში (ქუთაისის მაზრა); 3. მღვდელი **პოლიევქტი რომანოზის ძე ვარდოსანიძე**, 42 წლის, უპარტიო, ცოლ-შვილიანი, პასუხისგებაში ადრე არ მყოფი, მცხოვრები სოფ. ობჩაში (ქუთაისის მაზრა); 4. მთავარი დიაკონი **ისიდორე ალექსის ძე სვანიძე**, 62 წლის, სასულიერო წოდებიდან, უპარტიო, ქვრივი, პასუხისგებაში ადრე არ მყოფი, მცხოვრები ქ. ქუთაისში არქიელის გორაზე სახლ №12-ში (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №24424, ფურცელი 112-113).

1995 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მოწვეულმა გაფართოებულმა საეკლესიო კრებამ განიხილა აღნიშნული მოვ-

ლენა და დაადგინა: ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზართან ერთად მოკლულთა სახით კანონიზირებულ იქნას საქართველოს ტოტალიტარული რეჟიმის დროს ეკლესიისა და ერისათვის ურწმუნოთაგან მოკლული ყოველი მართმადიდებელი ქრისტიანი და ეწოდოთ მათ სახელად — ახალმოწამენი (**XX საუკუნის მოღვაწეები. მათ არ უღალატეს ქრისტეს.** შემდგენელ-გამომცემელი დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე. თბილისი, 2005, გვ. 35).

§3. სამეგრელო (სენაკის მაზრა. ზუგდიდის მაზრა)

სამეგრელოში 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი ქ. ახალსენაკში შეიჭრა, შემუსრა რა ყველაფერი, გასცა განკარგულება სენაკის მაზრაში მცხოვრები ყველა მღვდელი შეეპყროთ და სიკვდილით დაესაჯათ (**კალისტრატე სამუშია.** კოლხთა ნაფუძარზე. გამომცემლობა „ცოტნე", თბილისი, 2002, გვ. 41). ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. 1924 წლის 3 და 13 სექტემბერს სენაკის მაზრის საინფორმაციო პუნქტმა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით გაუსამართლებლად დახვრიტა:

1. **ნიკანდრო ათანასეს ძე ვაბილუა,** 50 წლის, უპარტიო, ყოფილი პოლკოვნიკი, ყოფილი აზნაური (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

2. **პეტრე ანდროს ძე აბშილავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

3. **პორფირე თევდორეს ძე ბოჭორიშვილი** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

4. **სპირიდონ გერასიმეს ძე ლომია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

5. **გიორგი სპირიდონის ძე სახოკია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

6. **ალექსი სპირიდონის ძე გუბელაძე** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

7. **გერასიმე ბესარიონის ძე გამზარდია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

8. **ნიკოლოზ ბესარიონის ძე ხეცურიანი** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

9. **მელიტონ ტარიელის ძე ჟვანია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

10. **დუტუ სიკოს ძე ხარბედია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

11. **გიორგი სიმონის ძე ფაჩულია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

12. **გრიგოლ სიმონის ძე გაბუნია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

13. **პავლე ივანეს ძე ნაჭყებია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

14. **კონდრატე ნესტორის ძე გეგეჭკორი** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

15. **გიორგი სავლეს ძე კუცია.**

16. **თეოფანე სტეფანეს ძე კოკაია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

17. **მამია ანდროს ძე გვაზავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

18. **ერმოლოზ სიკოს ძე ესაკია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

19. **ტარიელ სისოს ძე გვასალია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

20. **გრიგოლ ივანეს ძე ჩიჩუა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

21. **დიმიტრი შარვანის ძე გარუჩავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

22. **რაჟდენ თევდორეს ძე შურღაია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

23. **დიმიტრი ნიკოლოზის ძე ჩიჩია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

24. **სამსონ ნიკოლოზის ძე თელია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

25. **ონიფანტე როსტომის ძე ჭანტურია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

26. **ლევან მალაქიას ძე თოფურია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

27. **დიანოზ ბოკუჩავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

28. **სილვესტრ იოსების ძე უჩანეიშვილი** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

29. **თეოფილე მელიტონის ძე ძველაია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

30. **სისო პავლეს ძე ცომაია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

31. **აკაკი გრიგოლის ძე გამზარდია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

32. **გიორგი ივანეს ძე ქურიძე** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

33. **იონა პეტრეს ძე ხუხია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

34. **ალექსანდრე დავითის ძე ჭანტურია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

35. **ბანოდ გეგეს ძე ადამია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

36. **ლავრენტი გიორგის ძე კილასონია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

37. **ხარლამპი იოსების ძე ოდიშარია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

38. **იოსებ ნიკოლოზის ძე სირია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

39. **ავაკუმ მარკოზის ძე ოდიშარია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

40. **არსენ გუსარის ძე ფაღავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

41. **დარისპან ანდროს ძე ოდიშარია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

42. **კლიმენტი არსენის ძე ფაღავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

43. **არჩილ ფარნას ძე ჯღამაია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

44. **ალექსანდრე ყორშია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

45. **ბარნაბა დიანოზის ძე ოდიშარია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

46. **აკაკი სისოს ძე ცომაია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

47. **ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე შონია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

48. **ირაკლი იოსების ძე კვაშილავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

49. **სპირიდონ დიმიტრის ძე კინწურეიშვილი** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

50. **თეოფანე ალექსანდრეს ძე კიჩელია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

51. **ალექსანდრე სოფრომის ძე ახალაია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

52. **გიორგი ელიზბარის ძე გვასალია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

53. **ალექსანდრე მაქსიმეს ძე ჯანჯღავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

54. **ნოე გიორგის ძე ოდიშარია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

55. **ირაკლი დავითის ძე სალაყაია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

56. **ნოე გვაზავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

57. **ნიკოლოზ (კანდია) გიორგის ძე ჩიჩუა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

58. **გრიგოლ სიმონის ძე გარუჩავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

59. **ივანე ტარიელის ძე ზოსაშვილი** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

60. **გრიგოლ ტარიელის ძე კოჩახიძე** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

61. **ვლადიმერ ნაჭყებია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

62. **იოსებ მანუჩარის ძე გარუჩავა** (36 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, გლეხი, დახვრიტეს 3 სექტემბერს).

63. **არსენ დომენტის ძე გარუჩავა** (35 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, დახვრიტეს 3 სექტემბერს).

64. **ანდრო ნიკოლოზის ძე ნაჭყებია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

65. **გრიგოლ კოწიას ძე ბოხუა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

66. **ნიკოლოზ (ნიკო) ეჯიბია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

67. **ივანე ბესარიონის ძე ხოშტარია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

68. **პლატონ იოსების ძე ხოფერია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

69. **ალექსანდრე ანდროს ძე აბშილავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

70. **შალვა პეტრეს ძე გამსახურდია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

71. **მაკარ ნესტორის ძე ავალიანი** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

72. **სევერიანე კუჭუხიძე** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

73. **ზაქარია დუნდუა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

74. **კაპიტონ გაბუნია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

75. **აკაკი ჯიბლაძე** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

76. **რაჟდენ შენგელია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

77. **პახვალა მასხულია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

78. **გაიოზ მუკერია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

79. **ათანასი ჭელიძე** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

80. **რომანოზ პეტრეს ძე ჩიჩია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

81. **მიხეილ ცომაია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

82. **ალექსანდრე პავლეს ძე ბოლქვაძე** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

83. **ნიკოლოზ (ნიკო) ბესარიონის ძე ჟღენტი** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

84. **ივლიანე ბასილის ძე ქორჩილავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

85. **ალექსანდრე გიგოს ძე მელია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

86. **ბიქტორ ბუხუტის ძე მელია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

87. **სიმონ კონსტანტინეს ძე ჟვანია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

88. **დიმიტრი ალექსის ძე დავითაია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

89. **რაჟდენ მიხეილის ძე სიმონია** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

90. **ილუშა ონისიმეს ძე ბოკუჩავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

91. **ნიკოლოზ (ნიკო) საჩინოს ძე მაღნარაძე** (დახვრიტეს 3 სექტემბერს).

92. **გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიქოვანი** (32 წლის, ყოფილი აზნაური, დახვრიტეს 3 სექტემბერს).

93. **არისტრახო კალანდარიშვილი** (45 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, ყოფილი მეკავშირე, დახვრიტეს 3 სექტემბერს).

94. **გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუა** (ეროვნულ-დემოკრატი, ყოფილი აზნაური, დახვრიტეს 3 სექტემბერს).

95. **სიმონ უტუს ძე ფარულავა** (54 წლის, სოციალ-დემოკრატი, გლეხი).

96. **ელიზბარ ფარულავა** (37 წლის, ყოფილი ოფიცერი, დახვრიტეს 3 სექტემბერს).

97. **სპირიდონ თევდორეს ძე მილორავა** (43 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, გლეხი, დახვრიტეს 3 სექტემბერს).

98. **ალექსანდრე სიმონის ძე ყორშია** (22 წლის, სოციალ-დემოკრატი 1903 წლიდან, დახვრიტეს 3 სექტემბერს).

99. **ფილიპე სტეფანეს ძე ქავთარაძე** (55 წლის, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, ყოფილი აზნაური, დახვრიტეს 13 სექტემბერს).

100. **ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე მხეიძე** (35 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, დახვრიტეს 3 სექტემბერს).

101. **იოანე ტარიელის ძე ანჯაფარიძე** (50 წლის, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, დახვრიტეს 13 სექტემბერს).

102. **რომანოზ გიორგის ძე ჭუბაბრია** (32 წლის, ყოფილი გვარდიელი, დახვრიტეს 13 სექტემბერს).

103. **ვარდებულ გვადას ძე ჩიჩუა** (48 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, ყოფილი აზნაური, დახვრიტეს 13 სექტემბერს).

104. **ანტონ მაქსიმეს ძე ზორავა** (40 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, გლეხი, მეკავშირე, დახვრიტეს 13 სექტემბერს).

105. **არტემ სამსონის ძე ლეჟავა** (40 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1905 წლიდან, ყოფილი აზნაური, დახვრიტეს 13 სექტემბერს).

106. **არტემ ქუჩანას ძე ჯაიანი** (28 წლის, ეროვნულ-დემოკრატი, გლეხი, დახვრიტეს 13 სექტემბერს).

107. **მიხეილ ბახვას ძე ქავთარაძე** (მეკავშირე, დახვრიტეს 13 სექტემბერს).

108. **გერასიმე თომას ძე ხოშტარია** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

109. **მიხეილ ისიდორეს ძე სახოკია** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

110. **რაჟდენ თეიმურაზის ძე ფარულავა** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

111. **ვარლამ იგორის ძე გეგენავა** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

112. **კირილე თეიმურაზის ძე გეგენავა** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

113. **ზოსიმე ტიმოთეს ძე ჯღამაძე** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

114. **ნიკოლოზ (ნიკო) კუჭუს ძე ჯოჯუა** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

115. **ივლიანე ალექსის ძე კუპრეიშვილი** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

116. **ირაკლი პონუს ძე იმედეიშვილი** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

117. **ნესტორ მარკოზის ძე გეგეჭკორი** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

118. **კაპიტონ ლევანის ძე გეგენავა** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

119. **ტატა ქვათის ძე ოჩიგავა** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

120. **ბახვა კონსტანტინეს ძე ჯავახია** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

121. **საჩინო კონსტანტინეს ძე ჯავახია** (დახვრიტეს 13 სექტემბერს).

122. **დიანოზ როსტომის ძე ქვარცხავა** (დახვრიტეს 3 სექტემბერს) (**გიორგი სანადირაძე.** გვამები დაიმარხა დახვრეტის ადგილას.— გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1996, №6, გვ. 28-29).

სენაკის მაზრაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებითა და აჯანყებასთან კავშირისათვის დახვრიტეს:

1. **გიორგი მიხეილის ძე ჭკადუა,** 30 წლის, ქ. ახალსენაკის მკვიდრი.

2. **ისიდორე ივანეს ძე ტაბიძე,** 35 წლის, სოფ. ხეთის მკვიდრი.

3. **კონსტანტინე ივანეს ძე კაჭარავა,** 28 წლის, სოფ. აბაშის მკვიდრი.

4. **ივანე პეტრეს ძე ხოშტარია,** 31 წლის, სოფ. სუჯუნის მკვიდრი.

5. **ევგენი მაქსიმეს ძე ნადარეიშვილი,** 37 წლის, სოფ. ონტოფოს მკვიდრი.

6. **მიხეილ გრიგოლის ძე ჟვანია,** 39 წლის, სოფ. აბაშის მკვიდრი.

7. **ვლადიმერ მარკოზის ძე დობაია,** 46 წლის, დაბა ხობის მკვიდრი.

8. **დანიელ პავლეს ძე ფიფია,** 29 წლის, სოფ. ობუჯის მკვიდრი.

9. **იოსებ თედოს ძე გეგელია,** 29 წლის ქ. ფოთის მკვიდრი.

10. **აკაკი ევგენის ძე ადამია,** 24 წლის, ქ. ახალსენაკის მკვიდრი.

11. **გრიგოლ ვასილის ძე ქუთელია,** 38 წლის, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

12. **კლიმენტი დიმიტრის ძე კალანდარიშვილი,** 31 წლის, ქ. ახალსენაკის მკვიდრი.

13. **ალექსანდრე სამსონის ძე კედია,** 21 წლის, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

14. **კლიმენტი ნიკოლოზის ძე სასანია,** 23 წლის, დაბა ხობის მკვიდრი.

15. **გერასიმე ფარნაოზის ძე კობახიძე,** 22 წლის, დაბა ხობის მკვიდრი.

16. **გიორგი დავითის ძე გაბუნია,** 26 წლის, ქ. ახალსენაკის მკვიდრი.

17. **კალისტრატე პეტრეს ძე კილასონია,** 30 წლის, სოფ. სენაკის მკვიდრი.

18. **ოთარ კისტადიონის ძე ჯანელიძე,** 32 წლის, სოფ. რუხის მკვიდრი.

19. **ალექსანდრე ერმილეს ძე ჯიქიძე,** სოფ. სენაკის მკვიდრი (**გიორგი სანადირაძე.** სიკვდილის კალო. დახვრეტილთა სიები. 1924 წელი.— გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ", 1997, №1, გვ. 11).

20. **მუშნი (ივანე) კონსტანტინეს ძე დადიანი,** დაბადებული 1879 წ. ზუგდიდის რაიონში, თავადი, ოფიცერი.

21. **გიორგი სოლომონის ძე მხეიძე,** 26 წლის, დაბადებული სოფ. სენაკში.

22. **მიხეილ გვალია,** 49 წლის, დაბადებული ქ. ზუგდიდში, ყოფილი ნოტარიუსი.

ტყეში გახიზნული აჯანყებულები უკანასკნელ ძალას იკრებდნენ და საბჭოთა მილიციის ნაწილებს თავს ესხმოდნენ, რომლებსაც მათი დაპატიმრებული თანამებრძოლები მიჰყავდათ. დაპატიმრებულებისათვის გაქცევის მცდელობები საბედისწეროდ მთავრდებოდა. მაგალითად, სენაკის მაზრის მილიციას, რომელსაც ქ. ახალსენაკში მიჰყავდა სოფ. ბანძაში დაპატიმრებული 10 აჯანყებული, მდ. გაჭედილასთან თავს აჯანყებულები დაესხნენ. სროლების დაწყებისთანავე მილიციელებმა ათივე პატიმარი ადგილზევე გამოასალმეს სიცოცხლეს. ასევე, 1924 წლის 23 სექტემბერს სოფ. მარტვილში დაპატიმრებული 36 აჯანყებულის გასათავისუფლებლად ტყეში გახიზნულმა აჯანყებუ-

ლებმა სოფ. ნახუნავოში მილიციის რაზმს ჩასაფრება მოუწყვეს. პატიმრების ნაწილმა გაქცევა სცადა, მაგრამ ხუთი მათგანი მილიციელების მიერ ადგილზევე იქნა ლიკვიდირებული. აჯანყებულები სასტიკად უსწორდებოდნენ გამცემებს. მაგალითად, 1924 წლის 24 სექტემბერს სოფ. ხუნწში იპოვეს ტყვეობიდან გათავისუფლებული პლატონ გაბისონიას გვამი. პ. გაბისონიამ საბჭოთა ხელისუფლებას აჯანყებულთა შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 35).

საბჭოთა ხელისუფლება აჯანყების მეთაურების შესაპყრობად ძალღონეს არ იშურებდა. ამაში მათ ინფორმატორები აქტიურად ეხმარებოდნენ. სწორედ ინფორმატორის მეშვეობით შეიტყო ვინმე ჯ. მხეიძემ აკაკი კალანდარიშვილის, შალვა კალანდარიშვილისა და ხარიტონ ლაშხიას ადგილსამყოფელი. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ: „სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ სენაკის მაზრის აჯანყების მეთაურები იმალებიან ობუჯის თემში (ტყეში) ტაგუ, გოგი ... (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) სახლის ახლოს. გთხოვთ მომცეთ თხუთმეტი კომუნარი, რათა ისინი შეპყრობილ იქნენ.

ჯ. მხეიძე.“

აღნიშნული ინფორმაცია ზუგდიდის მაზრის საინფორმაციო პუნქტში შევიდა. საინფორმაციო პუნქტის უფროსმა, ვ. ზაქარაიამ, ზემოთ ხსენებული პირების შესაპყრობად თხუთმეტი კომუნარი გამოჰყო, რის შედეგადაც ისინი შეიპყრეს (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №24319-61, ფურცელი 16-18).

სენაკის მაზრის საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრა: **შალვა დიმიტრის ძე იოსელიანი,** 40 წლის, ყოფილი აზნაური, ინტელიგენტი, ყოფილი მასწავლებელი, უმაღლესი განათლებით, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, დაუოჯახებელი,

სოფ. სირიაჩქონის მკვიდრი; **კაპიტონ თომას ძე გეგენავა,** 32 წლის, ყოფილი აზნაური, კანცელარიის საქმეების მცოდნე, სოფ. თეკლათის მკვიდრი; **თადეოზ სისოს ძე კალანდარიშვილი,** 29 წლის, ყოფილი აზნაური, კანცელარიის საქმეების მცოდნე, ქ. ახალსენაკის მკვიდრი; **მიხეილ კინტირიას ძე ზარანდია,** 22 წლის, გლეხი, ყოფილი მასწავლებელი, საშუალო განათლებით, დაუოჯახებელი, სოფ. ზანათის მკვიდრი; **ელევთერ ქიშვარდის ძე ლომია,** 22 წლის, სტუდენტი, დაუოჯახებელი, სოფ. სოლომიას მკვიდრი; **მელიტონ ქეჩის ძე ხაბურზანია,** 39 წლის, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, ქ. ახალსენაკის მკვიდრი; **აკაკი მალხაზის ძე ქორავა,** 25 წლის, კანცელარიის საქმეების მცოდნე, საგანგებო კომისიის ყოფილი თანამშრომელი, ქ. ახალსენაკის მკვიდრი; **გრიგოლ სპირიდონის ძე მატახერია,** 32 წლის, ყოფილი აზნაური, კანცელარიის საქმეების მცოდნე, ყოფილი სამხედრო, სოციალ-დემოკრატი, ქ. ახალსენაკის მკვიდრი; **ნესტორ სამსონის ძე შურღაია,** 40 წლის, ყოფილი მასწავლებელი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, სოფ. ზანათის მკვიდრი; **ბაგრატ უთუთის ძე ღვინჯილია,** 47 წლის, გლეხი, დაოჯახებული, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, სოფ. ფოცხოს მკვიდრი; **რაჟდენ ეგნატეს ძე ბუსკაძე,** 52 წლის, სასულიერო წოდებიდან, სოფ. მოხოშის მკვიდრი; **პლატონ ბაკუს ძე სანაია,** 52 წლის, გლეხი, უმაღლესი განათლების არ მქონე, დაოჯახებული, ყოფილი გუშაგი, სოფ. ფოცხოს მკვიდრი; **მელიტონ ბეგლარის ძე კარტოზია,** 23 წლის, ყოფილი მასწავლებელი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, ახალგაზრდა მარქსისტების წევრი, სოფ. ნოქალაქევის მკვიდრი; **ვლადიმერ მანუჩარის ძე კარტოზია,** 24 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი მასწავლებელი, საშუალო განათლებით, დაუოჯახებელი, ახალგაზრდა მარქსისტების წევრი, სოფ. ნოქალაქევის მკვიდრი; **ერმოლოზ ქუთუს ძე ყურუა,** 35 წლის, მასწავლებელი, კანცელარიის საქმეების მცოდნე, დაუოჯა-

ხებელი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, სოფ. ფოცხოს მკვიდრი; **მოსე პეტრეს ძე გაბერდავა,** 40 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, დაოჯახებული, სოფ. ფოცხოს მკვიდრი; **იასონ გუჯმახანის ძე ქუჩულორია,** 35 წლის, ყოფილი აზნაური, სოციალ-დემოკრატი, დაოჯახებული, სოფ. უშაფათის მკვიდრი; **მიხეილ პავლეს ძე ქოიავა,** 28 წლის, ღარიბი, ფარმაცევტი, საშუალო განათლებით, სოციალისტ-ფედერალისტი 1917 წლიდან, დაუოჯახებელი, სოფ. აბაშის მკვიდრი; **პუშუ გუძას ძე მიქავა,** 32 წლის, გლეხი, დაოჯახებული, სოფ. ლეძაძამის მკვიდრი; **იოსებ ანდროს ძე ილიავა,** 20 წლის, ღარიბი, ყოფილი მასწავლებელი, საშუალო განათლებით, დაუოჯახებელი, სოფ. ნოქალაქევის მკვიდრი; **პეტრე ბესარიონის ძე ილიავა,** 53 წლის, სასულიერო წოდებიდან, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, დაოჯახებული, სოფ. ფარისკარის მკვიდრი; **ბესარიონ ავაკუმის ძე ადამია,** 42 წლის, გლეხი, ღარიბი, დაოჯახებული, სოფ. ეკის მკვიდრი; **მალაქია დიმიტრის ძე ანჯაფარიძე,** 31 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი უმცროსი ოფიცერი, დაოჯახებული, სოფ. ლეძაძამის მკვიდრი; **გრიგოლ ნიკოლოზის ძე ბერიძე,** 30 წლის, ყოფილი აზნაური, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, დაოჯახებული, სოფ. კინიის მკვიდრი; **ვარლამ კონიას ძე ფაღავა,** 31 წლის, ყოფილი თავადი, დაოჯახებული, სოფ. სუჯუნის მკვიდრი; **ალექსანდრე კონსტანტინეს ძე თოფურიძე,** 50 წლის, ყოფილი აზნაური, დაოჯახებული, სოფ. კვათანის მკვიდრი; **კუკულა არანოს ძე მიხელაშვილი,** 39 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი, სოფ. სუჯუნის მკვიდრი; **იოსებ არსენის ძე ფაღავა,** 26 წლის, გლეხი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, სოფ. გეზათის მკვიდრი; **გიორგი ლავრენტის ძე ბოკერია,** 57 წლის, ყოფილი აზნაური, ქვრივი, საშუალო განათლებით, ყოფილი მასწავლებელი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, სოფ. გეზათ-გულუხეთის მკვიდრი; **ვასილ მურზანოს ძე დანელია,** 32 წლის, გლეხი, დაუოჯახებე-

ლი, სოფ. ზანათის მკვიდრი; **კალისტრატე სამსონის ძე ჯღამაია,** 22 წლის, გლეხი, ღარიბი, მასწავლებელი, საშუალო განათლებით, ახალგაზრდა მარქსისტების წევრი, დაუოჯახებელი, სოფ. მარტვილის მკვიდრი; **თადა დავითის ძე თოფურიძე,** 53 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი, დაუოჯახებელი, სოფ. ძველი აბაშის მკვიდრი; **მიხეილ კონსტანტინეს ძე შელეგია,** 42 წლის, გლეხი, ღარიბი, წერაკითხვის უცოდინარი; **პეტრე პლატონის ძე კაჭარავა,** 28 წლის, გლეხი, დაოჯახებული, სოფ. აბაშის მკვიდრი; **სამსონ ნიკოლოზის ძე ფირცხალავა,** 34 წლის, გლეხი, ყოფილი მასწავლებელი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, დაოჯახებული, სოფ. კურზუს მკვიდრი; **ლევან სიმონის ძე თოდუა,** 25 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი, დაუოჯახებელი, სოფ. თარელის მკვიდრი; **გრიგოლ ბეჩუნის ძე ბერულავა,** 39 წლის, გლეხი, ყოფილი მასწავლებელი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, დაოჯახებული, სოფ. დოშაკეს მკვიდრი; **თეიმურაზ გრიგოლის ძე ფაღავა,** 29 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი კომუნისტი, დაუოჯახებელი, სოფ. ზემო ჭალადიდის მკვიდრი; **რაფიელ გიორგის ძე გამსახურდია,** 49 წლის, ყოფილი აზნაური, ღარიბი, სოციალ-დემოკრატი, დაუოჯახებელი, სოფ. ნოსირის მკვიდრი; **იოსებ კონსტანტინეს ძე თოფურიძე,** 45 წლის, ყოფილი აზნაური, ფარმაცევტი, საშუალო განათლებით, სოციალ-დემოკრატი 1904 წლიდან, დაოჯახებული, სოფ. ონტოფოს მკვიდრი; **ალექსანდრე ბესარიონის ძე ჯაბალონია,** 30 წლის, გლეხი, ყოფილი უფროსი ოფიცერი (მეფის არმიის), ყოფილი სახალხო გვარდიელი, დაოჯახებული, სოფ. წყემის მკვიდრი; **ვლადიმერ ნესტორის ძე ჭანტურია,** 28 წლის, ვაჭარი, ყოფილი ოფიცერი, დაუოჯახებელი, სოფ. აბაშის მკვიდრი; **სოკრატ გიორგის ძე ხოჭოლავა,** 44 წლის, გლეხი, ეროვნულ-დემოკრატი, ქვრივი, სოფ. ქვალონის მკვიდრი; **ევგენი დუტუს ძე ხოჭოლავა,** 42 წლის, გლეხი, დაოჯახებული, სოფ. ქვალონის მკვიდრი; **ან-**

ტონ მარკოზის ძე ბარქაია, 53 წლის, ყოფილი მღვდელი, გამყიდველი, სოფ. ქვალონის მკვიდრი; **ისიდორე ალექსის ძე ფაჩულია,** 34 წლის, გლეხი, ყოფილი სოციალისტ-რევოლუციონერი, დაოჯახებული, სოფ. ქვალონის მკვიდრი; **ვარლამ ივანეს ძე ხოჭოლავა,** 35 წლის, გლეხი, დაოჯახებული, სოფ. ქვალონის მკვიდრი; **პლატონ ანდროს ძე კვაშილავა,** 23 წლის, გლეხი, ყოფილი მასწავლებელი, ყოფილი წითელარმიელი, ახალგაზრდა მარქსისტების წევრი, დაუოჯახებელი, სოფ. ზანის მკვიდრი; **პახვალა ზალიკოს ძე ფირცხალავა,** 46 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, დაოჯახებული, სოფ. გულუხეთის მკვიდრი; **მელიტონ თევდორეს ძე სხულუხია,** 40 წლის, ინტელიგენტი, უმაღლესი განათლებით, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. სალხინოს მკვიდრი; **ნიკოლოზ იორდანეს ძე ლაშხია,** 46 წლის, გლეხი, ყოფილი მასწავლებელი, საშუალო განათლებით, სოციალისტ-ფედერალისტი 1917 წლიდან, დაუოჯახებელი, სოფ. სალხინოს მკვიდრი; **ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე კუხალეიშვილი,** 50 წლის, ყოფილი აზნაური, მასწავლებელი, სოციალისტ-რევოლუციონერი 1904 წლიდან, დაოჯახებული, სოფ. სალხინოს მკვიდრი; **სევერიანე იორდანეს ძე სხულუხია,** 29 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი, დაოჯახებული, სოფ. სალხინოს მკვიდრი; **ვლადიმერ ევგენის ძე ნადარაია,** 35 წლის, გლეხი, ყოფილი მასწავლებელი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, სოფ. ზანის მკვიდრი; **იოსებ ანდროს ძე ეჯიბია,** 44 წლის, ფარმაცევტი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, სოფ. ხორგის მკვიდრი; **სოლომონ ისიდორეს ძე მატკავა,** 49 წლის, ფერშალი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, დაოჯახებული, სოფ. სუჯუნის მკვიდრი; **ჭიჭიკო ნიკოლოზის ძე ქოჩაკიძე,** 28 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი ოფიცერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი კომისარი, დაუოჯახებელი, ქ. თბილისის (ლერმონტოვის ქუჩა №15) მკვიდრი; **გრიგოლ**

დიმიტრის ძე თოფურიძე, 34 წლის, ყოფილი აზნაური, სოფ. კვათანის მკვიდრი; **ივანე მანუჩარის ძე ჭანტურია,** 25 წლის, გლეხი, ღარიბი, ყოფილი მასწავლებელი, საშუალო განათლებით, ახალგაზრდა მარქსისტების წევრი 1918 წლიდან, დაუოჯახებელი, სოფ. აბაშის მკვიდრი; **კლემენტი გიორგის ძე კედია,** 24 წლის, გლეხი, ყოფილი მასწავლებელი, საშუალო განათლებით, ახალგაზრდა მარქსისტების წევრი 1919 წლიდან, დაუოჯახებელი, სოფ. აბაშის მკვიდრი; **ტუტუ გუიას ძე დგებუაძე,** 26 წლის, ყოფილი აზნაური, კანცელარიის საქმეების მცოდნე, დაუოჯახებელი, სოფ. სალხინოს მკვიდრი; **მეტია პეტრეს ძე ფალავა,** 30 წლის, ყოფილი აზნაური, ღარიბი, დაუოჯახებელი, სოფ. ბანძის მკვიდრი; **ილია სტეფანეს ძე ლომია,** 46 წლის, გლეხი, ღარიბი, დაოჯახებული, სოფ. აბეთადის მკვიდრი; **ტარას ანტონის ძე ეჯიბია,** 37 წლის, გლეხი, ღარიბი, ზეინკალი, დაოჯახებული, სოფ. თეკლათის მკვიდრი; **ექვთიმე ისიდორეს ძე ფანცულაია,** 45 წლის, გლეხი, ღარიბი, ზეინკალი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, დაოჯახებული, სოფ. ბანძის მკვიდრი; **ილია იოსების ძე ანჯაფარიძე,** 40 წლის, ყოფ. აზნაური, გამყიდველი, წერა-კითხვის მცოდნე, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. აბედათის მკვიდრი; **ნიკოლოზ დიმიტრის ძე საჯაია,** 20 წლის, გლეხი, ყოფილი მასწავლებელი, საშუალო განათლებით, ახალგაზრდა მარქსისტების წევრი, დაუოჯახებელი, სოფ. მუხაშის მკვიდრი; **ამირან გიორგის ძე შაუდია,** 19 წლის, ყოფილი აზნაური, დაოჯახებული, სოფ. ბედლენის მკვიდრი; **შალვა ბარნაბას ძე ძველაია,** 23 წლის, გლეხი, საშუალო განათლებით, ახალგაზრდა მარქსისტების წევრი 1917 წლიდან, დაუოჯახებელი, სოფ. ნოსირის მკვიდრი; **ალექსანდრე (საშა) მათეს ძე კალანდარიშვილი,** 20 წლის, სასულიერო წოდებიდან, ღარიბი, საშუალო განათლებით, ეროვნულ-დემოკრატი 1920 წლიდან, ქ. ახალსენაკის მკვიდრი; **ლეონიდე გერასიმეს ძე ხოშტარია,** 26 წლის, სასულიე-

რო წოდებიდან, ეროვნულ-დემოკრატი 1924 წლიდან, დაუოჯახებელი, ქ. ახალსენაკის მკვიდრი; **გრიგოლ ერისტრახოს ძე შუშანია,** 20 წლის, გლეხი, მასწავლებელი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, სოფ. ლეძაძამის მკვიდრი; **ალექსანდრე (შოთა) ლავრენტის ძე ბესელია,** 17 წლის, ყოფილი აზნაური, ტექნიკუმის მეექვსე კლასის მოსწავლე, დაუოჯახებელი, სოფ. ძველი სენაკის მკვიდრი; **აკაკი ბესარიონის ძე კარტოზია,** 23 წლის, ყოფილი აზნაური, საშუალო განათლებით, სოციალ-დემოკრატების თანამგრძნობი, სოფ. ნოქალაქევის მკვიდრი; **ვლადიმერ შარუს ძე მიქავა,** 28 წლის, გლეხი, ქ. ახალსენაკის მკვიდრი; **სპირიდონ იოსების ძე გაბესონია,** 21 წლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სოციალ-დემოკრატების თანამგრძნობი, დაუოჯახებელი, ქ. ახალსენაკის მკვიდრი; **პლატონ ბახვალას ძე კარტოზია,** 41 წლის, ყოფილი აზნაური, რკინიგზის მოსამსახურე, სოციალ-დემოკრატი, დაუოჯახებელი, სოფ. მუხანის მკვიდრი; **კირილე ნესტორის ძე ლოლუა,** 29 წლის, ყოფილი აზნაური, ვაჭარი, დაოჯახებული, სოფ. ხორშის მკვიდრი; **ნიკოლოზ აქვსენტის ძე ანჯაფარიძე,** 50 წლის, ყოფილი აზნაური, ყოფილი მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, დაოჯახებული, სოფ. სალხინოს მკვიდრი; **ალექსანდრე ანტონის ძე დიხამინჯია,** 26 წლის, გლეხი, დაოჯახებული, სოფ. ლეძაძამის მკვიდრი; **შალვა ვარლამის ძე ბოკუჩავა,** 19 წლის, საშუალო განათლებით, ყოფილი მასწავლებელი, დაუოჯახებელი, სოფ. უშაფათის მკვიდრი; **მიხეილ კონსტანტინეს ძე კოშელავა,** 22 წლის, ფარმაცევტი, საშუალო განათლებით, ეროვნულ-დემოკრატი, დაუოჯახებელი, ქ. ახალსენაკის მკვიდრი; **მალაქია (ჭონჭი) პლატონის ძე თოფურიძე,** 35 წლის, ყოფილი აზნაური, ღარიბი, საშუალო განათლებით, დაუოჯახებელი, სოფ. სეფიეთის მკვიდრი; **კონსტანტინე ილარიონის ძე გვათუა,** 24 წლის, ყოფილი აზნაური, ღარიბი, ტექნიკუმის მეექვსე კლასის მოსწავლე (იმავდროულად მას-

წავლებელი), დაუოჯახებელი, სოფ. ხორშის მკვიდრი; **ილია დავითის ძე ხაინდრავა,** 27 წლის, ყოფილი აზნაური, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, სოფ. ლეხაინდრაოს მკვიდრი (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23402-60, ფურცელი 31-32).

1924 წლის 6 სექტემბერს ზუგდიდში **საგანგებო ხუთეულის** (ტ. ლაგვილავა, ჯ. ჩიჩუა, მ. შელია, ვ. ზაქარაია, ვ. ბასილაია) და პასუხიმგებელი პირების (ი. ჯანაშია, ვ. ქიტია, ე. უბირია, პ. კობახიძე, ა. ხუხუნია, ვ. სიჭინავა, ა. ქირია, ბ. სიჭინავა, ი. ცხაკაია, ლ. როგავა, მ. ხვიჩია, თ. ლუკავა, ბ. ჯანაშია, შ. ბახტაძე) ერთობლივი სხდომა შედგა, რომელმაც მოისმინა „ზუგდიდში შეიარაღებულ ბანდიტურ გამოსვლებში აქტიურ მონაწილე კონტრრევოლუციონერთა საქმე" და დახვრეტის განაჩენი გამოუტანა 40 კაცს. ამ განაჩენის მსხვერპლი გახდნენ:

1. **ჭიჭიკო კირილეს ძე ჯიქია,** 30 წლის, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტი 1920 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

2. **ჭუჭუ დათას ძე ჩიქოვანი,** 33 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ტყაია-ბეჟაშლალის მკვიდრი.

3. **ბენედიქტე ორისტოს ძე დგებუაძე,** 25 წლის, ყოფილი აზნაური, სოციალ-დემოკრატი 1918 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, სოფ. ჯიხაშკარის მკვიდრი.

4. **რაჟდენ ოთოს ძე ყურაშვილი,** 30 წლის, სოფ. ხიბულის მკვიდრი.

5. **სარდიონ ანდროს ძე გრიგოლია,** 26 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1918 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

6. **ღულუნი ნიკოლოზის ძე ხვარძიკია,** 26 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1918 წლიდან, სოფ. შამგონის მკვიდრი.

7. **ძიკი ფილიპეს ძე თვალთვაძე,** 46 წლის, მემარჯვენე სოციალისტ-რევოლუციონერი (ესერი) 1918 წლიდან, სოფ. წალენჯიხის მკვიდრი.

8. **თეოფანე ნიკოლოზის ძე ხვარძიკია,** 23 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1918 წლიდან, სოფ. შამგონის მკვიდრი.

9. **ვასილ კოსტას ძე კალანდია,** 59 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

10. **მაკარ დარასელია,** 26 წლის, კულაკი.

11. **მიხეილ ბიჭოს ძე სიჭინავა,** 66 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან.

12. **ლეონტი ბებიტოს ძე რაფავა,** 26 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან.

13. **პროკოფი ალექსის ძე ანთია,** 23 წლის.

14. **ალექსანდრე თეიმურაზის ძე მესხია,** 27 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1918 წლიდან, ყოფილი გვარდიელი.

15. **ფილიპე ანდროს ძე გრიგოლია,** 23 წლის, „ეპოს" ნოქარი, სოციალ-დემოკრატი 1919 წლიდან, ყოფილი გვარდიელი.

16. **ვალოდია მიხეილის ძე ჩხოლარია,** 34 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. კოკის მკვიდრი.

17. **დოროთე საბას ძე ცხაკაია,** 42 წლის, ვაჭარი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან.

18. **ვარლამ როსტომის ძე სიჭინავა,** 43 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

19. **ამროსი კუკას ძე სიჭინავა,** 28 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

20. **რაჟდენ ტოტის ძე დგებუაძე,** 39 წლის, ყოფ. აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

21. **თადეოზ სტეფანეს ძე ვეკუა,** 28 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

22. **კონდრატე მარკოზის ძე შამათავა,** 35 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

23. **აკაკი თეიმურაზის ძე ფონია,** 33 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

24. **თადეოზ სტეფანეს ძე მატუა,** 40 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

25. **თომა ბახვას ძე ხვიტია,** 43 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

26. **აკაკი ბესარიონის ძე ანთელავა,** 24 წლის, ყოფილი აზნაური, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ყოფილი გვარდიელი, სოფ. ჯიხაშკარის მკვიდრი.

27. **კონსტანტინე ბახვას ძე ჩხოლარია,** 30 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. კოკის მკვიდრი.

28. **ვარლამ ევგენის ძე გობეჩია,** 41 წლის, ყოფილი მემამულე, უმაღლესი განათლებით, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

29. **ჯვებე ორზოლია,** 50 წლის, ყოფილი აზნაური, სოფ. კოკის მკვიდრი.

30. **ბადუ იოსების ძე ქავთარაძე,** 54 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

31. **ირაკლი შარუს ძე სიჭინავა,** 37 წლის, ვაჭარი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

32. **კოზმან როსტომის ძე კოზუა,** 31 წლის, ვაჭარი, უმაღლესი განათლებით, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

33. **კირილე იოსების ძე მიშველიძე,** 45 წლის, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ჯოღეჯიანის მკვიდრი.

34. **შალვა ალექსის ძე თოდუა,** 22 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1921 წლიდან, სოფ. ორულუ-ერგეტის მკვიდრი.

35. **არსენ მათეს ძე წურწუმია,** 30 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ორულუ-ერგეტის მკვიდრი.

36. **გრიგოლ გუჯუს ძე კუკავა,** 35 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. დიდინეძის მკვიდრი.

37. **ვარლამ კოსტას ძე მაქაცარია,** 28 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. დიდინეძის მკვიდრი.

38. **მელიტონ ტატიევი,** 38 წლის, კულაკი, სოფ. ცაიშის მკვიდრი.

39. **სოლომონ კერანდუხის ძე ქუთელია,** 50 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, მეფის დროს სახელმწიფო მოხელე, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

40. **ბექირბეი ეგნატეს ძე კუკავა,** 41 წლის, კულაკი, ეროვნულ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. კახათის მკვიდრი (**სშსსა (II),** საქართველოს ჩკ-ს მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წწ., ტ. 1, ფურცელი 178-181).

ზემოთ ჩამოთვლილი პირები ჩეკისტებმა ზუგდიდის დადიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიასთან დახვრიტეს (პატიმრები თოკებით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულები). დახვრეტილები სხვების ჭკუის სასწავლებლად რამდენიმე დღე მცხუნვარე მზის ქვეშ ეყარნენ. სწორედ ამ გარემოებამ სიკვდილისაგან იხსნა ოთხი აჯანყებული: ჭიჭიკო ჯიქია, ვალოდია ჩხოლარია, მელიტონ ტატიევი და აკაკი ფონია.

ისინი საკონტროლო ტყვიას შემთხვევით გადაურჩნენ, შემდეგ კი ხელებიდან თოკის მოხსნა და გაქცევა მოახერხეს. მოგვიანებით, ჭიჭიკო ჯიქია ზუგდიდის მაზრის საინფორმაციო პუნქტში ნებაყოფლობით გამოცხადდა (**სშსსა (II),** საქართველოს ჩკ-ს მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წწ., ტ. 1, ფურცელი 187-188).



ჭუჭუ ჩიქოვანი



სარდიონ გრიგოლია



ბექირბეი კუკავა



კონსტანტინე ჩხოლარია



რაჟდენ ყურაშვილი



ვარლამ მაქაცარია



რაფავა ლეონტი

ლეონტი რაფავა



გრიგოლ კუკავა



კალანდია ვასილი

ვასილ კალანდია



ჯვებე ორზოლია



კონდრატე შამათავა



ამროსი სიჭინავა



მიხეილ სიჭინავა



ვარლამ სიჭინავა



თეოფანე ხვარძიკია



ღულუნი ხვარძიკია

რვა აჯანყებული დასახვრეტად ფოთის პოლიტბიუროში გადაიგზავნა (ერთ დოკუმენტში შვიდი დახვრეტილია ჩამოთვლილი — **ავტ.**), სადაც მათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ამ განაჩენის მსხვერლი გახდნენ:

1. **რაჟდენ ჯამლეთის ძე ჭანტურია,** 39 წლის, სოციალ-დემოკრატი 1903 წლიდან, სოფ. მაცხოვრისკარის მკვიდრი.

2. **ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ჭანტურია,** 36 წლის, მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატი 1921 წლიდან, სოფ. ლიის მკვიდრი.

3. **მიხეილ სოლომონის ძე დგებუაძე,** 21 წლის, ყოფილი აზნაური, დაუოჯახებელი, ეროვნულ-დემოკრატი 1921 წლიდან, სოფ. კიციის მკვიდრი.

4. **ვლადიმერ გიორგის ძე თვალთვაძე,** 19 წლის, ყოფილი აზნაური, დაუოჯახებელი, მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატი 1921 წლიდან, სოფ. წალენჯიხის მკვიდრი.

5. **ალექსანდრე ივლიანეს ძე ჩომახია,** 24 წლის, ინტელიგენტი, დაუოჯახებელი, სოციალ-დემოკრატი 1916 წლიდან, ქ. ზუგდიდის (ლუქსემბურგის ქუჩა) მკვიდრი.

6. **ტიხონ კონსტანტინეს ძე კეიდია,** 21 წლის, ყოფილი აზნაური, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1922 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი.

7. **გრიგოლ ალექსანდრეს ძე ქაჩიბაია,** 24 წლის, სოციალ-დემოკრატი, ქ. ახალსენაკის მკვიდრი.

8. **ნიკოლოზ ივანეს ძე ხაჯალია,** 46 წლის, სოციალ-დემოკრატი, ქ. ახალსენაკის მკვიდრი (**სშსსა (II),** საქართველოს ჩკ-ს მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წწ. ტ. 1, ფურცელი 174).

სოფ. ჯვარში გახიზნული აჯანყებულთა რაზმი ადგილობრივმა კომუნისტებმა მოტყუებით დააპატიმრეს და იქვე დაბანაკებულ რუსის ჯარს გადასცეს, რომლებმაც აჯანყებულები, დაახლოებით 30 კაცი სოფ. ზედაეწერის ტყეში მუხანათურად დახვრიტეს (აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდა სოფ. ჩქვალერის მკვიდრმა **ნოდარ ჭანტურიამ**).

აჯანყების დამარცხების შემდეგ დაწყებული უსასტიკესი რეპრესიებით შეშინებულმა აჯანყებაში მონაწილე **დურუ ლიფონავამ** (მცხოვრები სოფ. ხორგაში) ზუგდიდის საგანგებო სამეულის ნევრის, **კირილე მიქაიას,** სახელზე წერილი დატოვა და საკუთარი „ნაგანით" თავი მოიკლა. თავი მოიკლა ასევე სოფ. ჯიხაშკარში (ხიბულის რაიონი) მცხოვრებმა აჯანყებაში მონაწილე **ევგენი კაჟინას ძე შენგელიამ** (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №43, ფურცელი 10-11).

სოფ. დარჩელში საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებაში მონაწილე 28 ადამიანი დააპატიმრა. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ: **აბელ ნაყოფია, არსენა ნაყოფია, ტარას გეგეჭკორი, ბარდღა ნორაკია** და სხვ. ისინი ზუგდიდისაკენ მიმავალ გზას გაუყენეს. ჩეკისტებს თურმე მიზნად ჰქონდათ ამ 28 კაცის სოფ. კახათის ამოსასვლელ ფერდობთან დახვრეტა წინასწარ ჩასაფრებული მკვლელების მიერ. მაგრამ ერთ-ერთი კომუნისტის, **ერეკლე ქირიას,** ჰუმანურობამ იხსნა პატიმრები დახვრეტისაგან. ე. ქირიამ უსაფრთხოდ მოახერხა პატიმრების ზუგდიდში ჩაყვანა, სადაც ისინი დადიანების სასახლის სარდაფში მოათავსეს. ე. ქირიას ეს ნაბიჯი ძვირად დაუჯდა. მას კაპიტნის სამკლაური ააგლიჯეს და სვანეთში

აჯანყებულთა წინააღმდეგ მიმავალი პროხოროვის რაზმში ჩარიცხეს (**ანტონ არნანია. ვალიკო შონია.** დარჩელი (ნარკვევები სოფლის ისტორიიდან). გამომცემლობა „ზანი", თბილისი, 1999, გვ. 92).

აჯანყებულების მასიურ დახვრეტებს ადგილი ჰქონდა ჩხოროწყუშიც. სოფ. სარაქონში ფარულავების ღელესთან აჯანყებაში მონაწილე 8 კაცი დახვრიტეს, სოფ. ლეწურწუმეში — **ქუთელიები,** სოფ. ნაფიჩხაოში — **პროფი და მიხა ფიჩხაიები,** სოფ. ქვედა ჩხოროწყუში — **ალექსი ახალაია,** ხაბუმეში — 2 კაცი. სულ ჩხოროწყუს რაიონში 17 ადამიანი დახვრიტეს (**ვალერიან ახალაია.** ჩხოროწყუ. წარსული და დღევანდელობა. თბილისი, 2002, გვ. 184-239).

დახვრეტებს ადგილი სამეგრელოს სხვა სოფლებშიც ჰქონდა.

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ვაჭართა ფენისათვის ანგარიში გაესწორებინა. ტყეში გახიზნულ ვაჭრებს, ხელოსნებს და სხვებს ერთი დღე მიეცათ სავაჭრო ობიექტების გაღებისათვის. ვადის ამოწურვის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ იმ ვაჭრების და ხელოსნების სია გამოაქვეყნა (ჩამორთმეული ობიექტების მითითებით), რომლებსაც კუთვნილი სავაჭრო ობიექტები ჩამოერთვათ:

„1). შენგელია გახა ..... საფართლო.
2). ლემონჯავა იოსები ..... საფართლო.
3). გოგია ლადი ..... საფართლო
4). ჯინჯოლავა იოსები ..... საფართლო.
5). ჯგერენაია ტატაში ..... საბაყალო.
6). ბულია მიხა ..... აზიური მოხელე.
7). ჩომახია ივანე ..... საბაყალო.
8). ვეკუა თადეოზი ..... საფართლო.
9). წულაია კონია ..... საგალენტერო.
10). ფიფია ანდრი .....
11). ჯიშკარიანი ილარიონი ..... საწვრიმანო.

12). რაფავა ლეონტი ..... აზიური სახელოსნო.
13). დგებუაძე რაჟდენი ..... საფართლო.
14). დარასელია მაკარი ..... თერძი.
15). ჩხეიძე ბიქტორი ..... საწვრიმანო.
16). ჩხეიძე იოსები..... ღვინის სარდაფი.
17) მესხი ბეგლარი ..... საფართლო აწერილია.
18). როგავა ტრიფონი ..... საფართლო.
19). ცხაკაია დორო ..... აწერილია შეპყრობილი.
20). კოზმავა იასონი ..... ხუთი დღით.
21). ბაკარანძე ძუკუ ..... სოფ. წასულია.
22). ბუღაშვილი კაპიტონ .....საბაყალო შეპყრობილია.
23). დარჯანია ვარლამი .....აწერილია ღებულობდა მონაწილეობას ა. ლო-მაიას ატრ.
24) მოლაშხია ალექსანდრე..... „----------“
25). ჯიქია ხარიტონ..... „----------“
26). კაკაბაძე ისიდორე..... „----------“
27). მოსია დოროთე ..... საწვრიმანო.
28). შურღაია ბარნაბა ..... საპირფარეშო.
29). მორგოშია სპირიდონ ..... დუქ. გაღებულია.
30). ბოჭორიშვილი ლეონტი ..... სახელ. გაქცეულია.
31). დავითაია დომე სახელოსნო.76
32). ქირია მაქსიმე..... სამჭედლო.
33). ფიოლია ტრიფონი..... საპირფარეშო.
34). ბერანძე გრიშა ..... ღვინის სარდაფი.
35). ლოგუა მუხრანი..... საყასფო.
36). სვანიძე ვასილი ..... საბაყალო.
37). დარასელია სამსონი..... მეწაღე.
38). მოსია ალექსანდრე..... „----------„
39). ბესა გვასალია ..... „----------„
40). ყურაშვილი მელიტონი ..... საწვრიმანო.
41) მიმინოშვილი ვანო ..... ტყაველ. მაღაზია.
42). გვასალია მიხა ..... მეწაღე.

43). პილა ქარდავა ..... სათერძო.
44). თოდუა ევთიმე ..... სახელოსნო აწერილია.
45). როგავა ვალოდია ..... სახარაზო.
46). ცანავა მიხა ..... „—————————“.
47). კვარაცხელია აქვსენტი ..... მეუნაგრე.
48). სიჭინავა ირაკლი ..... საწაღო.
49). სიჭინავა ამროსი ..... საფართლო აწერილია.
50). დარასელია აკაკი ..... საწაღო.
51). გოროზია ნიკო ..... სახარაზო.
52). კილავა თედორე ..... არასფერი არა აქვს.
53). დარასელია დიანოზი ..... საფართლო.
54). სიჭინავა მიხა ..... სახარაზო.
55). სიჭინავა იონა ..... „----------“
56). ბულია მიხა ..... საფართლო.
57). ძვაძვი გოგოხია .....მეუნაგრე შეპყრობილია.
58). კვარაცხელია ილა ..... სახარაზო შეპყრობილია
59). ბელქანია სამსონი ..... სახარაზო.
60). ბალათურია აკაკი ..... საწვრიმანო.
61). ჩახაია ილია ..... სახარაზო.
62). ბეგო ქანთარია ..... სამჭედლო და სახლი.
63). ფონია აკაკი ..... საფართლო შეპყრობილია
64). კიტია ბოკოკია ..... მეწაღე.
65). ლუკავა კოლია ..... რესტორანი.
66). ბულია ევგენი .....
67). ბულია დათიკო“ (**სსაზფ,** ფონდი №2, აღწერა №1, საქმე №41, ფურცელი 69-70).

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ვაჭრების ქონების კონფისკაციამ დიდად დააზარალა ის ადამიანებიც, რომლებსაც ვაჭრებისათვის წინასწარ ჰქონდათ თანხა მიცემული ამა თუ იმ საქონლის ჩამოსატანად. მსგავსად დაზარალებული მოქალაქეების განცხადებები ზუგდიდის მაზრისა თუ რაიონის სახელმწიფო დაწესებულებებში ყოველდღიურად შედიოდა.

მაგალითისათვის გთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ განცხადებას: „საკონფისკაციო კომისიას მიხა ბერულავასაგან

განცხადება

მოგახსენებთ რომ, რამოდენიმე დღის წინათ მენშევიკების გამოსვლამდი მე მივეცი მოვაჭრე აკაკი ფონიას ასი ორმოც... (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) საკასტუმო და სხვა საჭირო საქონელი, ამის შემდეგ... (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) ფული და ვთხოვე მოეტანა ჩემთვის ბათუმიდან საქონელი... (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) მე ვიყავი შვებულებაში ჩემი ფული ღირებული საქონელი არ მიმიღია. ახლა ხსენებული ფონიაზე ჩამორთმეულია (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) და მასთან ჩემი საქონელი იქ დაიკარგა და ამისათვის (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) მიიღოთ მხედველობაში ჩემი ეკონომიურად ცუდი მდგომარეობა და არ დამიკარგოთ ჩემი ფული ან საქონელი ჩემ.. (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) იყო შემოტანილი განცხადება ამის შესახებ... (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) დაკარგულია და ახლა არ მოვნახეთ. ამ ჩემ განცხადებას ადასტურებს თვით მოქ. ფონია.

მთხოვნელი მ. ბერულავა. 1924 წ. 12 დეკემბერი“ (**სსაზფ,** ფონდი №2, აღწერა №1, საქმე №41, ფურცელი 108).

ხელისუფლების მხრიდან რა რეაგირება მოჰყვა ამ განცხადებას ჩვენთვის უცნობია.

აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედი რუსის წითელი ჯარი უდანაშაულო ადამიანების პირად ქონებასაც ანიავებდა. მაგალითად, სოფ. ჯვარში რუსის ჯარმა **ფარნა ჭანტურაიას** სიმინდის ყანა მთლიანად გაანადგურა, რის შემდეგაც ამ პიროვნებას მთელი წლის სარჩო-საბადებელი დაეკარგა (**სსაზფ,** ფონდი №2, აღწერა №1, საქმე №43, ფურცელი 11). მსგავს უმსგავსობას ადგილი ჰქონდა მთელ სამეგრელოში (მაგ. ძროხის დაკვლა, სხვადასხვა ნივთის წართმევა და სხვ.).

აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მიმღებთა ძებნა-დაპატიმრებები საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. იყო შემთხვევები, როდესაც ძებნილები თვითონ „ნებაყოფლობით" ბარდებოდნენ სახელისუფლებო სტრუქტურებს, რადგან ვერ უძლებდნენ იმ ზეწოლას, რომელიც მათი ოჯახის წევრებზე ხორციელდებოდა. მსგავსი ზეწოლისა თუ პირდაპირი დაპატიმრების გზით ზუგდიდის მაზრის საპყრობილეებში აღმოჩნდნენ: **ლევან ლომინის ძე დუნდუა,** 33 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, ექიმი, სოციალ-დემოკრატი 1919 წლიდან, სოფ. ხობის მკვიდრი; **კირილე ჯირგუს ძე ქეცბაია,** 39 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. დარჩელის მკვიდრი; **ვლადიმერ ვასილის ძე შუბლაძე,** 28 წლის, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ახუთის მკვიდრი; **ტრიფონ ფილიპეს ძე კოდუა,** 28 წლის, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. აბასთუმნის მკვიდრი; **ვარლამ ანტონის ძე კობახიძე,** 45 წლის, აგრონომი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ხეთის მკვიდრი; **გერასიმე ბურდღუს ძე ლატარია,** 44 წლის, სოციალ-დემოკრატი 1901 წლიდან, სოფ. ხეთის მკვიდრი; **სპირიდონ ანტონის ძე შენგელია,** 30 წლის, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ახუთის მკვიდრი; **ისააკ სიკოს ძე კაკულია,** 38 წლის, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1918 წლიდან, სოფ. კახათის მკვიდრი; **სპირიდონ ილიას ძე ნახნაკიძე,** 32 წლის, ინტელიგენტი, დაუოჯახებელი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ჯუმათის მკვიდრი; **პაისი ესტატეს ძე ჭიჭინაძე,** 34 წლის, ყოფ. აზნაური, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ლესიჭინის მკვიდრი; **ჩაქვა (იასონ) მიხეილის ძე კუტალია,** 23 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, საშუალო განათლებით, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ხეთის მკვიდრი; **კონსტანტინე შამშის ძე კვა-**

რაცხელია, 28 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ჯვარის მკვიდრი; **ბესარიონ მიხეილის ძე ქირია,** 22 წლის, ინტელიგენტი, დაუოჯახებელი, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1923 წლიდან, სოფ. აბასთუმნის მკვიდრი; **თევდორე გიორგის ძე ფიფია,** 36 წლის, ინტელიგენტი, დაუოჯახებელი, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1922 წლიდან, სოფ. ობუჯის მკვიდრი; **მოსე პეტრეს ძე შენგელია,** 32 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატი 1919 წლიდან, სოფ. ხაბუმის მკვიდრი; **პლატონ თევდორეს ძე ბერაია,** 40 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1921 წლიდან, სოფ. ხორგის მკვიდრი; **ბეგო თეიმურაზის ძე კინტირია,** 35 წლის, გლეხი, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატი 1918 წლიდან, ქ. ზუგდიდის მკვიდრი; **სანდრო ლუკას ძე ლომაია,** 38 წლის, გლეხი, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატი 1923 წლიდან, სოფ. ზუბის მკვიდრი; **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჭეჟია,** 37 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, ბუღალტერი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ჯოღეჯიანის მკვიდრი; **მიხეილ ბერუკოს ძე ბელქანია,** 28 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. წალენჯიხის მკვიდრი; **ბოკო კონსტანტინეს ძე ცხომარია,** 44 წლის, გლეხი, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატი 1901 წლიდან, სოფ. ხორგის მკვიდრი; **ლევან გუჯუს ძე მესხია,** 37 წლის, გლეხი, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ობუჯის მკვიდრი; **კალისტრატე გაიოზის ძე ზარანდია,** 32 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. დიდინეძის მკვიდრი; **სევერიანე კონსტანტინეს ძე ქირია,** 24 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, საშუალო განათლებით, სოციალ-დემოკრატი 1918 წლიდან, სოფ. დიდინეძის მკვიდრი; **ამროსი პავლეს ძე ჩიხლაძე,** 41 წლის, გლეხი, დაოჯახებული, სოციალ-დე-

მოკრატი 1918 წლიდან, სოფ. აბასთუმნის მკვიდრი; **ისაია კონიას ძე თოდუა,** 27 წლის, ინტელიგენტი, დაუოჯახებელი, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1924 წლიდან, სოფ. ნარაზენის მკვიდრი; **ივანე კონსტანტინეს ძე ჯაიანი,** 28 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1917 წლიდან, სოფ. ახუთის მკვიდრი; **ადამურ (ვასილ) სიკოს ძე ცხაკაია,** 30 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1913 წლიდან, სოფ. კოკის მკვიდრი; **ალექსანდრე ლუკას ძე პირტაია,** ინტელიგენტი, დაოჯახებული, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1919 წლიდან, სოფ. ლეწურწუმის მკვიდრი; **გრიგოლ პავლეს ძე ხუბულავა,** 36 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატი 1924 წლიდან, სოფ. ჯიხაშკარის მკვიდრი; **ილარიონ პავლეს ძე ხუბუტია,** 35 წლის, ყოფილი აზნაური, დაუოჯახებელი, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1918 წლიდან, სოფ. ჯვარის მკვიდრი; **ვლადიმერ ანტონის ძე კვარაცხელია,** 27 წლის, ინტელიგენტი, დაოჯახებული, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი 1919 წლიდან, სოფ. წალენჯიხის მკვიდრი (**სშსა (II),** ფონდი №6, საქმე №24139—61, ფურცელი 150).

ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმმა, რომელსაც ესწრებოდნენ: **ბ. შოგირაძე, ი. ჯანაშია, ვ. ჩხეიძე, ა. ქირია, ბ. სორდია, მ. შელია, ვ. შოგირაძე** და მაზრის ყველა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარეები, 1924 წლის აჯანყებასთან კავშირის ბრალდებით კონფისკაციის სახით ქონება ჩამოართვა შემდეგ პირებს: **ტრიფონ ფილიპეს ძე კოდუას** ჩამოართვა ლაფშა ცხენი, როგორც ყოფილ ოფიცერს და შემძლე პიროვნებას; **სტეფანე ფუცორას ძე გოგიას** – ლაფშა ცხენი, როგორც ყოფილ ოფიცერს და ბოქაულს; **ვლადიმერ ვარლამის ძე ხვიტიას** — ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **სეიდბი დარასელიას** – ლაფშა ცხენი, როგორც შემძლე პიროვნებას და

საბჭოთა ხელისუფლების აშკარა მოწინააღმდეგეს; **კირილე ივანეს ძე ხვიტიას** – ლაფშა ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **სეიდბი ალექსანდრეს ძე შერვაშიძეს** — ცხენი, როგორც ყოფილ თავადს; **მიხეილ ალექსის ძე კეიდიას** — ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ბარდღა კოწიას ძე მიქავას** — ლაფშა ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ტიტი ლავრენტის ძე ივარდავას** — ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **ალექსანდრე თეიმურაზის ძე ქორთუას** — ოდა სახლი ოთხთვალიანი, როგორც ყოფილ აზნაურს და საბჭოთა ხელისუფლების დაუცხრომელ მოწინააღმდეგეს; **არისტრახო** და **კოლია დავითის ძე გვათუებს** – ოდა სახლი ოთხთვალიანი, როგორც ყოფილ აზნაურებს; **მელიტონ თევდორეს ძე სხულუხიას** – ქვის დუქანი ოთხთვალიანი, როგორც ყოფილ ოფიცერს; **კიტი ბეჟანის ძე მხეიძეს** – ექვსთვალიანი თუნუქით გადახურული სახლი, როგორც ყოფილ თავადს; **ვარლამ ანტონის ძე კობახიძეს** – ოდა სახლი რვათვალიანი და ცხენი უნაგირიანად; **თევდორე ტაიას ძე ბუკიას** – ცხენი უნაგირიანად, როგორც ვაჭარს და შემძლე პიროვნებას; **ისააკ მიხეილის ძე ჩიტაიას** – ცხენი უნაგირიანად, როგორც ვაჭარ-სპეკულიანტს; **შაჰან ტორჩინავას** — ცხენი უნაგირიანად, როგორც ვაჭარს; **ჩაქვა მიხეილის ძე კუტალიას** — ლაფშა ცხენი უნაგირიანად, როგორც დამკომის წევრს; **ბოკო კოსტას ძე ცხომარიას** — ცხენი უნაგირიანად, როგორც ვაჭარს; **ამბაკო** და **ლადი კუჭავეებს** — სახლი ოთხთვალიანი და ცხენი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების გამოუსწორებელ მოწინააღმდეგეებს; **ბადა ბახვას ძე ხუბულავას** — ოდა სახლი და ლაფშა ცხენი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების გამოუსწორებელ მოწინააღმდეგეს; **ესტატე სიმონის ძე ახალაიას** — ოდა სახლი; **ანტონ ბასას ძე ფულარიას** — ოდა სახლი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ყირიმი მაკარის ძე ცხონდიას** — ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **კონდრატე იოსავას** — ლაფშა ცხე-

ნი, როგორც ყოფილ მღვდელს; **ელიზბარ დავითის ძე ქარცხიას** — ცხენი, როგორც ყოფილ მღვდელს; **მელენტი მიხას ძე მგალობლიშვილს** — ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **შალვა მაქსიმეს ძე თვალთვაძეს** — ოდა სახლი ოთხთვალიანი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ჯაგუ და ილია ივანეს ძე გვაჯავეებს** — სახლი ოთხთვალიანი, როგორც ყოფილ აზნაურებს და ვაჭრებს; **ილარიონ პავლეს ძე ხუბუტიას** — თავისი წილი ძმასთან საზიარო ოდა სახლი, სამზარეულო, სასიმინდე და სხვ., როგორც ყოფილ აზნაურს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დროს მაზრის მილიციის უფროსს; **ჭუჭუ ჩიქოვანს** — სახლი რვათვალიანი, როგორც ყოფილ თავადს და დახვრეტილს; **მათე ისლამის ძე ფიფიას** — ლაფშა ცხენი, როგორც ყოფილ ბოქაულს; **ნესტორ დადიანს** — ლაფშა ცხენი, როგორც ყოფილ თავადს; **გიდი ჭანტურიას** — ცხენი და 10 ქცევა მუხნარი, როგორც ყოფილ აზნაურს და დახვრეტილს; **ბიჭიკო დიმიტრის ძე გოგინავას** — ხის დუქანი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ვლადიმერ ვასილის ძე შუბლაძეს** — სახლი ოთხთვალიანი, როგორც ყოფილ ოფიცერს; **ჯხაკუ კუჭუს ძე ცქვიტარიას** — ცხენი უნაგირიანად და დუქანი; **ნიკოლოზ (ნიკო) გორდულაძეს** — ქვის დუქანი ორ განყოფილებიანი, როგორც ვაჭარს; **ფილიპე სიმოს ძე შენგელიას** — ქვის დუქანი, როგორც დახვრეტილს; **ვარლამ თადას ძე ქვარცხავას** — ხის დუქანი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ბეგლარ ანტონის ძე დარსალიას** — ცხენი უნაგირიანად და დუქანი, როგორც ვაჭარს; **მელიტონ გოგის ძე პაპასქირს** — ოდა სახლი, ოთხთვალიანი, როგორც ყოფილ აზნაურს; **არტემ ალექსის ძე პაპასქირს** — ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **ძუკუ ელიზბარის ძე ჩაჩიბაიას** — ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ივანე ცაკვას ძე ქვარცხავას** — ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **კოსტა უტუიას ძე პაპასქირს** — ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნა-

ურს; **ალექსი მიქაიას** – ცხენი უნაგირიანად; **ვარდენ ლევანის ძე დადიანს** – ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **სოლომონ ტაგუს ძეს ჯიჯიხიას** – ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **თომა მიხეილის ძე დგებუაძეს** – ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **ბესარიონ დიმიტრის ძე ფარულავას** – ოდა სახლი ოთხთვალიანი, როგორც ყოფილ აზნაურს; **იასონ ანტონის ძე ფარულავას** – სახლი ოთხთვალიანი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ერმილე ალექსის ძე გოშუას** – სახლი ხუთთვალიანი და ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **ხუტუ ლევანის ძე დადიანს** – ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **ისააკ ანტონის ძე ჩიქოვანს** — ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **ადამურ სიკოს ძე ცხაკაიას** – ცხენი; **იულონ ბიტუს ძე ნორაკიძეს** — ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **ვარლამ გრიგოლის ძე ანჩაბაძეს** – სახლი რვათვალიანი და ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ თავადს; **კონსტანტინე პახვალას ძე ჩხოლარიას** – ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს და დახვრეტილს; **ხარიტონ ივანეს ძე ქვარაიას** – ლაფშა ცხენი უნაგირიანად, როგორც ვაჭარს; **ალექსანდრე გიორგის ძე გაბუნიას** – სახლი ხუთთვალიანი სოფ. დარჩელში, როგორც ყოფილ აზნაურს; **ჭუჭუ ნესტორის ძე დგებუაძეს** – ლაფშა ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **შამელ ბაზალას ძე გელენავას** — ლაფშა ცხენი, როგორც ვაჭარს; **არსენა ცაცის ძე ნაყოფიას** — ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **კონსტანტინე (კოტე) ანჯაფარიძეს** — ორსართულიანი სახლი ეზოთურთ; **ლუკა მურზაყანის ძე გვასალიას** — სახლი ქ. ზუგდიდში, როგორც ვაჭარს; **ძუკუ კოსტას ძე წულეისქირს** — ქვის დუქანი, როგორც ყოფილ აზნაურს; **სოლომონ კერანდუხის ძე ქუთელიას** — ორსართულიანი სახლი ქ. ზუგდიდში, როგორც ყოფილ აზნაურს; **იასონ ჯიჯელავას** – ფართლეულობა, როგორც ვაჭარს; **ევგენი ბულიას** – საქო-

ნელი, როგორც ვაჭარს; **ფარნაოზ ნიკოლოზის ძე ფიჩხაიას** — ორსართულიანი სახლი ქ. ზუგდიდში ეზოთურთ, როგორც ყოფილ აზნაურს; **აკაკი თეიმურაზის ძე ფონიას** — ფართლეულობა, როგორც ვაჭარს; **მიხა ბეჩუს ძე სიჭინავას** — დუქანი, როგორც ვაჭარს და დახვრეტილს; **ნიკოლოზ (ნიკო) გოროზიას** — სახელოსნო; **აკაკი ბასას ძე დარასელიას** — სახელოსნო; **აქვსენტი კვარაცხელიას** — სახელოსნო; **ამროსი სიჭინავას** – ფართლეულობა და სახლი, როგორც ვაჭარს და დახვრეტილს; **გრიგოლ (გრიშა) ბერანძეს** – ღვინის სარდაფი, როგორც ვაჭარს; **დოროთე საბას ძე ცხაკაიას** – ფართლეულობა, როგორც ვაჭარს და დახვრეტილს; **ბეგლარ მესხს** – ფართლეულობა, როგორც ვაჭარს; **რაჟდენ ტაიას ძე დგებუაძეს** – ფართლეულობა, ქვის დუქანი და სახლი ორსართულიანი ეზოთურთ, როგორც ვაჭარს და დახვრეტილს; **ილარიონ ჯიშკარიანს** – საწვრილმანო, როგორც ვაჭარს და ბრძოლაში მოკლულს; **ირაკლი სიჭინავას** – სახელოსნო, როგორც დახვრეტილს; **დიმიტრი შენგელიას** – ფართლეულობა, როგორც ვაჭარს; **ვლადიმერ გოგიას** – ფართლეულობა, როგორც ვაჭარს; **ძარგუ წულეისქირს** – ფართლეულობა, როგორც ვაჭარს და ყოფილ აზნაურს; **თადეოზ პეტრეს ძე ვეკუას** – ფართლეულობა, როგორც ვაჭარს და დახვრეტილს; **კუჭუჭი ცხონდიას** – ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **პარტენ ქუთელიას** – ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ჯვებე ორზოლიას** – ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს და დახვრეტილს; **იონა ახალაიას** – დუქანი, რიგორც ვაჭარს; **ნიკოლოზ დადიანს** – ორსართულიანი სახლი და ცხენი უნაგირიანად, როგორც ყოფილ აზნაურს; **ილარიონ მალანიას** – სახლი, როგორც ვაჭარს; **მოსოსი დგებუაძეს** – ცხენი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ტარასი ნავეიშვილს** – სახლი, როგორც ყოფილ აზნაურს; **ოთარ კონსტანტინეს ძე დადიანს** – სახლი, როგორც ყოფილ თავადს და დახვრეტილს; **ვლადიმერ თემუყვას ძე თათარიშვილს** – ორსართულიანი სახლი და

ცხენი, როგორც ვაჭარს; **გრიგოლ და ნესტორ თირქიებს** – სახლი ოთხთვალიანი; **ალექსანდრე სიკოს ძე ლომაიას** – ოდა სახლი; **გიორგი კუკურას ძე ლომაიას** – ოდა სახლი; **სანდრო ლუკას ძე ლომაიას** – ოდა სახლი; **ალექსი ბერიშვილს** – ცხენი უნაგირიანად; **ერასტო ივანეს ძე ჯინჯელავას** – ოდა სახლი; **არსენა წურწუმიას** – ოდა სახლი, როგორც დახვრეტილს (ოჯახში არავინ არ დარჩა); **გრიგოლ კუდნათის ძე შერვაშიძეს** – ოდა სახლი ხუთთვალიანი, როგორც ყოფილ თავადს (**სსაზფ,** ფონდი №2, აღწერა №1, საქმე №41, ფურცელი 285-292).

1924 წლის 18 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ზუგდიდის ადგილობრივ ხელმძღვანელობას დაშიფრული ტელეგრამა გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ზუგდიდის მაზრის რაიონებში კომუნარები მოსახლეობისათვის პირუტყვის თვითნებურად ჩამორთმევას ახორციელებდნენ, სცემდნენ გლეხებს და სხვ. ამიტომაც, ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულად უბრძანებდა ადგილობრივ სამაზრო ხელისუფლებას აღნიშნული ინფორმაცია გადაემოწმებინა და დამნაშავეების პასუხისმგებლობის საკითხი დაეყენებინა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 145).

ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელობამ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით ქონება ჩამოართვა არა მხოლოდ ვაჭრებსა და ყოფილ თავადაზნაურობას, არამედ ასევე გლეხებსაც. თუმცა, მოგვიანებით საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილებით, გლეხებსა და იმ ადამიანებს, რომლებიც თავისი სოციალური წარმომავლობით დაკავშირებული იყვნენ მშრომელთა ფენასთან ჩამორთმეული ქონება უკან დაუბრუნდათ. „ცენტრიდან ცირკულიარის მიღების შემდეგ იქმნა შექმნილი სპეციალური ავტორიტეტული კომისია კონფისკაცია ქმნილ ქონების პატრონთა

სიის კვლავ გასაცხრილავად" (**სსაზფ,** ფონდი №2, აღწერა №1, საქმე №41, ფურცელი 283).

სამეგრელოში მივლენილმა ე.წ. „საგამომძიებლო კომისიამ" **მიხა ცხაკაიას** ხელმძღვანელობით ზუგდიდისა და სენაკის მაზრები შემოიარა და მიტინგები ჩაატარა. მიტინგის დროს კომისიის წევრებმა ადგილობრივი მოსახლეობა გამოჰკითხეს. ზუგდიდის მაზრის სოფ. **ლიაში** მიტინგს 70 კაცი დაესწრო, სოფ. **ტყაია-ბეჟაშლალში** — 30, სოფ. **კორცხელში** — 20, სოფ. **რუხში** — 30, სოფ. **ხეთაში** — 50, სოფ. **ბანძაში** — 300, სოფ. **ნოსირში** — 60, სოფ. **ნაესაკოვოში** — 50, სოფ. **თეკლათში** — 30, სოფ. **ძველ სენაკში** — 80 , სოფ. **ნოქალაქევში** — 20, სოფ. **თყიაში** (ბიაში? — **ავტ.**) — 30. სოფლის მცხოვრებლებმა კომისიას სხვადასხვა პრეტენზიები წამოუყენეს. გაირკვა, რომ გლეხებმა რამდენიმე თვის წინ კოოპერატივს აბრეშუმის პარკი ჩააბარეს, ამ უკანასკნელმა კი მათ ანაზღაურება არ მისცა. გარდა ამისა, გლეხობამ უკმაყოფილება გამოთქვა იმაზე, რომ მათ უბრალო მოწმობის ასაღებად ათეულობით ვერსის გაევლა უხდებოდათ. იყო სხვა პრეტენზიებიც, მაგალითად, სოფ. ლიაში ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს იჯარით გადაუცია მოიჯარადრისათვის ხე-ტყის დამუშავება. ამ მოიჯარადრეს სამუშაოდ 400 მუშა აუყვანია, რომლებისათვის 4 თვის ხელფასი არ გადაუხდია. ანალოგიური პრობლემა წამოაყენეს სოფ. ტყაია-ბეჟაშლალის მცხოვრებლებმა. სოფ. ლიის მცხოვრებლებმა კომისიას განუცხადეს, რომ კოოპერატივის გამგემ და ნოქარმა კოოპერატივის ფული, 700 მანეთის ოდენობით, მიითვისეს და სხვ. (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 160).

სოციალური მოტივით აჯანყებაში მოსახლეობის ჩაბმა, ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებისათვის არახელსაყრელი იყო, მაგრამ კიდევ უფრო მიუღებელი იყო მისთვის აჯანყებაში მოსახლეობის საქართველოს დამოუკიდებლობის აღ-

დგენის მოთხოვნით მონაწილეობა. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის მიერ სოციალური პროტესტის გამოხატვა შეიძლება შეთხზულიც იყოს, ან დაშინებული მოსახლეობა თავის მართლების მიზნით თვითონვე თხზავდა აჯანყებაში ჩაბმის მიზეზს.

§4. გურია (ოზურგეთის მაზრა)

გურიაში აჯანყების სალიკვიდაციოდ საგანგებო ხუთეული ჩამოყალიბდა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, **ფ. დოლიძის,** მეთაურობით. მთელ გურიაში ძალაუფლება სწორედ ამ ხუთეულის ხელში იყო. საგანგებო ხუთეული ბათუმიდან გურიაში ჩასული ფილიპე მახარაძის დირექტივებით მოქმედებდა (**სშსსა (III,** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 165).

გურიაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს:

1. **ისიდორე აქვსენტის ძე დარჩია,** 35 წლის, მცირე მესაკუთრე, სოციალ-დემოკრატი.

2. **ვასილ ირაკლის ძე ზაქარიაძე,** 24 წლის, მცირე მესაკუთრე, სოციალ-დემოკრატი.

3. **პინოზ ივანეს ძე ჭანუყვაძე,** 29 წლის, საშუალო შეძლების, უპარტიო.

4. **კონსტანტინე პავლეს ძე ასათიანი,** 35 წლის, საშუალო შეძლების, უპარტიო.

5. **ბესარიონ კონსტანტინეს ძე ჯაყელი,** 35 წლის, მცირე მესაკუთრე, უპარტიო.

6. **გიორგი ლევანის ძე ღლონტი,** 43 წლის, მცირე მესაკუთრე, უპარტიო.

7. **გიორგი გრიგოლის ძე დათუნაშვილი,** 27 წლის, მცირე მესაკუთრე, უპარტიო (**სშსსა (II),** საქართველოს ჩკ-ს მი-

ერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წ.წ. ტ. 1, ფურცელი 262 (II).

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ მთელ გურიაში აჯანყების მონაწილეთა ქონების კონფისკაცია დაიწყო. აჯანყებაში მონაწილე ვაჭრების კონფისკირებული ქონება მიითვისეს: **ვასო როინიშვილმა** (ჩოხატაურის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანმა), **სევერიანე კეკელიძემ** (ჩოხატაურის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ), **გიორგი ყაჭეიშვილმა** (ჩოხატაურის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა), **ასალო ცინცაძემ** (ჩოხატაურის რაიონის საკონტროლო კომისიის რწმუნებულმა) და **სამსონ ჭანიშვილმა**.

საქართველოს კპ (ბ) გურიის კომიტეტის პრეზიდიუმის 1924 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებით, იმ მასწავლებლებისათვის, რომლებმაც 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს, კუთვნილი ჯამაგირი არ უნდა გადაეხადათ (**სშსსა (III)**, ფონდი №30, აღწერა №1, საქმე №18, ფურცელი 59).

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, გურიაში **გიორგი გოგოტიშვილი** მიავლინეს. 1924 წლის 5 სექტემბერს გიორგი გოგოტიშვილი უკვე ქ. ოზურგეთში იყო. ამ დროისათვის აჯანყების მეთაურები და აქტიური მონაწილეები გარბოდნენ და გურიის ტყეებსა და მთებს აფარებდნენ თავს. ფ. მახარაძეს თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია სწორედ გ. გოგოტიშვილმა მიაწოდა. ამის შემდეგ, ფ. მახარაძემ მთელ გურიაში მიტინგების ჩატარება გადაწყვიტა. 1924 წლის 6 სექტემბერს ფ. მახარაძემ ერთ-ერთი მიტინგი სოფ. **დვაბზუში** ჩაატარა. მიტინგზე ხალხი მეზობელი სოფლებიდანაც კი მოჰყავდათ.

1924 წლის 9 სექტემბერს, დილით, აეროპლან **„იუნკერსით“**, გურიაში **სერგო ორჯონიკიძე** და **სოლომონ მოგილევსკი** ჩავიდნენ. ფ. მახარაძემ, ს. ორჯონიკიძემ და ს.

მოგილევსკიმ ერთობლივად მიტინგები **ჩოხატაურში, ნაგომარში და ხიდისთავში** ჩაატარეს. მათ შეკრებილ ხალხს აუწყეს, რომ ის ვინც 1924 წლის 15 სექტემბრამდე მთავრობას იარაღს ნებაყოფლობით ჩააბარებდა სრულად გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან, განურჩევლად იმისა, ისინი აჯანყებაში აქტიურ როლს ასრულებდნენ თუ პასიურს. ამ მოწოდებას მართლაც მოჰყვა ერთგვარი გამოხმაურება და ტყეში გასულების ნაწილმა იარაღი ადგილობრივ ხელისუფლებას ჩააბარა. მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც 1924 წლის აჯანყებამდე ძებნაში იმყოფებოდნენ. რაც შეეხება ს. მათითაიშვილს, თ. მუხაშავრიასა და აჯანყების სხვა მეთაურებს, ისინი, რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებას არ გამოეხმაურნენ. ს. ორჯონიკიძისა და ფ. მახარაძის მოწოდების მიუხედავად, გლეხების უმრავლესობა მაინც თავს იკავებდა იარაღის ჩაბარებისაგან. გლეხების თქმით, მართალია, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამნისტია გამოაცხადა, მაგრამ ადგილობრივი სამაზრო ხელისუფლება მათ აჯანყებაში მონაწილეობას არ აპატიებდა და ს. ორჯონიკიძისა და ფ. მახარაძის წასვლისთანავე მათთან ანგარიშსწორებას დაიწყებდა.

1924 წლის 17 სექტემბერს ოზურგეთის საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყების დროს დაღუპული სამი კომუნისტი საფლავებიდან ამოასვენა (ისინი დროებით ქ. ოზურგეთის საავადმყოფოს ეზოში დაკრძალეს) და მათი გვამები მშობლიურ სოფლებში წაასვენა (**სშსა (III,** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 165).

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ გადარჩენილი აჯანყებულები, ცხადია, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. თავი მოიკლეს სასოწარკვეთილებაში მყოფმა აჯანყებულებმა: სოფ. ზომლეთის მკვიდრმა **ილიკო დუმბაძემ** (დატოვა წერილი და სურათი), სოფ. ზომლეთის მკვიდრმა **კონსტანტინე (კონია) ვადაჭკორიამ** (დატოვა წერილი),

სოფ. ბახვის მკვიდრმა **თეოფილე ინწკირველმა**. ლანჩხუთის მკვიდრმა **მოსე ჭყონიამ** თვითმკვლელობა სცადა, დანით გაიჭრა მაჯის ძარღვი, თუმცა გადარჩა. ის დააპატიმრეს და საპყრობილეში მოათავსეს (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №43, ფურცელი 80).

§5. სვანეთი. რაჭა-ლეჩხუმი

ზემო სვანეთში შესულმა რუსის ჯარმა რამდენიმე სახლი ააფეთქა, მათ შორის **ეგნატე გაბლიანის** სახლი. რუსებმა რამდენიმე სვანი დაიჭირეს, რომლებიც ადგილზევე დახვრიტეს (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 14). გარდა ამისა, სვანეთში შესულმა ჯარმა ადგილობრივ მოსახლეობას ცხენები, ჯორები და სხვადასხვა მსხვილფეხა პირუტყვი ჩამოართვა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის 13 სექტემბრის განკარგულების შესაბამისად, სვანეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, **პ. დვალი, ბობოხიძესთან, იმედაძესთან** და სხვებთან ერთად ცაგერიდან ქვემო სვანეთის მიმართულებით გაემგზავრა. ქვემო სვანეთში პ. დვალმა და მისმა მხლებლებმა აჯანყებულების მიერ თითქმის განადგურებული საბჭოთა აპარატები აღადგინეს. მათ რამდენიმე საეჭვო პირი დააპატიმრეს, რის შემდეგაც გეზი ზემო სვანეთისაკენ აიღეს. პ. დვალის რაზმს ზემო სვანეთში არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. პ. დვალმა სოფ. ვალაში მისვლისთანავე ტყეებში გახიზნულ მცხოვრებლებს უბრძანა ადგილობრივი სასწავლებლის ეზოში გამოცხადებულიყვნენ. ხალხი დანიშნულ ადგილზე გამოცხადდა. პ. დვალმა მიტინგი ჩაატარა, რომლის შემდეგ ხალხმა იარაღის ჩაბარება დაიწყო. ამის შემდეგ პ. დვალმა აჯანყების რამდე-

ნიმე მონაწილე დააპატიმრა. პ. დვალის ინიციატივით **საგანგებო სამეული** შედგა, რომელსაც სათანადო დირექტივები მიეცა. პ. დვალმა სამეულების დასახმარებლად სოფ. ვალაში კომუნარები დატოვა. პ. დვალმა ზემო სვანეთის დანარჩენი სოფლების განიარაღებაც განახორციელა.

1924 წლის 23 სექტემბერს პ. დვალი თავის რაზმთან ერთად ზემო სვანეთის მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრში, სოფ. **ბეჩოში,** შევიდა. აღმოჩნდა, რომ აჯანყებულებმა სოფ. ბეჩოს დაკავებისთანავე მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შენობა გაანადგურეს, ნივთები და ავეჯი კი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაიტაცეს. შენობების კარ-ფანჯრებიც კი დატაცებული აღმოჩნდა. პ. დვალმა ხალხს მოუწოდა მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შენობიდან დატაცებული ქონება დაებრუნებინა, რაც ნაწილობრივ შესრულდა კიდეც (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 59-60ა).

იფარის ტყეში მყოფ **ბიძინა პირველს** მთავრობამ საგანგებო კომისიის რწმუნებული მიუგზავნა, რომელმაც ის მთავრობასთან შეარიგა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 19). 1924 წლის 1 ოქტომბერს ბიძინა პირველი საბჭოთა ხელისუფლებას ნებაყოფლობით ჩაბარდა (**საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა).** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1925, გვ. 113). თავის მხრივ, ბიძინა პირველმა აჯანყების მონაწილეები მთავრობასთან შეარიგა. საგანგებო კომისიის წარმომადგენელი ტყეში მყოფ ეგნატე გაბლიანთანაც გამოცხადდა და ის საბჭოთა ხელისუფლებასთან შეარიგა (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 14-19).

ზემო სვანეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, **პ. დვალი,** საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში სვანეთში აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ გასატა-

რებელ შემდეგ ღონისძიებებზე ამახვილებდა ყურადღებას: „1. პოლიტიკური მუშაობის წარმოება ფართო მასებში; 2. წესიერების და მშვიდობიანობის დამყარება ყველგან; 3. საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟის სათანადო დონეზე აყვანა; 4. სწავლა-განათლების საქმის სათანადოთ მოგვარება 5. სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წარმოება: კოოპერატივების გახსნა; 6. გზების გაყვანა, ხიდების აგება და სხვადასხვა" (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 59ა).

ზემო სვანეთის მაზრის მილიციის უფროსი, **შ. ამილახვარი,** კი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სწერდა, რომ სვანეთში მომხარი აჯანყების დროს მუშფაკელი **პლატონ მარგველანი** და სვანეთის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, **სიმონ გულბანი,** აჯანყებულთა სასარგებლოდ მოქმედებდნენ. შ. ამილახვარი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს თხოვდა ამ ფაქტზე სათანადო რეაგირება მოეხდინა. ამასთან ერთად, შ. ამილახვარი ზემო სვანეთის სამაზრო ცენტრის სოფ. ბეჩოდან სოფ. მესტიაში გადატანას ითხოვდა. შ. ამილახვარს მიაჩნდა, რომ მესტია ბეჩოსთან შედარებით უკეთ იყო გამაგრებული. შ. ამილახვრის აზრით, მესტია ზემო სვანეთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენდა და ცენტრის სოფ. ბეჩოდან სოფ. მესტიაში გადატანა ადვილად მოხერხდებოდა, რადგან მესტიაში მრავლად იყო შენობა-ნაგებობები, რომელთა გამოყენება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების განსათავსებლად შეიძლებოდა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1062, ფურცელი 5-6).

საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ შ. ამილახვრის აღნიშნული მოსაზრება გაითვალისწინა და ზემო სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრად სოფ. მესტია გამოცხადდა (**სუიცსა,** ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1062, ფურცელი 59-60ა).

საბჭოთა ხელისუფლებამ ლეჩხუმის მაზრაში 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტა:

1. **ნიკოლოზ (ნიკო) ალექსის ძე ბანძელაძე,** 40 წლის, სოციალ-დემოკრატი, კულაკი, სოფ. ორხევის მკვიდრი.

2. **ამბაკო ექვთიმეს ძე ყურაშვილი,** 40 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ნაყურალეშის მკვიდრი.

3. **ივანე გიორგის ძე მუშკუდიანი,** 35 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ოყურეშის მკვიდრი.

4. **სერგო ჰუსეინის ძე გაბიძაშვილი,** 40 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ორხევის მკვიდრი.

5. **გერასიმე ილიას ძე ასათიანი,** 30 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ქორენიშის მკვიდრი.

6. **გერონტი კაციას ძე ასათიანი,** 23 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ქორენიშის მკვიდრი.

7. **მიხეილ ყარამანის ძე ასათიანი,** 27 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ორხევის მკვიდრი.

8. **გერასიმე ბიჭოს ძე ასათიანი,** 31 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ქვიშორის მკვიდრი.

9. **არქიპო გიორგის ძე ფრუიძე,** 40 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ქვიშორის მკვიდრი.

10. **შალვა (შალიკო) გუძას ძე ყურაშვილი,** 30 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ქვიშორის მკვიდრი.

11. **ეპიფანე ექვთიმეს ძე ფრუიძე,** 27 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ოყურეშის მკვიდრი.

12. **ილია ექვთიმეს ძე სვანიძე,** 36 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ჭრებალოს მკვიდრი.

13. **ანდრო ბეგლარის ძე ჩარკვიანი,** 34 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, ცაგერის მკვიდრი.

14. **ანდრო (ამბაკო) მათეს ძე კენჭაძე,** 37 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი.

15. **აკაკი ერმოლოზის ძე ყიფიანი,** 32 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ორხევის მკვიდრი.

16. **გრიგოლ დავითის ძე ბურჯალიანი,** 35 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ჭყვიშის მკვიდრი, სოციალ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის წევრი.

17. **ლევან (ბუჭუ) ახვლედიანი,** 30 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ორბელის მკვიდრი.

18. **შალვა ახვლედიანი,** 35 წლის, ადვოკატი, სოციალ-დემოკრატი, ცაგერის მკვიდრი.

19. **მაქსიმე გუგავა,** 41 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. უსახელოს მკვიდრი.

20. **თეოფანე თვარაძე,** 45 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ლაილაშის მკვიდრი.

21. **სერაფიონ გელოვანი,** 34 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ტვიშის მკვიდრი.

22. **ვლადიმერ გიორგის ძე ქარსელაძე,** 55 წლის, მასწავლებელი, მონარქისტი, სოფ. შაორის მკვიდრი.

23. **ალექსი ჯანაძე,** 45 წლის, მასწავლებელი, სოციალ-დემოკრატი, სოფ. შაორის მკვიდრი.

24. **ბაბუსია ჩიქოვანი,** 43 წლის, მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატი, სოფ. ლარჩვალის მკვიდრი.

25. **მელქისედეკ ქარსელაძე,** 39 წლის, მასწავლებელი, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. თაბორის მკვიდრი.

26. **ალექსი ვახტანგის ძე გელოვანი,** 60 წლის, კულაკი, მასწავლებელი, ეროვნულ-დემოკრატი, სოფ. ლაჯანას მკვიდრი.

27. **პავლე ფერაძე**, 24 წლის, მასწავლებელი, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ლაილაშის მკვიდრი.

28. **ინდიკო დავითის ძე გელოვანი**, 50 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ლაილაშის მკვიდრი.

29. **ლადიკო დავითის ძე ასათიანი**, 25 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ორხევის მკვიდრი.

30. **ჯულთა ჭუჭიას ძე ასათიანი**, 20 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ორხევის მკვიდრი.

31. **არქიპო დეისმონის ძე ასათიანი**, 27 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ტვიშის მკვიდრი.

32. **გრიგოლ სარდიონის ძე ასათიანი**, 32 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ტვიშის მკვიდრი.

33. **ბეგლარ როსტომის ძე ასათიანი**, 70 წლის, კულაკი, სოციალ-დემოკრატი, სოფ. მექვენას მკვიდრი.

34. **პეტრე ქარსელაძე**, 42 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. თაბორის მკვიდრი.

35. **მინა მინას ძე ახვლედიანი**, 23 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ტვიშის მკვიდრი.

36. **ინდიკო გიორგის ძე ქვარიანი**, 34 წლის, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ორხევის მკვიდრი.

37. **იაშა ქვათამიძე**, 25 წლის, მასწავლებელი, საშუალო შეძლების, სოციალ-დემოკრატი, სოფ. მექვენას მკვიდრი (**სშსსა (II)**, საქართველოს ჩკ-ის მიერ დახვრეტილთა შესახებ მინერილობები და აქტები 1921-1924 წ.წ. ტ. 1, ფურცელი 262 (II)-263 (I).

რაჭის მაზრაში პატრიოტული ძალების მხრიდან იყო მცდელობა 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების დაწყებისა, მაგრამ ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ წინასწარ მიიღო სათანადო ზომები, რაც გამოიხატა აქტიური პირების დაპატიმრებაში (სუიცსა, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 58). რაჭაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ მცირე შეტაკებას კომუნისტებსა და პატრიოტულ ძალებს შორის,

რომლის დროსაც 2 კომუნისტი დაიჭრა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №43, ფურცელი 105). ასე რომ, რაჭაში 1924 წლის აგვისტოში აჯანყება არ მომხდარა (**სუიცსა**, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №1069, ფურცელი 58). მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა რაჭის მაზრაში რამდენიმე არასასურველი პირი დაეხვრიტა. რაჭის მაზრაში ჯალათების მსხვერპლი გახდნენ:

1. **ტერენტი ერასტოს ძე ბოჭორიშვილი**, 32 წლის, მასწავლებელი სოფ. ჯვარში, ეროვნულ-დემოკრატი, ითვლებოდა ხელისუფლების საიდუმლო თანამშრომლად, მაგრამ მუშაობას თავს არიდებდა.

2. **მიხეილ აბესალომის ძე გელოვანი (გელაშვილი)**, 33 წლის, აზნაური, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ძირაგულის მკვიდრი.

3. **ირაკლი იოსების ძე კაპანაძე**, 27 წლის, სასულიერო წოდებიდან, სოციალ-დემოკრატი, სოფ. ნიქოზის (გორის მაზრა) მკვიდრი.

4. **ირაკლი მოსეს ძე საგანელიძე**, 38 წლის, მღვდელი, სოციალ-დემოკრატი, სოფ. კვარცხუთის მკვიდრი (**სშსსა (II)**, საქართველოს ჩკ-ის მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წ.წ. ტ. 1, ფურცელი 262 (II)).

§6. აფხაზეთი

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაახშო. აჯანყების ჩახშობაში აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლება არანაკლებ აქტიურობდა. მთელ აფხაზეთში სრული განუკითხაობა სუფევდა. სამურზაყანოს მაზრის საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ, **თეოფანე შარიამ**, 32 პატიმარი დასახვრეტად გალის საპყრობილიდან გამოიყვანა. დასახვრეტად წაყვანილთაგან ორი გზაში გაიქცა. ჩეკისტი თ. შარია საპ-

ყრობილეში დაბრუნდა, ერთ-ერთი საკნის კარი გააღებინა და ვინც პირველი შეხვდა გამოიყვანა და დახვრიტა. პატიმრები გალის საპყრობილეში არ დაეტია, სკოლაში მეცადინეობა გადადეს და საპყრობილედ აქციეს (**ვალერიან ზუხბაია.** გალი. თბილისი, 2002, გვ. 109). საბერიოს რაიონში 204 აჯანყებული დააპატიმრეს (**ბანდიტების დაჭერა საბერიოს რაიონში (სამურზაყანო).**—გაზეთი „კომუნისტი", 1924, №201, 4 სექტემბერი, გვ. 2). სამურზაყანოს მაზრაში 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში ამავე მაზრის პოლიტბიუროს მდივანმა, **ტარას ანთიამ,** აქტიური მონაწილეობა მიიღო (**ფარი — საიმედო, მახვილი — ბასრი.** რედ. ა. ნ. ინაური, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1987, გვ. 118).

სამურზაყანოს მაზრაში ხელისუფლების ინსპირირებით სოფლებში გლეხების კრებები დაიწყო. ამ კრებებზე გაისმოდა მოთხოვნები აჯანყების მეთაურების დახვრეტისა და აჯანყების მონაწილეების სარწყავი არხების გასაყვანად გამოყენების თაობაზე. ერთ-ერთი ასეთი კრება სოფ. ჭუბურხინჯში გაიმართა (**ბანდიტების დაჭერა საბერიოს რაიონში (სამურზაყანო).**—გაზეთი „კომუნისტი", 1924, №201, 4 სექტემბერი, გვ. 2).

აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლებამ წებელდის რაიონში აჯანყებულების წინააღმდეგ **შლატერი** გაგზავნა. შლატერმა ბესარიონ აფროსიძე და მასთან ერთად 10 აჯანყებული დააპატიმრა. შლატერს ქ. სოხუმიდან ნაბრძანები ჰქონდა დატყვევებული აჯანყებულები ადგილზევე დაეხვრიტა. მაგრამ, შლატერმა ეს დავალება ვერ შეასრულა, რადგან მას სოფ. აჟარის ადგილობრივმა მილიციამ ამის საშუალება არ მისცა. შლატერი იძულებული გახდა დაპატიმრებულები ქ. სოხუმში ჩაეყვანა (**სშსსა (II),** ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 135).

1924 წლის 15-17 სექტემბერს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო სამეულის სხდომა გაიმართა. სხდომაში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ლაკობა,** აფხაზეთის საგანგებო

კომისიის თავმჯდომარე **ბახტაძე** და **ასტრიბეკოვი**. სხომაზე შლატერს ბრძანების შეუსრულებლობაზე ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. საბოლოოდ, სხდომამ დაპატიმრებულ აჯანყებულებს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა (**სშსსა, (II),** ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 135). ამ განაჩენის მსხვერპლი გახდნენ:

1. **ბესარიონ გიორგის ძე აფროსიძე**, 35 წლის გლეხი, უპარტიო;

2. **მიხეილ იასონის ძე ასათიანი**, 30 წლის, გლეხი, უპარტიო;

3. **ტარას თამშუღის ძე ანჩაბაძე**, 20 წლის, ყოფილი აზნაური;

4. **ერმოლოზ ჩაგუს ძე ანჩაბაძე**, 26 წლის, ყოფილი აზნაური, უპარტიო;

5. **ნახარ ძაკას ძე ხუშტუა**, 28 წლის, გლეხი უპარტიო;

6. **მაქსიმე სპირიდონის ძე კორსანტია**, 35 წლის, გლეხი, სოციალ-დემოკრატი;

7. **ნოჩო ნოეს ძე მიქელაძე**, 26 წლის, აზნაური, სოციალ-დემოკრატი;

8. **ვასილ გიორგის ძე გურჯუა**, 32 წლის, ინტელიგენტი, სოციალ-დემოკრატი;

9. **გიორგი კონსტანტინეს ძე ცინცაძე**, 28 წლის, ინტელიგენტი, ეროვნულ-დემოკრატი;

10. **კოკია დადეშქელიანი**, გლეხი, სოციალ-დემოკრატი;

11. **სამსონ ჯანდელიანი**, გლეხი, სოციალ-დემოკრატი (**სშსსა (II),** საქართველოს ჩკ-ს მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წ.წ. ტ. 1. ფურცელი 263 (I).

ზემოთ ჩამოთვლილი პირები 1924 წლის 19 სექტემბერს, დილის 4 საათზე, ქ. სოხუმში დახვრიტეს. დახვრეტილები 3,5 არშინის სიღრმის საფლავში ჩამარხეს. დახვრეტის წინ დასახვრეტად გამზადებულებს არანაირი განცხადე-

ბა არ გაუკეთებიათ და მათი მხრიდან რაიმე თხოვნა არ ყოფილა.

1924 წლის 23 სექტემბერს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ დახვრეტილებს: **ვასილ გურჯუას, ნოჩო მიქელაძეს და გიორგი ცინცაძეს** ქონება ჩამოართვა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №23581, ფურცელი 138-139).

1924 წლის 27 ოქტომბერს აფხაზეთის საგანგებო კომისიამ პატიმრობიდან გაათავისუფლა აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული და მანამდე პატიმრობაში მყოფი პირები: **ერემია როსტომის ძე შავიშვილი**, 38 წლის, სოციალ-დემოკრატი 1905 წლიდან, მცხოვრები ქ. სოხუმში; **ნესტორ პეტრეს ძე ჯახაია**, 39 წლის, გლეხი, მუშაობდა მტვირთავად, უპარტიო, მცხოვრები ქ. სოხუმში; **არტემ იგორის ძე მაკალათია**, 39 წლის, გლეხი, უპარტიო, მცხოვრები ქ. სოხუმში; **იასონ კუტუს (სიმონის) ძე წულაია**, 34 წლის, ინტელიგენტი, უპარტიო; **პავლე გრიგოლის ძე კერტონჯია**, 35 წლის, ყოფილი ოფიცერი, უპარტიო; **საბა მალაქიას ძე შენგელია**, 29 წლის, ყოფილი ოფიცერი, უპარტიო; **ალექსანდრე გუტუს ძე გვასალია**, 27 წლის, ინტელიგენტი, ეროვნულ-დემოკრატი 1920 წლიდან, ყოფილი ოფიცერი; **ჯოტო სტეფანეს (ალექსანდრეს) ძე ქორქია**, 34 წლის, ყოფილი აზნაური, უმაღლესი განათლებით, ოფიცერი (კაპიტანი), უპარტიო (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №25167, ფურცელი 93).

§7. აჭარა

1924 წლის 30 აგვისტოს აჭარის საგანგებო კომისიის კოლეგიის სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: **ქავთარაძე, კილაძე, ქათამაძე**. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დახვრიტეს:

1. **გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე**, 56 წლის, ქართველი, აზნაური, გენერალ-მაიორი, ქ. ბათუმის შტაბის ყო-

ფილი უფროსი, სამხედრო ატაშე ქ. ბათუმში, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მათი დავალებით მიიღო შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობა;

2. **მიხეილ სამსონის ძე საბაშვილი**, 35 წლის, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, აჭარის დამკომის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა აჭარის სამხედრო ორგანიზაციას, ეწეოდა შპიონაჟს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ცხოვრობდა არალეგალურად;

3. **ვლადიმერ ივანეს ძე ახვლედიანი**, 33 წლის, აზნაური, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ყოფილი უფროსი ლეიტენანტი და ბათუმის შტაბის ადიუტანტი, სოციალისტ-ფედერალისტი 1912 წლიდან, აწარმოებდა აქტიურ მუშაობას ქობულეთში შეიარაღებული აჯანყების მოწყობისათვის;

4. **გიგა პლატონის ძე ჩიქოვანი**, 30 წლის, აზნაური, მასწავლებელი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე, სოციალისტ-ფედერალისტი 1906 წლიდან, აჭარის დამკომის წევრი, აქტიურად მუშაობდა აჭარაში შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად;

5. **ანტონ ოსეკოს ძე იმნაძე**, 60 წლის, ხე-ტყის ქარხნის მფლობელი, მალავდა სოციალ-დემოკრატებს, დამკომში მეკავშირედ მუშაობდა;

6. **ვასილ ალექსანდრეს ძე ჩიტაიშვილი**, 27 წლის, მიწის მზომელი, სოციალ-დემოკრატების ცეკას რწმუნებული და ბათუმის კომიტეტის წევრი, ხელმძღვანელობდა სამხედრო ორგანიზაციას, ცხოვრობდა არალეგალურად;

7. **აკაკი ონისიმეს ძე რამიშვილი**, 34 წლის, ვაჭარი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ასეულის ყოფილი ხელმძღვანელი, შედიოდა სოციალ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის სამეულში,

რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარაში შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდა;

8. **დიომიდე ალექსანდრეს ძე გეგიაძე**, 45 წლის, ვაჭარი, სოციალ-დემოკრატი;

9. **დავით ნიკოლოზის ძე დადიანი**, 36 წლის, სამხედრო-საზღვაო მილიციის ბადრაგთა რაზმის ყოფილი უფროსი, სოციალ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის აქტიური წევრი;

10. **აპოლონ ნიკოლოზის ძე ფანცულაია**, 38 წლის, უმაღლესი განათლებით, საბჭოთა ხელისუფლების პროვოცირებისათვის აქტიურ მუშაობას ეწეოდა;

11. **აღათი მაქსიმეს ასული გორდელაძე**, 26 წლის, სოციალ-დემოკრატების ცეკასთან და ბათუმის სამხედრო ორგანიზაციასთან ჰქონდა კავშირი, მალავდა სოციალ-დემოკრატებს, ცხოვრობდა არალეგალურად;

12. **ანტონომაზ პლატონის ძე ჩიქოვანი**, 23 წლის, აზნაური, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის კომიტეტის წევრი, ღებულობდა მონაწილეობას სამხედრო ორგანიზაციის მუშაობაში;

13. **ალექსანდრე ქიშვარდის ძე ზოიძე**, 19 წლის;

14. **კალენიკე ვასილის ძე მალაზონია**, 28 წლის;

15. **ალფესი ერმოლოზის ძე ხომერიკი**, 30 წლის;

16. **ისიდორე ივანეს ძე ზოიძე**, 20 წლის;

17. **კირასი თედოს ძე მკურნალიძე**, 19 წლის;

18. **ვლადიმერ ვასილის ძე ზაპერტოვი**, 25 წლის;

19. **ნიკოლოზ ლევარსას ძე მუჯირი**, 36 წლის;

20. **ლავრენტი იოსების ძე ქადიეშვილი**, 25 წლის;

21. **მიხეილ ერმოლოზის ძე თაყაიშვილი**, 35 წლის;

22. **ვიქტორ ვლადიმერის ძე ხომერიკი**, 20 წლის;

23. **სოფრომ ლავრენტის ძე კიკნაძე**, 30 წლის (**სუიცსა**, ფონდი №284, აღწერა №3, საქმე №2, ფურცელი 2).

ზემოთ ჩამოთვლილი პირები აჭარის საგანგებო კომისიამ 1924 წლის 31 აგვისტოს, ღამის 3 საათზე, ქ. ბათუმში დახვრიტა (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე №25311, ფურცელი 36). 1924 წლის 6 სექტემბერს აჭარის საგანგებო ხუთეულმა აჭარის საგანგებო კომისიას დამატებით 10 პირის დახვრეტის სანქცია მისცა. ამ განაჩენის მსხვერპლი აღმოჩნდნენ:

1. **ვიქტორ ელიზარის ძე ლოლუა**, 38 წლის, ვაჭარი, ყოფილი სოციალ-დემოკრატი, პარტიიდან გასვლის შემდეგ აქტიურად მუშაობდა სამხედრო ორგანიზაციაში, სამეულის თავმჯდომარე ვასო ჩიტაიშვილთან, ცეკას სრულუფლებიან წარმომადგენელ ვიქტორ ცენტერაძესთან და გენერალ ყარალაშვილთან ჰქონდა კავშირი;

2. **ვასილ (ვასო) კონსტანტინეს ძე შარაშიძე**, 37 წლის, ქ. ფოთის სახალხო გვარდიის შტაბის ყოფილი წევრი;

3. **აკაკი გოგის ძე ვანიძე**, 28 წლის, კავშირი ჰქონდა სოხუმის სამხედრო ორგანიზაციასთან და ალექსანდრე (ალიოშა) ძაძამიასთან;

4. **გალაკტიონ მიხეილის ძე დოლიძე**, 31 წლის, №2 ჯავშნოსანი მატარებლის ყოფილი უფროსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი, კავშირი ჰქონდა ვალიკო ჯუღელთან;

5. **ისააკ კონსტანტინეს ძე ჩაჩანიძე**, 27 წლის, სამხედრო ორგანიზაციის აქტიური წევრი, ცხოვრობდა არალეგალურად;

6. **ვლადიმერ არსენის ძე კვაჭაძე**, 25 წლის;

7. **სამსონ აფრასიონის ძე კილასონია**, 33 წლის;

8. **მირიან ივანეს ძე მოისწრაფიშვილი**, 37 წლის;

9. **იაკინთე ნესტორის ძე პაპავა**, 24 წლის;

10. **დომენტი ბეგლარის ძე ნიკოლაიშვილი (ირაკლი მანველიძე)**. 1924 წლის უაზრო მსხვერპლნი.— ჟურნალი „საისტორიო მაცნე“, 2000, №9, გვ. 80-81).

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, სხვებთან ერთად დაიჭირეს და დასახვრეტად გამზადებულ ვაგონში შეაგდეს ხულოს მკვიდრი **ალი-სულთან ბოლქვაძე**. გზაში, დღევანდელი დაბა ურეკის მიდამოებში, მან ვაგონის სახურავის ამოტეხვა და სამ დაპატიმრებულთან ერთად გაქცევა მოახერხა (**ოთარ გოგოლიშვილი.** ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი", ბათუმი, 2000, გვ. 81).

აჭარაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, დახვრეტილების ქონების კონფისკაციას ჰქონდა ადგილი. 1924 წლის 8 სექტემბერს ერთ-ერთი დახვრეტილის, ანტონ იმნაძის მეუღლე ნინო ასლანის ასული იმნაძე, აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს წერდა: „ა/წ. 31 აგვისტოს დახვრიტეს ჩემი ქმარი ანტონ იმნაძე. დავრჩით გარეთ დაყრილი მე და სამი მცირეწლოვანი ბოვშვები: ვლადიმერ, ქეთევან და ზინაიდა; რაც ქონება და ავეჯეულობა გვქონდა მე და ჩემს ქმარს ოჯახში, საგანგებო კომისიის განკარგულებით აწერეს: რამოდენიმე წაიღეს და რამოდენიმე დაბეჭდეს. დაბეჭდილია ჩემი საკუთარი ნამზითვი ავეჯეულობა და ნივთები. საცხოვრებელი ბინაც არ დამიტოვეს თავის სახლში, რომელიც არის აშენებული უმთავრესი ნაწილად გარდა ჩემი შრომისა ჩემივე ნამზითვი ფულით. ოთახები დაბეჭდეს და ბავშვებით ვყრივართ გარეთ. ჩემი ქმარი აწარმოებდა ხე-ტყის მასალის ვაჭრობას. ქონდა მოქ. ზაქარია გურგენიძესთან საერთო ხე-ტყის საწყობი, სადაც აწერეს მთელი მასალა და დაბეჭდეს. ოჯახიდან წაიღეს ერთი ოქროს საათი №56813 და ასი ოსმალური ქაღალდის ლირა და ხე-ტყის საწყობიდან 10 დოლარი და (ტექსტი არ იკითხება — **ავტ.**) მანეთი ფულით. ამრიგათ, არცა მე და არც მცირე წლოვან ბოვშების აღარ დაგვრჩა არც ბინა და არც არავითარი სახსარი, რომ ვიცხოვროთ, ვისაზრდოვოთ. ოც წელზე მეტია, რაც მე გავყევი ანტონ იმნაძეს ცოლად" (**სშსსა (II)**, ფონდი №6, საქმე

№25311, ფურცელი 38). ხელისუფლების მხრიდან რა რეაგირება მოჰყვა ამ განცხადებას ჩვენთვის უცნობია.

1924 წლის 31 აგვისტოს აჭარის საგანგებო ხუთეულის თავმჯდომარის, **თ. ხიმშიაშვილის,** აჭარის მოსახლეობისადმი მიმართვა გავრცელდა: „მოსახლეობის ზუსტი ინფორმირებისათვის აჭარის ხელისუფლება აცხადებს: ავანტიურისტებმა და მენშევიკების იატაკქვეშა ცენტრალურმა კომიტეტმა და პარიტეტულმა კომიტეტმა, თავად ანდრონიკოვის მეთაურობით (მიუხედავად არაერთგზის განცხადებისა, რომ ისინი უარს ამბობენ შეიარაღებულ ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ) აკეთებენ უგუნურებას და ცდილობენ იარაღით ჩამოაგდონ მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

ამ მიზნით 28 აგვისტოს, დილის 4 საათზე, მოხდა მენშევიკების ბანდების თავდასხმა ჭიათურაზე. ეს ბანდა შედგებოდა კონტრრევოლუციური პარიტეტის წარმომადგენლებისაგან, ყოფილი პოლკოვნიკებისაგან, აზნაურებისაგან, თავადებისაგან და მრეწველებისაგან. საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების წყალობით, ეს თავდასხმა სწრაფად იქნა ლიკვიდირებული და ჭიათურაში აღდგენილია ნორმალური ცხოვრება. აჯანყების მეთაურები დაპატიმრებულები არიან და მიიღებენ დამსახურებულ სასჯელს.

განიცადეს რა ჭიათურაში სრული წარუმატებლობა, ბანდიტურმა აჯანყებამ გადაინაცვლა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, სადაც აჯანყებას ჰქონდა სუსტი გამოძახილი და მოკლე დროში იქნა ჩახშობილი მუშების და გლეხების მიერ.

აჭარის მუშებმა და გლეხებმა შეინარჩუნეს სრული სიმშვიდე და ერთგულება თავიანთი ხელისუფლების მიმართ — გაეშურნენ ბანდიტების მიერ დაკავებული საქართველოს რაიონებისაკენ, რათა აღმოეჩინათ დახმარება ძმური რესპუბლიკის გლეხებისა და მუშებისათვის.

მენშევიკ-ბანდიტებმა ვერ გაუძლეს რა მუშების და გლეხების ძალების დაწოლას, დაიწყეს უკან დახევა ტყვეებთან ერთად. მათ მხოლოდ რამდენიმე საათით მოახერხეს საქართველოს ზოგიერთი რაიონის ოზურგეთის, ლანჩხუთის, სუფსის, სამტრედიის, ფოთის, ახალი სენაკის, ზუგდიდის დაკავება. წარუმატებლობის შემდეგ, ისინი ცდილობდნენ მთებში დამალვას და ამით გლეხების და მუშების რაზმებისაგან თავის დაცვას.

აჭარის ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში სუფევს სრული სიმშვიდე, მიიღო მკაცრი ზომები წესრიგის დასაცავად, სიმშვიდის შესანარჩუნებლად და რესპუბლიკის მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად.

შექმნილია საგანგებო ცენტრალური ხუთეული (ЦЧП), მაზრებში კი საგანგებო სამეულები, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს და ინსტრუქციებს აძლევს ცენტრალური საგანგებო ხუთეული.

აჭარაში მუშების და გლეხების განწყობა აღმაფრთოვანებელია, მათი განზრახვა იყო ჩანასახშივე ჩაეხშოთ ანტისაბჭოთა ძალების მცდელობა და დაეცვათ საბჭოთა ხელისუფლება. მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტრები — მენშევიკ-ბანდიტები და მათი თანამოაზრეები იქნებიან რკინის ხელებით მოშთობილი მუშების და გლეხების მიერ, იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი უარს იტყვიან აჭარაში თავიანთ პროვოკაციულ მუშაობაზე.

აჭარაში მუშების და გლეხების მდგომარეობა მდგრადია და დაე, იცოდეს ყველამ, რომ მათ არ იციან დანდობა მუშების და გლეხების მტრების მიმართ" (**სუიცსა,** ფონდი №284, აღწერა №3, საქმე №9, ფურცელი 1).

1924 წლის 9 სექტემბერს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, აჭარის სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭარის საოლქო

კომიტეტმა კიდევ ერთხელ მიმართეს აჭარის „მშრომელ მოსახლეობას". მიმართვაში ხაზგასმული იყო, რომ სოციალ-დემოკრატებმა, აზნაურებმა, მეფის ოფიცრობამ დასავლეთის კაპიტალისტების მხარდაჭერით მოაწყვეს აჯანყება ქართველი მშრომელების წინააღმდეგ. მიმართვაში მოწონებული იყო აჭარის „მშრომელი მოსახლეობის" დამოკიდებულება 1924 წლის აჯანყებისადმი (**აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში.** დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921-1925 წ.წ. შემდგენლები: ნ. ნოღაიდელი, ს. ტაბაღუა, შ. თოდაძე, დ. ჭელიძე. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა", ბათუმი, 1975, გვ. 94-95).

1924 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში აჭარის საგანგებო ხუთეულმა საქართველოს საგანგებო კომისიისაგან მიიღო ცნობა, რომ აჭარაში ახალი გამოსვლები მზადდებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სასწრაფოდ შეიკრიბა აჭარის საგანგებო ხუთეული, რომელმაც სხდომაზე მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად აჭარის სამაზრო სამეულებს უნდა გაეგრძელებინათ თავიანთი მოვალეობის შესრულება. აჭარის სამაზრო სამეულებთან აქტივისტთა რაზმები უნდა ჩამოყალიბებულიყო. კომუნართა რაზმის უფროსს, ჩაჩბას, დაევალა ყველა კომუნარის მობილიზება დაეწყო, ბათუმის სამხედრო გარნიზონის უფროსს კი სამხედრო ძალებით ფოსტა-ტელეგრაფის დაცვა უნდა განეხორციელებინა. ამავე დროს საგანგებო ხუთეულმა თავის განკარგულებაში დატოვა საპატრულო ნავი **„სოციალიზმის ვარსკვლავი"** შავი ზღვის ბათუმის სანაპიროს კონტროლის გასაძლიერებლად. აჭარის საგანგებო კომისიას მიეცა დავალება ყველა ანტისაბჭოთა პირის დაპატიმრების თაობაზე. ამავე დროს, აჭარის საგანგებო კომისიას ბარცხანის, ჭაობისა და ორთაბათუმის მოსახლეობისაგან იარაღის ამოღება უნდა განეხორციელებინა (**ირაკლი მანველიძე**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომი-

კური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 50).

1924 წლის 2 სექტემბერს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ბათუმის რწმუნებული, **გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე,** აჭარის საგანგებო კომისიას ნებაყოფლობით ჩაბარდა (**სშსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 210).

1924 წლის სექტემბერში აჭარის საგანგებო კომისიამ ბათუმში ახალგაზრდა მარქსისტების ანტისაბჭოთა ორგანიზაცია გამოააშკარავა, რომელიც 60-ზე მეტ წევრს ითვლიდა. გამოვლენილ იქნა მეორე ანტისაბჭოთა ორგანიზაცია — „ოპოზიციონერთა იატაკქვეშა კომიტეტი" მათე ლომთათიძის მეთაურობით. 1924 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში აჭარის საგანგებო კომისიას ხელში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის 1924 წლის 15 ოქტომბრის პროკლამაცია ჩაუვარდა, რომელიც თბილისიდან ბათუმის ორგანიზაციას გაუგზავნეს. აჭარის საგანგებო კომისიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციის 15 აქტიური წევრი დააპატიმრა, რომლებიც მოსახლეობაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ.

1924 წლის 12 დეკემბერს აჭარის საგანგებო ხუთეულმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. იმავე დროს გაუქმდა ადგილობრივი სამაზრო სამეულები (**ირაკლი მანველიძე.** საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში. გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი", ბათუმი, 2006, გვ. 50-51).

1924 წლის სექტემბრის ბოლოსთვის აჭარის საგანგებო კომისიის ხელში აჭარაში ანტისაბჭოთა მოძრაობის 60 წარმომადგენელი აღმოჩნდა (**ოთარ გოგოლიშვილი.** ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი", ბათუმი, 2000, გვ. 69).

***

ზემოთ ჩვენ ვცადეთ საარქივო და სხვა მასალებზე დაყრდნობით დაგვედგინა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიების შედეგად სიკვდილით დასჯილთა რაოდენობა. მართალია, ჩვენი ნაშრომი არ ეხება აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობასა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ რეპრესიებს, მაგრამ სურათის სისრულისათვის მოვიტანთ მონაცემებს აღმოსავლეთ საქართველოში დახვრეტილთა თაობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელიც 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დახვრეტილთა ციფრობრივ მონაცემებს ასახავს. ამ დოკუმენტის მიხედვით საბჭოთა ხელისუფლებამ თბილისში 230 აჯანყებული დახვრიტა, სიღნაღის მაზრაში — 60, თელავის მაზრაში — 30, სართიჭალის რაიონში — 49, ბორჩალოს მაზრაში — 19, დუშეთის მაზრაში — 7, გორის მაზრაში — 128, მთლიანად საქართველოს მასშტაბით (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში) — 857 კაცი (**სშსსა (II)**, საქართველოს ჩკ-ს მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წ.წ. ტ. 1, ფურცელი 250 (I) — 258 (I). თუმცა არქივში დაცული სხვა დოკუმენტები ამ მონაცემებს საეჭვოს ხდის. 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ავბედით დღეებში დახვრეტილთა ზუსტი რაოდენობა დღესაც უცნობია. 1924 წლის ოქტომბერში საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკური) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სერგო ორჯონიკიძე აცხადებდა: **„მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება“** (**ზ. გამსახურდია.** ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული... საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერის კომენტარი.— გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, №33, 19 თებერვალი, გვ. 2).

თავი XI. 1924 წლის აჯანყების მიზეზების შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების მიერ

1924 წლის 2 სექტემბერს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ საქართველოში მომხდარ აჯანყებასთან დაკავშირებით დაადგინა: „საქართველოს ამბებს დიდი საერთო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს გადაჭრით მოქმედებას აჯანყების ჩასახშობად და კატეგორიულად უარყოფს პატიმართა მასობრივი დახვრეტის პოლიტიკას. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ამიერკავკასიის ჩეკას გადაწყვეტილებით მიმდინარე დახვრეტების დაუყოვნებლივ შეჩერებას". 1924 წლის 2 სექტემბერს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ საქართველოში მომხდარი აჯანყების შესასწავლად სპეციალური კომისია გამოყო შემდეგი შემადგენლობით: **ვ. მოლოტოვი, დ. მანუილსკი, გ. ორჯონიკიძე, ე. კვირინგი** და **ი. ზელენსკი** (ბ. ლომინაძის მოხსენებითი ბარათი.— ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი", 1989, №3, გვ. გვ. 39). ე. კვირინგმა 1924 წლის აჯანყებას მიუძღვნა ნაშრომი „Уроки Грузинского восстания" (**Э. Квиринг**. Уроки Грузинского восстания. „пролетарий", Харьков, 1925).

1924 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება (ოქმი №17), რომლის თანახმად 1924 წლის აჯანყების მიზეზების შესასწავლად „ავტორიტეტული კომისიები" უნდა შექმნილიყო. სამეგრელოში მიავლინეს კომისია მ. ცხაკაიას, მ. კახიანის, ა. გეგეჭკორისა და ივანოვ-კავკაზსკის შემადგენლობით, გურიაში — ფ. მახარაძისა და ს. ორჯონიკიძის შემადგენლობით, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში — მ. ორახელაშვილისა და ს. ჯუღელის შემად-

გენლობით (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №12, ფურცელი 64).

მოგვიანებით, 1924 წლის აჯანყების მიზეზების შესასწავლად საქართველოში **კლარა ცეტკინი** ჩამოვიდა. 1924 წლის 3 ოქტომბერს კლარა ცეტკინთან საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წევრი ი. კაკაბაძე მიავლინეს. 1924 წლის 4 ოქტომბერს კლარა ცეტკინთან სამი შაოსანი ქალი მივიდა, რომლებმაც მას გერმანულ ენაზე შედგენილი წერილი გადასცეს. ეს ქალები 1924 წელს დახვრეტილი მუშების: **დვალის, თევზაძისა** და **დონაძის** მეუღლეები აღმოჩნდნენ. მათ კ. ცეტკინს მათდამი და მათ მსგავსად გაუბედურებული ოჯახებისათვის ყურადღების მიქცევა თხოვეს. კ. ცეტკინი მათ დახმარების აღმოჩენას დაჰპირდა. 1924 წლის 5 ოქტომბერს კ. ცეტკინი და ი. კაკაბაძე, ლავრენტი ბერიას მიერ მათთვის მიჩენილ კაცთან ერთად, ქ. ჭიათურაში ჩავიდნენ. საღამოს 5 საათზე ქ. ჭიათურაში მიტინგი გაიმართა, რომელზეც გერმანულ ენაზე კ. ცეტკინი სიტყვით გამოვიდა. კ. ცეტკინის სიტყვას რუსულად ემილია მილოვიდოვისა თარგმნიდა. კ. ცეტკინის სიტყვა მიტინგზე ქართულადაც ითარგმნა. მიტინგზე სიტყვით ადგილობრივი კომუნისტებიც გამოვიდნენ. თითოეული გამომსვლელის სიტყვის შემდეგ ადგილობრივი ორკესტრი ინტერნაციონალს უკრავდა. 1924 წლის 6 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, კ. ცეტკინი ქ. ბათუმში ჩავიდა. კ. ცეტკინმა მშრომელ გლეხთა სახლი, ქართველ მუსულმან ქალთა კლუბი, ქარხნები და სხვ. დაწესებულებები დაათვალიერა. საღამოს 7 საათზე ბათუმში მიტინგი ჩატარდა. 1924 წლის 7 ოქტომბერს საღამოს კ. ცეტკინი ქობულეთისაკენ გაემგზავრა. ქობულეთში ის სანატორიუმში დააბინავეს. ქობულეთის დატოვების წინ (1924 წლის 18 ოქტომბერი) დაგეგმილი იყო მისი ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა, მაგრამ კ. ცეტკინის ფიზიკურმა სისუსტემ და უამინდობამ მას ამის საშუალება არ მისცა (**სშსსა (III),** ფონდი

№14, აღწერა №2, საქმე №341, ფურცელი 284). მოგვიანებით, კ. ცეტკინმა 1924 წლის აჯანყებაზე გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით „На Освобожденном Кавказе". ნაშრომი, ცხადია, სუბიექტურ მომენტებს მრავლად შეიცავს (**Клара Цеткин.** На Освобожденном Кавказе. „старый большевик", М., 1935).

1924 წლის 7 ოქტომბერს მოსკოვიდან ბათუმში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები: **ივანე შაკუროვი, სერგეი სტარუხინი** და **ანტონ გევორქოვი** ჩავიდნენ. მათ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, იოსებ სტალინის, სახელზე ვრცელი მოხსენებითი ბარათი შეადგინეს **„აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე მომენტის"** შესახებ. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ აჭარაში მაღალ თანამდებობებზე მხოლოდ ქართველები ინიშნებოდნენ, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებში ვერ ერკვეოდნენ და უხეში ადმინისტრირებით მოსახლეობის მორჩილებაში მოყვანას ცდილობდნენ. მოხსენებითი ბარათის ავტორების თქმით, „ქართველები" „აჭარლებს" ზემოდან უყურებდნენ და მათ თავმოყვარეობას არაფრად აგდებდნენ. კომისიის მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ კიდევ უფრო ამძიმებდნენ მდგომარეობას თბილისიდან ჩასული „პარტიული ამხანაგები", რომლებიც „ნაციონალიზმისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ". კომისიის წევრები თვლიდნენ, რომ სოციალდემოკრატებს დასაყრდენი სწორედ ქართველ პარტიულ ორგანიზაციებში ჰქონდათ და ბევრი მათგანი კიდევაც თანაუგრძნობდა მათ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კომისია მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო მოსკოვს მეტი კონტროლი დაეწესებინა აჭარაზე და მინიმუმამდე დაეყვანა თბილისის (საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობის) კონტრო-

ლი აჭარაზე (**ოთარ გოგოლიშვილი.** ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი", ბათუმი, 2000, გვ. 69-71).

საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის ნოემბრის ამნისტიით 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისა და მასთან კავშირისათვის დაპატიმრებულთაგან 1310 კაცი გაათავისუფლა, 1925 წლის საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის გადაწყვეტილებით კი — 227. 1925 წლის 17 აპრილისათვის საბჭოთა საპყრობილეებში კვლავ რჩებოდა 260 კაცი (**სშსსა (II),** საქართველოს ჩკ-ს მიერ დახვრეტილთა შესახებ მიწერილობები და აქტები 1921-1924 წ.წ. ტ. 1, ფურცელი 303).

1992 წლის 25 მაისის დეკრეტით საქართველოს სახელმწიფო საბჭომ ისტორიული სამართლიანობა აღადგინა და 1921-1924 წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია განახორციელა (**ე. შევარდნაძე.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი.— გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1992, №88, 26 მაისი, გვ. 1).

თავი XII. საინფორმაციო ომი

1924 წლის 31 აგვისტოს საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტომ ევროპის პრესას ამცნო, რომ საქართველოში აჯანყება მოახდინა „კონტრ-რევოლიუციონური მიზნით, მცირე რიცხოვან ბანდამ, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ ძველი ოფიცრების, თავადების და მსხვილ ვაჭრებისაგანო. ყველა მეთაურები დაიჭირეს და ეს აჯანყება თვით მცხოვრებთა მიერ საჩქაროდ იქნა ჩაქრობილიო".

1924 წლის აჯანყების დღეებში ანტისაბჭოთა ქართული ძალები სტამბოლიდან პარიზში და განსაკუთრებით ჟენევაში (სადაც იმ დროს ერთა ლიგის ცენტრალური ორგანოები მუშაობდნენ) აჯანყების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციებს გზავნიდნენ. ამ ინფორმაციებმა დიდი გავლენა იქონიეს ერთა ლიგის მიერ საქართველოში მომხდარ აჯანყებასთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაზე (კ. გვარჯალაძე. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში. გამომცემლობა „ცოდნა"-„ერთობა", თბილისი, 1991, გვ. 41-42).

საქართველოში მომხდარ აჯანყებასთან დაკავშირებით საფრანგეთის წარმომადგენელმა, **ერიომ,** 1924 წლის 8 სექტემბერს დიდი ბრიტანეთისა და ბელგიის დელეგაციებს წერილი გადასცა. მოვიტანთ ამ წერილს მთლიანად: „ამჟამად მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ქართველი ერის აჯანყება ფაქტია. ერთა ლიგამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ აჯანყებას, იმისაგან დამოუკიდებლად თუ წარმატების რა შანსები აქვს აჯანყებას. მცირე ერის გმირული ბრძოლა ძლევამოსილი მტრის წინააღმდეგ — უნდა შეფასდეს არა მხოლოდ თავისი გარეგნული წარმატებით, არამედ თვით აჯანყების ფაქტის არსებობით. ცხადია, რომ ქართველ კომუნისტებში ჭარბობს სუფთა ნაციონალური მისწრაფება და ქართული კომუნიზმი ხდება მტრული რუსული კომუნიზმისათვის, რასაც ხელს უწყობს ის, რომ ქარ-

თველ კომუნისტებს აბუჩად იგდებენ მათი მოსკოველი მეგობრები და მათ შორის წმინდა ქართულ საკითხებშიც. საქართველოს კომუნისტურ პარტიას არა აქვს გადამწყვეტი ხმა, ეს ხმა ეკუთვნის რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. მოსკოვიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ ქართულ კომპარტიასა და რუსეთის კომპარტიას შორის ურთიერთობა გაციებულია.

ქართველმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა არა მარტო არ დაკარგეს კავშირი სამშობლოსთან, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გაიზარდა მათი პოლიტიკური მნიშვნელობა, არა მარტო იმიტომ, რომ იქ იმყოფებიან ქართული შემოქმედებითი ძალები, არამედ იმიტომაც, რომ იქ ჩავიდნენ ყველაზე უფრო ნიჭიერი და შემოქმედებითი ძალები რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო სფეროდან. 1921 წლის 27 იანვარს მოკავშირე (ანტანტა — **ავტ.**) სახელმწიფოებმა დე იურე აღიარეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს მთავრობამ, ქუთაისის მოლაპარაკების დროს (იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების მოლაპარაკება 1921 წლის მარტში — **ავტ.**), შეწყვიტა წინააღმდეგობა, რომ ამით ეხსნა თავისი ქვეყანა მოსკოვის წითელი არმიის მრისხანებისაგან. საქართველომ შეინარჩუნა თავისი ნაციონალური დემოკრატიული ანდერძის ერთგულება. საქართველოს დაპყრობიდან დღემდე მოსკოვი იძულებულია აწარმოოს დაუნდობელი ბრძოლა ქართველი ერის წინააღმდეგ, რათა ჩაახშოს ქართველი ერის გამათავისუფლებელი მოძრაობა. ბოლშევიკებმა ეს ვერ შეძლეს, მიუხედავად მათი რიცხობრივი უპირატესობისა და მათ მიერ წარმოებული ტერორისა. ეს აჯანყება საქართველოში არის უძლიერესი ბრძოლა ნაციონალური იდეებისათვის და თვითმყოფადობისათვის 4 მილიონი ერისა, რომელსაც სჯერა, რომ ადრე თუ გვიან მისი ხმა

ერთა ლიგამდე მიაღწევს და ეს უკანასკნელი აღმოუჩენს მას დახმარებას.

საფრანგეთის ხელისუფლებამ შესანიშნავად იცის ყველა სიძნელე და სირთულე ქართული საკითხის გადაჭრის საქმეში, მაგრამ ქართული საკითხი არ შეიძლება დარჩეს საფრანგეთის ხელისუფლების ყურადღების გარეშე. ერთა ლიგამ რაღაც უნდა გააკეთოს ქართველი ერის გადასარჩენად.

ქართველი ერის და მისი ეკლესიის წარმომადგენლები არაერთხელ ითხოვდნენ დახმარებას, მაგრამ ამ თხოვნებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო რაიმე ხელშესახები შედეგები მიეცა ქართველი ერისათვის. მაგრამ ამ თხოვნებმა გააძლიერეს სიბრალული და თანაგრძნობა ქართველი ერისადმი.

ახლა, როდესაც მსოფლიო დაადგა მშვიდობიანი განვითარების გზას, დიდი ქვეყნების მიერ არ გაკეთდა არაფერი საქართველოში მშვიდობის დასამყარებლად და საქართველოსა და მოსკოვს შორის მოდუს ვივიენდის აღსადგენად, ამ ორ ერს შორის ორმხრივი ბედნიერებისათვის. დემოკრატიზმის პრინციპები, რისთვისაც იბრძვის ქართველი ერი, იძლევა ამ ერის სიცოცხლისუნარიანობის გარანტიას, რომელიც ამ ერს უფრო აქვს, ვიდრე ტერიტორიულად უფრო დიდ და მრავალრიცხოვან ერებს.

საფრანგეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღებით გადახედა ყველა მის მიწერ-მოწერას თავის მოკავშირეებთან და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს საკითხი ერთნაირად აინტერესებთ საფრანგეთის მოკავშირეებს.

საფრანგეთის ხელისუფლება მტკიცედ დგას რუსეთის საქმეში ჩაურევლობის პრინციპზე, მაგრამ ის გამონახავს შესაძლებლობას როგორც ჰუმანიტარულს, ისე სამართლებრივს და სთავაზობს თავის დელეგაციას ერთა ლიგაში დიდი შემართებით განიხილოს ქართული პრობლემა, იმ იმე-

დით, რომ შეიძლება გამოძებნილ იქნეს რაღაც საშუალებები ქართველი ერის დასახმარებლად, მისი დამოუკიდებლობის გადასარჩენად, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოების მხრიდან იყო აღიარებული.

საფრანგეთის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ მისი აზრი გაზიარებული იქნება სხვა ქვეყნების მიერ, რომელთა ამოცანაა აღადგინონ მშვიდობა და სამართლიანობა" (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 189-190).

1924 წლის 11 სექტემბერს ერთა ლიგამ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის, **პოლ ბონკურის,** წინადადებით მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ, რომელშიც 1924 წლის აჯანყება მიჩნეულ იქნა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის ომად. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველო გამოაცხადეს მეომარ მხარედ და ის ხდებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ამ რეზოლუციით ევროპის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ მხარი დაუჭირა ქართველი ერის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას (**ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. II.** რედ. აკ. **როინ მეტრეველი.** თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ. 419). 1924 წლის 21 სექტემბერს ერთა ლიგის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, **გიორგი ჩიჩერინი,** გამოეხმაურა. გ. ჩიჩერინი თავის განცხადებაში საქართველოში მომხდარ აჯანყებას ბუტაფორულს უწოდებდა, რომელიც მისი თქმით მომზადდა ბურჟუაზიული მთავრობების შეკვეთითა და მხარდაჭერით. გ. ჩიჩერინს ერთა ლიგის მიერ მიღებული რეზოლუცია საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ აქტად მიაჩნდა (**ქართული დიპლომატიის ისტორია** (ქრესტომათია). რედ. აკ. **როინ მეტრეველი.** თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 553-554). საბჭოთა კავშირის მთავრობამ ერთა ლიგის რეზოლუცია „სსრ კავშირის საში-

ნაო საქმეებში უხეშ ჩარევად" მიიჩნია (**Документы внешней политики СССР**. т. VII. М., 1963, ст. 465-467).

1924 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის გაფართოებული სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ: **ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, კონსტანტინე კანდელაკი, სპირიდონ კედია, იოსებ გობეჩია, სამსონ ფირცხალავა, აკაკი ჩხენკელი, სპირიდონ ჭავჭავაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გიორგი წერეთელი** (აჯანყებულთა მეთაური ჭიათურაში) და სხვ. ნოე ჟორდანია სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლებს მიესალმა და აღნიშნა, რომ მტრები ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს ემიგრანტული მთავრობა 1924 წლის აჯანყებას გმობდა, რადგან ის გამარჯვებით არ დასრულდა. „თუ იგი (1924 წლის აჯანყება — **ავტ.**) არ გათავდა გამარჯვებით — აღნიშნა ნ. ჟორდანიამ — ეს მებრძოლთა ბრალი არ არის, ამის მიზეზები სხვაგან უნდა ვეძიოთ" (**ოთარ ჯანელიძე**. სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი. გამომცემლობა „მემატიანე", თბილისი, 2002, გვ. 161-162).

1924 წლის 28 სექტემბერს ლონდონში სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. სხდომას სოციალ-დემოკრატი **ირაკლი წერეთელი** დაესწრო. სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც აღშფოთება იყო გამოთქმული 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეპრესიების გამო. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს თვითგამორკვევის საკითხი ინტერნაციონალისათვის პრიორიტეტული იყო, ისევე როგორც ადრე პოლონელი ერის დაცვა. რეზოლუცია ყველა სოციალისტურ პარტიას მოუწოდებდა ენერგიულად ებრძოლა საქართველოდან რუსეთის წითელი ჯარის გასაყვანად და საქართველოში რეფერენდუმის ჩასატარებლად (**კ. გვარჯა-**

ლაძე. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში. გამომცემლობა „ცოდნა"-„ერთობა", თბილისი, 1991, გვ. 42-43).

1924 წლის ნოემბერში ნოე ჟორდანიამ ქართველ ხალხს წერილით მიმართა, რომელშიც ავტორმა 1924 წლის აჯანყებას ეროვნული უწოდა. ნ. ჟორდანიას თქმით, 1924 წლის აჯანყებამ „შეაშფოთა ბნელის მოციქული მოსკოვი და მისი დაქირავებული აგენტები. გაახარა ყველა დანარჩენი, მთელი კაცობრიობა, სიმართლის და თავისუფლების მოტრფიალენი..." ნ. ჟორდანიამ იმედი გამოთქვა, რომ „მახვილის ამღებნი მახვილით დაეცემიან..." (**გურამ შარაძე**. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. VI. გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 2005, გვ. 102-104).

1924 წლის 30 ნოემბერს მოსკოვის ინიციატივით საქართველოში ინგლისის ტრედუნიორთა დელეგაცია ჩამოვიდა **პერსელის** ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდნენ: **ფრედ ბრამლი, ბენ თილეთი, ალენ ფინდლეი, ჰერბერტ სმიტი, ჯონ ბრომლეი, ჯონ თერნერი** (**სშსა (III)**, ფონდი №8, აღწერა №24, საქმე №77, ფურცელი 60). დელეგაციამ საქართველოში სამი დღე დაჰყო. ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე დელეგაციის წევრები აცხადებდნენ, რომ მათი მიზანი იყო ევროპის პრესის მეშვეობით საქართველოს შესახებ გავრცელებული „ტყუილების შეცვლა". 1925 წლის თებერვლის მიწურულს ლონდონში გამოვიდა **„ოფიციალური ანგარიში ინგლისის ტრედუნიონების დელეგაციისა"** (მოიცავს 275 გვერდს) (**კ. გვარჯალაძე**. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში. გამომცემლობა „ცოდნა"-„ერთობა", თბილისი, 1991, გვ. 44-47).

ნ. ჟორდანიამ, კ. ჩხეიძემ და ნ. რამიშვილმა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროს პრეზიდიუმის სახელით, პასუხი გასცეს ინგლისის ტრედუნიორთა დელეგაციის „ოფიციალურ ანგარიშს". 1925 წლის აპრილში ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე

დაიბეჭდა ბროშურა **„ინგლისელ ტრედუნიონერების დელეგაცია და საქართველო“**. ბროშურის ავტორები ცდილობდნენ გაებათილებინათ ინგლისური დელეგაციის ყალბი ცნობები 1924 წლის აჯანყების შესახებ.

1925 წლის იანვრისათვის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროს უკვე ყოველგვარი ცნობები ჰქონდა მიღებული საქართველოში არსებული ვითარების შესახებ. 1925 წლის 29 იანვარს ამ ცნობების საფუძველზე **პიერ რენოდელმა** საფრანგეთის პარლამენტში სიტყვა წარმოთქვა.

1925 წლის 28 მარტს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიურომ პარიზში მიიღო დადგენილება, რომელიც 13 მუხლისაგან შედგება. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ 1924 წლის აჯანყებით ქართველმა ერმა დაამტკიცა თავისი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ამიტომ — როგორც დადგენილებაში იყო აღნიშნული — ბიურო ბრძოლას აგრძელებდა, მაგრამ მთავარ აქცენტს აგიტაცია-პროპაგანდაზე აკეთებდა და არ ქმნიდა სამხედრო-ტექნიკურ ორგანიზაციებს (თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ შესაფერის მომენტში ის არ შეიქმნებოდა). ბიუროს მიერ მიღებული დადგენილების მე-13 მუხლი გამოქვეყნებული არ ყოფილა. მე-13 მუხლში ნათქვამი იყო: „პარტიას მისაღებად მიაჩნია საქართველოს განთავისუფლების საქმისათვის უცხოეთიდან დახმარების მიღება, მაგრამ პარტია მიუღებლად აღიარებს სამხედრო კომბინაციების ძიებაზე თავის პოლიტიკურ გეზს“ (**ნესტან კირთაძე.** რა მოხდა?! გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 1997, გვ. 61-63).

1925 წლის ივლისის დასასრულს **ირაკლი წერეთელმა** სოციალისტურ ინტერნაციონალში შემავალ პარტიებს წერილით მიმართა. წერილში ი. წერეთელი იმ დროს თბილისში მიმდინარე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სასამართლო პროცესს ეხებოდა. ი. წერეთლის თქმით, გან-

სასჯელთა ჩვენებები საგანგებო კომისიაში არნახული ტანჯვისა და ზეწოლის შედეგად იყო დაწერილი. ი. წერეთელი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მოსამართლეებად დანიშნული პირები თვითონ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას აჯანყებულთა წინააღმდეგ წარმოებულ რეპრესიებში.

1925 წლის აგვისტოს დასასრულს მარსელში სოციალისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი შეიკრიბა, რომელსაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად ინტერნაციონალი იცავდა სრული თვითგამორკვევის უფლებას „საბჭოთა კავშირის ერთათვის, რომელთაც რევოლუციის ხანაში მოიპოვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როგორც სომხეთმა, საქართველომ, უკრაინამ და სხვა".

1926 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სოციალისტურ ინტერნაციონალს და მის ყველა სექციას მემორანდუმი გაუგზავნა, რომელშიც 1924 წლის აჯანყების შემდეგ საქართველოში მიმდინარე ტერორი დეტალურად იყო აღწერილი. მემორანდუმი მთავრდებოდა მოთხოვნით: შეწყვეტილიყო საქართველოში პოლიტიკური პარტიების წევრების დახვრეტები და მათი საქართველოდან გასახლების პროცესი. მემორანდუმს ინგლისში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მემორანდუმის წინააღმდეგ გამოვიდნენ ტრედუნიონთა წარმომადგენლები: **პესელი** და **ვოლჰედი**. მათი წერილი გაზეთ **„დეილი ჰერალდში"** გამოქვეყნდა (1926 წლის 17 დეკემბერი). წერილში პესელი და ვოლჰედი ინგლისელ მუშებს აფრთხილებდნენ არ დაეჯერებინათ მემორანდუმში მოთავსებული ცნობები, სანამ მათ საბოლოო პასუხს მოსკოვის მთავრობა არ გასცემდა. ნ. ჟორდანიამ იმავე გაზეთში (1926 წლის 30 დეკემბერი) პესელს და ვოლჰედს პასუხი გასცა და ურჩია მათ საქართველოში ჩაეტარებინათ რეფერენდუმი და ამ

გზით გამოერკვიათ ქართველი ხალხის ნამდვილი პოზიცია. პესელის და ვოლჰედის პოზიციას იზიარებდნენ **კოუტსი** (გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი", 1926 წლის 20 და 31 დეკემბერი; გაზეთი „ნიუ ლიდერი", 1927 წლის 14 იანვარი და 4 თებერვალი) და **ჰუდი** (გაზეთი „დეილი ჰერალდი", 1927 წლის 6 თებერვალი) და ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში 1924 წლის აჯანყების შემდეგ დახვრეტის არც ერთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მათი თქმით, აჯანყების დროს მძევლად წაყვანილი ტყვეები არა კომუნისტებმა, არამედ სოციალ-დემოკრატებმა დახვრიტეს. კოუტსა და ჰუდს საკადრისი პასუხი კონსტანტინე გვარჯალაძემ გასცა (გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი", 1926 წლის 24 დეკემბერი და 1927 წლის 4 იანვარი; გაზეთი „ნიუ ლიდერი", 1927 წლის 18 და 28 იანვარი; გაზეთი „დეილი ჰერალდი", 1927 წლის 24 იანვარი). კ. გვარჯალაძეს დახვრეტილი აჯანყებულების სიებიც მოჰყავდა და წინადადებას აძლევდა კოუტს: თუ სიებში დასახელებული პირები ცოცხლები იყვნენ კომუნისტებს მათი ადგილსამყოფელი დაესახელებინათ.

1927 წლის 12-13 თებერვალს პარიზში სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ინგლისის დელეგაციის წევრმა, **კრამპმა**, განაცხადა, რომ იმ ცნობებმა, რომელიც ინგლისის ლეიბორისტულ პარტიას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან მიუვიდა, ინგლისის ლეიბორისტულ პარტიაში ღრმა თანაგრძნობა გამოიწვია.

სოციალ-დემოკრატი **ევგენი გეგეჭკორი** ბალტიის ქვეყნებში ჩავიდა, სადაც მან ადგილობრივ სოციალისტურ პარტიებს საქართველოში მიმდინარე რეპრესიების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

ნ. ჟორდანიამ 1928 წელს რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე გამოაქვეყნა ბროშურა სათაურით **„Nos Divergences"**. იმავე წელს ნ. ჟორდანიამ რუსულ ენაზე და-

ბეჭდა ბროშურა **„Итоги“**. ამ ორ ბროშურაში ავტორი შეეცადა გაერკვია, თუ როგორ ესმოდათ ეროვნული საკითხი დასავლეთ ევროპაში და როგორ ესმოდათ იგი საბჭოთა რუსეთში.

მოსკოვის მოპატიჟებით საქართველოში ფრანგი მწერალი **ანრი ბარბიუსი** ჩამოვიდა, რომელმაც 1929 წელს საქართველოში მოგზაურობის შესახებ საფრანგეთში წიგნი გამოაქვეყნა. ნაშრომში ავტორი კომუნისტების ინტერესების დაცვას შეეცადა. 1930 წლის გაზაფხულზე ანრი ბარბიუსის წიგნის საპასუხოდ ფრანგულ ენაზე გამოიცა **დ. შარაშიძის** ნაშრომი **„ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო“** (კ. კაუცკის წინასიტყვაობით). ავტორი შეეცადა გაებათილებინა ანრი ბარბიუსის მოსაზრებები (**კ. გვარჯალაძე.** საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში. გამომცემლობა „ცოდნა“-„ერთობა“, თბილისი, 1991, გვ. 47-63).

თავი XIII. სასამართლო პროცესი

1925 წლის 15 ივლისიდან 1925 წლის 3 აგვისტომდე 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი გაიმართა. მანამდე კი ძიება მიმდინარეობდა. 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა დაკითხვა შანტაჟისა და სასტიკი წამების პირობებში მიმდინარეობდა. ამიტომ იყო, რომ დაპატიმრებულთა ჩვენებების უმეტესი ნაწილი გამოძიების მიერაა შეთხზული. პატიმრებს იძულებულს ხდიდნენ, რომ ასეთი ჩვენებები საკუთარი ხელმოწერით დაედასტურებინათ. ძიების ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენდა სასამართლო პროცესი, რომელიც პრაქტიკულად ფარსი იყო. ბრალდებულთა ბედი, სასჯელის ზომა, სასამართლო პროცესის დაწყებამდე იყო განსაზღვრული.

უფროსმა გამომძიებელმა **ბ. კუპრაშვილმა** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროკურორს წარუდგინა საბრალდებო დასკვნა **საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის** საქმეზე. წარდგენილი საქმე მოიცავდა: 1. საბრალდებო დასკვნას; 2. საქმეს 7 ტომად (1944 ფურცელი); 3. დამატებას 5 ტომად; 4. ნივთიერი დამამტკიცებელი მასალის 1 ტომს (347 ფურცელი) (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 491).

1925 წლის 2 ივლისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის გამწესრიგებელმა სხდომამ (თავმჯდომარე **ა. თუმანიშვილი**, წევრები: **ლ. მიროტაძე** და **შ. გალდავა**, რესპუბლიკის პროკურორის მაგიერ **ნ. ოკუჯავა**, მდივანი **ვ. ცინცაძე**) წარმოებაში მიიღო საქმე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების შესახებ. დამტკიცდა მოწმეების სია. სასამართლოს თავმჯდომარედ უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრი **გალაკტიონ ვაშაძე** დაინიშნა. გ. ვაშაძის ბრძანებით ბრალდებულებს სახაზინო დამცველები

გამოუყვეს. ჩერქეზიშვილი დაინიშნა გრიგოლ გიორგაძის, კირილე ნინიძისა და ნიკიფორე იმნაიშვილის დამცველად; მესხიშვილი — გრიგოლ რცხილაძის, სამსონ დადიანისა და ამბროსი კვირიკაძის; გუბელაძე — ალექსანდრე ჩხაიძის, გაბრიელ გოგოლიშვილისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის; რიჟამაძე — მიხეილ ბოჭორიშვილის, აპოლონ ბახტაძისა და მიხეილ ჭანიშვილის; შოთა დადიანი — ივანე ავალიშვილის, ნიკოლოზ ნაკაშიძისა და ვლადიმერ ბერიძის; ნიკოლოზ ქიქოძე — იაკობ ფანოზაშვილის, ვახტანგ ნაცვლიშვილისა და ვლადიმერ გეგეჭკორის; პოლუმორდვინოვი — მიხეილ იშხნელის, სიმონ (ხუხუ) ხოფერიასა და შალვა თვალთვაძის; ვანო ჯაფარიძე — აკაკი კალანდარიშვილის, თეოფილე შენგელიასა და ეგნატე გაბლიანის; მიხეილ ტატიშვილი — ალექსანდრე ძაძამიას, შალვა კალანდარიშვილისა და დავით ონიაშვილის; ნასიძე — კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, გიორგი ჯინორიასა და გენადი ბელთაძის; ზედგინიძე — გრიგოლ ცინცაბაძის, ნიკოლოზ ქარცივაძისა და ნაპოლეონ კახიანის; ანდრეი ტატიშვილი — ვალერიან ბილანაშვილის, ვლასი მამალაძისა და შალვა იოსელიანის; მაჭავარიანი — ხარიტონ ლაშხიას, ესტატე ლატარიასა და აკაკი ფიჩხაიას; გელაზაროვი — არტემ ფანცულაიას, პართენ ხურციძისა და ლავრენტი ესვანჯიას; ღვამიჩავა — ბიძინა პირველისა და ალექსანდრე ბოკერიას (დოკუმენტში დანარჩენი განსასჯელების დამცველები არ იხსენიებიან — ავტ.) (სშსსა (III), ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 742).

1925 წლის 14 ივლისს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის განმაწესრიგებელმა სხდომამ, საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურორო განყოფილების მომართვის საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების სასამართლო პროცესზე საზოგადო ბრალმდებლად სერგო

ქავთარაძე დანიშნა (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 623).

სასამართლოზე მოწმეებად გამოიძახეს: ილია გიორგის ძე ფირცხალაიშვილი, ივანე პეტრეს ძე ჭავჭანიძე, გრიგოლ ირაკლის ძე ბარამიძე, ლევან მიხეილის ძე ლოლუა, დიმიტრი ზაქარიას ძე ძიძიკაშვილი, სილოვან ვასილის ძე ბარამიძე, ნიკოლოზ შაჰნაზაროვი, დიმიტრი ნიკოლოზის ძე შმილევი, სამსონ სტეფანეს ძე ალასანია, მელიტონ გიორგის ძე კალანდაძე, ბიქტორ (ვიქტორ) ვასილის ძე თევზაია, ანდრია იასეს ძე ღლონტი, გერონტი მინას ძე კილასონია, ანტონ გიორგის ძე მგალობლიშვილი, მათე მიხეილის ძე ახალბედაშვილი, თედო სართია, ვლადიმერ ჯალაღანია, ვასილ კაჭარავა, გედენია კაჭარავა, ივანე ნიჟარაძე, ვარლამ ძიძიგური, ვარლამ გელოვანი, გიორგი პირველი, გრიგოლ მგალობლიშვილი, ტარას მგალობლიშვილი, სერგო მეგრელიშვილი, ნინა თალაკვაძე, კონსტანტინე პატარკალაშვილი, ვასილ ლუკას ძე გელენიძე, აპოლონ აქვსენტის ძე გოგინავა, მიხეილ ნიკოლოზის ძე მახვილაძე, ისააკ ზაქარიას ძე ღელაშვილი, გრიგოლ ირაკლის ძე შარაშიძე, მიხეილ ვლადიმერის ძე გზელიევი, ალექსანდრე ანდღულაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სეით დევდარიანი და სხვ. (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 399-419; 497-499; 500-501; 506; 517; 520; 523-524; 537; 548).

სასამართლო პროცესი 1925 წლის 15 ივლისიდან 1925 წლის 3 აგვისტომდე მიმდინარეობდა ქ. თბილისში სასამართლოს ქუჩა №32-ში (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 399). სასამართლო პროცესზე სახალხო მსაჯულებად იყვნენ: **ი. სტურუა** და **ი. ცინცაძე**. სასამართლომ ბრალდებულებს: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, დავით ონიაშვილს, გიორგი ჯინორიას, ნიკოლოზ ქარცივაძეს, გიორგი (გიზო) ანჯაფარიძეს, იასონ ჯავახიშვილს, გრიგოლ გიორგაძეს, ნიკიფორე იმნაიშვილს, კირილე ნინიძეს, გრი-**

გოლ რცხილაძეს, სამსონ დადიანსა და მიხეილ ბოჭორიშვილს წაუყენა ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58 და 59 (I ნაწილი) მუხლებით (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 772), რაც გულისხმობდა შეიარაღებული კონტრრევოლუციური აჯანყების მოწყობას მუშათა და გლეხთა მთავრობის დასამხობად, უცხო სახელმწიფოების ინტერვენციის განხორციელებისათვის ხელშეწყობასა და მათ სასარგებლოდ ჯაშუშობას (**ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსი** (1924 წლის რედაქციით). იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1924, გვ. 15). სასამართლომ ბრალდებულებს: **აკაკი კალანდარიშ**ვილს, **შალვა კალანდარიშვილს, ვალერიან ბილანაშვილს, ესტატე ლატარიას, აკაკი ფიჩხაიას, პართენ ხურციძეს, ლავრენტი ესვანჯიას, შალვა თვალთვაძეს, არტემ ფანცულაიას, ვლასი მამალაძეს, თეოფილე შენგელიას, ნაპოლეონ კახიანს, შალვა იოსელიანს, მიხეილ იშხნელს, ხარიტონ ლაშხიას, გრიგოლ ცინცაბაძეს, ვლადიმერ გეგეჭკორს, გენადი ბელთაძეს, სიმონ ხოფერიას, ბიძინა ბირველს, ეგნატე გაბლიანს, ამბროსი კვირიკაძეს, მიხეილ ჭანიშვილს, ალექსანდრე ბოკერიას, ალექსანდრე ჩხაიძეს, გაბრიელ გოგოლიშვილს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, ივანე ლორთქიფანიძეს, აპოლონ ბახტაძეს, ნიკოლოზ ნაკაშიძეს, ივანე ავალიშვილსა** და **ვლადიმერ ბერიძეს** წაუყენა ბრალი გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლით (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 773), რაც გულისხმობდა იმ ორგანიზაციის წევრობას, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზით მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დამხობა და უცხო სახელმწიფოებთან ან მის წარმომადგენლებთან ურთიერთობა საქართველოში ინტერვენციის განსახორციელებლად (**ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსი**. იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1924, გვ. 15-16).

სასამართლომ **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, გიორგი ჯინორიას, იასონ ჯავახიშვილს, მიხეილ ბოჭორიშვილს, მიხეილ იშხნელსა** და **გრიგოლ ცინცაბაძეს** წაუყენა ასევე ბრალი გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 60 და 61 მუხლებით (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 774), რაც გულისხმობდა უცხო სახელმწიფოებთან ან მის წარმომადგენლებთან ურთიერთობას მის დასაყოლიებლად საქართველოს საქმეებში შეიარაღებული ძალით ჩარევის მიზნით და მონაწილეობის მიღებას იმ ორგანიზაციის მუშაობაში, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზით მუშათა და გლეხთა მთავრობის დამხობა (**ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსი.** იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1924, გვ. 15-16). სასამართლომ ბრალდებულებს: **კონსტანტინე ანდრონიკაშვილს, გიორგი ჯინორიას, იასონ ჯავახიშვილს, მიხეილ იშხნელსა** და **მიხეილ ბოჭორიშვილს** ასევე წაუყენა ბრალი გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 16 და 64 მუხლებით (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 775), რაც გულისხმობდა უშუალო მონაწილეობას, სხვების დაყოლიებას, დამნაშავის დამალვასა და ტერორისტული აქტების განხორციელებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (**ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსი (1924 წლის რედაქციით)**. იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, თბილისი, 1924, გვ. 7-16).

სასამართლომ **ვახტანგ დიმიტრის ძე ნაცვლიშვილს** ვერ დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება და ის გაათავისუფლა.

სასამართლომ **ივანე ნესტორის ძე ლორთქიფანიძეს, ვალერიან მიხეილის ძე ბილანიშვილს, ესტატე ბესარიონის ძე ლატარიას, აკაკი ალექსის ძე ფიჩხაიას, ლავრენტი ვასილის ძე ესვანჯიას, შალვა კონსტანტინეს ძე თვალთვაძეს, ვლასი ლუკას ძე მამალაძეს, შალვა დიმიტრის ძე იოსელიანს, ხარიტონ პეტრეს ძე ლაშხიას, ვლადიმერ**

ალექსის ძე გეგეჭკორს, თეოფილე სიმონის ძე შენგელიას, ეგნატე გიორგის ძე გაბლიანს, ამბროსი საბას ძე კვირიკაძეს, მიხეილ თომას ძე ჭანიშვილს, გაბრიელ კონსტანტინეს ძე გოგოლიშვილს, კონსტანტინე დარისპანის ძე ლორთქიფანიძეს, ალექსანდრე სამსონის ძე ბოკერიას, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩხაიძეს, აკაკი მათეს ძე კალანდარიშვილს, შალვა მათეს ძე კალანდარიშვილს და **არტემ ფილიპეს ძე ფანცულაიას** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლით და თითოეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით. უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის 1925 წლის 7 მარტის დადგენილებით და ზემოთ ჩამოთვლილი პირები სასჯელისაგან გაათავისუფლა.

სასამართლომ **დავით ეფრემის ძე ონიაშვილს** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58 და 59 (I ნაწილი) მუხლებით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დავით ონიაშვილმა გულწრფელად აღიარა „თავისი შეცდომები" და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით. სასამართლომ გაითვალისწინა დ. ონიაშვილის ავადმყოფობა და პატიმრობის დარჩენილი ვადა პირობით სასჯელად ჩაუთვალა.

სასამართლომ ბრალდებულებს: **გრიგოლ სიმონის ძე რცხილაძეს, სამსონ პლატონის ძე დადიანს, კირილე იასეს ძე ნინიძეს, ნიკიფორე ბესარიონის ძე იმნაიშვილს** და **გრიგოლ კიმოთეს ძე გიორგაძეს** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58 და 59 (I ნაწილი) მუხლებით. ამასთან, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსრ სის-

ხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლით და თითოეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასტიკი იზოლაციით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ აღნიშნული პირები საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიშროებას არ წარმოადგენდნენ და იხელმძღვანელა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 7 მარტის დადგენილებით და ისინი სასჯელისაგან გაათავისუფლა.

სასამართლომ **ალექსანდრე ბეგლარის ძე ძაძამიას** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 და 64 მუხლებით. ამასთან, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლით და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასტიკი იზოლაციით. სასამართლომ იხელმძღვანელა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 7 მარტის დადგენილებით და ა. ძაძამია სასჯელისაგან გაათავისუფლა.

სასამართლომ **ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძეს** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58 და 59 (I ნაწილი) მუხლებით. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ნ. ქარცივაძე ამ მუხლებით ერთხელ უკვე იყო გასამართლებული და ის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა.

სასამართლომ **იაკობ საბას ძე ფანოზაშვილს** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 16 და 64 მუხლებით. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ი. ფანოზაშვილი ამ ბრალდებით ერთხელ უკვე იყო გასამართლებული და ის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა.

სასამართლომ **აპოლონ კიმოთეს ძე ბახტაძეს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნაკაშიძეს, ვლადიმერ ალექსის ძე ბე-**

რიძეს, პართენ ივანეს ძე ხურციძეს და **გენადი მოსეს ძე ბელთაძეს** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლით. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლით და თითოეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

სასამართლომ **სიმონ გიორგის ძე ხოფერიას** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 16, 61 და 64 მუხლებით და სისხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლის თანახმად მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **გიორგი ნესტორის ძე ანჯაფარიძეს** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58 და 59 (I ნაწილი) მუხლებით და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **ივანე დავითის ძე ავალიშვილსა** და **ბიძინა გიორგის ძე პირველს** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლით და მიუსაჯა თითოეულ მათგანს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **ნაპოლეონ ილიას ძე კახიანს** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლით და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **გრიგოლ დიმიტრის ძე ცინცაბაძეს** დაუმტკიცა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული სა-

ქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 60 და 61 მუხლებით და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სასამართლომ **კონსტანტინე ემანუილის ძე ანდრონიკაშვილს, იასონ ვლადიმერის ძე ჯავახიშვილს, გრიგოლ ევგენის ძე ჯინორიას, მიხეილ ნიკოლოზის ძე ბოჭორიშვილსა და მიხეილ ნიკოლოზის ძე იშხნელს,** რომელთაგან პირველ ოთხს დაუმტკიცდა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 16, 58, 59 (I ნაწილი), 60, 64 და 66 მუხლებით, ხოლო მიხეილ იშხნელს დაუმტკიცდა წაყენებული ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 16, 60, 61, 64 და 66 მუხლებით და თითოეულ მათგანს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. სასამართლომ მიიღო მხედველობაში სასამართლო პროცესზე მათი მხრიდან გაკეთებული საჯარო განცხადება, რომლითაც ისინი მოუწოდებდნენ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს დადგომოდნენ მშვიდობიან გზას და კონსტიტუციის ფარგლებში საბჭოთა ხელისუფლებასთან ეთანამშრომლათ და დახვრეტის განაჩენი შეუცვალა მათ 10 წლის პატიმრობით, სასტიკი იზოლაციითა და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 776-779).

თავი XIV. 1924 წლის აჯანყების შეფასებისათვის

1924 წლის აჯანყებას იმთავითვე შეფასების სხვადასხვაობა დაჰყვა. აჯანყების დამარცხების შემდეგ, ბუნებრივია, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, დღის წესრიგში მისი შეფასების საკითხი დადგა. საქართველოში, ამ თვალსაზრისით, პირველი სიტყვა საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბ) „ეკუთვნოდა". სათანადო შეფასებებმაც არ დააყოვნეს — საბჭოთა ხელისუფლების ლიდერების **(იოსებ სტალინის, სერგო ორჯონიკიძის, ფილიპე მახარაძის, მიხეილ კახიანის, ლევან ღოღობერიძის, ლავრენტი ბერიას, ალექსანდრე გეგეჭკორის, მიხა ცხაკაიას** და სხვ.) შეფასებები საბჭოთა ხელისუფლების პოზიციას გამოხატავდა. ამ შეფასებაში ღრმა და საფუძვლიანი არაფერი ყოფილა, ძირითადად ეს იყო 1924 წლის აჯანყების შემდეგი ტერმინებით შეფასება: **„ავანტურა", „კონტრრევოლუცია", „ზედა ფენების ამბოხებები", „უაზრო და სულელური ავანტურა", „ბანდიტური გამოსვლები", „მენშევიკების ავანტურა"** და სხვ. ეს ტერმინები საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მაზრებში, ქალაქებსა და სოფლებში უმალვე აიტაცეს. ამ ადამიანებს ხშირად დაწყებითი განათლებაც კი არ ჰქონდათ მიღებული, თუმცა ცენტრიდან მიღებულ დირექტივას უსიტყვოდ და ზედმიწევნით ასრულებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთით ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში ქართველი ერის გმირული ისტორიის ტენდენციური, არაობიექტური, შეურაცხმყოფელი შეფასებები დაიწყო. 1924 წლის აჯანყების შეფასებისას ტერმინი **„ავანტიურა"** სჭარბობდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის (**კ. სულაქველიძე, ი. კაჭარავა, კ. შელია, ნ. მახარაძე, ა. კიკვიძე** და სხვ.) მიერ 1924 წლის შეფასება ცხადია ტენდენციური, არაობიექტური

და არამეცნიერული იყო. მას ოფიციალური ხელისუფლების თვალსაზრისი უნდა გაემყარებინა და აჯანყების დამარცხების შემდეგ მთელ ქვეყანაში განხორციელებული მასობრივი რეპრესიებისათვის ერთგვარი გამართლება უნდა მოეძებნა. ამასთან, ამ შეფასებას აჯანყების ხელმძღვანელი ბირთვის დისკრედიტაცია უნდა მოეხდინა და სათანადო არგუმენტების მოშველიებით საბჭოთა კავშირში ევროპის სახელმწიფოების მხრიდან ინტერვენციის განხორციელების საშიშროებაზე მიენიშნებინა. ამით საბჭოთა საქართველოს (და საბჭოთა კავშირის) პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცდილობდა ქვეყნის შიგნით არსებული სიძნელეები მიეჩქმალა და ქვეყნის გარეთ არსებულ ვითარებაზე მოეხდინა საზოგადოების ყურადღების კონცენტრაცია. ეს გარემოება კი თავისთავად მოითხოვდა იმის მტკიცებას, რომ აჯანყებაში გლეხებსა და მუშებს მონაწილეობა არ მიუღიათ და, ამდენად, რაიმე საერთო-სახალხო აჯანყებაზე საუბარი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სრული აბსურდი გამოდიოდა — გლეხები და მუშები გამოვიდნენ მათი ინტერესების დამცველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ. საბჭოთა საქართველოს ისტორიოგრაფია სწორედ ასეთ შაბლონს უნდა მორგებოდა. ცხადია, ეს ასეც მოხდა. თუმცა დროთა ვითარებაში საბჭოთა ისტორიოგრაფია იძულებული გახდა აჯანყებაში გლეხებისა და მუშების მონაწილეობა ნაწილობრივ ელიარებინა და ეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაშვებული რიგი შეცდომებით აეხსნა. თუმცა ტერმინი **„ავანტიურა“** კვლავ ძალაში დარჩა.

ქართულმა ემიგრანტულმა ისტორიოგრაფიამ (**სოლომონ ზალდასტანიშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, სიმონ გოგიბერიძე, ვალიკო ჩუბინიძე, შალვა ამირეჯიბი, ნოე ჟორდანია** და სხვ.) აჯანყების შეფასების საკითხში იმთავითვე საბჭოთა ისტორიოგრაფიის საპირისპირო პოზიცია დაიკავა და 1924 წლის აჯანყება საქართველოს XX საუკუნის

20-იანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აპოგეად შეაფასა (ამ შეხედულებას არ იზიარებდა ცნობილი ქართველი მოღვაწე ირაკლი წერეთელი და შემდგომში საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში მხილებული გრიგოლ ვეშაპელი). ამ შეფასებაში, ცხადია, სუბიექტური მომენტებიც ჭარბად იყო და ეს არც არის გასაკვირი, ბევრი მათგანი ხომ თვითონაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1924 წლის აჯანყებაში.

XX საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარი კარდინალური ცვლილებების შედეგად მოიხსნა ცენზურა, გაიხსნა არქივები და შეიქმნა ობიექტური პირობები 1924 წლის აჯანყების პირუთვნელი შესწავლა-შეფასების თვალსაზრისით. მართლაც, დაიწერა რიგი შრომებისა, რომლებმაც 1924 წლის აჯანყების მრავალი, მანამდე უცნობი დეტალები წარმოაჩინეს (**ნესტან კირთაძემ, რევაზ გრძელიძემ, ვალერი ბენიძემ** და სხვ.). ეს ნაშრომები აჯანყებას საერთო-სახალხო მოვლენად აფასებდნენ და გამომდინარე აქედან მის მონაწილეებს ეროვნულ გმირებად და სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილებად წარმოაჩენდნენ. მოგვიანებით, ეიფორიის ერთგვარად დაცხრომის შემდეგ, ამ შეფასების გვერდით დაიწყო ბოლშევიკურ-კომუნისტური შეფასების რეანიმაცია, უფრო კონკრეტულად 1924 წლის აჯანყების შეფასებისას გაჩნდა ტერმინები: „ავანტიურისტები", „ექსტრემისტები", უფრო მეტიც 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელებს ერის გენოფონდის უაზროდ განადგურებაში დასდეს ბრალი (**გიორგი ციციშვილი** და სხვ.)

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის აჯანყებიდან 86 წელი გავიდა დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში აჯანყების შეფასების საკითხში კვლავაც აზრთა სხვადასხვაობაა. გამომდინარე აქედან, მკითხველთა ფართო წრე და მთლიანად საზოგადოება ერთგვარ გაუგებრობაში აღმოჩნდა. ბუნებრივია, მის წინაშე ობიექტურად ჩნდება კით-

ხვა: ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული აჯანყების შეფასების ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებიდან რომელი გაიზიაროს, უპირატესობა რომელს მიანიჭოს?

ამიტომ, ჩვენს მიზანს შეადგენს, სათანადო ანალიზის საფუძველზე, შევაფასოთ 1924 წლის აჯანყება დღევანდელი გადასახედიდან და, შესაბამისად, სათანადო ადგილი მივუჩინოთ ამ მოვლენას საქართველოს ისტორიაში.

1924 წლის აჯანყების სრულფასოვანი შეფასებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია გაირკვეს შემდეგი გარემოებები: არსებობდა თუ არა 1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზები საქართველოში და შეიძლებოდა თუ არა აჯანყების თავიდან აცილება, ანუ არსებობდა თუ არა ბრძოლის ალტერნატიული ვარიანტი? ამოძრავებდათ თუ არა პირადი მოტივები აჯანყების სათავეში მდგომ პოლიტიკოსებს; აჯანყების ტექნიკური და სამხედრო მომზადების დონე; აჯანყების გეოგრაფია; აჯანყებაში მონაწილე პირთა სოციალური კუთვნილება; მოკავშირის საკითხი; ტერმინ „ავანტიურის" განმარტება და მისი მიმართება 1924 წლის აჯანყებასთან და ქართულ სინამდვილეში მომხდარ სხვა აჯანყებებთან;

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

„საქართველოს რევოლუციური კომიტეტის" („რევკომის") საქმიანობაზე ჩვენ სათანადო თავში ვისაუბრეთ. საქართველოში საბოლოოდ ერთპარტიული, დიქტატორული რეჟიმი დამკვიდრდა, აიკრძალა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. საბჭოთა რეჟიმი საზოგადოების ყველა ფენას შეეხო. ამიტომ უკმაყოფილოთა რაოდენობა ქვეყანაში დღითიდღე იზრდებოდა. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბ) უარი განაცხადა სოციალ-დემოკრატების მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე — მთელ ქვეყანაში რეფერენდუმის ჩატარებისა და ამ გზით ქართველი ერის ნების გამორკვევაზე. საქართველოში მშვიდობიანი მეთოდებით საბჭოთა ხელისუფლების შეცვლის ილუზია იმთავითვე გაქრა. ქართვე-

ლი პოლიტიკოსები დარჩნენ ორი უკიდურესობის წინაშე: ისინი ან უნდა შერიგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და მოსალოდნელ რეპრესიებს მშვიდად დალოდებოდნენ, ან ებრძოლათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ამ რეჟიმის წინააღმდეგ და თუ ვერ გაიმარჯვებდნენ ძვირად მაინც დაესვათ გამარჯვება მოწინააღმდეგისათვის. 1924 წლის აჯანყების სათავეში მდგომმა პოლიტიკოსებმა სწორედ ეს მეორე გზა აირჩიეს. აჯანყების ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებში დაწყებაზე სპეციალურად ამისათვის შექმნილ **საზღვარგარეთის ბიუროს** უნდა ეზრუნა. ამასთან, აჯანყების იდეის მომხრეებისათვის ერთგვარი კატალიზატორის როლი ითამაშა ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირისათვის გაგზავნილმა ნოტამაც. ამ ნოტაში აღნიშნული იყო, რომ ინგლისი **დე იურე** ცნობდა საბჭოთა კავშირის მთავრობას ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომლის მოსახლეობაც ცნობდა მის ხელისუფლებას (**ქართული დიპლომატიის ისტორია. როინ მეტრეველის** რედაქტორობით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 606-607). გარკვეულ იმედებს საფრანგეთიც იძლეოდა. საფრანგეთში **ერიოს** მთავრობა ლოიალურად იყო განწყობილი საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მიმართ (**კ. სულაქველიძე**. რა მოხდა? (ვინ მოაწყო და როგორ აგვისტოს აჯანყება). 1927, გვ. 72).

ძნელია ზუსტად თქმა იმისა, თუ ვინ რა სახის დახმარებას აღმოუჩენდა საქართველოს 1924 წლის აჯანყების წარმატების შემთხვევაში, მაგრამ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოთი „დაინტერესება" ევროპაში ნამდვილად არსებობდა. მაგალითად, „დიდი ბრიტანეთის სანავთობე ფირმა „შელი" აპირებდა დაეფინანსებინა მენშევიკური რევოლუცია, რომელიც ბათუმის ჭიშკრის გავლით გაუხსნიდა მათ გზას ბაქოსაკენ" (**კობა წენგუაშვილი**. ლ. ტროცკი — „ქართველი მენშევიკების შესახებ".— ჟურნალი „ანალები",

2004, №2, გვ. 94). აზერბაიჯანის ჩართვა აჯანყებაში ამ მიზნითაც იყო ნავარაუდევი.

ამდენად, საქართველოში უკმაყოფილოთა არმიის თანდათანობითი ზრდა თავისთავად აყენებდა დღის წესრიგში ბრძოლის დარჩენილი ერთადერთი საშუალების გამოყენებას, რასაც აჯანყება ჰქვია. ამასთან, არსებული საერთო უკმაყოფილობის ფონზე ძალზე დიდი იყო ალბათობა კვლავაც სტიქიური გამოსვლებისა, რაც თავისთავად, დიდი მსხვერპლის მომტანი გახდებოდა.

აჯანყების გზით მიზნის მიღწევა ყველა დროში და სიტუაციაში დიდ რისკთან და ხიფათთანაა დაკავშირებული. ეს რისკი და ხიფათი მით უფრო ორმაგდებოდა საბჭოთა სინამდვილეში. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამშობლოს გამოხსნისათვის მებრძოლი ძალები იდგნენ ორი უკიდურესობის წინაშე: ან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ფიქრისათვის საბოლოოდ თავი დაენებებინათ და საქართველოს და ქართველი ხალხის დაბეჩავებულ მდგომარეობას შერიგებოდნენ, ან პირიქით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ და თუ ვერ გაიმარჯვებდნენ პირნათლად მაინც მოიხდიდნენ თავიანთ ვალს ერისა და ქვეყნის წინაშე.

1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელებმა მეორე გზა აირჩიეს.

ახლა განვიხილოთ ტერმინი **„ავანტიურა“** და მისი მიმართება 1924 წლის აჯანყებასთან. ერთ-ერთ ფრანგულ ლექსიკონში ტერმინი ავანტიურა შემდეგნაირადაა განმარტებული: **იმპულსურობა, ეგოცენტრიზმი, ინტრიგების ხლართვა, პატივმოყვარეობა**. ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ლექსიკონში კი ვკითხულობთ: **„ავანტიურისტი არის პიროვნება, რომელიც მზადაა სარგებლობა ნახოს რისკის ან უპატიოსნო არაკეთილსინდისიერი მეთოდებით“** (Oxford ADVANCED ŒARNERS DICTIONARY of current

English, AS Hornby. sixth edition. Edited by Sally Webmeier, phonetics editor Michael Ashhy, oxford univers. p. 5).

1924 წლის აჯანყების მზადების პროცესში აქტიურად იყო ჩართული გენერალი **კონსტანტინე (კოტე) აფხაზი.** მაგრამ საქართველოსა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიების მახვილ თვალს რა გამოეპარებოდა და კოტე აფხაზი დააპატიმრეს. 1923 წლის 21 მაისს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიამ კოტე აფხაზი და სხვა ქართველი ოფიცრები ქ. თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტა. ჯალათები მას სიცოცხლეს შეჰპირდნენ თუკი ის ბრძოლაზე ხელს აიღებდა, მაგრამ კოტე აფხაზმა ამაზე კატეგორიული უარი თქვა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: **„მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!"** (ლელა ეძგვერაძე. 1924 წლის აჯანყების ასახვა ლიტერატურაში. დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1996, გვ. 31). კოტე აფხაზის ვაჟკაცობამ და გაუტეხლობამ აღაფრთოვანა არა მხოლოდ კ. აფხაზის თანამებრძოლები, არამედ პირსისხლიანი ჩეკისტებიც კი. ჩეკისტი **მანუჩარ (კაკო) შელია,** რომელიც 1956 წელს ბერად აღიკვეცა მოსკოვის მირქმის მონასტერში მამა ალექსის სახელით, თავის მემუარებში წერდა: „ჩემს მეხსიერებაში წამოტივტივდა იმ ვაჟკაცთა სახეები, რომლებიც სიცოცხლეს სწირავდნენ „წითელ აგრესიასთან" ბრძოლას და არასოდეს უფიქრიათ ქვეყნის დატოვება. მართალია, ჩვენი შეხედულებანი რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ცხოვრებამ მტრები გაგვხადა, მაგრამ მე მაინც დიდი მოწიწებით მინდა მოვიხსენიო არასრული სია იმ ქართველი ვაჟკაცების, ვინც ბოლომდე იბრძოდა, ამ სიტყვის სრული გაგებით და საკუთარი სიკვდილით უკვდავყო საკუთარი სახელი... სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი, ივანე ნარიკე-

ლაძე, კოსტა (კოტე — **ავტ.**) აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გრიგოლ წულუკიძე, ნოე ხომერიკი, გოგი ფალავა, ნიკოლოზ ზანდუკელი, ვალიკო ჯუღელი, გრიშა აბაშიძე, ნიკოლოზ წერეთელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი... ეს არის არასრული სია იმ პატრიოტებისა, რომელნიც დაამშვენებდნენ ნებისმიერ ქვეყანას, ნებისმიერ დროს" (**მანუჩარ (კაკო) შელია.** „მემუარები". მასალა მოამზადა დავით გელაშვილმა.— „დილის გაზეთი", 1999, №152, 7 ივლისი, გვ. 17). ამდენად, კოტე აფხაზი და მისი თანამოაზრე ქართველი გენერლები და ოფიცრები „ავანტიურისტები" კი არ იყვნენ, არამედ სამშობლოს უანგარო მსახურები.

ანალოგიურად შეიძლება მსჯელობა აჯანყებაში მონაწილე სხვა პირების მიმართ. მაგალითად, ცნობილია, რომ ემიგრაციაში მყოფი **ნოე რამიშვილი** მონატრებულ სამშობლოს თურქეთის საზღვრებიდან საათობით უცქერდა. ან ჩეკისტების ხელში აღმოჩენილი **ვალიკო ჯუღელის** წინადადება რად ღირს: დამალევინეთ წამალი, რომელიც სამი დღის მერე სიცოცხლეს მომისწრაფავს. ამ სამ დღეში კი გავაფრთხილებ ჩვენებს, რომ ხელი აიღონ აჯანყებაზე, რადგან თქვენ აჯანყების შესახებ გცოდნიათო. ამაზე მან ცივი უარი მიიღო (ედიშერ გიორგაძე. გვარდიის წინამძღოლი ვალიკო ჯუღელი. — გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 1990, №51, 21 დეკემბერი, გვ. 16). არც ამ შემთხვევაში ჩანს რამე პირადული და „ქვენა გრძნობისმიერი".

აჯანყების დღეებში აჭარაში, სოფ. **ღორჯომში,** მოხდა ასეთი რამ: წითელარმიელთა მეთაურმა, **ბასოვმა,** ადგილობრივ მოსახლეობას აჯანყებულების გაცემა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სოფლის გადაწვით იმუქრებოდა. მიუხედავად ამისა, ხალხმა აჯანყებულები არ გასცა. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, სოფელს განადგურების რეალური საფრთხე დაემუქრა. ამ დროს აჯანყებულები: **მემედ გაბაიძე, ჰასან მეკეიძე** და სხვ. წითელარმიელებს თვითონ

ჩაბარდნენ. ბასოვის ბრძანებით ისინი იქვე, ხალხის თვალწინ ჯერ სასტიკად გაროზგეს, შემდეგ კი დახვრიტეს (**ოთარ გოგოლიშვილი.** ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. გამომცემლობა „ალიონი", ბათუმი, 2000, გვ. 66).

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელები ქართველ ხალხს წინასწარგანზრახულად მიერეკებოდნენ სასაკლაოსაკენ და მათ თავიანთი ვიწრო, პარტიული ინტერესებისათვის იყენებდნენ და, შესაბამისად, ერს გენოციდის საშიშროებას უმზადებდნენ, მაშინ, ცხადია, ისინი ნამდვილი „ავანტიურისტები" ყოფილან. მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე არ იყო. 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელებს, შესაძლოა რიგ შემთხვევაში რეალობის გრძნობა ღალატობდათ და საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობას სრულად ვერ აანალიზებდნენ, მაგრამ რაც მთავარია, ისინი საქართველოს გასათავისუფლებლად თავგანწირვით იბრძოდნენ.

1926 წლის სექტემბერში საფრანგეთის რკინიგზის მუშათა დელეგაციის წევრები მეტეხის საპყრობილეში მყოფ 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელ პირებს შეხვდნენ. მათ პოლიტიკურ პატიმრებს ჰკითხეს: ამართლებდნენ თუ არა ისინი 1924 წლის აჯანყებას? ამაზე მათ უპასუხეს, რომ ისინი კვლავ ძველ პოზიციაზე რჩებოდნენ (**სშსსა (III),** ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №40, ფურცელი 389).

ტერმინი „ავანტიურა" საბჭოთა ლიდერების მიერ შემოგდებული სატყუარა რომ იყო, ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის, **კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილის,** მიერ სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენება: „ჩემ საკანში შემოვიდა ზაკჩეკას თავმჯდომარე მოგილევსკი, მან მომცა წინადადება გამეკეთებინა განცხადება, რომ საქართველოს ს-დ პარტიამ დაუშვა დიდი შეცდომა, რომ მოაწყო ავანტიურა და

ამ ავანტიურაში ჩააბა ხალხი... ჩვენ შევუდექით დეკლარაციისათვის დებულების შედგენას; ჩვენ აღვნიშნეთ ფაქტი ჩვენი დამარცხებისა და... რომ ევროპა არ დაგვეხმარა და მოტყუებულნი დავრჩით... ჩეკამ... მოგვთხოვა შეგვეტანა ორი დებულება. აგვისტოს გამოსვლები მოგვენათლა ავანტიურად და ამ ავანტიურაში მონაწილეთ გამოგვეცხადებინა ერის ზედაფენები. მძიმე იყო ჩვენთვის ამ დებულების მიღება! ამით მარტო ჩვენი თავისთვის გამოგვქონდა პოლიტიკური სიკვდილის განაჩენი; მეორე — ილახებოდა თვით მოძრაობა; მესამე — კომუნისტები ფართოდ გამოიყენებდნენ თავის სასარგებლოდ და კიდევაც გამოიყენეს... ჩვენ ვარჩიეთ „ავანტიურა“ და „ერის ზედაფენების“ სიტყვების ფასად გადაგვერჩინა ის, რისი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლებოდა, მით უმეტეს, ყოველი ქართველი, რომელიც შეგნებულად მიუდგებოდა შექმნილ მდგომარეობას, კარგად მიხვდებოდა, საქმე რაში იყო და ამასთან, სიტყვები: „ავანტიურა“ და „ზედაფენები“ არსებითად სრულიადაც არ სცვლიდა და არ უკარგავდა აგვისტოს გამოსვლებს მის ნამდვილ ხალხურ და მასიურ მნიშვნელობას...“ (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 360-363). უნდა აღინიშნოს, რომ კ. ანდრონიკაშვილი ჩეკისტებთან საუბარში თვითვე აცხადებდა, რომ დეკლარაციის შედგენა-არშედგენას ის არ უკავშირებდა მისი დახვრეტა-არდახვრეტის საკითხს.

ამდენად, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, დასახვრეტად გამზადებული აჯანყების მეთაურები ფიქრობდნენ არა თავიანთი ტყავის გადარჩენაზე, არამედ დანარჩენ აჯანყებულებზე, რომლებიც ამ დროისათვის კვლავ აგრძელებდნენ წინააღმდეგობას. ცხადია, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელების მხრიდან აჯანყების **„ავანტიურად“** მონათვლა საკუთარ პრინციპებზე და იდეებზე უარის თქმას ნიშნავდა, მაგრამ ამ ნაბიჯით მათ მრავალი ქართველის სიცოცხლე გადაარჩინეს.

„ავანტიურის სქემის“ მომხრეები, 1924 წლის აჯანყების შეფასების დროს, ერთ-ერთ არგუმენტად ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის იზოლატორიდან **ვალიკო ჯუღელის** მიერ გამოგზავნილ წერილებს იყენებენ, რომელშიც ვალიკო ჯუღელი თავის თანამებრძოლებს მოუწოდებდა ხელი აეღოთ აჯანყებაზე, რადგან, მისი თქმით, ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიებში აჯანყების შესახებ ყველაფერი იცოდნენ (**ვალიკო ჯუღელი**. ღია წერილი ყველა ამხანაგებისა და ყოფილ სახალხო გვარდიელებისადმი.— გაზეთი „კომუნისტი“, 1924, №196, 29 აგვისტო, გვ. 3). ამის საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ვალიკო ჯუღელის წერილებს დიდი ყურადღება არ მიაქცია, რადგან ადრე საგანგებო კომისიიდან ანალოგიურად წერილები დაპატიმრებულებმა: **გიორგი წინამძღვრიშვილმა** და **გიორგი (გოგიტა) ფალავამაც** გამოაგზავნეს. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ვალიკო ჯუღელი უფრო კატეგორიული იყო. დამკომმა მიიღო გადაწყვეტილება ვ. ჯუღელთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა და მის მიერ საგანგებო კომისიიდან გამოგზავნილი წერილები უკან გაუგზავნა (**სოლომონ ზალდასტანიშვილი**. 1924 წლის ამბოხება. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1989, გვ. 30-31). ამასთან, ამ დროისათვის (1924 წლის 6 აგვისტო) საქმე იმ დონემდეა მისული, რომ უკან დახევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

1924 წლის აჯანყების საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაგეგმილად მიჩნევა იმთავითვე უნდა გამოირიცხოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ის მასიურ ხასიათს ვერ მიიღებდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის, **ესტატე ლატარიას,** მიერ სასამართლოზე გაკეთებული განცხადება: „როცა სამეგრელოში ჩავედი ასეთი სურათი იყო: მთელი ხალხი რაღაც მოლოდინში იყო, ყველა ამბობდა, რომ

დღეს, ხვალ რამე მოხდებაო" (**სშსსა (III)**, ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №377, ტომი №3, ფურცელი 124).

მართალია, 1924 წლის აჯანყების მზადების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიები საქმის კურსში იყვნენ (თავიანთი აგენტების, აჯანყების მზადებაში ჩართული მოღალატეების მეშვეობით), მაგრამ აჯანყების ხელმძღვანელების მხრიდან „ხალხში მუშაობა", სრული კონსპირაციის დაცვით, ცხადია, შეუძლებელი იყო.

1924 წლის აჯანყება, რომ ქართველი ხალხის დაკვეთილი იყო, ამაზე ნათლად მეტყველებს აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, **შალვა ამირეჯიბის,** მოგონება. „...აჯანყების დღეების შემდეგ მე ისევ ტფილისში ჩავედი და დავრჩი იქ ორ თვემდის. ამ ხნის განმავლობაში მე ვიყავი ბევრ სახლში, სამჯერ ისეთ სახლებშიაც, სადაც დახვრეტილები ჰყავდათ, ვნახე სხვადასხვა პირნიც, მაგრამ იქ საყვედური, ან რომ აჯანყება ვიღაცის პროვოკაცია იყო... მე არ გამიგონია. ყველას ესმოდა რა მოხდა და ყველა მოწიწებით ფიქრობდა მასზედ. ყველას ესმოდა, რომ აგვისტოს აჯანყება ის კარია, რომლითაც ქართველი ერი თავის დამოუკიდებლობაში უნდა შევიდეს" (**შალვა ამირეჯიბი**. წიგნი მეორე. გამომცემლობა „დიოგენე" და „არსი", თბილისი, 1998, გვ. 165).

1924 წლის შემოდგომაზე საქართველოში გერმანელი პროფესორი **ერიხ ობსტი** იმყოფებოდა. მოგვიანებით, ე. ობსტმა გერმანიაში, გერმანულ ჟურნალ **„ცაიტ შრიფტ ფიურ გეოპოლიტიკ"**-ში, საქართველოს შესახებ პატარა წერილი გამოაქვეყნა. ე. ობსტი 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ თბილისში არსებულ სიტუაციას შემდეგნაირად აღწერდა: „იმ დროს, როდესაც ჩვენ თბილისს მივედით, იქ იყო გაბატონებული ღრმა გლოვა, განსაკუთრებით ქალაქის ქართულ ნაწილში. ბევრი დედაკაცი მიმოდიოდა შავ სამოსელში ჩაცმული და მათი სახე მძიმე, მძიმე მწუხარებას ამჟღავნებ-

და. მამაკაცთა შორის შავი ნიშანი ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ისინი ამ გლოვის ნიშანს ატარებდნენ დიდი სიფრთხილით: ეშინოდათ, ამით საეჭვო პირად არ ჩამთვალონო.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, მას რომ წევრი არ დაჰკლებოდეს და გლოვაში არ ყოფილიყოს.

გაუგონარი მძვინვარებით მოსპეს აჯანყება. ოფიციალური სტატისტიკა თუმცა აცხადებს, რამდენიმე ასი კაცი სამხედრო სასამართლოს განაჩენით დაიხვრიტაო, მაგრამ ვილას აინტერესებს ეს რიცხვი?.. ნამდვილი მსხვერპლი ათასობით ითვლება. ისინი დახვრიტეს გაუსამართლებლად, ხშირად იმ შემთხვევაშიც, როცა დაბეჯითებით იცოდნენ, რომ ისინი აჯანყებაში სრულებით არ მონაწილეობდნენ...

რაც ჩვენ საქართველოში ვნახეთ და გავიგონეთ, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ 1924 წელს... მომხდარი აჯანყება იყო უმთავრესად ეროვნული მოძრაობა და როგორც ასეთი, არა მარტო საბჭოთა სისტემის, არამედ სწორედ რომ მოსკოვური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული...

არავის არ შეუძლია სერიოზულად იმაზე იდავოს, რომ ეროვნულად აღგზნებულ ინტელიგენციასთან ერთად, პირველ ყოვლისა, საქართველოს აკადემიურ ახალგაზრდობასთან ერთად, ძალიან ბევრი გლეხი და მუშა ღებულობდა მონაწილეობას აჯანყებაში. რა აზრი უნდა ჰქონოდა იმას, რომ მაგალითად, შავი ქვის მრეწველობის არეში, ჭიათურაში მუშებმა იარაღი ხელთ აიღეს, საბჭოთა მოხელეები დაიჭირეს და სხვა? განა მართლა შეუძლია ვინმეს დაამტკიცოს, რომ ჭიათურის მაღაროს მუშები, ყველანი თავადაზნაურთა შვილები იყვნენ, ანდა ისინი თავადაზნაურ გვართა მიერ დაქირავებული იყვნენ, რათა მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყვანათ?.. (**ერიხ ობსტი**. საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი.— ჟურნალი „ახალი დროება“, 1999, №4, ივნისი-ივლისი, გვ. 35)

ბუნებრივად ისმის კითხვა: იყო თუ 1924 წლის აჯანყება მასობრივი, სახალხო, საერთო-ეროვნული?

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბესარიონ ლომინაძე** 1924 წელს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საიდუმლოდ წერდა, რომ 1924 წლის აჯანყებაში ათასობით გლეხი მონაწილეობდა და მან ზოგან მთელი მაზრები მოიცვა, მაგალითად, გურიასა და სამეგრელოშიო (ბ. ლომინაძის მოხსენებითი ბარათი.— ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი", 1989, №3, გვ. 40). ბესარიონ ლომინაძე **მიხეილ კახიანისადმი** გაგზავნილ წერილში 1924 წლის აჯანყებას მასობრივს უწოდებდა და აცხადებდა „... ეს აჯანყება არ ყოფილა მხოლოდ მენშევიკებს პლიუს აზნაურებისა და თავადების გამოსვლა. მას თითქმის მთელი ინტელიგენცია თანაუგრძნობდა. ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი (სოფლის მასწავლებლები) მასში უშუალოდ მონაწილეობდა, ხოლო ზოგიერთ მაზრაში მენშევიკებთან, აზნაურებთან, ოფიცრებთან, მღვდლებთან, ვაჭრებთან და ინტელიგენციასთან ერთად აჯანყებაში გლეხობაც მონაწილეობდა..." **(ბ. ლომინაძის პირადი წერილიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანისადმი (1924 წ. შემოდგომა).**— ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი", 1989, №3, გვ. 40).

მართალია, 1924 წლის აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოში მასიური არ ყოფილა, მაგრამ ამას სხვა მიზეზები ჰქონდა.

ამდენად, მართალია მხოლოდ თავისთვის და საიდუმლოდ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო სიმართლე ეღიარებინა.

1924 წლის აჯანყება ტექნიკური თვალსაზრისით ბოლომდე მომზადებულად ვერ ჩაითვლება, რადგან აჯანყების პროცესში კარგად გამოჩნდა საბრძოლო საშუალებების ნაკლებობა, მაგრამ ფინანსების სიმწირის პირობებში ეს არ უნ-

და გაგვიკვირდეს. ასეთ შემთხვევაში აჯანყების მეთაურებს აქცენტი საბჭოთა ხელისუფლების არსენალის ხელში ჩაგდებაზე ჰქონდათ გაკეთებული და უმეტესწილად ეს ამოცანა შეასრულეს კიდეც. სამხედრო თვალსაზრისით კი აჯანყება ნამდვილად მომზადებული იყო. ამაზე ნათლად მეტყველებს კავკასიის არმიის დივიზიის უფროსის **ა. იანოვსკის** მოხსენებითი ბარათი. ა. იანოვსკი აჯანყებულების წინააღმდეგ რუსული წითელი არმიის ოპერაციებს დასავლეთ საქართველოში ხელმძღვანელობდა. ა. იანოვსკი აჯანყებულთა რაზმების მოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდა (**მალხაზ მაცაბერიძე**. აჯანყებულთა ტაქტიკა 1924 წელს დასავლეთ საქართველოში.— ჟურნალი „მხედარი", 1991, №2, გვ. 51-54).

განვიხილოთ 1924 წლის აჯანყების გეოგრაფია. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობას (აფხაზებს, ოსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს) არ მიუღიათ. ამის მიზეზი ეთნიკური უმცირესობების მიმართ საბჭოთა საქართველოს (უფრო სწორედ საბჭოთა კავშირის) ხელისუფლების პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ქართველების ინტერესების შელახვის ხარჯზე საქართველოში მცხოვრებმა მცირე ერებმა ხელი კარგად მოითბეს. აქედან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობების 1924 წლის აჯანყებაში არ მონაწილეობა სავსებით ლოგიკურია.

ისტორიოგრაფიაში ორმაგი მიდგომა, ორმაგი სტანდარტი ყოველად მიუღებელი და დაუშვებელია. თუ ჩვენ 1924 წლის აჯანყების მონაწილეებს **„ავანტიურისტებად"** და თვით აჯანყებას **„ავანტიურად"** მოვნათლავთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მან დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, ან გამარჯვების შანსი მაშინ მიზერული იყო საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გათვალისწინებით, მაშინ ჩვენ ანალოგიური ტერმინით უნდა შევამკოთ კახეთის 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა, მთიულეთის 1804 წლის აჯანყება, კახეთის 1812 წლის აჯანყება, იმერეთის 1819-

1820 წლების აჯანყება და სხვა აჯანყებები. განა შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ კოხტასთავის შეთქმულებს მაშინ მონღოლთა დამარცხება ხელეწიფებოდათ? ან ვინმეს შეუძლია ამტკიცოს, რომ 1832 წლის შეთქმულების აჯანყებაში გადაზრდის შემთხვევაში წარმატება გარდაუვალი იყო?

ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, რაც არ უნდა დიდი იმპერიის წინააღმდეგ სწარმოებდეს ის. განა მსოფლიოში ცოტაა მაგალითები, როდესაც რიცხვით მცირე ერებმა დაუღალავი და უთანასწორო ბრძოლის შედეგად ნანატრი თავისუფლება მოიპოვეს? მაგალითისათვის **ირლანდიელების, პოლონელების, ფინელების, ჩეხების** და სხვა ერების განვლილი გზებიც კმარა. არც ერთ ამ ერს თავისუფლება მცირე მსხვერპლით არ მოუპოვებია, მაგრამ როგორც იტყვიან, ეს მსხვერპლი ღირდა გამარჯვებად.

საქართველოს ისტორია ხომ უძველესი დროიდან დღემდე ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის განუწყვეტელი, თავდადებული, ლამის გენეტიკურ მემკვიდრეობად ქცეული ბრძოლაა, რამაც ჩვენს ისტორიას ერთგვარად დრამატიზმის ელფერი მისცა. ასეთივე დრამატიზმის ელფერი დაჰკრავს 1924 წლის აჯანყებას. მართალია, 1924 წლის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ რაც მთავარია, 1924 წელს ქართველმა ერმა ზნეობრივად დაამარცხა მონსტრი — საბჭოთა კავშირი.

ამდენად, 1924 წლის აჯანყება 1921 წლიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობის კულმინაციას წარმოადგენდა. მართალია, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელები გადაჭარბებულად აფასებდნენ ევროპის როლს „საქართველოს საკითხში“, მაგრამ რაც მთავარია, ისინი საქართველოს გასათავისუფლებლად თავგანწირვით იბრძოდნენ. აქედან გამომდინარე, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელების **„ავანტიურისტებად“** და 1924 წლის აჯანყების **„ავანტიურად“** მონათვლა ნამდვილად ისტორიული უსამართლობა იქნება. 1924 წლის აჯან-

ყების მონაწილეები ისეთივე გმირები არიან საქართველოსი როგორიც **ცოტნე დადიანი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი** და სხვ.

1924 წლის აჯანყებას შეიძლება მივუსადაგოთ ტერმინები: **პოლიტიკური რომანტიზმი, პოლიტიკური იდეალიზმი, პოლიტიკური ირაციონალიზმი** და ა.შ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ტერმინი **„ავანტიურა“.**

სარჩევი

რედაქტორისაგან 3-4

შესავალი 5-10

თავი I. პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. საკითხის ისტორიოგრაფია 11-41
§1. საბჭოთა ისტორიოგრაფია 11-22
§2. ემიგრანტული ისტორიოგრაფია 22-27
§3. დასავლური ისტორიოგრაფია.....27-30
§4. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია 30-37
II. წყაროთმცოდნეობითი ბაზა 38-41

თავი II. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება საქართველოში.....42-53

თავი III. რუსული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობის დასაწყისი (1921-1922 წწ.) 54-70

თავი IV. სვანეთის აჯანყება (1921-1922 წწ.) 71-78

თავი V. ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შექმნა 79-125

თავი VI. პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობა აჯანყების მომზადების მიზნით 126-134

თავი VII. საქართველოს საგანგებო კომისიის მოღვაწეობა ეროვნული მოძრაობის ჩახშობის მიზნით ..135-164

თავი VIII. აჯანყების მომზადება დასავლეთ საქართველოში. 165-244

§1. იმერეთი (შორაპნის მაზრა. ქუთაისის მაზრა) 165-173
§2. სამეგრელო (სენაკის მაზრა. ზუგდიდის მაზრა)....173-184
§3. გურია (ოზურგეთის მაზრა).....185-203
§4. სვანეთი. რაჭა-ლეჩხუმი.....203-215
§5. აფხაზეთი 215-232
§6. აჭარა.....232-244

თავი IX. 1924 წლის აჯანყების მიმდინარეობა და დამარცხება 245-368
§1. იმერეთი (შორაპნის მაზრა. ქუთაისის მაზრა) 245-275
§2. სამეგრელო (სენაკის მაზრა. ზუგდიდის მაზრა)....276-334
§3. გურია (ოზურგეთის მაზრა).....334-348
§4. სვანეთი. რაჭა-ლეჩხუმი.....348-355
§5. აფხაზეთი 355-356
§6. აჭარა.....356-368

თავი X. რეპრესიები 369-480
§1. იმერეთი (შორაპნის მაზრა. ქუთაისის მაზრა) 376-415
§2. მიტროპოლიტ ნაზარის საქმე.....416-421
§3. სამეგრელო (სენაკის მაზრა. ზუგდიდის მაზრა).... 421-459
§4. გურია (ოზურგეთის მაზრა).....459-462
§5. სვანეთი. რაჭა-ლეჩხუმი.....462-468
§6. აფხაზეთი 468-471
§7. აჭარა.....471-479

თავი XI. 1924 წლის აჯანყების მიზეზების შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების მიერ.....481-484

თავი XII. საინფორმაციო ომი 485-494

თავი XIII. სასამართლო პროცესი.....495-503

თავი XIV. 1924 წლის აჯანყების შეფასებისათვის.....504-520



გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge